180
1985/09

1985/2

# საუნჯე

ISSN 0134—9548

უცნობი მხატვარი. უელსის პრინცი ჰენრი ფრედერიკი
და სერ ჯონ ჰარინგტონი

# საუნჯე

1985/2
მარტი
აპრილი
(64)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ალექსანდრ ტვარდოვსკი. ლექსები. თარგმნა მურმან ჯგუბურიამ 3

უილიამ სომერსეთ მოემი. მოხატული ფარდა. რომანი. დასასრული.
ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ 5

ინდრჟიკ ვიხრა. ლექსები. თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა 63

რიჩარდ ბახი. თოლია ჯონათან ლივინგსტონი. მოთხრობა. ინგლისურიდან
თარგმნა გოჩა კვირკიშვილმა 69

ჟაკ პრევერი. როცა შენ გძინავს. ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა
მანანა გოგოლაშვილმა 90

ალექსანდრ ბლოკი. სკვითები. ლექსი. თარგმნა ავთანდილ ხარაიშვილმა 92

ალექსეი ტოლსტოი. ემიგრანტები. მოთხრობა. გაგრძელება. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ 94

მაქს ჟაკობი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ლოლაძემ 157

მიხეილ დუდინი, ვლადიმერ სოკოლოვი, ბელა ახმადულინა. ლექსები.
თარგმნა ლადო სულაბერიძემ 159

ჯოის კეროლ ოუტსი. ახდენილი ოცნებები. მოთხრობა. ინგლისურიდან
თარგმნა გიორგი ნოდიამ 162

ტაიფ აჯბა, რუშბეი სმირი. ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ 178

ვასილე სტატი. სიყვარული და საზრუნავი ჩემი. (ნაწყვეტი რომანიდან)
თარგმნა ცისანა ნიკოლაიშვილმა 188

ჯეიმზ პატრიკ დონლივი. მოთხრობები. ინგლისურიდან
თარგმნა დავით ძხობაძემ 229

პიერ რევერდი. წიგნიდან „ნაყარ-ნუყარი აზრები". ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ლოლაძემ 233

არმენ შეკოიანი. ლექსი. თარგმნა მზია ხეთაგურმა 247

ჰელმუტ ჰაისენბიუტელი. ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. ლექსები. გერმანულიდან
თარგმნა ბესიკ ადეიშვილმა 249

ბესიკ ადეიშვილი. გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის
კრიტიკულ-ინფორმაციული ანალიზი 250

ვირჯინია ვულფი. ერთი ოთახი საკუთრად. ინგლისურიდან
თარგმნა ინგა პაპავამ 275

დარეჯან გოჩალეიშვილი. „თმენის მდინარე". 296

გიორგი გაბუნია. ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობის ისტორიიდან
ლევ ტოლსტოისთან (1901—1910 წ.წ.). 298

სერგო თურნავა. როზმარი კიფერი და ქართული ლიტერატურა 307

ა. სტენდენი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი. ინგლისურიდან
თარგმნა ირმა ჯავახიშვილმა 316

მცირე ინფორმაციები 319

18734

საქ. სსრ ... სახ. საჯ. რესპ. ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

პ. მგ. მდივანი:

ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ჭეგულაძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შაჰნაზარი
გივი ძნელაძე
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
რეზო ჭეიშვილი

გარეკანზე: ელ გრეკო. კარდინალ დონ ფერნანდო ნინო დე გუევარა.

მხატვრული რედაქტორი ან. თოდრია. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი.
გამომშვები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 28. 1. 85 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 8. 4. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
სააღრ. თ. 23,53. სასტ. თ. 28. სალებავის გატ. 28,7. ტირ. 10.000, შეკვ. № 269.
ფასი 1 მან. 60 კაპ.
საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

# ალექსანდრ ტვარდოვსკი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მურმან ჯგუბურიამ

●

ხოლო ხეებმა, პაპაშენმა რომ დარგო როსმე,
გაშალეს მხარი, მოიკრიბეს ძალი და ღონე,
წავიდა მამა... — ხეებია ამისი მოწმე,
დღეს შვილო შენი უკვე თვითონ გაჰხედავს ხოლმე
ახოვან ხეებს, და ამრიგად არ წყდება ჟამი,
და თაობიდან თაობამდე ასე მიდიან
ხეები იგი, მოშრიალე დღითა და ღამით, —
დარში, ავდარში, — სულერთია, რა ამინდია.
და ჩანან თოვლში აჩხვერილი ხეები ზამთრით,
ხან აპრილია და ეპნევათ მკერდზე ყვავილი,
სტვენენ ზაფხულში და უთქმელი, რაღაცა დარდით
ევსებათ გული შემოდგომით აუტანელით.
საუკუნეთა თანატოლნი ხდებიან ასე,
სამ-ოთხგზის ჩვენზე მეტ ხანს ცოცხლობს ყველა მათგანი,
ეს კანონია, და შემდგომშიც, ხეები, მსგავსად
შეცვლიან ერთურთს, ასე მიდის ზაფხულ-ზამთარი;
გეცოტავება? ხანმოკლეა სიცოცხლე კაცთა?
შენ რას გვირჩევდი, ძმაო ჩემო, გვითხარ, მართალი!

●

თუ გინახია, — მებაღეები
რა მშვიდად თხრიან სავარდე მიწას,
ეფერებიან მჭკნარი ხელებით,
ძლივს აკარებენ პაწია ნიჩაბს.
ფშვნიან თითებით, აფხვიერებენ,
თითქოს მტრედისთვის მიჰქონდეთ
პური
ხან მხიარულად წაიმღერებენ
და ნეტარებით ევსებათ გული.
მაგრამ, შეხედეთ, ჩქარობენ რარიგ
მესაფლავენი და მოსდით ოფლი,
და როცა წყდება გრუხუნი მძლავრი,
მათ თითქო უკვე მიწაც არ ჰყოფნით.
ჟამს არ კარგავენ, თუმც რაა წამი,
და რანაირი არ მოგვდის ფიქრი:
ანკი რა უნდა დამთავრდეს ამით, —
მიცვალებულთა გრძელია რიგი.
არც ჩვენ მოგვიწევს ლოდინი დიდხანს,
იყრება ქვიშა, ნაფშვენი ქვები,
და აი, უკვე საფლავის თიხა
დაფარულია ყვავილთა წყებით.
შენ მაინც თავს ნუ დაიჭერ შორად,
თუმცა ცრემლები გინამავს თვალებს,
ხედავ, შენც აყრი საცოდავს გორახს,
რომ ყველაფერი გათავდეს მალე!

●

...მაგრამ შენ თვითონ მოუსმინე ამჯერად გლეხებს,
რომლებმაც თითქმის მოითავეს აქ საქმე თვისი,
მათ მოუსმინე... ნუ აჰყვები ცთუნებას [illegible],
ყველაფრის მცოდნე არის ქვეყნად მაგათი ჯიში.
თუმცა მთავრობა, მშობლიური მათი სარდალი,
ხშირად უცვლიდა იმათ საქმეს მიმართულებას,
მათ არ სჭირდებათ არც ტყუილი, არცა მართალი,
ქვეყნად იმდენი მოისმინეს განკარგულება.
დასაბამიდან პური იყო რუსისთვის წმინდა,
მაგრამ აწვდიდა მეცნიერი გლეხკაცებს ცნობას:
დაიმახსოვრეთ, პურზე მეტად სილოსი გვინდა!
დე, მათ კისერზე იყოს ლურჯი ყანების ცოდვა!
მეცნიერებას ჩვენ ხომ კამათს ვერ გავუბედავთ,
მაგრამ გლეხკაცებს ნუ ასწავლის ის მიწის ამბავს,
ჭინჭველი როა, რა სჯობია, ისიც კი ხედავს,
ობობა როა, როგორიც სურს, იმგვარ ქსელს ლამბავს!

●

ქვეყნად ყველაფრის ხანი მცირეა,
მოზომილი აქვს რადგან სამანი,
სურნელი მისი თუმცა ძვირია,
სამ-ოთხ თვეს ჰყავის იასამანი.
რა მცირე ხანი არის გასული
და უკვე ჰქნება მისი ყვავილი,
არ მიწურულა ჯერაც ზაფხული
და ყვავილს ვერ ჰვრეტს მგზავრი ჩავლილი.
ის უბრუნდება საწყისს თავისას,
ის ჭკნება უკვე და დასანანი
არის ეს ჟამი, თუმცა ხალისით
ფშვინავს ძველ ლექსშიც იასამანი.

●

რა მოვუხერხო ჩემს თავს, არ ვიცი,
ანდა რად მინდა ყალბი წამება?
სჯობს, მოვიკრიბო ისევ ხალისი,
თორემ დრო ჩქარა მიექანება.
ან სამიზეზოს კაცს რა დაულევს,
მაგრამ მე მაინც ვურჩევ ზოგიერთს;
დროის ფანტვაა დანაშაული,
ეს დრო უარესს მისას სჯობია?!

□

# უილიამ სომერსეთ მოემი

## მოხატული ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ

### LV

მაგრამ ორი თუ სამი დღის შემდეგ ქითისთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც მონასტერში წავიდა და მუშაობას შეუდგა — უნდა ენახა, ხელ-პირდაბანილი და ჩაცმული იყვნენ თუ არა ბავშვები. მონაზვნებს მტკიცედ სწამდათ, ღამის ჰაერი მავნეაო, და საერთო საძინებელ ოთახში დახუთული და მყრალი ჰაერი იდგა. დილის ზარის შემდეგ ქითის ცოტა უსიამო გრძნობა ჰქონდა ხოლმე და სწრაფად აღებდა ფანჯრებს, რომელთა გამოღებაც კი შეიძლებოდა. მაგრამ დღეს უეცრად ძალიან ცუდად იგრძნო თავი, თავბრუ დაესხა და ფანჯარასთან დადგა, იქნებ გამიაროსო. ასე ცუდად არასოდეს უგრძვნია თავი. მაგრამ გული რომ აერია და აღებინა, ისე შეჰკივლა, ბავშვები შეშინდნენ. უფროსმა გოგონამ კი, ქითის რომ ეხმარებოდა, მიირბინა, მაგრამ გაფითრებული და აკანკალებული ქითი რომ დაინახა შეჰკივლა და შეჩერდა. ქოლერა !— გაუელვა ქითის გონებაში და სიკვდილის შიშმა აიტანა, ერთხანს თავს ებრძოდა. ძარღვებში სისხლი გაეყინა. ისე ცუდად გახდა, თვალთ დაუბნელდა.

თვალები რომ გაახილა, პირველად ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. თითქოს იატაკზე იწვა. თავი ოდნავ რომ გაანძრია, მიხვდა, თავქვეშ ბალიში ედო. არაფერი ახსოვდა. გვერდით წინამძღვარი დაჩოქილიყო და მის ცხვირთან საყნოსი მარილი ეჭირა, და სენ-ჟოზეფი იდგა და უყურებდა. შემდეგ ყველაფერი გაახსენდა. ქოლერა! მონაზვნების სახეებზეც შეშფოთება ამოიკითხა. და სენ-ჟოზეფი უზარმაზარი ეჩვენა, თუმცა ბუნდოვნად ხედავდა. ქითი ისევ შიშმა აიტანა.

— ოჰ, დედაო, დედაო, — აქვითინდა, — ნუთუ უნდა მოვკვდე? არ მინდა სიკვდილი.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1.

— არც მოკვდებით, — მიუგო მშვიდად წინამძღვარმა. თვალები მხიარულადაც კი უელავდა.

— კი მაგრამ, ეს ხომ ქოლერაა. სად არის უოლტერი? გაგზავნეთ ვინმე მის მოსაყვანად! ოჰ, დედაო, დედაო.

ქითის ცრემლები წასკდა. წინამძღვარმა ხელი გაუწოდა და ქითიც ისე ჩაეჭიდა მის ხელს, თითქოს სიცოცხლეს ებღაუჭებოდა, რომლის დაკარგვისაც ასე ეშინოდა.

— დაწყნარდით, დაწყნარდით, ჩემო ძვირფასო შვილო, სისულელეს ნუ ლაპარაკობთ. ეს არც ქოლერაა და არც მსგავსი არაფერი.

— სად არის უოლტერი?

— თქვენი ქმარი ძალიან დაკავებულია, არ ღირს მისი შეწუხება. ხუთ წუთში კარგად გახდებით.

ქითიმ გაკვირვებული, შიშჩამდგარი თვალებით შეხედა. რატომ ხვდება წინამძღვარი ამ ამბავს ასე მშვიდად? ეს ხომ ბოროტებაა.

— ცოტა ხანს მშვიდად იყავით, — უთხრა წინამძღვარმა. — ასაღელვებელი არაფერი გჭირთ.

ქითის გამალებით უცემდა გული. ისე შეეჩვია ქოლერას, აღარც ეგონა, თუ მასაც შეეყრებოდა. ოჰ, რა სულელი ყოფილა! ახლა იცოდა, რომ უნდა მომკვდარიყო და შიშმა აიტანა. გოგოებმა როტანგის[1] გრძელი სკამი შემოიტანეს და ფანჯარასთან დადგეს.

— მოდი, აგწიოთ, — უთხრა წინამძღვარმა. chaise longue[1]-ზე მოხერხებულად იგრძნობთ თავს. შეძლებთ ფეხზე დადგომას?

მან ქითის მკლავებქვეშ შეუყო ხელები, და სენ-ჟოზეფმა ფეხზე წამოდგომა უშველა. ქითი ღონემიხდილი დაეშვა სკამზე.

— ჯობდა ფანჯარა დამეკეტა, — თქვა სენ-ჟოზეფმა. — დილის ჰაერმა არ ავნოს.

— არა, არა, — უთხრა ქითიმ. — ღია დატოვეთ.

ლურჯი ცის დანახვა რწმენას უნერგავდა. შეძრწუნებული იყო, მაგრამ თავს ნამდვილად უკეთ გრძნობდა. მონაზვნები ერთხანს ჩუმად უყურებდნენ, მერე და სენ-ჟოზეფმა რაღაც უთხრა წინამძღვარს, ქითიმ ვერ გაიგო, რა. წინამძღვარი სკამზე ჩამოუჯდა და ქითის ხელი აიღო.

— მისმინეთ, ma chère enfant... — და ორიოდე კითხვა დაუსვა. ქითიმ უპასუხა, თუმცა ვერ მიხვდა, რატომ ეკითხებოდა. ტუჩები უცახცახებდა, სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა.

— საეჭვოც აღარაა — ასეთ რამეში არ მოვტყუვდები, — თქვა და სენ-ჟოზეფმა, გაიცინა აღელვებითა და სიყვარულით. წინამძღვარმაც ჯერაც რომ ეჭირა ქითის ხელი, ალერსიანად გაუღიმა.

— და სენ-ჟოზეფს ასეთ რამეებში ჩემზე მეტი გამოცდილება აქვს, ძვირფასო შვილო, მან მაშინვე თქვა, რაც გჭირდათ, და მართალიც იყო.

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა ქითიმ აღელვებით.

— ეს აშკარაა. ნუთუ ამაზე არასოდეს გიფიქრიათ? თქვენ ბავშვს ელით, ჩემო ძვირფასო.

---

[1] პალმის სახეობაა.

[1] დაქანებული ზურგის მქონე სავარძელი (ფრ.).

ქითი შეკრთა, მოიკრუნჩხა, მერე ფეხები მიწაზე ჩამოუშვა, თითქოს წამოხტომა უნდაო.

— იწექით, იწექით, — უთხრა წინამძღვარმა.

ქითიმ იგრძნო, როგორ მოედო ალმური, და ხელები მკერდზე მიიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შეუძლებელია. ეს არაა მართალი.

— Qu'est qu'elle dit?[1] — იკითხა და სენ-ჟოზეფმა.

წინამძღვარმა გადაუთარგმნა. და სენ-ჟოზეფს ბადრი, ღაჟღაჟა სახე უბრწყინავდა.

— აქ შეცდომა შეუძლებელია. პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

— რამდენი ხნის გათხოვილი ხართ, შვილო ჩემო? — ჰკითხა წინამძღვარმა. — ამდენი ხნის გათხოვილი იყო ჩემი რძალი, რომ უკვე ორი შვილი ჰყავდა.

ქითი ისევ დაეშვა სკამზე. გულში სიკვდილის შიში დაბუდებოდა.

— როგორ მრცხვენია, — დაიჩურჩულა.

— იმისი, რომ ბავშვი უნდა გააჩინოთ? რა არის ამაზე უფრო ბუნებრივი?

— Quelle joie pour le docteur?[2] — თქვა და სენ-ჟოზეფმა. — დიახ, იფიქრეთ, რა ბედნიერებაა ეს თქვენი ქმრისთვის, რა სიხარული. ნეტა განახათ, როგორ ექცევა ბავშვებს, როგორი სახე აქვს, მათ რომ ეთამაშება; როგორ გაიხარებს, საკუთარი შვილი რომ ეყოლება.

ქითი ერთხანს ჩუმად იყო. მონაზვნები ალერსიანი ინტერესით უყურებდნენ, წინამძღვარმა კი ხელზე მოუთათუნა.

—რა სულელი ვიყავი, აქამდე რომ არ მივიტანე ეჭვი, — წაილაპარაკა ქითიმ, — ყოველ შემთხვევაში ,მიხარია, ქოლერა რომ არაა. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. ჩემს საქმეს დავუბრუნდები.

— დღეს არა, ძვირფასო შვილო. წეღან გონება დაკარგეთ. ჯობია შინ წახვიდეთ და დაისვენოთ.

— არა, არა, მირჩევნია დავრჩე და ვიმუშაო.

— მე მოვითხოვ. რას იტყვის ჩვენი კეთილი ექიმი, უფლება რომ მოგცეთ ასე არაკეთილგონივრულად მოიქცეთ? ხვალ მოდით, თუ გნებავთ, ან ზეგ, დღეს კი სიმშვიდე გჭირდებათ. ტახტრევანდს მოვატანინებ. გინდათ რომელიმე გოგო გამოგაყოლოთ?

— ოჰ, არა, მარტოც არაფერი მიშავს.

## LVI

ქითი დარაბებმიხურულ ოთახში საწოლზე იწვა. საუზმის დრო გადასულიყო და მსახურებს ეძინათ. იმ ამბავმა, რაც ამ დილას შეიტყო (ახლა უკვე დარწმუნებული იყო, მართლა ასეაო), შეაშინა ქითი. რაც შინ დაბრუნდა, ცდილობდა ეფიქრა ამ ამბავზე, მაგრამ გონება დაბინდული ჰქონდა და აზრს ვერ იკრებდა. უეცრად ნაბიჯები შემოესმა. ეს არ იყო მსახური ბიჭის

1 რას ამბობს? (ფრ.).

2 როგორ გაუხარდება ექიმს (ფრ.).

ფეხის ხმა. ქითი შეკრთა, მიხვდა, რომ მისი ქმარი იყო. გაიგონა კიდეც სასტუმრო ოთახიდან რომ დაუძახა, მაგრამ არ უპასუხა. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი კარზე კაკუნი გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ?

— შეიძლება შემოვიდე?

ქითი საწოლიდან წამოდგა და ხალათი მოიცვა.

— ჰო.

უოლტერი შემოვიდა. კიდევ კარგი, მიხურული დარაბები ქითის სახეს უჩრდილავდა.

— ხომ არ გაგაღვიძე? ძალიან ნელა დავაკაკუნე.

— არ მძინებია.

უოლტერი ფანჯარასთან მივიდა და დარაბა გამოაღო. ოთახში თბილი შუქი შემოიჭრა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ქითიმ. — რატომ დაბრუნდი ასე ადრე?

— დებმა მითხრეს, შეუძლოდ გახდაო. ვიფიქრე, ჯობია მივიდე და გავიგო, რა დაემართა-მეთქი.

ქითი სიბრაზისაგან წამოენთო.

— რას იტყოდი, ქოლერა რომ ყოფილიყო?

— ეს რომ ყოფილიყო, ამ დილას შინ ვერ დავბრუნდებოდი.

ქითი ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და აწეწილ თმაზე სავარცხელი გადაისვა. დროის მოგება უნდოდა. მერე დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— ამ დილას შეუძლოდ ვიგრძენი თავი და წინამძღვარმა იფიქრა, ჯობდა შინ დავბრუნებულიყავი. მაგრამ ახლა კარგად ვარ. ხვალ ჩვეულებრივ წავალ მონასტერში.

— რა დაგემართა?

— არ გითხრეს?

— არა. წინამძღვარმა მითხრა, თვითონ გეტყვისო.

უოლტერმა ჯიქურ შეხედა ქითის, რაც იშვიათი იყო. ახლა პროფესიული ინსტინქტი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე პირადი. ქითი შეყოყმანდა. შემდეგ თავს ძალა დაატანა და თვალი გაუსწორა.

— ბავშვს ველოდები, — მიუგო.

უკვე მიჩვეული იყო, ქმარი მის სიტყვებს დუმილით რომ ხვდებოდა, როცა წესით გრძნობიერება უნდა გამოეჩინა, მაგრამ დუმილი ასე გამანადგურებელი არასოდეს მოჩვენებია. უოლტერს სიტყვა არ დაუძრავს, არც შერხეულა, არც გაქვავებული სახე და არც მისი შავი თვალების გამომეტყველება მიანიშნებდა იმაზე, რომ ნათქვამი გაიგონა. ქითის უეცრად ტირილი მოუნდა. თუ ქმარს ცოლი უყვარს, ცოლსო კი — ქმარი, ასეთ დროს გრძნობამორეულნი ერთმანეთისაკენ მილტვიან. სიჩუმე აუტანელი იყო და ქითიმ დაარღვია დუმილი.

— არ ვიცი, რატომ ადრე არ ვიფიქრე ამაზე, სისულელე იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ...

— რამდენი ხანია, რაც... როდის ელოდები მშობიარობას?

უოლტერს ენა ებმოდა. ქითი მიხვდა, რომ მასაც გაშრობოდა პირი. რა ცუდი იყო, ქითის რომ ასე უცახცახებდა ტუჩები, როცა დაილაპარაკა; თუ უოლტერს გულის მაგივრად ქვა არ ედო, უნდა შებრალებოდა.

— მგონი, ორი თუ სამი თვე იქნება, რაც ასე ვარ.

— მამა მე ვარ?

ქითის ენა ჩაუვარდა. უოლტერის ხმაში მღელვარება იგრძნობოდა, რა საშინელი იყო ეს ცივი თავშეკავება, რომელიც გრძნობის უმცირეს გამოვლინებასაც კი ასეთ შემაძრწუნებელს ხდიდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ გაახსენდა უეცრად ის მოწყობილობა, ჰონგ-კონგში რომ აჩვენეს, რომლის თავზეც ოდნავ ირხეოდა ნემსი და რომელიც თურმე ათას კილომეტრზე მომხდარ მიწისძვრასაც აუწყებდა, ათასობით ადამიანი რომ გამოასალმა სიცოცხლეს. მან უოლტერს შეხედა, რომელიც საშინლად გაფითრებულიყო. ქითის ადრეც ორჯერ ენახა უოლტერი ასე გაფითრებული. უოლტერს თვალები დაეხარა და განზე იყურებოდა.

— მე ვარ?

ქითი ხელებს იმტვრევდა. იცოდა, თუ შეძლებდა ეთქვა, კიო, უოლტერისთვის ეს ყველაფერი იქნებოდა ამქვეყნად. ის დაუჯერებდა, რა თქმა უნდა, დაუჯერებდა, რადგან უნდოდა, რომ დაეჯერებინა, მერე კი აპატიებდა. ქითიმ იცოდა, რა ღრმა, რა ნაზი სიყვარული შეეძლო უოლტერს და რომ, მიუხედავად მთელი თავისი სიმორცხვისა, მზადაც იყო ეს გამოემჟღავნებინა. იცოდა, რომ უოლტერი გულღრძო არ იყო; აპატიებდა, თუ ქითი ამის საბაბს მისცემდა, საბაბს, რომელიც გულს მოულბობდა და მერე ყველაფერს შეუნდობდა. ქითის ჰქონდა მისი იმედი, იცოდა, არასოდეს წამოაყვედრიდა წარსულს. შეიძლება შეუბრალებელი, შეიძლება ცივი და აუტანელი იყო, მაგრამ სულმდაბალი და გულნამცეცა არასოდეს ყოფილა. რომ თქვას, კიო, ეს ყველაფერს შეცვლის.

ქითის საშინლად მოსწყურდა თანაგრძნობა. მოულოდნელმა ამბავმა, რომ ფეხმძიმედ იყო, უცნაური იმედებითა და სურვილებით აღავსო. უმწეოდ, მარტოდ და ტოლ-მეგობრებს მოწყვეტილად გრძნობდა თავს, ცოტა შეშინებულიც იყო. თუმცა დედა მაინცდამაინც არ უყვარდა, იმ დილას უეცრად მასთან ყოფნა მოუნდა. ქითის დახმარება და ნუგეშისცემა სჭირდებოდა. უოლტერი არ უყვარდა, იცოდა, რომ ვერც ვერასოდეს შეიყვარებდა, მაგრამ ამ წუთს მთელი არსებით სწყუროდა ქმარს გულში ჩაეკრა, მის მკერდზე მიედო თავი; მასთან ჩახუტებულს ბედნიერებისაგან ეტირა; უნდოდა უოლტერს ეკოცნა მისთვის და თვითონაც ქმრისთვის კისერზე შემოეჭდო მკლავები.

ატირდა. ბევრი ტყუილი უთქვამს და ადვილადაც უთქვამს. რას დააშავებდა ტყუილი, თუ სიკეთის მეტს არაფერს მოუტანდა? ტყუილი, ტყუილი, რა არის ტყუილი? რა ადვილია თქვას, კიო. დაინახა, როგორ ჩაელვარა უოლტერს თვალებში სითბო და მკლავები გამოუწოდა. არადა, ქითის არ შეეძლო ტყუილის თქმა; არ იცოდა, რატომ, უბრალოდ არ შეეძლო. ყველაფერმა, რაც ამ კვირების მანძილზე სიმწარე განაცდევინა, ჩარლის გულბოროტობამ, ქოლერამ, ამ ხალხმა, გარშემო რომ იხოცებოდნენ, მონაზვნებმა, საოცარია და, იმ სასაცილო ლოთმა, პატარა უედინგთონმაც კი ისე შეცვალა ქითი, საკუთარ თავს ველარ სცნობდა; ხომ ასე აღელვებული იყო, მაინც გრძნობდა, სულში თითქოს ვიღაც ჩასახლებოდა და შიშითა და გაკვირვებით უთვალყურებდა. მას სიმართლე უნდა ეთქვა. ტყუილს თითქოს ფასი დაჰკარგვოდა. ფიქრები ერეოდა. მოულოდნელად თვალწინ დაუდგა მკვდარი მათხოვარი ქომფაუნდის

კედლის ძირში. ნეტა რამ გაახსენა? არ ქვითინებდა, ცრემლები კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ფართოდ გახელილი თვალებიდან. ბოლოს, როგორც იქნა, უპასუხა უოლტერს კითხვაზე. მან ხომ ჰკითხა, ის იყო თუ არა ბავშვის მამა.

— არ ვიცი, — მიუგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უოლტერმა ჩაიცინა. ქითი ამ სიცილმა შეაძრწუნა.

— ცოტა არ იყოს, უცნაური მდგომარეობაა, არა?

ეს პასუხი მისთვის დამახასიათებელი იყო, ქითი მისგან მხოლოდ ასეთ პასუხს ელოდა, მაგრამ ამ ნათქვამმა გული ჩაწყვიტა. ნეტა მიხვდა თუ არა უოლტერი, რა ძნელი იყო მისთვის სიმართლის თქმა (ამავე დროს თვითონვე მიხვდა ქითი, რომ ძნელი კი არა, მხოლოდ გარდუვალი იყო) და პატივს სცემდა თუ არა ამის გამო. თავისი პასუხი — არ ვიცი, არ ვიციო, ჩაქუჩივით ურტყამდა თავში. ახლა შეუძლებელი იყო მისი უკან წაღება. ხელჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა. არ ლაპარაკობდნენ. საწოლთან მაგიდაზე სიფონი იდგა და უოლტერმა ჭიქით წყალი მოუტანა. ჭიქა ხელში ეჭირა, სანამ ქითი სვამდა. ქალმა შენიშნა, რა ნატიფი, ლამაზი ხელი ჰქონდა უოლტერს, წვრილი, გრძელი თითები, მაგრამ ახლა ძვალზე ტყავიღა გადაჰკვროდა; უოლტერს ხელი ოდნავ უცახცახებდა. მას შეეძლო სახეზე გაყინული გამომეტყველება ჰქონოდა, მაგრამ ხელმა უმტყუნა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემს ტირილს, — უთხრა. — ეს არაფერია, — უბრალოდ ცრემლები თავისთავად ჩამომდის.

მან წყალი დალია და უოლტერმა ჭიქა დადგა. მერე სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ჩუმად ამოიოხრა. ქითის ორჯერ თუ სამჯერ ადრეც გაეგონა მისი ასეთი ჩუმი ამოოხვრა და ყოველთვის ლახვარივით ხვდებოდა გულზე. ახლა, ქმარს რომ მისჩერებოდა — იგი გაშტერებული თვალებით ჩაფიქრებული ფანჯრიდან იყურებოდა, — განცვიფრებული დარჩა, რატომ ადრე ვერ შეამჩნია, რა საშინლად გახდა უოლტერი ამ ბოლო ხანებში. საფეთქლები ჩასცვენოდა და კანიდან ძვლები მოუჩანდა. ტანსაცმელი ნათხოვარივით ეკიდა ტანზე, თითქოს უფრო დიდი კაცისათვის შეეკერათ, ნამზეურის ქვეშ მომწვანო ფერი დაჰკრავდა. დაღლილი ჩანდა. ძალიან ბევრს მუშაობდა, ცოტა ეძინა და პირს არაფერს აკარებდა. საკუთარი მწუხარებისა და მღელვარების მიუხედავად, ქითიმ მისადმიც სიბრალული იგრძნო. რა გულსატკენი იყო იმის გაფიქრება, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა.

უოლტერმა შუბლზე მიიდო ხელი, თითქოს თავი სტკიოდა, და ქითიმ იგრძნო, რომ მასაც ჩაქუჩივით ურტყამდა თავში ეს სიტყვები: „არ ვიცი, არ ვიცი". უცნაური იყო, რომ ამ პირქუშ, ცივ და მორცხვ კაცს ასე უყვარდა ბავშვები — ბევრი მამაკაცისათვის საკუთარი შვილებიც არაფერს წარმოადგენს. გულაჩვილებულ მონაზვნებს არაერთხელ უთქვამთ ეს ქითისათვის. თუ ასეთი გრძნობიერი იყო იმ სასაცილო პატარა ჩინელი ბავშვების მიმართ, საკუთარ შვილთან როგორღა იქნებოდა? ქითი ტუჩებს იკვნეტდა, კვლავ არ ატირებულიყო.

უოლტერმა საათს დახედა.

— ქალაქში უნდა დავბრუნდე. დღეს ბევრი საქმე მაქვს... კარგად იქნები?

— კი, ჩემი დარდი ნუ გექნება.

— საღამოს ნუ დამელოდები, შეიძლება ძალიან გვიან დავბრუნდე, პოლკოვნიკ იუსთან შევჭამ რამეს.

— ძალიან კარგი.

უოლტერი წამოდგა.

— შენს ადგილას დღეს აღარაფერს გავაკეთებდი. მშვიდად იყავი. ხომ არ გინდა რამე, სანამ წავალ?

— არა, გმადლობთ. აღარაფერი მიშავს.

უოლტერი წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაც ვერ გადაეწყვიტა, მერე კი სწრაფად დასწვდა ქუდს და ოთახიდან გავიდა, ქითისთვის არც შეუხედავს. ქითიმ გაიგონა, როგორ გადაჭრა მან ქომფაუნდი. საშინელი სიმარტოვე იგრძნო. ახლა საჭირო იყო თავის შეკავება და გულამოსკვნით ატირდა.

## LVII

დახუთული ღამე იყო. ქითი ფანჯარასთან იჯდა და ჩინური ტაძრის ფანტასტიკურ სახურავებს გაჰყურებდა, ვარსკვლავების შუქზე იგი ბუნდოვნად ჩანდა. უოლტერი შინ რომ შემოვიდა, ქითის ტირილისაგან თვალები დასიებოდა, მაგრამ უკვე დამშვიდებულიყო. თუმცა საღელვებელი ბევრი ჰქონდა, თავს საოცრად მშვიდად გრძნობდა, ალბათ დაღლილი იყო და იმიტომ.

— მეგონა, დაწოლილი დამხვდებოდი, — უთხრა შემოსვლისას უოლტერმა.

— არ მეძინებოდა. ვიფიქრე, ნაკლებად დამცხება, თუ არ დავწვებიმეთქი. ჭამე რამე სადილზე?

— ყველაფერი, რაც მინდოდა.

უოლტერი გრძელ ოთახში ბოლთას სცემდა. ქითიმ შეამჩნია, რაღაცის თქმას რომ აპირებდა. იცოდა, ქმარი დაბნეული იყო და მშვიდად დაელოდა, სანამ ის ფიქრებს თავს მოუყრიდა. უოლტერმა ჯიქურ დაიწყო.

— დღეს სულ იმაზე ვფიქრობდი, რაც შენ მითხარი. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება აქედან წახვიდე. პოლკოვნიკ იუს ველაპარაკე და მხლებლებს გაგაყოლებს. შეგიძლია ამაც წაიყვანო. მშვიდობით იმგზავრებ.

— სად უნდა წავიდე?

— შეგიძლია დედაშენთან წახვიდე.

— როგორ ფიქრობ, ესიამოვნება ჩემი დანახვა?

უოლტერი ერთი წუთით გაჩუმდა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო.

— მაშინ შეგიძლია ჰონგ-კონგში წახვიდე.

— რა უნდა გავაკეთო იქ?

— მოვლა და ყურადღება დაგჭირდება. სამართლიანი არ იქნება, აქ დარჩენა მოგთხოვო.

ქითიმ თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა, ოღონდ მწარედ კი არა, მხიარულად. ქმარს შეხედა, კინაღამ გაიცინა.

— არ ვიცი, ასე რატომ გადარდებს ჩემი ჯანმრთელობა.

უოლტერი ფანჯარასთან მივიდა და შეჩერდა, ღამეს გახედა. მოწმენდილ ცაზე უთვალავი ვარსკვლავი კიაფობდა.

— ეს არაა შესაფერისი ადგილი შენს მდგომარეობაში მყოფი ქალისათვის.

ქითიმ უოლტერს შეხედა — თხელ ტანისამოსში ჩაცმული სიბნელეში თეთრად ჩანდა; მის დახვეწილ პროფილში რაღაც ავისმომასწავებელი იყო, მაგრამ საოცარია და, ქითის ახლა აღარ ეშინოდა მისი.

— აქ წამოსვლა რომ მაიძულე, ჩემი სიკვდილი გინდოდა? — ჰკითხა მოულოდნელად.

უოლტერმა ისე შეაგვიანა პასუხი, ქითიმ იფიქრა, წამიყრუაო.

— პირველად კი.

ქითის გააჟრჟოლა, უოლტერმა დღეს პირველად აღიარა თავისი განზრახვა. მაგრამ ქითი აღარ გაბრაზებულა ამაზე. თავისმა გრძნობამ თვითონვე გააკვირვა; ეს იყო ერთგვარი აღტაცება და ოდნავი მხიარულებაც. თვითონაც კარგად არ იცოდა რატომ, მაგრამ უეცრად ჩარლი თაუნსენდი გაახსენდა და საცოდავ სულელად ეჩვენა.

— დიდი გამბედაობა გქონია, — უპასუხა. — შენი სინდისიერების ამბავი რომ ვიცი, ნეტა ოდესმე თუ აპატიებდი შენს თავს, რომ მოვმკვდარიყავი.

— ხომ არ მომკვდარხარ. კიდევ უფრო გაიფურჩქნე.

— ასე კარგად არასოდეს მიგრძვნია თავი.

ქითის უეცრად სურვილი გაუჩნდა უოლტერის იუმორის გრძნობას მინდობოდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც გადაიტანეს ამ საშინელი ნგრევისა და განადგურების ჟამს, ღირდა კია, სიმრუშის იმ სასაცილო აქტისათვის რაიმე მნიშვნელობის მინიჭება? როცა ყოველ კუნჭულში სიკვდილი ჩასაფრებული იყო და ისე ცელავდა ადამიანებს, როგორც მებაღე თხრის კარტოფილს, განა სისულელე არ იყო ყურადღება მიგექცია იმისათვის, რა ბინძურად მოექცა ადამიანი თავის სხეულს. ნეტავ შეეძლოს გააგებინოს უოლტერს, რომ ჩარლი მისთვის უკვე აღარ არსებობს, რომ უჭირს კიდევაც მისი ნაკვთების გახსენება, რომ მთლიანად ამოიგდო გულიდან მისი სიყვარული! ხოლო სიყვარულის გულიდან ამოგდებასთან ერთად მასთან გატარებულმა რამდენიმე ინტიმურმა წუთმაც დაკარგა მნიშვნელობა. თავისი გული ისევ მას ეკუთვნოდა და რაც გასცა, აღარაფრად უღირდა. უნდოდა ეთქვა უოლტერისათვის: „მოიხედე, ნუთუ არ ფიქრობ, რომ უკვე დიდი ხანია სულელებივით ვიქცევით? ბავშვებივით ვიბუტებით. რატომ არ შეიძლება ვაკოცოთ ერთმანეთს და მეგობრები ვიყოთ? ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა ვიყოთ მეგობრები მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარლები არა ვართ."

უოლტერი გაუნძრევლად იდგა, ლამპის სინათლე შემაძრწუნებელს ხდიდა მის ფერმკრთალ, უშფოთველ სახეს. ქითი ვერ ენდო მას: უოლტერი გამყინავი სიმკაცრით მოუბრუნდებოდა, რაიმე რომ სწორად არ ეთქვა. ქითიმ ახლა უკვე იცოდა, რაოდენ მგრძნობიარე იყო უოლტერი, რომ ეს ცივი ირონია მისთვის ფარს წარმოადგენდა და სწრაფად ჩაიხურავდა გულს, თუ რაიმე ეწყინებოდა. წუთით გაალიზიანა მისმა უგუნურებამ. უოლტერს ყველაზე მეტად შელახული პატივმოყვარეობა აწუხებდა: ქითი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ასეთი ჭრილობა ყველაზე ძნელად შუშდება. უცნაურია, მამაკაცები რომ

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცოლების ერთგულებას; პირველად რომ დანებდა ჩარლის, ეგონა, სულ სხვა ქალად იგრძნობდა თავს. მაგრამ ზუსტად ისეთივე დარჩა, მხოლოდ ბედნიერება და ძალის მოზღვავება იგრძნო. ახლა ნატრობდა, ნეტა ეთქვა უოლტერისათვის, ბავშვი შენიაო; ტყუილს ქითისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, უოლტერს კი ამის თქმა დაამშვიდებდა. ბოლოს და ბოლოს ეს შეიძლება არც ყოფილიყო ტყუილი: რა სასაცილო იყო ის რაღაც, რამაც ხელი შეუშალა გაურკვევლობით ესარგებლა. რა სულელები არიან კაცები! რა პატარაა მათი წილი ადამიანის ჩასახვაში; ქალმა ტანჯვით უნდა ატაროს ბავშვი მრავალი თვის მანძილზე და მერე ტკივილებით შვას, მამაკაცი კი წუთიერი სიახლოვის გამო ასეთ დიდ უფლებებს აცხადებს. რატომ უნდა მოქმედებდეს ეს მამაკაცის გრძნობებზე ბავშვის მიმართ? შემდეგ ქითის ფიქრი ბავშვს გადასწვდა, რომელიც მუცლით უნდა ეტარებინა; მასზე ფიქრისას არც ძლიერი გრძნობა დაუფლებია და არც დედობრივი სიყვარული, უბრალოდ გულგარეშე ცნობისმოყვარეობას გრძნობდა.

— მე მგონი, უმჯობესია იფიქრო ამაზე, — დაარღვია ხანგრძლივი დუმილი უოლტერმა.

— რაზე?

უოლტერი ოდნავ მობრუნდა, თითქოს კითხვამ გააკვირვაო.

— როდის გინდა წასვლა.

— კი მაგრამ, მე არ მინდა წასვლა.

— რატომ არ გინდა?

— მსიამოვნებს მონასტერში მუშაობა. მგონია, ამით ვიღაცას სასარგებლო საქმეს ვუკეთებ. მირჩევნია იმდენ ხანს დავრჩე, რამდენსაც შენ დარჩები.

— უნდა გითხრა, რომ შენს ახლანდელ მდგომარეობაში სენის შეყრის უფრო მეტი საფრთხე გემუქრება.

— მომწონს, რომ ასეთი ყურადღებიანი ხარ, — დაცინვით გაიღიმა ქითიმ.

— ჩემი გულისთვის ხომ არ რჩები?

ქითი შეყოყმანდა. უოლტერმა არც იცოდა, რომ ყველაზე ძლიერი და ყველაზე მოულოდნელი გრძნობა, რაც მან ქალს აღუძრა, სიბრალული იყო.

— არა. შენ არ გიყვარვარ. ხშირად ვფიქრობ კიდეც, თავი მოგაბეზრე.

— არ მეგონა, თუ რამდენიმე დაღვრემილი მონაზვნისა და ჭუჭყიანი ჩინელი ბავშვებისათვის თავს გასწირავდი.

ქითის ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— მე მგონი, უსამართლოდ გეზიზღები იმის გამო, რომ ჩემში შეცდი. რა ჩემი ბრალია, შენ თუ სიბრიყვე გამოიჩინე.

— თუ დარჩენა გადაწყვიტე, რა თქმა უნდა, შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც გინდა.

— ვწუხვარ, რომ დიდსულოვნების გამოჩენის საშუალებას არ გაძლევ, — ქითის საოცრად უჭირდა უოლტერთან დინჯად ლაპარაკი. — სხვათა შორის, შენ სწორი ხარ, ობლების გულისათვის არ ვრჩები: თვითონვე იცი, რომ ქვეყნის გულზე არავისთან მიმესვლება. არავინ მეგულება, ვისაც თავს არ მოვაბეზრებდი. არავინ მეგულება, ვისაც ოდნავ მაინც ადარდებდეს, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი.

უოლტერმა შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ სიბრაზით არა.

— ყველაფერი გავაფუჭეთ, არა? — თქვა მან.

— კიდევ გინდა გამშორდე? ჩემთვის უკვე სულერთია.

— უნდა იცოდე, რაკი აქ ჩამოგიყვანე, მაშასადამე, შეურაცხყოფაც დავივიწყე.

—არ ვიცოდი. არ შემისწავლია ღალატის საკითხი. რას ამბობ, აქედან რომ წავალთ? ისევ ერთად ვიცხოვრებთ?

— როგორ გგონია, არ ჯობია მომავალი თავის ნებაზე მივუშვათ?

უოლტერის ხმაში უდიდესი დაღლილობა იგრძნობოდა.

## LVIII

ორი თუ სამი დღის შემდეგ უედინგთონმა ქითის მონასტერში შეუარა (ქითი მოუსვენრობამ აიძულა მაშინვე განეახლებინა მუშაობა) და დაპირებული ჩაის დასალევად თავის საყვარელთან წაიყვანა. ქითის უედინგთონის სახლში არაერთხელ ესადილა. ეს იყო ოთხკუთხა პრეტენზიული თეთრი შენობა, როგორსაც საბაჟო თავისი მოხელეებისათვის აშენებს მთელ ჩინეთში; სასადილო ოთახი, სადაც საჭმელს მიირთმევდნენ, სასტუმრო ოთახი, სადაც ისხდნენ ხოლმე, მდიდრული ავეჯით იყო გაწყობილი. ისინი ნახევრად დაწესებულებებს და ნახევრად სასტუმროს ჰგავდნენ, საცხოვრებელ სახლთან საერთო არაფერი ჰქონდათ. მაშინვე მიხვდებოდით, რომ ეს სახლები მხოლოდ და მხოლოდ დროებითი ადგილსამყოფელი იყო მათი მორიგი ბინადართათვის. აზრადაც არ მოგივიდოდათ, რომ ზედა სართულზე შენიღბულად სუფევდა იდუმალება და რომანტიკა. ისინი კიბეს აუყვნენ და უედინგთონმა კარი გააღო. ქითი კედლებშეთეთრებულ დიდ, ცარიელ ოთახში შევიდა; კედლებზე სხვადასხვა კალიგრაფიით შესრულებული გრაგნილები ეკიდა. შავი ხის მდიდრულად მოჩუქურთმებულ ოთხკუთხა მაგიდასთან ასეთსავე სწორზურგიან სავარძელში მანჩუ იჯდა. ქითისა და უედინგთონის შემოსვლისას ფეხზე წამოდგა, მაგრამ წინ ნაბიჯი არ გადმოუდგამს.

— აი ისიც, — თქვა უედინგთონმა და ჩინურად რაღაც დაუმატა.

ქითიმ ქალს ხელი ჩამოართვა. მოქარგულ კაბაში ქალი თხელი და უფრო მაღალი ჩანდა, ვიდრე ქითი სამხრეთელებისგან მოელოდა. ქალს ღია მწვანე აბრეშუმის მოსასხამი ეცვა გამოყვანილი სახელოებით, რომლებიც მაჯებამდე სწვდებოდა, გულმოდგინედ დავარცხნილ შავ თმაზე კი მანჩუს ქალების თავსაბურავი ეხურა. სახეზე უმარილი არ დაეშურებინა, ლოყებზე კი თვალებიდან ტუჩებამდე უხვად წაესვა ფერი; წვრილი გამოქნილი წარბები შავად გადაჰკალმოდა, ტუჩები კი ალისფრად ჰქონდა შეღებილი. ამ ნიღაბზე ნაკვერცხლებივით ელავდა ოდნავ ელამი, დიდრონი შავი თვალები. ის კერპს უფრო ჰგავდა ვიდრე ქალს, ნელი, მტკიცე მოძრაობა ჰქონდა. ქითის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა ,ცოტა მორცხვი, მაგრამ ძალზე ცნობისმოყვარე უნდა იყოსო. ქითის ორჯერ თუ სამჯერ დაუკრა თავი, სანამ უედინგთონი მასზე ლაპარაკობდა. ქითიმ შენიშნა, რომ ქალს საოცრად გრძელი, ძალზე თხელი სპილოსძვლისფერი ხელები ჰქონდა, რომლებსაც ლამაზი შეღებილი ფრჩხილები ამშვენებდა. ქითიმ გაიფიქრა, ასეთი ნაზი და ნატიფი ხელები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. ისინი ძველისძველ ჩამომავლობაზე მეტყველებდნენ.

ქალმა დაილაპარაკა. მისი ხმა ხეხილის ბაღში ჩიტების ჟღურტულს გაგონებდათ. უედინგთონმა ქითის უთარგმნა, რა მოხარულია თურმე, ქითის ნახვის და ეკითხება ,რამდენი წლისაა და რამდენი შვილი ჰყავს. ისინი ოთხკუთხა მაგიდასთან სწორზურგიან სკამებზე დასხდნენ და ბიჭმა ფინჯნებით ჩაი შემოიტანა, რომელსაც ჟასმინის სურნელი ასდიოდა. მანჩუმ ქალმა ქითის მწვანე თუნუქის კოლოფით „სამი ციხის“ სიგარეტები შესთავაზა. მაგიდისა და სკამების გარდა ოთახში ავეჯი ცოტა იყო. იდგა განიერი ხმელი საწოლი, რომელზეც მოქარგული ბალიში იდო და სანდალოზის ხის ორი სკივრი.

— რას აკეთებს მთელი დღე? — იკითხა ქითიმ.

— ცოტას ხატავს და ზოგჯერ ლექსებს წერს. ძირითადად კი ისე ზის. თრიაქს ეწევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ზომიერად, ჩემს ერთ-ერთ მოვალეობას ხომ ის შეადგენს, თრიაქის შემოტანას ხელი შევუშალო.

— თქვენც ეწევით? — ჰკითხა ქითიმ.

— იშვიათად. სიმართლე რომ გითხრათ, ვისკი ბევრად მირჩევნია.

ოთახში ოდნავ მომწარო სუნი იდგა; მაგრამ ეს არ იყო უსიამო სუნი. რაღაც თავისებური და ეგზოტიკური სურნელი დაჰკრავდა.

— უთხარით, ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ველაპარაკები. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გვექნებოდა ერთმანეთისათვის სათქმელი.

როცა ეს უთარგმნეს, მანჩუმ სწრაფი მზერა შეავლო ქითის და თითქოს ღიმილის მაგვარი რაღაც გამოუკრთა თვალებში. გაუნძრევლად, თავდაჯერებით მჯდომარეს მშვენიერი სამოსი შთამბეჭდავს ხდიდა; ფერუმარილით შეღებილი სახიდან ფრთხილი, გამოუცნობი თვალები იმზირებოდნენ. ქალი ნახატივით არარეალური და მაინც ისეთი კოხტა და მოხდენილი იყო, ქითი დაატყვევა და მოაჯადოვა. ადრე ჩინეთს, სადაც ის ბედმა გადმოისროლა, ზერელედ და აგდებით უცქერდა. ეს ქვეყანა მის გემოვნებას არ ესადაგებოდა. ახლა კი უეცრად რაღაც შორეული და იდუმალი შეიგრძნო. ეს იყო ბნელითა და იდუმალებით მოცული ძველთაძველი აღმოსავლეთი. დასავლეთის რწმენა და იდეალები უსუსური ჩანდა იმ იდეალებსა და რწმუნებასთან შედარებით, ამ დახვეწილ არსებას რომ გააჩნდა. აქ სულ სხვა სამყარო იყო, სულ სხვა ცხოვრება. ქითი გრძნობდა, რომ ამ შეღებილი, ელამი თვალებით ფრთხილად მზირალი კერპის ხილვა, ცოტა არ იყოს, უგუნურს ხდიდა ყოველდღიური ცხოვრების ვნებებსა და ტკივილებს, ის რომ განიცდიდა. ეს შეფერადებული ნიღაბი თითქოს რაღაც მდიდარი, ღრმა და მნიშვნელოვანი გამოცდილების საიდუმლოს ფარავდა: ამ გრძელი, ნაზი ხელების თლილ, მოგრძო თითებს გამოცანათა გასაღები ეპყრათ.

— რაზე ფიქრობს მთელი დღე? — იკითხა ქითიმ.

— არაფერზე, — გაეღიმა უედინგთონს.

— მშვენიერი ქალია. უთხარით, რომ ასეთი ლამაზი ხელები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მიკვირს, რით მოაწონეთ თავი.

უედინგთონმა ღიმილით თარგმნა კითხვა.

— ამბობს, რომ მე კარგი ვარ.

— თითქოს ქალს ოდესმე ჰყვარებოდეს კაცი მისი ღირსებების გამო, — იხუმრა ქითიმ.

მანჩუმ მხოლოდ ერთხელ გაიცინა. ეს იყო მაშინ, როცა ქითიმ დუმილის დასარღვევად ნეფრიტის სამაჯურით აღფრთოვანება გამოთქვა, ქალს რომ

ექეთა. ქალმა სამაჯური მოიხსნა და ქითი შეეცადა მაჯაზე წამოეცვა. ხელები თუმცა საკმაოდ პატარა ჰქონდა, სამაჯურში ხელი ვერ გაატია. მაშინ მანჩუმ ბავშვურად გადაიკისკისა. მან რაღაც უთხრა უედინგთონს და ამის დაუძახა. ერთი წუთის შემდეგ ამამ მანჩუს მშვენიერი ფეხსაცმელი შემოიტანა.

— უნდა ეს ფეხსაცმელები მოგცეთ, თუ ატარებთ, — უთხრა უედინგთონმა. — საძინებელი ოთახის ფოსტლებად გამოდგება.

— ძალიან კარგად მაქვს, — ველარ დაფარა ქითიმ კმაყოფილება.

მაგრამ უედინგთონის სახეზე ონავრული ღიმილი შენიშნა..

— თვითონ დიდი აქვს? — ჰკითხა მაშინვე.

— უზარმაზარი.

ქითიმ გაიცინა და, როცა უედინგთონმა თარგმნა, მანჩუსა და ამასაც გაეცინა.

ცოტა ხნის შემდეგ ქითი და უედინგთონი ერთად ადიოდნენ გორაზე. ქითი მეგობრული ღიმილით მიუბრუნდა.

— ჩემთვის არ გითქვამთ, ასე თუ გიყვართ.

— რატომ გგონიათ, რომ მიყვარს?

— თქვენს თვალებში ამოვიკითხე. უცნაურია, ეს უფრო ზმანების ან ოცნების სიყვარულს ჰგავს. კაცებისას ვერაფერს გაიგებ; მეგონა, სხვებისაგან არაფრით განსხვავდებოდით, ახლა კი ვგრძნობ, თურმე საერთოდ არ გიცნობდით.

ბუნგალოს რომ მიაღწიეს, უედინგთონმა მოულოდნელად ჰკითხა:

— რატომ მოისურვეთ მისი ნახვა?

ქითი წამით შეყოყმანდა, სანამ უპასუხებდა.

— რაღაცას ვეძებ, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რას. ის კი ვიცი, რომ ამის გაგება ჩემთვის ბევრს ნიშნავს და ყველაფერს შეცვლის. იქნებ მონაზვნებმა იციან; მათთან რომ ვარ, ვგრძნობ, რაღაც საიდუმლოს მალავენ, რომელსაც არასოდეს გამანდობენ. არ ვიცი, რატომ ვიფიქრე, თუ ამ მანჩუს ქალს ვნახავდი, მივხვდებოდი, რასაც ვეძებ. იქნებ ეთქვა კიდეც, რომ შეძლებოდა.

— რატომ გგონიათ, რომ იცის?

ქითიმ ცერად გახედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— თქვენ იცით? — ჰკითხა მერე.

უედინგთონმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— ტაო[1] ზოგიერთისთვის ეს გზა თრიაქია, ზოგისთვის — ღმერთი, ზოგისთვის — ვისკი, ზოგისთვის კი — სიყვარული. ეს ერთი და იგივე გზაა და არსაითკენ არ მიგვყავართ.

## LIX

ქითი ისევ მონასტრის მყუდრო სამყაროს დაუბრუნდა, თუმცა დილაობით თავს მთლად კარგად ვერ გრძნობდა, უქეიფობას მაინც თავს არ უდებდა.

1 ტაო (ჩინ.) — გზა; იგულისხმება ტაოიზმი (ჩვენს ტრადიციაში უფრო ხშირია დაოსიზმი) — ჩინეთში გავრცელებული სამი რელიგიიდან (კონფუციანელობასა და ბუდიზმთან ერთად) ერთ-ერთი. ტაოიზმის წეს-ჩვეულებანი ემყარება ცრურწმენებს, მაგიას, სულების გრძნებით შეკვრას.

უკვირდა, მონაზვნები რომ ასეთ გულისხმიერებას იჩენდნენ მისდამი: დები,
რომლებიც დერეფანში შეხვედრისას მხოლოდ „დილა მშვიდობისაო“ ეუბნე-
ბოდნენ, ახლა რაიმე მიზეზს მოიგონებდნენ ხოლმე და მის ოთახში შემოდი-
ოდნენ, ესაუბრებოდნენ და თან კეთილი, ბავშვური ღიმილით შეჰყურებდნენ.
და სენ-ჟოზეფი წარამარა უყვებოდა, როგორ ეუბნებოდა თავის [illegible] წილო
დღეებში: „საინტერესოა“, ან: „არ გამიკვირდებოდა“, მერე კი, როცა ქითის
გული წაუვიდა: „საეჭვო უკვე არაფერია, ისე აშკარაა“, რაც ქითისათვის
ზოგჯერ დამღლელიც იყო. უყვებოდა ქითის თავის რძლის მშობიარობის
ამბებს, რასაც ქითი, ცოცხალი იუმორის გრძნობა რომ არ ჰქონოდა, კიდევაც
უნდა შეეშფოთებინა. და სენ-ჟოზეფი საამოდ და მომხიბლავად უხამებდა
ალზრდით შეძენილ რეალისტურ შეხედულებებს (მამამისის ფერმის მინ-
დვრებში მდინარე მიიკლაკნებოდა, მის ნაპირებზე კი ალვის ხეები ხარობდა,
სიოს ოდნავ დაქროლვაზე რომ ირხეოდნენ) რელიგიურ საგნებს. ერთხელ,
მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ერეტიკოსს არ შეიძლება რაიმე სცოდნოდა
ასეთ საკითხებზე, ქითის ხარებაზე უამბო.

— ცრემლების გარეშე ვერ წამიკითხავს საღვთო წერილის ეს სტრიქო-
ნები. — თქვა მან. — არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან უცნაური გრძნობა მე-
უფლება.

მერე კი ფრანგულად, რაც ქითის უცხო და საკმაოდ ცივი ეჩვენა, წა-
იკითხა:

— „და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მომადლებუ-
ლო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“.[1]

დაბადების საიდუმლომ ისე მოირბინა მონასტრის ყველა კუთხე-კუნჭუ-
ლი, როგორც სიო გაინავარდებს ხოლმე ხეხილის თეთრ ყვავილებში. ქითის
ფეხმძიმობამ შეაშფოთა და ააღელვა ეს უშვილძირო ქალები. ახლა
ქითი ცოტა კიდევაც აშინებდათ და კიდევაც ხიბლავდათ. ამ ამბის ფიზიკურ
მხარეს ისინი სალი თვალით უყურებდნენ, რადგან თვითონ გლეხებისა და
მეთევზეების შვილები იყვნენ, მაგრამ მათ ბავშვურ გულში შიში დაბუდე-
ბულიყო, აშფოთებდათ იმ ტვირთზე ფიქრი, რაც ქითის ეკისრა, ამავე დროს
ბედნიერები იყვნენ და საოცრად ღირსეულად ეჭირათ თავი. დაია სენ-
ჟოზეფმა უთხრა, ისინი ყველანი თქვენთვის ლოცულობენო და რომ დაია
სენ-მარტინმა თქვა, რა საწყენია, ქითი კათოლიკე რომ არ არისო; მაგრამ
წინამძღვარმა დაარწმუნა —უთხრა, რომ შეიძლება იყო კარგი ქალი —
une brave femme[2], — მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტი ხარ, le bon
Dieu[3] როგორმე თვითონ მოაგვარებს ამასო.

ქითის აღელვებდა და თან ართობდა მის მიერ გამოწვეული ინტერესი,
მაგრამ უზომოდ უკვირდა, რომ თვით წინამძღვარიც კი, ეს მკაცრი და ასკეტი
ქალი, უჩვეულო თავაზიანობით ეპყრობოდა. ის ყოველთვის კარგად ექცეოდა
ქითის, მაგრამ თავი შორს ეჭირა, ახლა კი თითქმის დედობრივ სინაზეს იჩენ-
და. ხმა ალერსიანი გაუხდა, თვალები კი ისეთი მოულოდნელი ხალისით

---

1 ლუკას სახარება; 1:28. ბიბლიური ლეგენდის თანახმად, ასე აუწყა ანგელოზმა ქალ-
წულ მარიამს, რომ ის იესო ქრისტეს შობდა.

2 კარგი ქალი (ფრ.).

3 კეთილი ღმერთი (ფრ.).



საქ. სსრ ... ბიბლიოთეკა

უმზერდნენ, თითქოს ქითი ბავშვი ყოფილიყო და რაღაც ჰკვიანური და თავშესაქცევი რამ ჩაედინაო. ეს საოცრად ამაღელვებელი იყო. წინამძღვრის სული წყნარ, თავისი პირქუში სიდიადით შიშისმომგვრელ დიდებულ ზღვას ჰგავდა, რომელიც უეცრად გამონათებულმა მზის სხივმა ალერსიანი და მხიარული გახადა. ახლა საღამოობით იგი ხშირად მოდიოდა ხოლმე ქითისთან.

— ყურადღებით უნდა ვიყო, რომ არ გადაიღალო, — mon enfant, — ეტყოდა ხოლმე და თან შემოსვლის მიზეზს მოიგონებდა, — თორემ ექიმი ფეინი არ მაპატიებს. ოჰ, ეს ბრიტანული თავშეკავება! უზომოდ გახარებულია, მაგრამ როცა ამაზე ელაპარაკები, ფითრდება.

მან ქითის ხელი აიღო და სიყვარულით მოუთათუნა.

— ექიმმა ფეინმა მითხრა, თურმე უნდოდა აქედან წასულიყავით, მაგრამ უარი გითქვამთ, ჩვენი დატოვება არ გინდოდათ, ძალიან კეთილი ხართ, ჩემო ძვირფასო შვილო, მინდა იცოდეთ, რაოდენ მადლიერნი ვართ თქვენი დახმარებისათვის, თუმცა, მგონი, არც ექიმის დატოვება გსურდათ. მით უკეთესი, რადგან თქვენი ადგილი მის გვერდითაა, თქვენ მას სჭირდებით. აჰ, ვერ წარმომიდგენია, რა გვეშველებოდა, ეს საყვარელი კაცი რომ არ გვყოლოდა.

— მიხარია,რომ რაღაცით მაინც დაგეხმარათ, — უთხრა ქითიმ.

— მთელი არსებით უნდა გიყვარდეთ, ჩემო ძვირფასო. ის წმინდანია.

ქითიმ გაუღიმა, გულიდან კი ოხვრა აღმოხდა. ახლა მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეეძლო უოლტერისათვის და ვერც კი მოეფიქრებინა, როგორ და რა გზით. უნდოდა უოლტერს ეპატიებინა მისთვის, უკვე არა ქითის, არამედ საკუთარი თავის გამო; ქითი გრძნობდა, რომ მხოლოდ ეს დაუბრუნებდა უოლტერს სულიერ სიმშვიდეს. აზრი არ ჰქონდა პატიება ეთხოვა მისთვის,რადგან თუ უოლტერს ეჭვი შეეპარებოდა, ქითის ეს მისი გულისთვის უფრო უნდოდა, ვიდრე თავისთვის, ჯიუტი პატივმოყვარეობა აიძულებდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უარი ეთქვა (უცნაური იყო, რომ უოლტერის პატივმოყვარეობა უკვე აღარ აღიზიანებდა ქითის, ბუნებრივი ეჩვენებოდა და ამიტომ კიდევ უფრო ებრალებოდა); ერთადერთი იმედიღა რჩებოდა, რომ რაიმე მოულოდნელი შემთხვევა სიფხიზლეს მოუდუნებდა. ქითიმ იცოდა, უოლტერი სიხარულით შეეგებებოდა რაიმე გრძნობის მოზღვავებას, სიბრაზით გამოწვეულ ტკივილებს რომ დაუამებდა, მაგრამ როცა ეს მოხდებოდა, თავისი პათეტიკური უგნურობის წყალობით მთელი არსებით წინ აღუდგებოდა მას.

განა ცოდვა არ არის, ადამიანი ასე ცოტა ხანს ცხოვრობდე ამ ათასგვარი უბედურებით სავსე წუთისოფელში და ასე გაიწამო თავი?

## LX

წინამძღვარი სულ სამჯერ თუ ოთხჯერ ესაუბრა ქითის, ერთხელ თუ ორჯერ კი სულ რაღაც ათიოდე წუთით, მაგრამ მაინც ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ქითიზე. მისი სული მოგაგონებდათ ისეთ ქვეყანას, რომელიც ერთი გაცნობით დიადი, მაგრამ არასტუმართმოყვარე ჩანს, მაგრამ იქ მალე აღმოაჩენთ დიდებული მთების კალთებზე შეფენილ ხეხილის ბაღებით გარშემორტყმულ მხიარულ პატარა სოფლებს და ლამაზ მდინარეებს, მდორედ რომ

მოედინებიან მწვანედ აქოჩრილ ველ-მინდვრებში. მართალია, ეს მყუდრო სურათები გაკვირვებთ და გამშვიდებთ, მაგრამ საკმარისი არაა იმისთვის, თავი შინაურულად იგრძნო ამ მოწითალო-მოყავისფრო მთებისა და ჩარებს სანავარდო სივრცეთა ქვეყანაში. შეუძლებელი იყო წინამძღვართან დამეგობრება; მას ჰქონდა რაღაც უსახო, ინდივიდუალობას მოკლებული [illegible] ქითი სხვა მონაზვნებსაც ამჩნევდა, თვით კეთილ, ლაქლაქა და [illegible]საც კი, ოღონდაც წინამძღვარსა და შენ შორის ეს თითქმის ხელშესახებ ზღუდედ აღმართულიყო. ამიტომაც რაღაც უცნაური გრძნობა გეუფლებოდა, გამყინავი და შიშისმომგვრელი, რომ იგი იმავე მიწაზე დადის, რაზეც შენ, იზიარებს მიწიერ ამბებს და მაინც ისეთ მწვერვალზე ცხოვრობს, რომელსაც შენ ვერასოდეს მიაღწევ. მან ერთხელ უთხრა ქითის:

— საკმარისი არ არის, რელიგიის მსახური გამუდმებით ლოცვაში ატარებდეს დროს; თავად იყოს მლოცველის განსახიერება.

თუმცა მისი საუბრები სულ რელიგიას შეეხებოდა, ქითი გრძნობდა, რომ ეს ბუნებრივი იყო მისთვის და სულაც არ ცდილობდა ერეტიკოსზე ზემოქმედება მოეხდინა. კიდევაც უკვირდა, ქველმოქმედების ასეთი ღრმა გრძნობით გამსჭვალული წინამძღვარი როგორ კმაყოფილდებოდა, ქითი რომ ისევ უმეცარ ცოდვილად რჩებოდა.

ერთ საღამოს ისინი ერთად ისხდნენ. დღე მიიწურა და ნაზი, საამო, სევდიანი ბინდბუნდი იდგა. წინამძღვარი ძალზე დაღლილი ჩანდა. ტრაგიკული სახე შეშლილი და ფერწასული ჰქონდა. მშვენიერ მუქ თვალებში ცეცხლი ჩაჰქრობოდა. დაღლილობამ ალბათ გულახდილობის განწყობაზე დააყენა, რაც იშვიათად სჩვეოდა.

— დღევანდელი დღე ღირსსახსოვარია ჩემთვის, შვილო ჩემო, — დაარღვია მან კარგა ხნის მერე სიჩუმე, — რადგან დღეს არის წლისთავი იმ დღისა, როცა საბოლოოდ გადავწყვიტე რელიგიის მსახური გავმხდარიყავი. ორი წელი ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ვიტანჯებოდი, მეშინოდა ამ მოწოდებისა, ვშიშობდი, საზოგადოების აზრს უკან არ დავებრუნებინე. მაგრამ იმ დილას, როცა ვეზიარე, ფიცი დავდე, რომ დაღამებამდე განვუცხადებდი ჩემს სურვილს ძვირფას დედას. წმინდა ზიარება რომ მივიღე, მამაზეციერს შევევედრე, სულის სიმშვიდე მომანიჭე-მეთქი: მხოლოდ მაშინ მოიპოვებ ამას, როცა უკვე აღარ გენდომება, თითქოს ასეთი პასუხი მომივიდა.

წინამძღვარი წარსულის მოგონებებმა გაიტაცა.

— იმ დღეს ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი, მადამ დე ვერნო, კარმელიტების მონასტერში[1] შედგა მონაზვნად, ისე რომ ნათესავებისათვის არაფერი უთქვამს. იცოდა, რომ ისინი მისი ამ ნაბიჯის წინააღმდეგნი იქნებოდნენ, მაგრამ ქვრივი იყო და ამიტომ ფიქრობდა, უფლება მაქვს, როგორც მინდა, ისე მოვიქცეო. ერთ-ერთი ჩემი ბიძაშვილი მასთან გამოსამშვიდობებლად წავიდა და საღამოსღა დაბრუნდა. ძალზე აღელვებული იყო. მე დედისთვის ჯერ არაფერი მეთქვა, ვთრთოდი როცა გავიფიქრებდი, რომ ჩემი განზრახვა უნდა მეუწყებინა. და მაინც მსურდა აღმესრულებინა წმინდა ზიარების დროს დადებული აღთქმა. ათასნაირ კითხვას ვაძლევდი ჩემს ბიძაშვილს. დედაჩემს, რომელიც გობელე-

---

1 კარმელი — მთა პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილში. XII ს. მეორე ნახევარში აქ ჩამოყალიბდა კარმელიტი ბერების ორდენი; ქალთა ორდენი დაარსდა 1452 წ.

ნის ქსოვით იყო გართული, სიტყვა არ დაუძრავს. ჩემს თავს ვუფიცხარი, თუ მინდა დღეს ვუთხრა, ერთი წუთიც არ უნდა დავკარგო-მეთქი.

— საოცარია, გუშინდელივით მახსოვს ეს სცენა. წითელ სუფრაგადაფარებულ მაგიდას გარშემო ვუსხედით და მწვანეაბაჟურიანი ლამპის შუქზე ვხელსაქმობდით. ჩემი ორი ბიძაშვილი ჩვენთან იყო სტუმრად. ყველანი სასტუმრო ოთახის სკამებზე გადასაკრავ გობელენებს ვქსოვდით. ეს სკამები ლუი XIV დროს იყო ნაყიდი და მას აქეთ გადასაკრავები არ გამოუცვლიათ, ძველი გობელენები კი ისე გაცვდა და გახუნდა, დედა კიდეც ამბობდა, სირცხვილიაო.

— შევეცადე ლაპარაკი წამომეწყო, მაგრამ ტუჩები არ მემორჩილებოდა, მერე კი, რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, დედამ უეცრად მითხრა: „ნამდვილად არ მესმის შენი მეგობრის საქციელი. ისე როგორ წავიდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმათთვის, ვისთვისაც ის ძვირფასი იყო. ასეთი თეატრალური საქციელი ჩემს გემოვნებას შეურაცხყოფს. ზრდილმა ქალმა ისეთი არაფერი არ უნდა ჩაიდინოს, ხალხი აალაპარაკოს. მე მგონი, თუ ოდესმე დაგვამწუხრებ და მიგვატოვებ, ისე არ გაიქცევი, თითქოს დანაშაულს ჩადიოდე."

ახლა კი შეიძლებოდა თქმა, მაგრამ თავს ვერ მოვერიე და ესლა მოვახერხე: „ოჰ ,დამშვიდდით, **maman**, საამისოდ ძალა არ მეყოფოდა".

— დედამ არაფერი მიპასუხა, მე კი ვინანე, რომ ვერ გავბედე სიმართლე მეთქვა. თითქოს ჩამესმოდა ღმერთის სიტყვები წმ. პეტრესადმი: „გიყუარ მეა უფროჲს ამათსა"[1] ოჰ, რა სისუსტე, რა უმადურობა იყო ჩემი მხრიდან! მიყვარდა მყუდროება, ტკბილი ცხოვრება, ოჯახი და ჩემი გართობები. ამ მწარე ფიქრებში ვიყავი, როცა ცოტა ხნის შემდეგ დედამ მითხრა: „მაინც, ჩემო ოდეტ, არა მგონია, ისე მოვკვდე, სამუდამოდ დასამახსოვრებელი რამ არ გააკეთო". მე ისევ ფიქრებში ვიყავი წასული შიშატანილი, ჩემი ბიძაშვილები კი, რომელთაც ჩემი გულისცემა არ ესმოდათ, მშვიდად მუშაობდნენ, როცა დედამ მოულოდნელად ხელსაქმე გადადო, ყურადღებით შემომხედა და მითხრა: „აჰ, ძვირფასო შვილო, ღრმად ვარ დარწმუნებული, ბოლოს მაინც მონაზვნად აღიკვეცები".

— მართლა ამბობთ ამას, საყვარელო დედა? — მივუგე. — თქვენ ფარდა ახადეთ ჩემს სურვილსა და სანუკვარ ოცნებას.

— **Mais oui**[2], — წამოიძახეს ჩემმა ბიძაშვილებმა, ისე რომ სიტყვის დამთავრებაც არ მაცალეს,— ორი წელია ოდეტი სხვაზე არაფერზე ფიქრობს. მაგრამ თქვენ ნებას არ მისცემთ, **ma tante**[3], არ უნდა მისცეთ ნება.

— რა უფლება მაქვს, ძვირფასო შვილებო, უარი ვუთხრა, — თქვა დედაჩემმა, — თუ ასეთია ღვთის ნება?

— მაშინ ჩემმა ბიძაშვილებმა, საუბარი ხუმრობაში რომ გადაეტანათ, მკითხეს, რას ვუპირებდი ჩემს მცირე ქონებას, და მხიარულად კამათი შექმნეს, ვინ რას წაიღებდა. მაგრამ ეს მხიარულება ხანმოკლე გამოდგა, მალე

---

1 ბიბლიური ლეგენდის მიხედვით მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე თავის მოწაფეებს გამოეცხადა და სამგზის ჰკითხა პეტრე მოციქულს, გიყვარვარ თუ არაო. (იოანეს სახარება, 21:15—17).

2 რა თქმა უნდა (ფრ.).

3 დეიდა, ან მამიდა, ან ძალო (ფრ.).

ყველა ავტირდით. შემდეგ გავიგონეთ, რომ მამაჩემი კიბეზე ამოდიოდა.

წინამძღვარი გაჩუმდა და ამოიოხრა.

— ეს ძალიან მძიმე იყო მამაჩემისთვის. მე მისი ერთადერთი ასული ვიყავი, კაცებს კი ხშირად ქალიშვილები უფრო მეტად უყვართ, ვიდრე ვაჟები.

— რა უბედურებაა, ადამიანს რომ გული აქვს, — თქვა [illegible] ღიმილით.

— რა დიდი ბედნიერებაა, როცა შენს გულს იესო ქრისტეს სიყვარულს შესწირავ.

ამ დროს წინამძღვართან პატარა გოგო მივიდა და რაღაც უცნაური სათამაშო აჩვენა, ხელში რომ მოეგდო. წინამძღვარმა გოგონას მხრებზე თავისი მშვენიერი ხელი მოჰხვია და ბავშვიც მიეკრა. ქითი აალელვა წინამძღვრის ტკბილი და მაინც არაამქვეყნიური ღიმილის ხილვამ.

— რა სასიამოვნოა, რომ ობლებს ასე უყვარხართ, დედაო, — თქვა მან. — სიამაყის გრძნობით ავივსებოდი, მეც რომ ასეთი ღრმა სიყვარული დამემსახურებინა.

წინამძღვარს კვლავ გაეღიმა თავისი არაამქვეყნიური მშვენიერი ღიმილით.

— სიყვარულის მოპოვების მხოლოდ ერთი გზა არსებობს — ემსგავსო იმას, ვისაც გინდა თავი შეაყვარო.

## LXI

იმ საღამოს უოლტერი სადილად არ მოსულა. ქითი ერთხანს კიდევ დაელოდა, რადგან უოლტერი, ქალაქში თუ შეაგვიანდებოდა, ყოველთვისატყობინებდა ხოლმე, მაგრამ ბოლოს სუფრას მიუჯდა. პირი არ დაუკარებია კერძებისათვის, ბეჯითი ჩინელი მზარეული მუდამ რომ უდგამდა ხოლმე წინ, თუმცა ეპიდემია მძვინვარებდა და სანოვაგის შოვნა ჭირდა; მერე კი ღია ფანჯარასთან როტანგის გრძელ სკამზე დაეშვა და ვარსკვლავებიან ტურფა ღამეს დაუწყო ცქერა. გარშემო გამეფებულმა მდუმარებამ სიმშვიდე მოჰგვარა.

კითხვის თავი არ ჰქონდა. ფიქრები ისე ზერელედ ერეოდა თავში, როგორც პატარ-პატარა თეთრი ღრუბლები წყნარი ტბის თავზე ირევა ხოლმე. დაღლილობისაგან ვერც ერთ მათგანს ვერ ჩასჭიდებოდა, რომ მიჰყოლოდა და მერე მის თანმხლებ ფიქრებში ჩაძირულიყო. გულის სიღრმეში აინტერესებდა, იმ სხვადასხვა შთაბეჭდილებებიდან, მონაზვნებთან საუბრებით რომ დარჩა, მისთვის რომელი იყო უმთავრესი. საოცარია და, ხომ ასე აალელვა მათი ცხოვრების ყაიდამ, მაგრამ იმ რწმენამ, რომლის გამოც ამ გზას დაადგნენ, მასზე ვერავითარი ზემოქმედება ვერ მოახდინა. ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ შეიძლება რწმენამ ასე თავდავიწყებით გაიტაცოს ადამიანი. ჩუმად ამოიოხრა: იქნებ ყველაფერი უფრო გაადვილებოდა, ეს დიადი ნათელი მის სულსაც რომ მოჰფენოდა. ერთი-ორჯერ სცადა წინამძღვრისათვის გაეზიარებინა თავისი უბედურება და მისი მიზეზი, მაგრამ ვერ გაბედა: არ უნდოდა ამ მკაცრი ზნეობის ქალს მასზე ცუდი რამ ეფიქრა. რაც ქითიმ გააკეთა, ბუნებრივია, უმძიმეს ცოდვად ჩათვლიდა. საოცარი ის იყო, რომ თვითონ ქითი ამას ცოდვად არ მიიჩნევდა, უფრო უგუნურებად და საძაგლობად თვლიდა.

იქნებ მისი უგუნურების გამო იყო, რომ თაუნსენდთან თავის სიახლოვეს სავალალოდ და საშინელებადაც კი მიიჩნევდა, მაგრამ ეს დავიწყებას უნდა მისცემოდა და ჭმუნვის საგანი არ უნდა ყოფილიყო. ეს ამბავი წვეულებაზე შემთხვეულ მარცხს ჰგავდა ,საშინლად შეურაცხმყოფელს, რომელსაც ვერაფერს უშველიდი და ამიტომაც მისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობის მინიჭება უგუნურებას მოწმობდა. გააჟრჟოლა, ლამაზად ჩაცმული აზივანი ჩარლი და მისი უთავბოლო ყბედობა რომ გაახსენდა. ისიც წარმოიდგინა, როგორ გამოჯგიმავდა ხოლმე მკერდს ღიპის დასამალად. მისი სანგვინური ბუნება პატარა წითელ ძარღვებში ვლინდებოდა, რომელიც მალე ქსელივით მოედებოდა ღაჟღაჟა ლოყებზე. ადრე მოსწონდა მისი ხშირი წარბები: ახლა რაღაც ცხოველურად და საძაგლად ეჩვენებოდა.

საოცარი იყო, რომ მომავალზეც გულგრილად ფიქრობდა; სულ არ შეეძლო მომავლის განჭვრეტა. ალბათ ბავშვის გაჩენას გადაჰყვებოდა. მისი და, დორისი, ყოველთვის მასზე ამტანი იყო, და ისიც კინაღამ გადაჰყვა მშობიარობას. მან შეასრულა თავისი ვალი და ახალი ბარონეტის მემკვიდრე გააჩინა. ქითის გაეღიმა, დედის კმაყოფილება რომ წარმოიდგინა. თუ მომავალი ესოდენ ბუნდოვნად ესახებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი დანახვა არ ეწერა. უოლტერი ალბათ სთხოვს ქითის დედას, რომ ბავშვს მიხედოს — თუ ბავშვი იცოცხლებს; ქითი ისე კარგად იცნობდა უოლტერს, დარწმუნებული იყო, რაგინდ დაეჭვებულიც არ უნდა ყოფილიყო თავის მამობაში, ბავშვს კარგად მოეპყრობოდა. უოლტერის იმედი ყოველთვის უნდა ჰქონოდა, რომ ბავშვს შესანიშნავად მოექცეოდა. რა გულდასაწყვეტია, რომ მისი არაჩვეულებრივი თვისებების, არათავკერძობისა და პატიოსნებისა, მისი ჭკუისა და მგრძნობიარობის მიუხედავად უოლტერის შეყვარება შეუძლებელია. ახლა ქითის აღარ ეშინია მისი, მაგრამ ეცოდება და ამავე დროს მაინც ჰგონია, რომ ცოტა უგუნურიცაა. თავისი გრძნობის სიღრმემ მეტად გულჩვილი გახადა უოლტერი და ქითი გრძნობდა ,რომ ოდესმე მაინც შეძლებდა მისგან პატიების მიღებას. ახლა ერთთავად სულ ეს ფიქრი უტრიალებდა თავში; სულის სიმშვიდეს რომ დაუბრუნებდა უოლტერს, მხოლოდ ამით შეძლებდა გამოესყიდა ის ტანჯვა, რაც მიაყენა. საწყენი იყო,რომ უოლტერს იუმორის გრძნობა თითქმის არ გააჩნდა: რომ ჰქონოდა, რამდენს იცინებდნენ ერთ მშვენიერ დღეს იმაზე, თუ როგორ გააწამეს ერთმანეთი.

ქითი დაიღალა. ლამპა თავის ოთახში შეიტანა, გაიხადა, დაწვა და მალე ჩაეძინა კიდეც.

## LXII

ხმამაღალმა კაკუნმა გააღვიძა. ვინაიდან ძილში ჩაესმა, პირველად ვერ გაარკვია, ცხადში იყო თუ სიზმარში. კაკუნი რომ გაგრძელდა, მიხვდა, ქომფაუნდის ჭიშკარზე აკაკუნებენო. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ქითის საათს ფოსფორიანი ისრები ჰქონდა და დაინახა, სამის ნახევარი იყო. ალბათ უოლტერი დაბრუნდა და ბიჭი ვერ გააღვიძა. კაკუნი ისევ და ისევ გაგრძელდა, უფრო და უფრო ხმამაღლა და ღამის სიჩუმეში ცოტა არ იყოს შიშისმომგვრელად გაისმოდა. ბოლოს შეწყდა. ქითიმ გაიგონა, როგორ გასწიეს მძიმე ურდული. უოლტერი ასე გვიან არასოდეს დაბრუნებულა. საწყა-

ლი, რა დაღლილი იქნება! იქნებ ჭკუა ეყოს და დაწვეს, იმ თავის ლაბორატორიაში აღარ იმუშაოს, როგორც სჩვევია ხოლმე.

ლაპარაკის ხმა გაისმა, ქომფაუნდში ხალხი შემოვიდა. ეს კი უჩვეულო იყო. უოლტერი ხომ შინ გვიან დაბრუნებისას მუდამ ცდილობდა არ ეხმაურა და ქითი არ შეეწუხებინა. ორმა თუ სამმა კაცმა სწრაფად ამოირბინეს კიბეზე და მეზობელ ოთახში შემოვიდნენ. ქითი ცოტა არ იყოს შეშინდა. გულის კუნჭულში ყოველთვის ჰქონდა უცხოელების წინააღმდეგ მათი აჯანყების შიში. რაიმე ხომ არ მოხდა? გულმა ბაგაბუგი დაუწყო. ვინემ აზრს მოიკრებდა, ვიღაცამ ოთახი გადმოჭრა და მის კარზე დააკაკუნა.

— მისის ფეინ!

ქითიმ უედინგთონის ხმა იცნო.

— დიახ. რა მოხდა?

— თუ შეიძლება, ახლავე ადექით. რაღაც მინდა გითხრათ.

ქითი ადგა და ხალათი მოიცვა. კარი რომ გააღო, ჩინურ შარვალსა და აბრეშუმის მოსაცმელში გამოწყობილი უედინგთონი დაინახა. მსახურ ბიჭს ლამპა ეჭირა, ცოტა მოშორებით კი ხაკისმუნდირებიან ჩინელ ჯარისკაცებს მოჰკრა თვალი. შეკრთა, უედინგთონის სახეზე შიში რომ ამოიკითხა; უედინგთონს თმა გაბურძგნოდა, თითქოს ეს-ესაა ლოგინიდან წამოხტაო.

— რა მოხდა? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა.

— სიმშვიდე გმართებთ. წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. ახლავე ჩაიცვით და წამოგვყევით.

— კი მაგრამ, რაშია საქმე? ქალაქში მოხდა რამე?

ჯარისკაცები რომ დაინახა, იფიქრა, ალბათ აჯანყება დაიწყო და ესენი ჩემს დასაცავად მოვიდნენო.

— თქვენი ქმარი ავად გახდა. ახლავე უნდა წამოგვყვეთ.

— უოლტერი? — წამოიძახა ქითიმ.

— ნუ ღელავთ. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. პოლკოვნიკმა იუმ ეს ოფიცერი გამომიგზავნა და მთხოვა, სასწრაფოდ იამინში[1] წამეყვანეთ.

ქითი ერთხანს უედინგთონს მისჩერებოდა, გული თითქოს გაეყინა, მერე კი მიბრუნდა.

— ორ წუთში მზად ვიქნები.

— როგორც ვიყავი, ისევე წამოვედი, — უთხრა უედინგთონმა. — მეძინა, მხოლოდ მოსასხამი და ფეხსაცმელი ჩავიცვი.

ქითის არ გაუგონია, რა უთხრა. ვარსკვლავების შუქზე ჩაიცვა, რაც ხელში მოხვდა. თითებს ვერ იმორჩილებდა და მთელ საუკუნედ ეჩვენა, ვინემ კაბის პატარა შესაკრავებს მიაგნებდა. მხრებზე კანტონური შალი[2] მოისხა, იმ საღამოს რომ ჰქონდა მოხურული.

— ქუდი არ დამიხურავს. ალბათ არაა საჭირო.

— არა.

ბიჭს წინ ლამპა მიჰქონდა. ისინი სწრაფად ჩავიდნენ კიბეზე და ქომფაუნდის ჭიშკარში გავიდნენ.

---

1 თანამდებობის პირის სამსახურის შენობა ან რეზიდენცია.

2 თხელი კანტონური აბრეშუმის შალი, რომელიც რთული ნაქარგით გამოირჩევა.

— ფრთხილად ,არ წაიქცეთ, — უთხრა უედინგტონმა. — ჯობია მკლავზე დამეყრდნოთ.

ჯარისკაცები უკან მიჰყვნენ.

— პოლკოვნიკმა იუმ ტახტრევანდები გამოგზავნა. მდინარის გაღმა გველოდებიან.

სწრაფად დაეშვნენ გორაკიდან. ქითის გამბედაობა არ ეყო იმ შემზარავი კითხვის წარმოსათქმელად, ენაზე რომ ადგა, ისე ეშინოდა პასუხის. მდინარის ნაპირთან მივიდნენ, იქ კი ჯონკა ელოდათ, რომლის კიჩოზე სინათლის ზოლი ჩანდა.

— ქოლერაა? — მაშინღა ჰკითხა.

— მგონი, კი.

ქითიმ შეჰკივლა და შეჩერდა.

— რაც შეიძლება სწრაფად უნდა წამოხვიდეთ.

მან ქითის ხელი გაუწოდა და ნავზე გადასვლა უშველა. გადასასვლელი მოკლე იყო, წყალი სულ არ იძვროდა; ისინი კიჩოსთან შეჯგუფდნენ, ქალს კი, თეძოზე ბავშვი რომ ჰყავდა მიკრული, ცალი ნიჩბით მიჰყავდა ნავი გაღმა ნაპირისაკენ.

— ნაშუადღევს გახდა ავად, გუშინ ნაშუადღევს, — თქვა უედინგტონმა.

— რატომ მაშინვე ვინმე არ გამოგზავნეს ჩემთან?

ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, თუმცა სულაც არ იყო ჩურჩული საჭირო. სიბნელეში ქითი მხოლოდ იმას გრძნობდა, როგორ ღელავდა მისი თანამოსაუბრე.

— პოლკოვნიკ იუს უნდოდა, მაგრამ მან ნება არ მისცა. პოლკოვნიკი იუ მთელი ეს ხანი გვერდიდან არ მოშორებია.

— მაინც უნდა გამოეგზავნა ვინმე. ეს ხომ უგულობაა.

— თქვენმა ქმარმა იცოდა, ქოლერიანი ავადმყოფი რომ არასოდეს გინახავთ. ამაზრზენი სანახაობაა. არ უნდოდა გენახათ.

— სხვა რომ არა, ჩემი ქმარია, — თქვა ქითიმ აღელვებული ხმით.

უედინგტონმა არაფერი უპასუხა.

—უნდა გამაგრდეთ, ჩემო ძვირფასო. ყველაზე ცუდისთვისაც მზად უნდა იყოთ.

ქითის სიმწრის გმინვა აღმოხდა და ოდნავ შებრუნდა, რადგან დაინახა, სამი ჩინელი ჯარისკაცი რომ მისჩერებოდა. უეცრად მოჰკრა თვალი მათ მბრწყინავ თვალის გუგებს.

— კვდება?

— მხოლოდ ის ვიცი, რაც პოლკოვნიკმა იუმ დააბარა ამ ოფიცერს, ჩემს წასაყვანად რომ მოვიდა. რამდენადაც მესმის, კოლაფსში ჩავარდა.

— სულ არ არის იმედი?

— საშინლად ვწუხვარ, თუ არ ვიჩქარებთ, ვაითუ ცოცხალს ვერ მივუსწროთ.

ქითის გააჟრჟოლა. ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— ხომ იცით, ძალზე ბევრს მუშაობდა, წინააღმდეგობის ძალა არა აქვს.

ქითიმ გაღიზიანებულმა მოიშორა მისი ხელი. აბრაზებდა, უედინგტონი ასე ხმადაბლა, დამწუხრებული ხმით რომ ლაპარაკობდა.

ნაპირს მიაღწიეს. ორმა ჩინელმა ყულიმ, ნაპირზე რომ იდგნენ, ქითის

ნავიდან გადმოსვლა უშველა. ტახტრევანდები იქვე ელოდათ. როცა ქითი თავის ტახტრევანდზე დაჯდა, უედინგთონმა უთხრა:

— ეცადეთ თავს მოერიოთ. მთელი თქვენი თავშეკავება დაგჭირდებათ.

— მტვირთავებს უთხარით, იჩქარონ.

— მათ ნაბრძანები აქვთ, რაც შეიძლება სწრაფად იარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცერმა, თავისი ტახტრევანდით რომ ჩაუარა, ქითის მტვირთავებს რაღაც დაუძახა. მათ მკვირცხლად ასწიეს ტახტრევანდი, ჯოხები მხრებზე გაიდეს და სწრაფი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. უედინგთონი ტახტრევანდს უკან მიჰყვა. სირბილით შეუყვნენ გორაკს, ყველა ტახტრევანდს ფარნიანი კაცი მიუძღოდა, ქალაქის ჭიშკართან კი მეკარე იდგა და ხელში მაშხალა ეჭირა. რომ მიუახლოვდნენ, ოფიცერმა რაღაც დაუძახა. მან ჭიშკრის კარი გააღო და ისინი გაატარა. გვერდით რომ ჩაუარეს, რაღაც წამოიძახა. მტვირთავებმაც პასუხად რაღაც დაიძახეს. ღამის მდუმარებაში გაუგებარ ენაზე წარმოთქმული ეს ხორხისმიერი ბგერები იდუმალებით აღსავსე და შიშისმომგვრელი იყო. სველ და რიყის ქვით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩაში ფეხი უსხლტდებოდა. ოფიცრის ერთ-ერთი მტვირთავი წაბორძიკდა. ქითიმ ოფიცრის გაბრაზებული ხმა და მტვირთავის გამყივანი პასუხი გაიგონა, მერე კი წინ მიმავალი ტახტრევანდი ისევ სწრაფად დაიძრა. ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო. ქალაქში უკუნი ღამე გამეფებულიყო. ეს იყო მკვდართა ქალაქი. სწრაფად გაუყვნენ ვიწრო გზას, კუთხეში მოუხვიეს, მერე კი სირბილით ავიდნენ კიბეზე. მტვირთავები გრძელი, სწრაფი ნაბიჯით მდუმარედ, ქოშინ-ქოშინით მიდიოდნენ; ერთმა მათგანმა დაძონძილი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, თვალებში რომ ჩასდიოდა; ხან მარჯვნივ უხვევდნენ, ხან მარცხნივ, თითქოს ლაბირინთში მიიჩქარიანო; დარაბებმიხურული დუქნების ჩრდილქვეშ თითქოს ვიღაც იწვა, მაგრამ ვერ გაიგებდი, ეს კაცი დილას გაიღვიძებდა თუ სამარადისო ძილით ეძინა; მდუმარე და უკაცრიელი ქუჩები მოჩვენებითი გეგონებოდა. სადღაც უეცრად ძაღლი ხმამაღლა რომ დაიყეფებდა, ძარღვებდაწყვეტილ ქითის შიშის ზარი ეცემოდა. არ იცოდა, საით მიდიოდნენ. გზა უსასრულო ჩანდა. ნუთუ არ შეეძლოთ უფრო სწრაფად ევლოთ? სწრაფად, უფრო სწრაფად? დრო მიდიოდა და ყოველ წუთს შეიძლება უკვე გვიან ყოფილიყო.

## LXIII

უეცრად, გრძელი ყრუ კედლის გასწვრივ, საყარაულო ჯიხურებით დაცულ ჭიშკარს მიადგნენ. მტვირთავებმა ტახტრევანდები ძირს დადგეს. უედინგთონმა ქითის მიაშურა, მაგრამ ის უკვე გადმომხტარიყო. ოფიცერმა კარზე დააბრახუნა და რაღაც დაიძახა. გვერდითი შესასვლელი გააღეს და ისინი ეზოში შევიდნენ. ეზო ფართო და ოთხკუთხა იყო. კედლებთან, სახურავების კიდულქვეშ საბნებში გახვეული ჯარისკაცები მიყრილიყვნენ. ისინი ცოტა ხანს შეჩერდნენ, სანამ ოფიცერი ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა, ალბათ მორიგე სერჟანტს. იგი მობრუნდა და უედინგთონს რაღაც უთხრა.

— ჯერ კიდევ ცოცხალია, — თქვა უედინგთონმა ხმადაბლა. — ფრთხილად იარეთ.

ეზო გადაჭრეს, წინ ისევ ფარნიანი კაცები მიუძღოდათ, კიბე აიარეს და

დიდ კარში შევიდნენ, მერე კიდევ ერთ ეზოში ჩავიდნენ, ეზოს ერთ მხარეს გრძელი ნაგებობა იდგა, სადაც სინათლე ენთო; ბრინჯის ქაღალდში გამოტანებულ სინათლის შუქზე ჩანდა, რომ ფანჯრებზე ცხაურები იყო აკრული. ფარნიანმა კაცებმა ეზო გადაჭრეს და ოთახისაკენ წაუძღვნენ. ოფიცერმა კარზე დააკაკუნა, კარი მაშინვე გააღეს. ოფიცერმა ქითის შეხედა და უკან დაიხია.

— მიბრძანდით, —უთხრა უენდინგთონმა.

ოთახი გრძელი და დაბალჭერიანი იყო, გამურული ლამპები, ოთახს რომ ანათებდა, სიბნელეს რაღაც ავბედითს ხდიდა. ოთახში სამი თუ ოთხი სანიტარი იდგა. კარის მოპირდაპირე კედელთან მდგარ საწოლზე საბნის ქვეშ ვიღაცა იწვა. საწოლის ფეხთან გაუნძრევლად იდგა ოფიცერი.

ქითი სწრაფად გაეშურა იქითკენ და საწოლზე დაიხარა. უოლტერი თვალებდახუჭული იწვა, იმ შემზარავ შუქზე სახეზე მკვდრისფერი ედო. ისე უძრავად იწვა, ქითის თავზარი დაეცა.

— უოლტერ, უოლტერ ,— წარმოთქვა სუნთქვაშეკრულმა დაბალი, შეშინებული ხმით.

სხეული ოდნავ შეტოკდა, ისე ოდნავ, ნიავის სუსტ დაბერვას ჰგავდა, რომელსაც ვერ ვგრძნობ, მაგრამ რომელიც წამით შეარხევს ხოლმე წყლის უძრავ ზედაპირს.

— უოლტერ, უოლტერ, ხმა გამეცი.

უოლტერმა ნელა გაახილა თვალები, თითქოს უჭირდა დამძიმებული ქუთუთოების აწევა, მაგრამ არ შეუხედავს, მისგან რამდენიმე დუიმზე[1] მდებარე კედელს მიაჩერდა.

— სასაცილო ამბავია, — წაილაპარაკა მან ჩუმად, მის სუსტ ხმაში ღიმილი იგრძნობოდა.

ქითის სუნთქვაც ვერ გაებედა. უოლტერის ხმა აღარ ამოუღია, არც განძრეულა, მაგრამ თვალები, შავი ცივი თვალები (რომლებიც ვინ იცის, რა მისტერიებს ხედავდნენ ახლა) შეთეთრებულ კედელს მიშტერებოდნენ, ქითი წამოდგა. სასოწარკვეთილმა შეხედა იქვე მდგარ კაცს.

— ხომ შეიძლება რაღაცის გაკეთება. გულხელდაკრეფილი დგომას ხომ არ აპირებთ?

მან ხელები მომუშტა. უედინგთონი საწოლის ბოლოში მდგარ ოფიცერს დაელაპარაკა.

— რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გაუკეთებიათ. პოლკის ქირურგი უვლიდა. თქვენს ქმარს თვითონ უსწავლებია მისთვის და მან ყველაფერი სცადა, რასაც თქვენი ქმარი თვითონ გააკეთებდა.

— ეს არის ქირურგი?

— არა, ეს პოლკოვნიკი იუ გახლავთ. გვერდიდან არ მოშორებია თქვენს ქმარს.

ქითიმ დაბნეულმა შეხედა. ის მომაღალო კაცი იყო, ჩასხმული, ხაკის სამოსში თითქოს უხერხულად გრძნობდა თავს. უოლტერს მისჩერებოდა. ქითიმ დაინახა, თვალები რომ ცრემლით ავსებოდა, და გული შეეკუმშა, რა-

[1] 2,5 სმ.

ტომ უნდა ჰქონდეს ამ ყვითელ, ბრტყელსახიან კაცს თვალებში ცრემლი? ქითი გაბრაზდა.

— რა საშინელებაა, რომ ვერაფერს ვაკეთებთ.

— ყოველ შემთხვევაში ტკივილებისაგან მაინც აღარ იტანჯება, — თქვა უედინგთონმა.

ქითი ისევ ქმრისკენ დაიხარა. უოლტერი შემზარავი თვალებით ისევ უაზროდ იყურებოდა წინ. ქითი ვერ მიხვდა, ხედავდნენ თუ არა ეს თვალები. არ იცოდა, გაიგონა თუ არა, რაც უთხრა, ტუჩები ყურთან მიუტანა.

— უოლტერ, კიდევ თუ შეიძლება რაიმეს გაკეთება? — ეგონა, რაღაც წამლით მაინც შეიძლება შეჩერებულიყო სიცოცხლის ეს შემზარავი ჩაფერფვლა. ახლა, როცა თვალები უფრო შეაჩვია სიბნელეს, შეძრწუნებულმა დაინახა, როგორ ჩაცვივნოდა უოლტერს ლოყები. ძლივს იცნობდი. ვერც იფიქრებდი, სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ რომ სულ სხვანაირი იყო; ადამიანს აღარ ჰგავდა; სიკვდილის აჩრდილს დამსგავსებოდა.

ქითის მოეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო. ყური ახლოს მიუტანა.

— ნუ ღელავ. შავი დღე გამოვიარე, მაგრამ ახლა აღარაფერი მიჭირს.

ქითი წუთით კიდევ დაელოდა, მაგრამ უოლტერი გაჩუმდა. მისი უძრაობა გულს დანასავით უსერავდა. შიშს ჰგვრიდა მისი ასე უსიცოცხლოდ წოლა. თითქოს უკვე სამარისთვის გამზადებულიყო. ვიღაც, ქირურგი თუ თანაშემწე, წინ წამოდგა და ქითის ანიშნა გვერდზე გამდგარიყო. ქითი წამოდგა და უედინგთონს სასოწარკვეთით მიუბრუნდა.

— სულ აღარაა იმედი? — ჰკითხა ჩურჩულით.

მან თავი გადააქნია.

— რამდენ ხანს იცოცხლებს?

— არავინ იცის. შეიძლება ერთი საათი.

ქითიმ ცარიელ ოთახში მიმოიხედა და წამით წარმოსადეგ პოლკოვნიკ იუზე შეაჩერა თვალი.

— შეიძლება ერთი წუთით მასთან მარტო დამტოვოთ? — იკითხა. — მხოლოდ ერთი წუთით.

— რა თქმა უნდა, თუ გსურთ.

უედინგთონი პოლკოვნიკთან მივიდა და რაღაც უთხრა. პოლკოვნიკმა ოდნავ დაუკრა თავი და ხმადაბლა გასცა ბრძანება.

— კიბეზე დაგელოდებით, — უთხრა უედინგთონმა, როცა ისინი გავიდნენ. — დაგვიძახეთ მხოლოდ.

ახლა, როცა ამ დაუჯერებელმა ამბავმა ქითის მთელი არსება მოიცვა, როცა დარწმუნდა, უოლტერი კვდებაო, მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა — შეემსუბუქებინა მისთვის სიკვდილი, გაეთავისუფლებინა დაგუბებული მტრობისაგან, სულს რომ უწამლავდა. ეგონა, თუ ქითისთან შერიგებული მოკვდებოდა, თავის თავსაც შეურიგდებოდა. ქითის ახლა საკუთარი თავი სულ არ ანაღვლებდა, მხოლოდ უოლტერზე ფიქრობდა.

— უოლტერ, გემუდარები, მაპატიე, — უთხრა და მისკენ დაიხარა. იმის შიშით, ვაითუ ჩემი შეხება ვერ აიტანოსო, ცდილობდა არ მიჰკარებოდა — რომ იცოდე, როგორ ვწუხვარ, რა მწარედ ვნანობ, ასე ცუდად რომ მოგექეცი.

უოლტერს არაფერი უთქვამს. თითქოს არც გაუგონია. ქითი არ ეშვებო-

და. ასე ეგონა, უოლტერის სული მოფარფატე ფარვანას ჰგავდა, ფრთები რომ სიძულვილით დამძიმებოდა.

— საყვარელო.

უოლტერს ფერწასულ, ლოყებჩაცვენილ სახეზე ჩრდილმა ნიავივით გადაურბინა და მაინც ამ მსუბუქმა მოძრაობამ კრუნჩხვასავით ზარდამცემად იმოქმედა ქითიზე. მას ადრე არასოდეს მიუმართავს ქმრისთვის ამ სიტყვით. იქნებ უოლტერის მომაკვდავ ტვინში ბუნდოვნად გაირბინა ფიქრმა, რომ ქითის ლექსიკონის ეს ჩვეული სიტყვა ადრე მხოლოდ ძაღლების, ბავშვებისა და ავტომობილების მისამართით გაეგონა. მერე მოხდა რაღაც საშინელი. ქითიმ ხელები მომუშტა და ძალ-ღონე დაძაბა თავის შესამაგრებლად, როცა დაინახა, რომ უოლტერს ჩაცვენილ ლოყებზე ნელა ჩამოუგორდა ორი ცრემლი.

— ოჰ, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, თუ ოდესმე გყვარებივარ — ვიცი, რომ გიყვარდი, მე კი საძაგელი ვიყავი — გთხოვ მაპატიო. ახლა არ შემიძლია დაგანახო, როგორ ვნანობ. შემიბრალე, გევედრები, მაპატიე.

ქითი გაჩერდა. სუნთქვაშეკრულმა შეხედა. ძრწოლვით ელოდა პასუხს. დაინახა, უოლტერი რაღაცის თქმას ცდილობდა, და ძალუმად აუძგერდა გული. ასე ეგონა, თუ ამ ბოლო წუთში შეძლებდა და მოხსნიდა მის მიერ მიყენებული ტანჯვის მძიმე ტვირთს, უოლტერის პასუხი გამოასწორებდა ყველაფერს. უოლტერმა ტუჩები შეარხია. მისთვის არ შეუხედავს. ჩინდაშრეტილი თვალებით ისევ შეთეთრებულ კედელს მისჩერებოდა. ქითი მისკენ დაიხარა, რომ უკეთ გაეგონა. მაგრამ უოლტერმა გარკვევით თქვა:

— ძაღლი კი მოკვდა.[1]

ქითი ადგილზე გაქვავდა. ნათქვამი ვერ გაიგო და შეშინებული და დაბნეული მისჩერებოდა. ეს უაზრობა, ეს ბოდვა იყო. უოლტერს მისი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია.

შეუძლებელია ასე უსიცოცხლოდ და მაინც ცოცხალი იყოს კაცი. ქითი მიაჩერდა. უოლტერს თვალები ღია ჰქონდა. ვერ მიხვდა, სუნთქავდა თუ არა. თანდათან შიშმა აიტანა.

— უოლტერ, — დაიჩურჩულა. — უოლტერ.

ბოლოს შეშინებული წამოიჭრა, მობრუნდა და კართან მივიდა.

— თუ შეიძლება, შემოდით. მგონი, უკვე აღარ...

ისინი ოთახში შემოვიდნენ. ჩინელი ექიმი საწოლთან მივიდა, ელექტროფარანი აანთო, ხელში რომ ეჭირა, და უოლტერს თვალებში ჩახედა. მერე თვალები დაუხუჭა. ჩინურად რაღაც თქვა. უედინგთონმა ქითის ხელი მოჰკიდა.

— მოკვდა.

ქითიმ ღრმად ამოიოხრა. თვალებიდან რამდენიმე ცრემლი ჩამოუგორდა. გაოგნებული უფრო იყო, ვიდრე თავზარდაცემული. ჩინელები საწოლის გარშემო უშფოთველად იდგნენ, თითქოს არ იცოდნენ, რა ექნათ. უედინგთონი ხმას არ

---

[1] „ძაღლი კი მოკვდა" — ინგლისელი მწერლისა და პოეტის ოლივერ გოლდსმიტის (1728-1774) იუმორისტული ლექსის «The Elegy of the Death ofa Mad Dog». ბოლო სტრიქონი. ლექსი მოგვითხრობს ადამიანისა და ძაღლის მეგობრობაზე. ერთხელ ძაღლი გაცოფდა და ადამიანს უკბინა. ყველას ეგონა, რომ ადამიანი დაიღუპებოდა. მაგრამ მოხდა საოცრება — ადამიანს ნაკბენი მოუშუშდა, ძაღლი კი მოკვდა.

ილებდა. წუთის შემდეგ ჩინელებმა ხმადაბლა დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი.

— ჯობია ბუნგალოში დავბრუნდეთ. — უთხრა უედინგთონმა. — მასაც იქ მოასვენებენ.

ქითიმ დაღლილმა გადაისვა შუბლზე ხელი. საწოლთან მივიდა და დაიხარა. ნაზად აკოცა უოლტერს ტუჩებში. უკვე აღარ ტიროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვწუხვარ, რომ ასე შეგაწუხეთ.

ჯარისკაცებმა სალუტი მისცეს, ქითიმ რომ ჩაიარა, და მანაც მძიმედ დაუკრა თავი. მათ ისევ გადაჭრეს ეზო და ტახტრევანდებში ჩასხდნენ. ქითიმ დაინახა, რომ უედინგთონმა სიგარეტს მოუკიდა. ჰაერში სუსტი კვამლი განიმქვრა. აი, ეს იყო ადამიანის სიცოცხლე.

## LXIV

თენდებოდა. აქა-იქ ჩინელებს უკვე გაეღოთ დუქნების დარაბები. დუქნის ბნელ სიღრმეში, სანთლის შუქზე ჩინელი ქალი ხელ-პირს იბანდა. კუთხეში მდებარე ჩაიხანაში რამდენიმე კაცი საუზმეს შეექცეოდა. სისხამ დილის ქუში, ცივი სინათლე ქურდივით დაიპარებოდა ვიწრო ქუჩებში. მდინარეზე თეთრი ნისლი ჩამოწოლილიყო, შეჯგუფული ჯონკების ანძები ნისლში ზღაპრული ლაშქრის შუბლივით მოჩანდა. ციოდა, ქითი თავის მხიარულ ჭრელ შალში გაეხვია. ისინი გორაკზე ავიდნენ და ნისლის ზემოთ აღმოჩნდნენ. უღრუბლო ციდან მზე ანათებდა. ისე ანათებდა, თითქოს ის დღე მეორეს ჰგავდა და ისეთი არაფერი მომხდარიყო, რაც მას სხვა დღეებისაგან განასხვავებდა.

— არ დაწვებით? — ჰკითხა უედინგთონმა, ბუნგალოში რომ შევიდნენ.

— არა. ფანჯარასთან დავჯდები.

მთელი ეს ხანგრძლივი კვირები ქითი ისე ხშირად და იმდენ ხანს იჯდა ხოლმე ფანჯარასთან და ისე შეაჩვია თვალი დიდებულ ციხე-სიმაგრეზე აღმართულ ზღაპრულ, თვალისმომჭრელ, მშვენიერ და იდუმალებით მოცულ ტაძარს, რომ სულიერად მშვიდდებოდა. იგი ისეთი არარეალური იყო თვით შუადღის კაშკაშა სინათლეზეც, რომ ქითის სინამდვილეს ავიწყებდა.

— ბიჭს თქვენთვის ჩაის გავაკეთებინებ. მე მგონი,ამ დილას უნდა დავკრძალოთ. ყველაფერს მე მოვაგვარებ.

— გმადლობთ.

## LXV

უოლტერი სამი საათის შემდეგ დამარხეს. ქითი შეზარა იმ ამბავმა, რომ იგი ჩინურ კუბოში[1] უნდა ჩაედოთ, ასე ეგონა, ამ უჩვეულო საწოლში მშვიდად ვერ განისვენებსო, მაგრამ ამას ვერაფერს უშველიდა. მონაზვნებმა, უოლტერის სიკვდილი რომ გაიგეს, როგორც იგებდნენ ყველაფერს, რაც ქალაქში ხდებოდა, შიკრიკის ხელით გეორგინების ჯვარი გამოგზავნეს, რომელიც თითქოს მეყვავილის დაოსტატებულ ხელებს გაეკეთებინა; მაგრამ ეს ჯვარი ჩინურ კუბოზე სასაცილო და შეუფერებელი ჩანდა. როცა ყველაფერი

[1] ჩინური კუბო ფიცრების სისქითა და რამდენადმე დიდი ზომებით გამოირჩევა.

მზად იყო, პოლკოვნიკ იუს დაელოდნენ, რომელსაც უედინგთონისათვის შემოეთვალა, დაკრძალვაზე მსურს დასწრებაო. იგი თავისი ადიუტანტის თანხლებით მოვიდა. ისინი გორაკზე ავიდნენ, ათამდე ყულის კუბო მიჰქონდა, და პატარა მიწის ნაკვეთთან მივიდნენ ,სადაც ის მისიონერი იყო დაკრძალული, ვისი ადგილიც უოლტერმა დაიკავა. უედინგთონმა მისიონერის წიგნებში ინგლისური ლოცვანი იპოვა და უჩვეულოდ დაბნეულმა ხმამაღლა წაიკითხა სულის მოსახსენიებელი ლოცვა. ამ დიდებულ, შიშისმომგვრელ სიტყვებს რომ კითხულობდა, ვინ იცის, თავში უტრიალებდა, თუ მეც ეპიდემიის მსხვერპლი გავხდები, ჩემთვის ლოცვის წამკითხველი არავინ იქნებაო.

კუბო საფლავში ჩაუშვეს და მესაფლავეებმა მიწის მიყრა დაიწყეს.

პოლკოვნიკმა იუმ, ქუდმოხდილი რომ იდგა საფლავთან, ქუდი დაიხურა, ქითის ხელი აუღო, უედიგნთონს ერთი-ორი სიტყვა უთხრა და ადიუტანტის თანხლებით წავიდა. ყულები, რომლებიც დარჩნენ და ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ქრისტიანულ დაკრძალვას, ახლა დაიშალნენ და ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ, ხელით სამხრეებს მიათრევდნენ. ქითი და უედინგთონი დაელოდნენ, სანამ საფლავს ამოავსებდნენ, და მერე სამარის ბორცვზე, ნედლი მიწის სურნელი რომ ასდიოდა, მონაზვნების გეორგინები დადეს. ქითის არ უტირია, მაგრამ კუბოს თავზე პირველი ნიჩბით მიყრილმა მიწამ რომ გაიბრახუნა, გულში საშინელი ტკივილი იგრძნო.

დაინახა, რომ უედინგთონი მას ელოდა.

— გეჩქარებათ? — ჰკითხა ქითიმ. — ჯერ არ მინდა ბუნგალოში დაბრუნება.

— საქმე არაფერი მაქვს. მიმსახურეთ.

## LXVI

ისინი მოკირწყლულ გზას დაადგნენ და გორაკზე ავიდნენ. იქ რომელიღაც ქველმოქმედი ქვრივის საპატივცემულოდ აღმართული ძეგლი იდგა, რომელსაც ქითიზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ეს რაღაცის სიმბოლო იყო, მაგრამ რისი, ქითიმ არ იცოდა; არც ის იცოდა, რად ესვა თალს ასეთი სარდონიკული ირონიის ნიშანი.

— მოდით, დავსხდეთ ცოტა ხნით. რა ხანია აქ არ ვმსხდარვართ.

ქითის წინაშე დიდი ველი გადაშლილიყო. დილის შუქზე წყნარი და მყუდრო ჩანდა.

— რამდენიმე კვირაა, რაც აქ ჩამოვედი და თითქოს მთელი ცხოვრება აქ გამეტარებინოს.

უედინგთონმა არ უპასუხა, ქითი ფიქრებს მიეცა. ამოიოხრა.

— გგონიათ, რომ სული უკვდავია? — ჰკითხა ქითიმ.

უედინგთონს კითხვა არ გაკვირვებია.

— საიდან უნდა ვიცოდე?

— უოლტერი რომ განბანეს, სანამ კუბოში ჩააწვენდნენ, შევხედე. ახალგაზრდა ჩანდა, სიკვდილისათვის მეტისმეტად ახალგაზრდა. გახსოვთ ის მათხოვარი, ჩვენ რომ ვნახეთ, როცა პირველად წამიყვანეთ სასეირნოდ? იმიტომ კი არ შემეშინდა, რომ მკვდარი იყო, ისე გამოიყურებოდა, თითქოს არც

ყოფილიყო ოდესმე ადამიანი. მკვდარი ცხოველი იყო, მეტი არაფერი. უოლტერის სიკვდილით კი თითქოს რაღაც მექანიზმი გაჩერდაო. აი, რა არის საშინელება. და თუ ეს მხოლოდ მექანიზმია, რა ამაოა ყველა ეს ტანჯვა, ტკივილი და უბედურება.

უედინგთონმა არაფერი უპასუხა. მათ ფერხთით გადაშლილ [illegible] გასცქეროდა. ამ ცინცხალ მზიან დილას გაშლილი სივრცე გულს სიხარულით ავსებდა. ყველგან, სადაც თვალი გასწვდებოდა, ბრინჯის კოხტა პატარა ყანები გადაჭიმულიყო, ყანებში ლურჯტანსაცმლიანი გლეხები გულმოდგინედ მუშაობდნენ კამეჩებით. მშვიდი და გამახალისებელი სანახაობა იყო. ქითიმ სიჩუმე დაარღვია.

— ვერ გადმოგცემთ, როგორ ამაღელვა ყველაფერმა, რაც მონასტერში ვიხილე. ის მონაზვნები მართლა შესანიშნავები არიან, მათ გვერდით თავს უმაქნისად ვგრძნობ. ისინი ხომ ყველაფერს თმობენ, სახლს, სამშობლოს, სიყვარულს, შვილებს, თავისუფლებას, ისეთ წვრილმანებს, როგორიცაა ყვავილები და ზურმუხტოვანი ველ-მინდვრები, გასეირნება შემოდგომის დღეს, წიგნები და მუსიკა, მყუდროება, რომელთა დათმობაც ზოგჯერ კიდევ უფრო ძნელი მეჩვენება. ისინი ყველაფერზე უარს ამბობენ, ყველაფერზე, მთელი მათი სიცოცხლე, მსხვერპლის გაღება, სიღატაკე და მორჩილება, ქანცის გაწყვეტამდე შრომა და ლოცვაა. ყველა მათგანისათვის ეს სამყარო ჭეშმარიტად განდევნის ადგილია. ცხოვრება მათთვის მძიმე ჯვარია, თავისივე ნებით რომ უნდა ატარონ, მათ გულში მუდამ ცოცხლობს ერთი სურვილი — ოჰ, ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სურვილი, ეს გახლავთ სწრაფვა, თავდავიწყებული, ზეშთაგონებული სწრაფვა სიკვდილისაკენ, მარადიულ სიცოცხლეს რომ აზიარებთ.

ქითიმ ხელები მომუშტა და გამწარებულმა უედინგთონს შეხედა.

— რას იტყვით?

— მაგრამ თუ მარადიული სიცოცხლე არ არსებობს? თუ სიკვდილი მართლაც ყველაფრის დასასრულია, მაშასადამე, არაფრის გულისათვის დათმეს ყველაფერი. მოტყუვდნენ. გაბრიყვებულნი დარჩნენ.

უედინგთონი მცირე ხნით ჩაფიქრდა.

— საინტერესოა, ნეტა თუ აქვს საერთოდ რამე მნიშვნელობა იმას, რომ ის მიზანი, რაც მათ ამოძრავებთ, ილუზიაა. მათი ცხოვრება თავისთავად მშვენიერია. ჩემი აზრით, ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ზიზღის გარეშე უყურო იმ სამყაროს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სილამაზე და მშვენიერებაა, რასაც ადამიანები ხანდახან ქაოსიდან ქმნიან. სურათები, რომლებსაც ხატავენ, მუსიკა, რომელსაც ქმნიან, წიგნები, რომლებსაც წერენ და ცხოვრება, რომელსაც ეწევიან. მაგრამ ყველა ამათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ლამაზად გატარებული ცხოვრებაა. იგი ხელოვნების სრულყოფილი ქმნილებაა.

ქითიმ ამოიოხრა. მისი ნათქვამი სასტიკი და ულმობელი ეჩვენა. კიდევ უფრო მეტის გაგება უნდოდა.

— ოდესმე ყოფილხართ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე? — განაგრძო უედინგთონმა.

— კი, — გაეღიმა ქითის. — მუსიკისა არაფერი გამეგება, მაგრამ მომწონს.

— ორკესტრის ყოველი წევრი თავის პატარა საკრავზე უკრავს. როგორ

ფიქრობთ, ესმის კი რამე იმ რთული ჰარმონიისა, ნეიტრალურ გარემოში რომ ილევება? მას მხოლოდ მცირედი ნაწილი ეხება ამ ჰარმონიისა, მაგრამ იცის, რომ სიმფონია ლამაზია და თუმცა ამის გამგები არავინაა, მუსიკა ხომ მშვენიერია, ჰოდა, ისიც კმაყოფილია თავისი პარტიის შესრულებით.

— იმ დღეს ტაო ახსენეთ, — უთხრა ქითიმ დუმილის შემდეგ. — მითხარით, რა არის იგი.

უედინგთონმა შეხედა, წამით შეყოყმანდა, მერე სასაცილო სახეზე სუსტმა ღიმილმა გადაურბინა, და მიუგო:

— ეს არის გზა და მგზავრი. მარადიული გზა, რომელზეც მიდის ყველა არსება, მაგრამ რომელიც არსებას არ შეუქმნია, რადგან თვით არის არსება. ის ყველაფერია და არაფერი. მისით იწყება, მას შეესატყვისება ყველა საგანი და ბოლოს ყველა საგანი მასვე უბრუნდება. ის ოთხკუთხაა კუთხეების გარეშე, ბგერაა, რომელსაც ყურით ვერ გაიგონებ, და გამოსახულებაა ფორმის გარეშე. ის დიდი ბადეა და თუმცა ზღვასავით ფართო, შიგ არავის და არაფერს ატარებს. ის სამლოცველოა, სადაც ყველა საგანი თავშესაფარს ჰპოვებს. ის არსად არის, მაგრამ მისი დანახვა ფანჯრიდან გაუხედავადაც შეიძლება. ინატრეთ, რომ არ ინატროთ, გვასწავლის იგი, და ყველაფერი თავის ნებაზე მიუშვით. ის, ვინც მორჩილებაში იცხოვრებს, საშიშროებისაგან დაცულ იქნება. ვინც ქედს მოიდრეკს, წელში გაიმართება. მარცხი წარმატების საწინდარია, წარმატება კი — მარცხისა, მაგრამ, ვინ იცის, როდის დადგება მობრუნების წამი. ის, ვინც სინაზისაკენ ისწრაფვის, შეიძლება პატარა ბავშვს დაემსგავსოს. სიკეთე გამარჯვებას მოუტანს იმას, ვინც უტევს და საშიშროებას აცილებს, ვინც თავს იცავს. ძლევამოსილია ის, ვინც თავის თავს ძლევს.

— ნიშნავს ეს რამეს?

— ზოგჯერ, როცა ერთ ათ ჭიქა ვისკის დავლევ და ვარსკვლავებს ვუყურებ, მგონია, რომ ნიშნავს.

სიჩუმე ჩამოვარდა და იგი ისევ ქითიმ დაარღვია.

— მითხარით „ძაღლი კი მოკვდა“ ციტატაა?

უედინგთონს ტუჩებზე ღიმილი გამოესახა და პასუხი დააპირა. მაგრამ ამ წუთებში გრძნობები საოცრად გამახვილებოდა. ქითი მას არ უყურებდა, მაგრამ მისმა გამომეტყველებამ აიძულა უედინგთონი გადაწყვეტილება შეეცვალა.

— თუ არის კიდეც მე არ ვიცი, — მიუგო ფრთხილად. — რა იყო?

— არაფერი. უეცრად გამახსენდა. რაღაც მეცნაურა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— როცა თქვენს ქმართან მარტო იყავით, — უთხრა უედინგთონმა, — სამხედრო ქირურგს ვესაუბრე ,ვიფიქრე, ამბებს უფრო ზუსტად გავიგებ-მეთქი.

— მერე?

— მეტისმეტად აღელვებული იყო. კარგად ვერც გავიგე, რას გულისხმობდა. რამდენადაც გავარკვიე, თქვენს ქმარს ინფექცია იმ ცდების დროს შეხვედრია, თვითონ რომ ატარებდა.

— იგი ყოველთვის ცდებს ატარებდა. ის ხომ ბაქტერიოლოგი იყო და არა ექიმი. ამიტომ უნდოდა ასე აქ ჩამოსვლა.

— მაგრამ ქირურგის ნათქვამიდან მთლად კარგად ვერ გავიგე, შემთხვევით შეხვდა ინფექცია თუ სინამდვილეში თავის თავზე ატარებდა ცდებს.

ქითი მკვდარივით გაფითრდა. ამ აზრმა შეაძრწუნა. უედინგთონმა მისი ხელი აიღო.

— მაპატიეთ, რომ ისევ ამაზე დავილაპარაკე, — უთხრა უედინგთონმა, — მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ამას დაემშვიდებინეთ. ვიცი, რა საოცრად ძნელია ასეთ შემთხვევაში ოდნავ მაინც სანუგეშოს თქმა — მეგონა, თქვენთვის მნიშვნელობა ექნებოდა იმის გაგებას, რომ უოლტერი მეცნიერებასა და მოვალეობას შეეწირა მსხვერპლად.

ქითიმ გაღიზიანებით აიჩეჩა მხრები.

— უოლტერი გულგატეხილობის მსხვერპლი გახდა, — თქვა მან.

უედინგთონმა არაფერი უპასუხა. ქითი მობრუნდა და შეხედა. სახე გაფითრებული და გაყინული ჰქონდა.

— რას გულისხმობდა ამის თქმით: „ძაღლი კი მოკვდა"? რაა ეს?

— გოლდსმიტის „ელეგიის" ბოლო სტრიქონია.

## LXVII

მეორე დილას ქითი მონასტერში წავიდა. გოგო, რომელმაც კარი გაუღო, მის დანახვაზე გაოცდა, ხოლო როცა ქითი მუშაობას შეუდგა, რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში წინამძღვარი შემოვიდა, ქითისთან მივიდა და ხელი გამოართვა.

— მოხარული ვარ თქვენი ნახვის, ჩემო ძვირფასო შვილო. დიდი მწუხარების შემდეგ ასე მალე დაბრუნება გასაოცარ სიმამაცეს მოწმობს. დარწმუნებული ვარ, საქმე სევდიან ფიქრებს გადაგიყრით.

ქითი ოდნავ წამოწითლდა და თვალები დახარა; არ უნდოდა წინამძღვარს მის გულში ჩაეხედა.

— საჭიროდ არ ვთვლი გითხრათ, რა მთელი გულით თანაგიგრძნობთ ყველანი.

— ძალიან კეთილი ხართ, — წაიჩურჩულა ქითიმ.

— ყველანი მარადჟამს თქვენთვის და იმისი სულისთვის ვილოცებთ, ვინც თქვენ დაკარგეთ.

ქითიმ არაფერი უპასუხა. წინამძღვარმა ხელი გაუშვა და ცივი, მბრძანებლური კილოთი მისცა სხვადასხვა დავალება. ორ-სამ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, თავისი არაამქვეყნიური, მაგრამ მომხიბლავი ღიმილით გაუღიმა და უფრო საჩქარო საქმეებს დაუბრუნდა.

## LXVIII

ერთი კვირა გავიდა. ქითი რაღაცას კერავდა. ოთახში წინამძღვარი შემოვიდა და ქითის გვერდით ჩამოჯდა. დაკვირვებით შეხედა ქითის ხელსაქმეს.

— ძალიან კარგად კერავთ, ჩემო ძვირფასო. დღეს ეს თქვენი საზოგადოების ახალგაზრდა ქალისათვის იშვიათი ღირსებაა.

— დედას უნდა ვუმადლოდე ამას.

— დარწმუნებული ვარ, დედათქვენს ძალიან გაუხარდება თქვენი ნახვა.

ქითიმ ახედა. წინამძღვრის ქცევა გაფიქრებინებდა, რომ მისი ნათქვამი უბრალო ზრდილობად არ უნდა მიეღო. მან განაგრძო:

— თქვენი ძვირფასი მეუღლის სიკვდილის შემდეგ ნება იმიტომ დაგრთეთ აქ მოსულიყავით, ვიფიქრე, სამუშაოს გულს გადააყოლებდით, ვერც ჰონგ-კონგისაკენ ხანგრძლივ მგზავრობას შესძლებდით. არც ის მინდოდა, შინ მარტო მჯდარიყავით, უსაქმოდ და მხოლოდ თქვენს დაკარგულ მეუღლეზე გეფიქრათ. მაგრამ ახლა უკვე რვა დღე გავიდა. დროა აქედან გაემგზავროთ.

— არ მინდა წასვლა, დედაო, აქ მინდა დარჩენა.

— აქ რად უნდა დარჩეთ? ხომ იმიტომ ჩამოხვედით, თქვენს მეუღლესთან ყოფილიყავით. თქვენი მეუღლე გარდაიცვალა. თქვენ კი ისეთ მდგომარეობაში ხართ, სულ მალე მოვლა და ყურადღება დაგჭირდებათ, რასაც აქ ვერავინ შესძლებს. თქვენი ვალია, ჩემო ძვირფასო შვილო, ყველაფერი გააკეთოთ იმ არსების საკეთილდღეოდ, რომლის მოვლა-პატრონობაც ღმერთმა მოგანდოთ.

ქითი ერთხანს ჩუმად იყო. თვალები დაეხარა.

— მე კი მეგონა, რომ აქ ვილაცას საქმეში ვადგებოდი. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო იმის ფიქრი, რომ აქ საჭირო ვიყავი, ვიმედოვნებდი, რომ ნებას დამრთავდით მუშაობა გამეგრძელებინა, სანამ ეპიდემია ჩაცხრებოდა.

— ყველანი დიდად მადლობელნი ვართ, რაც გაგვიკეთეთ, — მიუგო წინამძღვარმა ნაზი ღიმილით, — მაგრამ ახლა, როცა ეპიდემიამ იკლო, აქ ჩამოსვლა ისეთი სახიფათო აღარ არის და ორ დას ველი კანტონიდან. ძალიან მალე აქ იქნებიან. ისინი რომ ჩამოვლენ, არა მგონია, საჭირო იყოს თქვენი სამსახური.

ქითის გული ჩაწყდა. წინამძღვარს ისეთი კილო ჰქონდა, შეპასუხებას აზრი არ ჰქონდა. ქითი კარგად იცნობდა მას და იცოდა, რომ მუდარა მასთან არ გასჭრიდა. წინამძღვარმა რა დაინახა, ქითი თანახმა არ იყო, ხმა გაღიზიანებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში მბრძანებლური გაუხდა, რასაც შეიძლება გაბრაზებაც მოჰყოლოდა.

— მისტერ უედინგთონი კარგად მოიქცა, რჩევა რომ მკითხა.

— ჯობდა თავისი საქმისთვის მიეხედა, — გააწყვეტინა ქითიმ.

— რომც არ ეკითხა, თავს მოვალედ ჩავთვლიდი თვითონ მერჩია, — უთხრა წინამძღვარმა ალერსიანად. — ახლა თქვენი ადგილი აქ არაა, დედასთან უნდა იყოთ. მისტერ უედინგთონი მოელაპარაკა პოლკოვნიკ იუს, რომ კარგი დაცვა გაგაყოლონ, ასე რომ მგზავრობისას არავითარი საფრთხე არ მოგელით. მან მტვირთავებისა და ყულების საკითხიც მოაგვარა. ამაც თან გამოგყვებათ და იმ ქალაქებშიც თადარიგი იქნება დაცული, სადაც გაივლით. სინამდვილეში თქვენთვის ყველაფერი უკვე გაკეთებულია, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

ქითიმ ენას კბილი დააჭირა. მხოლოდ გაიფიქრა, მომლაპარაკებოდნენ მაინც იმ საკითხზე, რომელიც მხოლოდ მე მეხებოდაო. თავს ძალა დაატანა, რომ უხეშად არ ეპასუხა.

— როდის უნდა გავუდგე გზას?

წინამძღვარი კვლავ მშვიდად ლაპარაკობდა.

— რაც უფრო მალე ჩახვალთ ჰონგ-კონგში და მერე გემით ინგლისისაკენ გაემგზავრებით, მით უკეთესი იქნება, ძვირფასო შვილო. ვიფიქრე, ხვალ გამთენიისას ისურვებდით წასვლას.

— ასე მალე?!

ქითი ლამის ატირდა. მაგრამ აქ მართლაც არ იყო მისი ადგილი.

— ყველას ძალიან გეჩქარებათ ჩემი თავიდან მოშორება, — თქვა ნაღვლიანად.

ქითიმ იგრძნო, წინამძღვარმა რა დაინახა, ქითი მზად იყო დანებებოდა, მისდაუნებურად მოლბა და კილოც უფრო ლმობიერი გაუხდა. ქითის მახვილი იუმორის გრძნობა ჰქონდა და თვალები აუციმციმდა იმის გაფიქრებაზე, რომ წმინდანებსაც უყვართ თურმე თავისის გატანა.

— არ იფიქროთ, ძვირფასო შვილო, თქვენი გულის სიკეთესა და იმ მომხიბლავ ქველმოქმედებას არ ვაფასებდე, რომლის გამოც არ გსურთ უარი თქვათ იმ მოვალეობებზე, თავად რომ დაიკისრეთ.

ქითი თვალგაშტერებული იყურებოდა წინ. ოდნავ აიჩეჩა მხრები. იცოდა, რომ ასეთ დიდ ღირსებებს ვერ მიიწერდა. იმიტომ უნდოდა აქ დარჩენა, რომ წასასვლელი არსად ჰქონდა. ეს რაღაც საოცარი გრძნობა იყო, როცა ქვეყნის გულზე ყველასთვის სულერთია, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი.

— არ მესმის, რატომ არ უნდა გინდოდეთ შინ დაბრუნება, — ალერსიანად განაგრძო წინამძღვარმა. — ბევრი უცხოელია აქ, ყველაფერს დათმობდნენ, ოღონდ ეს შესაძლებლობა ჰქონოდათ.

— მაგრამ თქვენ ხომ არა, დედაო?

— ოჰ, ჩვენი საქმე სხვაგვარადაა, ძვირფასო შვილო. აქ ჩამოსვლისას ვიცით, რომ სამშობლოს სამუდამოდ ვეთხოვებით.

შეურაცხყოფილმა გრძნობებმა ქითის სურვილი აღუძრა და შესაძლოა მტრული სურვილიც, სუსტი ადგილი მოენახა იმ რწმენის აბჯარში, მონაზვნებს რომ ასე მიუწვდომელთ ხდიდა ყველა ბუნებრივი გრძნობისადმი. ნეტა დარჩა თუ არა წინამძღვარს რაიმე ადამიანური სისუსტე?

— ალბათ ზოგჯერ ძალიან ძნელია იმის გაფიქრება, რომ ვეღარასოდეს ვეღარ ნახავთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებს და ვერც იმ ადგილებს, სადაც გაიზარდეთ.

წინამძღვარი წამით შეყოყმანდა. ქითი დააკვირდა, მაგრამ ამ მშვენიერ, გოროზ, აუმღვრეველ სახეზე ცვლილება ვერ შეამჩნია.

— ძალიან მძიმეა დედაჩემისთვის, ის უკვე მოხუცია, ჩემს მეტი ქალიშვილი არც ჰყავს; ძალიან უნდა ალბათ სიკვდილამდე კიდევ ერთხელ მნახოს. ნეტავ შემეძლოს მისთვის ამ სიხარულის მინიჭება. მაგრამ ეს შეუძლებელია, უნდა ველოდოთ, ვინემ სამოთხეში არ შევხვდებით ერთმანეთს.

— და მაინც, როცა იმათზე ფიქრობ, ვისთვისაც ძვირფასი ხარ, ალბათ ძნელია არ ჰკითხო, შენს თავს, სწორად მოიქეცი თუ არა, მათ რომ მოწყდი.

— იმას მეკითხებით, ოდესმე მინანია თუ არა ჩემ მიერ გადადგმული ნაბიჯი? — წინამძღვარს უეცრად სახე გაუნათდა. — არასოდეს, არც ერთი წუთით. ულიმღამო და უსარგებლო ცხოვრება მსხვერპლის გაღებასა და ლოცვაზე გავცვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, წინამძღვარმა გაიღიმა და ალერსიანი კილოთი უთხრა:

— მინდა გთხოვოთ, პატარა პაკეტი წაიღოთ და ,მარსელში რომ ჩახვალთ, გამიგზავნოთ. არ მინდა ჩინეთის ფოსტას ვანდო. ახლავე მოვიტან.

— ხვალაც შეგიძლიათ მომცეთ, — უთხრა ქითიმ.

— ხვალ ბევრი საქმე გექნებათ, ჩემო ძვირფასო, აქ მოსასვლელად არ გეცლებათ. თქვენთვის უმჯობესი იქნება, თუ ამაღამვე დაგვემშვიდობებით.

წინამძღვარი წამოდგა და საკუთარი ღირსების გრძნობით, ღირსებისა, რომელსაც განიერი სამოსიც ვერ ფარავდა, ოთახიდან გავიდა. იმავე წუთს დაია სენ-ჟოზეფი გაჩნდა .იგი ქითისთან დასამშვიდობებლად მოვიდა. იმედოვნებდა, რომ ქითის სასიამოვნო მოგზაურობა ელოდა, ყოველგვარი საშიშროების გარეშე, პოლკოვნიკი იუ კარგ დაცვას ატანდა; დები კი მუდამ მარტო მოგზაურობენ და არაფერი დაშავებიათ. ქითის მოსწონს ზღვა? **Mon Dieu**, როგორ ცუდად გახდა ინდოეთის ოკეანეში ქარიშხალი რომ ამოვარდა, როგორ გაუხარდება **Madame** დედამისს ქალიშვილის ნახვა, ქითი თავს უნდა გაუფრთხილდეს; ახლა ხომ მეორე პატარა არსებასაც უნდა მოუაროს, ისინი კი ყველანი მისთვის ილოცებენ; თვითონ გამუდმებით ილოცებს ქითის, საყვარელი პატარა ბავშვისა და საწყალი მამაცი ექიმისთვის. დაია სენ-ჟოზეფი ენას არ აჩერებდა, კეთილი და თბილი იყო; მაგრამ ქითი მაინც კარგად გრძნობდა, რომ დაია სენ-ჟოზეფისათვის (მარადისობისაკენ რომ ჰქონდა მიპყრობილი დაჟინებული მზერა) ის მხოლოდ სული იყო სხეულის ან მატერიის გარეშე. საოცრად მოუნდა მხრებში ეტაცა ხელი ამ სქელი გულკეთილი მონაზვნისათვის, შეენჯღრია და ეყვირა: „ნუთუ არ გესმით, რომ მე ადამიანი ვარ, უბედური, მიუსაფარი ადამიანი და დამშვიდება, თანაგრძნობა, გამხნევება მჭირდება? ოჰ, ნუთუ არ შეგიძლიათ ერთი წუთით დაივიწყოთ ღმერთი და ნუგეში მცეთ; მე არ მჭირდება ქრისტიანული თანაგრძნობა, ყველა ტანჯულისათვის რომ გაქვთ გამზადებული; მე ადამიანური ნუგეშისცემა მჭირდება“. ამ ფიქრმა პირზე ღიმილი მოჰგვარა: როგორ გაუკვირდება დაია სენ-ჟოზეფს! უკვე მტკიცედ ირწმუნებს იმას, რაშიც აქამდე მხოლოდ ეჭვი ეპარებოდა, ყველა ინგლისელი შერეკილიაო.

— საბედნიეროდ, ძალიან კარგი მეზღვაური ვარ, — მიუგო ქითიმ. — ზღვაზე არასოდეს მიგრძვნია თავი ცუდად.

წინამძღვარი დაბრუნდა. ხელში პატარა, კოხტა პაკეტი ეჭირა.

— აქ ცხვირსახოცებია, დედაჩემის სახელობის დღისათვის შევკერე, — თქვა მან. — ინიციალები ჩვენმა გოგოებმა ამოქარგეს.

დაია სენ-ჟოზეფმა თქვა, ქითის ალბათ სურს ნახოს, რა მშვენიერი ნახელავიაო, და წინამძღვარმა მოწყალე, თუმცა გამკიცხავი ღიმილით გახსნა პაკეტი. ცხვირსახოცები ძალიან ლამაზი ბატისტისაგან იყო შეკერილი, ამოქარგული ინიციალების თავზე კი მარწყვის ფოთლები გამოეყვანათ. ქითიმ კარგად რომ დაათვალიერა ნახელავი, ცხვირსახოცები ისევ შეახვიეს და პაკეტი ქითის გადასცეს. და სენ-ჟოზეფმა უთხრა: „**eh bien, Madame, je vous quitte**[1], რამდენჯერმე გაიმეორა გამომშვიდობების ზოგადი, ზრდილობიანი სიტყვები და წავიდა. ქითი მიხვდა, რომ ახლა დრო იყო წინამძღვარსაც

[1] მაშ ასე, მადამ, გემშვიდობებით (ფრ.).

დამშვიდობებოდა. მადლობა გადაუხადა სიკეთისათვის. ისინი ერთად გაუყვნენ ცარიელ, შეთეთრებულ დერეფნებს.

— ძალიან ხომ არ შეგაწუხებთ, რომ გთხოვოთ პაკეტის რეგისტრირება, მარსელში რომ ჩახვალთ? — ჰკითხა წინამძღვარმა.

— აუცილებლად გავაკეთებ, — მიუგო ქითიმ.

მან მისამართს დახედა. ძალიან ტიტულოვანი გვარი ჩანდა, მაგრამ მისი ყურადღება ადგილმა მიიპყრო.

— ეს ხომ ერთ-ერთი ის châteaux-ა, მე რომ ვნახე, როცა მეგობრებთან ერთად მანქანით ვმოგზაურობდი საფრანგეთში.

— ადვილი შესაძლებელია, — მიუგო წინამძღვარმა. — კვირაში ორ დღეს უცხოელებს ნებას აძლევენ მისი დათვალიერებისა.

— მე მგონი, ოდესმე ასეთ მშვენიერ ადგილას რომ მეცხოვრა, ვერ შევძლებდი მის დატოვებას.

— რა თქმა უნდა, ისტორიული ძეგლია. მაგრამ სულ არ არის ჩემთვის ახლობელი. თუ რაიმეზე გული მწყდება, მაგ სახლზე არა, ის პატარა château მენატრება პირენეებში, სადაც ბავშვობა გავატარე. ზღვის ხმაურში დავიბადე. არ უარვყოფ, რომ ზოგჯერ ძალიან მომინდება ხოლმე ერთხელ კიდევ გავიგონო კლდეებზე მიხეთქებული ტალღების ხმა.

ქითის თავში გაუელვა, წინამძღვარი მიმიხვდა შეკითხვების მიზანს და ეშმაკურად დამცინისო. ისინი მონასტრის პატარა, უბრალო კართან მივიდნენ. მისდა გასაოცრად წინამძღვარმა ქითის ხელები მოჰხვია და გადაკოცნა. ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე მეორეზე. მისი უფერული ტუჩების შეხება ისეთი მოულოდნელი იყო, ქითი გაწითლდა და ლამის ატირდა.

— მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო ძვირფასო შვილო, — მას წუთით მკლავებში ეჭირა ქითი. — გახსოვდეთ, იმ მოვალეობის შესრულება, რომელიც მოგეთხოვებათ, არაფერია, ჭუჭყიანი ხელების დაბანვაზე მეტად ღირებულიც არ არის. ერთადერთი, რასაც რაიმე მნიშვნელობა აქვს, მოვალეობის სიყვარულია; როცა სიყვარული და მოვალეობა ერთია, მაშინ გენიჭებათ მშვენიერება და ბედნიერება, რაიც ყველანაირ გაგებას აკმაყოფილებს, ასე რომ ფასობს ყველას თვალში.

მონასტრის კარი უკანასკნელად მიიხურა ქითის უკან.

## LXIX

უედინგთონი ქითისთან ერთად ავიდა გორაკზე და წუთით მოაბრუნეს თავი, რათა უოლტერის საფლავისთვის შეეხედათ; მემორიალურ თაღთან უედინგთონი ქითის გამოემშვიდობა და როცა ქითიმ უკანასკნელად შეავლო თვალი თაღს, იგრძნო, რომ მისი გარეგნული იდუმალი ირონიისათვის შეეძლო საკუთარ ირონიით ეპასუხა. იგი ტახტრევანდში შევიდა.

დღეები ერთმანეთს მისდევდა. ხედებმა გზის გასწვრივ ქითის ფიქრები აუშალა. იგი ისე აღიქვამდა მიდამოს, თითქოს სტერეოსკოპით გასცქეროდა და ერთ პატარა წრეში ხედავდა. ყველაფერი დამატებით მნიშვნელობას იძენდა, რადგან ყველაფერს, რასაც ხედავდა, იმის მოგონებები ერთვოდა, რაც სულ რამდენიმე კვირის წინ ნახა აქეთობისას. ბარგით დატვირთული ყულები

ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, ორი თუ სამი ერთად მოაბიჯებდა, ასი იარდის მოშორებით ერთი მარტო მოლასლასებდა, მას მოჰყვებოდა კიდევ ორი თუ სამი; დაცვის ჯარისკაცები შეუწყობელი ნაბიჯით მოჩანჩალებდნენ და დღეში რაღაც ხუთ თუ ექვს მილს გადიოდნენ; ორ მტვირთავს ამა მოჰყავდა, ქითის კი ოთხი შესდგომოდა, იმიტომ კი არა, რომ უფრო მძიმე იყო, არამედ პატივისცემის ნიშნად. ზოგჯერ მძიმე ტვირთაკიდებული კულები ხვდებოდათ გზაზე, დამწკრივებულები რომ მოჩანჩალებდნენ, ხანდახან ჯალამბარზე წამომჯდარ ჩინელ მოხელეს გადაეყრებოდნენ ხოლმე, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა თეთრ ქალს; ხან ბაზარში მიმავალი გახუნებულ ლურჯ ტანისამოსიანი და უზარმაზარქუდიანი გლეხები შემოხვდებოდათ ხოლმე. ზოგჯერ ქალიც შემოეყრებოდათ, მოხუცი ან ახალგაზრდა, ფეხებდაბორკილი რომ მიკელანობდა გზაზე. გადადიოდნენ პატარა გორებზე, ბრინჯის კოხტა ყანებით რომ იყო დაფარული, ბამბუკის რაყებში კი მყუდროდ შეყუჟულიყო ფერმები, შედიოდნენ გაპარტახებულ სოფლებში და მჭიდროდ დასახლებულ კედელშემოვლებულ ქალაქებში, კათოლიკური ლოცვანის სურათებში გამოხატულ ქალაქებს რომ ჰგავდა. სასიამოვნო იყო ადრეული შემოდგომის მზეცთუ გარიჟრაჟზე, როცა კოხტა მინდვრები ზღაპრულ ელფერს იძენდა, ცივი იყო, მოგვიანებით ძალზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. ქითი ხარბად ისრუტავდა ამ სითბოს, ნეტარებას რომ ჰგვრიდა.

ნათელი სურათები თავისი ფაქიზი ფერებით, მოულოდნელი თავისთავადობით და უჩვეულობით გობელენს ჰგავდა, რაზედაც ქითის წარმოსახვის აჩრდილები იდუმალებით მოცული, ბუნდოვანი მოჩვენებებივით დარიალებდნენ. ისინი სრულიად არარეალურები ჩანდნენ. მეიტან-ჰუ თავისი ქონგურებიანი კედლებით ძველი პიესის სცენაზე ქალაქის წარმოსადგენად გაჭიმულ ნახატ ტილოს ჰგავდა. მონაზვნები,უედინგთონი და მანჩუს ქალი, უედინგთონი რომ უყვარდა ,ნიღბიანი ზღაპრული გმირები იყვნენ; სხვები კი, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მოსიარულე ხალხი და ისინი, რომლებიც დაიხოცნენ, უსახელო გმირები იყვნენ. რა თქმა უნდა, მათ ყველას ჰქონდათ რაღაც მნიშვნელობა, მაგრამ რა მნიშვნელობა? ისინი თითქოს რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ, საგულდაგულოდ დამუშავებულსა და ძველებურს, იცოდნენ, რომ ამ რთულ როკვას რაღაც აზრი ჰქონდა, რომლის გაგებაც მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის; და მაინც გასაღებს ვერ უძებნიდით, ვერა და ვერა.

ქითის დაუჯერებლად ეჩვენებოდა (მოკირწყლულ გზაზე ლურჯებში ჩაცმული მოხუცი ქალი მიდიოდა და მზის შუქზე ლურჯი ფერი ლაჟვარდს ჰგავდა; წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაღარული სახე ძველთაძველი სპილოს ძვლის ნიღაბს უგავდა; პატარა ფეხებს მიაბაკუნებდა და გრძელ შავ ჯოხს ეყრდნობოდა), ქითის დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ მან და უოლტერმა მონაწილეობა მიიღეს ამ უჩვეულო და არარეალურ ცეკვაში და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს. უფრო მოსალოდნელი იყო ქითი გამოსალმებოდა სიცოცხლეს, მაგრამ უოლტერი კი მოკვდა. განა ეს დაცინვა არ იყო? ან იქნებ მხოლოდ სიზმარი იყო ეს ყველაფერი, რომლისაგანაც შვების ოხვრით გამოიღვიძებ. თითქოს ყველაფერი დიდი ხნის წინათ მოხდა სადღაც შორეულ მხარეში. თითქოს ამ სპექტაკლის გმირები რეალური ცხოვრების მზიან ფონზე აჩრდილებივით ირეოდნენ. ახლა ეს ამბავი ქითის მოთხრობად ეჩვენებოდა, თვითონ რომ კითხულობდა; ცოტა არ იყოს, აკრთობდა, ეს მოთხრობა

რომ მას თითქოს არ ეხებოდა. უკვე მკაფიოდ ველარ იხსენებდა უოდინგთონის სახეს, რომელიც ასე ნაცნობი იყო მისთვის.

იმ საღამოს დასავლეთის მდინარეზე მდებარე ქალაქში ჩაჯდომოდნენ,/საიდანაც ქიტი თბომავლით უნდა წასულიყო. იქიდან ჰონგ-კონგამდე [illegible]მის სავალიღა რჩებოდა.

ბიბლიოთეკა

## LXX

პირველად ძალიან რცხვენოდა ქიტის, ცრემლი რომ არ ჩამოვარდნია, როცა უოლტერი მოკვდა. საშინელ გულქვაობად ეჩვენებოდა თავის მხრიდან. ჩინელ ოფიცერ პოლკოვნიკ იუსაც კი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ქიტი ქმრის სიკვდილმა გააოგნა. ვერ დაეჯერებინა, რომ ის აღარასოდეს შემოვიდოდა ბუნგალოში, ველარასოდეს გაიგონებდა, როგორ ბანაობდა დილაობით ტაშტში. ცოცხალი იყო, ახლა კი მკვდარია. დებს აოცებდა ქიტის ქრისტიანული მორჩილება, მოსწონდათ, რა მამაცურად გადაიტანა ეს დანაკარგი. მაგრამ უედინგთონი გამჭრიახი კაცი იყო; მისი თანაგრძნობის მიუხედავად ქიტი გრძნობდა, რომ — თუ შეიძლება ასე ითქვას — ის მთლად გულწრფელი არ იყო, რა თქმა უნდა, უოლტერის სიკვდილმა ძალიან იმოქმედა ქიტიზე. არ უნდოდა მისი სიკვდილი, მაგრამ მას ხომ არ უყვარდა უოლტერი, არც არასოდეს ჰყვარებია; წესი მოითხოვდა, მგლოვიარედ დაეჭირა თავი; უმსგავსობა და სისაძაგლე იქნებოდა, ვინმესთვის გულში ჩაეხედინებინა; მაგრამ ქიტიმ იმდენი რამ გადაიტანა, საკუთარ თავს ვერ მოატყუებდა. მისი ფიქრით, ამ რამდენიმე კვირაში ისწავლა, თუკი ზოგჯერ საჭიროა სხვა მოატყუო, საკუთარი თავის მოტყუება საძაგლობაა. წუხდა უოლტერის ტრაგიკულად დაღუპვას, მაგრამ წუხდა წმინდა ადამიანური წუხილით, როგორიც შეიძლება ეგრძნო ჩვეულებრივი ნაცნობის მიმართაც. აღიარებდა, რომ უოლტერს შესანიშნავი თვისებები გააჩნდა; უბრალოდ ქიტის არ მოსწონდა იგი; თავს აბეზრებდა. იმას ვერ იტყოდა, უოლტერის სიკვდილი შვება იყო მისთვის, გულახდილად შეეძლო ეთქვა, თუ შესძლებდა მის გაცოცხლებას, აუცილებლად გააცოცხლებდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ მისმა სიკვდილმა ცხოვრება გაუადვილა. ისინი ერთად ვერასოდეს ვერ იგრძნობდნენ თავს ბედნიერად, დაშორებაც საოცრად გაუჭირდებოდათ. ქიტი შეაკრთო იმ გრძნობამ, რაც დაეუფლა; ფიქრობდა, ხალხი გულქვად და ბოროტად ჩამთვლის, ეს რომ იცოდესო. მაგრამ ისინი ამას ვერ გაიგებდნენ. ნეტა ყველა ინახავს თუ არა გულში სამარცხვინო საიდუმლოს, რასაც გარეშეთა ცნობისმოყვარე მზერას უმალავენ?

მომავალზე ძალიან ცოტას ფიქრობდა და არც გეგმებს ადგენდა. ერთადერთი, რაც იცოდა, ის იყო, რომ ჰონგ-კონგში რაც შეიძლება ცოტა ხანს უნდა დარჩენილიყო. აშინებდა იქ ჩასვლა. ნატრობდა, როტანგის ტახტრევანდით დაუსრულებლად ევლო ამ მხიარულ და კეთილგანწყობილ მხარეში, გულგრილად ემზირა ცხოვრების ფანტასმაგორიისათვის და ყოველი ღამე სხვადასხვა ჭერქვეშ გაეტარებინა. მაგრამ საჭირო იყო ეფიქრა ახლო მომავალზე: ჰონგკონგში ჩასვლისას სასტუმროში დაბინავდებოდა, სახლის საქმეს მოაგვარებდა, ავეჯს გაყიდდა; თაუნსენდს, ცხადია, არ ნახავდა, არ იყო საჭირო. ჩარლი იმდენ კეთილშობილებას კი გამოიჩენდა, გზიდან რომ ჩამოსცლოდა. და მა-

ინც ერთხელ კიდევ უნდოდა მისი ნახვა, რათა ეთქვა, თუ რა საძაგელ არსებად თვლიდა.

მაგრამ რა კაცი იყო, ვინ იყო ჩარლი თაუნსენდი?

ქითის გულში არფაზე შესრულებული დიდებული ჰანგივით, მხიარულ არპეჯიოებად რომ ჟღერს ხოლმე რთულ სიმფონიაში, ძალუმად ჟღერდა ერთი ფიქრი. ეს ფიქრი ანიჭებდა ეგზოტიკურ სილამაზეს ბრინჯაოს ყანწებს, ამ ფიქრმა მოჰგვარა ფერმკრთალ ბაგეზე სუსტი ღიმილი, როცა გვერდით ბაზრისაკენ მიმავალმა პირტიტველა ყმაწვილმა ჩაუქროლა, გამომწვევად რომ ეჭირა თავი და თავხედურად იმზირებოდა, ამ ფიქრმა მიანიჭა ხმაურიანი ცხოვრების მაგიურობა იმ ქალაქებს, ქითიმ რომ გაიარა. ჟამით დაავადებული ქალაქი მისთვის ციხე იყო, რომელსაც თავი დააღწია. ადრე ვერ ამჩნევდა, რა ლაჟვარდისფერი იყო თურმე ცა, რა მომხიბლავად გადმოხრილიყო ბამბუკები მოკირწყლულ გზაზე. თავისუფლება! აი, რა რეკდა ქითის გულში, რეკდა ისე, რომ, თუმცა მომავალი ბუნდოვნად ესახებოდა, იგი მაინც მდინარეზე ჩამოწოლილ ნისლს ჰგავდა, რომელსაც დილის მზის სხივები ცისარტყელას ფერებად აელვარებს. თავისუფლება! ეს იყო არა მარტო იმ ბორკილებისაგან გათავისუფლება, სულს რომ უხუთავდა ,არც იმ ურთიერთობისაგან თავის დაღწევა, აგრერიგად რომ თრგუნავდა; არც მხოლოდ სიკვდილისაგან გაქცევა იყო, მას რომ ემუქრებოდა, ეს იყო იმ სიყვარულისაგან გათავისუფლება, ასე რომ დაამცირა და დაამდაბლა. ეს იყო ყველა სულიერი ბორკილისაგან გათავისუფლება, ეს სხეულისაგან გათავისუფლებული სულის თავისუფლება იყო. თავისუფლებასთან ერთად კი სიმხნევეცა და ყველაფრის მიმართ გულგრილობაც დაუბრუნდებოდა.

## LXXI

როცა ხომალდი ჰონგ-კონგის ნავსადგურში შევიდა, ქითი, რომელიც გემბანზე იდგა და მდინარის ფერადოვან, მხიარულ და ცოცხალ დინებას გასცქეროდა, თავის კაიუტაში დაბრუნდა იმის სანახავად, ხომ არაფერი დარჩაო ამას. სარკეში ჩაიხედა. შავი კაბა ეცვა, მონაზვნებმა რომ შეუღებეს, მაგრამ არა სამგლოვიაროო; თავში გაუელვა ,პირველ ყოვლისა ამაზე უნდა ეზრუნა. ძაძები უფრო ლამაზად შენიღბავდა მის მოულოდნელ განცდებს. კაიუტის კარზე კაკუნი გაისმა. ამამ კარი გააღო.

— მისის ფეინ!

ქითი მობრუნდა და პირველად ვერც იცნო სტუმარი. შემდეგ უეცრად გული შეუქანდა და წამოწითლდა. ეს დოროთი თაუნსენდი იყო. ქითი იმდენად არ მოელოდა მის ნახვას, არ იცოდა, რა ეთქვა ან რა გაეკეთებინა. მაგრამ მისის თაუნსენდი უკვე კაიუტაში შემოვიდა და ქითის ხელები მოჰხვია.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო, როგორ მეცოდებით.

ქითიმ ნება დართო ეკოცნა. ცოტა გაუკვირდა ასეთი თავშეუკავებლობა იმ ქალისაგან, რომელიც ყოველთვის ცივი და მიუწვდომელი ეგონა.

— გმადლობთ თანაგრძნობისათვის, — წაილუღლუღა.

— გემბანზე გავიდეთ. თქვენს ნივთებს ამა მიხედავს, ჩემი მსახურებიც აქ არიან.

მან ქითის ხელი აიღო და ქითიც წაჰყვა. დოროთი თაუნსენდს გულკე--

თილ, ქარდაკრულ სახეზე მართლა მზრუნველი, გულშემატკივარი იერი აღბეჭდოდა.

— გემი ადრე ჩამოვიდა. კინაღამ დავაგვიანე, — თქვა მისის თაუნსენდმა. — ძალიან მეწყინებოდა, რომ ვერ მენახეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს დასახვედრად მოხვედით? — წამოიძახა ქითიმ.

— რა თქმა უნდა.

— საიდან იცოდით, რომ ჩამოვდიოდი?

— მისტერ უედინგთონმა დეპეშა გამომიგზავნა.

ქითი მიბრუნდა. თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა. სასაცილო იყო, რომ ამ პატარა მოულოდნელმა სიკეთემ ასე აღელვა. ტირილი ძლივს შეიკავა; ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა დოროთი თაუნსენდი. მაგრამ დოროთიმ ქითის უღონოდ ჩამოშვებული ხელი აიღო და მოუჭირა. ქითი დააბნია იმან, რომ ეს მორცხვი ქალი ასე თავშეუკავებლად იქცეოდა.

— მინდა დიდი პატივი დამდოთ. მე და ჩარლის გვსურს ჩვენთან დარჩეთ, სანამ ჰონგ-კონგში იქნებით.

ქითიმ ხელი გამოსტაცა:

— ძალიან კეთილი ბრძანდებით, მაგრამ ალბათ ვერ შევძლებ.

— უნდა შეძლოთ. მარტო ხომ ვერ იცხოვრებთ თქვენს სახლში. ეს საშინელება იქნება თქვენთვის. უკვე ყველაფერი მოვამზადე. საკუთარი სასტუმრო ოთახი გექნებათ. შეგიძლიათ იქ მიირთვათ საჭმელი, თუ ჩვენთან ერთად არ გინდათ. ორივეს ძალიან გვინდა ჩვენთან წამოხვიდეთ.

— სახლში წასვლას არც ვაპირებდი. ვფიქრობდი ჰონგ-კონგის სასტუმროში დამექირა ოთახი. არა, მართლა ვერ შეგაწუხებთ ასე.

შემოთავაზებულმა წინადადებამ განაცვიფრა ქითი, თან დააბნია და თან გააღიზიანა. თუ ჩარლის იოტისოდენა სინდისი მაინც გააჩნდა, ნება არ უნდა მიეცა ცოლისათვის ქითი მიეპატიჟებინა, სულაც არ უნდოდა მათგან დავალებული ყოფილიყო.

— ოჰ, ძალიან მეწყინება ,სასტუმროში რომ იცხოვროთ. ახლა თქვენც ვერ გაძლებთ ჰონგ-კონგის სასტუმროში. გარშემო იმდენი ხალხია, ორკესტრი კი გამუდმებით უკრავს ჯაზს. თქვით, გეთაყვა, რომ ჩვენთან წამოხვალთ. პირობას გაძლევთ, მე და ჩარლი არ შეგაწუხებთ.

— არ ვიცი ,რად იჩენთ ასეთ გულკეთილობას ჩემდამი, — ქითის უკვე აღარ ეყო მიზეზები; ვერ აიძულა თავი მტკიცე და გარკვეული „არა“ ეთქვა.— ვშიშობ, ამჟამად უცხოებისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო სტუმარი ვერ ვიქნები.

— ნუთუ ჩვენ უცხოები ვართ თქვენთვის? ოჰ, მე კი ისე მინდა არ ვიყო. ისე მინდა ნება დამრთოთ მეგობრობა გაგიწიოთ. — დოროთიმ ხელები მომუშტა და მის დამახასიათებელ, ლამაზად მჟღერ ხმას ცრემლი გაერია. — ისე ძალიან მინდა წამოხვიდეთ. მინდა შეცდომა გამოვასწორო.

ქითი ვერ მიხვდა, რა შეცდომის გამოსწორებას გულისხმობდა ჩარლის ცოლი.

— სამწუხაროდ, პირველად მაინცდამაინც თვალში არ მომდიოდით ქარაფშუტა მეგონეთ. იცით, მოძველებული შეხედულებების ქალი ვარ და მგონი, აუტანელი.

ქითიმ მზერა ესროლა. მისის თაუნსენდი ალბათ იმას გულისხმობდა,

პირველად ქითი ვულგარული ვილაც რომ ეგონა. გულში გაეცინა, თუმცა არ შეიმჩნია. რაში ენაღვლება ახლა, ვინ რას ფიქრობს მასზე!

— ხოლო რომ გავიგე, მეუღლეს გაჰყევით და ასე უყოყმანოდ ჩაუვარდით სიკვდილს ხახაში, უგუნურ ადამიანად ვიგრძენი თავი, საკუთარ თვალში ისე დავმცირდი. ისეთი შესანიშნავი ბუნება, ისეთი სიმამაცე გამოიჩინეთ, ყველანი არაფრის მაქნისები და უბადრუკები გამოვჩნდით, — მისის თაუნსენდს კეთილ, სანდომიან სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. — ვერ გეტყვით, რა აღფრთოვანებული ვარ, რარიგ პატივს გცემთ. ვიცი, ვერაფრით ვერ აგინაზღაურებთ საშინელ დანაკარგს, მაგრამ მინდა იცოდეთ, რა ღრმა, რა წრფელი გრძნობით ვარ გამსჭვალული თქვენდამი. თუ ნებას დამრთავთ, რითიმე დაგეხმაროთ, დიდ პატივს დამდებთ. ნუ გამიწყრებით, თუ თქვენზე მცდარი აზრის ვიყავი. თქვენ გმირი ხართ, მე კი მხოლოდ ერთი სულელი ქალი.

ქითი გემბანს დაჰყურებდა გაფითრებული. ნეტა დოროთის ასე თავშეუკავებლად არ გამოევლინა გრძნობები. აალელვა მისმა ლაპარაკმა, მაგრამ ოდნავ გაალიზიანა კიდეც იმ ამბავმა, რომ ასეთი გულუბრყვილო არსება იყო და ამ ტყუილებისა სჯეროდა.

— თუ მართლა გინდათ წამოვიდე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით წამოვალ, — ამოიოხრა მან.

## LXXII

თაუნსენდები პიკზე ცხოვრობდნენ. მათი სახლიდან ფართოდ გადაშლილი ზღვა მოჩანდა. ჩარლი ჩვეულებრივ საუზმეზე შინ არ მოდიოდა, მაგრამ ჩამოსვლის დღეს დოროთიმ უთხრა ქითის (ახლა ისინი უკვე სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს), თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჩარლი მოვა და გინახულებთო. ქითიმ გაიფიქრა, რახან უნდა შეხვედროდა, სულ ერთი იყო, ახლა ნახავდა თუ მერე. კუშტი მხიარულებით ელოდა, რა ცუდ დღეში ჩააგდებდა ჩარლის. ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი მოპატიჟება დოროთიმ მოიფიქრა და ჩარლიმაც მაშინვე მოუწონა განზრახვა, თავისი გრძნობების მიუხედავად. ქითიმ ისიც იცოდა ,რომ ჩარლი ყოველთვის ცდილობდა კარგი რამ გაეკეთებინა ,ხოლო ქითისთვის სტუმართმოყვარეობის შეთავაზება დიახაც კეთილი საქმე იყო. მაგრამ ჩარლი მათ უკანასკნელ საუბარს დამცირების გრძნობის გარეშე ვერ გაიხსენებდა: ისეთ პატივმოყვარე კაცს, როგორიც თაუნსენდი იყო, ეს მოუშუშებელ წყლულად დარჩებოდა. ქითი იმედოვნებდა, რომ მანაც ისევე დაამცირა იგი, როგორც თვითონ ჩარლიმ ატკინა გული. ჩარლის ახლა უნდა სძულდეს იგი. უხაროდა, თვითონ სიძულვილს რომ არ გრძნობდა, მხოლოდ ეზიზღებოდა. ღვარძლიან კმაყოფილებას ჰგვრიდა ის ფიქრი, რომ ჩარლი ვალდებული იყო ჯეროვანი პატივი მიეგო მისთვის, მიუხედავად იმისა, რას გრძნობდა გულში. როცა ქითი იმ დღეს მისი სამსახურიდან წამოვიდა, ჩარლის ალბათ იმედი ჰქონდა ,რომ ვეღარასოდეს ნახავდა.

ახლა კი დოროთისთან ერთად ქითი მის მობრძანებას ელოდა. განცხრომის გრძნობა დაეუფლა ამ წყნარ, მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახში. ნებივრად იჯდა სავარძელში, ოთახს ლამაზი ყვავილები ამკობდა, კედლებზეც სასიამოვნო სურათები ეკიდა; ფარდებჩამოშვებულ ოთახში გრილოდა და

სიმყუდროვე სუფევდა. გააჟრჟოლა, ბუნგალოში მისიონერის შიშველი, ცარიელი სასტუმრო ოთახი რომ გაახსენდა: წარმოიდგინა როტანგის სკამები, სამზარეულოს მაგიდა, ბამბის ნაჭერი რომ ეფარა, დალაქავებული ფარდები, ზედ რომანების იაფფასიანი გამოცემები, პატარა და ვიწრო [illegible] ფარდა, ასე მტვრიანი რომ ჩანდა. ოჰ, რა სიღატაკე იყო იქ! [illegible] ამას ვერც ვერასოდეს წარმოიდგენდა.

სახლთან მანქანა გაჩერდა და მალე ოთახში ჩარლი შემოვიდა.

— დამაგვიანდა? იმედი მაქვს, დიდხანს არ გალოდინეთ. გუბერნატორი უნდა მენახა და ვერ წამოვედი.

მერე ქითისთან მივიდა და ორივე ხელი დაუჭირა.

— ძალიან, ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან მოსვლა ინებეთ. დოროთი ალბათ გეტყოდათ, შეგიძლიათ იმდენ ხანს დარჩეთ, რამდენსაც მოისურვებთ, და ისე იგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ სახლში. მაგრამ ისიც მინდა გითხრათ, თუ შემიძლია რაიმეთი გემსახუროთ, ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იქნება. — ჩარლის თვალებიდან მომხიბლავი გულწრფელობა გამოსჭვიოდა; ნეტავ თუ ამჩნევს დაცინვას ჩემს თვალებშიო, გაიფიქრა ქითიმ. — ძალიან მიჭირდა პირდაპირ თქმა, არც ის მინდა, გაუთლელ ხეპრედ ჩამთვალოთ, მაგრამ მინდა იცოდეთ, რა გულწრფელად თანაგიგრძნობთ ქმრის სიკვდილის გამო. ძალიან კარგი კაცი იყო, ვერც გეტყვით, რარიგ საგრძნობი იქნება უიმისობა აქ ყველასათვის.

— არ გინდა, ჩარლი, — უთხრა ცოლმა. — დარწმუნებული ვარ, ქითის ესმის... აი, კოქტეილიც.

თაუნსენდები, ისევე როგორც ყველა უცხოელი ჩინეთში, ფუფუნებით ცხოვრობდნენ. ორმა მსახურმა ბიჭმა ოთახში საუზმე და კოქტეილი შემოიტანა. ქითიმ უარი თქვა.

— უნდა დალიოთ, — ჩააცივდა თაუნსენდი მხიარულად და თბილად. — უთუოდ გარგებთ, თან დარწმუნებული ვარ, რაც ჰონგ-კონგიდან წახვედით, კოქტეილი არ დაგილევიათ. თუ არ ვცდები, მეი-ტან-ფუში ყინულს ვერც იშოვიდით.

— არ ცდებით, — მიუგო ქითიმ.

წამით თვალწინ დაუდგა ქომფაუნდის კედელთან დაგდებული მკვდარი მათხოვარი, მისი გაბურძგნული თმა, ლურჯი ძონძები და გაძვალტყავებული ხელ-ფეხი.

## LXXIII

ისინი სასაუზმოდ გავიდნენ. ჩარლი სუფრის თავში იჯდა და მარჯვედ წარმართავდა საუბარს. თანაგრძნობის გამომხატველი რამდენიმე სიტყვის შემდეგ ისე ექცეოდა ქითის, თითქოს ქალს საშინელება კი არ გადაეტანოს, არამედ ბრმა ნაწლავი ამოეჭრა და ადგილის გამოსაცვლელად შანჰაიდან ჩამოსულიყო. ქითის ახლა გამხნევება სჭირდებოდა და ისიც მზად იყო მის გასამხნევებლად. ქითის რომ ისე ეგრძნო თავი, როგორც საკუთარ სახლში, ყველაზე კარგი გზა იყო ოჯახის წევრივით მოპყრობოდნენ. ჩარლი თავაზიანი კაცი გახლდათ. საშემოდგომო რბოლასა და პოლოზე ჩამოაგდო ლაპარაკი —

ღმერთმანი, თავს დაანებებს პოლოს თამაშს, თუ წონაში ვერ დაიკლო — ისიც მოუყვა, რაზე ელაპარაკა გუბერნატორს ამ დილით ადმირალის საფლავმანო გემზე გამართული წვეულებაც ახსენა, შემდეგ კანტორში სახელმწიფო საქმეებს და ლიუიშუნის ამბებს გადასწვდა. რამდენიმე წუთში ქითიმ ისე იგრძნო თავი, თითქოს მხოლოდ შაბათ-კვირას ყოფილიყო აქედან წასული. ვინ დაიჯერებდა, აქედან სულ რაღაც ექვსასიოდე მილის მოშორებით (რა მანძილიც ლონდონიდან ედინბურგამდეა!) ქალები, კაცები და ბავშვები ბუზებივით იხოცებოდნენ. მალე უკვე სხვადასხვა ამბებით დაინტერესდა, კითხულობდა, ვინ მოიტეხა ლავიწის ძვალი პოლოს თამაშის დროს, დაბრუნდა თუ არა შინ მისის ეს და ეს და მონაწილეობდა თუ არა მისის ისა და ის ჩოგბურთის შეჯიბრებაში. ჩარლი სახუმარო ამბებს ჰყვებოდა და ქითის ეღიმებოდა. დოროთის ცოტა არ იყოს ქედმაღლურად ეჭირა თავი (ახლა ქითის მიმართაც კი, მაგრამ ეს სულ აღარ იყო შეურაცხმყოფელი, უფრო ურთიერთობის საშუალებად უნდა მიგეჩნია) და კოლონიაში სხვადასხვა პიროვნების მიმართ ოდნავ დამცინავ განწყობასაც ამჟღავნებდა. ქითი ცოტა გამოცოცხლდა.

— უკვე უკეთესად გამოიყურება, —უთხრა ჩარლიმ ცოლს. — საუზმემდე ისეთი ფერმკრთალი ჩანდა, შემეშინდა კიდეც; ახლა ლოყებზე ფერი მოუვიდა.

მაგრამ ქითი თუ მხიარულად არა (რადგან გრძნობდა, არც დოროთი და არც ჩარლი, ვინც ასე აფასებდა წესიერების გარეგნულ მხარეს, ამას არ მოუწონებდნენ), ყოველ შემთხვევაში თამამად მონაწილეობდა საუბარში და თან თავის მასპინძელს აკვირდებოდა. მთელი ამ კვირების მანძილზე, შურისძიების გრძნობით რომ ფიქრობდა ჩარლიზე, გონებაში მისი ცოცხალი სურათი დახატა: ხშირი გრუზა თმა ზომაზე გრძელი და თან ძალიან გულმოდგინედ დავარცხნილი ჰქონდა; ჩარლის ჭაღარის დასამალავად თმაზე ძალიან ბევრი საცხი ესვა; სახე ღაჟღაჟა ჰქონდა, ლოყებზე მოწითალო ძარღვების ქსელი მოსდებოდა; თუ საკმაოდ დიდი ყბების დასამალავად თავს არ აწევდა, ღაბაბი უჩანდა; ხშირი, ჭაღარაშერთული წარბები რაღაცით მაიმუნს ამსგავსებდა. ზანტი, მოუქნელი მოძრაობები ჰქონდა, არც თავშეკავებული ჭამა და არც ღვარჯიში შველოდა, მაინც სუქდებოდა; სახსრებშიც ხანში შესული კაცის მოუქნელობა ეტყობოდა. მოდური ტანისამოსი ცოტა არ იყოს ვიწრო და მეტისმეტად ახალგაზრდული იყო მისთვის.

მაგრამ როცა ჩარლი საუზმის წინ სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ქითი შეკრთა (იქნებ ამიტომაც გახდა მისი სიფერმკრთალე ასე შესამჩნევი), რადგან მიხვდა, რარიგ მოატყუა წარმოდგენამ: ჩარლი სულაც არ გამოიყურებოდა ისე, როგორც მან თავის თავს დაუხატა. კინაღამ გაეცინა საკუთარ თავზე. არც თმა ჰქონდა გაჭაღარავებული; მხოლოდ თითო-ოროლა თეთრი გამორეოდა საფეთქლებთან, რაც უხდებოდა კიდეც, არც სახე ჰქონდა წითელი, უბრალოდ მზე მოჰკიდებოდა; თავი კოხტად ეჯდა მხრებზე; არც სქელი იყო და არც ბებერი; უფრო გამხდარი ჩანდა და ტანადობაც ძალიან მოხდენილი ჰქონდა — განა შეიძლებოდა მისი დადანაშაულება, რომ ასე მოსწონდა თავისი თავი? — დიახაც ახალგაზრდული იერი ჰქონდა. ტანსაცმელსაც იხდენდა; სისულელე იქნებოდა ამის უარყოფა: ძალიან კოხტად, ფაქიზად და მოხდენილად გამოიყურებოდა. რა ეშმაკი შეუჩნდა ქითის მაშინ, ჩარლი ასე რომ წარმოიდგინა? ის მართლაც ძალიან ლამაზი კაცი იყო, კიდევ კარგი,

იცოდა, რა უმაქნისი ვინმეც ბრძანდებოდა. რა თქმა უნდა, იმას ვერ უარყოფდა, რომ მომხიბლავი ხმა ჰქონდა, ახლაც ზუსტად ისე ჩაესმოდა ყურში მისი ხმა, როგორიც ახსოვდა: ეს ხმა მის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვას სიყალბეს კიდევ უფრო გამაღიზიანებელს ხდიდა. მაგრამ ახლა, [illegible]ვნო, თბილი ხმა ქითისათვის ფარისევლურად ჟღერდა და უკვ[illegible] ამოატყუა ადრე ამ ხმამ. ჩარლის მშვენიერი თვალები ჰქონდა: აი, რა იყო მისი ყველაზე დიდი ხიბლი. ეს ლაჟვარდოვანი თვალები სითბოს ასხივებდნენ. მაშინაც კი, როცა სისულელეებს ლაპარაკობდა, მაშინაც კი მომხიბლავნი რჩებოდნენ; შეუძლებელი იყო ამ თვალებს არ მოენუსხეთ.

ბოლოს ყავა მოიტანეს და ჩარლიმ სიგარას მოუკიდა. საათს დახედა და ადგა.

— ახლა მარტო უნდა დაგტოვოთ, ქალბატონებო. სამსახურში წასვლის დროა. — წამით გაჩუმდა, მერე კი ქითის მეგობრული, მომხიბლავი თვალები მიაპყრო და უთხრა: — ერთი-ორი დღე, სანამ დაისვენებთ, არ შეგაწუხებთ, მერე კი მინდა საქმეზე მოგელაპარაკოთ.

— მე?

— თქვენი სახლისა და ავეჯის საქმე უნდა მოვაგვაროთ.

— ოჰ, მაგრამ მე შემიძლია ვექილთან წავიდე. არ მესმის, რატომ უნდა შეგაწუხოთ ამაზე.

— ერთი წუთითაც არ იფიქროთ, იურიდიულ საქმეებზე ფული დაგახარჯვინოთ. მე თვითონ მოვაგვარებ ყველაფერს. ხომ იცით, პენსია დაგენიშნებათ: მინდა მის აღმატებულებას მოველაპარაკო ამის თაობაზე და ვნახო, შევძლებთ თუ არა დამატებით დაგინიშნოთ რაიმე, თუ საჭირო განცხადებას წარვადგენთ. ეს საქმე მე მომანდეთ. მაგრამ ჯერ ნურაფერზე შეწუხდებით. ახლა უნდა დაისვენოთ და მოღონიერდეთ, ხომ ასეა, დოროთი?

— რა თქმა უნდა.

ჩარლიმ ოდნავ დაუკრა ქითის თავი და, ცოლს რომ ჩაუარა, ხელზე აკოცა. ინგლისელების უმრავლესობა ცოტა არ იყოს სასაცილოდ გამოიყურება, როცა ქალს ხელზე ჰკოცნიან, მაგრამ ჩარლის ეს მოხდენილად გამოუვიდა.

## LXXIV

სანამ ქითი მკვიდრად არ დაბინავდა თაუნსენდებთან, გადაღლილობა ვერც იგრძნო. სიმყუდროვემ და უჩვეულოდ თავაზიანმა მოპყრობამ გაუნელა ის დაძაბულობა, აქამდე რომ გრძნობდა. თურმე გადაავიწყდა, რა სასიამოვნოა განცხრომა, რა დამამშვიდებლად მოქმედებს შენ ირგვლივ ლამაზი ნივთები, რა საამოა შენდამი ყურადღება. შვების ოხვრით მიეცა მდიდრული აღმოსავლური ყოფის საამურ ცხოვრებას. სულაც არ აწუხებდა იმის შეგრძნება, რომ ჭკვიანური და თავაზიანად გამოვლენილი თანაგრძნობის საგანი გახდა. ვინაიდან მძიმე დანაკარგი სულ ახლახან გადაიტანა, ქითისთვის საღამოების მოწყობა არ შეიძლებოდა, მაგრამ კოლონიის წარჩინებული ქალბატონები (მისი აღმატებულების, ადმირალისა და მთავარი მოსამართლის მეუღლენი) ნახულობდნენ ხოლმე და მშვიდად შეექცეოდნენ ჩაის. გუბერნატორის მეუღლემ უთხრა, მის აღმატებულებას ძალიან უნდა თქვენი ნახვა და, თუ მთავრობის

სახლში საუზმეზე მობრძანდებით („რა თქმა უნდა, წვეულება არ იქნება, მხოლოდ ჩვენ ვიქნებით და პირადი ადიუტანტები!“), ძალიან კარგი იქნებაო.

ეს ქალბატონები ისე ექცეოდნენ ქითის, თითქოს ძვირფასი, ნაზი ფაიფურის ნივთი ყოფილიყო. ქითის ისინი პატარა გმირად თვლიდნენ. მას კი საკმაო იუმორი გააჩნდა, ეს როლი მართებულად და ჭკვიანურად თამაშობდა. ხანდახან ნატრობდა, უედინგთონიც იქ ყოფილიყო; გამჭრიახი გონების წყალობით იგი ადვილად შეამჩნევდა ამ ამბის მთელ კომიზმს; მარტოდ დარჩენილები კი გულიანად იცინებდნენ ამაზე. დოროთის უედინგთონისაგან წერილი მიეღო, სადაც იგი მონასტერში ქითის თავდადებულ მუშაობაზე, სიმამაცესა და ამტანობაზე წერდა. რა თქმა უნდა, უედინგთონი მარჯვედ ასულელებდა მათ: ის ქოფაკი, ისა.

## LXXV

ქითიმ არ იცოდა, შემთხვევით იყო თუ განზრახ, ჩარლისთან რომ წუთითაც არ რჩებოდა მარტო. ჩარლი საოცრად თავდაჭერილი ჩანდა. ქითის კვლავ კეთილად, თანაგრძნობით, თავაზიანად და გულთბილად ეპყრობოდა. არავის მოუვიდოდა აზრად, ოდესმე თუ ერთმანეთისათვის იმაზე უფრო ახლობლები იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ნაცნობები. მაგრამ ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ქითი თავისი ოთახის გარეთ დივანზე იწვა, ჩარლიმ აივანზე გაიარა და შეჩერდა.

— რას კითხულობ? — ჰკითხა ქითის.

— წიგნს.

ქითიმ დამცინავად შეხედა. ჩარლის გაეღიმა:

— დოროთი მთავრობის სახლის ბაღში წვეულებაზე წავიდა.

— ვიცი. რატომ შენც არ წახვედი?

— ვიცოდი, იქ ვერ გავძლებდი, ვიფიქრე, შინ დავბრუნდები და ქითისთან ვიქნები-მეთქი. მანქანა გარეთ დგას, ხომ არ გაგვესეირნა კუნძულის გარშემო?

— არა, გმადლობთ.

ჩარლი დივანზე ფერხთით ჩამოუჯდა.

— როცა აქ ხარ, საშუალება არ მოგვცემია გველაპარაკა.

ქითიმ ცივი ქედმაღლობით შეხედა თვალებში.

— გგონია, რაიმე გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი?

— უამრავი.

ქითიმ ფეხები მოინაცვლა, ჩარლის რომ არ შეხებოდა.

— კიდევ მიბრაზდები? — ჩარლის ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და თვალები აუციმციმდა.

— სულაც არა, — გაიცინა ქითიმ.

— არ მგონია გაგეცინა, რომ არ მიბრაზდებოდე.

— ცდები. იმდენად მეზიზღები, აღარ გიბრაზდები.

ჩარლის წარბიც არ შეუხრია.

— მე მგონი, ცოტა მკაცრად მეპყრობი. გულწრფელად მითხარი, მშვიდად რომ გაიხსენო ყველაფერი, ხომ ხვდები, მართალი რომ ვიყავი?

— შენი თვალსაზრისით კი.

— ახლა, როცა დოროთი ახლოს გაიცანი, ხომ მიხვდი, რა კარგი ქალია.

— მართალია. მისი ყოველთვის მადლიერი ვიქნები, ისეთი სიკეთე გამოიჩინა ჩემდამი.

— ასეთ ადამიანს იშვიათად შეხვდები. მოსვენებას დავკარგავდით, რომ გავქცეულიყავით. ეს ბოროტება იქნებოდა. სხვა რომ არა, შვილებზე რომ უნდა მეფიქრა; ეს ამბავი ძალიან შეუშლიდათ ხელს.

წამით ქითი ჩაფიქრებული უყურებდა. მდგომარეობის ნამდვილ ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს.

— მთელი კვირა, რაც აქ ვარ, დიდი ყურადღებით გადევნებდი თვალს. დავრწმუნდი, რომ დოროთი მართლა გყვარებია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ამის უნარი თუ გქონდა.

— ხომ გითხარი, მიყვარს-მეთქი. იოტისოდენ უსიამოვნებასაც ვერ მივაყენებ. უკეთეს ცოლს კაცი ვერც ინატრებს.

— იმაზე არასოდეს გიფიქრია, რომ ერთგულება გმართებს მისი?

— ადამიანი არ დაგიდევს იმას, რასაც თვალი ვერ ხედავს, — გაეღიმა ჩარლის.

ქითიმ მხრები აიჩეჩა.

— აუტანელი ხარ.

— მე ადამიანი ვარ. არ მესმის, რატომ უნდა ჩამთვალო პირუტყვად, რახან ასე ძალიან შემიყვარდი. ხომ იცი, ფეხს რომ ვითრევდი.

ამის გაგონებაზე ქითის გული შეეკუმშა.

— თურმე მე გაიძულე, — მიუგო მწარედ.

— რას ვიფიქრებდი, თუ ასეთ საშინელ ხათაბალაში გავებმებოდით.

— ყოველ შემთხვევაში ის კი გონივრულად განსაჯე, თუ ვინმე დაზარალდებოდა, ეს შენ არ უნდა ყოფილიყავი.

— მე მგონი, ამაზე ლაპარაკი ჭკვიანური არაა. ბოლოს და ბოლოს ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, უნდა მიხვდე, რომ ისე მოვიქეცი, როგორც ჩვენ ორივესთვის აჯობებდა. შენ თავგზა დაკარგე, უნდა გიხაროდეს, რომ მე მაინც შევინარჩუნე გონიერება. როგორ გგონია, კარგი იქნებოდა, ისე მოვქცეულიყავი, როგორც მთხოვდი? კი, ცხელ ტაფაზე ვიხრაკებოდით, მაგრამ უარესი იქნებოდა, ცეცხლში რომ გადავმხტარიყავით. თან შენ არაფერი დაგშავებია. რა მოხდება, ერთმანეთს ვაკოცოთ და მეგობრებად დავრჩეთ?

ქითის კინაღამ გაეცინა.

— არ გეგონოს, დამავიწყდა, სინდისის ქენჯნის გარეშე რომ გამისტუმრე და უეჭველი სიკვდილის ხახაში ჩამაგდე.

— ოჰ, რა სისულელეს ლაპარაკობ. აკი გითხარი, თუ ფრთხილად მოიქცევი, საშიში არაფერია-მეთქი. როგორ გგონია, გაგიშვებდი, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი ამ ამბავში?

— იმიტომ იყავი დარწმუნებული, რომ ასე გინდოდა ყოფილიყავი. შენ მხდალი ხარ და ყოველთვის იმას ფიქრობ, რაც შენთვის ხელსაყრელია.

— ჰაშნიკი თუ არ გაუსინჯე, გემოს ვერ გაიგებ. როგორც ხედავ, დაბრუნდი. და, თუ არ გამიჯავრდები, გეტყვი, რომ ახლა უფრო ლამაზიც კი ხარ.

— უოლტერი?

ჩარლის გაეღიმა, ეტყობა, რაღაც მხიარულმა ფიქრმა გაჰკრა თავში.

— არაფერი გხატავს ისე, როგორც შავი.

ქითი მიაჩერდა. თვალები ცრემლით აევსო და ატირდა. მშვენიერი სახე მწუხარებამ დაუმანჭა .არც უცდია ამის დამალვა, ხელებჩამოშვებული ზურგზე იწვა.

— ღვთის გულისათვის, ნუ ტირი. ცუდად გამიგე, გეხვეწები. ხომ იცი, როგორ გულწრფელად თანაგიგრძნობ მძიმე დანაკარგის გამო.

— ოჰ, გააჩერე ეგ სულელი ენა.

— არაფერს დავიშურებდი, რომ შემეძლოს უოლტერის უკან დაბრუნება.

— ის ჩვენ მოვკალით.

ჩარლიმ მისი ხელი აიღო, მაგრამ ქითიმ გამოსტაცა.

— ძალიან გთხოვ, წადი, — ამოისლუკუნა, — ახლა მხოლოდ ეს სიკეთე შეგიძლია გამიკეთო. მეჯავრები და მეზიზღები. უოლტერი ათ შენისთანა კაცად ღირდა, მე კი დიდი სულელი ვიყავი, ეს რომ ვერ დავინახე. წადი. გამშორდი.

ქითიმ დაინახა, რომ ჩარლი რაღაცის თქმას აპირებდა, ფეხზე წამოხტა და თავის ოთახში შევარდა. ჩარლი უკან მიჰყვა და ოთახში შესვლისას ქვეშეცნეულად მიხურა დარაბა. ასე რომ, სრულ სიბნელეში აღმოჩნდნენ.

— ასე ვერ დაგტოვებ, — უთხრა და მკლავები მოჰხვია. — ხომ იცი, არ მინდოდა შენი გულისტკენა.

— არ მომეკარო. ღვთის გულისათვის, წადი, მომშორდი.

ქითიმ მის მკლავებიდან თავის დაღწევა სცადა, მაგრამ ჩარლიმ არ გაუშვა. ქითი ახლა ისტერიულად ტიროდა.

— ძვირფასო, ხომ იცი, სულ მუდამ მიყვარდი, — უთხრა ჩარლიმ მომხიბლავი, მჟღერი ხმით, — ასე არასოდეს მყვარებიხარ.

— როგორ ლაპარაკობ ასეთ ტყუილებს. გამიშვი. ეშმაკსაც წაუღიხარ, გამიშვი.

— ნუ მექცევი ასე ბოროტად, ვიცი, უხეში ვიყავი, მაგრამ მაპატიე.

ქითის მთელი ტანი უცახცახებდა ქვითინისაგან, თავის დაღწევას ლამობდა, მაგრამ ჩარლის შემოჭდობილი მკლავები საოცრად დამამშვიდებელი იყო. ო, როგორ ნატრობდა ხოლმე ერთხელ კიდევ ეგრძნო თავის გარშემო მისი მკლავები, მხოლოდ ერთხელ. მთელი სხეულით კანკალებდა. ისე მოეშვა და მოდუნდა, თითქოს ძვლები დაურბილდაო. ახლა უკვე უოლტერი კი არა, საკუთარი თავი ეცოდებოდა.

— ოჰ, რატომ მექცევი ასე ბოროტად? — ქვითინებდა. — ხომ იცი, რომ მთელი არსებით მიყვარდი? ჩემსავით არავის ჰყვარებიხარ.

- - საყვარელო.

ჩარლიმ კოცნა დაუწყო.

— არა, არა, — შეჰყვირა ქითიმ.

ჩარლის სახეზე უნდოდა ეკოცნა, მაგრამ ქითიმ თავი მიაბრუნა; მერე ჩარლიმ მის ტუჩებს დაუწყო ძებნა; ქითის არ ესმოდა ის ვნებიანი სიტყვები, ჩარლი ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ წარმოთქვამდა. ისე მაგრად ეჭირა მკლავებში, ქითიმ თავი გზააბნეულ ბავშვად იგრძნო, შინ, სამშვიდობოს რომ დაბრუნდა, სუსტი კვნესა აღმოხდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, სახე ცრემლებით დასველებოდა. ჩარლიმ მისი ტუჩები იპოვა და ზედ დააკვდა. სხეულში თითქოს ღვთაებრივმა ცეცხლმა დაუარა ქითის. ეს აღტყინება იყო, ქითი დაიფერ-

ფლა, ამ ცეცხლმა თითქოს გარდაქმნა. ოცნებებში თუ უგრძვნია სიყვარუ-ლის ასეთი ალტყინება. ეს რა უქნა ჩარლიმ? ის აღარ იყო, მისი პიროვნება გაქრა, ის მხოლოდ სურვილი იყო. ჩარლიმ ხელში აიტაცა, ქითი ბუმბულივით მსუბუქი იყო მის მკლავებში, იგი ჩარლის მიეკრა, გონებაარეული და სიყვა-რულით ავსილი; თავი ბალიშზე დაუვარდა და ჩარლი მის ტუჩებს დაეწაფა.

ბიბლიოთეკა

## LXXVI

ქითი საწოლის კიდეზე იჯდა და სახე ხელებში დაემალა.

— წყალი ხომ არ გინდა?

ქითიმ თავი გააქნია. ჩარლი პირსაბანთან მივიდა, ჭიქა წყლით გაავსო და მოუტანა.

— ცოტა მოსვი და უკეთ გახდები.

ჭიქა პირთან მიუტანა და ქითიმ წყალი მოსვა. მერე შიშჩამდგარი თვალე-ბით მიაჩერდა. ჩარლი ზემოდან დაჰყურებდა და თვალები თვითკმაყოფილე-ბით უციმციმებდა.

— ახლაც ფიქრობ, რომ არამზადა ვარ? — ჰკითხა.

ქითიმ თვალები დახარა.

— კი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ არც მე ვარ შენზე უკეთესი. ოჰ, როგორ მრცხვენია.

— მგონი, ძალიან უმადური ხარ.

— არ წახვალ ახლა?

— სიმართლე გითხრა, მართლა დროა. წავალ და მოვწესრიგდები, სანამ დოროთი არ დაბრუნებულა.

ჩარლი ლაღი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ქითი ერთხანს გამოთაყვანებული, მოკუნტული იჯდა საწოლის კიდეზე. გონება დაფანტვოდა. ჟრუოლამ დაუარა. ძლივს წამოდგა ფეხზე, ტუალეტის მაგიდასთანთან მივიდა და სკამზე დაეშვა. სარკეში თავის თავს მიაჩერდა. ტირილისაგან თვალები დასიებოდა; სახე აჭრელებოდა, ის ლოყა, რომელზე-დაც ჩარლის ლოყა ეხუტებოდა, აჭარხლებოდა. შიშით უყურებდა თავის თავს. არა, არ შეცვლილიყო, ეგონა კი, ზედ გახრწნილების რაღაც დაღი და-აჩნდებოდა.

— ღორო, — მიაძახა თავის თავს, — ღორო.

მერე კი სახე ხელებში ჩარგო და მწარედ ატირდა. ვაი, სირცხვილო, სირცხვილო! ეს რა დაემართა, ეს რა საშინელება დაემართა. ჩარლიც სძაგდა და საკუთარი თავიც.

ალტყინება! ოჰ, რა საძაგლობაა! როგორ გამართლდა ჩარლი. გასამტყუ-ნარი არ ყოფილა, ცოლად რომ არ შეირთო ქითისთანა საძაგელი არსება; განა რითი სჯობია მეძავ ქალებს, მათზე უარესიც კია, რადგან ის საცოდავები ლუკმა-პურისათვის ჰყიდიან სხეულს. თანაც იმ სახლში მოხდა ეს ამბავი, სადაც დოროთიმ შეიფარა დამწუხრებული და მიუსაფარი! ქვითინისაგან მხრები უცახცახებდა. ახლა ყველაფერი წყალში ჩაეყარა. ეგონა, შეიცვალა, მტკიცე, ურყევი გახდა, ეგონა, ჰონგ-კონგში სულ სხვა ქალად დაბრუნდა, რო-მელიც თავის თავს თვითონ ეკუთვნოდა. გულსა და სულში ახალი ფიქრები

აშლოდა, პატარა ყვითელი პეპლებივით მზის სინათლეში რომ ფარფატებენ, იმედოვნებდა, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესი გახდებოდა; თავისუფლება უწმინდესი ნათელივით უხმობდა, სამყარო კი დიდ, გაშლილ ველად ესახებოდა, რომელზედაც თავაწეული მსუბუქად ივლიდა. ეგონა, გათავისუფლდა მრუშ, ბიწიერ ვნებათაგან, ფიქრობდა უკვე მზად იყო სპეტაკი და ჯანსაღი სულიერი ცხოვრებისათვის. თავს თეთრ წეროს ამსგავსებდა, მოსაღამოებულზე ნელა რომ გადაუფრენს ხოლმე ბრინჯის ყანას, ვით დამშვიდებული გონების ზეაღვლენილი ფიქრები. ის კი თურმე ფეხის მტვერი ყოფილა. უღონო, სუსტი! ამის გამოსწორება არც შეიძლებოდა, ვერც გამოასწორებდა, მეძავი, მრუში ყოფილა.

სადილზე ვერ ავიდოდა. ბიჭი გაგზავნა და დოროთის შეუთვალა, თავი მტკივაო. თავის ოთახში დარჩა. დოროთიმ მოაკითხა, მისი ნამტირალევი და დასიებული თვალები რომ დაინახა, სინაზითა და თანაგრძნობით გამსჭვალულმა, ერთხანს რაღაც წვრილმანებზე გაუბა ლაპარაკი. ქითიმ იცოდა, რომ დოროთის ეგონა, ქითი უოლტერს დასტიროდა და, როგორც კარგი და მოყვარული ცოლი, თანაუგრძნობდა, აფასებდა ამ ბუნებრივ მწუხარებას.

— ვიცი, ძალიან მძიმეა, ძვირფასო, — უთხრა წასვლისას. — მაგრამ უნდა გამხნევდეთ. დარწმუნებული ვარ, თქვენს საყვარელ მეუღლეს არ ენდომებოდა, დარდს ასე მისცემოდით.

## LXXVII

მეორე დილას ქითი ადრე ადგა, დოროთის წერილი დაუტოვა, საქმეზე მივდივარო, ტრამვაიში ჩაჯდა და გორაკიდან დაეშვა. გაჭედილ ქუჩებში, სადაც ავტომობილის, რიქშებისა და ტახტრევანდების ტევა არ იყო და ჭრელ ნაკადად მოედინებოდნენ ევროპელები და ჩინელები, პენინსულასა და ორიენტალის კომპანიის შენობებისაკენ გაიკვლია გზა. პირველი გემი ნავსადგურიდან ორ დღეში გადიოდა და ქითიმ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ამ გემით წასულიყო. როცა კლერკმა უთხრა, ყველა ადგილი დაკავებულიაო, ქითიმ მთავარი აგენტის ნახვა ითხოვა და შეუთვალა, ვინც იყო. აგენტი, რომელსაც ადრეც შეხვედროდა, გამოვიდა და თავის კაბინეტში შეიყვანა, მან იცოდა ქითის ამბავი. ქითიმ რომ უთხრა, რაც უნდოდა, მგზავრების სია მოატანინა და დაბნეულმა ჩათვალიერა.

— გემუდარებით, რითაც შეგიძლიათ, დამეხმარეთ, — დაჟინებით სთხოვდა ქითი.

— კაცი არ მეგულება კოლონიაში, ვინც თქვენი გულისთვის ყველაფერს არ გააკეთებდა, მისის ფეინ, — მიუგო მან. მერე კლერკი იხმო, რაღაც ჰკითხა და თავი დააქნია.

— ერთ-ორ კაცს სხვაგან გადავიყვან. ვიცი, შინ დაბრუნება გინდათ და თქვენთვის ყველაფერი უნდა ვიღონო. პატარა კაიუტას მოგცემთ, სადაც მარტო იქნებით, ალბათ ასე გირჩევნიათ.

ქითიმ მადლობა გადაუხადა და გახარებული წამოვიდა. უნდა გაიქცეს! უნდა გაიქცეს! მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. მამას დეპეშა გაუგზავნა და შეუთვალა, რომ დაუყოვნებლივ მოემგზავრებოდა; ერთი დეპეშა უკვე გაგზავ-

ნილი ჰქონდა, სადაც უოლტერის სიკვდილს ატყობინებდა; ამის შემდეგ თაუნსენდებთან დაბრუნდა, რათა დოროთისათვის ეთქვა, რასაც აპირებდა.

— ჩვენთვის ძალიან მძიმე იქნება თქვენთან განშორება, — უთხრა ამ კეთილმა ქალმა, — რა თქმა უნდა, მესმის, რომ დედ-მამასთან უკეთ ყოფნა.

რაც ჰონგ-კონგში დაბრუნდა, ქითის თავის სახლში მისვლა ვერ გაებედა. ეშინოდა იქ შესვლისა და იმ მოგონებების აშლისა, იქ რომ ბუდობდა. მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა. თაუნსენდმა ავეჯის გაყიდვის საქმე მოუგვარა, ბინის დაქირავების მსურველებიც იპოვა, მაგრამ რჩებოდა კიდევ ქითისა და უოლტერის ტანსაცმელი, მეი-ტან-ჰუში რომ გამოუსადეგარი იყო, წიგნები, ფოტოსურათები და სხვადასხვა წვრილმანი. ქითი, რომელიც ყველაფერს გულგრილად უყურებდა და წარსულთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა სურდა, მიხვდა, რომ ამ საგნების სხვებთან ერთად აუქციონზე გაგზავნით კოლონიას გაანაწყენებდა. ისინი უნდა შეეფუთათ და მისთვის გაეგზავნათ. ამგვარად, საუზმის შემდეგ ქითი თავის სახლში წასასვლელად მოემზადა. დოროთიმ დახმარება შესთავაზა, უთხრა, გაგყვებითო, მაგრამ ქითიმ მარტო წასვლა ისურვა, მხოლოდ იმაზე დათანხმდა, დოროთის ორი მსახური ბიჭი გაჰყოლოდა და ბარგის ჩალაგებაში მიშველებოდნენ.

სახლს მთავარი მსახური მეთვალყურეობდა. მან ქითის კარი გაუღო. რა უცნაურია ,რომ ქითი საკუთარ სახლში უცხოსავით შედის. ირგვლივ სისუფთავე სუფევდა. ყველაფერი თავის ადგილზე იდგა და თითქოს მას ელოდა; და თუმცა თბილი და მზიანი დღე იყო, ოთახებში, სადაც დუმილს დაესადგურებინა, ციოდა. სახლი მიტოვებულს ჰგავდა. ავეჯი ზუსტად ისე დაეწყოთ, როგორც უნდა მდგარიყო. ვაზებისთვისაც, სადაც ყვავილები უნდა ყოფილიყო, თავის ადგილი მიეჩინათ. წიგნი, რომელიც ქითის აღარც ახსოვდა, როდის დადო გადმობრუნებული, ისევ ისე იდო. სახლი თითქოს მხოლოდ ერთი წუთის წინ დაეტოვებინათ, მაგრამ ეს წუთი მარადიული გამხდარიყო. ვერც წარმოიდგენდი, თუ ამ სახლში ოდესმე კვლავ გაიგონებდი ლაპარაკსა და სიცილს. პიანინოზე ფოქსტროტის გადაშლილი ნოტები თითქოს დამკვრელს ელოდა, მაგრამ ასე გეგონა, კლავიშებზე თითი რომ დაგეკრა, ხმას არ გამოსცემდნენ. უოლტერის ოთახი ისევე სუფთად გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა იქ ცხოვრობდა. კამოდზე ქითის ორი დიდი ფოტოსურათი იდგა, ერთზე საგარეო კაბა ეცვა, მეორეზე — საქორწინო.

მსახურებმა სკივრები მოიტანეს და ქითიც უყურებდა, რა კოხტად და სწრაფად აწყობდნენ შიგ ბარგს. ორ დღეში, რომელიც მას აქვს, მართლა ყველაფერს ადვილად მოაგვარებდა. ოღონდაც ფიქრის ნება არ უნდა მისცეს თავს; ამისთვის არც სცალია. უეცრად ზურგს უკან ნაბიჯების ხმა შემოესმა, მობრუნდა და ჩარლი თაუნსენდი დაინახა. ქითის თითქოს უეცრად გული გაეყინა.

— რა გინდა? — ჰკითხა.

— წამომყევი სასტუმრო ოთახში .რაღაც მაქვს სათქმელი.

— არ მცალია.

— მხოლოდ ხუთი წუთით.

ქითის აღარაფერი უთქვამს, მსახურებს უბრძანა, საქმე განაგრძეთო, და ჩარლის მეზობელ ოთახში შეუძღვა. არ დამჯდარა, რათა ეგრძნობინებინა

მისთვის, ვფიქრობ, დიდხანს არ დამაკავებო. იცოდა ,სახეზე ფერი რომ არ ედო, გულიც გამალებით უცემდა, მაგრამ ცივი, მტრული თვალებით უყურებდა.

— რა გინდა?

— ახლახან გავიგე დოროთისაგან, რომ ზეგ მიდიხარ. მითხრა, რომ აქ წამოხვედი ბარგის ჩასალაგებლად და მთხოვა დამერეკა და მეკითხა, რაიმეში ხომ არ გჭირდები.

— მადლობელი ვარ, მაგრამ ჩემითაც როგორმე მოვახერხებ.

— მეც ასე ვიფიქრე. მაგის საკითხავად არც მოვსულვარ. მინდა გკითხო, შენი უეცარი წასვლა იმ ამბავმა ხომ არ გამოიწვია, რაც გუშინ მოხდა.

— შენ და დოროთი ძალიან კეთილი იყავით ჩემ მიმართ. არ მინდა იფიქროთ, რომ თქვენს სიკეთეს ბოროტად ვიყენებ.

— ეს არაა პირდაპირი პასუხი.

— რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის?

— დიდი მნიშვნელობა აქვს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემმა საქციელმა გაიძულა წასულიყავი.

ქითი მაგიდასთან იდგა. თვალები დახარა და „სკეტჩი“ დაინახა. ის უკვე რამდენიმე თვის წინანდელი იყო. ამ გაზეთს მისჩერებოდა უოლტერი იმ საშინელ საღამოს, როცა — ახლა კი უოლტერი... მან თავი ასწია.

— ყოვლად ზნედაცემულ ქალად ვგრძნობ თავს. ალბათ შენც არ გეზიზღები ისე, როგორც მე მძაგს საკუთარი თავი.

— მაგრამ მე არ მეზიზღები. გუშინ რაც გითხარი, ყველაფერი სიმართლე იყო. რა საჭიროა ასე გაქცევა? არ მესმის, რატომ არ შეიძლება კარგი მეგობრები ვიყოთ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, თუ გგონია, ცუდად მოგეპყარი.

— რატომ არ დამტოვებ მარტო?

— მორჩი, ხე ხომ არ გგონივარ ან ქვა. ძალიან უჭკუოდ უყურებ ამ ამბავს; ეს დამამცირებელია. გუშინდელი დღის შემდეგ მეგონა, გული მოგიბრუნდებოდა ჩემზე. ბოლოს და ბოლოს ადამიანები არა ვართ?

— მე არ ვგრძნობ თავს ადამიანად. ცხოველი მგონია თავი, ღორი, კურდღელი ან ძაღლი. არა, შენ არ გადანაშაულებ, მეც შენსავით ცუდი ვიყავი. იმიტომ დაგნებდი,რომ მინდოდი. მაგრამ ეს მე არ ვიყავი. იმ საძაგელ, იმ ავხორც ქალს მე არ ვიცნობ. მე არ ვწოლილვარ იმ საწოლზე და არ მიკვნესია შენი სიყვარულით, როცა ჩემი ქმარი ჯერაც არ გაცივებულა სამარეში, შენი ცოლი კი ასეთი კეთილი იყო ჩემ მიმართ, ენით აუწერლად კეთილი. ეს იყო მხოლოდ ჩემში ჩასახლებული ცხოველი, ბნელი, უწმინდური და შიშისმომგვრელი. მე არ ვცნობ მას, მძულს, მეზიზღება. მას შემდეგ, როცა ამაზე ვფიქრობ, ყელში რაღაც მაწვება და ლამის წამალებინოს.

ჩარლიმ წარბები შეჭმუხნა და შეცბუნებით ჩაიცინა.

— საკმაოდ გონებაგახსნილი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რაღაცებს იტყვი ხოლმე, შიში მიპყრობს.

— ვწუხვარ, ახლა ჯობია წახვიდე. შენ ერთი უმაქნისი კაცუნა ხარ და მეც სულელი ვარ, მართალი გულით რომ გელაპარაკები.

ჩარლის ერთხანს ხმა არ გაუცია, ცისფერ თვალებში რაღაც ჩრდილი ჩაუდგა და ქითი მიხვდა, რომ გაბრაზდა. რა შვებით ამოისუნთქებს ალბათ, [illegible] ჩვეული თავაზიანობით ბოლოს და ბოლოს გააცილებს. ქითი

გაამხიარულა იმის გაფიქრებამ, რა ზრდილობიანად გადაუხდის თვითონაც მადლობას სტუმართმოყვარეობისათვის, როცა ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და ჩარლი ბედნიერ მგზავრობას უსურვებს. მაგრამ დაინახა, რომ ჩარლის გამომეტყველება შეეცვალა.

— დოროთიმ მითხრა, თურმე ბავშვს ელოდები, — უთხრა მან.

ქითიმ იგრძნო, რომ წამოწითლდა, მაგრამ არ განძრეულა, თავი არ გაუცია.

— მართალია.

— შემთხვევით მე ხომ არა ვარ მამა?

— არა. არა. ეს უოლტერის შვილია, — თავი ვერ შეიკავა და ხაზგასმით თქვა ქითიმ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ მისი კილო დამაჯერებლად არ ჟღერდა.

— დარწმუნებული ხარ? — ჩარლი ახლა ონავრულად იღიმებოდა. — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი წელი იყავი უოლტერის ცოლი და არაფერი მომხდარა. დრო ზუსტად ემთხვევა. მგონი, უფრო ჩემი უნდა იყოს, ვიდრე უოლტერის.

— უწინამც თავს მოვიკლავ, ვიდრე შენგან შვილს ვიყოლიებ.

— ოჰ, მორჩი სისულელეებს. ძალიან მესიამოვნებოდა და სიამაყით აღვივსებოდი. იცი, გოგო მინდა იყოს. დოროთისთან მხოლოდ ბიჭები მყავს. ხომ იცი, ეჭვი დიდხანს არ გაგყვება. სამივე ბიჭი გაჭრილი ვაშლივით მგავს.

ჩარლი ისევ კარგ გუნებაზე დადგა და ქითი მიუხვდა მიზეზს. თუ ბავშვი მისი იყო, თუნდაც ქითიმ ვეღარასოდეს ნახოს, მაინც ვეღარ გაექცევა, მაინც ექნება ქითზე ძალა და მისი ცხოვრების ყოველ დღეზე გარკვეულ გავლენას იქონიებს.

— შენ მართლა ყველაზე პატივმოყვარე და ბრიყვი ვირი ხარ, ვისაც კი ჩემდა სავალალოდ ოდესმე შევხვედრივარ, — უთხრა ქითიმ.

## LXXVIII

გემი მარსელში რომ შევიდა, ქითიმ, მზით გაბრწყინებულ უსწორმასწორო, ლამაზ ნაპირს რომ გაჰყურებდა, უეცრად თვალი მოჰკრა წმინდა ქალწულის მოოქრულ ქანდაკებას, რომელიც თავს დაჰყურებდა სენ მარი დე ლა გრასის ეკლესიას, როგორც ზღვაში გასული მეზღვაურის მფარველი სიმბოლო. გაახსენდა, როგორ დაიჩოქეს მეი-ტან-ჰუს მონასტრის დებმა, სამუდამოდ რომ ეთხოვებოდნენ სამშობლოს, როცა ქანდაკება თანდათან განიმქრა სივრცეში და მხოლოდ პატარა ოქროსფერ სხივად კიაფობდა ლურჯი ცის ფონზე, როგორ ეძიებდნენ ლოცვაში განშორების ტკივილის სალბუნს. ქითიმ მუდარით მიადო ხელისგულები ერთმანეთს, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა ძალას ევედრებოდა.

ამ ხანგრძლივი, წყნარი მოგზაურობის დროს სულ იმ საშინელებაზე ფიქრობდა, რაც მას გადახდა. საკუთარი თავისა თვითონაც ვერ გაეგო. მისთვის ეს დიახაც მოულოდნელი იყო. რა ეშმაკი შეუჩნდა, ასეთი ვნებით რომ დანებდა ჩარლის ბილწ ხვევნა-კოცნას, თუმცა ჩარლი მთელი არსებით ეზიზღებოდა და სძაგდა. გაცეცხლებულს საკუთარი თავიც ეჯავრებოდა. გრძნობ-

და, რომ ამ დამცირებას ვერასოდეს დაივიწყებდა. ტიროდა, მაგრამ რაც უფრო შორდებოდა ჰონგ-კონგს, მისი აღშფოთება თანდათან კარგავდა ძალას და სიცხადეს. ის, რაც თავს გადახდა, თითქოს სხვა სამყაროში მომხდარიყოს. იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც უეცრად გაგიჟდა, განკურნების შემდეგ კი შემცბარი და დარცხვენილია იმის ბუნდოვნად გახსენებისას, რა სისულელეებს ჩადიოდა, როცა თავის თავს არ ეკუთვნოდა. მაგრამ რადგან მაშინ თავის თავს არ ეკუთვნოდა, მაშასადამე, საკუთარ თვალში მაინც შეუძლია თავი გაიმართლოს. იქნებ ვინმე კეთილშობილი გულის პატრონმა შეიბრალოს და არ დაგმოს. ამოიოხრა, როცა გაიფიქრა, რა საშინლად შეერყა საკუთარი თავის რწმენა. ადრე მის წინაშე თითქოს ლარივით სწორი და ადვილად დასაძლევი გზა იყო გადაჭიმული, ახლა კი ხედავდა, რომ ეს გზა აქე-იქეთ უხვევდა და ყველგან მახეები იყო დაგებული. უკიდეგანო სივრცე და ინდოეთის ოკეანის სულის შემძვრელი მშვენიერი დაისები ამშვიდებდა. ასე ეგონა, ისეთ ქვეყანაში მიდიოდა, სადაც საკუთარი სულის ბატონ-პატრონი თვითონვე იქნება. ოღონდ კი შეძლოს საკუთარი ღირსების გრძნობა დაიბრუნოს, თუნდაც შეურიგებელი ბრძოლის ფასად. იმდენი ძალა კი უნდა გამონახოს, რომ თვალი გაუსწოროს ამ ამბავს.

მომავალი, რომელიც მხოლოდ სიმარტოვეს უქადდა, ადვილი არ იქნებოდა. პორტ-საიდში დედისაგან წერილი მიიღო თავისი დეპეშის პასუხად. ეს გრძელი უსტარი მსხვილი, უცნაური ხელით იყო ნაწერი, ასეთ წერას ასწავლიდნენ ალბათ ყმაწვილ ქალებს დედამისის ახალგაზრდობაში. წერილს ისეთი ღვლარჭნილი ხვეულები ამშვენებდა, არაგულწრფელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისის გარსთინი სინანულს გამოთქვამდა უოლტერის სიკვდილის გამო და ქალიშვილის მწუხარებას ჯეროვნად იზიარებდა. — შიშობდა, ვაითუ ქითი არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა კოლონიის ხელისუფლება, ცხადია, პენსიას დაუნიშნავდა. უხარია, ქითი რომ ინგლისში ბრუნდება, რა თქმა უნდა, დედ-მამასთან იცხოვრებს. სანამ ბავშვი გაჩნდება. ამას მოსდევდა გარკვეული რჩევა-დარიგებები, რომლებიც ქითის აუცილებლად უნდა შეესრულებინა და მისი დის, დორისის, მშობიარობის სხვადასხვა წვრილმანი. პატარა ბიჭი ამდენსა და ამდენს იწონიდა და ბაბუა, მამის მხრიდან ამბობდა, ასეთი კარგი ბავშვი არ მინახავსო. დორისი ისევ ბავშვს ელოდა და იმედოვნებდნენ, კიდევ ბიჭი გაჩნდებოდა, რათა ბარონეტობის მემკვიდრეობა უეჭველი გამხდარიყო.

ქითი მიხვდა, რომ წერილი მიპატიჟების გარკვეულ ვადას გულისხმობდა. მისის გარსთინს სულაც არ სურდა დაქვრივებული ქალიშვილი ტვირთად დასწოლოდა. როცა ქითი იხსენებდა, როგორ აღმერთებდა მას დედა, უცნაურად ეჩვენებოდა, იმედგაცრუებულს ახლა რომ შვილი მხოლოდ ხელის შემშლელად მიაჩნდა. რა უცნაურია მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება! როცა ისინი პატარები არიან, მშობლებს მზე და მთვარე მათზე ამოსდით; ავად რომ ხდებიან, აუწერელი შიში და ავი წინათგრძნობა ეუფლებათ, შვილებიც სიყვარულით ეტმასნებიან და ეთაყვანებიან მშობლებს; გადის რამდენიმე წელი, ბავშვები წამოიზრდებიან და სულ უცხო, სულ სხვა გვარის ადამიანები ხდებიან უფრო საჭირონი მათი ბედნიერებისათვის, ვიდრე დედმამა. წარსულის ბრმა, ინსტინქტურ სიყვარულს გულგრილობა ცვლის. შეხვედრები თავს აბეზრებთ და აღიზიანებთ. ოდესღაც ერთი თვითაც რომ

ვერ შორდებოდნენ ერთმანეთს, ახლა შეუძლიათ რამდენიმე წლის განშორებაც გულგრილად გადაიტანონ. არა, დედა დიდად ნუ იღელვებს, როგორც კი შეძლებს, ქითი საკუთარ სახლს შეიძენს. მაგრამ ცოტა უნდა მოითმინოს, ამჟამად ყველაფერი გაურკვეველია. ქითის მომავლის სურათის წარმოდგენაც კი უჭირს: შეიძლება მშობიარობას გადაჰყვეს; ეს ბევრ თავსატეხს მოუღებს ბოლოს.

მაგრამ როცა გემმა ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა, ქითის ორი წერილი გადასცეს. გაუკვირდა, მამის ხელი რომ იცნო: არ ახსოვდა, მამას ოდესმე წერილი მოეწეროს მისთვის. „ძვირფასო ქითი", თავშეკავებით იწყებოდა იგი წერილს, სწერდა, დედაშენის მაგივრად გიგზავნი წერილს, რადგან დედა თავს კარგად ვერ გრძნობს და იძულებულია საოპერაციოდ დაწვეს საავადმყოფოში. მაგრამ არ შეგეშინდეს, ზღვით წამოდი, როგორც აპირებდი. ხმელეთით წამოსვლა უფრო ძვირი დაგიჯდება და თანაც დედაშენის გარეშე ჰარინგთონ გარდენსის სახლში ყოფნა გაგიჭირდებაო. მეორე წერილი დორისაგან იყო და ასე იწყებოდა: „საყვარელო ქითი", იმიტომ კი არა, რომ დორისს მეტისმეტად უყვარდა ქითი, უბრალოდ, ვისაც იცნობდა, ყველას ასე მიმართავდა.

„საყვარელო ქითი,

მამა ალბათ მოგწერდა, დედამ ოპერაცია უნდა გაიკეთესო. როგორც ჩანს, ერთ წელიწადში მთლიანად მოედო სენი, მაგრამ, ხომ იცი, ექიმებთან სიარული ეჯავრება და ათასნაირ წამალს სვამდა. ზუსტად არ ვიცი, რა ჭირს, რადგან დაჟინებით მოითხოვს საიდუმლოდ შეინახონ ეს ამბავი და ბრაზდება, რომ ვეკითხებით. ძალიან ცუდად გამოიყურება, შენს ადგილას მარსელში გადმოვიდოდი და რაც შეიძლება სწრაფად წამოვიდოდი. მაგრამ არ გამამხილო, რადგან თავი ისე უჭირავს, თითქოს საიმისო არაფერი სჭირს და შენი ჩამოსვლა მანამ არ უნდა, სანამ შინ არ დაბრუნდება. ექიმებს პირობა მიაცემინა, რომ ერთ კვირაში გამოწერენ. დიდი სიყვარულით

დორისი.

საშინლად ვწუხვარ უოლტერის გამო. შავ დღეს გამოივლიდი, ჩემო საწყალო. ერთი სული მაქვს, სანამ გნახავდე. რა კარგია, რომ ორივენი ერთად ველოდებით ბავშვს. ერთმანეთს მივეხმარებით".

ფიქრებში წასული ქითი ერთხანს გემბანზე იდგა. ვერ წარმოედგინა დედის ავადმყოფობა. ყოველთვის სიცოცხლით სავსე და მოუტეხელი ახსოვდა; სხვების შეუძლოდ ყოფნასაც კი ვერ იტანდა. შემდეგ მასთან ოფიციანტი მივიდა და დეპეშა გადასცა.

„ღრმა მწუხარებით გაუწყებ, რომ დედა ამ დილას გარდაიცვალა. მამა".

## LXXIX

ქითიმ ჰარინგთონ გარდენსზე მდებარე სახლში ზარი დარეკა. უთხრეს, მამა კაბინეტში არისო. ქითი კართან მივიდა და ნელა გამოაღო: მამა ცეცხლთან იჯდა და სალამოს გაზეთის ბოლო გამოშვებას კითხულობდა. ქითი ოთახში რომ შევიდა, თავი ასწია და აღელვებული ფეხზე წამოხტა.

— ოჰ, ქითი, მეგონა, მეორე მატარებელს ჩამოჰყვებოდი.

— არ მინდოდა შეწუხებულიყავით ჩემს დასახვედრად და ამიტომ არ შეგატყობინეთ, როდის ჩამოვდიოდი.

მამამ ქითის საკოცნელად ლოყა მიუშვირა, სწორედ ისე, როგორც ქითის ახსოვდა.

— გაზეთს ვათვალიერებდი, — უთხრა. — ორი დღეა გაზეთი არ წამიკითხავს.

ქითი მიხვდა, მამამ საჭიროდ ჩათვალა აეხსნა, ცხოვრების ჩვეული საქმეებით რატომ იყო გართული.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ქითიმ. — გადაღლილი იქნებოდით. დედის სიკვდილმა ალბათ თავზარი დაგცათ.

მამა კიდევ უფრო მოტეხილი და გამხდარი ჩანდა, იგი ჩია ტანის, სახედაღარული, გამოფიტული კაცი იყო, ზრდილი და თავაზიანი.

— ქირურგმა თქვა ,იმედი სულ არ იყოო. ერთ წელზე მეტია, თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ ექიმთან არ მიდიოდა. ქირურგმა მითხრა, გამუდმებული ტკივილები ექნებოდა და საოცარია, როგორ უძლებდაო.

— არასოდეს დაუჩივლია?

— ამბობდა, კარგად არა ვარო. მაგრამ ტკივილებს არ უჩიოდა. — მამა გაჩუმდა და ქითის შეხედა — ძალიან დაგღალა მგზავრობამ?

— არც ისე.

— გინდა ზევით ახვიდე და ნახო?

— აქ არის?

— კი, საავადმყოფოდან მოასვენეს.

— დიახ, ახლავე ავალ.

— წამოგყვე?

მამის კილომ აიძულა ქითი სწრაფად შეეხედა მისთვის. მამას თავი ოდნავ მიებრუნებინა; არ უნდოდა ქითის თვალებში შეეხედა მისთვის. ბოლო დროს ქითის სხვისი აზრების წაკითხვის უნარი გამოუმუშავდა — სხვა რომ არა, მთელი ფიქრი და გრძნობა იქითკენ ჰქონდა მიმართული, ქმრის შემთხვევით ნათქვამი სიტყვით ან უნებური მოძრაობით მისი ფარული აზრები ამოეცნო. მაშინვე მიხვდა, რის დამალვასაც ცდილობდა მამა. იგი შვებას გრძნობდა, უსაზღვრო შვებას და საკუთარი თავისა რცხვენოდა. მთელი ეს ოცდაათი წელი კარგი და ერთგული ქმარი იყო, ცოლის აუგი ერთხელაც არ დასცდენია, ამიტომაც ახლა დარდს უნდა მისცემოდა. მამა ხომ ყოველთვის იმას აკეთებდა, რასაც მისგან მოელოდნენ. მისთვის საშინელება იქნებოდა, თვალის დახამხამებით ან გადაკრული სიტყვით გაემჟღავნებინა თუ რაოდენ უცხოა მისთვის ის განცდები, დაქვრივებულ ქმარს რომ უნდა ჰქონდეს ასეთ დროს.

— არა, მარტო ავალ, — უთხრა ქითიმ.

იგი ზევით ავიდა და დიდ ,ცივ, ვითომ მდიდრულად მორთულ ოთახში შევიდა, სადაც მთელი ეს წლები დედამისს ეძინა. ქითის კარგად ახსოვდა წითელი ხის მძიმე ავეჯი და მარკუს სტოუნის[1] გრავიურები, კედლებს რომ ამშვენებდნენ. ტუალეტის მაგიდაზე ყველაფერი ზუსტად ისეთი წესრიგით

---

1 მარკუს სტოუნი (1840—1921) — მხატვარი და ილუსტრატორი, ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრი; თეკერეისა და დიკენსის მეგობარი, რომელთაც ნაწარმოებებსაც ასათაურებდა.

ეწყო, როგორც მისის გარსთინის სიცოცხლეში. მას ხომ წესრიგისათვის არასოდეს უღალატნია. ყვავილები კი უადგილო ჩანდა; მისის გარსთინი ყვავილებს თავის საწოლ ოთახში სისულელედ, მეტიჩრობად და ჯანმრთელობის საზიანოდ მიიჩნევდა. მათი სურნელი ვერ ფარავდა მძაფრ და მძიმე სუნს, ახლად გარეცხილი თეთრეულის სუნს რომ ჩამოჰგავდა და დედის ოთახისათვის დამახასიათებელი იყო.

მისის გარსთინი საწოლზე იწვა, ხელები გულზე დაეკრიფა მორჩილად, რასაც სიცოცხლეში ვერ მოითმენდა. ძლიერი ,მკვეთრი ნაკვთები, ტანჯვისაგან ჩაცვენილი ლოყები და საფეთქლები ლამაზსა და შთამბეჭდავსაც კი ხდიდა. სიკვდილს მის სახეზე სიმდაბლის კვალი წაეშალა, მხოლოდ მტკიცე ხასიათის დაღი დაეტოვებინა· რომის იმპერატორს ჰგავდა. ქითის და გასკვირად, რაც კი მიცვალებულები ენახა, მხოლოდ ამ ქალს შეენარჩუნებინა სიკვდილის დროსაც ისეთი გამომეტყველება, რაც მოწმობდა, რომ ეს გვამი ოდესღაც სულის სამყოფელი იყო. ქითი მწუხარებას არ გრძნობდა, დედისგან ბევრი სიმწარე ახსოვდა და სიყვარული აღარ ჰქონდა; ხოლო როცა თავის ყმაწვილქალობას იხსენებდა, იცოდა, რომ დედას მიუძღოდა ბრალი მის ასეთად გაზრდაში. მაგრამ ახლა ამ გულქვა, მედიდურ და პატივმოყვარე ქალს რომ უყურებდა, ასე გაუნძრევლად და უხმოდ მწოლიარეს, ვისიც ასე დიდზე დიდი მისწრაფებანი სიკვდილს გაეცამტვერებინა, გაურკვეველი სევდა შემოაწვა. ეს ქალი მთელი ცხოვრება გეგმებს აწყობდა, მთელი ცხოვრება ხრიკებს მიმართავდა, მაგრამ ყველა მისი სურვილი უკადრისი და მდაბალი იყო. ნეტავ თუ შეაძრწუნებს თავისი ცხოვრების გზა, სხვა სამყაროდან რომ გადმოხედავსო, ფიქრობდა ქითი.

შემოვიდა დორისი.

— ვიფიქრე, ამ მატარებლით ჩამოხვიდოდი. გულმა არ მომითმინა და ერთი წუთით შემოვირბინე. რა საშინელებაა, არა? საწყალი, საყვარელი დედა.

დორისს ცრემლები წასკდა და ქითის ჩაეხუტა, ქითიმ აკოცა. იცოდა, რა არაფრად აგდებდა დედა დორისს, როცა ქითის აღმერთებდა და რა უხეშად ექცეოდა, რადგან უშნო და უბრალო შესახედაობის გოგო იყო. აინტერესებდა, დორისი მართლა ასე დამწუხრებული იყო თუ თავს აჩვენებდა მხოლოდ. მაგრამ დორისი ყოველთვის გრძნობების ამყოლი იყო. ქითი ნატრობდა, ნეტავ ტირილი შემეძლოს, თორემ დორისი იფიქრებს, ეს რა გულქვა ვინმეაო. მაგრამ იმდენი ტანჯვა გამოიარა, თავის მოკატუნება, თითქოს დამწუხრებული იყო, არ შეეძლო.

— მამას ნახავ? — ჰკითხა დორისს, როცა იგი ცოტა დაწყნარდა.

დორისმა თვალები შეიმშრალა. ქითიმ შეამჩნია, რომ ფეხმძიმობას გაეუხეშებინა დორისის ნაკვთები და შავ კაბაში მსუქანი და კოტიტა ჩანდა.

— არა, არ მინდა. თავს ვერ შევიკავებ და ავტირდები. საწყალი მოხუცი, რა ვაჟკაცურად იტანს.

ქითიმ და გააცილა და მამასთან დაბრუნდა. იგი ბუხრის წინ იდგა, გაზეთი კოხტად დაეკეცა. უნდოდა ქითის დაენახა, აღარ ვკითხულობო.

— სადილისათვის ტანსაცმელი არ გამომიცვლია. — უთხრა ქითის. — მე მგონი, საჭირო არ არის.

## LXXX

ისადილეს. მისტერ გარსთინმა დაწვრილებით მოუყვა ქითის დედის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამბები, იმ ნაცნობების სიკეთეზე ელაპარაკა, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს (მაგიდაზე სამძიმრის წერილების დასტა ეწყო და, როცა გაიფიქრა, ყველა მათგანზე პასუხი უნდა გაეცა, ამოიოხრა), ისიც უთხრა, დაკრძალვის საქმეები მოვაგვარეო. შემდეგ მამის კაბინეტში დაბრუნდნენ. მამამ ბუხრის თავიდან უნებლიეთ ჩიბუხი აიღო და გატენვა დაიწყო, მაგრამ შვილს ეჭვის თვალით შეხედა და ჩიბუხი დადო.

— არ მოსწევთ? — ჰკითხა ქითიმ.

— დედაშენს სადილის შემდეგ ჩიბუხის სუნი მაინცდამაინც არ სიამოვნებდა და ომის შემდეგ სიგარებს თავი დავანებე.

მისმა პასუხმა ქითის გული ატკინა. რა საშინელება იყო, რომ სამოც წელს მიტანებულ კაცს ვერ გაებედა საკუთარ კაბინეტში მოწევა, როცა უნდოდა.

— მე მომწონს ჩიბუხის სუნი, — გაუღიმა.

მისტერ გარსთინს სახეზე შვება გამოეხატა. მან ისევ აიღო ჩიბუხი და მოუკიდა. ისინი ერთმანეთის პირისპირ ბუხართან ისხდნენ. მისტერ გარსთინი გრძნობდა, რომ ქითისთან მის საკუთარ მწუხარებაზე უნდა ელაპარაკა.

— ალბათ მიიღებდი წერილს, დედაშენმა რომ მოგწერა პორტ-საიდში. საწყალი უოლტერის ამბავმა თავზარი დაგვცა. ძალიან კარგი კაცი იყო.

ქითიმ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— დედაშენმა მითხრა, ბავშვს ელოდები.

— დიახ.

— როდის?

— ასე ოთხ თვეში.

— ეს დიდი ნუგეში იქნება შენთვის. აუცილებლად ნახე დორისის ბიჭი. საყვარელი ბავშვია.

ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს უცხოები იყვნენ, რომლებმაც ეს-ესაა გაიცნეს ერთმანეთი; თუმცა უცხოები რომ ყოფილიყვნენ, მისტერ გარსთინს უფრო მეტადაც კი დააინტერესებდა ქითი, მაგრამ საერთო წარსული გულგრილობის კედელივით აღმართულიყო მამა-შვილს შორის. ქითიმ კარგად იცოდა, რომ მამის სიყვარული არაფრით არ დაუმსახურებია, მას სახლში არაფრად აგდებდნენ, მეწველ ფურად თვლიდნენ, ცოტა ეზიზღებოდათ კიდეც, რადგან ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფდა ოჯახს; მაგრამ ქითის ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მამას უნდა ჰყვარებოდა იგი, ის ხომ მისი მშობელი იყო. არადა რარიგ შეაძრწუნა იმის გაგებამ, რომ მას ქითისადმი გრძნობის ნატამალი არ გააჩნდა. ქითიმ იცოდა, რომ მამისგან ყველა თავმობეზრებული იყო, მაგრამ აზრად არასოდეს მოსვლია, რომ მასაც გააბეზრეს თავი. მამა ახლაც გულკეთილი და თვინიერი ჩანდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ გამჭრიახობამ, რაც ამდენმა ტანჯვამ შესძინა ქითის, აფიქრებინა, მამამისს, თუმცა იგი ალბათ არასოდეს გამოტყდომია და იქნებ არც არასოდეს გამოტყდომოდა თავის თავს, გულის სიღრმეში სძულდა ქითი.

ჩიბუხი არ ინთებოდა და მისტერ გარსთინი წამოდგა, რომ რაღაც ეპოვა ჩიბუხის მოსაჩხრეკად. იქნებ ეს მღელვარების დაფარვის საბაბი ყო.

— დედაშენს უნდოდა აქ დარჩენილიყავი, სანამ ბავშვი გაჩნდებოდა, შენი ძველი ოთახის მომზადებას აპირებდა შენთვის.

— ვიცი. პირობას გაძლევთ, არ შეგაწუხებთ.

— ოჰ, მაგიტომ არ გეუბნები. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, შენთვის ერთადერთი მისასვლელი ადგილი მამაშენის სახლია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ახლახან ბაჰამის[1] კუნძულებზე მთავარი მოსამართლის ადგილი შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი.

— ოჰ, მამა, როგორ მიხარია. სულითა და გულით გილოცავთ.

— გვიან მივიღე მიწვევა და საწყალი დედაშენისათვის თქმაც კი ვერ მოვასწარი, უდიდეს კმაყოფილებას მოჰგვრიდა.

აი, ბედის დაცინვა! მთელი თავისი მეცადინეობის, ხრიკების და დამცირების შემდეგ მისის გარსთინი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერ გაიგო, რომ წარსულში იმედების გაცრუებით შელახული პატივმოყვარეობა ბოლოს და ბოლოს დაუკმაყოფილდა.

— მომავალი თვის დამდეგს მივემგზავრები. ამ სახლს, რა თქმა უნდა, აგენტს ჩავაბარებ, ავეჯის გაყიდვასაც ვაპირებდი, ვწუხვარ, რომ ვერ შევძლებ შენს აქ დატოვებას, მაგრამ თუ ავეჯიდან რაიმე მოგეწონება შენი ბინისთვის, სიამოვნებით დაგითმობ.

ქითი ცეცხლს ჩაჰყურებდა. გული გამალებით უცემდა; უჩვეულო იყო, რატომ აღელდა ასე უეცრად. მაგრამ ბოლოს თავს ძალა დაატანა და დაილაპარაკა, ხმა ოდნავ უკანკალებდა.

— არ შეიძლება, თქვენ რომ წამოგყვეთ, მამა?

— შენ? ოჰ, ძვირფასო ქითი, — მისტერ გარსთინს სახე დაეღრიჯა. ქითის ხშირად გაეგონა ეს გამოთქმა, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ სიტყვებად თვლიდა, ახლა კი თავის სიცოცხლეში პირველად ნახა, ეს გამოთქმა სახის რა მოძრაობას გულისხმობდა. — კი მაგრამ, შენი ამხანაგები ყველანი აქ არიან, დორისიც აქ არის. ჩემი აზრით, თავს უფრო ბედნიერად იგრძნობდი, ლონდონში რომ გქონოდა ბინა. ზუსტად არ ვიცი, რა მდგომარეობა გაქვს, მაგრამ დიდი სიამოვნებით გადაგიხდიდი რენტას.

— საარსებოდ საკმარისი ფული მაქვს.

— მე უცხო ადგილს მივდივარ. არც ვიცი, როგორი პირობები იქნება.

— მე შეჩვეული ვარ უცხო ადგილებს. ლონდონი აღარაფრად მიღირს, აქ სული მეხუთება.

მისტერ გარსთინმა წამით თვალები დახუჭა და ქითიმ გაიფიქრა, ტირილს აპირებსო. საოცრად გაუბედურებული იერი ჰქონდა. ქითის გული ეტკინა. — მართალი ყოფილა მაშინ; ცოლის სიკვდილმა მისტერ გარსთინს შვება მოჰგვარა, წარსულთან კავშირის სამუდამოდ გაწყვეტა კი თავისუფლების მოპოვებას აღუთქვამდა. თვალწინ ედგა ახალი ცხოვრება, სიმყუდროვე და ბედნიერება, ამდენი წლის მერე რომ ძლივს ეღირსა. ქითი ბუნდოვნად გრძნობდა ყველა იმ ტანჯვას, ამ ოცდაათი წლის მანძილზე რომ გამოიარა მამამისმა. ბოლოს მისტერ გარსთინმა თვალები გაახილა. თავი ვერ შეიკავა და ოხვრა აღმოხდა.

[1] ბაჰამის კუნძულები — არქიპელაგი ატლანტის ოკეანეში, რომელიც 700-ზე მეტი კუნძულისაგან შედგება; რომანში აღწერილ დროს — დიდი ბრიტანეთის კოლონია.

— რა თქმა უნდა, თუ წამოსვლა გინდა, ჩემთვის ეს დიდად სასიამოვნო იქნება.

რა საცოდავი კაცი ყოფილა მამა. დიდხანს ვერ შესძლო ბრძოლა, მოვალეობის გრძნობამ ფარ-ხმალი მალე დააყრევინა. ამ რამდენიმე სიტყვით მან ყველა იმედი დასთმო. ქითი სკამიდან წამოდგა, მამასთან მივიდა, დაიჩოქა და მისი ხელები აიღო.

— არა, მამა, არ წამოვალ, თუ არ გინდივართ. ისიც კმარა, რომ თავი შემოგვწირეთ. თუ მარტო გინდათ წასვლა, წადით ჩემზე ერთი წუთითაც არ იფიქროთ.

მისტერ გარსთინმა ცალი ხელი გაითავისუფლა და ქითის ლამაზ თმაზე მოეფერა.

— რა თქმა უნდა, მინდა, რომ წამოხვიდე, ძვირფასო. სხვა რომ არა, მამა ვარ, შენ კი დაქვრივდი და მარტო ხარ. თუ ჩემთან ყოფნა გინდა, ჩემგან დიდი ბოროტება იქნება, ხელი გკრა.

— აი, სწორედ მაგას ვგულისხმობ, მე არავითარ უფლებებს არ ვაცხადებ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი შვილი ვარ, თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ.

— ოჰ, შვილო, საყვარელო.

— არაფერი, — გაიმეორა ქითიმ გაცხარებით, — გული მეკუმშება, როცა მახსენდება, როგორ გასხედით კისერზე მთელი ცხოვრება, სამაგიეროს კი სულ მცირედი სიყვარულითაც არ გიხდიდით. მე მგონი, დიდად ბედნიერი ცხოვრება არ გქონიათ. არ მომცემთ ნებას ცოტათი მაინც გამოვასწორო, რაც წარსულში ვერ გავაკეთე?

მისტერ გარსთინმა ოდნავ შეჭმუხნა წარბები. ქითის აღელვებამ დააბნია.

— არ მესმის, რას გულისხმობ. თქვენდამი სასაყვედურო არასოდეს არაფერი მქონია.

— ოჰ, მამა, იმდენი რამ გადამხდა თავს, იმდენი უბედურება გამოვიარე. ის ქითი აღარა ვარ, აქედან რომ წავედი. ახლაც ძალიან უძლური ვარ, მაგრამ არა მგონია, ისევ ის ბილწი არსება ვიყო. ქვეყნის გულზე თქვენს მეტი აღარავინ მყავს. ნება მომეცით, თქვენი სიყვარული დავიმსახურო. ოჰ, მამა, რომ იცოდეთ, როგორი მარტოსული და უბედური ვარ; საოცრად მწყურია თქვენი სიყვარული.

ქითიმ მამის კალთაში ჩარგო თავი და გულამოსკვნით ატირდა.

— ოჰ, ჩემო ქითი, ჩემო პატარა ქითი, — ჩურჩულებდა მისტერ გარსთინი.

ქითიმ თავი ასწია და მამას კისერზე შემოჰხვია ხელები.

მისტერ გარსთინმა ტუჩებში აკოცა შეყვარებულივით და ლოყები ქითის ცრემლებით დაუსველდა.

— აუცილებლად წამოხვალ ჩემთან ერთად.

— მართლა გინდათ წამოვიდე? მართლა?

— კი.

— მადლობელი ვარ.

— ოჰ, ძვირფასო, ასეთ რაღაცებს ნუ მეუბნები. უხერხულად ვგრძნობ თავს.

მან ცხვირსახოცი ამოიღო და ქითის თვალები შეუმშრალა. გაუღიმა და

ქითიმ პირველად იხილა მის სახეზე ასეთი ღიმილი. ისევ მოჰხვია კისერზე ხელები.

— ისე მხიარულად ვიქნებით, საყვარელო მამა, ვერ [illegible], რა კარგად გავატარებთ ერთად დროს.

— ხომ არ დაგავიწყდა, ბავშვს რომ ელოდები?

— მიხარია, ჩემი გოგონა ზღვის ხმაურში, დიდი, ცისფერ[illegible] რომ დაიბადება.

— უკვე გადაწყვიტე ბავშვის სქესი? — ხმადაბლა ჰკითხა მან სუსტი, მშვიდი ღიმილით.

— გოგო მინდა, რომ ისე აღვზარდო, ისეთი შეცდომები არ დაუშვას, რაც მე მომივიდა. როცა მახსენდება, როგორი გოგო ვიყავი, საკუთარი თავი მძაგს. მაგრამ მე სხვა შესაძლებლობა არ მქონდა. ჩემს გოგოს კი ისე აღვზრდი, თავისუფალი იყოს და თავის თავს თვითონ ეკუთვნოდეს. არ მინდა მხოლოდ იმიტომ გავაჩინო შვილი, იმიტომ მიყვარდეს და გავზარდო, რომ მერე ვინმე, მისი სიახლოვის წყურვილით, თანახმა იყოს მთელი ცხოვრება ბინითა და საზრდოთი უზრუნველჰყოს.

იგრძნო, რომ მამა შეცბა. მისტერ გარსთინს ასეთი რამ არასოდეს უთქვამს და თავისი ასულის პირიდან ამ სიტყვების გაგონებამ თავზარი დასცა.

— ნება მომეცით ამ ერთხელ მაინც ვიყო გულახდილი, მამა. სულელი, უზნეო და საძაგელი ვიყავი, საშინლადაც დავისაჯე. გადავწყვიტე, ჩემს ქალიშვილს მაინც ვაშორო ეს ყველაფერი. მინდა უშიშარი და პატიოსანი იყოს. მინდა პიროვნება იყოს, სხვებისგან დამოუკიდებელი, თავისი თავის ბატონ-პატრონი, ისე მიუდგეს ცხოვრებას, როგორც თავისუფალი მამაკაცი, და ჩემზე უკეთ იცხოვროს.

— ისე ლაპარაკობ, ჩემო საყვარელო, თითქოს მართლა ბილწი ვინმე იყო. მთელი ცხოვრება წინა გაქვს. გული ნუ გაგტეხია.

ქითიმ თავი გადააქნია და გაიღიმა.

— არ გამტეხია. იმედიანად და მხნედ ვარ.

წარსული დამთავრდა, დაე ეცადენ მკვდართა დაფლან თვისი მკვდარნი.[1] ნუთუ ეს საშინელი გულქვაობა იყო? ქითი სულითა და გულით იმედოვნებდა, რომ თანაგრძნობა და გულმოწყალება ისწავლა. არ იცოდა, რას უმზადებდა მომავალი, მაგრამ იმდენ ძალას კი გრძნობდა, რაც მოელოდა, ყველაფერს მხნედ და გაბედულად შეხვედროდა. მერე კი უეცრად, უმიზეზოდ ქვეცნობიერების სიღრმიდან წამოუტივტივდა ერთი სურათი. ისა და საწყალი უოლტერი მძიმე სენით დაავადებული ქალაქისკენ მიემგზავრებოდნენ, სადაც უოლტერმა სიკვდილი ჰპოვა: ერთ დილას ისინი გარეთ ისხდნენ სკამებზე. ჯერ კიდევ ბნელოდა, გამთენიისას კი ქითის უფრო ეზმანა, ვიდრე ცხადში ნახა

1 აქ: წარსული დავიწყებას უნდა მიეცეს; (მათეს სახარება, 8:22 „...ეცადენ მკუდართა დაფლვად თვსთა მკუდართა").

ისეთი ენით აუწერელი სილამაზის სურათი, რომ ერთხანს გულში დაბუდებული ტკივილიც კი დაუამდა. ეს სურათი კნინსა და უმნიშვნელოს ხდიდა კაცთა მოდგმის ტანჯვა-ვაებას. მზე ამოვიდა, ნისლი გაჰყარა და ქითიმ ბილიკი დაინახა, რომელსაც ისინი უნდა გაჰყოლოდნენ. ბილიკი ბრინჯის ყანებს შორის მიიკლაკნებოდა, პატარა მდინარეს ჰრიდა და მთაგორიან ტყეებში იკარგებოდა, იქნებ ქითის მიერ ჩადენილი ცოდვები და სისულელეები, ის უბედურება და მწუხარება, რაც მან გადაიტანა, მთლად ამაო არ იყო, თუ ქითი შეძლებდა გაჰყოლოდა ამ გზას, ბუნდოვნად რომ ეხატებოდა წინ. ეს არ იყო ის გზა, ქეთილმა, სასაცილო უედინგთონმა რომ ახსენა და არსაითკენ რომ არ მიჰყავდა ადამიანი, ეს ის გზა იყო, მონასტრის ძვირფასი მონაზვნები მორჩილად რომ მიუყვებოდნენ, გზა, რომელსაც სასუფევლისაკენ მიჰყავდა კაცი.

□

# ინდრჟიქ ვიხრა

## ლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ეს ნაწარმოები სიკვდილმისჯილთა საკანში დაიწერა. მის ავტორს ჩეხ პოეტს, — ანტიფაშისტური წინააღმდეგობის გმირს, — ფაშისტებმა გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი.

მამაცი ახალგაზრდა კომუნისტის „ჩემმა აპასიონატამ" ფაშისტური ჯურღმულებიდან სამზეოზე გამოაღწია და მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მებრძოლი პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებად ითვლება.

ინდრჟიქ ვიხრა (1918-1944) — ჩეხი პოეტი, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის გმირი. თავი მოჰკვეთეს გილიოტინაზე პანკრაცის ციხეში.

სიკვდილმისჯილთა საკანში ვიხრასთან ერთად ნამყოფ ლადისლავ ბურდა იგონებს: „პანკრაცში, № 34-ე სიკვდილმისჯილთა საკანში შევხვდი, ხოლო საღამოს ჩალის საერთო ლეიბზე ჩემს გვერდით იწვა სათვალეებიანი ახალგაზრდა კაცი. ეს იყო ინდრჟიქ ვიხრა. მეორე დღეს მან გამაცნო გერმანელი ემიგრანტი, კომუნისტი მაქს მიხლი, რომელსაც აქ დაუძმობილდა. იმ დროს № 34-ე საკანში სამი კომუნისტი ვიყავით. მოგვიანებით კიდევ ორი შემოიყვანეს. ყველანი ძალზე დავუახლოვდით ერთმანეთს... საკანი იმ ხუთთაგან პირველმა მაქს მიხლიმ დატოვა, ის აპრილის ბოლოს დასაჯეს სიკვდილით. ჩვენთვის ეს საშინელი დანაკარგი იყო. მაქს მიხლის ხსოვნას ინდრჟიქ ვიხრამ მიუძღვნა ამაღელვებელი ლექსი „პანაშვიდი". მახსოვს, თავისი სიცოცხლის ბოლო კვირეებში ის მთლიანად შემოქმედებით მუშაობას მიეცა. თავისი ლექსები ზეპირად ახსოვდა და ღამღამობით, უძილობის ჟამს მიკითხავდა. მიამბობდა თავის მშობლებზე, ძმებზე, მეგობრებზე... მასთან ერთად დაპატიმრებულ ანიჩკა მლეინკოვაზე. ისინი ერთსადაიმავე დღეს დასაჯეს სიკვდილით... ეს იყო ოთხშაბათს, 1944 წლის 12 მაისს, კარი გაიღო და ჩვენ გავიგონეთ: „აბა, ვიხრა, აიღეთ თქვენი ნივთები". ის წელში გასწორდა, ყოველგვარი აღელვების გარეშე ჩაიცვა, ჩემთან მოვიდა. ერთმანეთს უხმოდ ჩამოვართვით ხელი. სხვებს გამომშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია და საკნიდან გავიდა. მის შემდეგ ანიჩკა მლეინკოვას გვარი ამოიკითხეს".

„ჩემი აპასიონატა" დაწერილია სიკვდილმისჯილთა საკანში.

### ჩემი აპასიონატა

#### სიმღერის დასაწყისი

კიდევ ერთი ლექსი,
კიდევ ერთი სტრიქონი გამოსტაცე უკუნეთს,
ჩვენს დღეებს და ჩვენს სულებს
მძიმე ლოდად რომ აწევს
და ცივი ხმით გუგუნებს.

კიდევ ერთი ლექსი —
ალესილი ხიშტი,

რომ ქარულად იქროლო,
რომ თამამად იბრძოლო
უცხაურო ჰაერისთვის,
უცხაურო მზისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პირველი სიმღერა

როს ყულფი მაგრად წაგვიჭერს ყელში
(ან ჰო, ან არა! თოკს როგორ ვენდოთ),
ჩვენს სულებს ხანძრად ავანთებთ ბნელში
რომ მარადიულ კოცონად ვენთოთ.

ელვად იელვე, იქუხე რისხვად!
უფლება არ გაქვს, ფრთები დაკეცო,
შენ მოვალე ხარ: ბორკილებისგან
დიდი სიცოცხლის ცეცხლი დაკვესო.

მე ახლა ისევ შენ მოგაკითხავ,
ძვირფასო დედავ, კარი გამიღე,
ვაიმე, ძალზე მცირე რამ გითხარ,
და ვეღარ შევძლებ, გითხრა რაიმე.

ვარ შენი გულის ღია ჭრილობა,
ვერ გიყუჩებენ ტკივილს დღეები,
და შენს სახეზე წვება ჩრდილებად
ჩემი სხეულის სისხლჩაქცევები.

წყარო სათავეს სიმღერით სტოვებს,
შენ გაზაფხული გიზის კალთაში,
მე კი ტკივილის ხე მიწვდის ხელებს,
ჩემი დღეების შუა ზამთარში.

კვლავ მაგარია მუშტი ქვასავით,
მებრძოლი სული ისევ მტკიცეა.
კვამლმა შემჭვარტლა დილის ვარსკვლავი
და ქალაქები შავად იწვიან.

დაგემშვიდობოთ, დრო არის, ძმებო,
დაისი ლაჟვარდს შავ ძაფით ჰკერავს.
ცივ ცხაურს ცხელ შუბლს მივაბჯენ, ეგებ
თვალი შევავლო მშობლიურ კერას.

ვით ლამაზ ქალწულს მსხლის ხეს წერწეტა
წელზე მოეხვიო ხელი ორთავე,
დილის ცვარ-ნამი შევსვა წვეთ-წვეთად,
როს ჩიტუნები ჭიკჭიკს მორთავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩამძახის ხმა ბობოქარი —
კვნესა-ტკივილში დაგაძინებო.
სხვა კარნავალზე მეძახის ქარი,
მშვიდობით გზებო და მანძილებო!

2.

რარიგ ციმციმებს ცის სარკის ბროლი,
მუშტის დარტყმისგან დაუბზარავი,
სარკმელის მიღმა სილურჯის ზოლი
მოცურავს ვით გზა გაუკვალავი.

ცხოვრება ჩქარობს, მის მღელვარ ზვირთებს
ვით მიჰყვეს ჩვენი სიცოცხლის გზები...
ო, თუნდაც ერთხელ
ხელი შევახო დაბერილ კვირტებს,
ო, თუნდაც ერთხელ
აყვავებული ვიხილო ბზები!

კაცს თურმე რა არ მოგეჩვენება!
ჯერ ფეხდაუდგმელს მივდევ ბალახებს,
შელგის ყვავილის მხიბლავს მშვენება,
ბანგის და პიტნის სუნი მალაღებს.

ადამიანებო, მოგესალმებით!
გადამწვანებულ მდელოებს და გზებს რომ ვუმღერი,
სიქეთის მაცნედ თქვენთან მომაქვს ველების სუნთქვა.
ჩაგრულო კლასო, შენგან მუდამ ვარ განუყრელი,
შენს ტკივილს ვიყოფ, შენ ხარ ჩემი გულიც და სულთქმაც.

საკნის სარკმლები ჰრილობებად ჩაბინდებულა,
და შთამომავალს მე მოგმართავ თავაწეულად:
თუმცა მსოფლიო შიშისაგან გარინდებულა,
მაგრამ ის მაინც საპყრობილედ არა ქცეულა.

3.

პირში არასდროს არ დნებოდა ამგვარად
პური,
ვით ეს ნაჭერი გაქვავებული,
ბოლო ნამცეცი სიცოცხლისა —
ეს ქერქი ხმელი.
და მისი წვენი
რასაც საკუთარ ქელეხში ჰყლაპავ,
ტკბილია როგორც დედის სუნთქვა, ცხელი და მწველი,
როგორც ზღაპარი, ბუხართან რომ გეტყოდა პაპა.

საკნის წყვდიადში განვლილი გზის მომწვდება შუქი,
სუფთა მაქვს სული, ხვედრს ყვედრება როგორ შევბედო,
დაგემშვიდობე თითქმის, ჩემო სხეულო, უკვე!
ჰოი, რარიგად ახლოს მოხველ, ბედო შავბედო!
გარდუვალია განშორება და მაინც არ სურს
ამ მძიმე აზრთან შერიგება არც გულს და არც ხულს.

4.

მე მაგიდიდან ხელის ცეცებით,
პური კი არა, მზის ნამცეცები
ავიღე, შუქით მოციმციმეთი
ჩემს გულში თითქოს სხივი ჩაფრინდა,
გისოსის გავლით მიფრენს იმედი,
როგორც მერცხალი ღია სარკმლიდან.

მე შენ გეძახი, გეძახი თრთოლვით!
ამ ქვეყანაზე სახელი ყველა
გადავივიწყე ან იქცა შენად,
შენ ხარ მზეც, დედაც, სიცოცხლეც, ცოლიც.

როგორც  აროდეს, მომეწყურა მე შენი ნახვა
და საჭვრეტიდან ჩემს საკანში შემოღწეული
უხილავ წყაროდ მოჩუხჩუხებ, სხივად ქცეული
მწველ წყურვილს მიკლავ, აცრიატებ წყვდიადის ლახვარს.

შენთან, მამულთან მე მართალი ვიქნები მარად
და... უკვე ვიცი განაჩენი, რომელიც მელის,
მაგრამ თავს როდის მომკვეთს იგი ნაჯახი მჭრელი,
დღეს თუ ხვალ? — ბედო, მითხარი ჩქარა!

## მეორე სიმღერა

ჯერ არ გაღებულა
საკნის კარი,
არ ამოუკითხავთ
ჩემი გვარი.
უბარგოდ ჩემი გასვლა ჯერ ადრეა
და როცა დადგება დღე იგი,
ამხანაგებო, გაიყავით
ჩემი პური და ლეიბი.

ჩემო სიყვარულო, ფუტკრის ფრთებით
გაფრინდი მშობლიურ მხარეში,
იქ ყაყაჩოებია მუქწითლები,
ბილიკები შერბიან ჭალებში.

მდინარევ, იმჩქეფარე ყოველთვის,
ალვებო, არყებო, ძეწნებო, იშრიალეთ,
მე თქვენთან გავიზარდე,
მე თქვენსკენ მოველტვი
თქვენ ჩემს ხმას იცნობთ და ჩემი ხმით იხმიანებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა კვლავ ბაღშია და ვაშლებს წყნარად
უსინჯავს კვირტებს,
მყნობის დრო არი.
ჩუ, რა ხმა გაისმა? ისროლეს? არა,
ეს დედამ მიხურა სათივის კარი.

მზეს წინ წამოუძღვა ყივილი მამლის,
იქნებ მერცხლებიც დღეს დილით მოფრენილან...
გაფანტეთ ქარბუქი, ფერფლი და კვამლი
ჩემს გულთან ტკივილით შეზრდილი სოფლებიდან.

2.
გადიქცე მარცვლად და ნოყიერ ხნულში ჩავარდე,
გადიქცე წვეთად — დაეპკურო წვიმად სავარდე
და საზვრე მიწას, წყურვილით და ხვატით რომ იწვის,
მიწას, რომელმაც ტკივილებით შვა ეს სამყარო,
ვით სიყრმიშვილი.
მის ტკივილებს ვერც ვინ გამყაროს —
მე გულით დამაქვს სატკივარი მშობელი მიწის.
არყის ხეების ყმაწვილური ტიტინი გესმით?
მათი ბავშვური ტირილი გესმით?
ამ მიწას ვრწყავდით ჩვენი გულის სისხლით და სხივით
და სიყვარულით ვუოკებდით წყურვილს და ტკივილს.

იქნება მოხდეს სასწაული! —
ხვალინდელ დღეში
ვით სამოთხეში,
მოვხვდე ჩემი სიტყვით და რწმენით,
სკვინჩად ვიქცე და ქარმა ბაღში, მოყვავილენი,
სიცოცხლის რტოზე აქანაოს სიმღერა ჩემი.

მესამე სიმღერა
ვით უძლებს მიწა ტკივილებს ამდენს,
ძლივსღა რომ სუნთქავს სიკვდილის ჩრდილში...
არ ეცოცხლება ამ ქვეყნად, გწამდეს,
ვინც დედას მკერდზე დააკლავს ჩვილ შვილს.

ბლებსა ვკითხავ და ლელქაშებს ვკითხავ,
შხამიან კვამლში ძლივს რომ ფშვინავენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ უმანკო და უბედურ ჩვილთა
სულები ახლა სად დაფრინავენ?

ო, რა მძიმეა, ო, რა ძნელია,
თვალებში სისხლის ცრემლებს მოვიდენ,
მეორედ მოსვლა თუ მიწერია,
მინდა მე ისევ ბავშვად მოვიდე.

მე შურს ვიძიებ ბავშვთა და ქალთა
სისხლისთვის.. ჟამი რარიგ ავდება...
თავის მოკვეთით, არა და არა,
კაცის სული არ პატარავდება.

ამ ქვეყნად ერთი სული გვაქვს ყველას,
ხალხის სული კი მარადისია.
მაშ მტლად დავედოთ მშობლიურ კერას
შუქი ჩავუნთოთ მის დღეს ნისლიანს.

მე ვარ მუსიკა ჯვარზე გაკრულთა
და მილურსმულთა ჯოჯოხეთს შიგან,
მე ამ საკნიდან დაუბადებელ
ბავშვებს გავიყვან, გავყვები გრიგალს.

ყოველგვარ ჯებირს გაგლეჯენ წლები,
საგაზაფხულოდ წამოქოჩრილი.
არა, არასდროს იქნება ხალხი
გილიოტინის მონა-მორჩილი.

სიცოცხლეს ვწირავთ ულრუბლო ცისთვის,
ხალხის სიცოცხლის დიდი დღისათვის,
ყვავილქათქათა გვირილებისთვის,
ყაყაჩოების სიწითლისათვის.

მერმისს ავზიდავთ საკუთარ მხრებით
და მის დიდ დღეში გავესწრაფებით,
ამღერდებიან ქვეყნის ქარხნები
აღმასვლის ჰიმნით და დაფდაფებით.

ხასხასა ბალახს ამოზრდის ბლომად
მიწა ოფლით და სისხლ-ცრემლით სველი.
ამხანაგებო, დიდება შრომას!*
და თვით სიკვდილიც ხომ არის შრომა,
დიახ, შრომაა სიკვდილი ჩვენი!

*დიდება შრომას! — ჩეხოსლოვაკელ კომუნისტთა პარტიული მისალმება.

□

# რიჩარდ ბახი

# თოლია ჯონათან ლივინგსტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა გოჩა კეირქიშვილმა

*ნამდვილ ჯონათან თოლიას,*
*რომელიც ყოველ ჩვენთაგანშია*

## ნაწილი პირველი

დილა იყო და ახლადამოსული მზე ოქროსფრად აელვარებდა უშფოთველი ზღვის ჭავლებს.

ნაპირიდან მილის დაშორებით მეთევზეებმა მისატყუარი ჩაუშვეს. სასაუზმოდ გამოსულმა ფრინველთა ბაზარმა მყისვე აიტაცა ეს ამბავი და მოედო იქაურობას, სანამ თოლიების ათასიანი გუნდი არ მოფრინდა, რომ დასძგერებოდა საჭმლის გაფანტულ ნამცეცებს და ხერხით თუ ღონით ხელში ჩაეგდო. კიდევ ერთი საქმიანი დღე დაიწყო.

შორს კი, ნავსა და ნაპირს კარგა მანძილით დაშორებული, თოლია ჯონათან ლივინგსტონი ვარჯიშობდა განმარტოებით. ასი ფუტის სიმაღლეზე ასულმა აპკიანი ფეხები დაუშვა, ნისკარტი მაღლა აიღირა და მრუდის შესაკრავად ისე დაიძაბა, რომ მოკრუნჩხულ ფრთებში ტკივილმა დაუარა. მრუდის შეკვრა სიჩქარის დაგდებას ნიშნავდა და მართლაც, ისე შეანელა ფრენა, რომ ქარი ყურში მოჩურჩულე ნიავად ექცა და მის ქვეშ ოკეანეც კი გაიტრუნა. შემდეგ თვალები ძალუმად მოჭუტა, სუნთქვა შეიკავა, კიდევ... ერთი... დუიმით.. აიქრიფა ფრთები, სანამ ბუმბული არ აეშალა; მერე ძრავასავით გამოირთო და მოწყვეტით დაეშვა.

როგორც იცით, თოლიები ჰაერში არასოდეს ჩერდებიან; ფრენისას შეყოვნება მათი სირცხვილი და შელახული პატიოსნებაა.

მაგრამ ჯონათანს არ რცხვენოდა. მან კვლავაც გაშალა ფრთები დაძაბული, მოძაგძაგე რკალივით; შეანელა სიჩქარე და ისევ ძრავასავით ჩაქრა. უბრალო ჩიტი არ ეთქმოდა ნამდვილად!

თოლიების უმეტესობა მხოლოდ იმდენად ავარჯიშებს ფრთებს ფრენაში, რაც ნაპირიდან ნადავლისაკენ და უკან დასაბრუნებლადაა საჭირო. უმეტესობისათვის ფრენა კი არა, ჭამაა მთავარი. ამ ერთისთვის კი სწორედ ფრენა იყო ყველაფრის თავიდათავი. თოლია ჯონათან ლივინგსტონს უყვარდა ფრენა.

მიხვდა, რომ განსხვავებული აზროვნების გამო ფრთოსანთა გულისწყრომას გამოიწვევდა. მისი მშობლებიც ხომ ვერ ფარავდნენ შეშფოთებას, როცა ჯონათანი მთელი დღეობით განმარტოვდებოდა და ასობით საცდელ ირაოს აკეთებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

აი თუნდაც... როცა წყლის დონიდან გაშლილ ფრთათა სიგრძის მესამედზე დაფრინავდა, მართალია, არ იცოდა რატომ, მაგრამ ჰაერში უფრო დიდხანს ახერხებდა დარჩენას და ჯაფაც ნაკლები ადგებოდა. და თუ ჩვეულებრივი დაშვებისას ორივე ფეხით ადენდა ხოლმე ზღართანს წყალში, ახლა ნელა გაილივლივებდა ზედაპირზე, სხეულის ოდნავი შეხებით, გრძელი კილვატერით უკან, ფეხებს კი აიკეცავდა, ჰაერისათვის გარსდენის საშუალება რომ მიეცა. როცა ნაპირზეც დაიწყო ფეხებაკეცილი დაშვება, სილაზე ცუცურმას გავლება და შემდეგ მანძილის ნაბიჯით გადაზომვა, მშობლები მართლაც ძალიან შეაშფოთა.

„ოჰ, ჯონ, ჯონ", ეუბნებოდა დედამისი, „რატომ გინდა მაინცდამაინც გამოირჩე სხვა თოლიებისგან, შენ არც ვარხვი ხარ და არც ალბატროსი, ასე დაბლა რომ იფრინო. პირში ლუკმასაც აღარ უშვებ. ცარიელი ძვალი და ბუმბული ხარ, შვილო".

„გაძვალტყავებას არ დავეძებ, დედი. მინდა ვიცოდე, რისი შნო მაქვს და რისი შემძლე ვარ ჰაერში ასული. ეს არის და ეს. უბრალოდ მინდა ვიცოდე".

„მომისმინე, ჯონათან", დაუყვავა მამამ, „ზამთარი კარზეა მომდგარი. ნავები შეცოტავდება, თევზიც ღრმად წავა წყალში. თუ მაინცა და მაინც სწავლა გინდა, სარჩოს მოპოვება ისწავლე: ეს შენი ფრენა კარგი რამ არის, მაგრამ ირაო კუჭს არ გამოგიძღებს, ნუ დაგავიწყდება, რომ ფრენა ჭამისთვის გჭირდება".

ჯონათანმა მორჩილად დაუქნია თავი. რამდენიმე დღეს მართლაც ცდილობდა სხვებისთვის მიებაძა. ისიც ჩხუბითა და ყივილ-ხივილით ეროდა თოლიების მარაქაში, — პირსებსა და თევზსაჭერ ნავებს რომ დასტრიალებდნენ თავს, — დააცხრებოდა პურისა და თევზის ნარჩენებს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ იგუა ეს ყოფა.

ყოველივე ეს უაზრობაა, გაიფიქრა ბოლოს და მისი ნადავლი ქაფშია შეატოვა მშიერ ბებრეკ თოლიას, კვალში რომ ჩასდგომოდა მას. ნეტა მთელი ეს დრო ფრენისთვის მომეხმარა. მერედა რამდენი რამის სწავლა შეიძლებაო, თქვა.

* *

ცოტაც და ჯონათან თოლიამ კვლავ თავის საუფლოში იგულა თავი. იყო კვლავ შორს, ზღვაში გაჭრილი, მშიერი, ბედნიერი და სწავლას დაწაფებული.

სწავლის საგანი სისწრაფე იყო. და ვარჯიშიდან ერთი კვირის თავზე იგი უფრო სწრაფად ფრენდა, ვიდრე ამქვეყნად უსწრაფეს თოლიას უფრენია ოდესმე.

ათასი ფუტის სიმაღლიდან ფრთების გამალებული ქნევით, შურდულივით დაეშვა ტალღებისაკენ. მიხვდა, რად არ პიკირებდნენ ასე თოლიები. საათში სამოცდაათი მილის სისწრაფით სულ ექვსი წამი იფრინა; ეს ის სიჩქარე იყო, რომელსაც გაშლილი ფრთა წონასწორობიდან გამოჰყავს.

როგორც არ უნდა აეწონ-დაეწონა, რაგინდ უკიდურესად ძლიერ დაძაბულიყო, დიდი სიჩქარისას დროდადრო მაინც კარგავდა წონასწორობას.

აფრინდებდა ათასი ფუტის სიმაღლეზე, მთელი ძალით წინ გაიჭრებოდა და შემდეგ ფრთების ფათქუნით იწყებდა პიკირებას. მაგრამ მარცხენა ფრთა გაშლისთანავე ეცეცებოდა და მძლავრად გადასძლევდა მარცხნისაკენ. წონას-წორობის აღსადგენად ახლა მარჯვენა ფრთას კეცავდა. ამ დროს კი ცეცხლის ალივით წამოიქოჩრებოდა და ჩიკორივით მარჯვნისკენ დატრიალდებოდა.

როგორ არ ეცადა, ვერაფრით ზე ვერ აფრინდა. ათჯერ სინჯა და ათჯერვე საათში სამოცდაათ მილს მიატანდა თუ არა, ბუმბულის აბურდულ გროვად ქცეული და წონასწორობადაკარგული წყალს ეხეთქებოდა.

„მე მგონი, — იფიქრა მან ბოლოს, როცა მთლად გაილუმპა, — დიდი სიჩქარისას ფრთები უნდა გავაჩერო. ორმოცდაათს განვავითარებ და ფრთებს აღარ ვამოძრავებ“.

ორი ათასი ფუტის სიმაღლიდან კვლავ სცადა. ნისკარტით თავქვე დაეშვა. როცა საათში ორმოცდაათ მილს მიაღწია, ფრთები გაწვართა და გააჩერა. ძალის უდიდესი დაძაბვის წყალობით ამ ხერხმა გაუმართლა. მთელი ათი წამი მიჰქროდა, საათში ორმოცდაათი მილის სისწრაფით ჯონათანმა თოლიებისათვის სისწრაფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა!

მაგრამ ხანმოკლე იყო გამარჯვების ზეიმი. როგორც კი პიკედან გამოსვლა იწყო და ფრთების კუთხე შეცვალა, კვლავ ძველმა უბედურებამ იჩინა თავი — წონასწორობა დაერღვა და ამან დინამიტივით იმოქმედა; ჯონათან თოლია თითქოს აფეთქდაო ჰაერში და ისეთი ძალით დაენარცხა ძირს, რომ ზღვა ბეტონივით გამაგრებული ეჩვენა.

გონს რომ მოვიდა, კარგა ხნის შეღამებული იყო. მთვარით განათებულ ოკეანის ზედაპირზე ირწეოდა. ფრთები ტყვიასავით დამძიმებოდა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც მარცხის განცდა ამძიმებდა. გულში ისიც კი ისურვა, ნეტავი ამ სიმძიმემ ფსკერისკენ წამიღოს და ბარემ ყველაფერი ალასრულოსო.

წყალში რომ ჩაიყურყუმალავა, ყრუ ხმამ ამოსძახა მისივე არსებიდან: რა გაეწყობა, თოლია ვარ და ჩემივე ნირი მზღუდავს. ფრენაში საწვრთნელად რომ ვიყო გაჩენილი, ტვინის ნაცვლად თავი საზღვაო რუქებით მექნებოდა აღჭურვილი. არც სისწრაფე დაუბედებია ჩემთვის ბუნებას, თორემ შევარდნის მოკლე ფრთებს გამომასხამდა და საზრდოდაც თევზს კი არა თაგვს მომიჩენდა. მამაჩემი მართალი იყო. უნდა დავივიწყო ეს სისულელე, თემს დავუბრუნდე და ჩემს ტყავში ჩავეტიო. საწყალი თოლიას ხვედრს უნდა დავსჯერდე.

ხმა მიწყდა. ჯონათანი ეთანხმებოდა მას. ღამით თოლიას ადგილი ნაპირზეა. ამ წუთიდან თავს შეჰფიცა, რომ ჩვეულებრივი თოლია იქნებოდა. ასე აჯობებდა ყველასათვის.

დამაშვრალ-დაქანცული მოსწყდა ქუფრ ზღვას და ნაპირისაკენ წაფარ-

ფატდა, იმისიც მადლობელი იყო, ზღვის დონესთან სიახლოვით ძალ-ღონის დაზოგვა რომ ისწავლა.

„უნდა დავივიწყო რაც ვიყავი, უნდა დავივიწყო ყველაფერი, რაც ვისწავლე. მეც ისეთივე თოლია ვარ, როგორიც ყველა სხვა [illegible] მათსავით ვიფრენ“. ტკივილებს სძლია და ფრთების ფათქუნით ასე [illegible] ინაცვლა. ნაპირისკენ მიილტვოდა.

შვებას ჰგვრიდა ის, რომ თემის ხორცი ხორცთაგანი უნდა გამხდარიყო. ამიერიდან აღარ იქნებოდა სწავლისადმი თავგადაკლული ჟინი, აღარ იქნებოდა ბრძოლა, აღარ იქნებოდა დამარცხების სიმწარე. მომხიბლავიც იყო გონებიდან ფიქრის განდევნა და ბნელ ღამეში სანაპიროს სინათლისაკენ ქროლვა.

„ბნელშიო“! — კვლავ ამოსძახა ყრუ ხმამ. „ბნელში თოლიები არ ფრენენ“.

ჯონათანმა ყური აღარ ათხოვა. „რა სასიამოვნოა! — ფიქრობდა იგი, — მთვარისა და შუქურების სინათლით ალიცლიცებული წყალი და შუქმიმდგარი უკუნი ღამე. ყველაფერი ირგვლივ რა მშვიდი და უშფოთველია...“

„ძირს დაეშვი! თოლიები არასოდეს ფრენენ სიბნელეში. ბნელში რომ ფრენდე, ბუს თვალები უნდა გქონდეს! საზღვაო რუქები უნდა გქონდეს ტვინის ნაცვლად! შევარდნის მოკლე ფრთები უნდა გქონდეს!“

იქ, იმ ღამეში, ასი ფუტის სიმაღლეზე თოლია ჯონათან ლივინგსტონმა თვალები დაახამხამა — ტკივილი გაუქრა, აღთქმა გადაავიწყდა.

მოკლე ფრთები, შევარდნის მოკლე ფრთები!

აი, პასუხი! რა სულელი ვიყავი! ერთადერთი რაც მჭირდება, პატარა ფრთაა. საჭიროა, მხოლოდ მოკეცო ფრთების დიდი ნაწილი და პაწაწა ბოლოებით ვიფრინო! მოკლე ფრთები!

ორი ათასი ფუტით აიჭრა ქუფრი ზღვის თავზე. მარცხი და სიკვდილი ფიქრადაც არ მოსვლია. წინაფრთები მჭიდროდ შეიკეცა, მხოლოდ ვიწრო, წამახული ბოლოებიღა დაიტოვა ქარში გაწვდილი და შვეული პიკირება დაიწყო.

ქარი ურჩხულივით ღრიალებდა თავთან. საათში სამოცდაათი მილი, ოთხმოცდაათი, ას ოცი და კიდევ მეტი. ფრთების ძაბვა ახლა, საათში ას ორმოც მილზე, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მაშინ სამოცდაათზე. ბოლოფრთათა უმნიშვნელო შერხევით პიკედან გამოცურდა და მთვარის შუქზე ტალღებს ზარბაზნის ყუმბარასავით რუხფერისად გადაევლო.

ქარს თვალები გაუწვრილა და სიხარულს მიეცა. საათში ას ორმოცი მილი! თანაც წონასწორობის დაურღვევლად! ორი ათასის ნაცვლად ხუთი ათასი ფუტიდან რომ დავეშვა, რა იქნება...

წუთის წინათ დადებული აღთქმა დაივიწყა, ქარს გაატანა. და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავისადმი მიცემული სიტყვა გატეხა, დანაშაული არ უგრძვნია. ასეთი სიტყვის ერთგულება მათთვისაა უპრიანი, ვინც საშუალოს ყაბულდება. ხოლო ის, ვინც სრულყოფას ეზიარება, მსგავსი პირობით თავს ვერ შეიბოჭავს.

მზე უკვე კარგა მოვლილი იყო, რომ თოლია ჯონათანი ისევ ვარჯიშობდა. ხუთი ათასი ფუტიდან სათევზაო ნავები გლუვ, ლურჯ წყალზე ნამცეცებად მოჩანდნენ, ხოლო საუზმეს შესეული თოლიების გუნდი პატარა ტვეროკანების მქრქალ მოტრიალე ღრუბლებად ჩანდა.

გალაღებული ჯონათანი ნეტარების ქუნაზეს თრთოლას აეტანა. ეამაყებოდა, რომ შიშის დაოკება შეიძლო. შემდეგ არც აცია, არც აცხელა, წინაფრთები შეიკრიფა, პატარა მოკაკვული ბოლოფრთები გამოჰყო და თავქვე ზღვისკენ დაინთქა. როცა ოთხი ათასი ფუტი მოიტოვა უკან, ზღვრულ სიჩქარეს მიაღწია. ქარი ახლა ხმაურიან ბგერათა მყარი კედელი იყო, რომელიც მას ცხვირ-პირში სცემდა და მეტ გასაქანს აღარ აძლევდა. პირდაპირ ძირსკნელისაკენ მიექანებოდა ორას თოთხმეტი მილის სისწრაფით. სული შეიგუბა, რადგან იცოდა, ასეთ ქროლვაში ფრთის გამოღება მილიონ პატარა ნაკუწად აქცევდა. მაგრამ რა ძალუმი იყო ეს ქროლვა, რაოდენ სავსე სიცოცხლით, რა უმწიკვლოდ ლამაზი.

ათას ფუტზე პიკედან გასწვრივ ფრენაზე იწყო გადასვლა. მისი ფრთის ბოლოები შხუილით აიმღვრნენ გოლიათურ ქარში; ნავები და თოლიათა გუნდი აყირავდა და მეტეორის სისწრაფით პირდაპირ მის საფრენ ბილიკზე ამოძრავდა.

შეჩერება არ შეეძლო. ჯერ ისიც კი არ იცოდა, როგორ მოეხვია ასეთ სიჩქარეში.

შეჯახება მეყსეულ სიკვდილს უდრიდა.

და მან თვალები დახუჭა.

და ეს მოხდა სწორედ იმ დილით, მზის ამოსვლის შემდეგ. თოლია ჯონათან ლივინგსტონი საათში ორას თორმეტი მილის სისწრაფით საუზმეს შესეულ თოლიების გუნდის შიგ შუაგულში შეიჭრა, თვალდახუჭული, ქარისა და ფრთების ყურისწამღებ ქშუილში. მაგრამ მას თოლიას მფარველმა სულმა გაუღიმა. მსხვერპლი არ ყოფილა.

როცა ნისკარტი ცისაკენ აიღირა, ჯერ კიდევ საათში ას სამოცი მილით მიჰქროდა. ხოლო როცა ოც მილამდე შეანელა ფრენა, როგორც იქნა, კვლავ გაშალა ფრთები. ოთხი ათასი ფუტით დაბლა ზღვის ზედაპირზე ნამცეცა ნავი მოჩანდა.

აღტაცებამ მოიცვა: — ზღვრული სიჩქარე! თოლია საათში ორას თოთხმეტი მილის სიჩქარით! ლარი გაიტანა. თემის ცხოვრებაში უდიდესმა წუთმა დაჰკრა და ამ წუთს ჯონათან ლივინგსტონისათვის ახალი ხანა დაიწყო. კვლავ აიჭრა თავის უკაცრიელ პოლიგონზე, ფრთები მოკეცა რვა ათასი ფუტიდან თავქვედასაშვებად. გადაწყვიტა მოხვევა ესწავლა.

მან აღმოაჩინა, რომ თავბრუდამხვევ სიჩქარისას ფრთის ერთი პატარა ბუმბულის ოდნავი შერხევაც კი ჰაერში ლამაზ მრუდს გაავლებინებდა. თუმცა ისიც გამოსცადა, რომ ერთ ბუმბულზე მეტის ამოძრავება ასეთ სიჩქარეში ტყვიასავით გაისვრიდა წინ.. .და ჯონათანმა მთელი დედამიწის თოლიებიდან პირველმა შეასრულა უმაღლესი პილოტაჟის ილეთი.

იმ დღეს სხვა თოლიებთან ლაპარაკში კი არ დაუკარგავს დრო, გვიანობამდე ფრენაში ვარჯიშობდა. და ჯონათანმა აღმოაჩინა მარყუჟი, ნელი ხვეული, სწრაფი ხვეული, შებრუნებული ბურღი, უკუიმელმანი, ვირაჟი.

* *

ღამე კარგა მოყრილი იყო, როცა თოლია ჯონათანმა ნაპირს მიაღწია და გუნდს შეუერთდა. დაღლილობისგან თვალები ებლიტებოდა და მაინც, სიხა-

რულის ინერციით, ზედ მიწაზე დაშვების წინ ერთი მკვდარი მარყუჟი და ერთიც კარგად გამოზომილი ხვეული მოასწრო. ჩემს მიღწევას რომ გაიგებენ, ფიქრობდა ჯონათანი, სულ გადაირევიან სიხარულისაგან. რამდენად მეტი აზრი ექნება ახლა ცხოვრებას! ჩვენი უთავბოლო ბოდიალი წინ და უკან სათევზაო ნავებს შორის, ცხოვრების მიზნით შეიცვლება. უმეცრების ჭაობიდან ამოვალთ და სრულყოფილ, განსჯისუნარიან ქმნილებებად ვიქცევით. თავისუფლები ვიქნებით! ფრენას ვისწავლით!

მყოფადიდან იმედის ხმა იდუმალი შემოესმა და ნათლის კიაფი შეიცნო.

ჯონათანი ძირს დაეშვა. თოლიები მოჯარულიყვნენ თემის ყრილობაზე. როგორც ჩანდა, კარგა ხნის თავშეყრილნი იყვნენ და სწორედ მას ელოდნენ.

„თოლია ჯონათან ლივინგსტონ! წრეში ჩადექი"! საზეიმოდ გაისმა უხუცესის სიტყვები. წრეში ჩადგომა ან დიდი სირცხვილი იყო, ან დიდი პატივი. როდესაც თოლიები უზენაეს წინამძღვარს ირჩევდნენ, მას საპატიო წრეში აყენებდნენ. რაღა თქმა უნდა, — გაიფიქრა ჯონათანმა, —ამ დილით ხომ საუზმის ხანს თოლიების გუნდს შევეჩეხე! ჰოდა ჩემი გამარჯვება დაინახეს! მაგრამ მე პატივს არ მოვითხოვ. არ მსურს წინამძღვრობა. მინდა მხოლოდ გავუზიარო მათ ჩემი აღმოჩენა და დავანახო ჩვენს წინ გადაშლილი სივრცეები. და მან წინ წადგა ნაბიჯი.

„თოლია ჯონათან ლივინგსტონ!", თქვა უხუცესმა, „სამარცხვინო წრეში ჩადექი, რომ ყველამ დაგინახოს!"

თითქოს თავში კეტი ჩაარტყესო, — მუხლებში ძალა წაერთვა, ბუმბული ჩამოუფხავდა, ყურებმა წივილი დაუწყო. სამარცხვინო წრეში! შეუძლებელია! ჩემი მიღწევა?! მათ არ ესმით, ცდებიან, ცდებიან!

„...მისი წინდაუხედავი უპასუხისმგებლობისა გამო", წარმოთქვამდა საზეიმო ხმა, „მასზედ რომ მან შებღალა თემის ღირსება და ტრადიცია..."

სამარცხვინო წრე ნიშნავდა მის მოკვეთას თოლიათა თემიდან და ცოდვების მოსანანიებლად შორეულ კლდეებში მის გასახლებას.

„...ერთ დღეს, თოლია ჯონათან ლივინგსტონ, შენ გაიგებ, რომ უპასუხისმგებლობას კარგი არაფერი მოჰყვება. ცხოვრება შეუცნობელი და შეუცნობადია გარდა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენ ჰამისთვის მოვევლინეთ ქვეყანას და რაც შეგვიძლია დიდხანს უნდა გავიტანოთ თავი".

ჯერ არ ყოფილა, თოლიას სიტყვა შეებრუნებინოს თემისათვის. ეს ჯონათანი იყო ხმა რომ აღიმაღლა. „უპასუხისმგებლობა? მოძმენო!" შესძახა მან. „ვინ არის უმეტეს პასუხისმგებელი იმ თოლიაზე, ვინც ეძიებს და ჰპოვებს აზრს, უზენაეს მნიშვნელობას ცხოვრებისა? ჩვენი დღე და მოსწრება თევზებს მივსდევთ და მივეტანებით. დღეიდან კი ჩვენს არსებობას აზრი ექნება — ცხოვრების შეცნობა, ძიება, თავისუფლება! მომეცით გასაქანი და გაჩვენებთ, რასაც მივაღწიე".

კედელს ცერცვი შეაყარე...

„განვედ ჩვენი თემიდან", ერთხმად წარმოთქვეს მათ, ყურები საზეიმო იერით დაიცეს და ჯონათანს ზურგი აქციეს.

* *

თოლია ჯონათანმა შემდგომი დრო მარტოობაში გაატარა, შორეულ კლდეებს კიდევ უფრო იქით გასცდა. ეული ყოფნა კი არ შეაჭირვებდა, არამედ ის, რომ თოლიები უნდობლად ექიდებოდნენ ფრენის სიდიადეს, — თავისსავე უნარს. არ სურდათ თვალი გაეხილათ.

დღითიდღე მეტს და მეტს შეიცნობდა. მიაგნო, რომ სწრაფი გარსდენით პიკირება მისთვის მისაწვდომს გახდიდა იშვიათ, გემრიელ თევზებს, რომლებიც ოკეანის ზედაპირიდან ათი ფუტის სიღრმით დანავარდობდნენ. ამიერიდან წეთევზეთა ნავებისა და მათი გამხმარი პურის გარეშეც გაიტანდა თავს. ისწავლა ჰაერში ძილი. დაღამებულზე მიანებებდა ფრთებს ნაპირიდან მონაბერ ქარს, რომელიც მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე ას მილზე ატარებდა. იმავე შინაგანი ალღოთი გააღწევდა ზღვის სქელ ბურუსში და ავიდოდა გაცისკროვნებულ, კრიალა ცის ტატნობზე... ეს მაშინ, როცა სხვა თოლიები, წვიმით და ნისლით შეჭირვებულნი მიწას ვერ აშორებოდნენ. ისწავლა, როგორ შეჰყოლოდა ზღვაურს ხმელეთის სიღრმეში, სადაც სადილად გემრიელი მწერები ეგულებოდა.

სიკეთეს, რასაც ერთხელ მთელი თემისთვის ნატრობდა, ახლა მხოლოდ თვითონ მიითვლიდა. სწავლობდა ფრენას, და ამისთვის გაღებულ მსხვერპლს სანანებლად არ მიიჩნევდა. ჯონათანი მიხვდა, რომ მოწყენილობა, ბრაზი და შიში ის მიზეზებია, რომლებიც თოლიას სიცოცხლეს უსწრაფებენ და განაგდორა გონებიდან ისინი, მართლაცდა ნეტარი, გრძელი ცხოვრება განვლო.

* *

ისინი მწუხრისას გამოეცხადნენ ჯონათანს, რომელიც მარტო, მშვიდად მისრიალებდა მისთვის სათნოყოფილ ცაზე. ორივე თოლია აქეთ-იქიდან ამოუდგა მას. ვარსკვლავისდარი წმინდა, მოყვასური შუქით ციალებდნენ ღამეულ წყვდიადში. მაგრამ ყველაზე უფრო მომხიბლავი მათი ფრენა იყო. მათი ფრთები ზუსტად ერთი დუიმის დაშორებას ინარჩუნებდნენ ჯონათანის ფრთებთან.

ხმისამოუღებლად, ჯონათანმა მათ გამოცდა მოუწყო. ასეთი გამოცდა ჯერ არც ერთ თოლიას არ ჩაებარებინა. ფრთების მოძრაობით სიჩქარე ისე დააგდო, რომ საკმარისი იყო, საათში კიდევ ერთი მილით შეენელებინა და ჩამოვარდნა არ ასცდებოდა. მასთან ერთად ორმა მანათობელმა ფრთოსანმაც ნარნარად შეანელა ფრენა, ისე რომ მწყობრი არ დაურღვევია. ნელი ფრენა უცხო არ უნდა ყოფილიყო მათთვის.

ჯონათანმა ფრთები შეიკეცა, ხვეული გააკეთა და საათში ას ოთხმოცდაათი მილის სისწრაფის პიკეზე გადავიდა. უზადო სიმწყობრით, ისინი თითქოსდა დინებით მიჰყვნენ მას.

ბოლოს, იმავე სიჩქარით, გრძელ შვეულ ხვეულში გადაერთო. ისინიც ღიმილით გადაერთვნენ გრძელ შვეულ ხვეულში.

ჯონათანი გასწვრივ ფრენას დაუბრუნდა და ცოტა ხანს უჩუმრად დაჰყო. „ძალიან კარგი“, თქვა მან ბოლოს. „ვინა ხართ?“

„შენი თვისტომნი ვართ, ჯონათან. შენი თანამოძმენი“, წარმოთქვეს მათ მშვიდი, ზახიანი კილოთი. „მოვედით, რომ ზეცად აგიყვანოთ. იქ, სადაც შენი ტომი სახლობს“.

—მე არც ტომი მყავს და არც სახლი გამაჩნია. მოკვეთილი ვარ. ამასთან, ახლა ქარების დიად მთათა მწვერვალებს ვუსწორდებით. რამდენიმე ასეული ფუტის უმაღლეს ვეღარც ავათრევ ჩემს ბეხრეკ სხეულს“.

„არა, აათრევ, იმიტომ, რომ ბევრი გისწავლია. ერთ სკოლას უკვე მორჩი. დროა, მეორე დაიწყო“.

რადგან თოლია ჯონათანსაც მუდამდღე ეს აზრი უელავდა თავში, ახლა უმალ გაუნათდა გონება. მართალს ამბობდნენ. შეეძლო ამის უმაღლესი ფრენა. შინ დაბრუნების დროც მოწეულიყო.

უკანასკნელი მზერა სტყორცნა ცას, დიად ვერცხლოვან მხარეს, სადაც ამდენი რამ გაიგო და შეითვისა.

„მე მზად ვარ“, თქვა მან ბოლოს.

და თოლია ჯონათან ლივინგსტონი ორ ვარსკვლავთოლიასთან ერთად მაღლა აიჭრა და უკუნ სივრცეს შეერია.

## მეორე ნაწილი

„მაშ ეს არის ზეცა“, გაიფიქრა მან, მაგრამ უმალ საკუთარ სიჩქარეზე გაეღიმა. განა შეშვენოდა ზეცის განსჯა იქ შეჭრევისთანავე.

როცა ორ მანათობელ თოლიასთან მწყობრში, მიწიდან ღრუბლებს ზემოთ აიჭრა, იგრძნო, რომ ნელინელ მათსავით ბრწყინვალებით იმოსებოდა. მართალია, ეს ისევ ის ჭეელი ჯონათან ლივინგსტონი იყო, ყოველთვის რომ ბინადრობდა ამ ოქროსფერ თვალების მიღმა, მაგრამ გარეგნულად ის აღარ იყო.

ტანი, თითქოს, ისევ თოლიასი ესხა, ოღონდ ახლა წინანდელზე ბევრად უკეთ ფრენდა. „ბიჭოს, — გაიფიქრა მან, —ორჯერ ნაკლები ძალღონით ახლა ორმაგ სისწრაფეს ვანვითარებ და ეს ორჯერ იმაზე მეტია, რა სისწრაფითაც დედამიწაზე ჩემი ცხოვრების უკეთეს დღეებში მიფრენია“.

მის ბუმბულს თეთრად გაჰქონდა ქათქათი. ფრთები კი გაფერილი ვერცხლივით გლუვი, უხორკლო და უზადო ჰქონდა, ნეტარებას ჰგვრიდა ახალი ფრთების შეცნობა, მათში თავისი ძალღონის შთაღვრა.

საათში ორას ორმოცდაათ მილზე გასწვრივი ფრენისას იგრძნო, რომ თავისი შესაძლებლობის ზღვრულ სიჩქარეს უახლოვდებოდა. ორას სამოცდამეცამეტე მილზე იფიქრა, ამაზე სწრაფად ფრენა კი აღარ შემიძლიაო, და იმედის გაცრუება იგრძნო. ამ ფერიცვალების მერეც ზღვარდებული ყოფილა მისი სხეულის შესაძლებლობები. და თუმცა ეს სიჩქარე ბევრად აღემატებოდა წინანდელს, მაინც ზღვრული სიჩქარე იყო და მისი გადალახვა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, ზეცაში არავითარი ზღვრები არ უნდა არსებობდესო, გაიფიქრა მან.

ღრუბელი გაიპო. „მშვიდობით დაშვებას გისურვებთ, ჯონათან“, მოაძახეს თანმხლებთ და თითქოს ცამ ჩაყლაპაო, თვალს და ხელს შუა გაუჩინარდნენ.

ზღვათა ზედა მიფრინავდა ჯონათანი დაკბილული ნაპირებისაკენ. აქა-იქ კანტიკუნტად თოლიები კლდის ქარაფებიდან აფრენაში ვარჯიშობდნენ. მოშორებით კი ჩრდილოეთის მხარეს, ცის კაბადონზე სხვა თოლიები ნავარდობ-

დნენ. ახალი სურათები. ახალი ფიქრები. ახალი კითხვები. „რატომაა ასე ცოტა თოლია! ზეცა ხომ გავსილი უნდა იყოს თოლიებით! ან ასე უცებ ჩემი დაღლა რაღაა? ზეცაში თოლიები არასოდეს იღლებიან და არც ძილი ერევათ".

სად ჰქონდა ეს განაგონი? მიწიერი ცხოვრების ხსოვნა თანდათან უქრებოდა. რა თქმა უნდა, იქ ნასწავლი უამრავი რამ ახსოვდა, მაგრამ წვრილ-წვრილი ამბები — ბრძოლა არსებობისათვის, გაძევება თუ სხვა — გონებაში მეტად გაუმკრთალდა.

ჯონათანთან შესახვედრად ნაპირზე თორმეტიოდე თოლიამ მოიფრინა. არც ერთს სიტყვა არ დასცდენია. ეს კი იყო, სითბო იგრძნო მათ დახვედრაში და თავიც შინ დაიგულა. ძალიან გაუგრძელდა ეს დღე, დღე, რომლის ცისკარი აღარც კი ახსოვდა.

პირი ნაპირისკენ იბრუნა. ფრთებს მანამ აფათქუნებდა, სანამ მიწამდე ერთ დუიმზე ჰაერშივე არ გაჩერდა და ქვიშაზე რბილად დაეშვა. სხვა თოლიებიც დაქვეითდნენ, მაგრამ ისე, რომ არც ერთ მათგანს, ბუმბული რაა და ისიც არ შერხევია. ჯერ ნელა ირწეოდნენ ჰაერში ქათქათაფრთებგაშლილნი, შემდეგ ბუმბული როგორღაც სხვა მრუდით მოხარეს და სისწრაფე ისე შეანელეს, რომ მიწასთან შეხების წამს უკვე სულ აღარ მოძრაობდნენ. ლამაზად დაცული წონასწორობა იყო, მაგრამ ჯონათანი ახლა მეტისმეტად დაღლილი იყო საამისოდ. ნაპირზე მჯდომს ჯერ კრინტიც არ დაეძრა, რომ ჩაეძინა.

მომდევნო დღეებში ჯონათანმა დაინახა, რომ აქაც, ისევე როგორც ძველ სამყაროში, ფრენაში ბევრ რამეს ისწავლიდა.

მაგრამ ძველი სამყაროსაგან განსხვავებით, აქაური თოლიები მასავით აზროვნებდნენ. ყოველ მათგანს ცხოვრების მთავარ სწრაფვად სრულყოფა ესახებოდა, სრულყოფა იმისა, რასაც ყველაზე მეტად მიელტვოდა, ხოლო ის, რასაც მიელტვოდა, ფრენა იყო, ყველა ისინი დიდებული ფრთოსნები იყვნენ, საათებსა და დღეებს ასწორებდნენ ფრენაში ვარჯიშით, მოწინავე აერონავტიკის ილეთებს ცდიდნენ.

ჯონათანმა კარგა ხნით დავიწყებას მისცა სამყარო, საიდანაც მოსულიყო, სადაც თოლიას თემი ბრმად ამბობდა უარს ფრენის ნეტარებაზე და ფრთებს სხვა არად აქნევდა, თუ არ სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად. მაგრამ დროდადრო, სულ ცოტა ხნით მაინც აგონდებოდა ძველი სამყარო.

ასე მოაგონდა ის ერთ დილას, როცა თავის ენიოტთან ერთად სწრაფ ხვეულებზე ვარჯიშის შემდეგ შესასვენებლად ნაპირზე ჩამოჯდა.

„სალივან, სად არიან სხვა თოლიები? — იკითხა უხმოდ იმ ტელეპათიას კარგად დაუფლებულმა, რომელიც აქაურ თოლიებს ჭყივილისა და ხმამაღალი ყაყანის აუცილებლობისგან ათავისუფლებდათ, — რატომ ამაზე მეტნი არა ვართ? იქ კი, მე საიდანაც მოვედი, იქ..."

„...უშტი და უშქარი თოლია იყო. ვიცი, — სალივანმა თავი გააქნია, — ამაზე მხოლოდ ერთი პასუხის მოცემა შემიძლია, ჯონ. საქმე ისაა, რომ შენ მართლაცდა მილიონში გამორჩეული თოლია ხარ. ჩვენმა უმრავლესობამ კუს ნაბიჯით მოაწია აქამდე. ერთი სამყაროდან მეორეში გადმოვედით, სადაც ყველაფერი წინანდელს ჰგავს და მყისვე დაგვავიწყდა, საიდან მოვედით. არც ის გვაფიქრებს, სად მივდივართ. ჩვენ აწმყოთი ვცხოვრობთ. შენ, ალბათ, არ იცი, რამდენი ცხოვრების გამოვლა დაგვჭირდა, სანამ შევიგნებდით, რომ ცხოვრებას ჭამაზე, ჩხუბსა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე უფრო დიდი დანიშ-

ნულება აქვს. ათასი, ათი ათასი ცხოვრება გამოვიარეთ, ჯონ! შემდეგ კიდევ ასი ცხოვრება, სანამ გავიგებდით, რომ ქვეყანაზე არის ისეთი რამ, რასაც სრულყოფა ჰქვია. შემდეგ კი კიდევ ასი და ჩვენ შევიგნეთ, რომ საჭიროა პოვნა და წარმოჩენა ამ სრულყოფისა. ახლაც ამავე კანონს ვემორჩილებით. ჩვენ შევიქცევით ახალ სამყაროში იმის მიხედვით, თუ აქ რას ვისწავლით. თუკი აქედან არაფერს წავიღებთ, ახალი სამყაროც იგივე იქნება ჩვენთვის, რაც ეს, და წინ იგივე მძიმე დაბრკოლებები გვექნება გადასალახი".

ფრთები გაწვართა და ქარს პირსახე მიუშვირა. „შენ კი, ჯონ, — განაგრძო მან, — ერთ ჯერზე იმდენი შეიმეცნე, რომ აღარ დაგჭირდა კვლავაც ათასი ცხოვრების გამოვლა აქ მოსახვედრად".

წუთიც და ციომარენი კვლავ წვრთნას შეუდგნენ.

სწრაფი ხვეულის მწყობრად შესრულება ჭირდა. დროდადრო ჯონათანს თავდაყირა უხდებოდა ფიქრი. გარდა ამისა, ფრთებიც ზუსტად მის ენიოტთან თანწყობით უნდა მოერკალა.

„აბა, ერთიც ვცადოთ, — კვლავ და კვლავ ამბობდა სალივანი, — ერთიც ვცადოთ". და ბოლოს, „კარგია", თქვა მან. ამის შემდეგ გარეგანი მარყუჟის დამუშავებას შეუდგნენ.

* * *

ერთ საღამოს თოლიები, რომლებიც ღამე არ ფრენდნენ, ერთად ჩამომსხდარიყვნენ ქვიშაზე და თავი ფიქრისთვის მიეცათ. ჯონათანმა გამბედაობა მოიკრიბა და უხუცესს მიეახლა. მასზე ამბობდნენ, საცაა ამ ქვეყნიერებას დატოვებსო.

„ჩიანგ..." უთხრა ჯონათანმა არცთუ მშვიდი ხმით.

უხუცესმა გულკეთილი მზერა მიაპყრო მას. „გისმენ, შვილო". კი არ დაუძაბუნებია ასაკს ჩიანგი, პირიქით, მეტი ძალოვნება შთაებერა მისთვის. თოლიებში მასავით სწრაფი ფრინველი მეორე არ იპოვებოდა. მათ ჯერაც ბევრი აკლდათ იმ საიდუმლოებათა დასაუფლებლად, რომელთაც ჩიანგი იყო ნაზიარევი.

„ჩიანგ, ეს ხომ სრულებითაც არაა ზეცა?"

მთვარის შუქზე უხუცესის ღიმილი გამოკრთა, „ისევ სწავლობ, თოლია ჯონათან", თქვა მან.

„მითხარი, რას გვიმზადებს მომავალი? საითკენ ვისწრაფვით? ზეცა თუა სადმე?"

„არა, ჯონათან, ის არსადაა. ზეცა არც ადგილია და არც დრო. ზეცა თვით სრულყოფაშია. — წუთით დადუმდა და დასძინა, — შენზე ამბობენ, ძალზე სწრაფი ფრენა იცისო".

„დიახ.... მიყვარს სისწრაფე", თქვა ჯონათანმა ცოტა არ იყოს შეცბუნებით, და იმავ დროს სიამაყით, რადგან უხუცესს შეენიშნა იგი.

„რაწამს სრულყოფილ სიჩქარეს მიაღწიო, თავიც ზეცაში დაიგულე. ოღონდ ეს არც საათში ათასი მილით ფრენაა, არც მილიონით და არც სინათლის სიჩქარით. იმიტომ, რომ ნებისმიერი რიცხვი ზღვრულია, სრულყოფას კი ზღვარი არ გააჩნია. სრულყოფილი სიჩქარე, ჩემო შვილო, ნიშნავს... იქ ყოფნას".

უცებ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ჩიანგი გაუჩინარდა და წამის ერთ გაელვებაში ზედ წყლის ნაპირზე აღმოჩნდა ჯონათანისგან ოთხმოცდაათი ფუტის მოშორებით. შემდეგ ისევ გაქრა და სულ რაღაც წამის მეათედში კვლავ ჯონათანის გვერდით გაჩნდა. „ერთობ სახალისოა“, თქვა მან.

* * *

ჯონათანი გაოცებას იყო. დაავიწყდა, ზეცაზე შეჰკითხოდა რამეს. „რანაირად შვრები? როგორი განცდა გაქვს? რა სიშორეზე შეგიძლია თავი ამოყო?“

„რა დროში და რა ადგილზეც გინდა, იქ ამოჰყოფ თავს, — უთხრა უხუცესმა, — მე ყველგან და ყველა დროში ვყოფილვარ, სადამდეც კი გონება გამწვდა, — მან ზღვას გახედა. — საოცარია. ის თოლიები, რომლებიც სრულყოფას დასცინიან და მოგზაურობას არჩევენ, ვერსადაც ვერ მიდიან და ერთ ადგილს ტკეპნიან. ის კი, ვისაც მოგზაურობის ნაცვლად სრულყოფაზე უფიქრია, წამში ქვეყანას მოივლის. გახსოვდეს, ჯონათან, ზეცა არც ადგილია და არც დრო, რადგან დრო და ადგილი უმნიშვნელო რამეებია. ზეცა არის...“

„მეც მასწავლე მაგნაირად ფრენა“, ახლის შეცნობის მოლოდინი ჟრუანტელს ჰგვრიდა ჯონათანს.

„რატომაც არა, თუკი მოიწადინებ“.

„მოვიწადინებ. როდის დავიწყოთ?“

„თუნდაც ახლავე“.

„მაგნაირად ფრენა მინდა ვისწავლო, — თქვა ჯონათანმა და თვალებში უცნაური შუქი აუკიაფდა, — მითხარი, რა უნდა ვქნა?“

ჩიანგი აუჩქარებლად ლაპარაკობდა და გულისყურით აცქერდებოდა ახალგაზრდა თოლიას. „ფიქრის სისწრაფით რომ იფრინო, ესე იგი, გაფრინდე ყველგან, სადაც კი მოგესურვება, — თქვა მან, — უნდა დაიწყო იმის ცოდნით, რომ უკვე მოფრინდი“...

ჩიანგის თქმით, თავიდათავი ის იყო, რომ ჯონათანს თავი იმ შეზღუდულ სხეულში მოქცეულ არსებად არ წარმოედგინა, რომლის ფრთათა სივრძე გაშლილ მდგომარეობაში ორმოცდაორ გოჯს არ აღემატება და მის შესაძლებლობათა სქემაზე დატანაც კი შეიძლება. მას უნდა სცოდნოდა, რომ მისი ჭეშმარიტი ბუნება დაუწერელი რიცხვივით უსაზღვრო იყო და დროსა და სივრცეში განეფინებოდა.

* * *

ჯონათანი შეუპოვრად განაგრძობდა ვარჯიშს. დღე და ღამეს ასწორებდა. უთენია რომ დაიწყებდა, ნაშუაღამევს ამთავრებდა. მაგრამ, როგორ არ ეცადა, ღინღლისოდენადაც ვერ წაიწია წინ.

„რწმენაზე ნუ იფიქრებ! — ეტყოდა დროდადრო ჩიანგი, — ფრენისათვის ხომ ფრენის გაგება გჭირდებოდა და არა რწმენა. აქაც ასე გახლავს. აბა, ახლა ისევ სცადე...“

შემდეგ, ერთ დღეს, ნაპირზე რომ იდგა და თვალდახუჭული გულისყურს იკრებდა, ჯონათანი ელვისუსწრაფეს ჩასწვდა ჩიანგის შეგონებას. „დიახ, მარ-

თლაც ასეა! სწორედაც რომ შეუზღუდავი, სრულქმნილი თოლია ჯარ!“ და გამაოგნებელმა სიხარულმა მოიცვა.

„კარგია!“ გამარჯვებულის ხმით თქვა ჩიანგმა.

ჯონათანმა თვალი გაახილა. ის და უხუცესი ახლა სულ სხვა ზღვისპირთან იდგნენ მარტონი. ხეები წყალს ჩასდევდნენ, ზემოთ კი ორი მრგვალი მზე ბრიალებდა ყვითლად.

„როგორც იქნა, ჩასწვდი მუდამს, — თქვა ჩიანგმა, — მაგრამ წონასწორობაზე ცოტა მეტი მუშაობა დაგჭირდება“.

ჯონათანი გაშეთდა, „სადა ვართ?“

უხუცესზე კი სულ არ უმოქმედია უცხო გარემოს. შეგირდის კითხვას გულს გარეთ უპასუხა: „რომელიღაც პლანეტაზე უნდა ვიყოთ, სადაც მწვანე ზეცა ყოფილა და მზის მაგივრობას მარჩბივი ვარსკვლავი ასრულებს“.

ჯონათანს ალტაცების კრინი აღმოხდა. რაც მიწა განეშორა, ეს პირველად გაიღო ხმა, „არის, გასჭრა“!

„რა თქმა უნდა, ჯონ, — უთხრა ჩიანგმა, — ყოველთვის მიაღწევ მიზანს, თუკი იცი, რას აკეთებ. რაც შეეხება წონასწორობას...“

* * *

ბინდი მოტანებული იყო, როცა ისინი დაბრუნდნენ. დამხვდურთ ოქროსფერი თვალები შიშნეული კრძალულებით მიაპყრეს ჯონათანს, რომელიც ასე მოულოდნელად, იმდენ ხანს ერთ ადგილზე დგომის შემდეგ გაჰქრობოდათ თვალსა და ხელს შუა.

ჯონათანმა ერთი წუთითაც არ უსმინა მოლოცვებს. „მე თქვენ შორის ახალბედა ვარ. მხოლოდ ახლა ვიწყებ. მაგალითს თქვენგან უნდა ვიღებდე!“

„პირდაპირ საკვირველია, ჯონ“, — თქვა იქვე მდგომმა სალივანმა, — იმ თოლიათაგან, რომელთაც ათი ათასი წლის მანძილზე შევხვედრივარ, შენ ყველაზე ნაკლებად უშინდები სწავლას“. გუნდი სიჩუმემ მოიცვა და ჯონათანი უხერხულობისგან აცმუკდა.

„სივრცე ხომ დავძლიეთ, ახლა, თუ გინდა, დროის გადალახვაშიც ვივარჯიშოთ, — ჰკითხა ჩიანგმა, — რომ წარსულსა და მომავალშიც შეძლო ნავარდი. ამის შემდეგ კი მზად იქნები, ეზიარო ყველაზე უძნელესს, უმაღლესსა და უნეტარესს. შენ ზეაფრინდები და შეიცნობ არსს სიკეთისა და სიყვარულისა“.

ერთი თვე გაილია, ყოველ შემთხვევაში, გასული დრო ერთ თვედ აღიქმოდა. ჯონათანი განსაცვიფრებლად სწრაფად იკრებდა ცოდნას: ყოველდღიური გამოცდილებიდან ადრეც ბევრს სწავლობდა, ახლა კი, თავად უხეცესი თოლიას მოწაფე, ისე ითვისებდა ახალ აზრებს, რომ ლამის გარსდენისუნარიან შებუმბვლილ გამომთვლელ მანქანად იქცა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ჩიანგი გაქრა. იმ დროს, როცა დინჯად არიგებდა ყველას, არ დაეთმოთ სწავლა და წვრთნა, არასოდეს დაეკლოთ ცდა, რათა სრულიად ცხოვრების უხილავ არსს ჩასწვდომოდნენ, მისმა ბუმბულმა თანდათან გაბრწყინება იწყო, ბოლოს კი ისე გაუსხივოსნდა, რომ ვერც ერთმა თოლიამ თვალი ვეღარ უსწორა.

„ჯონათან, — და ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო, — შეიცნობდე
სიყვარულს“.

ხედვის უნარი რომ დაუბრუნდათ, ჩიანგი უკვე აღარსად იყო.
ჟამთა მსვლელობაში ჯონათანს დროდადრო მოაგონდებოდა ხოლმე მშობ-
ლიური დედამიწა. იქ რომ იმის მეათედი ან მეასედი მაინც [illegible] რაც
იქ ისწავლა, რაოდენ მეტი აზრი ექნებოდა მაშინ მის ცხოვრებას! ქვიშაზე მდგა-
რი ცნობისწადილს შეეპყრო: ნეტა თუ იყო ახლა იქ ისეთი თოლია, საკუთარი
თავის ზღუდეების განგრევას რომ ცდილობდა და ფრენაში იმაზე მეტ მნიშ-
ვნელობას ხედავდა, ვიდრე მეთევზეთა ნავების სიახლოვეს პურის ნამცეცების
მოპოვების საშუალებას. შესაძლოა ვინმეს მასავით პირშიც კი მიეხალა თე-
მისთვის თავისი სათქმელი და ახლა განკიცხულის ხვედრს იზიარებდა. ვინ იცის.
და რაც უფრო იწვრთნებოდა სიკეთის შეცნობაში, რაც უფრო მეტად უღრმავ-
დებოდა სიყვარულის ბუნებას, მით უფრო მიუწევდა გული დედამიწისკენ. რა-
მეთუ, ბუნებით მოძღვარს, მიუხედავად წარსულის ტკივილებისა, სიყვარული
ალავსებდა და სიყვარულში დამოძღვრის ერთადერთ გზას ხედავდა: მის მიერ
დანახული ჭეშმარიტების ნაწილი მაინც გაეზიარებინა იმ თოლიისათვის, რო-
მელსაც სულ პატარა ბიძგიღა სჭირდებოდა, ეს ჭეშმარიტება თავად დაენახა.
მაგრამ სალივანმა, ვისაც ფიქრის სისწრაფით ფრენა შეესწავლა და ახლა
სხვებს წვრთნიდა, ეჭვი გამოთქვა:
„ჯონ, შენ ხომ განკიცხული იყავი. რატომ გგონია, რომ იმ შენი ძველი
დროის თოლიებიდან რომელიმე მაინც დაგიგდებს ყურს? ხომ იცი, რას იბრძ-
ნის ანდაზა: შორს ისა სჭვრეტს, ვინც მაღლა ფრენსო. შენი ქვეყნის თოლიები
ერთთავად მიწაზე დგანან და ერთმანეთს ყაყანით და ჩხუბით იკლებენ. ზეცი-
დან ათასი მილის დაშორებით არიან, შენ კი დაგიჩემებია, სწორედ იქიდან და-
ანახო ზეცა. ჯონ, ისინი ხომ საკუთარი ფრთის ბოლოებსაც ვერ ხედავენ. აქ
დარჩი. ჩვენს ახალბედა თოლიებს დაეხმარე მათ უნარი შესწევთ, მიგიხვდნენ
სათქმელს, — წუთით დააყოვნა და თქვა, — ჩიანგიც რომ მის ძველ სამყაროს
დაბრუნებოდა, შენ სად იქნებოდი ახლა?“
ეს კი არ იყო სიმართლეს მოკლებული. სწორიც იყო სალივანი. შორს ისა
სჭვრეტს, მაღლა ვინც ფრენს.
ჯონათანი დარჩა და ახლადშემოქცეულ თოლიებს წვრთნიდა, ასერიგად
დიდ ნიჭსა და სისხარტეს რომ იჩენდნენ სწავლაში. მაგრამ ძველი ლტოლვა
ისევ უახლდებოდა ჯონათანს. მოსვენებას არ აძლევდა აზრი, რომ მის ქვეყა-
ნაშიც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი-ორი სწავლამოწადინებული თოლია. თა-
ვად მას განკიცხულობის პირველსავე დღეს რომ მოვლინებოდა ჩიანგი, რამ-
დენად უფრო მეტი ეცოდინებოდა ახლა!
„სალი, მე უნდა დავბრუნდე, — თქვა მან ბოლოს — შენი შეგირდები
უკვე დაოსტატდნენ და ახალბედათა აღზრდაშიაც დაგეხმარებიან“.
სალივანმა ამოიხვნეშა, მაგრამ არ შეჰკამათებია. „ვინ იცის, როგორ
მომენატრები, ჯონ“, მხოლოდ ეს უთხრა.
„სირცხვილი, სალი! —უსაყვედურა ჯონათანმა, — ნეტა რას სულელობ?
განა რისთვის ვილვწვით ყოველდღე? ჩვენი მეგობრობა რომ ისეთ რამეებს
ემყარებოდეს, როგორიც დრო და სივრცეა, მაშინ დროისა და სივრცის დაძ-
ლევით ხომ მეგობრობასაც მოვსპობდით! მაგრამ სივრცის დაძლევით ერთად-
ერთი, რასაც გადავლახავთ, არის „აქ“, ხოლო დროის დაძლევით გადალახუ-

ლია — „ახლა“. და როგორ ფიქრობ, ამ „აქ“-სა და „ახლა“-ს შორის ხანდისხან მაინც თვალს არ დავკრავთ ერთმანეთს?

თოლია სალივანს უნებურად გაეცინა. „რა გიჟმაჟი ჩიტი რამ ხარ, — ალერსით უთხრა მან, — თუკი ვისმე ძალუძს მიწიერ არსებებს ათას მილს მილმა დიდი სივრცეები გადაუშალოს, უთუოდ თოლია ჯონათან ლივინგსტონია ამის შემძლებელი, — ქვიშას დააცქერდა, — მშვიდობით, ჯონ, მეგობარო“.

„მშვიდობით, სალი. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს“. და მას რომელიღაც უცხო დროის ნაპირებთან მონავარდე თოლიათა დიდი გუნდი წარმოუდგა თვალწინ. ვარჯიშში გაწაფულმა შეიგრძნო, რომ ძვლებსა და ბუმბულისგან გამოღწეული, თავისუფლებისა და ნავარდის შეუზღუდავ იდეად გარდასახულიყო.

* * *

თოლია ფლეტჩერ ლინდი ჯერ მთლად ჯეელი იყო, მაგრამ ქვეყნად არც ერთ ჩიტს თავისი გუნდისგან იმდენი უსიამოვნება, იმდენი უსამართლობა არ შეხვედროდა, რამდენიც მას.

„რაც უნდათ, ისა თქვან, — გაიფიქრა გაგულისებით და ისე გაიჭრა წინ, შორეული კლდეებისკენ, რომ თვალთახედვა აერია, — ფრენა ხომ გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე აქეთ-იქით უსაგნო ფარფატს! ამას... ამას ხომ კოღოც აკეთებს! სულაც თავშესაქცევად გავაკეთე უხუცესი თოლიას თავზე ის პატარა კისრის ილეთი, მათ კი კანონგარეშედ გამომაცხადეს! ნეტა რამ დააბრმავათ! რად ვერ ხედავენ იმ დიდებას, ფრენამ რომ უნდა მოგვიტანოს!

არ დავეძებ, რას ფიქრობენ. უნდა ვაჩვენო მათ, რაა ფრენა! თუ ასე უნდათ ჩემი გაგდება, პირწმინდად გავეცლები. მაგრამ, დამაცადონ, თუ არ შევანანო...“

ანაზდად შიგ ტვინში ჩაესმა ვიღაცის ხმა. მეტად სათუთი ხმა იყო, მაგრამ ისე შეაშინა, რომ შეყოყმანდა, შეტოკდა ჰაერში.

„ნუ ძლიერობ მათზე, თოლია ფლეტჩერ. ერთ დღეს ისინი გაიგებენ, რომ შენი გაძევებით მარტოდენ საკუთარ თავს ავნეს. ერთ დღეს იმასაც იხილავენ, რასაც შენ ხედავ. მიუტევე მათ, დაეხმარე და მიახვედრე“.

მარჯვენა ფრთის ბოლოდან ერთი დუიმის დაშორებით ამქვეყნად უთეთრესი და უსპეტაკესი თოლია მოფრინავდა. ძალდაუტანებლად, ბუმბულის შეურხევლად მოლივლივებდა მის გვერდით. თითქმის ფლეტჩერის ზღვრული სისწრაფით მოფრინავდა.

წუთით აირია ახალგაზრა ფრთოსანი.

„ნეტა რა ხდება? ხომ არ შევიშალე? ან იქნება მოვკვდი? რა ხდება ჩემს თავს?“.

დაბალი, წყნარი ხმა კვლავ ჩაესმა ტვინში. ის ეკითხებოდა, „თოლია ფლეტჩერ ლინდ, გსურს თუ არა ფრენა?“

„დიახ, მე მსურს ფრენა“!

„ფლეტჩერ ლინდ, იმდენად ძლიერი კია შენი სურვილი, რომ შეძლებ მიუტევო თემს, შეიცნო და ერთ დღეს უკანვე დაბრუნდე, რათა მასაც დაეხმარო შეცნობაში?“

რაგინდ შელახული სიამაყის პატრონი ჩიტიც არ უნდა ყოფილიყო თოლია

ფლეტჩერი, რა გულნაწყენიც არ უნდა ყოფილიყო თემზე, აბა ამ მადლით და დიდებით მოსილ არსებას როგორ ეცრუებოდა.

„დიახ", წყნარად მიუგო მან.

„აბა, ფლეჩ, — ძალზე კეთილი ხმით უთხრა შუქმფინარმა ფრთოსანმა, — მოდი გასწვრივი ფრენით დავიწყოთ..."

## მესამე ნაწილი

ჯონათანი შორეულ კლდეებს ირაოს ავლებდა და თან თვალი ახალბედა, უცად თოლია ფლეტჩერზე ეჭირა. ეს ჯეელი ჭეშმარიტი ფრენის შეგირდის სახელს იმსახურებდა. ძალუმი, მსუბუქი და სხარტი იყო ჰაერში, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, შმაგად ესწრაფოდა ფრენის დაუფლებას.

აი, ისიც. პიკედან ხმაურით გამოვიდა და საათში ას ორმოცდაათი მილის სისწრაფით ბუნდოვან მასად ჩაუქროლა თავის ენიოტს. ანაზდად თექვსმეტმაგა შვეულ ნელ ხვეულში გადაერთო. ხვეულებს ხმამაღლა ითვლიდა.

„...რვა... ცხრა... ათი... ხედავ? სიჩქარეს ვკარგავ... თერთმეტი... შენნაირი გვარიანი მკვეთრი მუხრუჭები მინდა... თორმეტი... მაგრამ დალახვროს, რომ არ გამომდის... ცამეტი... ეს ბოლო სამი ხვეული რომ... თოთ-ხმე... ეეეჰ!"

ამას ისიც დაერთო, რომ წარუმატებლობით გაგულისებული ფლეტჩერი ბოლო წუთს ძრავასავით გამოირთო, შეტორტმანდა, ჰაერში მალაყი გააკეთა და ტლაშუნით გადავარდა შებრუნებულ ბურღში. როცა ბოლოს აქლოშინებულმა წონასწორობა აღიდგინა, მისი ენიოტის საფრენ ბილიკს ასი ფუტით ძირს ჩასცდენოდა.

„ტყუილად მახარჯავ ამდენ დროს, ჯონათან! ძალზე ჩლუნგი და ყეყეჩი ვარ! როგორც არ უნდა ვეცადო, მაინც არაფერი გამომივა!"

თოლია ჯონათანმა მაღლიდან ჩამოხედა. თავი დაუქნია და უთხრა:

„მართლაც არაფერი გამოგივა, თუ ასე მკვეთრად დამუხრუჭებას არ მოიშლი. იმთავითვე საათში ორმოცი მილი დაკარგე, ფლეტჩერ! უფრო მდორედ უნდა გააკეთო! გახსოვდეს, მკვიდრად, მაგრამ მდორედ".

ასი ფუტით ძირს ჩაიფრინა და უმცროს თოლიას დაუმხარმხარდა. „ახლა მოდი ერთად ვცადოთ, ერთ წყობაში. მუხრუჭს კარგად დაუკვირდი. ძალზე მდორედ და მსუბუქად იწყებ დამუხრუჭებას".

* * *

სამი თვის მიწურულს ჯონათანს უკვე ექვსი ასეთი შეგირდი ჰყავდა. ყველანი განკიცხულნი იყვნენ და ყველას ეს უცნაური, ახალი იდეა აჰკვიატებოდა — ფრენა ფრენის სიამეთათვის.

და მაინც რთული ილეთების კეთება უფრო ეადვილებოდათ, ვიდრე მათ წიაღ დაფარული აზრის წვდომა.

„ყოველი ჩვენგანი, თავისი ჭეშმარიტი ბუნებით, დიდი მეთოვლიას იდეაა, თავისუფლების შეუზღუდავი იდეა, — იტყოდა ხოლმე ჯონათანი საღამოობით ნაპირზე დგომისას , —უზადო ფრენას კი სწორედ ჩვენს ჭეშმარიტ ბუნებას-

თან მივყავართ. უნდა დავლახოთ ყველა დაბრკოლება. ამადაც ვეუფლებით ფრენის სხვადასხვა ილეთებს, დიდსა და მცირე სიჩქარეებს...“

...და მის მოწაფეთ, მთელი დღის ფრენით ქანცგაწყვეტილებს, ძილი წაართმევდათ თავს. უყვარდათ ვარჯიში, მისი გზნება და სისწრაფე ამით იკლავდნენ სწავლის წყურვილს, დღითი დღე რომ ძლიერდებოდა მათში. მაგრამ ვერც ერთ მათგანს, ვერც თვით თოლია ფლეტჩერ ლინდს, ვერ ერწმუნა, რომ იდეათა ფრენაც ისევე რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ჰაერში ჩიტის ფრენაა.

„მთელი თქვენი სხეული, — იტყოდა ხოლმე ჯონათანი, — მთლიანად, ფრთით ფრთამდე სხვა არაფერია, თუ არ თქვენივე ფიქრი, რომელსაც თვალდასანახად ხორცი შეუსხამს. განაპეთ ფიქრთა შემკვრელი ჯაჭვები და სხეულთა შემკვრელი ჯაჭვებიც განიპობიან...“ მაგრამ, როგორც არ უნდა ცდილიყო მათ შეგონებას, მისი სიტყვები ოდენ საამურ არაკად ჩაესმოდათ. ამ დროს კი ყველაფერს ძილი ერჩივნათ.

უკვე ერთი თვის თავზე ჯონათანმა განაცხადა, რომ მათი შინ დაბრუნების დროც მოწეულიყო.

„ასე მოუმზადებლად! — თქვა თოლია ჰენრი კალვინმა, — შერისხულებს ხომ მტრულად მიგვიღებენ! აბა როგორ გავბედავთ იქ მისვლას“.

„ჩვენი ნებაა, სად წავალთ და რანი ვიქნებით“, მიუგო ჯონათანმა, ქვიშიდან აიჭრა და აღმოსავლეთისკენ, მშობლიური თემის ნაპირებისკენ გაემართა.

შეგირდებს წუთით სული შეუქანდათ, რადგან თემის კანონი კრძალავდა მოკვეთილის ოდესმე დაბრუნებას და ეს კანონი ათასწლობით შეურყვნელი რჩებოდა. ის ღაღადებდა: დარჩი! ჯონათანი კი ამბობდა: წადი! და აი, იგი უკვე ერთი მილით გაჭრილიყო ზღვის სივრცეში. ცოტაც რომ დაეყოვნებინათ, მარტოდმარტო წაადგებოდა თავს მის მოძულე გუნდს.

„ბოლოს და ბოლოს, რად უნდა დავმორჩილდეთ კანონს, თუკი თემს აღარ ვეკუთვნით, — რამდენადმე გაუბედავად თქვა ფლეტჩერმა, — თანაც თუ ჩხუბი ატყდა, იქ უფრო საჭირო არ ვიქნებით, ვიდრე აქ?“

ასე შემოფრინდნენ იმ დილით დასავლეთიდან. რვანი იყვნენ, წყვილმთავნად დაწყობილნი. ფრთებს ლამის ერთმანეთს უწევდნენ. საათში ას ოცდათხუთმეტი მილის სიჩქარით გადმოჭრეს თემის სათათბიროს ნაპირი. ჯონათანი წინ მიუძღოდათ. მის მარჯვნივ ფლეტჩერი მოლივლივებდა, მარცხნივ კი ჯომარდი ჰენრი კალვინი მოაპობდა ჰაერის ნაკადს. შემდეგ მთელმა წყობამ, როგორც ერთმა ჩიტმა, მარჯვენისკენ გადაიფერდა... გასწორდა... გადაყირავდა... კვლავ გასწორდა... ქარი ცხვირპირში უტლაშუნებდათ.

მათი წყობა ვეება დანასავით შეიჭრა თოლიათა გუნდში და ყოველდღიური ჟივილ-ხივილი შუაზე გაწყვიტა. რვა ათასმა თოლიამ თვალი დააჭყიტა, ერთიც არავის დაუხამხამებია. რვა თოლიადან ყველანი სათითაოდ აიჭრნენ მაღლა მკვდარი მარყუჟის გასაკეთებლად. წრეს რომ დაასრულებდნენ, ისე შეანელებდნენ ფრენას, რომ ქვიშაზე დაშვებისას უკვე სრულ უმოძრაო მდგომარეობაში იყვნენ. ბოლოს კი, თითქოს ეს ყოველდღიური ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს, თოლია ჯონათანი მათი ფრენის განსჯას მოჰყვა.

„დავიწყოთ იმით, — თქვა მან და ქეშად გაიღიმა, — რომ ყველა თქვენგანმა ოდნავ დააგვიანა მწყობრში ჩადგომა...“

მთელ თემს ერთმა აზრმა გაუელვა: ეგ ჩიტები განკიცხულნი არიან! უკან მობრუნდნენ! ეს არ შეიძლება მოხდეს!

ფლეტჩერის ვარაუდი ჩხუბის თაობაზე გაქარწყლდა. გუნდი ფიქრებამ მოიცვა.

„ოღონდაც რომ განკიცხულნი არიან, — თქვა ერთმა ახალგაზრდა თოლიამ, — მაგრამ ღმერთო, ნეტა სად ისწავლეს ასე ფრენა?"

თითქმის ერთი საათი დასჭირდა, უხუცესის სიტყვა მთელ გუნდს რომ მოსდებოდა: ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თოლია, რომელიც განკიცხულს შეეძრახება, თავადვე განკიცხულია. თოლია, რომელიც განკიცხულს შეხედავს, თემის კანონის გამტეხია. ამ წუთიდან თოლიებმა თავიანთი ლეგა-ბურტყლიანი ზურგები აქციეს ჯონათანს. მაგრამ ჯონათანმა არაფერი შეიმჩნია. ზედ სათათბიროს ნაპირის თავზე ატარებდა ვარჯიშებს. პირველად ახლა მოსთხოვა მოწაფეებს, სრულად გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები.

„თოლია მარტინ! — გასძახა მან სივრცეს, — შენ ამბობ, რომ დაბალ სიჩქარეზე ფრენა იცი. თვალით ნანახი ჯობს ყურით გაგონილს. გაფრინდი!"

და იმის შიშში, რომ ენიოტის რისხვა თავს არ დაეტეხა, თავისდაგასაკვირად, პატარა, უთქმელი თოლია მარტინ უილიამი დაბალ სიჩქარეთა ნამდვილ ჯადოქრად გადაიქცა. ნიავის უმცირეს დაბერვაზე ბუმბულს ისეთი მრუდით ხრიდა, რომ ფრთის ერთი დაქნევაც არ სჭირდებოდა ნაპირიდან ღრუბლებამდე ასაფრენად და უკანვე დასაშვებად.

თოლია ჩარლზ-როლანდმა კი ქარების დიდ მთათა მწვერვალებამდე, ოცდაოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე ააღწია. ძირს ჰაერის სიმეჩხერისა და სიცივისაგან გალურჯებული დაეშვა. ბედნიერი, ალტაცებით მოცული ხვალისთვის უფრო მაღლა ასვლას ეპირებოდა.

თოლია ფლეტჩერი, რომელსაც აერობატიკის სიყვარულში ტოლი არ ჰყავდა, დაეუფლა თექვსმეტმაგა შვეულ ნელ ხვეულს. მომდევნო დღეს კი ამასაც გადაამეტა, როცა ფრთაზე სამმაგ მალაყს გადავიდა და მისმა ბუმბულმა თეთრი ათინათი სტყორცნა ნაპირს, საიდანაც მალვით არაერთი თვალი უმზერდა.

ჯონათანი ყოველ წუთს მხარში ედგა შეგირდებს, მაგალითს აძლევდა, უთითებდა, ძალას ატანდა, არიგებდა. მათთან ერთად იოკებდა ფრენის ქინს, დაჰქროდა ბნელში, ღრუბელში და ქარიშხალში. თოლიას თემი კი ამ დროს საცოდავად ეკვროდა მიწას.

ფრენას რომ მორჩებოდნენ, შეგირდები ქვიშაზე ჩამოსხდებოდნენ. ახლა მეტი გულისყურით უსმენდნენ ჯონათანს. თუ ზოგ მის ახირებულ აზრს ვერაფერს უგებდნენ, სამაგიეროდ ადვილმისახვედრებსაც ბევრს გამოთქვამდა.

ღამღამობით შეგირდების წრის ირგვლივ კიდევ იკვროდა ერთი წრე — ცნობისმოყვარე თოლიათა წრე. სიბნელეში მთელი საათობით იყვნენ დაყურადებულნი, ხოლო გამთენიისას უჩუმრად მიიძურწებოდნენ. არ უნდოდათ ერთმანეთს თვალში მოხვედროდნენ.

განკიცხულთა შემოქცევიდან თვე მიიწურა, როცა გუნდის ერთ-ერთმა თოლიამ გადმოსჭრა საზღვარი და ფრენის შესწავლა ითხოვა .ამის გამო, თოლია ტერენს ლოუელი მოკვეთილ იქნა თოლიების თემიდან, ჯონათანმა კი მერვე მოწაფე შეიძინა.

მომდევნო ღამეს თოლია კერკ მეინარდი წამოვიდა გუნდიდან. მარცხენა ფრთა მიწაზე მოსთრევდა, ლასლასით გადმოვლო ქვიშა და ჯონათანის ფერხთით

დაეცა. „შემეწიე, — უბორგვნელად, მომაკვდავთათვის ჩვეული უშფოთველობით თქვა მან, — ფრენა ამქვეყნად ყველაფერს მირჩევნია...“

„მაშ, მოდი, — უთხრა ჯონათანმა, — ერთად ავვლოთ ცა და შევუდგეთ საქმეს“.

„არა, შენ ვერ მიმიხვდი, ვერ ხედავ? მარცხენა ფრთას სულ ვერ ვხმარობ“.

„მეინარდ თოლიავ, შენ გენიჭება თავისუფლება, გამოავლინო შენი მეობა, შენი ჭეშმარიტი მეობა აქ და ახლავე. შენი შებრკოლება არაფერს ძალუძს. ასეთია მისი კანონი — დიდი მეთოვლიას კანონი“.

„მიგაჩნია, რომ შეეძლებ ფრენას?“

„მიმაჩნია, რომ ფრენა შეგიძლია“.

ყველაფერი უბრალოდ და სწრაფად მოხდა. თოლია კერკ მეინარდს ჯაფა არც დასდგომია, ისე გაშალა ფრთა და ღამის წკვარამ სიბნელეში აიჭრა, ხუთასი ფუტის სიმაღლიდან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავს დასჭყივლა ძილგამფრთხალ გუნდს: „მე ვფრინავ! გესმით? ვფრინავ!“

ცისკრისთვის უკვე თითქმის ათასი ჩიტი შემოწყობოდა გარს მოწაფეთა წრეს და ცნობისწადილით უმზერდა მეინარდს. თოლიები აღარ დაეძებდნენ, ხედავდათ მათ ვინმე თუ არა. ისინი უსმენდნენ ჯონათანს, ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ მის ნათქვამს.

ჯონათანი ძალზე უბრალოდ ლაპარაკობდა. ის ამბობდა, რომ ფრენა თოლიას კანონია, რომ თავისუფლება მისი ბუნებაა და რაც არ უნდა გადაეღობოს ამ თავისუფლებას, ადათ-წესები, ცრურწმენა თუ სხვა დაბრკოლება, იგი დაძლეულ უნდა იქნას.

„დაძლეულ იქნასო? — მოისმა ბრბოდან, — მაშინაც, თუ ეს დაბრკოლება თემის კანონია?“

„ჭეშმარიტი კანონი იგია, რომელსაც თავისუფლებისკენ მივყავართ, — თქვა ჯონათანმა, — სხვა კანონი არ არსებობს“.

„შევიძლებთ კი შენსავით ფრენას? — დაიძახა ახლა სხვამ, — შენ განსაკუთრებული ზეციური ნიჭით ხარ ცხებული. ყველა სხვა ჩიტზე აღმატებული“.

„შეხედეთ ფლეტჩერს! ლოუელს! ჩარლზ-როლანდს! ჯუდი-ლის! ისინიც განსაკუთრებული ზეციური ნიჭით არიან ცხებული? არამც და არამც თქვენზე ან ჩემზე მეტად. ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თავიანთი ჭეშმარიტი ბუნების ძებნა დაუწყიათ, მასში წვდომა უსწავლიათ“.

ფლეტჩერს გარდა, ყველა მოწაფე უხერხულად აწრიალდა. აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ იმას აკეთებდნენ, რასაც ჯონათანი ამბობდა.

თოლიების ბრბო დღითიდღე იზრდებოდა. მოდიოდნენ, რომ კითხვები დაესვათ, ხოტბა შეესხათ, გაეკილათ.

* * *

„გუნდში ამბობენ, თითქოს თვით დიდი თოლიას ძე იყვე, — უთხრა ერთ დილას ფლეტჩერმა ჯონათანს, როცა ისინი დიდ სიჩქარეებზე ვარჯიშს მორჩნენ, — თუ არა, მაშინ ათასი წლით მაინც გაუსწრია საკუთარი დროისთვის“.

ჯონათანმა ამოიხვნეშა. იფიქრა, ასეთი ყოფილაო მათი ხვედრი, ვისაც ვერ უგებენ. ან ეშმაკად შერაცხავენო მათ, ან ღმერთად. „შენ რას ამბობ, ფლეჩ, მართლა გავუსწარით ჩვენს დროს?"

ფლეტჩერმა პასუხი დააყოვნა: „ამგვარი ფრენა მიწყივ არსებობს ჩვენ ირგვლივ. საჭირო იყო მხოლოდ მონდომება, რომ მიგვეგნო და შეგვესწავლა ის. დრო აქ არაფერ შუაშია. მე მგონი, ჩვენ თვით ფრენის წესს გავუსწარით. იმ წესს, რომლითაც თოლიების უმრავლესობა ფრენს".

„მაგ შენს ნათქვამში მართლა რაღაც არის, — თქვა ჯონათანმა და ჰაერში გადატრიალდა, რა არის, ცოტა ხანს თავდაყირა ეფრინა. — ეგ მართლაც ბევრადა სჯობს დროის გასწრებას".

* * *

ეს ამბავი კი ერთი კვირის შემდეგ დატრიალდა. ფლეტჩერი მოწაფეთა ახალ ჯგუფს დიდი სიჩქარის ილეთებს უჩვენებდა. ის იყო, შვიდი ათას ფუტიან ჰიკედან გამოვიდა და ნაპირს სულ რამდენიმე დუიმის სიმაღლეზე გრძელ რუხ ზოლად გადუქროლა, რომ თოლიას პატარა მართვემ გადაუჭრა გზა. პატარას პირველად გაეშალა ფრთა და დედას უხმობდა. წამის რაღაც მეათედში თოლია ფლეტჩერ ლინდმა გვერდი უქცია მართვეს, მარცხნივ გადაქანდა და საათში ორას მილზე მეტი სიჩქარით გრანიტის მყარ კლდეს შეასკდა.

გრანიტის კლდე ახალ სამყაროში გამავალ დიდ მძიმე კარად მოეჩვენა. და იყო წყვდიადი, შიში და შეძრწუნება. მერე კი თოლია ფლეტჩერი მისთვის სრულიად უცხო ცაზე მილივლივებდა. იხსენებდა, მაგრამ ვერ გაეხსენებინა. შიშს, სევდასა და სინანულს, რაღაცის უნაპირო სინანულს მოეცვა.

ხმა ჩაესმა, ისევე როგორც მაშინ, ჯონათან ლივინგსტონთან შეხვედრის პირველ დღეს.

„საქმე ისაა, ფლეტჩერ, რომ ჩვენ მოთმინებით, თანმიმდევრობით ვაფართოებთ ჩვენს შესაძლებლობებს. კლდეში გასვლა კი გეგმით რამდენადმე უფრო მოგვიანებით იყო გათვალისწინებული".

„ეს ხომ ჯონათანია!"

„დიახ, ისაა, დიდი თოლიას ძედაც რომ უხმობენ", მშრალად მიუგო მისმა ენიოტმა.

„აქ საიდან გაჩნდი? ის კლდე! მე ხომ მოვკვდი!"

„გონს მოდი, ფლეჩ, აბა რას ამბობ? მე თუ მეზრახები, ესე იგი, არც მომკვდარხარ. მხოლოდ ეგაა, ცნობიერების დონე ერთბაშად შეგეცვალა. ახლა არჩევანი შენზეა. ეს სამყარო ერთობ აღემატება ძველს. ან აქ დარჩი და ისწავლე, ან უკან გაბრუნდი და შენი გუნდის წვრთნა განაგრძე. უხუცესები სულ იმას ნატრობდნენ, უბედურება რამ შეგმთხვეოდა, და ახლა, შენი წყალობით, სიხარულით ფეხზე აღარ დგანან".

„რა თქმა უნდა, გუნდში დავბრუნდები. ეს-ესაა ახალი ჯგუფის წვრთნას შევუდექი".

„ძალიან კარგი, ფლეტჩერ, გახსოვს ჩვენი ლაპარაკი იმაზე, რომ თოლიას სხეული სხვა არაფერია, თუ არა ფიქრი?"..

* * *

კლდის ძირას, ირგვლივ შემოკრებილ თოლიათა შორის, ფლეტჩერმა თვალი გამოახილა, ფრთები გაჰიმა და თავი გააკანტურა. ბრბოში ერთი ყივილ-ხივილი ატყდა, როცა ის პირველად შეტოკდა.

„ცოცხალია, მკვდარი გაცოცხლდა!“

„დიდი მეთოვლიას ძემ ფრთის ერთი შეხებით გააცოცხლა!“

„არავითარი დიდი მეთოვლიას ძე! თვითონვე უარყოფს ამას! ეს ავსულია, თემის ამკლები!“

შეძახილმა „ავსულიო“ ზღვაურივით დაჰქროლა ნანახით შეძრულ ას ერგას თოლიას. თვალანთებული, ნისკარტწამახული და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამზადებული ბრბო თანდათან ავიწროებდა რკალს ორი თოლიას ირგვლივ.

„გაცლა ხომ არ გვიჯობდა, ფლეტჩერ?“ დაეკითხა ჯონათანი.

„დიდად დაყოვნების მომხრე არც მე ვარ“...

თვალის დახამხამებაში ნახევარ მილზე გაუსხლტნენ ბრბოს და პირჩალაგამოვლებული დატოვეს დაღებული ნისკარტებით.

„ნეტავ რადაა ასე, — შეფიქრიანდა ჯონათანი, — ქვეყნად ყველაზე საძნელო საქმედ რატომ ქცეულა ჩიტისთვის იმის შეგონება, რაშიც თვითონვე კარგად დარწმუნდებოდა, სულ მცირე დრო რომ დაეთმო ვარჯიშისთვის. რად უნდა ჰირდეს ჩიტისთვის იმის შეგონება, რომ თავისუფალია?“

ფლეტჩერი, რომელიც გარემოს ამ უცაბედ ცვლას ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა, თვალებს ახამხამებდა. „ეს რანაირად? აქ საიდან გავჩნდით?“

„შენ, მგონი, იმ ბრბოსგან გაცლა გინდოდა, ჰოდა...“

„კი მაგრამ, აქ როგორ...“

„ესეც იმ ჩვეულებრივ ამბავთაგანია, ფლეტჩერ, წვრთნა რომ შეგაძლებინებს“.

* * *

დილისთვის გუნდს უკვე დავიწყნოდა თავისი სიშმაგე. ფლეტჩერს კი არა. „ჯონათან, გახსოვს, რა თქვი დიდი ხნის წინათ? ისე უნდა გიყვარდეს თემი, რომ შეძლო დაუბრუნდე და შეცნობაში დაეხმაროო?“

„რა თქმა უნდა“.

„ვერ გამიგია, ვით ძალგიძს გიყვარდეს ბრბო, რომელსაც ეს-ესაა შენი მოკვლა სურდა“.

„ოჰ, ფლეჩ, განა გახელებული, გულღვარძლიანი ბრბო უნდა გიყვარდეს. არა და არა, ეძიე ჭეშმარიტი ნიჭი ყოველ თოლიაში, ნიჭი სიკეთისა, შემდეგ კი მასაც დაანახე ის. აი, რას ვგულისხმობ სიყვარულში, რომლის შეცნობაც ნეტარებას გვპირდება“.

„აი, თუნდაც, ახალგაზრდა, გულფიცხი ჩიტუნა, თოლია ფლეტჩერ ლინდი. გუნდიდან რომ გააძევეს, მზად იყო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოლა მის წინააღმდეგ და შორეულ კლდეებში მარტოობის საშინელ ჯოჯოხეთს იმზადებდა. და აი, ნაცვლად ამისა, ის ახლა ზეცას იპყრობს და მთელ გუნდს იქითკენ მიუძღვება“.

ფლეტჩერი თავის ენიოტს მიუბრუნდა. თვალებში წუთიერი შიში გა-

უკრთა. „მე მივუძღვები? განა რას გულისხმობ? შენა ხარ ჩვენი წინამძღოლი. შენ ვერ მიგვატოვებ!“

„ასე ფიქრობ? მაგრამ ხომ შეიძლება ქვეყნად კიდევ სხვა გუნდები, სხვა ფლეტჩერებიც იყვნენ, ვისაც უფრო დაჭირდებათ წინამძღოლი, ვიდრე იმ ერთს, რომელიც ახლა ზეციური ნათლის გზას ადგას?“

„მე? ჯონ, მე ერთი უბრალო თოლია ვარ, შენ კი...“

„...დიდი თოლიას მხოლოდშობილი, არა? — ჯონათანმა ამოიხვნეშა და ზღვას გახედა, — მე ახლა აღარ გჭირდები. უნდა განაგრძო საკუთარი თავის ძიება, დღითი დღე მიუახლოვდე იმ ნამდვილ, შეუზღუდავ თოლია ფლეტჩერს. ის გიწინამძღვრებს. მას უნდა გაუგო და მიჰყვე“.

წუთის შემდეგ ჯონათანის სხეული ალივლივდა, ალიცლიცდა ჰაერში. თანდათან გამჭვირვალე ხდებოდა.

„მიხედე, სულელური ჭორები არ გამივრცელონ. ან ღმერთად არ შემრაცხონ, კარგი ფლეჩ? მე თოლია ვარ. რა ვუყოთ, თუ მიყვარს ფრენა..“

„ჯონ-ნა-თან!“

„საბრალო ფლეჩ. თვალებს ნუ ენდობი. მათი ხედვის არე შეზღუდულია. საკუთარ გულისხმას უგდე ყური. ის გამოიკვლიე, რაც უკვე იცი და გაიგებ, როგორ იფრინო“.

ლიცლიცი შეწყდა. ცამ ჩაყლაპა თოლია ჯონათანი .

ცოტა ხნის მერე თოლია ფლეტჩერმა კვლავ წარიზიდა სხეული ცაში და პირველ გაკვეთილს მოწადინებულ ახალთახალ გუნდს გადაეყარა.

„დავიწყოთ იმის შეგნებით, — მძიმედ თქვა მან,— რომ თოლია თავისუფლების შეუზღუდავი იდეაა, დიდი მეთოელიას სახებაა. მთელი თქვენი სხეული, ერთი ფრთის ბოლოდან მეორემდე, სხვა არაფერია, თუ არა თქვენივე ფიქრი“.

ახალბედებმა იჭვნეულად შეხედეს ფლეტჩერს. არა, ძმობილო, ფიქრობდნენ ისინი, ეს რაღაც არა ჰგავს მარყუჟის გაკეთების წესს.

ფლეტჩერმა ამოიხვნეშა. თავიდან დაიწყო. „ჰმ. აჰ... ძალიან კარგი, — თქვა მან და ყველას განსჯის თვალი მოავლო, — მოდით, გასწორივი ფრენით დავიწყოთ“. და ამას რომ ამბობდა, ანაზდად მიხვდა, რომ მისი მეგობარი მართლაც არ ყოფილა მასზე ღვთიური.

მაშ, ჯონათან, არ არსებობს ზღუდეები? ფიქრობდა იგი. ძალიანაც კარგი. არც ის დღეა შორს, როცა ციდან ჩამოვარდნილივით გავჩნდები შენს ნაპირზე და მეც გაჩვენებ ფრენის ერთ-ორ ილეთს.

და თუმც შეეცადა, შეგირდებთან თავი შესაფერი სიმკაცრით დაეჭირა, ერთ წუთს ყველანი ისეთებად წარმოუდგა, როგორებიც ჭეშმარიტად იყვნენ და არა თუ მოეწონა, შეუყვარდა კიდეც ნანახი. მაშ, არავითარი ზღუდეები, ჯონ! გაიფიქრა მან და გაიღიმა. სწავლის ციებ-ცხელება დაიწყო.

□

# ჟაკ პრევერი

## ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა

### როცა შენ გძინავს

როცა შენ გძინავს,
არ მედება მე თვალზე რული,
გიყურებ მძინარს
და ნაღველით მევსება გული.

გიზივარ თავით, ვაცქერდები სიყვარულს რჩეულს,
მილულულ თვალებს, ვეებერთელა ზონზროხა სხეულს,
რა მემართება, რა მაბრაზებს თვითონ არ ვიცი,
როცა მძინარე უცაბედად ასტეხავ სიცილს,
მოულოდნელად, ო, ხმამაღლა ასტეხავ სიცილს,
იქნებ ამ წუთში გესიზმრება გრიალი ქართა,
სულ სხვა ქალაქში, უცხო ზღვებში, შორეულ გემზე,
შორს, ძალიან შორს მხიარულობ სულ უცხო ქალთან
და ორივენი იცინით ჩემზე.

როცა შენ გძინავს,
მე უძილოს მტანჯავს ლანდები,
გიყურებ მძინარს
და საოცრად ვღიზიანდები.

როდესაც გძინავს, ვეჭვიანობ შენს სიყვარულში,
ასე ახლო ხარ და მაინც რა შორს ხარ ძალიან,
დედიშობილა ჩაგეკვრები ცახცახით გულში,
ო, შენ კი ჩემთვის, შენ კი ჩემთვის არა გცალია.
ვეება მკერდზე თავმიდებულს მძრავს გულის ძგერა,
ჩემთვის თუ ფეთქავს შენი გული ვერ ვხვდები, ვერა.
მე არაფერი აღარ ვიცი, ცრემლი ჟღერს ხმაში,
ო, თუ ოდესმე, თუ ოდესმე გადამიყვარებ,
დაე, ეგ გულიც სამუდამოდ გაჩერდეს მაშინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ მშვიდად გძინავს,
ლურჯ სიზმრებში ღიმილი გშვენის
და მატირებენ,
მატირებენ სიზმრები შენი.

შენ მშვიდად გძინავს, ვერ დავხუჭე ვერ იქნა თვალი,
სხვა არაფერი, არაფერი არა გაქვს ბრალი,
სხვა არაფერი, შენ სიზმრებში იცინი მხოლოდ,
ავდგები ერთხელ, უძილობით დაღლილი ქალი,
გაგიპობ გულს და მოეღება მაგ სიზმრებს ბოლო.
აქ დასრულდება ყველაფერი, მოვიკლავ თავსაც,
უძილობისგან მოისვენებს ჩემი არსება,
მერე მოვლენ და ორი სატრფოს გაყინულ გვამსა
ერთ დიდ საწოლში მოათავსებენ.

შენ მშვიდად გძინავს,
ლურჯ სიზმრებში ღიმილი გშვენის,
მე მატირებენ,
მატირებენ სიზმრები შენი.

და აი, უცებ, საოცარი თენდება დილა,
გაგეღვიძება და მზესავით იცინი თბილად,
შემოდის სახლში გაზაფხულის ფერი და გემო.
შენ მუდამ ასე მეკითხები ალერსიანად:
— როგორი ღამე გაატარე, ძვირფასო ჩემო?
დილა არასდროს იმ საშინელ ბნელ ღამეს არ ჰგავს,
გპასუხობ წყნარად ვით წინა დღით, სითბო დგას გულში:
— ჩემო ძვირფასო, მეძინა კარგად,
შენ დამესიზმრე, ისე ვით გუშინ.

□

# ალექსანდრ ბლოკი

## პოემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ავთანდილ ხარაიშვილმა

პანმონგოლიზმი! თუმც სახელი ველურად ისმის,
მაინც ჩემს სმენას ალერსსა ჰგვრის ხსენება მისი.

ვლადიმერ სოლოვიოვი

### სკვითები

თქვენა ხართ ბევრი. ჩვენ — უთვლელნი და ულეველნი.
სცადეთ, მოსინჯეთ ჩვენზე ძალები!
დიახ, სკვითნი ვართ! დიახ, ჩვენ ვართ აზიელები —
ვიწროდ გაჭრილი ხარბი თვალებით!
თქვენს ასწლეულებს საათებიც ეყოფა წყრომის...
ერთგული ყმობის სენით შეპყრობილთ,
გვეჭირა ფარი ორ მოქიშპე მტრულ რასას შორის,
მონღოლეთის და მთელი ევროპის!
გაუნელებლივ გუგუნებდა სამჭედლო ძველი,
ზვავის გრუხუნსაც ახშობდა გრდემლი,
ველურ ზღაპრის ხმად თავს დაგაცხრათ დაქცევის წელი —
ლისაბონის და მესინის ნგრევის!
აღმოსავლეთზე წლიდაწლობით გეჭირათ თვალი,
გზარავდათ მხარე ისრების მღვრელი.
ალღოს გვიღებდით, დროს ელოდით მაცდური ძალის
რომ მოგვღირათ ზარბაზნის ყელი!
ეს ჟამიც დადგა! — ბედისწერა ფრთებს იქნევს მწყრალი,
წყენას ყოველდღე წყენა აჩნდება.
ის დღეც იქნება — ყველა თქვენი პესტუმის კვალი
ამქვეყნად, ალბათ, აღარ დარჩება!
ძველო ქვეყანავ! ვიდრე ცოცხლობ იმავ სიცოცხლით,
ყოფის ტკბილ-მწარე წლებზე მლოცავი,
შეჩერდი, როგორც გონიერი ოიდიპოსი
სფინქსის წინაშე ბრძნულ გამოცანით!
რუსეთი-სფინქსი — ხან მომლხენი, ხან გმირულ კვნესით
ამოვლებული კუპრივით სისხლში,
გიმზერს, გიცქერის, ცეცხლოვანი თვალების კვესით
სიყვარულის და აგრეთვე ზიზღის!..
სიყვარული კი ჩვენმა სისხლმა რომ იცის, ახლა
თქვენს შორის ისე არავის უყვარს!
თქვენ დაგავიწყდათ სიყვარული რომ ქვეყნად გვახლავს,
რომელიც თან გვწვავს და თანაც გვღუპავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ძლიერ გვიყვარს — ცივ რიცხვების ფიცხი ძახილიც,
და ღვთაებრივი გვიწყალებს რწმენა.
გვაქვს შეგნებული გალთა გონის ბასრი მახვილი
და გერმანული გენიის ენაც.
გვახსოვს პარიზი... ჯოჯოხეთი მისი ქუჩების,
ვენეციური გრილი ჩრდილები,
შორი სურნელი ნარინჯოვან ლურჯი ბუჩქების,
და ქელნის კვამლის ლეგა ფთილები...
გვიყვარს სიცოცხლე — მისი გემო, მისი ელფერი —
მხუთავი სუნიც მოკვდავ სხეულის,
რა ვქნათ, ეგ ჩონჩხი თუ ჩხრიალებს, როგორც შეგვფერის
ჩვენს ტლანქ ტორებში გადამსხვრეული.
აღვირთ ხელთებას ჩვენ გაჩენის დღით ვართ ჩვეულნი,
გვატკბობს ტორტმანი ფიცხი ცხენების.
მათი გახედნაც და მათ შორის გამორჩეულნიც
დავტუქსოთ, როგორც ანჩხლი მხევლები...
მოდით ომების საშინელი სიგანგაშიდან!
მშვიდობიანი ხელების ხმებით!
ვიდრე დრო არის — ძველი ხმალი კვლავ ქარქაშშია,
ამხანაგებო! ჩვენ გავხდეთ ძმები!
თუ ესეც არ გსურთ, — ჩვენ ხომ ამით არაფერს ვკარგავთ,—
ჩვენც მზაკვრობით ვართ ფრთეზგაშლილები,
საუკუნენო, თქვენ დაგწყევლით, გახსოვდეთ კარგად,
ბოლოს სნეული მოდგმის შვილები!
მხარეგაშლილნი ვართ შეჰრილი უსიერ ზესკნელს,
კოპწია ევროპისგან ხიფათი?
მივიწ-მოვიწევით, სახეს მოვიბრუნებთ თქვენსკენ
ჩვენებურ აზიური სიფათით!
მოდით, მობრძანდით, გელოდებათ ყველას ურალი!
ჩვენ თვით გიმზადებთ ადგილს ბრძოლების
მანქანებისთვის ფოლადის, სად ქრის ინტეგრალი
მონგოლურ ველურ, გმირ ურდოების!
მაგრამ ფარობას ვერ გაგიწევთ აწ ჩვენი ტომი,
ვერ ნახავთ ბრძოლებს ჩვენი ძალებით.
მხოლოდ გავხედავთ სასიკვდილო როგორ დუღს ომი,
ჩვენი ვიწრო და ძუნწი თვალებით.
წარბსაც ირ შევხრით, უსულგულო ჰუნი სიამით
გვამების ძარცვას ხელს მიჰყოფს როცა,
დასწვავს ქალაქებს, ნახირს შეჰყრის ეკლესიაში
და თეთრი ძმების მოხრაკავს ხორცსაც!..
უკანასკნელად — გონს მოეგე, ძველო ქვეყანავ!
მშვიდობის, შრომის ამ ძმურ ნადიმზე,
უკანასკნელად — ძმობის ლხინზე თავშესაყარად
ბარბაროსული ჩანგი გპატიჟებთ!

30 იანვარი 1918

# ალექსეი ტოლსტოი

## ემიგრანტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

27

მზის ცხელი სხივები მანქანების რადიატორებზე, მაღაზიების ვეებერთელა მინებზე ტყდებოდა, ასფალტის ტროტუარების გაყოლებაზე მიმდინარე ნაკადულებში თვალისმომჭრელად ისარკებოდა. წაბლებს ფოთლები სცვიოდა. ქუჩის ჩრდილოვან მხარეს ჭიანჭველებივით მოძრაობდნენ ადამიანები, ჩანდა ღია ფერის კაბები, ღია ფერის შლაპები, შიშველი ხელები, ატმისფერი ლოყები, წყლიანი თვალები, ისმოდა მხიარული საუბარი, ადამიანები ხვდებოდნენ ერთმანეთს, საქმიანად ფუსფუსებდნენ და უსაქმოდ აცეცებდნენ თვალებს...

ქალაქში გარეუბნებიდან დილითვე ეშვებოდნენ მუშები და მოჰქონდათ დროშები და ყუმაშის ნაჭრები, რომლებზეც ეწერათ: „მხარს ვუჭერთ ინგლისელ ამხანაგებს". ეს იყო სხარტი და მოულოდნელი ლოზუნგი. გაფიცული ფაბრიკა-ქარხნებიდან პოლიციის პრეფექტურებში მოსული ტელეფონოგრამები იტყობინებოდნენ, მუშებს არავითარი ეკონომიური მოთხოვნები არ წამოუყენებიათო. ეს უკვე შემაშფოთებელი იყო და, თუმცა, მუშები მშვიდ კოლონებად მოდიოდნენ, მათ წინააღმდეგ დრაგუნები გაგზავნეს. დრაგუნები და მუშები მოკლე ხნით შეეჯახნენ ერთმანეთს ცივი იარაღითა და ქვებით. მუშათა კოლონები გაფანტეს, მაგრამ შუადღეს ახლები გამოჩნდნენ.

დაახლოებით სამ საათზე ვალოდია ლისოვსკიმ ტაქსი გაუშვა და ფეხით წავიდა ძველ სიმაგრეთა გაყოლებაზე მიმავალ ბრიუნის ბულვარისკენ. მონრეუჟის საგუშაგოსთან მან პირველი დრაგუნები დაინახა. დრაგუნებს ლურჯი ლაბადები ესხათ და ეხურათ სპილენძის მოელვარე ჩაჩქნები, რომლებზეც ცხენის წითელი ძუა ეკეთათ. დრაგუნები ვეება შავრა ცხენებზე ისხდნენ, წყვილ-წყვილად მოდიოდნენ, ცხენები ნაბიჯით მოჰყავდათ. „ხომ არ შევბრუნდე?" — გაიფიქრა ლისოვსკიმ. იგი ბულვარზე გავიდა, სადაც აგურის ჭუჭყიანი სახლები, გამხმარი ხეები იდგა, ქვაფენილს მტვერი ედო, მოტიტვლებულ ჭორაკებზე გათელილი ბალახი ჩანდა. ცხელმა ქარმა მტვერი აიტაცა და ქაღალდებთან ერთად გააქროლა. მაინცდამაინც დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება შეექმნა ლისოვსკის .მან ნელა გაუხვია მარცხნივ, მონ-სურის პარკისკენ,

---

გაგრძელება.* დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1.

და მაშინვე დაინახა, რომ შუა ქუჩაზე ახალი რბილი კეპი ეგდო, ორას ნაბიჯზე — გასისხლიანებული ცხვირსახოცი, იქით სისხლის დიდი გუბე იდგა. ლისოვსკიმ ფრჩხილებით დაუწყო ფხოჭნა ნიკაპს. როსტოვში სადმე სისხლის გუბე დიდი ამბავი არაა, აქ კი — ოჰო!

ლისოვსკი მონ-სურის პარკამდე მივიდა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა გათელილ მდელოებზე. ფესვებით გადაკვეთილ ბილიკებზე, ტბაზე, ხელოვნურ ბორცვებზე, სადაც ფარნის მაღალი სვეტების გარშემო მერხები იდგა. ერთხანს იხეტიალა და მონ-სურის ავენიუსკენ გამავალი გასასვლელისკენ გაემართა. აქ ჭადარქვეშ მერხზე ორი პროლეტარი დაინახა. ერთი ლამაზი ჭაბუკი იყო, ღონიერი ქედი ჰქონდა, პერანგი — ჭიპამდე ჩახეული, მკერდზე სისხლიანი განაკაწრი ემჩნეოდა. მეორეს — წვეროსან ჰლექიანს — პენსნე ეკეთა და შავი შლაპა ეხურა. ორივე პაპიროსს აბოლებდა. ლისოვსკის დანახვაზე გაჩუმდნენ. ლისოვსკი მათ გვერდით დაჯდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოხდა აქ? —- თქვა ლისოვსკიმ განგებ ცოტა უხეშად. — მთელი საათია დავეხეტები... სად გაქრა მოსახლეობა? ბულვარზე სისხლის გუბეებია. ხუთ საათზე კი ქრონიკა უნდა ჩავაბარო. ო-ლა-ლა!

— ორი მოკლეს, ოცდაათი დაჭრეს. შეგიძლიათ აცნობოთ თქვენს პატივცემულ გაზეთს, — უხალისოდ მიუგო ლამაზმა ჭაბუკმა.

— დაწვრილებით, დაწვრილებით, ძველო! — ლისოვსკი განგებისი აჩქარებით ეცა უბის წიგნაკს.

ჭაბუკმა მხრები აიჩეჩა. მეორემ, რომელსაც შავი აბურდული წვერი ჰქონდა, მოღრეცილ ცხვირზე პენსნე გაისწორა და თქვა:

— სრულიად კანონიერი ცნობისმოყვარეობაა გაიგო, რისთვის ხოცავენ მოქალაქეებს პარიზის ქვაფენილზე. ყმაწვილო, ისინი დრაგუნებმა დახოცეს.

— დემონსტრაციის დროს?

— მიხვდით, იმ დროს, როცა ფრანგები ქუჩებში გამოვიდნენ, რათა ლამანშის გაღმა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისადმი ძმური გრძნობები გამოეხატათ... როცა ფრანგებს იდეების გარკვეული მარაგი უჩნდებათ, ყოველთვის ქუჩაში გამოდიან, რათა ეს იდეები საფოსტო მტრედებივით ჰაერში შეისროლონ... ასე რომ, ჟიულ... (პენსნეიანი თავისი თანამოსაუბრისკენ შებრუნდა.) ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება, ისეთი ცნებებიც კი, როგორიცაა საფრანგეთი და ფრანგები... რასობრივ ღირსებებს ჩვეულებისამებრ ენის, კანის ფერისა და თავის ქალის მოყვანილობის მიხედვით განსაზღვრავდნენ... ჟიულ, ეს წარმოუდგენელი სისულელეა! როცა რეზინის ხელკეტით თავის ქალას გიმტვრევენ, შენთვის, ჟიულ, ალბათ სულ ერთია გრძელი თავის ქალა გაქვს თუ მრგვალი, ფრანგი ხარ თუ ბოშა... შენი თმის ფერი გავლენას არ ახდენს იმ გამდნარი ბრინჯაოს ხარისხზე, შენ რომ ავტომობილის მოტორების ყალიბში ასხამ... თავი რატომ უნდა მიგაჩნდეს ფრანგად, თუკი მიწაზე, რომელიც შენ არ გეკუთვნის, საწარმოში, რომელიც შენ არ გეკუთვნის, გონებისა და კუნთების დაძაბვის შედეგად ქმნი ფასეულობებს, რომლებიც ასევე შენ არ გეკუთვნის? მიუხედავად ამისა, მაინც გინდა ფრანგი იყო, დასწყევლოს ეშმაკმა! აქ მიწა მშვენიერია, მშვენიერია ცაც, კიდევ უფრო მშვენიერია ქალები... მაშ, მოიპოვე შენი საფრანგეთი, ჟიულ.. .კაცობრიობის სამი მეოთხედი მოგეხმარება ამ საქმეში, პირველ რიგში კი რუსები... (პენსნეიანი ცოცხლად

შებრუნდა ლისოვსკისკენ.) აი, ყმაწვილო, ზოგიერთი თანამედროვე აზრი, უფასოდ ინებეთ თქვენი შენიშვნისათვის...

პირქუშმა ჰაბუკმა უცებ პირი გააღო და ისე გადაიხარხარა, მკერდი აყანყალდა... ვალოდია ლისოვსკი ბოლოს მიხვდა, რომ დასცინოდნენ. წამოდგა, შლაპა აიწია და პარკის გასასვლელისკენ გაემართა. „ბურჟუაზიისთვის მასალა არ ვარგა, — ფიქრობდა იგი, — ცალკე წიგნისთვის კი?.. წარმოიდგინა კიდეც, ისე აიტაცა წარმოსახვამ... წიგნს უნდა დაერქვას: „სამი მეოთხედის შეთქმულება“. ცინიკური, თავხედური სათაურია, ისეთი, თითქოს ავტორმა ათასჯერ მეტი იცის, ვიდრე თქვა... ყოველი გვერდიდან მკითხველისკენ მიიწევს მილიონობით შემზარავი ლანდი.. .ან დაერქვას: „ცივილიზაციას ერთი წლის სიცოცხლის ვადას ვაძლევ“. კოცონები პარიზის მოედნებზე, სცენები, რომელთა გამოც ბურჟუას თმა ყალყზე უდგება... და ასი ათასი დოლარი ჯიბეში...

ლისოვსკი თვალებში ბინდჩამდგარი მიაბიჯებდა ავენიუ მონ-სურიზე, თავისთვის ჩურჩულებდა და ხელ-ჯოხს იქნევდა, მის წინ კი მიქროდა მომავალი წიგნი, რომლის ზღაპრულ გვერდებს ცხელი ქარი უფურცლავდა. ასე მივიდა თითქმის სოს ვაგზლამდე. და ვერ გაიგო, როგორ უბიძგეს მარჯვნიდან, მარცხნიდან. უცებ მაგრად დაეჯახნენ და შლაპა მოსძვრა თავიდან: დემონსტრანტების ჯგრო სწრაფად გამორბოდა დანფერ როშროს მოედნიდან. ბრბოში შემოჭრილი დრაგუნები უნაგირიდან იხრებოდნენ და ჭლონივრად იქნევდნენ სწორ, მოელვარე მახვილებს. ელავდა ფაფარიანი მუზარადები, ცხენები დუჟმომდგარ დრუნჩებს ადამიანთა თავებზემოთ სწევდნენ. ეს ყველაფერი ისე მკაფიოდ გაკრთა, როგორც ფოტოაპარატის მქრქალ მინაზე.

ლისოვსკი გაიქცა, თავს ხელებით იფარავდა. ბრბოდან ბევრი ტროტუარზე არბოდა; ისინი გამხმარი ხეების ქვეშ თუჯის მრგვალ გისოსებს გლეჯდნენ. ქვაფენილზე ამტვრევდნენ და ნამსხვრევებს დადევნებულ დრაგუნებს ესროდნენ. (ერთ დრაგუნს სპილენძის მუზარადი გადმოუვარდა და უკან გადაეწია სისხლით მოსვრილი სახე). ლისოვსკის უცებ თვალებში ტკივილმა დაცეცხლა: თითქოს თავის ქალაზე დოლაბი დაჰკრესო, მძიმედ დაეცა ქვებზე და გრძნობა დაკარგა.

ლისოვსკი უხეშად ასწიეს, ფეხზე დააყენეს. მან თვალები დააფახულა და დაინახა გვერდებში ამომდგარი ორი ულვაშა მტრული სახე, ლურჯი კეპები. „ვაჟები, პოლიცია!“ — გაუელვა თავში. რაღაცის ახსნა სცადა, მაგრამ ისე ჰკრეს ზურგში, თავი შეუქანდა. წაიყვანეს. მხოლოდ ახლა დაუწყო ტკივილი ტვინმა, წვავდა მზე, ტეხდა თვალები. კუთხეში შეუხვიეს, სადაც პოლიციის პრეფექტურა იყო. გახეხილი კარი, ნახევრად ბნელი დერეფანი, ქვევით ჩამავალი საფეხურები. ვიღაცის ყრუ ღრიალი. ცარიელი კაზემატი. გაცოფებისგან კბილებდაკრეჭილი ოთხი ზორბა სერჟანტი წალებით სცემს ქვის იატაკზე მოკრუნჩხულ კაცს. ლისოვსკის ტახტისკენ უბიძგეს. იგი მაშინვე პირქვე დაწვა მრგვალნახვრეტებიან გაზინთულ რკინაზე. პოლიციელები წავიდნენ, კარი რახუნით დაიხურა, იატაკზე დაგდებული კაცი მალიმალ კვნესოდა.

თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნამ (გვერდითა ტახტზე) გაბურძგნილი თავი ასწია და ხმადაბლა ჰკითხა:

— დემონსტრაციაზე დაგიჭირეს?

— ო, არა, შემთხვევით...

— ე, ძველო, სულ ერთია შენი გულისთვის ორ სუსაც არ ჩამოვალ. რაც უნდა იცრუო, „ბინძური ძროხები მაინც ტყავს გაგაძრობენ“.

— არ მესმის... რომელი ძროხები?

თვალებანთებულმა ბიჭმა ნაცემ კაცზე მიუთითა: კაცი ჰაერს სლუკ-სლუკით ისუნთქავდა კბილებში... მოშორებით კიდევ ვიღაც კვნესოდა. ბიჭმა ცნობისმოყვარეობით მიაყურადა.

— ამას ძვალ-რბილი გაუერთიანეს, — წაიჩურჩულა სწრაფად, — შენ კი, ძველო, ნუ ინაზები. იქნებ ამ წუთს იმის გუნებაზე არა ხარ, ჩლიქებთან გქონდეს საქმე. მე შენი მესმის, მაგრამ როგორ „აძრობენ ტყავს“, არ ვიციო, სხვა მოატყუე (ბიჭს თვალები გაუფართოვდა). იმათ ლანჩებზე ნახე ქუდწამახული ლურსმნები? მართალი გითხრა, სიამოვნებით გავიქცეოდი აქედან. ისინი უკვე მეხუთე ჭაბუკს „აძრობენ ტყავს“ ჩემს აქ ყოფნაში. ერთი, გესმის, მოათრიეს და წააქციეს, რათა ფეხებით შედგომოდნენ, მაგრამ წამოხტა და ერთ სერჟანტს ნიჩვში ლეწა, მეორესაც... უკვე აღარც ვიხედებოდი იქით...

ბიჭი თავს იმხნევებდა და ხუმრობდა, მაგრამ გამხდარი სახე უტოკავდა. ლისოვსკი ისევ პირქვე დაწვა ტახტზე. არახუნდა კარი. შემოვიდა ორი პირქუში კეპიანი და ვერცხლისფერსირმებიანი კაცი.

— შენა, ადექი! — ხელი სტაცეს საყელოში ლისოვსკის. იგი აჩქარებით წამოჯდა. — ვინა ხარ? საბუთები!

ერთს ლისოვსკის საყელოზე ეჭირა ხელი, მეორე ჩხრეკდა. ლისოვსკი „ტყავის გაძრობისაგან“ კორესპონდენტის ბარათმა იხსნა. იგი საღამო ხანს გაუშვეს, ბოდიშიც კი მოუხადეს და მამობრივად დაარიგეს, მუშათა უბნებს მორიდებოდა, დაუბრუნეს საბუთები და უბის წიგნაკი, ხოლო დოლარების დასტა, რომელზეც წვრილი რეზინი ჰქონდა შემოჭერილი, აღარსად ჩანდა: ეტყობა (როგორც ოფიციალურად გამოუცხადეს), დემონსტრანტებმა მოსტაცეს, როცა უგონოდ ეგდო ქვაფენილზე.

## 28

ნალიმოვი და ლევანტი ლონდონიდან დაბრუნდნენ. მოლაპარაკება დეტერდინგთან წარმატებით დამთავრდა. ლევანტი დაეშურა ჩერმოევი და მანთაშევი გაეხარებინა. და დაიწყო გრძელი, უთავბოლო მოლაპარაკებანი. ჩერმოევმა ცეცხლის ფასი დაადო ნავთობიან მიწებს. შავბნელი ნევრასთენიით შეპყრობილმა მანთაშევმა დილით გადაწყვიტა ყველაფერი გაეყიდა, საღამოს კი ყვიროდა, რაღაც ათი მილიონი ფრანკი სულაც არ მაძლევს ხელს, ერთი სადოლე ცხენების თავლა უფრო ძვირი მიჯდებაო.

ლევანტმა ადამიანის გულის უდიდესი ცოდნა გამოამჟღავნა. მანთაშევს შიშის ზარი დასცა: საიდუმლოდ შეკრიბა ყველა მისი ანგარიში და ნოტარიუსის მეშვეობით აცნობა, სასწრაფოდ გადაეხადა. მანთაშევს თავგზა აებნა და ყველაფერზე დათანხმდა. აზიელ ჩერმოევთან საქმის მოგვარება გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ ლევანტმა იგი ბოლოს და ბოლოს ოჯახის ზეგავლენით მოთოკა: ანის-ხანუმს და თამარა-ხანუმს გიჟური წარმოსახვა აღუნთო. მათ ბულონის ტყეში მომავალი სახლი უჩვენა, დაჰყავდა ავტომობილების გამოფენაზე, სახელგანთქმულ მკერავებთან, რომლებთანაც ზმანებასავით მოდიოდ-

ტან მაღალ-მაღალი, საოცრად ლამაზი ქალები, მოსილნი ორი, სამი და ხუთი ათას ფრანკად ღირებული ზღაპრული კაბებით. ჩერმოევის ოჯახური ცხოვრება აუტანელი გახდა, მიხვდა, რომ ასე ნებავდა ალაჰს და დეტერინგის პირობებს დასთანხმდა.

სევრის აგარაკზე ჰაჯეტ ლაშეს დეპეშებსლა ელოდნენ [illegible] სტოკჰოლმში წასულიყვნენ. ქალებს ხუთი ათასი ფრანკი მისცეს ჩასაცვამ-დასახურად. აგარაკზე მოჰქონდათ აუარება ზოლებიანი კოლოფი. ვახშამზე ლაქლაქებდნენ საყიდლებზე, მოდებზე, ფასებზე. ცდილობდნენ არ ეფიქრათ, რომ სტოკჰოლმში უწყინარი გართობისთვის არ მიჰყავდათ.

საღამო ხანის სიმყუდროვის იმ ერთ-ერთ წუთს, როცა ისმის, როგორ ეცემიან ლამპის შუშას ფარვანები, ლილიმ უცებ სიტყვა ჩამოაგდო თავის რომელიღაც ნათესავზე, თეთრ ოფიცერზე: კარგად რომ მოინდომო, მისი მოძებნა შეიძლება... ოდესღაც ვუყვარდი, რა სანდომიანი, სპეტაკი ყმაწვილია, რა თქმა უნდა, პარიზში მოვარდება და ამ საშინელებიდან მიხსნის... მასთან ერთად მოწყალების დად წავიდოდი სამოქალაქო ომში, შემდეგ ზღვის პირას, წყნარ ტაგანროგში პატარა სახლს ვიყიდდით, ვიცხოვრებდით ნაღვლიანად, უწყინრად, გავიჩენდით თხას, ქათმებსო.

ვერა იურიევნამ ზიზღით უთხრა:

— გარდა იმისა, რომ სულელი ხარ, უხამსიცა ხარ, ჩემო ძვირფასო.

— მიჰქარავ, მიჰქარავ, ჩემი შეყვარება კიდევ შეიძლება. — ლილიმ სასოწარკვეთით დასცხო მაგიდას მუშტები. — ზოგიერთივით ძველი მღლეტელი კი არა ვარ...

— სწორედ ეგაა უხამსობა, ჩემო კარგო: ტაგანროგში პატარა სახლი, სიყვარული და თხა. მერედა ვის ეყვარები? სპირტით გულჩამწვარ და სიფილისიან ოფიცერს?.. ეჰ, ჩემო კარგო, ხელიდან სისხლს ვერ ჩამოირეცხავ...

— მიჰქარავ, მიჰქარავ, ის სტუდენტია, იურისტი.. სანდომიანი, მორცხვი ბიჭი...

— სწორედ რომ მეძავის დასრულებული ფსიქოლოგია გაქვს, უნდა შეგნიშნო დიდი მწუხარებით.

— ჰო, ლილკა, ძალა უნდა მოიკრიბო... — თქვა მადამ მარიმ. — სიყვარული ლექსიკონიდან ამოიშალე... მე, გოგოებო, ფრიად და ფრიად მჯერა სტოკჰოლმისა. ჯერ ერთი ჰაჯეტ ლაშე დამპირდა კაფეშანტანში მოკაწყობო... ჰოდა, მაშინ გაგიხარიათ, გოგოებო, ვიცხოვრებთ. ყველაფერს ვიკისრებ, საფულეების მოპარვასაც კი...

— სწორია, — მტკიცედ თქვა ვერამ. — მაგისთვის პატივსა გცემ.

## 29

ქალები და ნალიმოვი პარიზში ცხრა საათის მატარებელს ჩამოჰყვნენ. სან-ლაზარის სადგურის მოედანზე ხალხით გაჭედილი ტრამვაები იდგა. მანქანები ქვეითების მჭიდრო ჯგროებში მილოღავდნენ. ეტყობოდა, ქალაქში რაღაც მომხდარიყო. გაზეთის გამყიდველი ბიჭები ყურთასმენის წამლები ყვირილით დარბოდნენ და საგანგებოდ გამოსულ გაზეთებს იქნევდნენ. თურმე (სევრის აგარაკზე სულ დაავიწყდათ ეს) დღეს თერთმეტ საათზე ნიუ-იორკის

მახლობლად თორმეტი ათასი მაყურებლის წინაშე ერთმანეთს უნდა შეხვედროდა ორი მსოფლიო ჩემპიონი კრივში — კარპანტიე (საფრანგეთი) და დემპსი (ამერიკა). პრესა ამ მატჩს სპორტულ მნიშვნელობაზე უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ფრანგი ერი მსოფლიო პირველობისთვის იბრძოდა. გამარჯვების წინ კარპანტიე — ლამაზი, წმინდა სისხლის ფრანგი — რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო. ვითომ პუანკარეს ეთქვას: „ამრიგად, მხნედ იყავით, ჩემო მეგობარო. დარტყმა, რომელსაც მოწინააღმდეგეს აგემებთ, ყოველი ფრანგის გულში პოვებს გამოხმაურებას. ერი თქვენ თავის ღირსებას და სახელს განდობს".

მთელი თვე გაზეთები კარპანტიეს შეხვედრის წინარე ვარჯიშებს აღწერდა. მისი ცხოვრების ყოველი წუთი ხალხის ფართო მასებისთვის ცნობილი იყო. ნიუ-იორკში საგანგებოდ წარგზავნილი კორესპონდენტები კარპანტიეს ჯანმრთელობის უმცირესი ცვლილების, ყოველდღიური მენიუს, დახვეწილი გემოვნების, გონებამახვილობის, ოპტიმიზმის, მხიარულების, ყელსახვევების, კოსტიუმების, შლაპებისა და სხვათა შესახებ იტყობინებოდნენ. კორესპონდენციები დემპსის ძალასა და სიმარჯვეზეც ლაპარაკობდნენ, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მოლოდინს.

დადგა დიადი დღე. დიდი ბულვარებით მილიონამდე კაცი მიედინებოდა ქალაქის ცენტრისკენ, სადაც „მატენის" რედაქციის ზემოთ შორიდან ჩანდა დიდი ეკრანი და მასზე ორი თავი — კარპანტიესა და დემპსის თავის სქემატური გამოსახულება. თითოეული დარტყმა ოკეანეზე რადიოთი გადმოიცემოდა და თავების მოხაზულობაზე ელექტროსიგნალიზაციის საშუალებით წრით აღინიშნებოდა დარტყმის ადგილი. რადიოცნობებს დარტყმების შესახებ ქალაქის თავზე მოტრიალე აეროპლანებიც მიიღებდნენ და მანათობელ ბურთებს გადმოისროდნენ. თეთრი ბურთი აღნიშნავდა კარპანტიეს სახეზე მიყენებულ დარტყმას, წითელი — დემპსის სახეზე. ბურთების ასეთივე სიგნალიზაცია მოაწყვეს ეიფელის კოშკის წვეროზე. გამარჯვებულის პრიზი იყო სამი მილიონი დოლარი, დამარცხებულის — ერთი მილიონი. ეს თანხა — ფრანკებზე გადაყვანილი — სამოცი მილიონი ფრანკი ხუთი წუთი სახეზე ცემისათვის არა ერთ ჯანსუსტ ბურჟუას უბურღავდა ტვინს... ენთუზიაზმი ყველას მოსდებოდა...

თერთმეტი საათისთვის ნალიმოვმა და ქალებმა „მატენის" ხუთსართულიან უშნო შენობას მიაღწიეს. ქალებისა და კაცების შლაპების მღელვარე ველის ზემოთ ცხენოსანი დრაგუნების მხრები და ჩაჩქნები ამოზიდულიყო. საათის ისარი თერთმეტს მიუახლოვდა. ხალხს თავშეკავებულად გადაუქროლა: „ა-ა!" ეიფელის კოშკი სიგნალს იძლეოდა. ქალაქის თავზე მოტრიალე აეროპლანებმა ფერადი კვამლის ღრუბელი გამოუშვეს. „მატენის" სახურავზე გასკდა პეტარდა. ეკრანზე (სადაც ორი თავი იყო გამოსახული) გაირბინა წარწერამ: „მებრძოლნი არენაზე გაიჭრნენ..." „არენაზე გამოდის ბრძოლის კომანდორი"... „კომანდორი უსტვენს"... „თორმეტმა ათასმა ამერიკელმა სული განაბა"... „კარპანტიე მოხდენილად იხდის ხალათს"... „დემპსიც ასევე იქცევა, სახე მოქუფრული აქვს". „კარპანტიე გამოცოცხლებულია, იგი იცინის"... (ო, ფრანგები ყოველთვის იცინიან საფრთხის წუთებში...) „მებრძოლნი ერთმანეთთან მიდიან, საბრძოლო ხელთათმანიან ხელებს ართმევენ ერთმანეთს. უკან ხტებიან და პოზიციას იჭერენ"... „ორივე კოლოსი კლასიკურ პოზაში გაირინდა". „ისმის

კომანდორის სასტვენის მკვეთრი ხმა“.. „კარპანტიე პირველი ეძგერა მოწინააღმდეგეს“... (ვერა იურიევნა ფრჩხილებით ჩააფრინდა ნალიმოვის ხელს.).

წარწერები წყდება. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, ეკრანზე სიტყვებიდან სიგნალიზაციაზე გადადიან. სამასი ათასი პარიზელის თვალი ორი სილუეტისაკენაა მიპყრობილი... უცნაურია, მაგრამ დემპსის სილუეტზე ჯერჯერობით არც ერთი წრე არაა! ეტყობა, მებრძოლნი ერთმანეთს სწავლობენ. პირველი რაუნდის უშედეგო წუთი აუტანლად გრძელდება და უცებ, რაუნდის დასასრულამდე ერთი წუთით ადრე კარპანტიეს შუბლის შუაზე შავი წრე ჩნდება. სამასი ათასი წყვილი თვალი შეცბუნებით ხამხამებს.

წუთშესვენება. (მებრძოლები თოკებით შემოფარგლული კვადრატული არენის მოპირდაპირე კუთხეებში მიჰყავთ, სვამენ სკამებზე, კუნთებს უზელენ, პირსახოცებით ჰაერს უნიავებენ, სახეში შაბის ხსნარს აშხეფებენ.). აღელვებული ხალხის ზემოთ პაპიროსების ბოლი მიიწევს. მეორე რაუნდი. წარწერა: „კარპანტიე სასტიკი გააფთრებით ეძგერა მოწინააღმდეგეს“... მოლოდინის წამი. მიწისქვეშა გუგუნივით ძგერს ხალხის გული და ეკრანზე მაშინვე კარპანტიეს მარცხენა თვალი წრით იფარება, მეორე წრე უჩნდება მარჯვენა ყვრიმალის თავზე, მესამე —მარცხენაზე, მეოთხე — ნიკაპზე... შესვენება. ფრანგები მოქუშულნი აცილებენ თვალს ეკრანს. ჰაერში მოტრიალე აეროპლანების კუდებს დაგვიანებული თვალისმომჭრელი თეთრი ბურთები წყდება.

ვერა იურიევნას თვალის გუგები გაფართოებია, ხმა ჩახრინწვია: — მე კარპანტიეზე ჩავუთქვი... მე მჯერა, მჯერა!

ლილის ნესტოები დაბერვია, თითქოს ოკეანის გაღმიდან მძაფრი ოფლისა და სისხლის სუნი აღწევს. ხალხს შეშფოთებული ჩურჩულის ნიავქარი უვლის. მესამე რაუნდი. დემპსის ცხვირს წრე ფარავს. შეძახილები— „ბრავო“, ტაში,— ყვირილის ქარიშხალი. მცოდნენი კი თავს აქნევენ: გატეხილი ცხვირი არაფერს ნიშნავს, დემპსის ცხვირი რეზინის ცხვირივით იზნიქება შიგნითო. გაბრაზებული დემპსი პასუხად მოწინააღმდეგეს ზედიზედ სამჯერ ახვედრებს სახეში ხელთათმანს. კარპანტიე ეცემა. ო, არა, არა, არ შეიძლება უსამართლობა მოხდეს! კარპანტიე ისევ ფეხზეა... „ბრავო, ბრავო, კარპანტიე!“ დემპსის ლაწვის ძვალზე წრე გაჩნდა... დასრულდა მესამე რაუნდი.

„მატენის“ რედაქციის წინ მდგომ ხალხს მწვავე ანაორთქლი ასდის... ბედისწერასავით ნელა მიცოცავს წუთშესვენება. მეოთხე რაუნდი. ინიციატივას დემპსი იგდებს ხელთ. ყვრიმალის ძვლებზე, ცხვირში, ყურში, თავის ქალაზე, მკერდზე მუშტების ბრაგუნი მეხის გრგვინვასავით ედება სამყაროს. კარპანტიეს შუბლის ძვალი გაებზარა, უსკდება ყბა, დაუზიანდა ლავიწი, მაგრამ თავს იმაგრებს, თავს იმაგრებს! იმედი გადაწურული არაა. ხალხი თავაწეული, შლაპაჩამოფხატული იცქირება. „ო, ერთი ლაზათიანად ლეწე კბილებში, კარპანტიე. თვალი ამოუგდე!...“

დემპსის მუშტის დარტყმა ცხენის წიხლის ძალას უდრის. დემპსიმ (როგორც შემდეგ გახდა ცნობილი) მატჩის მომწყობს სიტყვა მისცა, შვიდი რაუნდი მეტად თუ ნაკლებად პასიურად ებრძოლა. მაგრამ, ეტყობა, მობეზრდა ლაზღანდარობა. მეხუთე რაუნდში კარპანტიეს სახე სწრაფად იფარება წრეებით. დემპსი ისე უბაგუნებს კარპანტიეს, როგორც დაირას, და ოცი წამის შემდეგ ნოკაუტში აგდებს: ნიკაპსა და ყბაში ქვემოდან ირიბად ორმაგ დარტყმას აგემებს (ხალხს ტვინი ერყევა, თავის მალები სახსრებიდან უვარდება, ყბა

განზე ექცევა). კარპანტიე დაეცა. ბრძოლის კომანდორი (იგი კარპანტიესკენ დაიხარა და ხელი მაღლა ასწია). ითვლის ათამდე... ათი. მორჩა ყველაფერი! კარპანტიე ვერ ადგა. არენაზე მსახურნი გამოცვივდნენ, რათა გულშეღონებული კარპანტიე გაეტანათ. საფრანგეთი დამარცხდა. აეროპლანებმა შავი კვამლი გამოუშვეს და დასავლეთისკენ გაფრინდნენ. „მატენის“ რედაქციის წინ მდგომი ხალხი ძველ ტრადიციას დაჰყვა და თავი მოიშიშვლა. ადამიანთა ნაკადები ნელ-ნელა იფანტებოდნენ.

— გოგოებო, ჩვენ კიდევ ერთხელ გაგვასულელეს. წამო, დავლიოთ, — თქვა ნალიმოვმა.

30

ლევანტმა გვიან ღამით დარეკა. ხვალ მივდივართო. ქალები მთელი ღამე ბარგს ალაგებდნენ. პარიზიდან რიბირაბოზე მოვიდა ტაქსები. ქალებმა ატირებულ ნინეტ ბარბოშს აკოცეს და სამუდამოდ დატოვეს სევრის აგარაკი. როგორი იქნებოდა მომავალი ცხოვრება, ფეხებზე ეკიდათ, ოღონდ კი იგი ახალი ყოფილიყო.

ლევანტმა წრიული გზა აირჩია, ბერლინ-შტეტინს გაივლიდნენ და ზღვით სტოკჰოლმში ჩავიდოდნენ. ბერლინში ძვირ სასტუმრო „ალდონში“ დაბინავდნენ. სადაც ვესტიბიულში შესვლისთანავე ეცათ თვალში ისეთი საეჭვო, აბზინებული, ბრწყინვალედ ჩაცმული კაცუნები, ისეთი უარშიო, სულსწრაფი თაღლითები, ქალებმა ბრძანეს, მთელი ბარგი მაშინვე აეტანათ ნომერში. რესტორანში საზიზღარი საუზმე მოართვეს, მაგრამ აქ, ეტყობა, საჭმელს ყურადღებას არ აქცევდნენ. პატარა მაგიდებთან კრავდნენ პირობას, აბზინებული კაცუნები დარბაზის ერთი ბოლოდან მეორეში ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, თითებით რაღაცას აჩვენებდნენ, ორკესტრი იმავე ისტერიული ტემპით ასრულებდა ამერიკულ ფოქსტროტებს. ქალებს კაცები უტიფრად აჭყეტდნენ თვალებს და ამბობდნენ „ო-ო-ო, პარიზენ შიკ!“

ლევანტმა ძვირი აპარტამენტები დაიქირავა ბელეტაჟზე. ნაშუადღევს მის სალონში გამოჩნდნენ რუსი ზვიადი მოხუცები, ახალგაზრდები, რომელთაც მკვლელის ამღვრეული, ჯიუტად მომზირალი თვალები ჰქონდათ, მსოფლიო ომის უფერული შტაბს-კაპიტნები და პოლკოვნიკები, რამდენიმე კაცი, ჯარისკაცის მაზარები რომ სამხედრო ფორმის ძონძებს უფარავდათ, პროვინციელი ლაქლაქა ქალბატონები, პეტერბურგის მაღალი საზოგადოების ტრაგიკული ბებრუხანები. მთელი ეს ბრბო ხმააწეული ლაპარაკობდა, ლანძღავდა გერმანელებს და ლევანტისგან რაღაც ინსტრუქციებს თუ უბრალოდ ფულს მოელოდა. გაშლილ ფურცელზე წერდნენ „რუსეთის იმპერიის ხსნის ლიგის“ მოხალისეთა გვარებს.

ლევანტი ლაპარაკობდა „ლიგის სტოკჰოლმის განყოფილების“ სახელით. მართალია, ფულს არავის სთავაზობდა, მაგრამ უახლოესი მომავლისთვის უფართოეს პერსპექტივებს ჰპირდებოდა. ზოგიერთი ახალგაზრდა საწოლ ოთახში გაჰყავდა, რათა მათთან საიდუმლოდ ეთათბირა. რუსებით გარშემორტყმული ლევანტი (იგი პაპიროსის ნამწვავებით მონაგვიანებული ნოხის დიდებულ ვარდებზე იდგა და აჭიმებში ცერებს იჩრიდა ხოლმე) ამბობდა:

— ბატონებო, პარიზში, სადაც თავმოყრილია ბოლშევიკებთან ბრძოლის

ყველა ძაფი, სადაც ახლა, გაუზეიადებლად ვამბობ, რუსი ხალხის გული ძგერს, მეტისმეტად უკვირთ ბერლინის სამხედრო ორგანიზაციების პასიური მოღვაწეობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ყველა რუსს ჰქონდა ბრძოლის ენთუზიაზმი. სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავ. გერმანიის მთავრობა ყოველნაირად გვიწვდის ხელს, ინგლისელები იმაზე მეტსაც კი აკეთებენ, რისი იმედიც შეიძლება გვქონოდა. მერედა რა გამოვიდა? გასულ კვირას ბერლინიდან მოხალისეთა მხოლოდ ერთი ეშელონი გაგზავნეს. ბატონებო, რა ანგარიში უნდა ჩავაბაროთ პარიზს?

ჩასკვნილი შტაბს-კაპიტნები და მელოტშეპარული პოლკოვნიკები კეფას იფხანდნენ. გენერლებს მკაცრად უთახთახებდათ ლოყები, მკვლელის თვალებიანი ახალგაზრდები მოღუშულნი იბრუნებდნენ პირს. რა უნდა ეპასუხათ... აი, გერმანიამ რომ ასიათასიანი ჯარი გაგზავნოს. ანდა, ეშმაკმა დალახვროს, თუ გერმანიას ნებას არ მისცემენ, რატომ საფრანგეთმა არ უნდა დასძრეს შავკანიანები რუსეთისკენ?.. ინგლისი ძაღლივით ხან რატომ კბენს რუსეთს და ხან რატომ ხტება უკან, მის დიდ ფლოტს შეეძლო ერთ დღეში გაესწორებინა მიწასთან კრონშტადტიცა და პიტერიც. ინტერვენტები ცეცხლს რომ უფრო შეგვინთებდნენ, უკლებლივ წავიდოდით მეწინავე ჯარებში. უჩვენოდ სულ ერთია არაფერი გამოუვათ, უცხოელები ბოლშევიკებისგან რუსეთის გაწმენდას ალბათ არ დაიწყებენ, ნაზ ხელებს არ გაისვრიან.

ნალიმოვი ქალებთან ერთად დაეხეტებოდა ბერლინში. კუშტი ჩანდა ერთფეროვანი ქუჩების ხედები, მაღალი წითელი სახურავით დაფარული ჩაბნელებული სახლები. მაღაზიების ვიტრინებში ნაყალბევი ნივთები, ერზაცები, ხარახურა ეწყო. გულს ამძიმებდა უამრავი გამოუცდელი, თვალებგამოცარიელებული ქალიშვილი, შემხვედრ გამვლელებს რომ უჩურჩულებდნენ, წამოდით ჩემთან, ძალზე გარყვნილი ვარო. ოდესღაც ბრწყინვალე ქუჩების შესაყარზე შეხვდებოდით მსოფლიო ომის მონაწილეებს: ურიკებზე დადებულ მორებს, შავსათვალიან ბრმებს, რომელთაც გამყოლი — სანიტარული ძაღლი (მთავრობის საჩუქარი) ჰყავდათ გამობმული. საყასბოების ვიტრინების წინ, სადაც ქაღალდის მაქმანში გახვეული ბარკლები, სუკები, ძეხვეული, ქონის ძვირფასი ნაჭრები გამოეფინათ, მუდამ ხალხის ჯგრო იდგა. აი, გამორბის მოხარშული კარტოფილის პირქუში მშთანთქმელი და დაუოკებელი რეფლექსის კარნახით ხორცის ვიტრინის წინ ტროტუარს ეზრდება... ხელს პორტფელს უჭერს, ჩაცვენილ ლოყებზე მნებელობის კუნთები ებერება: თავს ნებას აძლევს მინის დაფაზე დადებული, ქაღალდის მაქმანში გახვეული აი, ის ღორის კატლეტი შეიგრძნოს... ესაა საჭმლის ფანტაზიის ხუთი წუთი!.. საჭმელად უვარგისი ქაღალდებით გატენილ, იღლიაში ამოდებულ პორტფელს უფრო მაგრად იჭერს და იქაურობას სცილდება, სცილდება... ეს ღორის დაბეგვილი კატლეტი როცა იქნება ვერსალის ზავს მოეკითხება!

კლდეები, ბორცვები, ჩრდილოეთის მზის მწუხარე შუქი, შორს — თოვლიანი მწვერვალებივით მჩინარი ღრუბლების გროვა.

ვემი კლდოვანი კუნძულების შორიახლო მიცურავს. ყოველი მოხვევის შემდეგ ნაპირების ახალი ფერდობები და ფიორდის უფრო ღრმად მიმავალი წყლები ჩანს, ხან მოჩრდილულნი, ხან მოელვარენი. ქალები ქიმის მოაჯირს

დაეყრდნენ. ჰაერი გამჭვირვალეა. სითბოს ძალა აკლია. სიმწვანემოდებულ ველდაბლობში უნაყოფო კლდეებს შორის სახლების წითელი კრამიტები კრთის. ჩრდილოეთი. უკაცრიელობა. ესაა მიწა, სადაც ვნებადამცხრალნი, თმაშევერცხლილნი ბრუნდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა იურიევნა ხმადაბლა ამბობს:

— ნეტავ ასე დავბრუნდებოდეთ პეტროგრადში... ადამიანი ჩრდილოეთში უნდა ცხოვრობდეს... გოგოებო, აი, იმ ქოხში, უილაჯო მზის ქვეშ... რა ნალევლია!... იოცნებე, ელოდე აუხდენელს...

ვერა იურიევნამ ლაიკის ხელთათმანიანი ხელი ქიმის მოაჯირზე ჩამოდო. ლოყებლაჟღაჟა შვედმა თვალი შეავლო წარმოსადეგ ვერა იურიევნას: —ჰმ! — შავი ჟაკეტი, ღია ფერის რბილი ქვედა კაბა, უქუსლო ფეხსაცმელი... სადად, ძვირფასად, მოხდენილად აცვია, არავითარი სურვილი თავის მოწონებისა, გულგრილი სახე აქვს, მასში ყველაფერი მოფიქრებულია, ყველაფერი დასრულებული... ჰმ! ცივილიზაციის უმაღლესი პროდუქტი, საერთაშორისო მტაცებელი, პარიზის საოცრება!

— გოგოებო, მერედა ზამთარი!.. იგი დაგვავიწყდა კიდეც... თოვლი, სიცივე, ქარბუქი... უსათუოდ ვიყიდი სახლს, ოღონდ უფრო შორს, ჩრდილოეთით; მთელი ზამთარი მარტო ვიქნები, სავსებით მარტო...

ლილი — დაცინვით:

— გახსოვს, ტაგანროგის სახლისთვის რომ მლანძღავდი? გეტყობა, თეითონაც...

— არა, ლილკა, არა... სახლი ტაგანრიგში ოფიცრითურთ ღორობაა. მე მარტოობაზე ვლაპარაკობ... ასეც მიპოვიან ამ სახლში: გააღებენ თოვლით დაფარულ კარს, გატეხილ ფანჯარაში თოვლია შეყრილი, მე ვწევარ საწოლზე, ჭაღარა, გაძვალტყავებული, ხელებით აი ასე მაქვს დახუჭული თვალები, რომ ვერავინ გაბედოს მე, მკვდარს, თვალებში ჩამხედოს...

მარიმ, რომელიც მათთან იდგა ქიმთან, დაუსტვინა:

— კარგ გუნებაზე კი მიდიხარ სამუშაოდ!..

ვერა იურიევნამ მოჟამულად ჩაიცინა და მიუგო,

— ყველა თავისებურად ურევს, ჩემო ძვირფასო შანსონეტო. შენი უმაღლესი ბედნიერებაა პოჟარსკის კატლეტები. მე კი ჯერ კიდევ ყველა შეურაცხყოფა უნდა გავიხსენო...

— ღმერთო, რა საშინელებაა! — ზანტად თქვა მარიმ.

ლილი მიიწია. თვალებში ჩააცქერდა ვერა იურიევნას:

— ვეროჩკა, კარგი რა...

ქალების უკან მდგარ ლაჟღაჟა შვედს (ხელები ჯიბეში ჩაეწყო, სიგარა პირის კუთხეში მოექცია, მსუქანი ნიკაპი კმაყოფილებით დაებჯინა გახამებულ საყელოზე) რუსული არ ესმოდა და ეგონა, სამი მოხდენილი ქალის ერთობ უცნაური საუბარი ჩრდილოეთის ბუნებით აღტაცებას გამოხატავდა. პირიდან სიგარა გამოიღო და საუბარში ჩარევა სცადა:

— პარდონ, თავს ნებას ვაძლევ, თქვენი ყურადღება მივიპყრო, სტოკჰოლმს ახლა ბეკჰოლის კუნძული ფარავს. — მან ქალებს სიგარით უჩვენა ქიმის მარჯვენა მხარეს გამოჩენილი ელინგის აგურის შენობები და გისოსებიანი ამწეები. შორს, მარცხნივ, ქვის მაღალ კედელთან, სადაც მრავალსართულიანი წისქვილი ბოლავდა, სატვირთო გემები იდგა. — ომის დროს ქალაქი ძალზე

ვამდიდრდა. შვედები ცუდად არ მოქცეულან, რომ ომში არ ჩაებნენ. ბევრს გვლანძღავდნენ (შვედმა გაიცინა), მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ევაჭრა, ჩვენც ორივე მხარეს დიდი სარგებლობა მოვუტანეთ, როცა ერთთანაც ვვაჭრობდით და მეორესთანაც, თქვენ ახლა სტოკჰოლმს ვერ იცნობთ. ეს პატარა ბერლინია. მართალია, ვერსალის ზავის შემდეგ გამოცოცხლება ცოტა არ იყოს შენელდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კრიზისი დროებითია. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება მხიარულად გაატარო დღე... (გემი მობრუნდა.) აი, ქალაქიც, თქვენ ხედავთ ძველ ნაწილს — სტადენს. ძველად ქალაქი ამ კუნძულზე იყო განლაგებული, ახლა მარჯვნივ და მარცხნივ გაიზარდა. ყველაზე ბრწყინვალე კვარტალები იმ ბორცვებზეა — იქაა საუკეთესო მაღაზიები, თეატრები, კაფეები და ვაგზალი. კიდევ უფრო შორს, ჩრდილოეთით კი საუცხოო ქალაქგარეთ ადგილებია: ტბები, ლამაზი ვილები და ციხე-დარბაზები. ომის დროს ჩვენ ბევრს ვაშენებდით.

გემი ქალაქის მოლილისფრო-რუხ მოხაზულობას უახლოვდებოდა. ქალაქის იქით ბორცვები, ღრუბლები ჩანდა. შვედი სიგარას იშვერდა და ცნობილ შენობებს — სასახლეს, ტაძარს, სასტუმროს ასახელებდა.

— თუ მოისურვებთ ჩვენს ბუნებასთან ახლოს ყოფნას, შემიძლია გირჩიოთ მშვენიერი კუთხე — ნესვინენის ტბასთან მდებარე ბალ სტანესი. იქამდე ოცდაათი კილომეტრია რკინიგზით.

— როგორ თქვით? — მსწრაფლ შებრუნდა მისკენ ვერა იურიევნა. — ბალ სტანესი?..

ვერა იურიევნას აჩქარებული მოძრაობით ცოტა არ იყოს განცვიფრებულმა შვედმა ცხვარივით დახარა თავი.

— დიახ, ქალბატონო, არინანებთ. იქ შეიძლება დაისვენოთ.

გემმა დაიგუგუნა და სანაპიროს კედლისკენ დაიწყო მობრუნება. ხის პაკჰაუზებს შორის შავი ტაქსები იდგა. მათ უკან გაკრიალებული ტრამვაები მოძრაობდა. იქით ნაკრაულების, კასრების, ყუთების გროვები, პატარა სახლების კრამიტის სახურავები და ძველებური ფასადები, ნავსადგურის სამიკიტნოების აბრები, ვიწრო ქუჩები ჩანდა. კედლის სულ განაპირას, მისადგომის ტუმბზე, ჰაჯეტ ლაშე იჯდა და იღიმებოდა. ნაცრისფერი ჩოხა ეცვა და კრაველის ქუდი ეხურა. მის დანახვაზე ვერა იურიევნამ ხელი ყელზე მიიდო და შებრუნდა.

31

რესტორან „გრანდ-ოტელის“ დარბაზში სადილობისას სიმფონიური ორკესტრი უკრავდა და, როგორც ყოველთვის კვირადღეობით, სოლო ნომრებს ასრულებდნენ. ორი წლის წინათ ეს ყველაფერი უფრო მდიდრული გახლდათ, აქ ყოველდღე ევროპის სახელგანთქმულ პიროვნებებს უსმენდნენ. ზავის შემდეგ კი იკლეს საინტენდანტო მოხელეებმა, მომწოდებლებმა, ჯაშუშებმა, კონტრმზვერავებმა, საერთაშორისო ავანტიურისტებმა, დიდებულმა ქალებმა, რომელთაც ოქროს პატარა ხელჩანთაშინაირ-ნაირი პასპორტები და კოკაინის კოლოფი ედოთ, ნეიტრალურმა დიპლომატებმა და მეომარი ქვეყნების გასაიდუმლოებულმა დიპლომატებმა, ყველამ, ვინც დაუფიქრებლად ახურდავებდა ფულს და ყიდულობდა ყველაფერს: იარაღს, საქონელს, ფოლადს და საწამლავებს, ადამიანის უნამუსობას და უზომო სიამოვნებას.

ახლა რესტორან „გრანდ-ოტელში“ ჩვეულებრივ დღეებში ღვინის მაგიერ სურებით ცივ წყალს იძლეოდნენ. სტოკჰოლმს გაუდაბურება ემუქრებოდა. რესტორატორი თავისდა საზარალოდ საკვირაო კონცერტებს მართავდა. კონცერტებს დარბაისელი ოჯახებიც კი ესწრებოდნენ, რათა მხარი დაეჭირათ ეროვნული დაწესებულებისთვის.

ყველა მაგიდა დაკავებული იყო. თათებიან პალმებს შორის უწყვეტი ჟღერა მიიწევდა. დღეს აჩვენებდნენ ამერიკულ სიახლეს — ჯაზ-ბანდს ნამდვილი ზანგების მონაწილეობით. ძნელი იყო ჯოჯოხეთურ ტკაცატკუცს, საქსაფონის წივილს, დოლებს, თეფშებს, მხიარული კაციჭამიების კივილს შესჩვეოდი. ამერიკამ გარდა იმისა, რომ ძველი სამყარო გააშიშვლა, აიძულა თხუთმეტი მილიონი კაცის საფლავებზე შმაგი ფოქსტროტი ეცეკვა... აჰ, სულ სხვაა ძველი, ოცნებით აღსავსე, დამამშვიდებელი ვალსი!

— ძალიან ახლოს მივუსხედით ორკესტრს.

— თქვენც უფრო ხმამაღლა ილაპარაკეთ.

— უფრო ხმამაღლა არ მსურს...

— მოეშვით ერთი თქვენს შიშს... ევროპაში ხართ. რატომ არაყს არ სვამთ?

კედელთან პატარა მაგიდასთან ორი რუსი სადილობდა: ერთი გამხდარი იყო, თავმოვლილი, შუბლშემელოტებული, წვერწამახული, მეორეს ანთებული, ცოტათი მშფოთვარე სახე ჰქონდა და გადმოკარკლული წყლიანი, ხარბი თვალები. გამხდარი ცოტას ჭამდა და ბევრს სვამდა, მისი თანამოსაუბრე მაგიდას მკერდით მისწოლოდა და გამგელებით ილუკმებოდა. გამხდარი ეუბნებოდა:

— სულ ტყუილად არ სვამთ, სულ ტყუილად, ალექსანდრ ბორისოვიჩ. როგორ, პეტროგრადშიც წვეთი არ დაგილევიათ?

— მომეშვით რაღა, მისმინეთ... (ალექსანდრ ბორისოვიჩმა გეზად გახედა მეზობლებს.) ვინაა აი ის ზორბა ძიაკაცი?

— პოლიციელი, უცხოელებზე მეთვალყურეობის განყოფილების მუშაკი. ჩემი მეგობარი...

— კარგი ნაცნობობა გქონიათ!

— უამისოდ აქ არ შეიძლება.

— აბა ისინი, სმოკინგიანები?

— ორს არ ვიცნობ, მესამე, კოვზს რომ ატრიალებს შამპანურში, გრაფი დე მერსი გახლავთ, საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი. ამას წინათ ჩამოვიდა საიდუმლო მისიით.

— ის მაღალ-მაღალი მოხუცი ვინღაა? მავანი რუსი მემამულე?

— ო! მეფეზე უფრო დიდი ვინმეა — თვითონ ნობელია!

— იმ მაგიდას ვინ უზის? რაღაც ძალიან კი გვიყურებენ.

— რუსები არიან. მელოტი, შავგვრემანი და პატარა იზვოლსკია, ყოველ შემთხვევაში აქ ამ გვარით ცხოვრობს. ის, რომ იცინის, წითურწვერიანი, მარიინის თეატრის კონცერტმაისტერი ანჟელინია, იგივე ეტინგერი რატომღაც. რას აკეთებს, ეშმაკმა არ იცის, ფული კი აქვს, ეგ მასპინძლობს. მესამე კი, აყლაყუდა, ბიტენბინდერია, ისიც არამზადა.

— დიდ მაგიდას მიმსხდარი კამპანია — ლამაზი ქალები?

— გუშინ მოვიდნენ სასტუმროში. ისინი უკვე შეამჩნიეს. ლილისფერთმიანი, ეტყობა, ჰაჯეტ ლაშეს ცოლია.

— რომელი ჰაჯეტ ლაშესი? ჩოხიანის? მე ხომ ვიცნობ მას, შარშან პეტერბურგში ვხვდებოდით. თავის წიგნს ბეჭდავდა, ფრიად საინტერესო ჩანაწერები აქვს — აბდულ-ჰამიდის საწამებლებს ამხილებს. ესაა წამებანი, მკვლელობანი, საშინელებანი თურქულ ყაიდაზე. მაგრადაა დაწერილი, რას აკეთებს აქ?

— ქალაქგარეთ ბალ სტანესში ცხოვრობს. რანტიეა, როგორც ჩვენ ყველანი, საინტერესო ყმაწვილია.

ზანგებმა საკრავები დააწყვეს და ესტრადიდან გავიდნენ. მოცეკვავენი მაგიდებთან დაბრუნდნენ. დარბაზში თავშეკავებული გუგუნია, ისმის შამპანურის ბოთლების საცობების ბათქაბუთქი. გამხდარი პაპიროსს უკიდებს, კმაყოფილებით წკურავს თვალებს და წარბებით იხმობს ლაქიას; როცა ლაქიამ საუზმე აალაგა, თანამოსაუბრისკენ დაიხარა:

— აბა, რა ახალი ამბებია პეტროგრადიდან?

როგორც კი მუსიკა შეწყდა, ჰაჯეტ ლაშემ ლევანტს თვალებგადმოკარკლულზე ანიშნა:

— ხედავ იმას, თვალებგადმოკარკლულს, ლევი ლევიცკია, ჟურნალისტი, ფინეთის საზღვარზე გადმოძვრა, როგორც ვოროვსკის კურიერი. მარჯვე ბიჭია. მას, ვიცი, ვოროვსკის ქაღალდების გარდა სხვა დავალებაც აქვს... (ლევანტს ყურში უჩურჩულა). ახლოს იყო რასპუტინთან, ვირუბოვასთან და მთელ იმ წრესთან. გუშინ ჩემოდნით მივიდა ბანკში. ჩემოდანი იქ დატოვა, გარდა ამისა, მიმდინარე ანგარიშზე რაღაც თანხა შეიტანა...

ლევანტი შამპანურის ბოკალში გულგრილად ატრიალებდა ხის წკირს.

— მეორე, გამხდარი ვიღაა?

— არდაშევი. ისიც საყურადღებო ვინმეა... ომის დროს არანაკლებ მილიონი კრონის გადმოტანა მოასწრო... შარშან ჩამოვიდა, პეტროგრადისთვის ქაღალდი უნდა ეყიდა: იყიდა კიდეც, მაგრამ დარჩა. რუსების კოლონიას არ ეკარება.

— ცოტა არ იყოს საძნელო ამბავია, — თქვა ლევანტმა. — მამხილებელი საბუთების გარეშე არ გირჩევ, ფრანგებს მეტისმეტი სიზუსტე უყვართ...

— არხეინად ბრძანდებოდე, — აი, ის კი, შეხედე, მარტო ზის სულ კუთხეში. აქ უკვე ნაღდი საქმეა — ვოროვსკის კურიერი გახლავს, ვარფოლომეევი, ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მეზღვაური. (ლევანტმა გაოცებით შეხედა.) ნდობით ერთობ აღჭურვილი პირი. ბევრი რამ იცის... (ყურში) მეფის ბრილიანტების შესახებ..

ზანგები თეთრი კბილების კრეჭით გამოჩნდნენ ესტრადაზე. ვერა იურიევნასთან ის ნაცნობი ლაღლაჟა შვედი მივიდა. ჯაზ-ბანდის პირველივე ტაქტზე ვერა იურიევნამ შვედს მხარზე შიშველი ხელი ჩამოადო და მსუბუქი ნაბიჯით გაჰყვა ვნებაუქონელი და გულგრილი, ყველასთვის მისაწვდომი და დაუმორჩილებელი, ომის გვამთა ქაფისგან შობილი ახალი აფროდიტე; იქ მყოფთ მღელვარებას ჰგვრიდა მისი არაქალური მიმოხვრა, გრიმგაკეთებული წამწამების ქვემოდან სხივნაკლული, დაშრეტილი გამოხედვა. მთელი რესტორანი ვერა იურიევნას ადევნებდა თვალს.

ლევი ლევიცკიმ ხელსახოცით გაოფლილი შუბლი მოიწმინდა და არდაშევს უთხრა:

— კაცი ჭკუაზე შეიშლები! ვინაა?

— თანამემამულე, განა ვერ ხედავთ?

— თუ ძმა ხართ, გამაცანით.

— მაინცდამაინც არ გირჩევდით აქაური რუსების გაცნობას... ესენი მარშანდელი პანიკიორი ლტოლვილები როდი არიან... ესენი აქ მოაწყვეს.

— კარგით ერთი.. მე ნეიტრალური ვარ (ლევიცკის თვალებში ტანჯვა დაეტყო). აჰ, რა ქალია!.. მისმინეთ, ეს ხომ სიზმარია, ზღაპარია!..

**32**

გრაფ დე მერსის წვერით ეჭირა სადარბაზო ბარათი, რომელზეც დაბეჭდილი იყო: „ჰაჯეტ ლაშე: პოლკოვნიკი. შეფ-რედაქტორი“. იგი პატარა მისაღებში შევიდა, ჩაკეტა გვერდით ოთახში გამავალი კარი, სადაც მემანქანე აკაკუნებდა, შნოიანად, მაგრამ ცივად დაუკრა თავი ჰაჯეტ ლაშეს და გაზეთებით და ჟურნალებით დაზვინულ მუხის მრგვალ მაგიდასთან სკამზე მიუთითა. როცა სტუმარი დაჯდა, გრაფი და მერსიც დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, შეკითხვის იერით აძგიბა წარბები; გრძელი სახე ჰქონდა, მძიმე ქუთუთოები. დიდი ცხვირი, ჩამოშვებული ულვაში; მეჩხერი თმა მთელ თავზე შუაზე გაეყო. იგი თავიდან ფეხამდე არისტოკრატი, ჯვაროსნების პირდაპირი შთამომავალი იყო. ჰაჯეტ ლაშემ (მას შავი ვიზიტურა ეცვა და შავი ხელთათმანები) ფრთხილი გულითადობით უთხრა:

— გრაფო, მინდოდა მეცნობებინა, რომ ჩემი მოღვაწეობა სტოკჰოლმში სავსებით შეესაბამება პოლკოვნიკ პეტის შეხედულებებს.

დე მერსიმ ოდნავ დაუკრა თავი:

— მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

— გრაფო, თქვენ იცით, რომ სტოკჰოლმში ბოლშევიკების საზღვარგარეთული აგენტურის ყველა ძაფია თავმოყრილი.

— თუ არ ჩავთვლით კონსტანტინოპოლს.

— ო, არა, აქ გაცილებით სერიოზული ამბავია. გაზეთი „სკანდინავიის ფურცელი“ ცუდად შენიღბული ბოლშევიკური ორგანოა.

— ოჰო?

ჰაჯეტ ლაშემ მცოდნე კაცივით გაიღიმა და გრაფს აგრძნობინა, რომ „ოჰოს“ აკუთვნებდა დიპლომატიურ გულდახშულობას, მაგრამ არამც და არამც საქმეში მის ჩაუხედაობას.

— „სკანდინავიის ფურცელი“ აქაური თანამგრძნობთა სახსრებით გამოდის. მოსკოვი დოტაციას არ აძლევს. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ გაზეთი შეიძლება შევისყიდოთ. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით, გრაფო?

— ჰმ... ეს მიზანშეწონილად მიმაჩნია, — გრაფ დე მერსიმ გულისყურით დაიხედა გრძელ ფრჩხილებზე. — მაგრამ მე მგონია, ეგ კერძო პირების საქმეა.

— წარმატება დამოკიდებული იქნება შეთავაზებულ თანხაზე. საჭიროა ასი, ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი... ვისურვებდი მქონოდა გარანტია, რომ

ხარჯები, რასაც ეს კერძო პირები გასწევენ... (ჰაჯეტ ლაშე გაირინდა, იგი იღიმებოდა).

— ვფიქრობ, თქვენს წინადადებას მტკიცე უარით არ შეხვდებიან. ჰმ! ას ორმოცდაათი ათასი? იქნებ მირჩიოთ ამის შესახებ პოლკოვნიკ პეტის მივწერო?

— ო, მე გთხოვდით ამას.

— ჩინებულია... (გრაფმა შვებით ამოისუნთქა...) თუ ის არ შემოგვედავება, გარანტიას გაძლევთ, რომ ხარჯებს განსაკუთრებული თანხებიდან აგინაზღაურებთ.

გრაფმა წარბები დაუშვა. საუბრის საჩოთირო ნაწილი დამთავრებული იყო, მაგრამ ჰაჯეტ ლაშემ ჯიუტად მოკუმა პირი:

— გრაფო, ეს ყველაფერი როდია... მე მინდოდა უფრო მნიშვნელოვანი რამ — ზნეობრივი გარანტიები...

— მომიტევეთ?

— არის გენერალ იუდენიჩის ბანაკიდან მოსული რამდენიმე საგანგებო დირექტივა. არ მინდოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინეთ უსიამოვნო დავალებათა წვრილმანებით, დავალებათა, რომელნიც ყოველთვის როდი ესადაგება ევროპელი კაცის შეხედულებებს სიკეთესა და ბოროტებაზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთი, რომელსაც ბოლშევიკები მართავენ, მორალს არ დაგიდევთ... წითელ საფრთხესთან ბრძოლაში ისეთი საშუალებების გამოყენება მოგვიწევს, ცოტა არ იყოს, საზღვრებს რომ სცილდება... — გრაფმა გამაფრთხილებლად ასწია წარბები, მაგრამ ჰაჯეტ ლაშე მტკიცედ განაგრძობდა: — ო, არ იფიქროთ, რომ თქვენი სახელი გაერევა ამბებში, რომლებიც შეიძლება დატრიალდეს. მინდა მხოლოდ წინასწარ დაგითანხმოთ, — პოლკოვნიკმა პეტიმ მე ეს აღმითქვა, — რომ შვეციის პოლიციასთან უსიამოვნების შემთხვევაში... მე და ჩემთან იდეურად მომუშავე პირების ჯგუფს იმედი გვქონდეს იურიდიული დახმარებისა...

— მესმის, თქვენ გინდათ იმ შემთხვევაში... (გრაფმა სიტყვები ვერ მონახა) იმედი გქონდეთ, რომ გამოჩენილი პარიზელი ვექილი დაგიცავთ?..

— დიახ, გრაფო... მე დავასახელებდი ჟიულ როშფორს, ჩემს ძველ მეგობარს...

— ო, ის ბევრს ღებულობს... კარგი, გპირდებით.

— მე კმაყოფილი ვარ, გრაფო.

— ო, რას ამბობთ...

ისინი წამოდგნენ, ღონივრად, მეგობრულად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს — დაემშვიდობნენ, და გრაფ დე მერსიმ კარამდე მიაცილა სტუმარი:

— ყოველთვის თქვენდა სამსახურად მიგულვეთ, ჩემო ძვირფასო ჰაჯეტ ლაშე.

## 33

ნიკოლაი პეტროვიჩ არდაშევს ჭრელი ხალათი და ტარსიკონის ფეხსაცმელი ეცვა; უკვე საუზმე დაემთავრებინა და ფოსტას ათვალიერებდა. როგორც ყოველთვის, ეს იყო რუსი ლტოლვილების წერილები... „თქვენი გულისხმიერების ამბავი გავიგე და გევედრებით...", „ცოლსა და შვილთან ერთად გამო-

ვექეცი ბოლშევიზმის საშინელებებს, გევედრებით...“, „თქვენ მე არ მიცნობთ, ლიპეცკელი მემამულე ვარ, სამშობლოდან გაძევებული... ოცი კრონა მიხსნიდა...“, „დამეხმარეთ, ბედის განგებით მეჩეჩზე გამოვირიყე უსულგულო მედუქნეებსა და ჩარჩებს შორის. რუსეთში კი ეს უცხოელი გაიძვერები კარებს მიტალახებდნენ. მოკლედ რომ ვთქვა, ხარკოველი ნეგოციანტი [illegible] ნიკოლაი პეტროვიჩ, თქვენ წინაშეა მამა მრავალრიცხოვანი ოჯახისა, მყავს ღრმად მოხუცებული ბებია, ხუთი მცირეწლოვანი შვილი და სისხლდენაატეხილი ცოლი...“ და ასე შემდეგ...

ნიკოლაი პეტროვიჩი ყურადღებით (საკუთარი სინდისის დასაყუჩებლად) კითხულობდა წერილებს, ზემოდან ფანქრით აწერდა — 50, 20, 10 კრონი. იგი იძულებული ხდებოდა სულიერი კომფორტის უფლება ეყიდა. ეს ხალხი ისე მოძვრებოდა საზღვარზე, როგორც ბაღლინჯოები დამდუღრული ლეიბიდან. ეხმარებოდა მათ იმიტომ, რომ უყვარდა აი, ასეთი ნათელი დილა, რომელიც მისი საცხოვრებლის ყველა კუთხის უდრტვინველ სიფაქიზეს აშუქებდა, უცოლო კაცის მტკიცე თანხმობა საკუთარ თავთან. ლტოლვილებთან პირად ურთიერთობას გაურბოდა (ფულს მათ მდივანი გადასცემდა), გაურბოდა სტოკჰოლმში დამკვიდრებულ რუსულ კოლონიასაც.

ერთი წერილი ორჯერ წაიკითხა: „დიდად პატივცემულო ნიკოლაი პეტროვიჩ, უაღრესად მადლიერი დაგრჩებით, თუ რამდენიმე წუთს დამითმობთ ერთ საქმეზე მოსასაუბრებლად; ამ საქმემ შეიძლება დაგაინტერესოთ. თქვენთვის ცნობილი ჰაჯეტ ლაშე“. არდაშევმა ფრჩხილი ჩამოისვა პატარა წვერზე: „საგამომცემლო საქმეების შესახებაა რაღაც. ლაშე საინტერესო კაცია, მაგრამ აქ ალბათ ისევ პოლიტიკაა...“ გაახსენდა მისი ლამაზმანი, „გრანდ-ოტელში“ რომ ცეკვავდა, და თვალმოჭუტულმა ჩაცინებით გახედა მბზინვარე ყავადანს.. „ჰო, ქალებისა და პოლიტიკისგან ცოტა უფრო შორს უნდა ვიყო: ესეც კომფორტის საფასურია...“

ზარი. შემოსასვლელში ისმის ნაცნობი ხმა. არდაშევმა გაზეთი წაკითხული წერილების დასტაზე დააგდო, ჩამქრალ სიგარას მოუკიდა. შემოვიდა ბისტრემი, ოცდახუთი წლის სკანდინაველი, ექვსი ფუტი სიმაღლის სათვალიანი ახალგაზრდა. მას კეთილი, ცისფერი თვალები ჰქონდა, ნაზი კანი, ლონიერი ქედი და ორად გაყოფილი ნიკაპი. ამას წინათ დაემთავრებინა უნივერსიტეტი და პატიოსანი გერმანელის უშუალო მგზნებარებით სწავლობდა რუსეთის რევოლუციის ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიურ წინაპირობებს. იყო „სკანდინავიის ფურცლის“ თანამშრომელი, არაპრაქტიკული და მიმნდობი ჭაბუკი. რამდენჯერმე სცადა მოსკოვში კორესპონდენტად გაეგზავნათ, მაგრამ რედაქციაში სასაცილოდ აიგდეს, უსიამოვნებაც კი მოუვიდა პოლიციასთან.

— ნიკოლაი პეტროვიჩ! — იყვირა მან რუსულად, აქცენტით (აღტაცებული იყო, ლოყებგაწითლებული, გახალისებული). — წაიკითხეთ დღევანდელი გაზეთი? ო, ვხედავ, არ წაგიკითხავთ!. — მაგიდიდან გაზეთი აიღო და ფრჩხილით გახაზა. — „რეველი, საკუთარი კორესპონდენტისაგან“... — უსმინეთ: „ზუსტად შემოწმებული ცნობების თანახმად ინგლისის სახელმწიფო ბანკი გარანტიას იძლევა ოქროზე გადაახურდავოს რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის მთავრობის საკრედიტო ნიშნები, რომლებიც, როგორც ცნობილია, სტოკჰოლმის ზარაფხანაში იბეჭდება და საერთო თანხით შეადგენს მილიარდ ორას მილიონ მანეთს“. გამიგონეთ, იუდენიჩი კაპუტ!..

— არ მესმის. — თქვა არდაშევმა. — რა არის აქ ისეთი? ფული იუდენიჩის შეკვეთით იბეჭდება...

— ფული იბეჭდება კოლჩაკის მიერ ომსკიდან გამოგზავნილი საგარანტიო დეპეშით (ბისტრემმა ჯიბიდან გაზეთების ამონაჭრების დასტა ამოიღო, საჭირო ამონაჭერი მოძებნა. წაიკითხა). ეს რეველის „რუსეთის თავისუფალი სიტყვიდანაა". აი... „უმაღლესმა მმართველმა ადმირალმა კოლჩაკმა ბრძანა ჩრდილო-დასავლეთის ოლქის მთავრობისათვის გადაეცათ, რომ მას ყოველგვარი დახმარება გაეწევა პეტროგრადის რაიონში ბოლშევიზმთან ბრძოლის წარმატებით დასაგვირგვინებლად; რომ ომსკის მთავრობის ფინანსთა მინისტრს სასწრაფოდ მიეთითა გადაგზავნოს მთავარსარდალ გენერალ იუდენიჩის მიერ ნათხოვნი ორას სამოცი მილიონი მანეთი ოქროთი. აღნიშნული თანხა ლონდონის ბანკში შევა ინგლისური ვალუტით და თავდებია ჩრდილო-დასავლეთის რუსეთის მთავრობის მიერ გამოშვებული ფულის ნიშნებისა, რომლებიც სრულიად რუსეთის ფულის ნიშნებს წარმოადგენს და მითითებული თანხის გარდა უზრუნველყოფილია რუსეთის სახელმწიფოს მთელი ქონებით". იუდენიჩი სწორედ ამ ბლეფის საფარით უშვებს მილიარდ ორას მილიონს პეტროგრადის გასანადგურებლად.

— რატომ ბლეფისა? განა კოლჩაკმა ფული არ გადაგზავნა?

— კოლჩაკმა ლონდონში გადაგზავნა მხოლოდ ხუთი მილიონი ოქროთი... უტყუარი ცნობები მაქვს... გესმით, რა მოხდება დღევანდელი შენიშვნის შემდეგ? ინგლისელები იძულებულნი იქნებიან ოფიციალურად და დაუყოვნებლივ უარყონ იგი, თორემ პალატაში ჯოჯოხეთური სკანდალი მოხდება. ისინი იტყვიან, ავანტიურისთვის გარანტია არ მიგვიცია და არც არასდროს გვექნება ეს ზრახვადო. ხუთ მილიონზეც კრინტს არ დასძრავენ და იუდენიჩის ქაღალდის ფული წონით გაიყიდება... ვისია ეს შენიშვნა? ბრწყინვალე სვლაა!.. ვისი ხელი ურევია?.. ეს ან მოსკოვია... ან ვალუტით სპეკულაციაა, და მაშინ ეს მიტკა რუბინშტეინია. თქვენკენ რომ მოვდიოდი, გზად „გრანდ-ოტელში" შევირბინე, ქვემოთ ბარში ჟურნალისტები ხმაურობდნენ, საშინელი ყვირილი იყო. დარწმუნებულნი არიან, რომ შენიშვნა ჩემია... წარმოგიდგენიათ, როგორ მიმიღეს?

ბისტრემი სკამზე დავარდა, მოსწია სუფრას, უბიძგა მაგიდას, დაღვარა რძე და მხიარული სიცილი აუტყდა — ლოყები ულაჟღაჟებდა, თეთრი კბილები უელავდა, მისი სათვალე დილის მზეს ისარკავდა. არდაშევმა ყავა დაუსხა და ბუტერბროდები გაუკეთა. ბისტრემმა აღფრთოვანებულმა დაიწყო ჭამა.

— ბოლშევიკები წინააღმდეგობებზე თამაშობენ... ძირითადად ამაზე ამყარებენ ანგარიშს... ფაქტებზე აგებული დიალექტიკა! დიდებულია!.. წარმოგიდგენიათ — შარადა-თავსატეხები: რეველი, რიგა და ჰელსინგფორსი იღწვიან დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებად იქცნენ. ამიტომ ბოლშევიკების წინააღმდეგნი არიან. მაშასადამე, მათ სჭირდებათ თეთრებს დაეხმარონ. მაგრამ თეთრები საშიშნი არიან — კოლჩაკს ომსკში, იუდენიჩს რეველში და საზონოვს პოლიტიკურ კრებაში პარიზში არაფრით არ სურთ ესტონეთის, ლატვიისა და ფინეთის დამოუკიდებლობის გარანტირება. ფრანგებიც დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიან. მათ უნდათ განუყოფელი ძლიერი რუსეთი — გერმანიის საფრთხე. სამაგიეროდ ინგლისელები რუსეთის დაყოფისა და რიგის, რეველის, ჰელსინგფორსის დამოუკიდებლობის მომხრენი გახლავთ, თუმ-

ცა ეშინიათ ბალტიისპირეთში გერმანელთა გავლენისა; ამიტომ განზრახული აქვთ ხელთ იგდონ კუნძული ეზელი საზღვაო ბაზის შესაქმნელად. მაგრამ მუშათა პარტია პალატაში წინააღმდეგია რუსთა საქმეებში ჩარევისა, — ინგლისელებს ხელები აქვთ შეკრული... გერმანია რიგის, რეველის, ჰელსინგფორსის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, ვინაიდან მაშინ აქ ანტანტის ბაზა იქნება, მაგრამ გერმანია შებორკილია ვერსალის ზავით. სინთეზი: პოლიტიკოსები ჯიქურ ეჯახებიან ამ წინააღმდეგობებს და თამაშს იგებენ.... მომიტევეთ, მე, მგონი, პური მთლად შევჭამე.

არდაშევი ფანჯარაში იყურებოდა.

— მე შარშან გამოვემგზავრე პეტროგრადიდან, — თქვა მან. — მაშინ იქ უსაძაგლესი მდგომარეობა იყო. ვერ წარმომიდგენია, ჯერ კიდევ როგორ ძლებენ.

— პეტროგრადში სულ დაახლოებით შვიდასი ათასი კაცი დარჩა, დანარჩენები გაიფანტნენ. ანდა გაწყდნენ. შიმშილისგან კვდება ყოველი მეთორმეტე... — ბისტრემს თვალები გაუფართოვდა. — არ არის სათბობი. ქალაქში შუქი არაა. ქუჩებში ადამიანების მიერ გამოჭმული ცხენის ლეში გდია... ეს ცნობები კონტრდაზვერვის მეშვეობით მოვიძიე, ერთი ხელიდან წასული კაცი დავათვრე და იმან მითხრა. ორას სამოცი ქარხნიდან ორმოცდაათი მუშაობს. მთელი კვარტალების სახლები ფანჯრებჩალეწილია, ცარიელი, მაღაზიები — ფიცრებით აჭედილი. არ ჩანან გამვლელნი, არ დადიან ტრამვაები. ქალაქი საბრძოლო უბნებადაა დაყოფილი. ძალაუფლება თავდაცვის კომიტეტის ხელშია, ქარხნებს და რაიონებს სამეულები მართავენ. სახლებში ღარიბთა კომიტეტებია. ყველა მუშა საბრძოლველადაა გაწვეული. მუშათა განსაკუთრებული რაზმები ჩხრეკენ ქალაქს, ეძებენ იარაღს და საჭმლის მარაგს. მთელ ცხოვრებას ამოძრავებს ერთი იდეა: გამარჯვება ან სიკვდილი. შიმშილი, გაჭირვება და სიმკაცრე სიდიადედ იქცა. ო!.. ტრაგიკული პეტროგრადი!.. და იგი გაიმარჯვებს!

— ჩემო ძვირფასო, შორიდან ეს ყველაფერი რომანტიკულია, — ხმადაბლა უთხრა არდაშევმა ბისტრემს, — ჰო, კარგი, ვთქვათ, ისინი დაამარცხებენ იუდენიჩს, მის გარდა კიდევ ათ იუდენიჩს დაამარცხებენ, მაგრამ ტერორი ოდესმე დამთავრდება და საჭირო გახდება ჩვეულებრივი ცხოვრების აღდგენა. აი, მაშინ რომანტიზმის სანაცვლოდ მოვა უფერული დღეები მდიდარ ბურჟუასთან ერთად. მარტო იდეებით ქალაქებს ვერ აღადგენ და მოგიწევს ხვეწნა. ევროპა მდიდარია — ნამეტი პროდუქცია აქვს და ახალ ბაზრებს ეძებს. რუსეთი ღატაკია, დანგრეული, მაგრამ უდიდესი ბაზარია, რომელიც ყველას ეყოფა. წელიწადიც არ გავა, რომ მაღალი დონე გადავა დაბალში, ევროპა — რუსეთში და ოცნებებს ბოლო მოეღება. მე მგონია, სწორედ ასე ფიქრობენ ინგლისელები, პოლიტიკოსთა შორის ყველაზე რეალურნი.

ბისტრემი ერთიანად შეიჭმუხნა. იგი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ნიკაპი მოისრისა და თითი ასწია:

— თქვენ მხედველობიდან გრჩებათ, რომ რუსეთში პოლიტიკა და ეკონომიკა მუშათა კლასმა იგდო ხელთ. ეს ჯერ არ მომხდარა ისტორიაში. აქ უნდა გამოჩნდეს შემოქმედების ახალი წყაროები, პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურის ახალი ორგანოები... რა თქმა უნდა, შეიძლება შემომედავოთ: რუსეთში მუშათა კლასი ჯერ კიდევ არაა მზადო... არ ვიცი... შეიძლება ასეთი რამეებისთვის სულაც არაა საჭირო მზადება... იქნება უკეთესიცაა მოუმზა-

დებლობა? ჰა? რუსები ნიჭიერი, რუსები საოცრად მოულოდნელი ხალხია... (კედლის საათის კარიდან გუგული გამოხტა, მხნედ დაიძახა გუ-გუ თერთმეტ-ჯერ. ბისტრემს უცებ გაახსენდა), საშინლად ვიგვიანებ! უნდა გავიქცე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდაშევმა მისი ხელი ხელში შეაყოვნა და ჰკითხა:

— კარგად იცნობთ ვინმე ჰაჯეტ ლაშეს?

— ბნელი კაცია.

— რა მონაცემები გაქვთ?

— ეშმაკმა არ იცის, არავითარი... თუ საჭიროა, ვიშოვი.

— რას აკეთებს აქ?

— ალბათ იმას, რასაც უცხოელთა უმრავლესობა სტოკჰოლმში — ესაა არმიის მომარაგება, სურსათი პეტროგრადისთვის, სპეკულაცია ფონდებით... მოიცათ, მოიცათ... (ბისტრემმა შლაპა გადადო.) მისმა კომპანიონმა, აი, იმან, ქალებითურთ რომ ჩამოვიდა პარიზიდან, გუშინ ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს... რაღაც აფიორას აწყობენ ნავთობთან, დეტერდინგთან დაკავშირებით... კორესპონდენტები მეტისმეტად დაინტერესდნენ, განსაკუთრებით ამერიკელები. ამბობენ, ეს აფიორა საერთაშორისო ურთიერთობებზე მოახდენს გავლენასო... კარგი. ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ.

ბისტრემმა კარი გამოაღო და ჰაჯეტ ლაშეს შეეჩეხა.

— უკაცრავად, ვაკაკუნებდი, მაგრამ გაცხარებით საუბრობდით, — ჰაჯეტ ლაშე ცერემონიულად მიესალმა არდაშევს, ბისტრემს — მეგობრულად დაუქნია თავი, ხელთათმანები არ გაუხდია, ისე დაჯდა, ხელჯოხი მუხლებშუა ჩაიდო.— მე გწერდით, ნიკოლაი პეტროვიჩ, ამით აიხსნება ჩემი აქ შემოჭრა...— მან ღიმილით მიმართა ბისტრემს: — თქვენ წასვლას აპირებდით, მაგრამ ვხედავ, რაღაც გინდათ მკითხოთ, არა?

— რამდენიმე სიტყვა ნავთობზე... — ბისტრემი კართან ჩაჯდა, ცალ მუხლზე შლაპა დაიდო, მეორეზე ბლოკნოტი.

— მომიტევეთ, ინტერვიუს პრინციპულად არ ვაძლევ არავის და არასდროს. ნუ გეწყინებათ, ბისტრემ, საშუალებას მოგცემთ სხვა რამით იშოვოთ ფული... (ბისტრემის ვეება წაღები ყურადღებით გაქვავდა გალიპულ იატაკზე, ასევე გაქვავდა მისი მბზინვარე სათვალე.) თუ პირობას მომცემთ, რომ ჩემს სახელს არ ახსენებთ, მეწვიეთ და ორმოცდაათი კრონის სადირალ ათასგვარ სისულელეს მოგიჩმახავთ... (ჰაჯეტ ლაშემ გაიცინა და არდაშევს მიმართა.) ნავთობი შარშანდელი თოვლივით მაინტერესებს. მაგრამ, ეტყობა, ჟურნალისტებს მე და ჩემი მეგობარი ლევანტი ერთმანეთში აურიეთ და ტელეფონი ჩაწომიგლიჯეს: ეს ბაქოს ნავთიო, „სტანდარტ ოილი" და დეტერდინგიო, დენიკინი და ბოლშევიკებიო... ბატონებო, მე მხოლოდ რომანისტი ვარ, დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ცუდ რომანებს ვწერ, მაგრამ ნება მომეცით ახირებული კაცი ვიყო და ნავთობის შესახებ ჩემი ბინის დიასახლისს ჰკითხოთ.

ბისტრემი წამოდგა, ჩაახველა, ყრუდ თქვა:

— გმადლობთ! — და გამოუმშვიდობებლად წავიდა.

— ასე იძენ კაცი მტრებს, — ჰაჯეტ ლაშემ უიმედოდ ჩაიქნია ხელთათმანიანი ხელი. — ბისტრემი ცუდი ბიჭი როდია, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება ოდესმე გავნაწყენდე. ჟურნალისტები ჩემი წიგნების გარდა ჯიუტად მელაპარაკებიან ყველაფერზე, რაც კი მოეგუნებებათ. (ჰაჯეტ ლაშემ გაიცინა და კბილების ძალუმი თეთრი ხაზი გამოაჩინა.) თქვენთან აი, რა წინადადებით მოვე-

დი ,ნიკოლაი პეტროვიჩ... პიროვნებათა ერთ ჯგუფს „სკანდინავიის ფურცლის" ყიდვის აზრი გაუჩნდა... თქვენ ხომ არ შემოხვიდოდით კომპანიაში? (არდაშევმა სიგარა გადადო და გაყურადდა) საქმე ცუდად მიიმართება. ფული მათ არა აქვთ, მერედა, როგორ გვჭირდება კარგი, კულტურული რუსული გაზეთი... უცხოელთა წინაშე მრცხვენია „სკანდინავიის ფურცლის" გამო. მართლა, უნდა გამოვტყდე. ცოტა არ იყოს ყარს.... მეთანხმებით? (არდაშევმა სწრაფად გაიფიქრა: „ვინ ეშმაკია ეს, სულელია თუ პროვოკატორი?") მე ცოტათი პატრიოტი ვარ. თანაც გაითვალისწინეთ პატივმოყვარეობა. დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა, ნიკოლაი პეტროვიჩ. ღამეები არ მძინავს, ტვინში ჩამეჭედა და სულ მელანდება: ჰაჯეტ ლაშეს სარდაფის ფელეტონი.—თავი რომანიდან, გაგრძელება იქნება... სიტყვამ მოიტანა და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი უკანასკნელი ნაშრომი. (ჰაჯეტ ლაშემ საზიზღარ ნაცრისფერ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნაკი ამოიღო.) პეტროგრადშია დაბეჭდილი. შარშან ,ამფითეატროვს უნდოდა წერილი დაეწერა მასზე, მაგრამ უკვე აღარსად შეიძლებოდა დაბეჭდვა... გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა... მე კარგად ვიცნობ თურქეთს. აქ ყველაფერი ნამდვილ ფაქტებს ეყრდნობა... (ჰაჯეტ ლაშემ წიგნი მაგიდის კიდეზე დადო.) იფიქრეთ ჩემს წინადადებაზე, ნიკოლაი პეტროვიჩ, ქალაქში ცუდ რამეებს ლაპარაკობენ გაზეთის შესახებ... ეს გულს მტკენს. ამბობენ, გაზეთში ყველაფერს ვიღაც ინკოგნიტო პირი ურევსო. თითქოს გამოცემისთვის დაახურდავა მეფის რამდენიმე ბრილიანტი, ხოლო ებრაელებს ჰამბურგში რაღაც გროშებად მიასაღა თითქოს მონომახის ქუდი... არ გსმენიათ? არა?.. უთუოდ ჟურნალისტების ჭორებია... თქვენი სახელიც კი მიაწებეს ამ ამბავს...

არდაშევს მოეჩვენა თუ სინამდვილეში იყო — სტუმრის უწყინარ, ოდნავ მიამიტურ თვალებში უცებ დამცინავი კმაყოფილება გამოკრთა. არდაშევს ზიზღისგან შეაცივა და გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა... მაგიდაზე უხილავი ნამცეცების შექუჩება დაიწყო და ცოტა არ იყოს დახშული ხმით თქვა:

— მომიტევეთ· თქვენი საუბრის მიზანი არ მესმის... გეტყობათ, ცუდად იცით საქმის ვითარება: მე „სკანდინავიის ფურცლის" ერთ-ერთი თანაგამომცემელი გახლავართ... უაღრესად მადლობელი ვარ კრიტიკისთვის, მაგრამ თავს ნებას ვაძლევ მით მეც ვისარგებლო. (არდაშევი სულ უფრო ბრაზდებოდა.) ჩვენი გაზეთი მემარცხენეა, გინდათ ბოლშევიკურად მიიჩნიოთ, მიიჩნიეთ. გსურთ გჯეროდეთ მეფის ბრილიანტებისა და მონომახის ქუდისა — ბატონი ბრძანდებით, არ შემიძლია აზრი შეგიცვალოთ, არცა მაქვს ხალისი ყოველგვარი უხამსობა უარვყო. (ამ წუთში არდაშევს სტუმრისთვის უნდა ეცქირა და არა ნამცეცებისთვის სუფრაზე). ამით, ვფიქრობ, ჩვენი საუბარი დავამთავროთ.

ახლა უნდა ადგე და თავის ცივი დაკვრით გაანადგურო უსიამოვნო სტუმარი... მაგრამ რას უზამ ამ წყეულ ინტელიგენტურ უნდილობას! — არდაშევს თვალები ვერ აეწია, რადგან გრძნობდა, რომ გადაამლაშა და უხეშად ილაპარაკა. მაგრამ იქნებ სტუმარმა უბრალოდ უხეიროდ გამოთქვა თავისი აზრი და ალბათ თვითონაც უაღრესად შემცბარია?

სტუმარი დუმდა. გულის დამამძიმებლად უძრავად იჯდა სკამზე. არდაშევი ხედავდა მხოლოდ მისი ლაქის ფეხსაცმლის წვეტიან ჭვინტებს — მარჯვენა ჭვინტზე ბუზი დააჯდა. ჰაჯეტ ლაშემ წყნარად თქვა:

— მე თქვენ ვერ გამიგეთ, ნიკოლაი პეტროვიჩ... თუ უკმეხად ვილაპარაკე „სკანდინავიის ფურცელზე", ეს მემარცხენეობის გამო არ მიქნია. აქეთ

რომ მოვდიოდი, მართალი გითხრათ, თავს შებოჭილად ვგრძნობდი, თქვენ განზრახული გაამჟღავნეთ. მით უკეთესი, შემიძლია წრფელად ვილაპარაკო, ჩვენ თანამოაზრეები ვართ, ნიკოლაი პეტროვიჩ... (არდაშევმა თვალები ახწია. ჰაჯეტ ლაშე წრიულად შლიდა ხელებს და გულის მომნადირებელი გულითადობით ლაპარაკობდა.) აიღეთ ანატოლ ფრანსი. აშკარად გამოუცხადა თავი ბოლშევიკად. აბა ნამდვილმა კულტურულმა ევროპელმა [illegible] როგორ უნდა უცქიროს დიდებული ტრაგედიის აქტებს. [illegible]ულთაც მის წინაშე რუსეთის რევოლუცია წარმოადგენს? ვილა „საიდში" მე შევესწარი ბუხართან შარლ რაპოპორტთან მოსაუბრე ანატოლ ფრანსს. პირველი ეს მკითხა ფრანსმა: „ჩემო მეგობარო, გინახავთ ლენინი?" მივუგე: დიახ-მეთქი. ფრანსმა ბუხართან დაჯდომა შემომთავაზა: „ამ ცეცხლთან დღეს მხოლოდ გმირულ მოვლენებზე საუბრობენ". მოკლედ რომ ვთქვა, ნიკოლაი პეტროვიჩ, ჩემი უკმეხი გამოხმაურება აი, რითაა გამოწვეული: „სკანდინავიის ფურცელში" დაიბეჭდა შენიშვნა: ინგლისი იუდენიჩის ფულების თავდებიაო. ახლა მჯერა, რომ ეს რედაქციის უბრალო შეცდომაა. შენიშვნა ყვითელია და მიტკა რუბინშტეინმა მოათავსა. იცით, რომ იგი კურსების დაცემაზე თამაშობს?

არდაშევი ისევ ბრაზობდა და დახშული ხმით მიუგო:

— ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს შენიშვნა, იგი სასარგებლოა... დაე რუბინშტეინმა ისპეკულანტოს, მით უკეთესი: იუდენიჩი ნაკლებ ბოროტებას ჩაიდენს გაბერილი ვალუტით.

— ყოჩაღ!.. ეს ბოლშევიკურია... გაზეთი ასე აპირებს იუდენიჩის ფულის განადგურებას? გაბედული სვლაა. ტაშს ვუკრავ. მე მაინც აზრად მექნება გაზეთის ახლოს ყოფნა. მინდოდა იგი სამოქალაქო ომის შემთხვევითობათაგან დამეზღვია... წარმოიდგინეთ, ეცემა პეტროგრადი? იფიქრეთ ჩემს წინადადებაზე. ხელთა მაქვს ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი. ეს უფრო რეალურია, ვიდრე მონომახის ქუდი. ხომ მართალია?

— აქედან არაფერი გამოვა, ჰაჯეტ ლაშე, გაზეთი კერძო პირთა ხარჯით გამოდის, მაგრამ განაგებს სარედაქციო საბჭო.

— ისინი მე უნდა მიცნობდნენ.

— ვინ ისინი?

— სარედაქციო საბჭო.

არდაშევი დაფიქრდა, ტუჩები მოკუმა.

— მომიტევეთ, ჰაჯეტ ლაშე, მე არ შემიძლია კონსპირაციის გამჟღავნება და პატიოსნებას გეფიცებით თვითონაც ერთობ ცოტა რამ ვიცი ამ საიდუმლოებათა შესახებ...

— ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო...

ჰაჯეტ ლაშე წამოდგა, შლაპა აიღო, არდაშევს წარბშეკვრით შეხედა და ცხვირზე ხელჯოხის ბუნიკი მოისვა.

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, ნიკოლაი პეტროვიჩ, ჩემთან ბალ სტანესში ჩამოვიდა ჩემი უგულითადესი მეგობარი, თავადის ცოლი ჩუვაშევა. მას იდეა აქვს შექმნას პატარა კულტურული ცენტრი. ძალიან გთხოვდით, უარი არ გეთქვათ და მობრძანებულიყავით.

არდაშევმა მადლობა მოახსენა, უარის თქმა უხერხული იქნებოდა. სტუმარი შემოსასვლელამდე მიაცილა. იქ ჰაჯეტ ლაშე ფერადმა გრავიურებმა აღაფრთოვანა. ლაპარაკი წამოიწყო გრავიურებზე, წიგნებზე. არდაშევმა ვერ მოით-

მინა, სტუმარი კაბინეტში მიიწვია, რომ ინკუნაბულებით[1] წაეტრაბახებინა: მას პეტროგრადიდან თორმეტი ბრწყინვალედ შენახული ინკუნაბულა ჰქონდა წამოღებული.

— აბა, როგორ ფიქრობთ, რამდენი გადავიხადე?

— მართალი, გითხრათ, თავგზა მერევა.

— აბა, დაახლოებით?... პატიოსან სიტყვას გეუბნებით: ორი წყვილი შარვალი, თივთიკის ქურთუკი და ერთი გირვანქა გამტკიცული პური დამიჯდა... (არდაშევმა თვითკმაყოფილებით წვრილი ხმით გადაიხარხარა) ჯარისკაცს ტომრით მოაქვს წიგნები... მე კარის ჯაჭვი არ ჩამომიხსნია, ისე ვეუბნები, არ მინდა-მეთქი. აილეთ, მოქალაქე ბურჟუა, მესამე დღეა პირში ლუკმა არ ჩამსვლიაო. სახე მართლაც დამშეულისა ჰქონდა... სად მოიპარე-მეთქი, — ვეკითხები. ღმერთმანი, ცარიელ სახლში, სხვენზე ვნახეო.. .და კარის ღრიჭოში აი, ამ წიგნს ჩრის, თვალთ დამიბნელდა, 1451 წელი.. პარიზში სულ ახლახან აუქციონზე გაცილებით ცუდად შენახული ინკუნაბულა ოცდათხუთმეტ ათას ფრანკად გაიყიდა.

— ოჰო-ჰო-ჰო, — გაიმეორა ჰაჯეტ ლაშემ, — რა განძია!

არდაშევმა შარვლის ძეწკვზე ასხმულ გასაღებებში ბრინჯაოს პატარა გასაღები ამოარჩია, ბიურო გახსნა და შუა უჯრა გამოწია:

— ვხედავ, მცოდნე ხართ... — არდაშევმა დიდი ნაცრისფერი საქაღალდე ამოიღო და გახსნა დაუწყო, ფრჩხილით ძლივს ხსნიდა შესაკრავს.

ზურგს უკან მდგომმა ჰაჯეტ ლაშემ დინჯად უთხრა:

— არ გეშინიათ სახლში ძვირფასეულობის შენახვა?

— სეიფში შესანახად არასდროს არაფერს ვაბარებ. თქვენ რა, აკვირდებით, სადა მაქვს შენახული მონომახის ქუდი?

ჰაჯეტ ლაშემ არაფერი უპასუხა. დაჟინებით, უძრავად უცქეროდა თვალებში... როცა სახე შეუტოკდა, არდაშევი მიხვდა, რომ ამ სახის უცნაურობა იყო ზედ აფარებული ცოცხალი ნიღაბი! მეორე ნამდვილი სახე წარბებისა და ყველა კუნთის მოძრაობით თითქოს ნიღბისაგან განთავისუფლებას ცდილობდა... და როცა ამას მიხვდა, კეთილგანწყობილებაც კი იგრძნო ამ უცნაური, ულამაზო და თითქოს ჭკვიანი და დახვეწილი კაცის მიმართ. არდაშევი სტუმართან ერთად საქაღალდესკენ დაიხარა, თან ძეწკვს ატრიალებდა. ჰაჯეტ ლაშემ ერთ-ერთი ფერადი გრავირებული ფურცელი აიღო, მაღლა ასწია და შეატრიალ-შემოატრიალა.

— შემიძლია მოგილოცოთ, ნიკოლაი პეტროვიჩ. ეს ნამდვილი, უიშვიათესი რენარია, საუცხოოდ შენახული. რამდენი გადაიხადეთ?

— ხუთი ჰქა მანანის ბურღული.

— სასაცილო ამბავია!.. ამ გრავიურის მეორე ეგზემპლარი ლორდ ბიკონსფილდის კოლექციაშია. მესამე ბუნებაში არ არსებობს. ანტიკვარებმა იცოდნენ, რომ ეს ფურცელი სადღაც რუსეთში იყო, მაგრამ დაკარგულად მიაჩნდათ. გრავიურა არანაკლებ ორ-ნახევარი ათასი გირვანქა ღირს.

არდაშევი ფრიად ალაფრთოვანა სტუმარმა. წასვლისას ჰაჯეტ ლაშემ გაუმეორა, ბალ სტანესში გვეწვიეთო.

---

[1] ინკუნაბულა — XV საუკუნის პირველი ნაბეჭდი წიგნი.

34

ბალ სტანესში ჰაჯეტ ლაშეს სახლი მარტო იდგა პატარა მდელობზე, ტბის ნაპირას. ირგვლივ ბორცვებზე შემოდგომის სიყვითლემოდებული არყის ტყე გადაჭრელებულიყო, პირქუშ კონუსებად აწვდილიყვნენ ნაძვები, სახლი ძელური იყო, კრამიტის ვეებერთელა, მაღალი სახურავი ჰქონდა. მის მაღალ ფანჯრებში, რომელთა კუთხეებს უსურვაზი შემოხვეოდა, წვრილი მინები ჩაესვათ. ქალაქიდან ავტომობილით აქ მოსვლას სულ ოცი წუთი სჭირდებოდა, მაგრამ ადგილი მიყრუებული, უკაცური გახლდათ.

ჰაჯეტ ლაშე მარტო ცხოვრობდა ქვედა სართულზე. მის ოთახს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, ფანჯრები განაკაფს გაჰყურებდა, სადაც გზატკეცილი გადიოდა. ჩამოსულები გაოცდნენ, რომ სახლი უკაცური და მოუვლელი იყო, არ ჩანდნენ მსახურები — არც ფარეში, არც მზარეული, არც მეეზოვე. ყველგან სიგარისა და თაგვის დაგუბებული სუნი იდგა. ფარდებზე, ავეჯზე მტვერი იდო, ბუხრებში ნაგვის გროვა, ნამწვავები და ცარიელი ბოთლები ეყარა.

როცა ჩემოდნები შემოიტანეს და ავტომობილები გაუშვეს, ლილი რაფაზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. ვერა იურიევნას მუშტები ჟაკეტის ჯიბეებში ჩაეწყო და ოთახიდან ოთახში გადი-გამოდიოდა.

— მისმინეთ, ჰაჯეტ ლაშე, ნუთუ გგონიათ, რომ ამ ფარდულში ვიცხოვრებთ? რა ჯანდაბად დაგვჭირდათ ჩვენი აქ მოყვანა?

— მოვილაპარაკოთ, — უთხრა ჰაჯეტ ლაშემ და რიფსგადაკრულ მტვრიან დივანზე დაჯდა. — ჩამოჯექით, ძვირფასო.

ვერა იურიევნამ წარბები შეარხია და ჯიბეებიდან ხელები არ ამოუღია, ისე გულდაგულ დაჯდა მის გვერდით. აქ, მეორე სართულზე ეგრეთ წოდებული მუსიკალური სალონი იყო. სალონის ფანჯარა ტბას გადაჰყურებდა. კედლები და ჭერი გალაქული ფიჭვით გაეწყოთ. აგურის კერაზე ბეთჰოვენის ნიღაბი ჩანდა; სალონში იდგა როიალი. კედლებზე მრუდედ ეკიდა ჩრდილოეთის მხატვართა სურათები.

— მოვილაპარაკოთ, ვერა იურიევნა.. ზედმეტია იმის ახსნა, რომ აქ გასართობად არ ჩამოუყვანიხართ. სახლიც იმისთვის არაა დაქირავებული, მშვიდად ივარჯიშოთ საზაფხულო და საზამთრო სპორტში. კონსტანტინოპოლის ამბების შემდეგ თქვენ გვარიანად დაისვენეთ სევრში, აქ კი იმუშავებთ.

— იცით, ჰაჯეტ ლაშე, პირუტყვმა რომ კარგად იმუშაოს, კარგად უნდა მოუარონ და სუფთად ჰყავდეთ... ასე, რომ თავიდანვე გიყენებთ მოთხოვნას...

— მოთხოვნას?.. — მუქარით ჰკითხა ჰაჯეტ ლაშემ და თვალებდაბლვერილმა ყურადღებით შეათვალიერა ვერა იურიევნა, თითქოს ზომავს, რაოდენ საშიშია ეს ბნელი არსებაო. — აჰა, აჰა... რომ მოითხოვო, ძალა უნდა გქონდეს.. ვექვობ, თავხედობის გარდა რაიმე მოგვეძევებოდეთ.

ვერა იურიევნა დაფიქრდა და მოხდენილი ღიმილით მიუგო:

— თავხედობის გარდა მტკიცე სიძულვილი და მომწიფებული სურვილი შურისძიებისა.

ჰაჯეტ ლაშე ზიზღით შეიჭმუხნა.

— ცოტაა... არც საშიშია...

— როგორ გითხრათ... ყოველ შემთხვევაში საკმაოდ გულგრილად ვუყურებ ყველაფერს, რაც შემდეგ იქნება, საპატიმროსა და თოკის ჩათვლით.

— შემუქრებით?

— დიახ. აშკარად გემუქრებით.

— მაშასადამე, წინადადებას მაძლევთ ფრთხილად ვიყო?

— ძალზე ფრთხილად...

— არ დაინდობთ თავს, აფექტამდე რომ მიგვიყვანოთ?

— აფექტამდე!.. ვაი! ვაი!.. თქვენს რომანებში ხომ არ ლაპარაკობენ ასე უბედურების მომტანი ქალები?.. (ვერა იურიევნამ თავისას მიაღწია — ლაშემ ბოროტად მოწკურა თვალები.) არალიტერატურულად რომ ვთქვა, შემიძლია საშიში ვიყო, თუ მაიძულებთ, რა ავირჩიო: თქვენს სიბინძურეში ვიცხოვრო თუ საერთოდ არ ვიცხოვრო.

— აზრი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული.

— მიჩუქნია თქვენი უბის წიგნაკისთვის.

დუმილი... ჰაჯეტ ლაშეს თვალები დახრილი აქვს, სახე — დაცინვით დაღრეჯილი. ვერა იურიევნას სანთლის თოჯინასავით გახდომია სახე. გამტვერილ მინას უნიათოდ ეხლება დიდი ბუზი.

— ეწევით, ვერა იურიევნა?

— დიახ.

ჰაჯეტ ლაშემ შარვლის უკანა ჯიბეში ნელა ჩაიყო ხელი, თვალები ასწია და უცებ ისე ჩაიცინა, ყველა კბილი გამოაჩინა. მაგრამ ქალს ძარღვიც არ შეტოკებია. ჰაჯეტ ლაშემ ხელი ჯიბეში შეაყოვნა, ბრტყელი საპაპიროსე ამოიღო და ვერა იურიევნას გაუწოდა.

— როგორც ხედავთ, მხოლოდ და მხოლოდ პორტსიგარია.

— არც მეეჭვებოდა, რომ რევოლვერი არ იქნებოდა.

— აჰა, არ გეეჭვებოდათ?

პაპიროსს მოუკიდეს... ვერა იურიევნამ ფეხი ფეხზე გადაიდო, იგი მუხლზე იდაყვდაყრდნობილი აბოლებდა. ჰაჯეტ ლაშე ალმაცერად უყურებდა... რამდენჯერმე მოქაჩა პაპიროსი.

— ვერა იურიევნა...

— დიახ, გისმენთ.

— ჯერ ერთი, არა მჯერა თქვენი გულგრილობისა, თქვენ ხარბი და კომფორტის მოყვარული ქალი ხართ.

— როგორც იქნა, მიხვდით.

— ამას გარდა, თავისთავად გაქვთ ფსიქოლოგიური ზედნაშენი.

— აი, აქ კი მოიტეხთ კისერს, უხეირო რომანისტო.

— ვაღიარებ, ყველაზე მტკივნეული ადგილი მომიძებნეთ... მაგრამ ცხვარიც ხომ, თუ გაცხარდა... ჰო, კარგი, თქვენ ითხოვთ ბალ სტანესში რიგიანად იცხოვროთ... ხვალ მოვლენ, გადაბერტყავენ მტვერს, სახლს ასე თუ ისე მოვაწესრიგებ, სტოკჰოლმიდან ჩამოვიტან სამზარეულო ჭურჭელს, ღამის ქოთნებს და ასე შემდეგ... მაგრამ მოვილაპარაკოთ უფრო დიდ საკითხზე (ჰაჯეტ ლაშემ წარბები ჩამოსწია, დაკენკილი სახე ჩაუმუქდა). როცა პეტროგრადში თავადის ცოლი ჩუვაშევა იყავით, სერგიევსკაიაზე ცალკე სახლი გქონდათ, ტორტებსა და ანანასებს მიირთმევდით... (ვერა იურიევნამ გაიცინა, ჰაჯეტ ლაშემ დაიქშინა, ნესტოები გაბერა). ანანასებსა და ტორტებს... მაშინ შეიძლებოდა თქვენი საბედისწერო ვნება ერწმუნა და უკანაც კი დაეხია, ვთქვათ, ჩემისთანა მშიშარა კაცს... ახლა კი... ბოდიში ნატურალიზმისათვის, — სახლიდან

პერანგის ამარა გამოგაბუნძულეს თუ არა მეზღვაურთა ბუნაგებში წანწალი დაიწყეთ თუ არა, თქვენ, ფსიქოლოგიური ზედნაშენის მქონე, ნატიფი ქალი, ყველაზე უკანასკნელი უნამუსო აღმოჩნდით...

— მარჯვედაა ნასროლი! — ხმამაღლა, მხიარულად თქვა ვერა იურიევნამ.

— მესმის, თქვენს ფსიქოლოგიურ აქტივში ჩაითვალეთ კონსტანტინეპოლის შემთხვევა... (ვერა იურიევნამ წარბები ასწია, ნეკის ვარდისფერი ფრჩხილით ფერფლი მოაცილა პაპიროსს.) აი, თვითონაც აღიარებთ, რომ კონსტანტინოპოლის შემთხვევა ,ასე ვთქვათ, თქვენი განურიდებელი ილუზიების ბიძგის შედეგად მოხდა. ახლა კი მას უკვე აღარ გაიმეორებთ...

— დიახ! — თქვა ვერა იურიევნამ მტკიცედ. — აღარ გავიმეორებ... მე ათასი წლით უფრო ახალგაზრდა ვიყავი. იცით, ჰაჯეტ ლაშე, გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემი თავი აი, ის კონსტანტინოპოლელი მეძავი მიყვარს... საბოლოო ანგარიშით განა სულ ერთი არაა: გიჟური ტანჯვა და გიჟური ბედნიერება... ჩვენ მხოლოდ ჩვენი ვნებანი გვიყვარს. ქალებს უყვართ ტკივილი. სამაგიეროდ ძრწოლას ჰგვრით მკვდარი გული. თუ აღმითქვამენ, სიკვდილით დასჯის წინ მშვენიერი მღელვარების წუთს განგაცდევინებთო, დღე და ღამე ვიფიქრებ ამ წუთზე და მას, რა თქმა უნდა, მთელ სიცოცხლეს ვამჯობინებ. აი, როგორც მწერალი...

ვერა იურიევნას სახე გაუვარდისფერდა, ხმა უკანკალებდა, მაგრამ წვეტიანი იდაყვი ისევ ისე მუხლზე ჰქონდა დაყრდნობილი, მხოლოდ მთლიანად წინ გადმოწეულიყო რაღაცნაირი გატაცებით. ჰაჯეტ ლაშე ათვალიერებდა — საინტერესო დიაციაო! ვერა იურიევნას მართლაც ვერ იცნობდი კონსტანტინოპოლის შემთხვევის შემდეგ, როცა ჰაჯეტ ლაშემ ჭკუიდან გადასული, საშინელი და გაშმაგებული პოლიციას გამოსტაცა და ლევანტს ჩააბარა. მას შემდეგ პირველად ლაპარაკობდნენ „გულახდილად". ისე ჩანდა, თითქოს ჰაჯეტ ლაშე ახლავე მოუღებდა ბოლოს ვერა იურიევნას ჭირვეულობას, მაგრამ იგი უფრო რთული პიროვნება აღმოჩნდა, ვიდრე ჰაჯეტ ლაშე მოელოდა. თუმცა ეს უფრო უკეთესი იყო საქმისთვის, ოღონდაც ჰაჯეტ ლაშეს ლაგამი უნდა ამოედო ქალისთვის. ჰაჯეტ ლაშე ფრთხილად აკვირდებოდა მისი აზრების მდინარებას.

— თქვენ, ჰაჯეტ ლაშე, მე მგონია, ფსიქოლოგიური ზედნაშენითურთ გაიღვიძეთ... ადამიანები, რომლებიც მართლა რომ ძაღლივით ხოხავენ ლუკმაპურისთვის, ბუნებაში არ არსებობენ, ჩემო კარგო... თქვენს ლაქის ფეხსაცმელებთან ვნებათა ისეთი რთული სამყარო მოხოხდება, ისეთი ჩახშობილი სიძულვილი, თუ მას ჩასწვდებით, შეძრწუნებისგან სული შეგიგუბდებათ... თქვენ უდიდეს შეცდომას სჩადიხართ: თქვენისთანა პროფესიული აფერისტი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგი უნდა იყოს, მით უფრო თქვენისთანა ორგვარი პროფესიის პატრონი. (ვერა იურიევნამ მეგობრულად სახედამანჭულმა დაუკრა თავი.) ასე რომ, სერგიევსკაიაზე მდებარე სახლში მე გაუშლელი კოკორი ვიყავი. უსაქმურობა, ფუფუნება, სიმშვიდე, არა ვნებები ,არამედ ლიტინი და ილუზიის ნისლი... ფსიქოლოგიური ზედნაშენი კი უკვე კონსტანტინეპოლის შემდეგ გაჩნდა... და ამ ტვირთისგან სიამოვნებით განვთავისუფლდებოდი სიტყვამ მოიტანა და რისთვის დაგჭირდათ ბუნაგიდან ჩემი გამოთრევა, პოლიციისგან ხსნა? რაო, შესაფერის საქონელს ეძებდით?

— ნაწილობრივ შესაფერის საქონელს ვეძებდი, ნაწილობრივ — შთაგონებას: თქვენი თვალები მომეწონა.

— თვალები, — დაფიქრებით გაიმეორა ვერა იურიევნამ. — დიახ, თვალები... ბევრის გახსენება არ შემიძლია... მეხსიერება დავკარგე, თითქოს წუთწუთობით ვბრმავდებოდი...

— ყოველთვის ასეა პირველად. საიდან გაგიჩნდათ მაშინ დანა?

— ერთმა მეზღვაურმა მაჩუქა... მაშინ ყველაფერი სწორედ დანიდან დაიწყო... აჰ, რა სისულელეა! (ვერა იურიევნას სწორი ზურგი შეუტოკდა).

— ახლა უკეთ ხართ შეიარაღებული?

— ო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

— მაინც როგორ მოხდა ეს, რატომ მაინცდამაინც ეს ბერძენი აირჩიეთ? გაძარცვა გინდოდათ თუ?

— არ ვიცი... არა... უბრალოდ სხვებზე უფრო საზიზღარი აღმოჩნდა... სულ რაღაცას იძალებოდა, რაღაც უკანასკნელ სისაძაგლეს... ალბათ მრავალსიტყვაობისთვის ავირჩიე, ჟესტიკულაციისთვის, ცხვრის ქონის რაღაც სიმყრალისთვის... როცა დაიძინა, გესმით, ბედნიერი ცხვარივით, მაშინვე მიბიძგა...

— ცხვარივით გამოღადრეთ ყელი!.. (ვერა იურიევნამ თავი დახარა, მუხლიდან ხელი ჩამოუვარდა.) კიდევ ერთი დეტალი, ვერა იურიევნა; ალბათ არ გახსოვთ: ეს რომ გააკეთეთ, უკან დაწევა დაიწყეთ და გაყინულ ხელებს გამუდმებით არარსებულ ჯიბეებში იყოფდით თითქოს, სინამდვილეში კი დედიშობილა იყავით. (ვერა იურიევნა მსწრაფლ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა.) მე კედლის მიღმა დარხეულ ბგერებზე მივხვდი, რომ საშიში ამბავი ტრიალებდა... ხალიჩა ავწიე, შემოვიხედე, შემდეგ სულაც შემოვედი და განცვიფრდი: თვალები! დიახ, დასანანია, რომ მხატვარი არა ვარ... გახსოვთ, როგორ გიბრძანე, ჩაიცვით-მეთქი? სხვათა შორის პოლიცია ახლაც გეძებთ როზა გერშელმანის გვარ-სახელით...

ვერა იურიევნა უძრავად იდგა ფანჯარასთან, გაძგიბული, ნაზი, მხრებგანიერი... ჰაჯეტ ლაშემ მხოლოდ ქვედაკაბის მოძრაობაზე შეატყო, რომ ფეხები უკანკალებდა.

— თუმცა იმხანად გარკვეული გეგმები არ მქონდა, თქვენ თვითონ იყავით უკვე გეგმა, ძვირფასი შემთხვევა. ადამიანთან სისხლით დაკავშირება რთული საქმეა — დიდ ფულს იხდიან ასეთი თანამშრომლისთვის... ახლა, როცა გეგმები მომწიფდა, დამეთანხმეთ, სისულელეა არ შევთანხმდეთ. ვაღიარებ, დასაწყისი ფაქიზი არ ყოფილა. ჰო, კარგი, თქვენ თქვენი პირობები წამოაყენეთ, მე ჩემსას წამოვაყენებ. მაგრამ საქმე უკვე ბრმად და ფსიქოლოგიის გარეშე უნდა აკეთოთ. კარგი? ჰა? ფეხები გიკანკალებთ? აჰ-აჰ! ერთმა სამხედრომ ასეთი რამ მიამბო: ერთხელ, დილას, ფრონტზე, პირს იპარსავს თურმე, ჯარისკაცებს ებრაელი მოჰყავთ, ჯაშუში დაეჭირათ... ბრძანა ჩამოეხრჩოთ, თვითონ კი ახლა მეორე ლოყას იპარსავს, იყურება ფანჯარაში, ებრაელი ჰკიდია, ქვაბქუდა ახურავს, ფეხები გრძელზე გრძელი აქვს... ჩვეულებრივი ამბავია?.. არც ისე, რამდენი დრო გავიდა უკვე... და როგორც კი პარსვას დაიწყებს, ებრაელს ისევ ხედავს ჩამოკიდებულს, საოცარი ნაღველი ეუფლება, და ვერაფრით ვერ ეხსნება ამ მოგონებას... ისე კი თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი კაცია...

ვერა იურიევნა დივანთან დაბრუნდა, პორტსიგარიდან პაპიროსი ამოიღო.

— უხეირო მაგალითია... საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ მოჰყევით... (ვერა იურიევნამ ასანთს გაჰკრა.) სისხლით კავშირი უხამსზე უხამსი ბულვარულობაა... კონსტანტინოპოლის მოგონებებმა ამაღელვა, მაგრამ — გახსოვდეთ! — უკანასკნელად... თქვენ კი, ჰაჯეტ ლაშე... (ვერა იურიევნამ პაპიროსს მოუკიდა.) უბრალოდ არ მომწონხართ, არც როგორც კაცი და არც როგორც თანამოსაუბრე. ალბათ ლამაზ ქალებთან საქმე არ გქონიათ... მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს... ჩემი მოთხოვნებია: კომფორტი, უკონტროლო თავისუფლება და არავითარი ურთიერთობა ჩვენ შორის, საქმიანი ურთიერთობის გარდა... მე ერთგული ვარ, კარგი ამხანაგი ვარ, ჩემი ჰო, ჰო არის... თქვით თქვენი მოთხოვნები.

— ვერა იურიევნა, ჯერ ერთი, რასაც ვიტყვი, საიდუმლოა, ლევანტმაც კი არ უნდა იცოდეს.

— კარგი.

ჰაჯეტ ლაშემ ქვემოთ ხმებს მიაყურადა, ოთახი ფეხაკრეფით გაიარა და კარი დახურა...

## 35

მარი, ლილი და ნალიმოვი ისევ ქვევით, სასადილოში ისხდნენ გაუხსნელ ჩემოდნებს შორის. აქ იგივე ხელმიუწვდომლობა იგრძნობოდა. ფანჯრები ბუზებს დაესვარათ, ჩანდა აბლაბუდები. სუფრაგადაუფარებელ მაგიდაზე ჭუჭყიანი ჭიქები, ცარიელი ბოთლები იდგა, ქაღალდებზე საჭმლის ნარჩენები ეყარა. ზემოთ გაურკვევლად გუგუნებდა ჰაჯეტ ლაშეს ხმა... ირგვლივ მოწყენილობა სუფევდა; აქ უფრო უარესი იყო, ვიდრე დანგრეულ ვაგზალში ევაკუაციის მოლოდინია.

— მაგიდასთან ხუთი სკამია, ზედ ხუთი სირჩა დევს, ეტყობა, აქ საქმიანი სხდომა იყო, — თქვა ნალიმოვმა. — ნამეტანი ბევრი ნამწვია... ჩემო კარგებო, ჩანს, აქ ბუნაგია.

ლილი ისევ ასლუკუნდა. მარის ლამაზი წარბების ბოლოები ვერტიკალურ ნაოჭს აჰყვა მაღლა.

— ჩვენ ლოგიკურად ბანდიტიზმს უნდა ვეზიაროთ... ყოველი იდეა, ძვირფასებო, თავის ზნეობას ქმნის. წმინდა საკუთრება, პატიოსნება, პიროვნების ხელშეუხებლობა ქვემეხებით დავლიჯეს. ძირიან-ფესვიანად გაძარცული ბურჟუა რევოლუციაზე ბღავის. ვერსალის ზავმა მასობრივი, ზეპროცენტული, გრანდიოზული, საცათამბჯენო ძარცვა დააკანონა... ტრამვაიში საფულეს აწაპნა ცუდია მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვერსალში არაა გათვალისწინებული. მაგრამ თუ ერთბაშად აწაპნი სამოცდათხუთმეტ მილიონ საფულეს, რომელთაგან თითოეულში სამი ათასი დოლარია, ეს უკვე ქურდობა კი არა, რეპარაციაა... დიდი ციფრები ახალი ზნეობის პირველი კანონია. ამ შემთხვევაში ვიმედოვნებ, ჩვენი მეგობარი ჰაჯეტ ლაშე საქმეს უფრო ფართო გასაქანს აძლევს, ვერსალის პოლიტიკასთან თანხმობით, და ბალ სტანესში სინდისს წვრილმანების გულისთვის არ შეიბღალავენ.

ჩემოდანზე ჩამომჯდარი ნალიმოვი აბოლებდა და სხვადასხვა ფილოსოფიურ თეორიას ავითარებდა. ქალები არ უსმენდნენ. ბოლოს ზემოთ ხმები მიწყ-

და. ნალიმოვს სიტყვა პირზე შეაშრა. გაჯახუნდა კარი. გაისმა გაუბედავი ნაბიჯების ხმა. შემოვიდა ვერა იურიევნა და ულონოდ დაჯდა მაგიდასთან.

— ლაშე წავიდა, რათა ტელეფონით გამოიძახოს მანქანა. იგი ქალაქში წავა და ქალებს ჩამოიყვანს სახლის დასალაგებლად. ვახშამი ცხელი იქნება...

მარი ვერა იურიევნას უცქეროდა.

— რაზე ლაპარაკობდით?— ჰკითხა მკვახედ. — რატომ მოგლრეცია სახე?

ვერა იურიევნამ არაფერი უპასუხა, ხელისგული აიფარა თვალებზე. სამივე მის სუსტ, გამხდარ ხელს უყურებდა, მაჯასთან რომ მაგრად შემოჭეროდა შავი სახელო. ლილი ასლუკუნდა, ვერა იურიევნას ეცა და მთელი ძალით მოხვია ხელები:

— რა მოხდა, რა მოხდა?..

ვერა იურიევნა წამოდგა, მხრები ასწია, ისევ დაბლა დაუშვა, თვალები მაგრად დახუჭა, მათ ხელი მოაცილა და თქვა:

— აი, რა, ვასილი ალექსეევიჩ, წადით რა აქედან. ლევანტი ამ დღეებში დაბრუნდება პარიზში. თქვენ მასთან ერთად წახვალთ... (უცებ გაბრაზებით გააქნია თავი.) არ მინდა აქ იყოთ... არ მინდა თქვენი ხუმრობანი.. სულ ხუმრობთ! ხუმრობით კი ვერაფერს დამალავ.. სიმხდალეა! უხამსობა! დაე, ღამე იყოს, წყვდიადი იყოს, საშინელება იყოს, ტრაგედია იყოს... (შემდეგ უცნაური, არაბუნებრივი ხმით განაგრძო). დაე, ყინულოვანი ღამე იყოს, უიმედობა... ჯანდაბას ხუმრობანი!..

ვერა იურიევნამ თავი დახარა. ყველა მას უცქეროდა. ლილის შიშისგან კბილების კაწკაწი აუვარდა.

— იგი მოგელაპარაკებათ, თითოეულს ცალ-ცალკე, — უხეშად თქვა ვერა იურიევნამ. — ბოლოს და ბოლოს შეგიძლიათ გაიგოთ თუ არა, რომ ისტერიკა მჭირს!..

ვერა იურიევნა მაგიდას დაემხო ხელებში სახეჩარგული, შემდეგ ხელები თმაზე იტაცა, ტეროფები შიგნით შემოუტრიალდა. ლილი ფრთხილად მოშორდა, მარიმ ასანთს გაჰკრა, მაგრამ პაპიროსისთვის არ მოუკიდებია და ასანთის ღერი თითებში შემოეწვა. ნალიმოვი კონიაკის ბოთლს მთელი ძალით აძრობდა საცობს და ვერ მოაძრო, შემდეგ ბოთლი დადგა, ფეხაკრეფით გავიდა სამზარეულოში და ჭიქა წყალი შემოიტანა:

— მოსვი, ვერა...

ვერა იურიევნამ იდაყვით მოიშორა ჭიქა.

— მორევის ფსკერისკენ მივქრივართ... რაღაც ღამეული ჩრდილები ვართ!.. განა ჩვენ ვცხოვრობთ? მხოლოდ ადამიანის ქვითინი ისმის, თვით ადამიანი კი დიდი ხანია აღარ არსებობს... ემიგრანტები, ჩენჩი! ლაშემ მითხრა —აქ იმისთვის ვართ, ბოლშევიკებს ტერორით ვებრძოლოთო (მარიამ წყნარად დაუსტვინა). თქვენ გინდოდათ პარიზში მსხდარიყავით, გეცადათ, მოკავშირეები როდის აიღებდნენ პეტროგრადს, და მზამზარეულზე დაბრუნებულიყავით უკან, მოკავშირე სახელმწიფოები კი თვით რუსებს სთავაზობენ ავანგარდში ყოფნასო... ავანგარდია: ლილკა, მარი, ვასია!.. ჩვენ უნდა ვიჯაშუშოთ, პროვოკაციები მოვაწყოთ. მოვიტყუოთ, მოვწამლოთ, დავახრჩოთ, ვისაც გვიჩვენებენ... ლაპარაკობდა დიდ თეთრ იდეაზე!.. რკინის ავანგარდია: სამი მეძავი და მთლად გალოთებული კურო... მაგრამ არა უშავს, ჩვენ უკან დგანან მოკავშირეები, დიდი ცივილიზაციები... ჩვენ ბინძურ სამუშაოზე გვგზავნიან. თურ-

მე სამივე ქალი ჩამოსვლის პირველ დღესვე ჩაგვრიცხეს „რუსეთის იმპერიის აღდგენის ბრძოლის ლიგაში"... ხვალ ფიცს ვდებთ... ფიცის დარღვევა, ლიგიდან გასვლა სიკვდილით ისჯება... ვასილი ალექსეევიჩ, გთხოვ, დღესვე წავიდეთ აქედან...

ვასილი ალექსეევიჩს მონაცრისფერო მღვრიე თვალები შეეპყრო ვერა იურიევნასთვის. სამხედროსავით ხელებჩამოშვებული იდგა. ძალზე სერიოზული ჩანდა, მედიდურიც კი.

— არავითარ შემთხვევაში ლიგაში არ ჩავეწერები, ვერა იურიევნა, სხვა რამის გამო კი არა, იმიტომ, რომ არ მსურს თუნდაც თმის ბეწვი გავიღო ევროპული ცივილიზაციისთვის. არც ბოლშევიკებს შევებრძოლები, ბოლშევიკების მეშინია. მოვა დრო, როცა მათ ვერც ერთ კუნძულზე ვერ დაემალები და ეს უფრო მალე მოხდება, ვიდრე ჰგონიათ. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად ჩალ სტანესიდან არ წავალ, ვერა იურიევნა, არამც და არამც...

## 36

— ...დღევანდელ სხდომას ლიგის წევრების გარდა ესწრებიან პატივცემული სტუმრები, აგრეთვე ლიგის წევრობის კანდიდატები... ნება მომეცით გამოვაცხადო დღის წესრიგი... პირველი: კანდიდატების მიერ ფიცის დადება. მეორე: ამერიკის შეერთებული შტატების სტოკჰოლმელი ატაშესადმი გენერალ სმეტანიკოვის მიერ მოწერილი წერილის წაკითხვა. მესამე: მიმდინარე საკითხები და მუშაობის შემდგომი გეგმა...

ჰაჯეტ ლაშემ კუს ბაკნის პენსნე მოიძრო და სხდომას მოავლო თვალი. გენერალ-მაიორ გისერის ბინაში გაშლილ სასადილო მაგიდას ჩვიდმეტი კაცი უჯდა. თავმჯდომარე ლაშეს მარჯვნივ გრაფი დე მერსი ფანქარს ათამაშებდა. მარცხნივ, თითქოს აქ არც იმყოფებოდა, ისე იჯდა აშშ-ს ატაშეს ადიუტანტი,— პატარა, გამხმარი, ცხვირწაწვეტებული ამერიკელი. პირდაპირ გაქონილი მელოტი უბზინავდა ფაშვიან, სახეგაბანჯგვლულ გენერალ-მაიორ გისერს. თვრამეტ წელს რსფსრ-ს სამხედრო კომისარიატმა რატომღაც ირწმუნა გისერის ოფიცრული პატიოსნება და სამხედრო აგენტად გამოუშვა შვეციაში; ერთხანს იგი სტოკჰოლმიდან პიტერში კურიერის მეშვეობით გაზეთების ამონაჭრების დასტებს აგზავნიდა, ვიდრე თავისთან ცოლი, ვაჟი და ქალიშვილი არ ჩამოიყვანა. ამის შემდეგ თავისი ზნეობრივი მოვალეობანი ამოწურულად მიიჩნია. ახლა კი ფული სჭირდებოდა ძალიან.

აქეთ-იქით ისხდნენ: წითურწვერიანი ეტინგერი, ტანადი, ცხვირაპრეხილი, მთელ ლოყაზე ნაიარევდაჩნეული პორუჩიკი ბიტენბინდერი და ქალისებრ ნაზი, მოხდენილი, შუბლზე მელოტშეპარული ლეიტენანტი იზვოლსკი. მაგიდის ერთ ბოლოში ღია ფანჯარასთან ოთხი ახოვანი ლოყებღაჟღაჟა შვედი ოფიცერი იჯდა, მეორეში — დანიელი კომერსანტი ვოლდემარ ლარსენი, ალექსანდრ ლევანტი და სამი ქალი —ვერა, მარი და ლილი. ნალიმოვი გვერდულად იჯდა სკამზე მათ უკან.

— ბატონებო, ლიგის შემქმნელი და მისი საპატიო თავმჯდომარე გენერალი სმეტანიკოვი ამჟამად რუსეთშია, სადაც სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად მუშაობს შიგნიდან საბრძოლველი ძალების შესავსებად. მე დავალე-

ბული მაქვს პერიფერიებში წარემართო ლიგის მუშაობა. გნებავთ, მე თავმჯდომარის მოადგილედ მიმიჩნიოთ? (ბიტენბინდერის ხმა: „გთხოვთ, გთხოვთ!..“ რამდენიმეჯერ გაისმა ტაში...) გმადლობთ პატივისათვის. ბატონებო, წინადადება შემომაქვს სხდომა გახსნილად ჩაითვალოს. შევუდგეთ ფიცის დადებას.

ჰაჯეტ ლაშე მაგიდაზე იზვოლსკისკენ გადაიხარა და მას თვალებით ანიშნა ოთახის კუთხეზე. იქ პატარა მრგვალ მაგიდაზე პლუშის ჩარჩოში ჩასმული, კრეპგადაფარებული, წიწვით და ცოცხალი ყვავილებით შემკული პორტრეტი იდგა. იზვოლსკი და პორუჩიკი ბიტენბინდერი სამხედროსავით მარდად წამოხტნენ, პორტრეტიანი მაგიდა შუა ოთახში გამოიტანეს და ყოჩაღად დაუდგნენ აქეთ-იქიდან.

ლაშემ ისევ გაიკეთა პენსნე, ფურცელი ამოიღო, პენსნეს მინების ზემოდან გადმოხედა ქალებს და წინადადება მისცა მათ მრგვალ მაგიდასთან მისულიყვნენ. ვერა — პირქუშად, ლილი — დაბნეულად, მარი — შემწყნარებლური ჩაცინებით წამოდგნენ და პორტრეტის წინ გაჩერდნენ. ლიგის წევრებიც წამოიშალნენ. უცხოელებმა რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს და არ წამომდგარან.

— რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის ბრძოლის წმინდა ლიგაში შემსვლელნო: თავადის ცოლო ვერა იურიევნა ჩუვაშევა, ელიზავეტა ნიკოლაევნა სტეპანოვა, მხეცურად ნაწამები გენერალ-მაიორ ნიკოლაი ალექსეევიჩ სტეპანოვის ქალიშვილო, და მარია მიხაილოვნა ლეშჩენკო, ქალიშვილობის გვარის მიხედვით სკოროპადსკაია, ჩემს კვალად გაიმეორეთ ფიცის სიტყვები... გახსოვდეთ, რომ ამ სამგლოვიარო კრეპის — ჩვენი სამშობლოს ხსნისა და სიდიადის სიმბოლოს წინაშე... — ლაშემ პენსნე გაისწორა და მკაფიო, საზეიმო ხმით დაიწყო ქაღალდის კითხვა: „მე წავიკითხე და მოვიწონე ხელმოსაწერად შემოთავაზებული ფიცის ტექსტი. სრულიად შეგნებული მაქვს, რა პასუხისმგებლობა მაკისრია მისი გატეხვისათვის და ამ შეგნებით მოვაწერე ხელი. მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ფიქრებით, სიხარულით შევდივარ სამხედრო ყაიდაზე შექმნილ ჯგუფში და ვფიცავ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვემსახურო სამშობლოს, არ ვიფიქრო ჯილდოზე ან პირად უპირატესობებზე. წმინდა საქმის ნებით ან უნებლიე ღალატისათვის სიკვდილს ვუსჯი თავს...“

ვერა იურიევნამ, ელიზავეტა ნიკოლაევნამ და მარია მიხაილოვნამ ლაშეს კვალად გაიმეორეს ფიცის სიტყვები. პორუჩიკი ბიტენბინდერი სწრაფად დაიხარა და კრეპის ლენტის ბოლო ასწია:

— ეამბორეთ, ქალბატონებო...

ფიცი მიიღეს. ქალები მაგიდასთან დაბრუნდნენ. ლიგის წევრები დასხდნენ. ლაშემ თავაზიანი ღიმილით მიმართა ნალიმოვს:

— ჩვენ არავის ვაიძულებთ ლიგაში შემოსვლას. სამშობლოს ხსნის საქმე სინდისის საქმეა, მაგრამ ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ თქვენ — პატრიოტს, აზნაურს, საიმპერატორო გვარდიის ოფიცერს, ჩვენი მხურვალე სურვილი — პოდპოლკოვნიკი ნალიმოვი, ვერცხლის ასეულის მეთაური ჩვენ შორის ვიხილოთ...

ვერა იურიევნამ სკამის ზურგს უკან ნალიმოვს ხელზე ხელი სტაცა. ნალიმოვმა მოწითალო, გაურკვევლად მოღიმარი სახე რამდენჯერმე დაუქნია თავმჯდომარეს...

ჰაჯეტ ლაშე მოიღუშა. ლევანტი აჩქარებით მივიდა მასთან და ყურში რა-

ლაც უჩურჩულა. გენერალი გისერი და ბიტენბინდერი მუქარით იყურებოდნენ აქეთ-იქით. ლაშემ თავის დაქნევით გაუშვა ლევანტი.

— ბატონებო, პოდპოლკოვნიკი ნალიმოვი ჩვენი მეგობარია. მისმა ყოყმანმა ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნას, თითქოს არ ვენდობით. იმედი ვიქონიოთ, რომ ყოყმანი მალე გაუქრება და ჩვენ ძმურად [illegible] ახალ თანაწევრს. ახლა ნება მომეცით, წაგიკითხოთ გენერალ სმეტანიკოვის წერილი, რომელსაც ჩემი ნდობით ხელს აწერს აგრეთვე გენერალი გისერი, ლეიტენანტი იზვოლსკი და ლიგის სტოკჰოლმის განყოფილების მდივანი პორუჩიკი ბიტენბინდერი...

ჰაჯეტ ლაშემ პორტფელიდან მკვრივი ქაღალდის ფურცლები ამოიღო, მოწიწებით გაშალა, პენსნეს ზემოდან სუნთქვაშეკრულმა შეხედა ძაძით მოსილ პორტრეტს და კითხვა დაიწყო, თან წინადადებას წინადადებაზე თარგმნიდა ფრანგულად (ამ დროს გრაფ დე მერსის უკრავდა თავს) და ინგლისურად (ამ შემთხვევაში თავს ამერიკის ატაშეს ადიუტანტს უკრავდა):

— „სტოკჰოლმი. აშშ-ს ბატონ ატაშეს. მოწყალეო ხელმწიფევ, რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს ბოლშევიკების წინააღმდეგ მოკავშირეთა დაუყოვნებლივ სამხედრო დახმარებას. ვინაიდან უკანასკნელ თვეებში საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში გაზეთებმა ლაშქრობა წამოიწყეს ჩარევის წინააღმდეგ. უკიდურესად აუცილებელია დოკუმენტურად გაშუქდეს ბოლშევიკების მოქმედების პოლიტიკური ხასიათი და უკანონობა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საშუალება გვქონდეს ზემოთ მოხსენიებული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს ამ ცრუსოციალისტების ბოროტმოქმედებათა დამადასტურებელი რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი წარვუდგინოთ...“

გრაფმა დე მერსიმ და აშშ-ს სამხედრო ატაშეს ადიუტანტმა ერთმანეთს გადახედეს. ლაშე განაგრძობდა:

— „უკანასკნელ თვეებში სტოკჰოლმი წარმოადგენდა ცენტრს, სადაც შემოდიოდა ბოლშევიკების ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, აგრეთვე უდიდესი ფასეულობა. ას ოცდაშვიდი მილიონი მანეთი რუსული ქაღალდის ფული, ორი მილიონი ამერიკული დოლარი, ორასი ათასი ინგლისური გირვანქა და ოთხი მილიონი ფრანკი. ჩვენთვის სავსებით ცნობილია, რომ სტოკჰოლმში პეტროგრადიდან ჩამოტანილია რომანოვების ოჯახის პირადი ძვირფასეულობა— იმპერატორის გვირგვინი, სამეფო სფერო და კვერთხი, მსოფლიო მნიშვნელობის ბრილიანტებით მოოჭვილნი, მონომახის ქუდი, ოთხას კარატიანი ბრილიანტი „გრაფი ორლოვი“, რამდენიმე ათეული ფუთი მარგალიტი და ყარყუმის მოსასხამი...“

აქ ჰაჯეტ ლაშე წამით შეჩერდა, რომ მისი ცნობებით მიღებული შთაბეჭდილება დამსწრეთ უფრო ღრმად ჩასწვდომოდა სულში... მართლაც ლიგის წევრებს თვალები უელავდათ...

— „ზემოხსენებულ დოკუმენტებს და ფასეულობებს ბოლშევიკები სტოკჰოლმში სამ კერძო ბინაში ინახავენ. ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ამ ბინების ადგილსამყოფელი, — განაგრძობდა ჰაჯეტ ლაშე, — პოლკოვნიკი მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშე, რომელმაც ბოლშევიკების გაუგონარი ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა გადაიტანა და რკინისებური ნებისყოფისა და ენერგიის კაცია, გვთავაზობს ბოლშევიკების ყველა დოკუმენტისა და ფასეულობის პოვნას. იგი მზადაა მთელი პასუხისმგებლობა იკისროს თუნდაც საჯარო სასამართლოს წინაშე.

აქვს საკუთარი ორგანიზაცია —ლიგის სტოკჰოლმის განყოფილება — შემდგარი მამაცი და სრულიად საიმედო ადამიანთაგან, რომლებთან ერთად განზრახული აქვს ეწვიოს ზემოხსენებულ ბინებს და ბოლშევიკებს ჩამოართვას მთელი სახსარი მოსყიდვისა და დანაშაულებრივი პროპაგანდისა".

ოთხმა შვედმა ოფიცერმა თავი თავს მიუახლოვა და ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს. გრაფ დე მერსის შუბლი ჰორიზონტალური ნაოჭებით დაელარა, იგი ფანჭრის წვერს ათვალიერებდა. ამერიკელმა მაგრად მოკუმა ტუჩები.

— „ბოლშევიკური პროპაგანდა ძირს უთხრის მთელი მსოფლიოს სოციალურ წყობას. ნახევარ მილიარდად ღირებულ ფასეულობათა დაკარგვა და დოკუმენტების უკლებლად გამოქვეყნება ბოლშევიკებისთვის უფრო დიდი დარტყმა იქნებოდა, ვიდრე თუნდაც სამხედრო დამსჯელი ექსპედიცია; ეს ყველა ქვეყანას დაეხმარებოდა თავი აერიდებინა უდიდესი ხარჯებისა და სისხლის ღვრისათვის. პოლკოვნიკი მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშე ზემოხსენებულ საქმეზე შვეციის ხელისუფლებას დაუკავშირდა. ხელისუფლებამ აღუთქვა, რომ ბინებში მის შესვლას არავითარი გართულება არ მოჰყვება. ოღონდ შვეციას, როგორც ნეიტრალურ ქვეყანას, თვითონ არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ქონების ჩამორთმევის გეგმის განხორციელებაში. ამ გეგმის განხორციელებას ლიგა მთლიანად თვითონ კისრულობს. ამასთან გვსურს სრულიად ნათლად დავადგინოთ, რომ ჩამორთმევის შემდეგ დოკუმენტები მოხვდეს ამერიკის მისიის ხელთ და ამერიკის, როგორც მსოფლიო არბიტრის, სახელით გამოქვეყნდეს შესაბამის ორგანოებში".

— ძალიან კარგი, —სწრაფად თქვა ამერიკელმა.

— „რაც შეეხება ფულსა და ძვირფასეულობებს, გვინდა ისინი მოხმარდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ უშუალო მოქმედებისთვის განკუთვნილი თეთრი რუსული გვარდიის შექმნას. მთელი კონფისკებული ფული ლიგას მოვალეობის სრული შეგნებით მიმდინარე ანგარიშზე შეაქვს ნებისმიერ ბანკში, რომელსაც მოკავშირენი მოუთითებენ".

— გონივრულია, — დაოკებული მღელვარებით თქვა გენერალმა გისერმა.

— „ჩვენი გეგმის აღსასრულებლად საჭიროა ოცდახუთი ათასი კრონი შემდეგი საჭიროებისათვის: უნდა დავიქირავოთ ზემოხსენებული ბინების მომიჯნავე ბინები; დავიქირავოთ აგარაკი — სადმე სტოკჰოლმის გარეთ, სადაც მივიტანდით ჩამორთმეულ ფულსა და დოკუმენტებს, დავიქირავოთ ავტომობილები, ვიყიდოთ იარაღი, მოვისყიდოთ სხვადასხვა პირი და თვალი ვადევნოთ ბოლშევიკებს. ჩვენ ვბედავთ და მოგმართავთ უშუალოდ თქვენ, ბატონო ადიუტანტო, იმ იმედით, რომ ზემორე თქმულს სრული ყურადღებით მოეკიდებით, ვინაიდან ყოველი დღე ძვირფასია, ბოლშევიკებს შეუძლიათ დატოვონ სტოკჰოლმი და თან წაიღონ დოკუმენტები და ფასეულობანი".

— წერილზეა ჩვენი ხელმოწერები, — თქვა ჰაჯეტ ლაშემ და პენსნე წერილის ფურცლებზე დააგდო. —ამრიგად, ბატონებო, ვტოვებთ იატაკქვეშეთს და ვიწყებთ აშკარა მოქმედებას. ჩვენ გვჭირდება ზნეობრივი მხარდაჭერა. გვჭირდება სახსრები, გვჭირდება დაცვა. ლიგის მოღვაწეობა საიდუმლოებითაა მოცული მტრებისთვის. მოკავშირეთა წინაშე საიდუმლო არა გვაქვს, თანაც გვჯერა აქ დამსწრეთა თავდაჭერილობისა... ბატონებო, აი, ერთი წლის მანძილზე ლიგის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში... გენერალმა ტრეპოვმა მოგ-

ვცა სამოცდათორმეტი ათასი კრონი, ოლდენბურგის პრინცმა — თხუთმეტი ათასი კრონი და სათათბიროს სამასი ათასი მანეთი. ეს თანხა მთლიანად გენერალ სმეტანიკოვს გადაეცა რუსეთში შიდა ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. შემდეგ: ლიგამ სტოკჰოლმში შექმნა ბიურო, რომელშიც შევიდნენ შვედეთის სამეფო არმიის ოფიცრები. (ლაშემ თავი დაუკრა ლაჟღაჟ[illegible]). ბიუროს ამოცანაა სკანდინავიაში და ბალტიის სანაპიროზე თეთრი რაზმები ჩამოაყალიბოს პეტროგრადის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლოს, ბატონებო, უნდა გაგაცნოთ ჩემი მოხსენების ყველაზე უფრო საჩოთირო მხარე და ამას ვაკეთებ ზნეობრივი სიმართლის შეგნებით. საქმე ისაა, ბატონებო (თავი დაუკრა გრაფ დე მერსის და ამერიკელს), რომ რუსეთის საველე კანონების მიხედვით კადრის შვიდ ოფიცერს უფლება აქვს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს სახელმწიფო დამნაშავეს და იგი აღასრულოს.

— როგორ? — დაუდევრად იკითხა გრაფ დე მერსიმ.

— დიახ, გრაფო... დაე, ნუ მოგეჩვენებათ ეს პირადი შურისძიების გამოვლინებად ან ჰუმანურობის დარღვევად: ლიგამ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა და დასაჯა ოთხი საშიში ბოლშევიკი: იაკოვ ფეიგინი, იოსიფ დომბროვსკი, სამუილ ლიბერმანი და ალექსეი ფოკინი, იგივე ბრაუტმანი[1]... როცა ლიგა ამ აქტს აღასრულებდა, იგი იცავდა მილიონობით კულტურული ოჯახის კეთილდღეობას და სიმშვიდეს, რომლებიც შეიძლებოდა მსხვერპლნი გამხდარიყვნენ ზემოთ დასახელებული ცრუწინასწარმეტყველთა სისხლიანი გაავთრებისა... ოქმები დროის, შურისძიებისა და დასჯის წერილმანების შესახებ თავის დროზე გადაეცა ამერიკის საელჩოს... ბატონებო, მე დავამთავრე. ბატონო ლეიტენანტო, ნება გვიბოძეთ ჩაგაბაროთ წერილი, რათა ბატონ ატაშეს გადასცეთ.

ამერიკელი წამით შეყოყმანდა, წერილი გამოართვა და ფრენჩის გვერდითა ჯიბეში ჩაიდო. ლაშემ წინადადება შემოიტანა აზრი გამოეთქვათ. ყველამ თავი მიაბრუნა გრაფ დე მერსისკენ. მან ბოლოს და ბოლოს გადატეხა ფანქრის წვერი.

— მგონი, საჭიროა აზრი გამოვთქვა, არა? ჩემო ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო... რა შემიძლია დავუმატო ენერგიული მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშეს სიტყვებს? მე ძალზე ცხოვლად გავატარე დღევანდელი საღამო. ვიმედოვნებ, პარიზში კმაყოფილების გრძნობით აღვქვამენ ჩემი მეგობრის ჰაჯეტ ლაშეს ნოველას.

6

სხდომიდან წამოსვლის შემდეგ გრაფი დე მერსი და ამერიკელი ატაშეს ადიუტანტი აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ ვაზა-გატანზე. გამვლელნი ცოტანი იყვნენ. მთავარ ქუჩაზე უხმაუროდ დაქროდნენ აღმა-დაღმა ავტომობილები. ღამეული ქარი უსიამოდ უბერავდა უბედან.

— მაინც პატარა ქალაქია, ხომ მართალია? — უდარდელად თქვა გრაფმა დე მერსიმ.

ამერიკელი მიაბიჯებდა და ქვემოთ იყურებოდა. მან ამჯერად ხმა ამოიღო:

— როგორ ეკიდებით პოლკოვნიკ მაჰმედ ბეგ ჰაჯეტ ლაშეს ცნობებს?

---

[1] სახელები და გვარები ნამდვილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თათარი სამოცდათხუთმეტ პროცენტს ცრუობს, — უდარდელად მიუგო გრაფმა დე მერსიმ.

— დღეს მომეჩვენა, რომ ბინძურ საქმეში გვითრევენ.

— ეს სულაც არაა ასე, ძვირფასო მეგობარო.

— თქვენ გგონიათ, უფრო ბინძური საქმეები არსებობს?

— დღეს ჩვენ გვიჩვენეს თეთრი ფრონტის ერთ-ერთი უბანი, აღჭურვილი არცთუ ჩვეულებრივი იარაღით, ესაა და ეს. თუ ბოლშევიკები მთელი მსოფლიოს კონკიაძლარუნებს გვისევენ, ჩვენ უფლება გვაქვს მათ მთელი ქვეყნიერების არამზადობა მივუქსიანოთ. ზოგჯერ ერთი პროფესიული არამზადა მთელ მსროლელთა ბრიგადას უდრის.

— მე მაინც მსროლელთა ბრიგადას ვამჯობინებდი, — პირქუშად ჩაიბურტყუნა ლეიტენანტმა. — ამერიკული თვალსაზრისი შეიძლება მეტისმეტად პურიტანული ჩანდეს, მაგრამ ამას უნდა შეურიგდეთ.

— ო, რასაკვირველია! — გრაფმა დე მერსიმ შნოიანად, გაურკვევლად გაიქნია ხელი.

— თუ ზნეობრიობის საფუძვლებს, ერთადერთ ურყევ რეალობას შევეხებით, ამერიკა იმავე დღეს აფეთქდება... მე ვისურვებდი მეხსიერებიდან ამომეშალა დღევანდელი გასეირნება ზნეობის მიღმა.

— რამდენადაც მახსოვრობა არ მღალატობს, პრეზიდენტი ვილსონი მსგავს შეხედულებებს ავითარებდა ვერსალის კონფერენციაზე, მაგრამ არცთუ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამერიკაში.

— ეს ჩვენი სირცხვილია! პრეზიდენტი გამოხატავდა ამერიკის სულის ყველაზე ნათელ მხარეებს, ჩვენს ძველ ტრადიციებს, რომელთაც შექმნეს ამერიკა და ამერიკელები. პრეზიდენტთან დაკავშირებული ამბავი ჩვენი სირცხვილია. ომმა გარყვნა ადამიანები, ჩვენ ძალზე ბევრი ფული აღმოგვაჩნდა. ევროპის სისხლით მოსვრილი ნახანძრალები, ევროპის იაფფასიანი ხელები, განადგურებული მრეწველობა, ეს ჭეშმარიტად სატანური ცდუნებაა! გამორჩენით დაბრმავებულნი ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვეფლობით ევროპულ სიბინძურეში და ყურებამდე შიგ აღმოვჩნდებით.

— ეს საშინელებაა, — მაშინვე თანაგრძნობით მიუგო გრაფმა დე მერსიმ.

— როცა ოკეანეს ვკვეთდი, ვფიქრობდი, ვიპოვი ევროპას, რომელმაც გამოისყიდა თავისი ცოდვები, გადატანილ უბედურებათა შემდეგ დამშვიდდამეთქი... და ვიპოვე სრულიად ევროპის თემობა, თავხედური და დაუფარავი ბოროტების ზეიმი... რუსეთის რევოლუცია. ჩვენ ველოდით მას, ჩვენ მივესალმებოდით დიდი თავადების ფეოდალური ტირანიისაგან რუსეთის განთავისუფლებას... რუსებმა თავისუფლებით ისარგებლეს, რათა სატანისთვის დაედგათ ტახტი. რუსებმა ცინიკურად გათელეს ყველა ზნეობრივი კანონი. თქვენ კი ცდილობთ ამ ჯოჯოხეთურ ხანძარს ვედროთი დაასხათ წყალი... ჯვაროსნული ლაშქრობა რუსეთში! ბიბლიური სისასტიკით ამოიძირკვოს ბოროტების ფესვები! კორპუსები კი არა, უნდა დაიძრას მილიონიანი არმიები, მუზარადებზე ჯვარგამოსახულნი. ტანკებზე ჯვარგამოსახულნი! რა ვნახე სტოკჰოლმში ამ თვეში? უპრინციპო ჟურნალისტების უბადრუკი ჯგუფი და ელჩების წვრილმანი ინტრიგები... ბოლოს ეს პოლკოვნიკი მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშე, რომლის ადგილი უსათუოდ ელექტროსკამზეა..

გრაფმა დე მერსიმ მხიარულად გაიცინა და ლეიტენანტს ხელკავი გაუკეთა.

— აღტაცებული ვარ თქვენი ყმაწვილკაცობით და თქვენი პრინციპულობით. მაინც რას ფიქრობთ, რა უნდა უყოთ ჰაჯეტ ლაშეს წერილს?

— ჩვენს ატაშეს გადავცემ ჩემი შენიშვნებით.

— თუკი ის მაინც საჭიროდ მიიჩნევს ჰაჯეტ ლაშეს ზოგ-ზოგი სამსახურით ისარგებლოს?

ლეიტენანტი ერთხანს ჩუმად მიდიოდა, შემდეგ სახე ზიზღით შეეჭმუხნა:

— ჩვენ რომ ამერიკაში ვიყოთ, ვერ წარმომიდგენია, როგორ გამიბედავდნენ ასეთი კითხვის მოცემას... აქ კი... ადამიანთა ამ მივარდნილ ადგილას!.. თუ აქ მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშეს არსებობა შესაძლებელია, ეტყობა, მე რაღაც არ მესმის... მე ვემორჩილები...

— ჩინებულია... აი, მივედით კიდეც.. მშვენიერი პატარა სამიკიტნოა. არ გშიათ? შევიდეთ. მე უკვე რამდენიმე დღე ვაპირებ ერთ კეთილ საქმეზე, პეტროგრადის უბედური მოსახლეობის სურსათზე მოგესაუბროთ. ეტყობა, იუდენიჩი ქალაქს მალე გაათავისუფლებს და მთელი სიმწვავით დადგება კვების საკითხი... სასურველი იქნებოდა მთელი სპეკულაცია ამ საკითხის ირგვლივ ერთი კალაპოტით წარმართულიყო..

## 37

სტადენის ძველ ვიწრო ქუჩაში, გემების კედლის მახლობლად, ნავსადგურის სამიკიტნოდან გამოსვლისას (ამ სამიკიტნოში ხალისით მოდიოდნენ ჟურნალისტები კარგი მასალის საპოვნელად) კარლ ბისტრემი ოთხ ახოვან ღაჟღაჟა შვედს შეეჩეხა. შვედებს ერთნაირი ღია ნაცრისფერი ქუდები ეხურათ და ლურჯი პიჯაკები ეცვათ. მათ ტროტუარი გადაღობეს და როცა ბისტრემი ქვაფენილზე გადავიდა, მხარზე უბიძგეს. ბისტრემი ფიცხად შემობრუნდა და გარს შემოერტყნენ კიდეც.

— ჰეი, კეპიანო ბატონო!.. თქვენ განზრახ უბიძგეთ ჩვენს მეგობარს... კეთილინებეთ და ბოდიში მოუხადეთ...

მიუხედავად იმისა, რომ ბისტრემს გლეხის მძიმე მუშტები ჰქონდა, ჩხუბი არ უყვარდა. თანაც ესენი ოთხნი იყვნენ. ამიტომ რამდენადაც შეეძლო, შემრიგებლურად წაიბურდღუნა, მე კი არ ვუბიძგე, აქეთ მიბიძგესო. მაშინ ოთხივემ დაიღრიალა:

— აჰა! ცრუობს კიდეც!

— ცრუ და მხდალი!

— ცოტა გირტყეს დრუნჩში!

— დრუნჩში ჩემთვის არასდროს არ ურტყამთ... გთხოვთ, გზა მომცეთ...— თქვა მრისხანებისგან სულშეგუბებულმა ბისტრემმა, მაგრამ ზურგში ისე უბიძგეს, ლამის წაიქცა. ბისტრემმა აჩქარებით დაიწყო სათვალის მოძრობა და კედლისკენ დახევა. ახლა მეორეჯერ უბიძგეს და ის შუა ქუჩაში გაფრინდა. უკვე გონდაკარგულმა ხელი აიქნია და რომელიღაც თავდამსხმელს შლაპა გადაუგდო. გააფთრებისგან ალახლახებულ სახეზე მაშინვე სტეკის ძვლის სახელური დასცხეს. ბისტრემი თავით გაქანდა წინ, ერთ თავდამსხმელს რბილ მუცელზე

სტაცა ხელი და წააქცია... მის თავზე, კისერზე, მხრებზე მაშინვე ათამაშდა სტეკის სახელურები. ტკაცატკუცი დაუწყო ნეკნებმა. ბისტრემს ქუსლებით სცემდნენ და უმეორებდნენ:

— პროვოკატორო, ჯაშუშო, ბოლშევიკო...

ხმაურზე სამიკიტნოდან მეზღვაურები გამოცვივდნენ. [illegible] ქცნენ და ქუჩის ბოლოში ავტომობილში შეცვივდნენ. მეზღვაურ[illegible]ანე-ნებული ბისტრემი წამოაყენეს. მას თვალები დახუჭული ჰქონდა, ქშინავდა. შეიყვანეს სამიკიტნოში, დასვეს და მხარზე ხელი მოუთათუნეს. თავი რამდენიმე ადგილას გახეთქოდა, თვალები შეშუპებოდა, ტუჩი გასიებოდა. ჭრილობები არყით მობანეს, ცხვირსახოცებით შეუხვიეს. ბისტრემი კრიჭას ვერ ხსნიდა, ისევ ქშინავდა. კბილებშუა ჭიქა რომი ჩაასხეს.

ერთმა მეზღვაურმა ზურგზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— დარწმუნებული იყავ, მეგობარო, პოლიტიკის გულისთვის დაგამუშავეს. ჩვენ ეგ საქმეები გვესმის... გვადროვეთ, გავუსწორდებით ამ ვაჟბატონებს. შენ კი, იცოდე, შენსაზე იდექი... ეს შენთვის, გაზეთის მწერლუკასთვის, სასარგებლოც კია, საკუთარ თავზე გამოსცადე, რა არის ბურჟუა...

სტეკების ძვლის სახელურებმა წერტილი დაუსვეს ბისტრემის ყოყმანს. ის მთელი კვირა იწვა უსაშინელეს სულიერ მდგომარეობაში ჩავარდნილი და ერთ დილას გულჩათხრობილი, დაძაბული, სალბუნებით დაწებილი, თვალჩალურჯებული გამოჩნდა არდაშევის სასადილოში.

— აჰ! ბისტრემ, მეგობარო!.. ვაი-ვაი, აგრე სად იმასქენით?

— ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნიკოლაი პეტროვიჩ. წვრილმანებს არ მოგიყვებით... ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ სისულელეა ბრიყვებზე განაწყენება... პირად შეურაცხყოფაზე მაღლა დავდექი... სამაგიეროდ ძალზე განმიმტკიცდა კლასობრივი სიძულვილი...

სათვალის მინების მიღმა მკაცრად გამოიყურებოდა ბისტრემის ზამთრის ზღვის ფერი თვალები, კუთხოვან სახეზე აღარც ადრინდელი გულახდილობა ეტყობოდა, აღარც გულკეთილობა

— ოდესმე ბერსიორკიორების შესახებ თუ გსმენიათ რამე, ნიკოლაი პეტროვიჩ? სკანდინავიელ ვიკინგებს ბრძოლაში სიშმაგე ეუფლებოდათ, უფარუჯავშნოდ, ტილოს პერანგისამარა იბრძოდნენ. მათი სიკვდილი შეიძლებოდა, დამარცხება კი არა. ამ დღეებში ბერსიორკიორის სისხლი ვიგრძენი ძარღვებში... ნიკოლაი პეტროვიჩ, მინდა რამდენიმე სარეკომენდაციო წერილი მომცეთ პეტროგრადში წასაღებად... ყოველი შემთხვევისთვის გამომადგება... შემდეგ უკვე თვითონ შევუთანხმდები ბოლშევიკებს...

— მისმინეთ, ბისტრემ, იცით, რომ ახლა პეტროგრადში წასვლა სრული სიგიჟეა...

— რატომ?

— მე საერთოდ ვერ წარმომიდგენია, ბოლშევიკები როგორ დაიცავენ ქალაქს... იუდენიჩი აუცილებლად აიღებს პეტროგრადს და სისხლში ჩაახრჩობს...

— მაშასადამე, მით უფრო საჭიროა ჩემი წასვლა. ალბათ რაღაც სარგებლობას მოვუტან რევოლუციას.

— იქ ტერორია...

— რევოლუცია გარეგან საფრთხეს ტერორით უპასუხებს, ის მხოლოდ მის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს...

— ახირებული ხართ... იქ შიმშილით მოკვდებით...

— არა მგონია... დარწმუნებული ვარ, როცა ადამიანი რევოლუციისთვის თავს სწირავს, რევოლუცია მას ორას გრამ პურს მაინც აძლევს დღე ღამეში... მე მეტის იმედი არა მაქვს.

— კარგი, თქვენი საქმე თქვენ იცით... (არდაშევმა ირონიულად შეხედა ბისტრემს და ცხვირი მოიფხანა.) მაგრამ თუ თეთრებმა საზღვარზე დაგიჭირეს და ჩემი წერილები გიპოვეს?..

— თქვენ ისინი თხელ ქაღალდზე დაწერეთ, ქაღალდს ფისტონში ჩავდებ, საზღვარზე კი ფისტონს პირში ჩავიდებ... შეგიძლიათ გულდამშვიდებით მენდოთ, ნიკოლაი პეტროვიჩ...

— კარგი, კეთილი... ოღონდაც რომელს მივწერო გამოჩენილ ბოლშევიკთაგან? გაფრთხილებთ, ჩემი რეკომენდაცია დიდი ის არ გეგონოთ... მოვსინჯავ, საღამოს მოგიმზადებ... მოდი ვისაუზმოთ..

— გმადლობთ, ნიკოლაი პეტროვიჩ, უკვე მკაცრი რეჟიმის შეჩვევა დავიწყე...

არდაშევმა გაცინება დააპირა... მაგრამ არა... მის წინ ადრინდელი ხუმარა კარლ ბისტრემი, მიამიტი, მზესავით ხალისიანი ჭაბუკი კი არ იყო! როცა ბისტრემმა თანხმობა მიიღო, წერილები ხვალ იქნებაო, სკამიდან ნელა წამოდგა, თავშეკავებულად დაუკრა თავი არდაშევს და თითქოს წამით შეყოყმანდა კიდეც, ხელი გაეწოდებინა, თუ ყველა ძაფი გაეწყვიტა უკლებლივ და ამ ქვეყანას ისე განშორებოდა.

38

აგვისტოს დამლევს, საღამოს შვიდ საათზე პუტილოვის ქარხნის მუშას, წითელგვარდიელ ივანოვს, რომელიც სესტრორეცკთან სასაზღვრო სანგარში ქვიშის ნაყარზე იჯდა, ფინეთის საზღვრის მხრიდან ტოტების ფრთხილი ტკაცუნი შემოესმა.

ივანოვმა შაშხანას ხიშტზე წაავლო ხელი, სანგრიდან ამოსწია და თვალი მოჭუტა, რათა უკეთ მიეყურადებინა ხმაურისთვის. გატკაცუნდებოდა ტოტები და ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. თითქოს ვიღაც ხოხვით მოძვრებოდა. უქარო, ნათელი საღამო იდგა. არტილერისტებს ამას წინათ ტყე გაეკაფათ და იმ განაკაფის ბოლოში ნარინჯისფერი ზღვა მტრედისფრად და წითლად ბზინავდა. ივანოვს გუნება წაუხდა დაისის ამ უცნაურ სიჩუმეში. შემდეგი საგუშაგო აქედან სამას ნაბიჯზე იყო.

ცხადია, ფინეთის საზღვრიდან აქეთ მეგობარი არ გამოხოხდება, მაშასადამე, უნდა ესროლოს. მაგრამ იქ რომ ერთი კაცი კი არა, ბანდა აღმოჩნდეს? როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში? უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დარჩეს საგუშაგოზე, თუ მტრის მოახლოების შემჩნევისთანავე სატელეფონო საგუშაგომდე მიირბინოს და საფრთხის შესახებ აცნობოს თავისიანებს? რევოლუციური სამხედრო სასაზღვრო წესდება ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი, იგი მთლიანად ეყრდნობოდა იმას, თუ რამდენ შეგნებულად ესმოდა მებრძოლს

რევოლუციის ამოცანები, კერძოდ, პროლეტარიატის ციტადელის — ჩრდილოეთის კომუნის — თავდაცვის ამოცანები.

ივანოვმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა ტაქტიკური ამოცანა, მიწაყრილიდან ჩუმად ჩამოცოცდა სანგარში, ნაძვის ტოტი აიფარა და მიდამო მოათვალიერა. ტყეში საღამოს ჩრდილებს შორის არაფერი ჩანდა. ისევ [illegible], უფრო ახლოს. ივანოვმა შაშხანა მოიმარჯვა... იფიქრა და ყოველი შემთხვევისთვის ფეხები ამოიღო მთლად დაგლეჯილი და ბაწარდახვეული თექის ჩექმებიდან. განაკაფს მოქუშულმა ყვავმა გადაუფრინა. რაც უფრო იცდიდა ივანოვი, გული მით უფრო ებოღმებოდა. „მოცოცავენ, მოცოცავენ წყეული ქვემძრომები, ვერ მშვიდდებიან, რომ მუშათა კლასი, ფეხშიშველი, ტანშიშველი, იმისთვის იბრძვის, სამართლიანად იცხოვროს და იმუშაოს".

გაპობილი ფიჭვის მარჯვნივ ტოტი შეირხა. „აი, ის!" ამხანაგი ივანოვი მკერდით გაწვა მიწაყრილზე და გაისროლა.. .მეორე ვაზნა შაშხანაში გაიჭედა. ივანოვმა კბილები დააღრჭიალა... იმავ წამს ტოტის იქით რაღაც დაიქნიეს და შიშისაგან ჩამწყდარი ხმით ვიღაც არარუსმა რუსულად დაიძახა:

— ამხანაგებო, ნუ ისვრით, თქვენიანი ვარ, თქვენიანი!..

პასუხად უახლოეს საგუშაგოზე გრიალი გაისმა და მაშინვე მთელ ტყეში შაშხანების ბათქაბუთქი ატყდა.

უცხო კი გამუდმებით იძახდა: „ამხანაგებო, არ გინდათ!.." ივანოვმა ტაქტიკური დასკვნა გამოიტანა: როგორც ჩანს, იქ ერთი კაცია, მისი მისაკლავება ყოველთვის მოესწრება, უკეთესია ცოცხალი დავიჭირო და დავკითხოო. ივანოვმა ტოტების მხარეს, გაპობილი ნაძვის მიღმა მყოფ უცნობს გამწარებით დაუღრიალა:

— გაშლილ ადგილას გამოდი, ჰეი!

ტოტები აიშალა და წიწვებიდან აყლაყუდა კაცი წამოიმართა, ხელები თავზე შემოეწყო. მისი სათვალის მინებში წითელმა დაისმა გაიელვა, უცნობი სანგრისკენ გამოემართა, ფეხებს მაღლა სწევდა. ივანოვმა ისევ გააფთრებით დაუყვირა:

— ათ ნაბიჯზე ახლოს არ მოხვიდე... წესდება არ იცი, არამზადავ! დაყარე იარაღი...

— იარაღი არა მაქვს, ამხანაგო..

— როგორ არა გაქვს! არ გაინძრე....

ივანოვი მიწაყრილზე აძვრა. იგი თვალებით ჭამდა კარგ ბურჟუაზიულ ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს. უცნობს უჯრედებიანი მოკლე შარვალი, წინდები ეცვა; სიფათი, რა თქმა უნდა, შიშისგან უკანკალებდა, პირი კი ლაყუჩებამდე გახეოდა... ხუმრობა გინდა? ხუმრობას გიჩვენებთ თქვენ!.. ივანოვი უცხოსთან მივიდა, შაშხანა მომარჯვებული ეჭირა:

— ჯიბეები მიჩვენე...

მარცხენა ხელით მოუსინჯა — საეჭვო არაფერი აღმოაჩნდა. ცხვირსახოცი, ასანთი და ერთი კოლოფი პაპიროსი ჰქონდა...

— ამხანაგო, გთხოვთ, აიღოთ პაპიროსი...

— რაო? გინდა მომისყიდო, ეს იცი? ჩაიყარე ჯიბეში ეს ხარახურა... დაუშვი ხელები, ვინა ხარ?

— შვედი მეცნიერი... პეტროგრადში მივდივარ, თქვენთან მუშაობა მინდოდა... ჩემი გვარ-სახელია კარლ ბისტრემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მარტო ხარ?

— მარტო ვარ, მარტო.

ივანოვი გადამეტებული ეჭვით ათვალიერებდა უცნობის სახეს და ტანსაცმელს.

— საბუთები გაქვს?

— აი, ინებე...

— კეთილი... წინ იარე... — ივანოვი უცნობთან ერთად სანგრამდე რომ მივიდა, უახლოეს გუშაგს გასძახა: — ჰეი, ამხანაგო ემელიანოვ!.. ჯაშუში დავიჭირე... დარეკე შტაბში... (შემდეგ უკვე მშვიდად მიმართა ბისტრემს.) აქ მოიცადე. განმრიგებელი მოვა და შტაბში წაგიყვანს, იქ გავარკვევთ.. საზღვარზე გადმოსვლისათვის, უნდა იცოდე, რა გეკუთვნის...

— ამხანაგო, კი მაგრამ, მე ხომ ლეგალურად არ შემეძლო.

— კეთილი, გავარკვევთ... თეთრფინელებმა როგორღა გამოგიშვეს?

— ო, ორი დღე ვიმალებოდი ტყეში... ძალიან მშია, ამხანაგო...

ამაზე ივანოვმა მხოლოდ ავად ჩაიცინა. ბისტრემი თანდათან მზარდი მღელვარებით უცქეროდა პირველ შემხვედრ ბოლშევიკს: მას იღლიებგამოგლეჯილი შავი პალტო ეცვა, რომელზეც ფალასკა შემოერტყა, ეხურა ნახევრად წინაფრამორღვეული მწვანე სამხედრო კარტუზი, ფეხშიშველი იყო, საშუალო ტანის, შეუხედავი, დიდი ხნის გაუპარსავი ლოყები ჩასცვენოდა, ჩამომხმარი ლაწვები და უცხო, ულმობელი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა.

უცებ ბისტრემი მიხვდა, რომ ამ კაცს მასთან არაფერი ადამიანური არ აკავშირებდა, სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, რომ ჩრდილოეთის კომუნის საზღვარი კი გადმოლახა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხვდა იქ... რომ საკმარისი არაა, ირწმუნოს რევოლუცია, ძველ წყობას ეს უცნობი სამყარო ამჯობინოს (რომელიც აგრერიგად რომანტიკული, მრისხანედ ტრაგიკული ჩანდა შორიდან, ბისტრემის კლარა კირკა-გატანზე მდებარე მანსარდიდან), საჭიროა გაიგოს რაღაც უბრალო, სავსებით ნათელი და უბრალო, რამაც მთელი ძველი სამყარო გადმოაყირავა გარდაუვალის, სავსებით ახალის გულისთვის, და მაშინ დაინახავს საპასუხო ადამიანურ მზერას ამ შეუხედავი და მშიერი მუშის თვალებში, ვისაც გახევებული ხელისგულები შაშხანის ლულაზე უდევს.

ბისტრემს მღელვარებისგან აჟრჟოლებდა. ორივე მდუმარედ იდგა: ბისტრემს ხელები ღრმად ჩაეწყო სპორტული შარვლის ჯიბეებში, ივანოვი მოთმინებით ელოდა განმრიგებელს. ივანოვმა, თითქოს ბისტრემის ფიქრებს პასუხობსო, ხმადაბლა თქვა:

— მართალია, წინააღმდეგობა არ გაგიწევია და იარაღი არ გიხმარია, ისე დაგიჭირე, მაგრამ შენი მდგომარეობა ვერაა კარგი, პირდაპირ გეუბნები...

— მე თან წერილები, რეკომენდაციები მაქვს...

— წერილები რას მიქვია... ბურჟუა რომ ხარ, ერთ ვერსზე გეტყობა. ვინ იცის, ვინა ხარ... ახლა ლაციცის დრო არაა, ყოველი კაცი საშიშია...

— ამხანაგო, ნუთუ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ბურჟუაზიულ ევროპაშიც არიან თქვენი თანამგრძნობი ადამიანები, რომელთაც თქვენთან ერთად ბრძოლა სურთ!..

ივანოვმა უცებ არ უპასუხა, ფრთხილად ჰკითხა:

— გინდა დამიყოლიო და გაგიშვა, ხომ?

— ამხანაგო!.. (გულწრფელად გაფიცხდა ბისტრემი.) მე არ მინდა გაგ-ქცევა... თვითონ მოვედი თქვენთან...

— სწორედ ესაა საქმე. და აქ ისევ და ისევ არაფერი გვესაქმება... ჩვენ მთელ ქვეყნიერებას ვებრძვით...

გაჩუმდნენ. განაკაფის ბოლოს, ზღვაზე მოქუშული დაისი იდგა. ოთახში უკვე სულ ჩამობნელდა. ფერდობიდან, საითაც სანგარი ჩადიოდა, ქვიშაზე მო-შავალთა სუნთქვა ისმოდა. ამხანაგ ივანოვს გულზე მოეშვა: მოდიანო, ასწია შაშხანა, კონდახი გამოგლეჯილ იღლიაში ამოიდო.

— რა თქმა უნდა, თქვენ შორის სინდის-ნამუსიანებიც არიან. ყველა ერ-თიანად თეთრი ბანდიტი როდია, — თქვა შემრიგებლურად. — მოგინდა გე-ნახა, უთქვენოდ როგორ ვართმევთ საქმეს თავს ხომ? ასეა, განა? — ივანოვმა თვალები დაცინვით მოწკურა. — არ მოგეწონება... ჩვენთან შავი სამუშაოა, მძი-მე... ეს, ჩემო ძმაო, რევოლუციაა, ის კი არაა, წიგნებში რომაა.. მისი წაკითხვა ძნელია...

მოვიდა სამი კაცი. მათაც მკაცრი, გამხდარი სახე ჰქონდათ, ნაწყვეტ-ნაწყ-ვეტად ლაპარაკობდნენ, პიჯაკები, ქურთუკები ეცვათ, ზედ ფალასკები, ტყვი-ამფრქვევის ლენტები გადაეჭიმათ.

— რომელია? ესა? — იკითხა განმრინებელმა და ნაგანი ბისტრემს მიაშ-ვირა.

ორი აქეთ-იქით ამოუდგა ბისტრემს.

— იარაღი არ ჰქონდა, გაქცევა არ უცდია, ხელები ასწია, მოდის ჩემ-კენ, იცინის... ვფიქრობ — რა კაცია-მეთქი? აი, წერილები აქვს პიტერის ამხანაგების სახელზე. ველაპარაკე... იდეალისტია, თანამგრძნობი... — მოახ-სენა ივანოვმა განმრინებელს.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, ამხანაგო, —უთხრა ბისტრემს განმრი-ნებელმა. — გამომყევით.

განმრინებელი, რომელსაც დაშვებულ ხელში რევოლვერი ეჭირა, ქვიშიან ფერდობს დაუყვა. უკან ბისტრემი მიჰყვა, — ხელები ჯიბეებში ეწყო, — შემდეგ ორი წითელგვარდიელი მიაბიჯებდა...

ბისტრემი უშენ ადგილას, განმარტოებულ, ფანჯრებჩალეწილ, შრამელებ-დანგრეულ აგარაკზე მიიყვანეს და ქვედა სართულის ერთ-ერთ ოთახში ჩაკე-ტეს. დაღლილობისა და შიმშილისაგან ძალ-ღონე გამოცლოდა, რომელიღაც ყუთზე ჩამოჯდა. ოთახის ერთადერთი ფანჯრის მიღმა, ჩანავლებული დაისის ზოლზე ვარსკვლავი აკიაფდა.

„კაცმა რომ თქვას, მაინც რას ელოდი, კარლ ბისტრემ? აი, შენ დიდი რე-ვოლუციის მიწაზე ხარ. ელოდი, რომ ეს მიწა შეირყეოდა, წინ გაგივლიდნენ გოლიათების კოლონები და ცა სხვა ფერისა იქნებოდა, ვიდრე სტოკჰოლმის თავზეა?“

ბისტრემმა ყვრიმალები ისე დაიბჯინა ხელებზე, სათვალე შუბლზე მოექ-ცა, იგი ამხანაგ ივანოვის სიტყვებს იგონებდა.

„შენ ზეიმზე მოდიოდი, კარლ ბისტრემ, და მაშინვე მიხვდნენ, ვინც იყა-ვი... აი, რევოლუცია — ნახევრად ბნელი ოთახი მიტოვებულ აგარაკზე, მკვდ-რული დაღლილობა და შიმშილით მოგვრილი მწარე ნერწყვი.... შიშველ სხეულ-ზე მოცმული დახეული პალტო, სევდიანი სანგარი, დაჟანგული შაშხანა. არა, კარლ ბისტრემ, შენ იდეალისტი არა ხარ, რომანტიკოსი არა ხარ... შენ უკან

არ დაიხევ რევოლუციური უფერული დღეების გულგატეხილობის წინაშე.. კარგად ჩაიხედე სულში, პატიოსნად, როგორც სიკვდილის წინ... გწამს პროლეტარიატის დიდი შეტევის დასაწყისისა? გწამს, რომ დაჰკრა სოციალიზმის საუკუნის პირველმა საათმა?“

ბისტრემი ყუთიდან წამოდგა და დამპალ იატაკზე გაიარ-გამოიარა, რომლის ხვრელებში ბალახს გამოეღწია. თითქოს მგზნებარე შთაგონება დაეუფლა. ცდილობდა გაფანტული აზრები დაემორჩილებინა, მოინდომა თანმიმდევრულად და მიუკერძოებლად კიდევ ერთხელ შეემოწმებინა დასკვნები.

„რუსეთის რევოლუცია ხელის ერთი მოსმით სპობს მყარ ბურჟუაზიულ მეურნეობას. უარს ამბობს ევოლუციაზე, ევოლუციის იდეა ყველაზე მზაკვრულ და ყველაზე საშიშ მახედ მიაჩნია, მახედ, რომელიც იმისთვისაა დაგებული, რომ პროლეტარიატის დაბანგვით მოიგოს დრო... ბურჟუაზიულ მეურნეობას ომის სასიკვდილო წყლული არ მოურჩება... წონასწორობა უკვე დარღვეულია და წინააღმდეგობანი კიბოს სიმსივნესავით ყოველწლიურად გაიზრდება. რუსეთის რევოლუცია წინ უსწრებს ძველი წესწყობილების დაშლის ბუნებრივ პროცესს. ამით იგი პროლეტარიატის შემოქმედებითი ენერგიის მარაგს გადაარჩენს. ეს სწორია. ჩვენ გადავარჩენთ ერთ, ორ, შეიძლება სამ თაობას... სამი თაობით ვიახლოებთ სოციალიზმს და მას დაუხარჯავი ძალების მთელი ახსავთებით ავაშენებთ...“

ბისტრემმა ხელისგული ხელისგულს გაუსვა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია კარის წირთხლთან მდგომი ტყავისქურთუკიანი და შავკარტუზიანი კაცი. ბინდბუნდში მკრთალად მჩინარ მის სახეზე შავი წვერი მიწებებული გეგონებოდათ.

— რა გაეწყობა, წავიდეთ, წავისაუბროთ, კარლ ბისტრემ, — უთხრა მან ხმადაბლა ბისტრემს.

კაცი ბნელ დერეფანს გაუყვა და პატარა ოთახის კარი ხელის კვრით შეაღო. ოთახს ძლივს ანათებდა კონსერვის თუნუქის კოლოფში მცურავი პატრუქის ალი. კაცი მაგიდას მიუჯდა და ბისტრემს მუშამბაგადაკრულ დაგლეჯილ სავარძელზე მიუთითა:

— ფრთხილად, ცალი ფეხი არა აქვს, — კაცმა უღონო ხელით გამოსწია უჯრა, გაზეთის ნახევში შეხვეული ორი თითის სისქე მოგრძო შავი პურის ნაჭერი ამოიღო და ბისტრემს გაუწოდა. — ჭამეთ. აქ ზუსტად ორასი გრამია. სულ ესაა, რასაც რევოლუცია გთავაზობთ სიცოცხლისათვის.

ბისტრემმა ძირს დაუშვა ხელი, რომელშიც პურის ნაჭერი ეჭირა, და კაცს მიაჩერდა. კაცს ჭლექიანის სისხლნაკლულ უფერულ სახეს ჭრაქის შუქი უნათებდა, დიდ, შავ, სხივჩამქრალ თვალებში ცნობისმოყვარეობის ნასახი არ უკრთოდა. მთელი სიცოცხლე გაუცინარი სახე თითქოს ფართო ნერვულ ნესტოებში დაუნჯებოდა. თვალის დაუხამხამებლად იცქირებოდა, მაგრამ ისე, თითქოს წინ მჯდომ ბისტრემს ვერ ხედავდა.

— საიდან იცით პურის ამბავი? — შიშით ჰკითხა ბისტრემმა.

— თქვენ ხომ ხმამაღლა ლაპარაკობდით. შემიძლია გავიმეორო: „როცა ადამიანი რევოლუციას თავს სწირავს, რევოლუციამ მას დღე-ღამეში ორასი გრამი მაინც უნდა მისცეს...“

— დიახ, დიახ, ძალიან მაინტერესებდა ეს საკითხი... ვფიქრობდი, რევოლუციის დროს გარდაუვალი მწვავე მატერიალური გაჭირვება სულიერი ენერგიის უდიდეს მარაგს ავლენს, რევოლუციას განსაკუთრებულ, უცილობელ და-

მაჯერებლობას სძენს-მეთქი... მაგრამ მზად ვარ, ეს მსჯელობა საზღვრის გაღაღმა დავტოვო... დღეს მე კარგი გაკვეთილი მივიღე...

— თქვენ თავი საფრთხეში ჩაიგდეთ, რომ უფრო მკაცრი გაკვეთილი მიგეღოთ, —უთხრა კაცმა. პირი არ გაუხსნია, ისე შეიკავა ხველება. — კვების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე საშინელი საკითხია ჩვენთან. თქვენ თავს ინუგეშებთ იმით, რომ მშიერ ადამიანს გენიალური აზრები ებადება. (ბისტრემს სახე შეუწითლდა.) მეორეს მხრივ არ შეგვიძლია მოსახლეობა კულაკური და სპეკულანტური პურით მოვამარაგოთ... ამ პურით ჩვენ სოციალიზმს დავასამარებთ... ნაჭერი, რომელიც თქვენ შეჭამეთ, საზიზღარი პურია, ნახევრად ეგრეთ წოდებული კაჭაჭია, მაგრამ მის შოვნას ადამიანთა სიცოცხლე შეეწირა. და მაინც არ დავთმობთ ასეთ ძვირფას პურს... აი, ასეა საქმე... მე წავიკითხე თქვენი სარეკომენდაციო წერილები. თქვენ შესახებ დავრეკე პეტროგრადში... თქვენ თავისუფალი ხართ... (ბისტრემი მაშინვე წამოდგა. კაცის შავფრჩხილებიანი ხელი პატრუქის აფარფატებულ ალს ჩამოეფარა). პირველ მატარებლამდე დიდი დროა. იქნებ უფრო დაწვრილებით გვამცნოთ ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ორგანიზაციების, ადამიანების შესახებ. ნება მომეცით, რამდენიმე კითხვა დაგისვათ... მითხარით, სტოკჰოლმში არ შეგხვედრიათ ვინმე პაჯეტ ლაშე?

დილის მატარებელი ბალახმოდებულ ვაკისზე მიქროდა. მიდამო უკაცური და გაპარტახებული იყო, ჩანდა ფანჯრებჩამსხვრეული აგარაკები, წაქცეული ღობეები, საძირკვლები და აგურის გროვები... ჭაობები, კუნძები... სანგრების დაჟანგული მავთულხლართები... მარჯვნივ—ლელქაშით დაფარული ლახტაა, ცარიელი უბის თავზე — ძალაგამოცლილი მზე, შორს — თვალუწვდენელი ქალაქი. არსად კვამლი არ მიიწევს ქალაქის მაღლა, გამჭვირვალე ჰაერში. ზღვაში კრონშტადტის მოლურჯო მოხაზულობა ისახება.

ბისტრემი ღამის თანამოსაუბრეზე ფიქრობდა (გამთენიისას, როცა სტაფილოს ნახარშს სვამდნენ, კაცმა რაღაცები უამბო თავის თავზე). თანამოსაუბრემ თერთმეტი წელი თურმე მეფის კატორღაში გატარა. ეტყობა, ჭლექის უკანასკნელი სტადია სჭირდა. მისი ცხოვრება ნებისყოფის დაძაბულობა იყო. „თქვენ უარის თქმა მოგიწევთ ბევრ რამეზე, რაც ჯერ კიდევ გუშინ საზღვრის იმ მხარეს ცუდად ან კარგად მიგაჩნდათ, — უთხრა ბისტრემს. — მკვეთრად და შეურიგებლად უნდა გამოაცალკევოთ მტრები მენიანებისგან: კლასობრივი ალღო ვითარდება. გონება მიპყრობილი უნდა იყოს ერთი მიზნისკენ, მიმართული რევოლუციის ნებისკენ, ემორჩილებოდეს მას“.

ბისტრემი გულდამძიმებული და შეშინებული გახლდათ, თითქოს საზარელ მორევში მოხვდა, რომელიც დღევანდელი დღიდან უცნობ მხარეში — ყოველივე ჩვეულებრივის, ყოველდღიურის მიღმა მიაქანებდა... იგი ჩამტვრეულ ფანჯარასთან იჯდა. ვაგონი ნელა მიიწევდა შამბნარმოდებული ბოსტნების გვერდით. რამდენიმე კაცი ფიცრულ აგარაკს შლიდა. ჩანდა თითქოსდა ამოწყვეტილი გარეუბნები. მოღრეცილი ფარნის ბოძები, ლუმლებისა და საკვამურების ჩონჩხები, თეთრი თხა ბექობზე შამბნარში, კარჩამოგლეჯილი პავილიონები, ლიანდაგებზე დაჟანგული ორთქმავლები, ვაგონ-ბაქნებზე ქვემეხები, სადგურსა და ბაქანზე შაშხანებით შეიარაღებული მკაცრი ადამიანები.

ბისტრემი უკაცურ მოედანზე გავიდა, სადაც სანგრებს, ტომრებისა და მავთულების ღობურებს დაინახავდით, ამოიღო ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც

სმოლნის მისამართი და ოთახის ნომერი ეწერა. ამ ოთახში უნდა აღრიცხული-ყო იგი, სახალხო განათლების კომისარიატს მიმაგრებოდა, როგორც ეს ღამით ურჩიეს, და მიეღო ულუფა და საცხოვრებელი ფართი. ბისტრემი ტრამვაის დაჟანგულ, ბალახში ჩამალულ რელსებს გაჰყვა. გადაიარა ფიცრის ხიდი, საიდა-ნაც ვეება ორჩხომელების ობმოკიდებული წიბოები ამოშვერილიყო.

ქუჩაში თანდათან ჩნდებოდნენ მცხოვრებლები. გზაჯვარედინზე დაფიქრე-ბული იდგა მხრებში მოხრილი კაცი. ზურგზე ტომარა და ნავთის თუნუქი მოეგდო, ფეხებზე ხალიჩის ნაჭრები შემოეხვია, შარვალი ეჩაჩებოდა, მეჩ-ხერი წვერი ჰქონდა, დაღვრემილ ცხვირზე პენსნე ეკეთა. ეტყობოდა, ფიქრობ-და, საით წასულიყო. სახლების ჩრდილებშუა მზეზე ორი ფეხშიშველა ბიჭი და გამხდარი გოგო იწვნენ და ბალახის ღეროს კვნეტდნენ. დიდხანს გასცქე-როდნენ არარუსულად ჩაცმულ ბისტრემს. ბნელ სახლში, რომელსაც სვეტე-ბიანი სადარბაზო ჰქონდა, მაღლა, გაღებულ ფანჯარაში ძალზე მსუქანი კაცი იდგა. ხელები ზურგზე დაეწყო, ქვედა საცვალი ეცვა, ოქროს სათვალე ეკე-თა. მრგვალი, ვერცხლისფერჭაღარა თავითა და დამცინავი სახით რომაელს ჰგავდა. მისი განიერი შარვალი ფანჯრის საკვალთზე ეკიდა, გასანიავებლად. თვითონ მოშარბებული მხიარულებით გაჰყურებდა ქალაქს. ბისტრემი განცვიფრდა. მსუქანი კაცი რაფაზე გადმოიხარა და მას ჩაცინებით გააყოლა თვალი.

ბისტრემი ქუჩის ბოლოში შეჩერდა. ეს ცხაური, ზამთრის სასახლის გა-ლერეა და მეორე სართულის პატარა აივანი ფოტოსურათებით იცნო. ლენინმა აქედან დაიწყო რევოლუცია. ბისტრემი მოპირდაპირე მხარეს სკვერში დაჯდა. იგი უცქეროდა მოჭიქული აგურით ნაგებ ამ სახლს, უშენი ადგილებით მდინა-რემდე მიღწეულ ტროიცკაიას მოედანს, სადაც ძველი ხის ეკლესია იდგა. სიჩუმე იყო, მხოლოდ ბაღში შრიალებდნენ ცაცხვები.

ბისტრემმა დაისვენა და მისასვლელში სანგრებით გამაგრებული ტროიც-კის ხიდისკენ გაემართა. აქედან წინ გადაეშალა ლაჟვარდისფრად მოელვარე ფართო ნევა. შორს წყალში ბირჟის თეთრი სვეტები და ციხე-სიმაგრის ძირას მდგარი ბებერი ტირიფები ისარკებოდა. დინება რბილად ამსხვრევდა პეტრე-პავლეს ტაძრის წვეტის ოქროსფერ ანარეკლს. მარცხენა მხარეს დაცარიელე-ბული სასახლეების კოლონადები მიიწევდა.

მსოფლიოს ქალაქთა შორის ამ დიდებულ, ულამაზეს ქალაქს თითქოსდა წყალუხვი მდინარის ნაპირებზე ორი სამყაროს, ორი ეპოქის მიჯნაზე ჩაეთვ-ლიმა, გადაქროლილი ქარიშხლებისგან ამ კოლონადებში, ბრინჯაოს ლომებში, მარად მოღიმარ სფინქსებში, პეტრე-პავლეს წვეტის ვაშლზე მჩინარ შავ ან-გელოზში გაქვავებული წარსულის ზმანებებისგან ისვენებდა, ძილ-ღვიძილში ელოდა ახალ, ჯერ კიდევ უცნობ ძვრებს, რათა გრანიტის თვალებით მეორე ცხოვრება ეხილა.

ბისტრემი მოაჯირს დაეყრდნო და პეტერბურგის განურინებელ ხიბლს დაემორჩილა.

ხიდზე უცნაური გუნდი მოდიოდა, რიგში ორ-ორნი, სამ-სამნი იყვნენ: ქალებს ავდარში შელანძღული ძველებური შლაპები ეხურათ, ზოგს ფარდე-ბისა და დივნის გადასაკრავისაგან შეკერილი უჩვეულო ტანსაცმელი ეცვა; კაცებს თმა ჰქონდა მოშვებული, სახე — გამოფიტული, გაყვითლებული, ზოგი გაპარსული იყო, ლოყებმრგვალი, ტანსაცმელზე სიკოხტავის კვალი შემორჩე-

ნოდა, ომის დროინდელ მომწოდებლებსა და სპეკულანტებს მოგაგონებდათ: რამდენიმე წარმოსადეგ მოხუცს მაღლა აეღერა გამოცარიელებული თვალები, ჯიშიან სახეზე ზიზღნარევი გაკვირვება ეხატათ. ახალგაზრდა ქალთაგან ზოგი სამტირალევი ჩანდა, ზოგი თვით ეშმაკს შეეჭიდებოდა...

ყველას ნიჩბები, წერაქვები. ბარები მოჰქონდა, წინ მიმავლებს ეფაბიჯებოდა, სახეზე ღიმილი უკრთოდა და თეთრ კბილებს აელვებდა, მხარზე რკინის ნიჩაბი გაედო, ლენტებიანი პატარა ქუდი ეხურა, პერანგქვეშ, მზემოკიდებულ მკერდზე გული ჰქონდა ამოსვირანგებული, დროდადრო შებრუნდებოდა ხოლმე, უკუსვლით განაგრძობდა გზას და თვალს უკრავდა მომავლებს:

— უფრო მხნედ, ძმებო, გამაგრდით, ანტილიგენტებო!

ბისტრემი ცოტა მოშორებით მიჰყვა მათ. სასახლის მოედნიდან ნევის პროსპექტზე გაუხვია. იქ ლამიანი მიწის ბორცვებზე, რიყის ქვებისა და ტორსების გროვებზე ასობით ადამიანი ფუთფუთებდა. ნევის პროსპექტის გარდიგარდმო, ალექსანდრეს ბაღის გაყოლებით სანგრებს თხრიდნენ, სიმაგრეებს აგებდნენ. მოსული გუნდი ნელა, თითო-თითოდ დაიფანტა ნარვალებში. გადაბრუნებულ კასრზე შემდგარი აგიტატორი მუშტს იქნევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს ისროდა:

— ...თეთრ არამზადებს რესპუბლიკის პირველ ქალაქს არ მივცემთ!.. მსოფლიო კაპიტალიზმის მარჩენალებს ჩვენი შიმშილის, ქვანახშირთან და ლითონებთან დაკავშირებით შექმნილი სიძნელეების იმედი აქვთ... ისინი ჭკუაში აგებენ, ამხანაგებო!.. მათ გაშმაგებულ გამოხდომებს ჩვენი რიგების დარაზმულობით ვუპასუხებთ... კულაკს პურს გამოვგლეჯთ!.. ბურჟუების სახლების პარკეტით ფაბრიკების ქვაბებს გავახურებთ, ხიშტებად გადავადნობთ სასახლეების ცხაურებს... ბოლშევიკური დაუნდობლობით გავანადგურებთ შეთქმულებებს... პეტროგრადიდან გახურებული შანთით განვდევნით თეთრგვარდიელი ძაღლების სისხლიან ხროვას... ამხანაგებო, ნიჩბის ყოველი დარტყმა კონტრრევოლუციის ბილწ ზრახვებზე დარტყმაა.

აგიტატორს ყველა არ უსმენდა, ზოგი გულგრილად განაგრძობდა თხრას, ზოგი ნიჩაბს დაყრდნობოდა, ან ორივე ხელი ქამარზე ეჭირა და მიწას დასცქეროდა, სახეზე ზიზღი და ტანჯვა ეხატა. ბისტრემის გვერდით გამხმარი ბებერი ქალი გაჩერდა და, თითქოს სადგისი ჩხვლიტაო, უთხრა:

— საკუთარ სამარეს ითხრიან!

ბისტრემი ოქტომბრის ვაგზლისაკენ მიჰყვებოდა ნევის პროსპექტს. სულ იგივე, მისთვის ნაკლებად გასაგები ორჭოფული შთაბეჭდილება ექმნებოდა... გზაჯვარედინებზე სანგრები, ბლინდაჟები, ქვემეხები. გუშაგების ხიშტები ჩანდა მაღაზიების ნატყვიარ ფანჯრებსა და აჭედილ კარებზე—კუთხოვანი მყვირალა პლაკატები ბრძოლაზე, ბრძოლაზე... აგერ, მთლიანად ტყავით მოსილი ჩაცრი ულვაშა კაცი მოტოციკლეტს მიაქროლებს და ამოგდებულ ტორსებზე გადავლისას საჯდომზე ხტის. გამვლელთა მწკრივები, თითქოს ბურანში არიანო, ნელა და დაბნეულად დაეხეტებიან შუა ქუჩაში. ყოველ მათგანს ზურგზე ტომარა, თუნუქა, კალათი ჰკიდია. დგას რიგები. განმანაწილებელი პუნქტიდან გამოსულთ ხელში დაფნის ფოთოლი და ქაშაყი უჭირავთ. ტრამვაის ლიანდაგზე მორებით და ფიცრებით დატვირთული ვაგონ-ბაქანი მიბობღავს. ვაგონ-ბაქანს უკან გრძელი რიგი მიჰყვება.

ზოგიერთი სახლის სადარბაზო გამოცოცხლებულია — შედიან და გამოდიან ადამიანები. ბისტრემი კითხულობს წარწერებს: „სახალხო უნივერსიტეტი"... „ხელოვნების აკადემია". „ქორეოგრაფიის უმაღლესი სკოლა", „მუსიკალური აკადემია", „სახალხო დრამის სტუდია"... ეტყობა, ნევის პროსპექტზე მოხეტიალე მთელ ამ ხალხს ხელოვნება და მეცნიერება აინტერესებს — ასე ჰგონია ბისტრემს. მაგრამ აი: იმის მუსიკა, მბზინავი საყვირები უკრავენ „ინტერნაციონალს"... გაძვალულნი გაბრაზებით ბრუნდებიან. მოცურავს მეწამული დროშა და მის უკან საგულდაგულოდ ნახევარ-ნახევარი ნაბიჯის დაშორებით აუჩქარებლად მოემართება ხუთასამდე კაცისგან შემდგარი რაზმი. ტანსაცმლის მიხედვით მუშები არიან, ახალგაზრდები, გამხდრები, სახეზე გზნება, სიმტკიცე აღბეჭდვიათ. შაშხანები, ზურგჩანთები ჰკიდიათ. რაზმის შუაში ჩანს ლოზუნგი: „შავ ზღვაში გადავუძახებთ დენიკინის ბანდებს"... მოდის საველე სამზარეულო, მაზარებით მოსილი ათეულობით ქალიშვილი, სახელოზე რომ წითელი ჯვარი უკეთიათ. მორახრახებს ტყვიამფრქვევებდადგმული, დაბარგული ოთხთვალები.

მათ ჩაიარეს და ისევ დაიძრნენ გამვლელნი, თითქოს ბურანში არიანო. გოსტინი დვორთან ქვაფენილზე ცხენის ნეკნები ყრია. აგერ ანიჩკოვის სასახლის ნატყვიარი ფასადი და წითური სვეტები, ბრინჯაოს ცხენები ხიდზე, ლიტეინაიას კუთხეში ისევ შრომითი ბეგარა ბურჟუაზიისა. ისევ ცხენის ლეში. ვაგზლის წინ აჯანყების მოედანი ურიკებითაა გაჭედილი. ყვირილითა და ლანძღვით მიდის სამხედრო ალალი. მუშათა რაზმები ჩასხდომას ელოდებიან. ჩრდილოეთის სასტუმროს მთელ მოთეთრო ჩამოცრეცილ ფასადზე ირიბად ჰკიდია ავდრის მიერ დაგლეჯილი ყუმაშის ზოლი: „ყველანი საბჭოებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად"...

შუა მოედანზე ვეებერთელა ბრინჯაოს იმპერატორს ჩამოფარებული, ტალახშეშხეფებული, პლაკატების ნახევებით აჭრელებული ფიცრის კუბის გარშემო გლეხები და სოფლის დედაკაცები სხედან ან წვანან და მოედნის ფუსფუსს, გონივრულ წარწერებს, მრავალსართულიანი სახლების ათასობით მაცთუნებელ ფანჯრებზე აცეცებენ თვალებს.

ეს ხალხი სავაჭროდ ჩამოვიდა, თუ, როგორც მზვერავებს, უნდათ მიიხედმოიხედონ, დრო ხომ არ დადგა ალალებით შემოერტყან ქალაქს, რომელმაც წიგნებით გაგიჟებულმა, შთანთქა მეფე, ბატონები, ვაჭრები და ახლა „მარჩენალ გლეხს" ხელიდან მძვინვარედ გლეჯს პურიან ტომარას, დიდ ტომარა კარტოფილს, დაკლულ ხბოს? ყველაფერი ნათელია, სად ეჩქარებათ, რაც უნდა მომწიფდეს, მომწიფდება, თვითონ ჩაუვარდებათ ხელთ... ჯერჯერობით კი სპეკულანტებს ერთ ჭიქა ფქვილად, ერთ ქუდ კარტოფილად შინ მიაქვთ გრამაფონები, სარკეები, ორადგილიანი საწოლები, ბატონების ნაქონი ათასგვარი წვრილმანი ნივთი... სოფლის კულაკები ამ დროის დადგომას დიდი ხანია ელოდნენ და ახლა ბევრი რამ სურდათ.

ერთმა მხარბეჭიანმა გლეხმა, შავი ხუჭუჭა თმა და წითელი შესიებული სახე რომ ჰქონდა, ბისტრემს გასძახა:

— მოქალაქევ! (მარდად წამოხტა და თითი გამოსდო მის ჯიბაკზე ჩამოკიდებულ საათის ძეწკვს.) რა ღირს?

— არ ვყიდი.

— დიასახლისმა რაღაც-რაღაცები სამგზავროდ შემიხვია, ხომ არ დამით-მობდი...

გლეხმა იღლიიდან ჩვრის ნაკრავი გამოიღო, შეწუხდა, ღედა, რას ვკარგავო, ფრთხილად გახსნა ნაკრავი, რომელშიც მშვენიერი პურის მეოთხედი, ორი ლადარში შემწვარი კვერცხი და ერთი თავი ხახვი ედო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ისე, ძეწკვი არც მინდა, მართლადა რა სალაპარაკოა, კეთილი კაცი ჩანხარ, რატომ არ უნდა გიშველო... ჰა, ყველაფერი აიღე, ღმერთმა ხელი მო-გიმართოს...

ბისტრემს პირი დამშეულის ნერწყვით აევსო, გულისრევისგან გონება დაებინდა. ძეწკვი მოიხსნა და აიღო პური, კვერცხები, ხახვი...

— მოიცა, საათს არ მომყიდი? აქ (გლეხმა ხმას დაუწია) ერთ ბინაში ექვსი თვის გოჭი მყავს...

ბისტრემმა არ უპასუხა, გზა განაგრძო. გლეხი უკან მიჰყვა, არწმუნებდა, მხარზეც სტაცა ხელი. ბისტრემმა მრისხანედ დაუცაცხანა:

— მისმინეთ, თქვენ ჩემი შიმშილით სარგებლობთ, თქვენ ცუდი კაცი ხართ, თქვენ სპეკულანტი ხართ...

## 39

გენერალი იუდენიჩი, მთავარსარდალი ჩრდილო-დასავლეთის არმიისა, რომელიც პეტროგრადს უტევდა, მოცალეობის ჟამს თავის ცოლს სავარჯიშოდ ხმამაღლა უკითხავდა ხოლმე ფრანგულ წიგნს.

გენერალი მაინცდამაინც მარჯვედ ვერ კითხულობდა, რადგან სულ რა-ღაც ნახევარი წლის წინათ დაიწყო ენების შესწავლა. იგი ჩვეულებისამებრ ფანჯარასთან მჯდომი კითხულობდა (ამ დროს ნაცრისფერი ქურთუკი და ჩუს-ტები ეცვა), მკაცრი თვალების წინ გაწვდილ ხელში გაყვითლებული ტომი „კლოდინა პარიზში" ეჭირა. ცოლი თეჯირს მიღმა ნავთქურაზე მოშუშულ კომ-ბოსტოს აცხელებდა. ცოლ-ქმარი იუდენიჩები ძუნწი არა, მაგრამ გონიერები კი იყვნენ — გონივრულად ესმოდათ, რომ მათი ცხოვრება რეველში ცხოვრება კი არა, შემთხვევითი ეტაპია, რომ პოლიტიკა და ომი ცვალებადია. ჭკვიანმა კაცმა, რომელსაც სურს ცვალებადობათა გამგებელი იყოს, მოთმინებით უნდა აგროვოს ყოველგვარი რევოლუციის მიერ შეურყეველი ფასეულობანი, დო-ლარები, ოქრო.

გენერალი ენის ბორძიკით მკაცრად კითხულობდა:

— „კლოდინას იისფერი თვალები უცინოდა და პაწაწა ვარდისფერი კერ-ტები, მჩინარნი ორ მშვენიერ ბურცობზე, რომელნიც პერანგის სურნელოვანი ბატისტის ქვეშ ილანდებოდნენ..."

თეჯირს მიღმიდან ცოლმა შეაწყვეტინა:

— სულაც არაა ასე... მკერდი, ქალის მკერდი იქნება არა „სან", არამედ „ეს!" — „ი" — „ენ", თანაც „ი" თითქმის არ ისმის, — „სნ"... შენ ვერც ერთი ფრანგი ქალი ვერ გაგიგებს...

ცოლის ხმაში გაღიზიანება გაკრთა. გენერალმა ხმადაბლა გაიმეორა:

— მკერდი — „სნ", მკერდი „სნ"... — შემდეგ აღმართზე ასული კაცივით ამოიხვნეშა.

კარზე დააკაკუნეს. შემოვიდა სილოცხლით სავსე, მოღიმარი ადიუტანტი, ბარონი ფონ მეკი, რომელსაც კოხტად მომდგარი ინგლისური ფრენჩი ეცვა.

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, სტოკჰოლმიდან პოლკოვნიკი მაჰმად ბეგ ჰაჯეტ ლაშეს მისიაა... მას უნდოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა! ვიცი, ლაშე...

— იქნებ შინაურულად მიღება ინებოთ?..

— ა? დიახ, დიახ... ოღონდ, გეთაყვა, თეჯირს იქიდან შტიბლეტები გამომიტანეთ...

გენერალმა „კლოდინა პარიზში" დახურა, აუჩქარებლად ჩაიცვა სარკესავით გაპრიალებული, რეზინის ლანჩიანი ძველი პეტერბურგული ფეხსაცმელი, ხელები უკან დაიწყო და ოთახში გაიარა.

ფონ მეკმა პოლკოვნიკი ჰაჯეტ ლაშე შემოიყვანა. გენერალმა ლაშეს ნახევრად ოფიციალურად შესთავაზა ადგილი პატარა დივანზე, რომელზეც ცისფერი აბრეშუმი იყო გადაკრული. თვითონ კუნტულა ტანი სავარძელში ჩაუშვა და მხრები აეწია, ბუძგათმიანი პატარა თავი მხრებშორის მოექცა, ვეება ულვაში დიდებულად დაეფინა ზიგზაგებიან, უვარსკვლავებო ფართო სამხრეებზე.

— რით შემიძლია გემსახუროთ, პოლკოვნიკო?

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, მე ვლაპარაკობ რუსეთის ხსნის ლიგის სახელით...

— ვიცი, გამიგონია, ერთობ ვაფასებ თქვენს პატრიოტულ მოღვაწეობას, გეთაყვა...

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, როდისთვის ფიქრობთ პეტროგრადის აღებას?

ჭაღარაშერთული ულვაში შეკავებული ღიმილით შეინძრა ოქროს სამხრეებზე. იუდენიჩმა თითები თითებს შეახო, მოქანავე თავი დახარა და მიუგო:

— როცა ღმერთი შეგვეწევა, პოლკოვნიკო, როცა ღმერთი შეგვეწევა...

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, ლიგა ბედავს და გაცნობებთ, რომ uამრავი ეროვნული განძი შეიძლება უკვალოდ გაგისხლტეთ ხელიდან... ბოლშევიკებს შვეციის, როგორც ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიაზე, პეტროგრადიდან გამალებით გადააქვთ ვალუტა, ოქრო, ძვირფასი თვლები... ჩვენი ცნობებით სტოკჰოლმში სამ კერძო ბინაში ნახევარ მილიარდზე მეტი აქვთ დამალული...

ულვაში გაქვავდა, გენერალს თითქოს სუნთქვა შეუწყდა. შემდეგ მისმა თავმა ნელ-ნელა დაიწყო აწევა და ორი დაჭყეტილი თვალი ორი საზენიტო ქვემეხივით მიებჯინა პოლკოვნიკ ლაშეს:

— კეთილინებეთ და უფრო დაწვრილებით ამიხსენით...

ჰაჯეტ ლაშემ უამბო ლიგის მოღვაწეობის შესახებ, ხაზი გაუსვა ლიგის საქმიანობაში შვეციის გვარდიის მონაწილეობას და ლიგაში შესულ მოხალისეთა ვრცელი სია წარუდგინა (ეს იყო ბერლინის სასტუმრო „ადლონში" შევსებული ფურცელი). გენერალმა სიაში ბევრი ნაცნობი სახელი, უამრავი მებრძოლი ამხანაგი ნახა, რომლებიც დიდი ხნის დაღუპული ეგონა ბოლშევიკების ხელით. სიის კითხვისას აქშინდა.

ჰაჯეტ ლაშემ სათითაოდ დაუსახელა სამეფო განძეულობა. როცა მონომახის ქუდი ახსენა, გენერალი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან და აღელვებული

მივიდა ფანჯარასთან. — ზურგს უკან მოკლე თითები ეკუმშებოდა და ეშლებოდა...

— თქვენო მაღალაღმატებულებავ, სტოკჰოლმში, რესტორანში საკუთარი ყურით გავიგონე, ბოლშევიკების კურიერმა ლევი ლევიცკიმ სიმ[illegible] როგორ დაიტრაბახა მეორე ბოლშევიკთან, არდაშევთან,. მონომახის [illegible]ჯე და სავარძელში სამეფო სკიპტრითი და კვერთხით ვიჯექიო.. .რუსეთის რელიკვია ებრაელის თავზე!..

იუდენიჩმა მხრები ასწია და ისევ დაუშვა.

— მშვენიერია, ბატონო ჩემო... მათ თავიანთი მიეზღვებათ... (ზურგს უკან თითები აათამაშა.) სასტიკად მიეზღვებათ..

— ამ წმიდათაწმიდა ფასეულობათა გადასარჩენად მოკრძალებული გაანგარიშებით — თვალთვალისთვის, შენობების ,ავტომობილების დასაქირავებლად, იარაღის საყიდლად — ოცდახუთი ათასი კრონი გვჭირდება... ლიგა შუამდგომლობს, რომ ამ თანხითურთ ჩვენთან სამეთვალყუროდ სანდო პირი გამოგზავნოთ...

გენერალი ისევ ჩაჯდა სავარძელში, ქონმოდებულ შუბლს ნაოჭი უსერავდა.

— უნდა მოვიფიქრო... ეს ფრიად საჩოთირო საქმეა... ევროპის დედაქალაქში საკუთარი საშუალებებით ანგარიშის გასწორება!.. ჰმ... ჩვენ ხომ ვიცით, ვისგან ვღებულობთ და რას ვღებულობთ, მაგრამ მეტისმეტად წესიერი ევროპელები!.. თქვენ ფიცხი ხალხი ხართ, ძვირფასო, იქ ერთი-ორ ებრაელს სულს გააფრთხობინებთ... თანაც კიდევ ოცდახუთი ათასი... ჰმ.

ოცდახუთი ათასი კრონის ხსენების წუთიდანვე გენერალი თეჯირისკენ იხედებოდა ხოლმე, სადაც ქონი შიშხინებდა და მისი სუნი ტრიალებდა. ლაშემ შუბლზე ხელისგული გადაისვა და რბილად, გულწრფელად უთხრა:

— პეტროგრადის აღებამდე რჩება სამი, ვთქვათ, ორი თვე... მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზას ვერ ვხედავ თქვენი ქაღალდის ფულის მხარის დასაჭერად, თქვენო მაღალაღმატებულებავ...

გენერალმა თეჯირს თვალი მოაცილა და ყურები ცქვიტა:

— კავშირს ვერ ვხედავ.

— თქვენ გახსოვთ პროვოკაციული შენიშვნა, რომ ინგლისელები უზრუნველყოფენ თქვენს ფულს, რომელიც ჰელსინგფორსში იბეჭდება? შენიშვნა ლევი ლევიცკის, არდაშევისა და ბისტრემის კომპანიისა. ერთი მათგანი ლიგამ მოსპო... უკანასკნელ დღეებში ჩვენთვის ცნობილი გახდა — და ეს ერთ-ერთი მიზეზთაგანია რეველში ჩემი ჩამოსვლისა, — რომ ინგლისის სახელმწიფო ბანკი დღეს თუ არა ხვალ გამოაქვეყნებს — ამ ცნობას უარვყოფო... ჰოდა, თქვენო მაღალაღმატებულებავ, თვით მაღალი ღმერთი ვერ გიხსნით ქაღალდის ფულის ინფლაციისგან, კატასტროფისაგან და ასე შემდეგ...

— ჩემი ფული, ბატონო პოლკოვნიკო ლაშე, რუსეთის სახელმწიფოს მთელი ქონებითაა უზრუნველყოფილი...

მაგრამ ამ დროს პოლკოვნიკმა ბეგ ჰაჯეტ ლაშემ თვალი კი არ ჩაუკრა რაღაც უხამსად — ცხვირგაფიჟვინებულ სახეზე ძარღვი არ შეტოკებია, — მხოლოდ თვალების ფერი შეეცვალა, თითქოს მხიარული ირონიით გაუნათდა ისინი.

— გამომგზავრებამდე ბირჟის ცნობილ მოღვაწეს დმიტრი რუბინშტეინს

ვესაუბრე. მან გულახდილად მითხრა, დიდი თამაშისთვის ვემზადებით, მაგრამ ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ფინური მარკა გაანადგუროს და თქვენი მაღალაღმატებულების მანეთი ასწიოს, თუ ფინური მარკა ასწიოს და თქვენი მაღალაღმატებულების მანეთი გაანადგუროს...

— აჰ, დახე! (გენერალმა მშფოთვარედ გაუხახუნა ზურგი სავარძლის საზურგეს.) რის საფუძველზე ეკიდება რუბინშტეინი უნდობლად ჩვენს მანეთს?

— თქვენს მანეთს კი არა, რუსეთისას... ევროპის ბირჟას რუსეთი დიდი ხნით გაკოტრებულად მიაჩნია. რუსეთის გაკოტრება მსოფლიო პრობლემაა. რუსეთის ვალები, დავალიანება საგარეო სესხებით, მრეწველობის, ტრანსპორტის, შახტების, ნავთობის კოშკურების, სოფლის მეურნეობის დანგრევა უზარმაზარი პასივია. რუბინშტეინის ანგარიშით იგი ას მილიარდ ოქროს მანეთს შეადგენს (გენერალმა დაიჯიყჯიყა). აქტივია მხოლოდ მომავალი მტკიცე ძალაუფლება. მოკავშირეებს მისი იმედით შეუძლიათ გაიღონ ფული რუსეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად და შეუძლიათ არც გაიღონ.. მაგრამ ჯერჯერობით რუსული მანეთი —თუნდაც ძლევამოსილი თეთრი ხიშტის წვერზე მოფრიალე, — ბოთლის იარლიყზე ძვირი არ ღირს...

— მაშ, მაშ, — თქვა იუდენიჩმა, — აჰა, დახე! მაგრამ თუ პეტროგრადს დავაშოშმინებ?

— ეს უკვე ბევრია.. .მაგრამ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ფული ახლაა საჭირო... რუბინშტეინს ვთხოვე, რამდენიმე დღე მოეცადა... თუ ვეტყვი, რომ თქვენს ხელთ ნახევარი მილიარდის ღირებულების სავალუტო ფასეულობანი იქნება, რა თქმა უნდა, მერყეობას არ დაიწყებს, რომელი აირჩიოს, მანეთი თუ ფინური მარკა.

გენერალს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, ყველაზე მეტად მიტკა რუბინშტეინის ამბავმა შეაშინა. მაგრამ არც ოცდახუთი ათასი კრონის გაღება იყო ადვილი. ჰაჯეტ ლაშეს უთხრა, მინდა მომარაგების უფროსს გენერალ იანოვს მოველაპარაკოო, და სთხოვა ფულის საკითხი ხვალამდე გადაედო.

ჰაჯეტ ლაშემ გადაწყვიტა მთავარსარდალი დანარჩენი საგანგებო საკითხებით არ შეეწუხებინა და გენერალ იანოვს, გენერალ იუდენიჩის მარჯვენა ხელს ეწვია მთელი თავისი მისიით. (რეველში მან თან ჩამოიყვანა ლევანტი, ვოლდემარ ლარსენი — დანიელი კომერსანტი და ლიგის ოთხი შვედი ოფიცრიდან ერთ-ერთი.)

გენერალი იანოვი ნასადილევს „ზარხოშად“ იყო და სტუმრებს დიდის ამბით შეხვდა. დენშჩიკმა კონიაკი და ყავა „გააიმასქნა“. მიუსხდნენ დივნის მაგიდას. გენერალს სიჯანსაღე და ოპტიმიზმი ეწერა სახეზე .ამაზე მეტყველებდა მისი გადაგრეხილი ულვაში, ღაბაბი, დაბალ შუბლზე მოძრავი წარბები, გახსნილ გიმნასტურაზე გენერალ-მაიორის რბილი სამხრეები, მუსუსის მოკლე ლონიერი ბარძაყები. ის მაშინვე კარგ გუნებაზე დადგა და სტუმრებს საუცხოო პაპიროსი შესთავაზა:

— თამბაქო ნამდვილია — ომამდელი მესაკსუდი... ერთმა ტიპმა მოახერხა პეტროგრადიდან ნახევარი ვაგონი ეს თამბაქო გამოეტანა და ჩვენთან მოაგდო შეტევის დროს... სინდისს ვფიცავარ, გენიოსია!.. აი, ეს (პლუშგადაკრულ დივანზე დაგდებულ საქაღალდეს დაჰკრა ხელი) სულ მისი პროექტებია... აქ ძეხვიცაა პეტროგრადისთვის, შეშაც და კარტოფილიც, ორმოცდაათი ამერიკული აეროპლანიც. როგორ ახერხებს ასეთი ფასების დადებას, — საქონელი ოცდა

ათი პროცენტით იაფი ჯდება, — გაოცებული ვარ... ირწმუნება, წმინდა პატრიოტიზმის გულისათვისო, სინდისს ვფიცავარ...

ჰაჯეტ ლაშემ თქვა, პატრიოტები ნამდვილად გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ჩანს, იმ მიზეზით, რომ ჭეშმარიტი პატრიოტი არ ხმაურობს და არ ყვირის; მაგრამ მოკრძალებულად და შეუმჩნევლად საქმეს აკეთებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ამ დროს რაღაც ჩაიდოს ჯიბეში, თუნდაც ერთი ფიორი, მიშველი იდეის გარდა ხომ რაღაც მატერიალური „სტიმულია“ საჭირო. მართალს არ ვამბობ?

— სტიმული! სავსებით სწორია, პოლკოვნიკო...

— ჩვენც ხალხნი ვართ, თქვენო აღმატებულებავ...

— სავსებით სწორია, პოლკოვნიკო...

სუფთად ჩაცმულმა დენშჩიკმა, ვითომ ბოთესავით რომ საქმიანობდა, ყავა შემოიტანა, გახსნა კონიაკი, გენერალმა იანოვმა მის გადასლექილ ქოჩორზე, აპრეხილ ცხვირზე, ხშირ-ხშირად მოხამხამე ქერა წამწამებზე მიუთითა და ბოხი ხმით თქვა:

— აი, რუსული სიფათი, ცხავით არ დაიფარება, მაგრამ დაელაპარაკეთ. აბა, ვდოვჩენკო... განსვენებულ ხელმწიფე-იმპერატორის დროს კარგად ცხოვრობდი?

ვდოვჩენკო გაიჯგიმა, თავი ასწია და დაიღრიალა:

— ნამდვილად, თქვენო აღმატებულებავ.

— ყოჩაღ... აბა, თქვი ერთი, შენა, რევოლუციის მიერ განთავისუფლებულო ხალხო, რას გააკეთებ პირველ რიგში, როცა იარაღით შეხვალ პეტროგრადში?

— არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ...

— მიპასუხე, რეგვენო...

— რას და ხიშტზე ავაგებ, ავჩეხ ბოლშევიკებს, ურიებს, კადეტებს და ყველა ანტილიხენტებს...

გენერალმა ხელები გაშალა:

— ფარ-ხმალს ვყრი, ბატონებო... რა უნდა ვუყო ამ ხალხს! მისმინე, ვდოვჩენკო, ტროგლოდიტო, აბა, აქ რომ ჩვენი მინისტრები — მარგულიესი ან გორნი მსხდარიყვნენ და შენ ასეთი რამ წამოგეყრანტალებინა... ხომ შემჭამდნენ, რეგვენო! (გენერალმა ძაღლის ძვალივით მაგარი კბილები დაკრიჭა და დაიბუხუნა.) ცოცხლად შემჭამდნენ... დაიკარგე აქედან, შე მუჩუჩო, შენა!.. (დენშჩიკი ნახევრად შებრუნდა და ცხენივით ბრახაბრუხით გავიდ.) დიახ, ბატონებო, უბედურება სჭირთ ჩვენს ლიბერალებს... მეოცნებენი, რაკი ინტელიგენტები არიან... არაფრად აგდებენ რეალურ ცხოვრებას.... ინებეთ ყავა, ბატონებო, კონიაკი...

ჰაჯეტ ლაშემ ენა აიდგა, კონიაკი რომ შესვა.

— ლიბერალიზმი, როგორც ოპოზიცია, კრედიტის საწინდარია... — თქვა მან. — ჩვენში, რუსეთში ხშირად არ ესმით, რომ პოლიტიკური ზრდილობიანობა გულწრფელობაზე უფრო ძვირფასია. ჩვენ ჯერ კიდევ ბარბაროსები ვართ, ბოდიში ამ სიტყვისთვის, გენერალო...

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, ძვირფასო.

— ჩვენი მეგობარი მოკავშირეები არ უნდა ვაიძულოთ უხერხულობისგან იჭმუხნებოდნენ. ბატონებო, იგივე კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი, ჩერჩილი ხომ რო-

დისლაც საქმიან კაბინეტს ტოვებენ და სასადილო მაგიდას ტურფა ქალებთან ერთად უსხდებიან. ნუ დავუსვრით ამ ხალხს თავიანთ საკუთარ ფერანგებს.. ლიბერალი მინისტრები, მარგულიესები და გორნები, — ეს ის პატარა კომფორტია, რასაც ზრდილობიანად გვთხოვენ, და, მერწმუნეთ, ძვირფასო გენერალო, ამ წვრილმანებს ხანდახან უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე სამხედრო წარმატებებს...

გენერალ იანოვს ბოთლისფერი თვალები დაეჭყიტა, ოდნავადაც არ ახამხამებდა, და გაკვირვებით უსმენდა პოლკოვნიკ ლაშეს. დალახვროს ეშმაკმა — ევროპელიაო! ხელი გაიწოდა სირჩისკენ, დალია, თავი გააქნ-გამოაქნია:

— დიახ... პოლიტიკა... მოგეხსენებათ, პარიზიდან სავინკოვს გვაჩეჩებენ. სოციალისტს, ბომბის მსროლელს. არა, ბატონო, პარდონ. შეიძლება რაღაც არ მესმის, მაგრამ, ღმერთმანი, ჩამოვახრჩობ.. და საერთოდ... (ზედმეტი რომ არ წამოეროშა, კიდევ ერთი სირჩა გადაჰკრა) და მაინც რამ მოგიყვანათ, ,ბატონებო, ამ ჩვენს ჩუხონურ ხვრელში?

შვედ ოფიცერ იოჰან ჰენზენს, ვეებერთელა ბალღს რომ ჰგავდა, დანიელ კომერსანტს ვოლდემარ ლარსენს, რომელსაც დონდლო მუცელი, პატარა თავი და წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა, რუსული არ ესმოდათ, მაგრამ ღირსებით, მოთმინებით იღიმებოდნენ და ზრდილობიანად წრუპავდნენ კონიაკს. ჰაჯეტ ლაშე საქმეზე გადავიდა. ხელი გაშალა და გენერალს სკანდინაველებზე ანიშნა:

— ძვირფასო გენერალო, თქვენ წინაშეა იმ ძველი ვარიაგების შთამომავალნი, რომელთაც რუსებმა ოდესღაც უთხრეს: „ჩვენი მიწა დიდია და ბარაქიანი, მაგრამ წესრიგი არ გვაქვს“.. (ლაშემ ეს სიტყვები დანიურად გადათარგმნა. ყველამ გაიცინა, ჭიქები მიუჯახუნეს ერთმანეთს.) მე ვშუამდგომლობ მათ ლიგის ინტერესების გამო, ძვირფასო გენერალო. ჰენზენი და ლარსენი ჩვენი აქტიური თანამშრომლები არიან, მხურვალედ უყვართ რუსეთი და ამ შემთხვევაში უფრო იდეური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე პირადი გამორჩენით. მაგრამ — ოი, ადამიანის ბუნების არასრულყოფილებავ,— მარტო ნათელი იდეებით ვერ გაძღები... კონკრეტულად წინადადებანი ასეთია, ლეიტენანტ იოჰან ჰენზენს ფსკოვისა და გდოვის სელი აინტერესებს.

— აჰა, — ბოხი ხმით თქვა გენერალმა იანოვმა. — წარმომიდგენია.

— ლეიტენანტ ჰენზენს სურდა კონცესია გაეფორმებინა სელისა და კანაფის გატანაზე არა მეორე ხელიდან — ესტონელი შემსყიდველებისგან, არამედ უშუალოდ რუსეთის საინტენდანტოდან. პირობები მეტისმეტად ხელსაყრელია —საერთო ამონაგებიდან ათი პროცენტი საინტენდანტოსია. და ვალდებულებანი: ხელშეკრულების დადებისას ჩრდილო-დასავლეთის არმიაში მოვა ოთხი ათასი მოხალისე, შვეციის საუკეთესო მსროლელნი, რომელთაც ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ თავისუფალი მიწები უნდა მისცის დასასახლებლად.

გენერალი იანოვი ფრჩხილებს ყურებდაცქვეტილი უკაკუნებდა მაგიდაზე.

— დალოცვილი იდეაა. შეიძლება დაუფიქრდე...

— მეორე ეხება ჩემს მეგობარს, რუსეთის ფანატიკოსს, ვოლდემარ ლარსენს. (ლარსენმა ცხვირწაწვეტებული პატარა სახე მეგობრულად დააქნია.) ბატონი ლარსენის წინადადებაა საკონცესიო ხელშეკრულება დადოს ოცდახუთი წლის ვადით იმაზე ,რომ გადაეცეს პეტროგრადის საქალაქო მეურნეობა — წყალსადენი, ტრამვაი, ელექტრობა და ტელეფონი. პეტროგრადის აღების

დღეს ლარსენს შემოაქვს პირველი ფულადი ავანსი, მაგრამ არმიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მზადაა ახლავე მოაწოდოს საინტენდანტოს საუკეთესო ხარისხის ათასი ტონა ქერი; ნახევარ ღირებულებას გადაიხდით რუბლით, ნახევარს — ფინური ფულით... აი, ზოგადად... ერთსაც და მეორესაც მიაჩნია, რომ მომარაგების სამინისტროს გვერდის ავლით, ესე იგი პირადად თქვენთან ლაპარაკით. მოკლე გზით მიდიან მიზანთან. ბატონი ლარსენი და პენზენი აღტაცებულნი იქნებიან მეგობრობა ნივთიერი კავშირით განმტკიცდეს..

ლაპარაკის ევროპულ ყაიდას გადაჩვეული გენერალი იანოვი სულიერ დაძაბულობას გრძნობდა, თვალებში სისხლი მოაწვა.

— მთავარსარდალს მოვახსენებ... უნდა გითხრათ, იგი შეშფოთებულია განსაკუთრებული ანგარიშუგებელი საიდუმლო ფონდის შევსების საკითხით..

— დიახ, დიახ, კონტრდაზვერვისა და სხვათა თანხები...

— სწორედ, სწორედ... ამ ბატონებს გულახდილად უთხარით, ასე ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში სასურველია, საიდუმლო ფონდი მხოლოდ ამერიკული ან ინგლისური ვალუტით შეავსონ... ჩვენ, ასე ვთქვათ, შევთანხმდებით. მე, ასე ვთქვათ, ხელწერილის გარეშე მივიღებ, ხელშეკრულებებსაც გავაფორმებთ... გენერალი იუდენიჩი სწორედ ასე იტყვის, დარწმუნებული ვარ — გენერალ იანოვმა ამოიქშინა, აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, ულვაშებზე გადაისვა და უკვე შეებით დაიღრიალა: — ჰეი, ვდოვჩენკო! ბუფეტში გაფრინდი, — ორი ბოთლი შამპანური და ნუშის ნამცხვარი...

40

მთელი თავისი მისიით ნომერში დაბრუნებულმა ჰაჯეტ ლაშემ მინერალური წყალი მოითხოვა და ერთხანს დაძაბულად დააბიჯებდა, ზურგს უკან ხელზე ხელი მოეჭირა. მისიის დანარჩენი წევრები ისხდნენ.

— სელის, პეტროგრადის კონცესიისა და ძეხვის საქმე გაჩარხულია... გაიძვერა იანოვს ხუთას დოლარს ჩავჩრით, იუდენიჩს — ათას ხუთასს... (ვოლდემარ ლარსენმა მძიმედ ამოიოხრა.) მაგრამ ლიგისთვის საჭირო კრედიტების საქმე უფრო ცუდადაა, დიახ, უფრო ცუდად... არ მომეწონა მთავარსარდალი — წვრილმანი კაცია, სულელი, ზარმაცი ხოხოლი... კავკასიაში ამ არწივმა ბევრი ვალუტა მოხვეტა ქურთების მიწების გაყიდვით და ტყუის — ბოლშევიკებს მისთვის მისხალი არ ჩამოურთმევიათ, ყველაფერი საზღვარგარეთ გაიტანა. მეფის განძეულობის ამბავმა მასზე ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ როგორც კი ოცდახუთი ათასი კრონი ვახსენე, სულიერად დაეცა... თვალთახედვა სულ არა აქვს...

იოჰან პენზენმა ზიზღით თქვა:

— თფუ!.. (პირში სიგარა ჩაიდო, კვამლი ჭერისკენ გაუშვა და ისევ გამოიღო სიგარა. შემდეგ უფრო მეტი გაკვირვებით.). ფუ!

ვოლდემარ ლარსენი უფრო გონებაგამჭრიახი იყო და ფრთხილად შენიშნა:

— იქნებ ბატონ მთავარსარდალს უფრო უტყუარი წყაროები აქვს სამეფო განძეულობის ადგილსამყოფლის შესახებ?

ლაშე მოწყვეტით შედგა. გააფთრებით შეხედა ლარსენს:

— ეს ისე უნდა გავიგოთ, როგორც ლიგის ოპერატიული განყოფილებისადმი უნდობლობა?

— ღმერთმა დამიფაროს, უნდობლობა, არა... (ლარსენის წაწვეტებული ცხვირი ანდერსენის ზღაპრების გულთბილობით აიწია ლაშეს გამანადგურებელი მზერის პასუხად.) ჯარისთვის ქეხვსა და პეტროგრადის კონცესიის უფლებას ფულის სუნი ასდის, ბატონო პოლკოვნიკო... მეფის განძეულობას კი ჯერ კიდევ არა, აი, როგორ უნდა გაიგოთ ჩემი აზრი...

ვოლდემარ ლარსენს ცხვირი, როგორც უბოროტო ხუმრობისას, ოდნავ განზე მოექცა, საფეთქლებზე კეთილი ნაოჭები დააჩნდა. ალექსანდრ ლევანტმა (პაჯეტ ლაშეს თანდასწრებით რომ ჩვეულებრისამებრ დუმდა) მკაცრად თქვა:

— ჩვენ არ ვიცინებთ, სწორედ თქვენ მიიღოთ პეტროგრადის მეურნეობის კონცესია. ჩვენთვის ცნობილია თქვენი ანგარიშების მდგომარეობა — ძლივს გაგწვდათ ფული მყრალი ქეხვის შესაყიდად. კონცესიის უფლებას მე ვიღებ.

პაჯეტ ლაშემ ფეხები გაჩაჩხა, ხელები ჩოხის ჯიბეებში ჩაიწყო და ტუჩებგადმობრუნებულმა ვოლდემარ ლარსენს პირში მიახალა:

— ლიგა თვალს ხუჭავდა თქვენს სპეკულაციებზე... თქვენ არ გსურთ გვენდოთ, ალბათ მეტისმეტად ჩქარობთ ჩამოგვიშოროთ... ჩვენც ფრთხილად ვიქნებით, ბატონო ვოლდემარ ლარსენ... ნებას არ მოგცემთ ხელი მოაწეროთ ქეხვის წინასწარი გაყიდვის ხელშეკრულებას, ვიდრე წესდების პირველ პარაგრაფს არ შეასრულებთ: ლიგის სალაროში მთელი თანხის ოც პროცენტს, ესე იგი, ორას ორმოცი ათასს არ შეიტანთ... ანდა თქვენს აყროლებულ ქეხვს ზღვაში მოისვრიან ფინელები...

ვოლდემარ ლარსენი სავარძელში ჩაეფლო, დონდლო მუცელი გამოზზიკა, ქუთუთოები დახუჭა. არაფრით არ ეგონა, თუ ამ ბანდიტებმა — ლევანტმა და ლაშემ იცოდნენ, რა შავ დღეში იყო ქეხვის გამოისობით. ორი თვის წინათ ქეხვი საროფიანად შეისყიდა ჰუვერის ამერიკული კომისიისგან (ამ კომისიამ ევროპაში მიჩურთ-მოჩურთა ღორის ხორცის ნაწარმი — მსოფლიო ომის მარაგი), მაგრამ ქეხვი ისე ყარდა, ბერგენში სანიტარული შემოწმებისას ბრძანეს, დაეწვათ. ლარსენი იძულებული გახდა დატვირთვისა და ფრახტის ფული გადაეხადა და ახლა ქეხვით დატვირთული იალქნიანი გემი ღუზაზე ირწეოდა ჰელსინგფორსის ნავსადგურში.

— ათ პროცენტს ვიხდი ჩრდილო-დასავლეთის მთავრობასთან წინასწარი გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერისას და ათს — ქეხვის ჩაბარებისას, — მილეული ხმით თქვა ლარსენმა. — სულ ესაა, რისი გაკეთებაც შემიძლია, მაგრამ კონცესია მე მეკუთვნის, ბატონებო, მე ამას დაჟინებით მოვითხოვ...

ლევანტმა და ლაშემ ერთმანეთს გადახედეს და დათანხმდნენ. საუბარი კვლავ მეგობრულად წარიმართა. შვიდ საათზე ლევანტი და ლაშე ერთი სართულით მაღლა ავიდნენ, განათლების მინისტრ კედრინის ნომერში, რათა (მესამე საგანგებო საქმეზე) პრემიერ ლიანოზოვს შეხვედროდნენ.

41

მთავრობის მარცხენა ფრთას თუ ეკუთვნოდი, ეს გავალებდა ბევრი და კარგად გელაპარაკა. ჩრდილო-დასავლეთის მთავრობის მინისტრები მავანის ნო-

ბერში იკრიბებოდნენ, სვამდნენ ჩაის, უზღვავ პაპიროსს ეწეოდნენ და მრავალ-ტანჯული რუსეთის, მისი საუკეთესო ნაწილისა და ტვინის — რუსი ინტელიგენციის წინაშე ისტორიის მიერ დასმულ მეტაფიზიკურ პრობლემებზე საუბრობდნენ. მოღვაწეობის პრაქტიკული მხარე მათ ნაკლებ აინტერესებდათ, ვინაიდან კონსტიტუციური თავისუფლების დიადი იდეების გამოსაყენებლად ტერიტორია პატარა იყო, ხოლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი (ფსკოვისა და გდოვის გლეხები) ფბირნი, ისინი მხეცებს ჰგავდნენ და წერა-კითხვა არ იცოდნენ. გარდა ამისა, მთავარსარდალი იუდენიჩი და მთელი მხედრიონი სამოქალაქო ლიბერალებს პრაქტიკულ საქმიანობას არ აკარებდნენ: „იყო თქვენი არამზადული დრო, ლეზვიანო მწიგნობარნო, იყო თქვენი მეფე — საშკა კერენსკი და ერთი დუჟინი ბოლშევიკების ჩამოხრჩობა კი ვერ შეძელით...“

ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგები მინისტრებს სიმპათიურად ეკიდებოდნენ, ყურადღებას იჩენდნენ მათდამი (კონსერვებით, თამბაქოთი, ტანსაცმლით, სასმელებით), მაგრამ ამჯობინებდნენ პრაქტიკულ საკითხებზე იუდენიჩთან და მის შტაბთან ჰქონოდათ საქმე. მინისტრებს ერთი იმედი ედოთ გულში — როცა იქნება უხეში ძალის ხელისუფლებას ბოლო მოეღება და ჰუმანურობისა და თავისუფლების მზე ამოვა დამფუძნებელი კრების გუმბათზე... ო, თავრიდის სასახლის სვეტებიანი დარბაზის მუქი-ყავისფერი გაკრიალებული ტრიბუნები, სიტყვების ბრწყინვალება და ოვაციების ჩანჩქერი!.. ო, კულუარები მხიარული და გონებამახვილური პოლიტიკური მიეთმოეთობა. — ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, მოხდენილი ქალები! ო, საკუთარი ავტომობილები, ხალხის რჩეულებს რომ პეტროგრადის ფართო ქუჩებში მიაქროლებენ!

საოცრად ჩახუთულ ოთახში ოვალური მაგიდის გარშემო წითელპლუშიან სავარძლებში ჩამსხდარი ხუთი მინისტრი განათლების მინისტრ კედრინს უსმენდა. კედრინი ტანმორჩილი იყო, დაბალ დივანზე რომ იჯდა, ფეხს ქვეშ იკეცავდა ხოლმე. ღია ფერის თბილი შარვალი ეცვა და მოხუცის შესაფერად ხალვათი ძველებური სერთუკი, დაღეჭილი ქაღალდივით ფერმიმქრალი და ჭაღარით დაფარული სახე, გაჩეჩილი თეთრი თმა, უძილობისა და ნიკოტინისგან ანთებული თვალები ჰქონდა. გულის ანგინისა და დროდადრო ბრონქული ხველების მიუხედავად ფიცხი და დაუცხრომელი კაცი გახლდათ. მისავათებული მინისტრები ძლივძლივობით უსმენდნენ. კედრინი ამბობდა:

— მერეჟკოვსკი იძლევა მხოლოდ ორ შემადგენელ სილოგიზმს, დიადი სამკუთხედის ორ ხაზს, უსასრულობაში გაფრენილ ორ ხაზს — ქრისტეს და ანტიქრისტეს... ის მხოლოდ კითხვას სვამს. მერეჟკოვსკი — ეს საკითხის მთელი უგუნურებაა, მერეჟკოვსკი — ეს ჩვენა ვართ — რუსი ინტელიგენცია. სლავოფილობა და მედასავლეთეობა... სოფელი და საფაბრიკო ქალაქი... ევროპა და აზია. ცხრაას ჩვიდმეტ წლამდე ჩვენ ვგრძნობდით, რომ ისტორიულად განწირულნი ვიყავით, რომ მესიანობა გვეკისრა... დიახ, რუსეთს მესიას ვუწოდებდით... რუდოლფ შტაინერიც თოთხმეტი წლის გაზაფხულზე ჰელსინგფორსში ამაოდ როდი ლაპარაკობდა რუსეთის საბედისწერო განწირულობაზე, რუსეთისა, რომელსაც წილად ხვდა მსოფლიოს ხსნა, ხსნა თავისი სხეულით და სისხლით... ბატონებო. ახლა ჩვენ ვიცით ეს მესამე შემადგენელი სილოგიზმისა, ჩვენ ვკრავთ ტოლფერდა სამკუთხედს. ეს მესამეა: მსოფლიო ბოლშე-

ციზმი, რომლის დემონურ უფსკრულებში იბადება მსოფლიოს ხსნა — წმიდათაწმიდა თეთრი მოძრაობა. მისი სიმბოლოა გიორგი ძლევაშემოსილის მზის აბჯარი; მისი თეთრი ცხენის ფლოქვებქვეშ გველეშაპია გართხმული. ეს ანტიქრისტეა, ბოლშევიზმია, მხრებზე მოსხმული მეწამული — [illegible] — ლაბადა რევოლუციის ქარიშხალს დაჰფრიალებს (სულის [illegible], [illegible] ხელები. ჩაის კოვზების რაწკუნი და თამბაქოს კვამლის ბოლქვები.).

მე ციტატები მომყავს ნიკოლაი ალექსანდროვიჩ ბერდიაევის შესანიშნავი წიგნიდან. ამ წიგნს ყოველი თეთრი ჯარისკაცის ზურგჩანთაში ჩავდებდი. ბოლშევიკები საბრძოლველად რომ მიდიან, „ინტერნაციონალს" მღერიან და სწამთ სოციალიზმი... ჩვენ მათ ჩვენი იდეა უნდა დავუპირისპიროთ — მასებისათვის გასაგები იდეა, იდეა გიორგი ძლევამემოსილისა, იდეა თეთრი მოციქულისა, რომელიც მსოფლიოში ანტიქრისტეს ამარცხებს... მე მესმის, ბატონებო, ირონიული ხმები: ჩვენ ჯერჯერობით რუსეთის მხოლოდ ორ მაზრას ვფლობთ, ჩვენ ჯერ კიდევ ვემზადებით, რომ პეტროგრადს შევუტიოთ, ჩვენ, რუსული კულტურის წარმომადგენლებს, არა გვაქვს რეალური ძალა, ჩვენ ჰაერში ვიქნევთ მუშტებს, ჩვენ ძლივს გვიტანენ, პეტროგრადის აღების დღეს გენერალი იუდენიჩი შეეცდება ტრამვაის ბოძებზე ჩამოგვკიდოს... ყველაფერი ეს ასეა... მაგრამ მდგომარეობა, მიუხედავად ამისა, თუ გნებავთ, მით უფრო გვავალებს დავსვათ მსოფლიო წესრიგის საკითხები...

განათლების მინისტრმა კედრინმა ქვემოდან დაბუჟებული ფეხი გამოიღო და მყის მეორე შეიყო. ქაღალდისფერი სახე გონებრივი აგზნებისაგან არ უვარდისფერდებოდა, მხოლოდ უფრო ძლიერ უბზინდებოდა. მტვრიანი სერთუკით მოსილ ამ უღონო სხეულში მოთავსებული სული იდეების კორიანტელს აფრქვევდა.

— ჩვენ უნდა შევქმნათ და სათავეში ჩავუდგეთ ბოლშევიკური დოქტრინისა და მისი პრაქტიკული გამოყენების თეორიულად და პრაქტიკულად შემსწავლელ საერთაშორისო კომისიას. გადაჭრით უნდა უარვყოთ მოარული აზრი, რომ ბოლშევიკები სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან. ესაა თვით ბოლშევიკების ერთ-ერთი პროვოკაცია: ისინი ადუნებენ ჩვენს ყურადღებას, სურთ შეუმჩნევლად მოგვეპარონ, რათა მოულოდნელად წამოგვადგნენ ანტიქრისტეს მთელი სიმაღლით... დიახ, ჩვენ საქმე გვაქვს ანტიქრისტიანობასთან და ანტიკულტურასთან... კომისიის ამოცანაა: პირველი — ბოლშევიზმი შეისწავლოს ისტორიულად, სოციალურ მოაზროვნეთა მეცნიერულ და მეტაფიზიკურ შრომებში მოძებნოს მისი ფესვები... პირადად მე ეჭვქვეშ ვაყენებ ძირითად წყაროს — ჟან-ჟაკ რუსოს. ვთქვათ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელმა ახალგაზრდა ბურჟუაზიამ ფრიგიულ ჩაჩთან ერთად შუბის წვერით აიტაცა მისი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება". რუსო გახლავთ სულიერი ბარბაროსის ამბოხება თვრამეტსაუკუნოვანი ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ. რუსოს წიგნები წინასწარმეტყველებს რობესპიერული ტერორის სისხლს. ფურიე, სენ-სიმონი, მთელი რიგი უტოპისტებისა — იგივე ტენდენციაა ჰუმანიზმიდან გამოთიშვისა. მეორე ამოცანა — კომისიამ ბოლშევიკებზე უნდა შეკრიბოს ამომწურავი ობიექტური მასალა, მოპოვებული საგამომძიებლო ხელისუფალთა და სასამართლო განაჩენების მიერ. ამისათვის, მესამე — კომისიამ მთელი სიგრძე-სიგანით უნდა მოამზადოს სისხლის სამართლის სასამართლოების ქსელი და პროკურატურაში მიიზიდოს უცხოელი სპეციალისტები,

რათა ბოლშევიკებს მსოფლიო სასამართლო პროცესი მოუწყოს... ასეთია, ბატონებო, ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანები. მათი შესრულებით ჩვენ შევქმნით პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ბოლშევიკების წინააღმდეგ არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, ჩვენ თვალს ავუხელთ, — და ჩვენ მოწოდებულნი ვართ სამისოდ, — თვალს ავუხელთ ბეც ევროპელ პოლიტიკოსებს და ვაჩვენებთ უდიდეს საფრთხეს, როგორიც კი ოდესმე ემუქრებოდა მსოფლიოს, გველეშაპს, პროლეტარიატს რომ ტკბილ სიცრუეს ჩასჩურჩულებს შეუძლებლის შესახებ, გველეშაპს, რომელსაც მხოლოდ თეთრი ცხენის მისტიკური ფლოქვები გასრესს...

როცა ნომერში ჰაჯეტ ლაშე და ლევანტი გამოჩნდნენ, დაქანცული მინისტრები ამ შესანიშნავი მოხსენების კრიტიკული გარჩევის უკანასკნელ ფრაზებს წარმოთქვამდნენ. ნავთობის ყოფილი მეფე ლიანოზოვი (იგი გაფრთხილებული იყო, რომ ეწვეოდნენ) მაშინვე წამოდგა და ჰაჯეტ ლაშესა და ლევანტთან ერთად განაპირდა.

ლიანოზოვი იყო პატარა, დაქანცული კაცი, ტრამალის გამხმარი ბალახის ფერი პატარა წვერი და გულმოდგინედ დავარცხნილი გაყოფილი მეჩხერი თმა ჰქონდა.

მან ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა წრფელი პატიოსნებით მოღიმარი, სისხლსავსე ლაშე და ლევანტის გამხდარი ლაწვები, გატეხილი ცხვირი და ბანდიტის გამომეტყველება.

— გისმენთ, ბატონებო..

ჰაჯეტ ლაშე მინისტრის ძვირფას დროს მოუფრთხილდა და მოკლედ გააცნო თავისი თვალსაზრისი ამერიკული კომპანია „სტანდარტ ოილისა" და დეტერდინგის ინგლისის ნავთობის კონცერნის მსოფლიო ბრძოლის შესახებ. ლიანოზოვს გულწრფელად გამოუტყდა, რომ ამ ბრძოლაში — „რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს", — დეტერდინგის აგენტია, „რა თქმა უნდა, პირდაპირი ძნიშვნელობით არა". (ლიანოზოვმა დაქანცულად დაუქნია თავი, რითაც გამოხატა, რომ მიხვდა, რა მნიშვნელობითაც იყო ეს ნათქვამი...) მე, როგორც ჩემი საყვარელი კავკასიის მკვიდრი, როგორც რუსეთის იმპერიის აღდგენის ლიგის თავმჯდომარე და როგორც რუსი პატრიოტი, მტკიცედ ვდგავარ ინგლისის მხარეზე. მხოლოდ ინგლისელებს შეუძლიათ ბოლშევიკებს წაუჭირონ ყელში ხელი. მაგრამ ამისთვის საჭიროა ინგლისის ინტერესები მკვიდრად ჩაიფლოს რუსეთის ჭაობში. აქედან პირდაპირი გზაა იმისა, რომ დეტერდინგმა მხარი დაუჭიროს რუსული ნავთობის საბადოებს. დეტერდინგი ახლა უზღვავ ფულს იხდის ნავთობიან ნაკვეთებში. მაგრამ სამოქალაქო ომი ცვალებადია. ვინაა იმის თავდები, რომ ბოლშევიკები თუნდაც მოკლე ხნით კვლავ არ ჩაიგდებენ ხელთ ბაქოსა და გროზნოს; რომ უმაღლესი მმართველი კოლჩაკი ამერიკელებს რაიმე განსაკუთრებულ კონცესიებს არ მისცემს; რომ რევოლუციური მასების ზეგავლენით არ შედგება ეს წყეული კონფერენცია პრინცის კუნძულებზე, სადაც ამერიკა ადვილად მოელაპარაკება ბოლშევიკებს ნავთობზეო?

შემდეგ ჰაჯეტ ლაშემ სიტყვა მისცა ლევანტს. ისიც დაწვრილებით მოჰყვა ლონდონში დეტერდინგთან შეხვედრის, ჩერმოევისა და მანთაშევის მიერ ნავთობიანი მიწების გაყიდვის ამბავს და უჩვენა დეტერდინგის მიერ მისდამი მოწერილი წერილი, სადაც კონცერნ „როიალ დეტჩ შელის" მეთაური მადლობას უცხადებდა ლევანტს ხელშეწყობისათვის, გაკვირვებული იყო მისი უანგა-

რობით და თხოვდა, ჰაჯეტ ლაშე მომიკითხეო, თან ორჯერ გაკვრით მოიხსენებდა ლიანოზოვის სახელს. ეს წერილი ეტინგერის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ნამუშევარი იყო.

— ასე და ამგვარად, ჩემგან რა გნებავთ, ბატონებო? — ოდნავ შეშფოთებული ხმით იკითხა ლიანოზოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირადად ჩვენ არაფერი, ბატონო მინისტრო... — ლაშემ თავი დაუკრა და გულღიად, პატიოსნად, ყონაღური ღიმილით დაიდო ხელი ხანჯალზე. — თუ ჩემს სიტყვებს ჩაუფიქრდებით, ჩვენ უკვე ჩვენი ვალი აღვასრულეთ სამშობლოს წინაშე.

ლიანოზოვმა ატკივებული საფეთქელი მოისრისა:

— კარგი, — მიუგო ლაშეს. — სერიოზულად დავუფიქრდები თქვენს წინადადებას. მეწვიეთ ნომერში ნაშუაღამევს, მაგრამ ძალიან გვიან არა...

## 42

საღამოს ათისთვის ლაშემ და ლევანტმა ბოლოს და ბოლოს მოახერხეს მშვიდად, მარტოდ ესადილათ პატარა, წყნარ რესტორანში. ჰაჯეტ ლაშემ სიგარას მოუკიდა და სუფრაზე კბილსაჩიჩქნით დაიწყო თანხების შეჯამება:

— ...ექვსი თვის მანძილზე (ლიგის ჩამოყალიბება, შენობების დაქირავება, მიმოსვლა, წარმომადგენლობა და სხვა) დავხარჯე ათას ორასი ინგლისური გირვანქა, — შენ საფრანგეთში (ნალიმოვის ვალები, ქალების ტუალეტები, სევრის აგარაკი, მიმოსვლა, წარმომადგენლობა და სხვა) სამოცი ათასი ფრანკი. დოლარებზე გადაყვანილი საერთო პასივია ცხრა ათასი დოლარი. ამ ხნის განმავლობაში საერთო სალაროში არაფერი შემოსულა.

კიდევ იანგარიშეს. ხუთი წუთი აბოლეს სიგარები. ლევანტმა თავი გააქნია და თქვა:

— აჰა...

ჰაჯეტ ლაშემ ქედმაღლურად ჰკითხა:

— რა აჰა?

— ხმაურით ბევრს ვხმაურობთ, ხოლო...

— რა ხოლო?

— არა, ეგრე იყოს, შენ, რა თქმა უნდა, უფრო იცი... ფული ბოლოს და ბოლოს შენია, მაჰმად...

— სულელო, შეხედე, იანგარიშე...

ჰაჯეტ ლაშემ სუფრაზე კბილსაჩიჩქნით უეჭველი აქტივი შეაჯამა: გრაფ დე მერსის ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი („სკანდინავიის ფურცლის" შესაძენად), ამერიკელი ატაშეს ხუთი ათასი კრონი, იუდენიჩის ოცდახუთი ათასი კრონი, ჩერმოევისა და მანთაშევის ასი ათასი ფრანკი, ვოლდემარ ლარსენის ორას ორმოცი ათასი იუდენიჩისეული მანეთი და ლიანოზოვის მინიმუმ ორასი ათასი ფრანკი.

— იქნებ ლიანოზოვი ჯერჯერობით არ ვიანგარიშოთ? — მორიდებით ჰკითხა ლევანტმა.

— ეს ისეთივე ნაღდი ფულია, როგორც ყველა დანარჩენი.

ლაშე კბილსაჩიჩქნს კვნეტდა. ლევანტი სუფრაზე დაფხაჭნილ ციფრებს დასჩერებოდა:

— მაჰმად, არა გგონია, რომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, როგორც მე გეუბნებოდი, უბრალოდ სპეკულაციისთვის მოგვეკიდა ხელი, თუნდაც იმავე ამერიკული ღორის ხორცით დაგვეწყო?.. ლარსენი პირდაპირ [illegible] ქაღალდებს და ახალ-ახალი ფული შემოსდის... პოლიტიკა, იცი, სრულ[illegible] თამაში.

— ალექსანდრ, არაერთხელ გამიმეორებია შენთვის, ნამცეცა ხოჭო, გომბეშო ხარ-მეთქი... სპეკულაცია! მიმიფურთხებია ამ შენი პროცენტებისთვის, განსხვავებისთვის, ზედნადებებისთვის... ცხრა ათასი დოლარი გადავყარე, კიდევ გადავყრი და მილიონებს ავიღებ.

— მე შენი მესმის, მაჰმად... მაგრამ ჯერჯერობით ხომ მილიონები სიზმარია... მთელ ამ ციფრებშიც კი, — ლევანტმა სუფრაზე მიუთითა, — ამ აქტივში ყველაზე წინდაუხედავი კაციც ხომ ათ პროცენტ ნაღდ ფულს არ მოგცემს.

— ვირი ხარ შენ.

ლევანტმა მხრები აიჩეჩა. ერთხანს დუმდნენ. ლაშემ ბოთლი შამპანური მოითხოვა:

— ცუდია, ალექსანდრ, კაცს რომ ფანტაზია არა აქვს... აიღე მორგანი და ვანდერბილდი; საიდან გაუჩნდათ მილიარდები? მათი მილიარდები ძალუმი ფანტაზიის ნაყოფი გახლავს. ამ ხალხმა ისე მოიხმო მილიარდები, როგორც ფაუსტმა სატანა მაგიურ წრეში. მეც ზუსტად ასევე მოვიგონე მეფის განძეული.

— მოიგონე? აჰ, ასეც ვიცოდი! — ლევანტს ფერი წაუვიდა, ცხვირზე პატარა თეთრი წერტილები დააჩნდა. — კი მაგრამ, რისი იმედი გაქვს? უგუნურო!

— მე ისინი მოვიგონე, მე მათ ჩავიგდებ... მეფის ბრილიანტები, მონომახის ქუდი, კვერთხი და გვირგვინი — ეს ყველაფერი ამერიკელებისთვის, ფრანგებისთვის, იუდენიჩისთვის და ჩვენი ლიგის ვიგინდარებისთვისაა... მე კი სამოთხ მილიონ დოლარს ავიღებ. ისინი სტოკჰოლმში მელოდება... (ლევანტმა სული მოითქვა, ნაღვლიანად და იმედით შეხედა მეგობარს.) შენ მეკითხები, ამ ექვსი თვის მანძილზე რა გააკეთეო, სად მიაფშვნიტე ფულიო? აი, რა გავაკეთე: დიდი სახელმწიფოების სამხედრო მისიები, პრეზიდენტები და პრემიერები, ყველა კონტრდაზვერვა, ნავთობის მეფეები და მძიმე ინდუსტრიის ზობოლები, ბირჟები და სამხედრო ნაკრების სპეკულანტები — სუყველა დაინტერესებულია ამჟამად, რომ პოლკოვნიკმა ბეგ ჰაჯეტ ლაშემ, თუმცა იგი კეთილზნიანობის ყველა წესს არღვევს, ეს მილიონები აიღოს. თვით პოლიცია მომეხმარება სისხლის სამართლის ძარცვა ცივილიზაციისთვის წმიდათაწმიდა ბრძოლის აქტად ვაქციო, და ვერც ერთი რეგვენი ვერ გაბედავს ფულის ანგარიში მომთხოვოს. აი, რა გააკეთა ჰაჯეტ ლაშემ, — მე თავდაყირა დავაყენე მთელი მათი ზნეობრივი ურყეობა. უზრწყინვალესი სიუჟეტია წიგნისთვის...

— შენ ჭკუაზე იშლები, მაჰმად...

— მე „ოქროს მაგიდაზე“ ვთამაშობ, ამ თამაშს საიდუმლო პოლიტიკა ჰქვია... ხოჭოები, ლიფსიტები საბირჟო განსხვავებაზე ისვრიან ხელს: ას დო-

ლარს იშოვიან და ოთხკარატიანი ბრილიანტებისა და ლაქის წაღების საყიდლად გარბიან. მე მაგიდაზე მეფეებს და პრეზიდენტს ვეთამაშები.

— მაჰმად, მაჰმად, კისერს მოიტეხ...

პაჯეტ ლაშემ ქედმაღლურად ჩაიცინა. თვალის გუგები უფართოვდებოდა და გაქავავებოდა. გამოცდილი ლაქია, რომელმაც სხვანაირად გააგორა, პაჯეტ ლაშეს ალგზნება, მისი მხრის უკან დაიხარა და შესთავაზა, მაგიდასთან გოგოებს მოგიწვევთო. ლაშემ იგი ჯანდაბაში გაგზავნა...

— ერთი გრადუსითაც კი არა ვარ იმაზე გიჟი, ვიდრე ჟორჟ კლემანსო, პრეზიდენტი ვილსონი ან ვერტიკალური კონცერნების შემქმნელი ჰუგო სტინესია. მე თანამედროვე კაცი ვარ, შთაბეჭდილებიანი, ნერვებით გავიგე, რა არის თავხედობა... მსოფლიო ომის შემდეგ პირწმინდად იავარიქმნა მთელი ჰუმანიტარული, ბიურგერული კეთილზნიანი დურდო... იყავ ბოლომდე თავხედი, იყავ ბოლომდე ცინიკოსი.. იარე ადამიანთა გვამებზე, ძარცვა და ძალმომრეობა წესად გაიხადე და შენ ცხოვრების მეფე იქნები. შეიძლება ხანდახან გიჟს ვგავარ, მაგრამ არ დაივიწყო, რომ ყოველივე სხვასთან ერთად მსახიობიც ვარ. მე დამღალა ადამიანის სისულელის ერთფეროვნებამ, მოთხოვნილება მაქვს უფრო მძაფრი შეგრძნებებისა... გამიგე, ალექსანდრ? ზეგ სტოკჰოლმში წავალთ... საქმეს უნდა შევუდგე. ნუ გეშინია, შენ შენს კეფალს მიირთმევ პარიზში.

## 43

ბალ სტანესის სახლი წესრიგში მოიყვანეს, ყველაფერი დარეცხეს, დაწმინდეს, სასადილოში ხალიჩები დააგეს, ნათურებს აბრეშუმის აბაჟურები გაუკეთეს, ლარნაკებში შემოდგომის ყვავილები ჩააწყვეს. მარი სტოკჰოლმიდან ჩვეულებისამებრ გვიან ღამით ბრუნდებოდა დაღლილი და სტუმრების მაგიდებთან საწებლებით კუჰამოვსებული. იგი „გრანდ-ოტელში“ გამოდიოდა რუსულ რეპერტუარში, თან ერთგვარი წარმატებითაც. შინ ხშირად გრიმის მოცილება და ტანსაცმლის გამოცვლა ეზარებოდა და სასადილოში ნახევრად შიშველი, ვარდისფერ მხრებზე პუდრდაყრილი ჯდებოდა, შანსონეტის კაბასაც არ იხდიდა. ამ განთიადისწინა სერობაზე სვამდნენ შამპანურს, მაგრამ წინანდებურად გულღიად აღარ საუბრობდნენ, ნალიმოვის ხუმრობაც აღარ ისმოდა, ისე კი არ იყვნენ, როგორც დაუვიწყარ სევრში... „იქ მაინც საუცხოო იყო, გოგოებო! გახსოვთ ივლისი, ცაცხვები რომ ჰყვაოდა? სამზარეულოს ფანჯრიდან რომ ბარბოშის სიმღერები ისმოდა?“

განთიადისას ლილი მაგიდასთან იძინებდა, გაჩეჩილი თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი. მარი შანსონეტის კაბიანად იძინებდა დივანზე. ვერა იურიევნა ბარბაცით დაეხეტებოდა მდელოზე, სადაც ტბის თავზე შემოდგომის მზე იწვერებოდა, თივის ზვინში წვებოდა და შამპანურის ბუშტუკების მიერ შობილ უცნაურ ზმანებებში თვლემდა. ნალიმოვს ერთიანად გალეშილს პოულობდნენ სრულიად მოულოდნელ ადგილებში.

სადილობდნენ მდუმარედ, პირქუშად, ნაბახუსევზე სვამდნენ არაყს, ნასადილევს ცივ ტბაში ბანაობდნენ. საღამო ხანს მარი მიემგზავრებოდა. სტოკჰოლმში დღეგამოშვებით მიდიოდა ლილიც — ჰაჯეტ ლაშეს მოთხოვნით სას-

ტუმრო „გრანდ-ოტელში“ გამოაცხადა, ფრანგულ და ინგლისურ ენებს ვასწავლიო, ჯერჯერობით მისთვის სწავლა არავის უთხოვია. მაგრამ გარკვეულ დროს მაინც უწევდა ჯდომა სასტუმროს ჰოლში და ილუსტრირებული ჟურნალების თვალიერებაში ძლივს იკავებდა მთქნარებას.

ყველაზე მძიმე იყო უნაყოფო საათები, როცა ვერა იურიევნა და ნალიმოვი მარტო რჩებოდნენ ბალ სტანესში. ვასილი ალექსეევიჩი ცდილობდა განაპირებით ყოფილიყო — ხან მარტო წევდა პაპიროსს პარმაღზე, ხან მდელოებზე ფეხბურთის ბურთს დასდევდა ძუნძულით ლოთის ჩორთით. ერთხელ ვერა იურიევნა დიდხანს აკვირდებოდა, როგორ იჯდა ტბის ნაპირზე. ნალიმოვს მაშინ ანკესი ეჭირა და ლილის ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა. ვერა იურიევნა მივიდა და დახედა ტივტივებს, ჰიებიან კონსერვის თუნუქის ქილას. სახეში შეხედა ვასილი ალექსეევიჩს. ნალიმოვს მზისა და არაყისგან კანი ექერცლებოდა, თვალები მთლად გაუფერულებოდა. ვერა იურიევნამ მხრები აიჩეჩა: „პამპულაა ნამდვილად.“

ისინი ცოტას ლაპარაკობდნენ, თანაც მხოლოდ წვრილმანებზე. აქ მათ შორის სიახლოვე არ იგრძნობოდა. ახლა ვერა იურიევნა ფიქრადაც კი ვერ გაივლებდა, ღამე სწვეოდა „მის საწოლში პაპიროსის მოსაწევად“. ბალ სტანესში ყველაფერი გართულდა. აიჩხორა სიტყვებით გამოუხატავი გრძნობები. ნალიმოვი რომ აქ არ ყოფილიყო, ვერა იურიევნას გულიდან ლოდი ნახევრად ჩამოსცილდებოდა. მაგრამ ნალიმოვი რომ დარჩა, ეს თითქმის ქუში აღფრთოვანებით აღავსებდა. ვერა იურიევნამ ვასილი ალექსეევიჩს ჩამოსვლის პირველ დღესვე დაწვრილებით უამბო თავისი კონსტანტინოპოლის თავგადასავალი. ვასილი ალექსეევიჩზე ამას თითქოს შთაბეჭდილება არ მოუხდენია: „ეს შენი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, ვერა იურიევნა. ასევე ჩაიწერე“. მაგრამ საუბრის შემდეგ ნალიმოვმა სულ შეწყვიტა ხითხითი და „ფილოსოფოსობა“, ვერა იურიევნას განსაკუთრებული სიფრთხილით ექცეოდა, როგორც რაღაც ზომაზე მეტად მყიფესა და მსხვრევადს.

ზოგჯერ ვერა იურიევნას უცნაური აზრი უჩნდებოდა (კაცმა რომ თქვას, რატომ უცნაური?): ნუთუ ნალიმოვს არ შეუძლია ხსნის რაიმე გეგმა მოიფიქროს, თავისი თავიცა და ვერაც სიკვდილის წყვდიადს გამოგლიჯოს? ჩერმოევმა და მანთაშევმა ხომ უნდა მისცენ ფული? მთელი ამბავი ისაა, რომ უკვალოდ დაემალონ ჰაჯეტ ლაშეს, პოლიციას, რუსებს, მთელ წარსულს... რა უშლის ხელს? თავქარიანობა, უნებისყოფობა? „ლაზღანდარა...“ ზის, პაპიროსი უჭირავს და ანკესის ტივტივას თვალმოჭუტული უცქერის. ვერა იურიევნას ბოღმა აწვებოდა, გული მძვინვარედ ეკუმშებოდა: ყელში ბოროტი ბურთი ეჩხირებოდა, მაგრამ თანდათან ცხრებოდა სიმყუდროვეში, ტბის პირას, რომლის თავზე ღრუბლები მიცურავდა... „არა, ნალიმოვი მართალია, რა თქმა უნდა, ვერსად წახვალ, ვერსად დაიმალები... ეს ყველაფერი უხამსობაა და სისულელე.. ჩვენ ყველას დაღი გვასვია...“

ერთხელ ვერა იურიევნამ ნალიმოვს სთხოვა, ჩემ გვერდით ზვინის ძირას ჩამოჯექიო, ხელები მუხლებზე შემოიჭდო და უთხრა:

— სულ შენზე ვფიქრობ. გამოუცნობი კაცი ხარ. ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რისი იმედი გაქვს? ნუთუ მხოლოდ უნდა ჭამო, სვა და სამარეში ჩახვიდე? ხომ რაღაც ისე ვერაა... მე ჩემზე კი არ ვამბობ, შენზე... რატომ არაფერს მოიფიქრებ? მე კიდევ ისე გამოგედევნები, როგორც მტვერში დაჭმუჭ-

ნილი გაზეთი მიფრიალებს ავტომობილის უკან... გესმის, შენ ცეცხლი არა გაქვს, საძრაობა არა გაქვს. მერედა რატომ? შენ მე გამტანჯე... კონსტანტინოპოლში ლაშეს ნომერში მკვლელობის შემდეგ და პარიზში ლევანტთან, როცა ის თალღითი ქუჩაში მგზავნიდა... — ესეც სევრში ჩამოსვლამდე სამი თვით ადრე იყო... — ყოველივეს მიუხედავად, ცხოვრების ძალა მქონდა, ფული კი არა მაქვს... ვასია, არ შემიძლია წარმოვიდგინო: ადამიანი, რომელიც გიყვარს, მთელ სამყაროზე დიდია... მასშია მოქცეული ყველაფერი... შენ კი გინდა დამარწმუნო, რომ ბოსტნის საფრთხობელა ხარ, სახელოებს აფართხუნებ... (ვერა იურიევნა სადაცაა დაიკივლებდა, მაგრამ ტუჩზე იკბინა და თავი შეიკავა). შენ იდეა უნდა გქონდეს... რატომ მაჩვენებ თავს ლაზღანდარად, ჰკუაზე შევიშლები, ვერ გავიგებ... არამზადა ხარ შენ!.. (გათეთრებული მუშტი მუხლზე დაიბაგუნა.) ახლავე უნდა მიპასუხო: რისი იმედი გაქვს? და შენი პასუხის კვალად ვიცოცხლებ, ანდა არ ვიცოცხლებ...

ვასილი ალექსეევიჩმა ქალებთან ყოფნის მთელ მანძილზე პირველად უპასუხა ვერა იურიევნას მედიდურად, წყნარად, თითქმის ენის ბორძიკით:

— ჩემი ღირსებანი, ესე იგი, ერთი ღირსება, ისაა, რომ შენი მესმის და აღფრთოვანებული ვარ შენით... აი, რატომ გადავწყვიტე შენთან ერთად გავიზიარო ყველაფერი ბოლომდე... ეს ერთი... ყველა ადამიანს მოეძევება სულში თავისი სპექტაკლი — უხამსი, პატარა ან ტრაგიკული, დიდებული.. შენი სპექტაკლი, ·ვერა იურიევნა, ტრაგიკული სპექტაკლია. იგი დამთავრებულია, დასწავლილია, მსახიობები ადგილებზეა. მაგრამ მაყურებელთა დარბაზი ცარიელია. ტრაგედიას ვერავის წინაშე ითამაშებ... მე მხოლოდ კონტრამარკით შემოსული მაყურებელი ვარ, სადღაც იქ ატუზული... სამყაროს, სადაც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ, სანახაობები ყელში ამოუვიდა... ჩვენ მაიმუნების სამეფოს დავუბრუნდით. მე მართალი ვარ: შექსპირი საჭირო აღარაა. ჩემი პატარა ვოდევილი კი? რა არის, თუ არა ლილკას და მაშკას გასაცინებლად სიმთვრალეში მანჭვა.... საშინელებაა, ვერა, რომ ამ წლებში ისეთი მეგობარი მოძებნე, როგორიც მე ვარ... გაფრთხილებდი — ნუ გამომიგონებ-მეთქი. შენ ისევ და ისევ მაჯილდოვებ შენი სისავსით და ბრაზობ, რატომ არ გავანძრევ თითს, რომ ამ საშინელებას გამოგგლიჯო... არ შემიძლია და არც ვიცი, რისთვის გავაკეთო ეს... სადაც არ უნდა გაიქცე, თუნდაც სოლომონის კუნძულებზე, შენ სისხლის სამართლის დამნაშავე ხარ, ყვითელპასპორტიანი სიძვის დიაცი და ყოველივე ამასთან მეტისმეტად საშიში. ვინაიდან ყოველთვის მზად ხარ სახრჩობელის შიში გადალახო და თან გაიყოლო შენი პატრონი, ის, ვინც დაგიქირავა. ცოფიანი ცხოველი, აი, ვინ ხარ. გადაგარჩინო? სულელო, შენ ხომ თვითონ არ გინდა გადარჩენა.

ვერა იურიევნა მშვიდად უსმენდა, ხანდახან თავს უქნევდა, ეთანხმებოდა. სახე ნათელი ჰქონდა, ღიმილიც კი უკრთოდა უფერულ, ფანქარმიუკარებელ ტუჩებზე.

— ახლა მთავარი თქვი ბოლომდე, — უთხრა მან ნალიმოვს დუმილის შემდეგ.

— უკვე გაგიმეორე, ვერა იურიევნა: განა მე უნდა ჩავერიო შენს სპექტაკლში. შეიგნე, საქმე თვითონ, თვითონ, ვინმეს იმედის გარეშე გადაწყვიტე და ისე მოიქეცი.

— სიკვდილზე ხომ არ ლაპარაკობ? (ქალს ოდნავ გაებზარა ხმა.)

— არა, სიკვდილზე არა. ასეთ სისაძაგლეზე ბევრი ლაპარაკი არც ღირდა. არა, არ მინდა მოკვდე, ჩემო სიყვარულო... ყველაფერი მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული. თუ სიკვდილს დაისახავ მიზნად, მთელი შენი ცხოვრება მორევივით დატრიალდება სამარის ირგვლივ, სულ უფრო და უფრო მიუახლოვდება შავ ხვრელს... ეშმაკმა იცის, რა უაზრობაა ეს! ([illegible] შესამჩნევად ამოიოხრა.) მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვა მიზანდასახულობაც... მონაწილეობა შემოქმედების უსასრულოდ მოძრავ სამყაროში. სიკვდილი? რა გესაქმება სიკვდილთან? ეს მყრალი სისაძაგლე — შენი საფლავი — გამორიცხულია ცნობიერებიდან, თვალთახედვის არედან; საფლავზე მოუზავთება, გადმოდის ფენომენალურ იდეათა დასები, ცხოვრების საუცხოო ნაკადები. მაიმუნების სამეფო დაიღუპება, კაცობრიობა დაამსხვრევს კუბოს, ციხის ზედამხედველთა და მაიმუნიმსგავსთა გვამებზე გადაივლის და გაქანდება ახალი სამყაროსკენ. ადამიანი თავის ნამდვილ მოწოდებას მიაგნებს. ტვინი თუ კუჭი? შემოქმედება თუ საჭმლის მონელება? ჩვენ გამოქვაბულთა ტროგლოდიტები ვართ, არ შეგვიძლია მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვიდგინოთ ბედნიერება, როცა კაცობრიობას დიადი იდეები წარუძღვებიან. ადამიანები განიცდიან ჩვენთვის უცნობ აღტაცებას... სიკვდილი, საფლავი კი, — შენ უბრალოდ წაიბორძიკებ და დაცემისას ჩირაღდანს გადასცემს სხვას... მხოლოდ ეგაა... სიკვდილი არ არსებობს... ჩირაღდანი მიფრინავს წინ. კუჭისთვის კი თუნდაც საკვები აბი იკმარებს, რომ თავი დაგანებოს...

— ზღაპრებია, — თქვა ვერა იურიევნამ. —უსაქმურად აგდიხარ ზვინზე და ზღაპრებს ჩმახავ... შენ რაიმე რეალური შემომთავაზე.

— ზღაპრებია? ადექი და შენც დაიჯერე. ყველაფერი ხომ ასევე მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული. დაიჯერე, თვალი მიადევნე — კუბო სკდება, მაიმუნების სამეფო ბარბაცებს. შენ მხოლოდ მაიმუნების მსგავსი ნახე, მაგრამ იმათ, ვინც მიწისქვეშეთშია, იცნობ? მე ვიყავი მიწისქვეშეთში, ცალი თვალით შევიჭვრიტე. ო, რა ხალხია იქ, რა ზრახვები უდევთ გულში! ზღაპრები ცხადი ყოფილა, თანაც ვერ მოიფიქრებ, ისეთი... ვერა იურიევნა, ჩემი უბედურება ისაა, რომ გალოთებული ბატონკაცი ვარ, მეთვალყურე, განზე ვდგავარ, ჩემი სპექტაკლი პატარაა. შენ სხვა ხარ. შენ შეგიძლია შენი თავი სავსებით წარიტაცო მაიმუნების სამეფოდან.

— არ მესმის, რაზე ამბობ.

ვასილი ალექსეევიჩმა წითელი შესიებული სახე სადღაც ლურჯი შორეთისკენ, ტბის გადაღმისკენ ნელა გააქნია. ვერა იურიევნამ ხელები მუხლებზე დაუშვა და შეცბუნებით გაიხედა იქით. დიდხანს იყურებოდა. მიხვდა:

— აჰ, თურმე რაზე მეუბნები...

— რა, უცნაურია?

— ხომ არ შეიშალე... რუსეთში დავბრუნდე?

— ასეთი ქვეყანა აღარ არსებობს. რუსეთი თვითონ ჩვენა ვართ, მიუსაფარნი, ყვითელპასპორტიანები, „სკანდინავიის ფურცელში“ ამ სამი დღის წინ ვკითხულობ: რუსეთის რევოლუცია უარს ამბობს სპეკულანტების პურზე, რევოლუცია მხოლოდ პრინციპების დაურღვევლად მოპოვებულ პურს შეჭამსო. შეგიძლია გაიგო ეს?

— იცი... (ვერა იურიევნა შეიჭმუხნა, ბეჭები შეანძრია, თითქოს კაბა თავის ღერებით გამოეტენა.) მე არ ვიცი, რა ხდება რუსეთში, მახსოვს ტილე-

ბიანი თბილანები, დაცარიელებული ქალაქები, გულისამრევი სამიკიტნოები, ისტერიული დედაკაცები, ზურგის არამზადობა, სპირტით გაჟღენთილი სამხედროები... მისი სხვა მხარე არ მინახავს, არ ვიცი... რევოლუციამ ნაფეცხის ორმოში მომისროლა... დამნაშავე კი მხოლოდ მე ვარ. მაგრამ [illegible] ყბედობა, როგორც შენ ყბედობ, სვეცქთილო კატავ... საშინელებაა, საშინელება!.. იქ სისხლის ნაკადები დის, შენ კი ფილოსოფოსობ. შენ მარტო ამისთვის დაგზვრეტდნენ იქ...

— უცბად, პირველივე სასაზღვრო ბოძთან, წყალი არ გაუვა...

— მაშ რისთვისღა ლაპარაკობდი ყოველივე ამას?

— იმისთვის, ვერა იურიევნა, რომ მხოლოდ შენს აზრებს გამოვთქვამდი, მე კი ჭიქა არაყი მყოფნის. ეს ლაპარაკი იმისთვისაა საჭირო, რომ ზეგ რეველიდან შენი პატრონი ჩამოდის და მზად უნდა იყო..

— რისთვის უნდა ვიყო მზად?

— მოქმედებისთვის, გადაწყვეტილებებისთვის...

ვერა იურიევნამ ნელა შეჭმუხნა წარბები, მთელი სახე ასიმეტრიული გაუხდა, ღაწვის ძვლები დააჩნდა.. .მოახლოვდა რაღაც უმსგავსი, სისხლიანი, გარდაუვალი (რისთვისაც ჩამოვიდნენ აქ); მეტად უკვე აღარ შეიძლებოდა თვალების ჭუტვა. ბინდი ჩამოადგა მდელოს, ტბას, ამ დღეთა მერყეობას.

ნალიმოვი მუცელზე იწვა, ნამჯის ღერს კვნეტდა და სახეში უყურებდა ვერა იურიევნას, რომელსაც თვალები, როგორც ჩიტს, აფსკით ეფარებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

# მაქს ჟაკობი

## ლექსები

(წიგნიდან „კამათლებით სავსე ფუთი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ლოლაძემ

### ოცნების მათემატიკოსი

არსებობს მაქს ჟაკობის არაჩვეულებრივი ფოტოსურათი: გრძელი სერთუკი, შარფი, უჩვეულო ქუდი, ხელჯოხი, მონოკლი — ერთი სიტყვით, მისმა მეგობარმა მოხდენილად რომ შენიშნა: — ნაღდი მეძველმანეთა მეფე, მილორდი ჩარჩთ-ბაზრისა.

პიკასო სანაგვე ყუთში პოულობს ნაყარნუყარს, და შემდგომ იყენებს. მაგრამ ყოველივეს იგი ქუჩაში აგროვებს. მაქსის მოძიებული კი არაფერს მოგვაგონებს, თითქოსდა მისი საგნები იმქვეყნიურია, სადაც არ არსებობს არც მარცხენა, არც მარჯვენა, სადაც ინი და იანი ურთიერთშეღწევადია.

ჩემთვის დღემდე უცნობია სხვა ლექსთა კრებული, გარდა „კამათლებით სავსე ფუთასი“, ასე რომ გვაახლოებენ ზუსტ მეცნიერებასა და მის აღმოჩენებთან. გულს მირევს ყოველივე მეცნიერება. ასეთი ახირებული განწყობილება შემრჩება ალსასრულამდე (ოდესღაც ხომ ამასაც მოესწრებით) და არა მგონია, ვინმემ გამიკარწყლოს ეს ზიზღი.

მაქსია მიდრეკილება ზუსტი მეცნიერებისადმი თანდაყოლილი გახლდათ. ეს ისეთივე ბავშვური მიამიტობით გამჯდარიყო მასში, როგორც სტილი და ფსიქოლოგიზმი რადიგესთან.[1]

ასე მგონია, მაქსი იმ უჩვეულო კითხვებს პასუხობდა, გრიფელის მრუმე, ღამეული ცა რომ უსვამდა. დიახ, „ვარსკვლავების ფუთას“ ხსნიდა, და მოფარიკავისა თუ მეფუტკრის ნიღბით მონაწილეობდა მოფუთფუთე ვარსკვლავთა მტევნების უსასრულო დუელში.

ფანტაზია სხვა რამ გახლავთ, მაგრამ შეჰბედო პოეტს, ფანტაზიორი ხარო, შეურაცხყოფაა.

ერთსა და იმავეს ვეძებდით, ნეტა თუ შეიგრძნო მაქსმა?

ნეტა დაუსრულებლივ შემომესმება დრანსიდან[2] SOS?

ასტრონომი და ასტროლოგი, ქიმიკოსი და ალქიმიკოსი, მათემატიკოსი, მაგრამ ოცნებისა — ასეთი გახლდათ არაჩვეულებრივი მეგობარი.

ჟან კოქტო

### ასეა

ძირს იყო ყოველი! დამძიმდა ფარდაგი, იდგა ხორშაკი. სავარძლის ზურგზე მიმედო თავი, და ვოცნებობდი. ის — მისჯდომოდა მძიმე და დაბალ მაგიდას — თავისას წერდა. და აი უცებ, შუაში გაჩნდა, გამოგვეცხადა თავალ ღმერთქალი მწვანე და მჭვირი თავსაბურველით. თავს გვევლებოდა, მაგრამ მყის გაქრა, ოდეს მსახურმა, ო, ღმერთო ჩემო, მძიმე ლანგარით შემოაბიჯა ოთახში უცებ.

---

1) რაიმონ რადიგე — მეოცე საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი.

2) დრანსი — საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც 1944 წელს დაიღუპა მაქს ჟაკობი.

## კვლავ გავაცოცხლოთ ძველი თემები

ოდესღაც თურმე ბაზრობაზე ერთ ქვეყანაში გამოეტანათ მრავალი ტილო. ათასფერადი ჩარჩო ეყარა მტვერში. მეყასბეებმა დაიქირავეს სამაზე მეტი სარკმელი და გადაჰყურებდნენ უცხო ბაზრობას. თითქოს ელოდნენ გილიოტინით მსჯავრდადებულთა თავის მოკვეთას.

ზოგს კი ჭოგრიტი მოემარჯვებინა სანახავად იმისა, თუ როგორ კლავდნენ ხელოვნებასა და სიკეთეს!

## იაპონური ოჯახი

დის გარდაცვალების შემდეგ პატარა იაპონელმა საფრანგეთს მიაშურა იქაც ვერ შეძლო დის დავიწყება. იუმორისტული გაზეთებისთვის ხატავდა, და ყოველი ქალის ფიგურიდან საყვარელი დის ხატება გამოსჭვიოდა. საელჩოში მომუშავე ხნიერმა იაპონელმა მისი გახარება ისურვა, და გაზეთები მამამისს გაუგზავნა. ცრემლი სდის მამას: მან ნახატებში საყვარელი ასული შეიცნო.

## მდუმარე ტევრში

მდუმარე ტევრში წყვდიადი ჯერ არ ჩაწოლილა, სევდის ქარაშოტს ფოთლები ჯერ არ დაუწყვეტია. მდუმარე ტევრში არ დაბრუნდება, — გაქრა ფერია.

მდუმარე ტევრში ფშანს ტალღა შემოლევია, და თითქოს უწყლოდ მიედინება. შემდგომ კი ნელა უკუიქცევა.

მდუმარე ტევრში შავი ხის უკან ბუჩქია, მსგავსი კაცის თავისა. გიზგიზებს იგი ალით ოქროსი, ალით სისხლისა.

მდუმარე ტევრში, საღაც ფერია არ დაბრუნდება, სამი რაშია. გადაავიწყდათ რაშებს მოგვები, და მოგვებივით თვით მეტყველებენ.

## მამალი და მარგალიტი

(ნაწყვეტები)

...ამა ქვეყნისა იდუმალება იმქვეყნიური სინამდვილეა: თუ შემიყვარებთ, თუ შემიყვარებთ, გაგიმჟღავნებთ მე სინამდვილეს...

...ჩვენი საწოლიდან გილიოტინას წააგავს სარკე — ორი ცოდვილის თავები მოსჩანს...

...როდესაც მისანს სამოსის ნაფლეთს წინ დაუდებენ, მყის ამოიცნობს მის პატრონს იგი. ხოლო ოდეს მე პერანგს ვიცვლი, ამედევნება ადრინდელი, ნაცნობი ფიქრი...

...მაღაზიაში ჭერამდე ეწყო მრავალი თიხის ჩიბუხი. მარაოსავით გაშლილიყვნენ. ბიჭუნამ მითხრა — „ეშმაკის ფრთებიაო.“
ეს ბელგიაში, თამბაქოს მაღაზიაში მოხდა...

□

# მიხაილ დუდინი

## ლ ე ქ ს ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **ლადო სულაბერიძემ**

●

ომი ისეა ჩემში გამჯდარი,
ვერ მოვიშორე იმისი ლანდი;
დაისი — თითქოს არის ხანძარი,
ჭექა-ქუხილი — ქვემეხთა ბათქი.

მგონია, ბორცვზე მოცვი წითელი
დასისხლულია, ფენილი ნისლით.
მოდი და სცადე, და ამიხსენი,
რა კავშირშია მოცვი და სისხლი.

წლები მიჰქრიან, დღენი დნებიან,
მაგრამ არ ცხრება შფოთი ღამეთა,
წამოვიჭრები, აკივლდებიან
საყვირნი ფხიზელ მენაღარეთა.

მარშივით ძგერენ ლექსის პწკარებიც,
გზებზე ძერები გულმკერდს ძიძგნიან...
აღარ ვიხმარდი ამ შედარებებს,
მაგრამ, ო, რა ვქნა, არ შემიძლია.

დავივიწყებდი, როგორ მთოშავდა
თოვლი ოფლიანს, დაღლილს, ნისლიანს,
როგორ დავეცი გაშლილ დროშასთან, —
მაგრამ, ო, რა ვქნა, არ შემიძლია.

ზღვიდან ღრუბელი დაიძრა ლაღად,
ვით ჯარი, ზეცას მიაწყდა ხვნეშით.
ტყვიამფრქვევივით აქუხდა მაღლა
სახურავებზე მომსკდარი თქეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

დილით სარკმელთან მერცხლის ჭიკჭიკი
არის მოლილი სულის წამალი,
როცა მუქლურჯად შემოგანათებს
აფეთქებული იასამანი.

ქვეყნიერება გამთლიანდება,
დღეს ამნაირად მიჩანს სამყარო.
სულს სურს სიკეთის კაცის ანთება,
რომ მომავლისკენ ცეცხლი გაჰყაროს.

ხსოვნავ გულისა, ალაგზნე სული,
რომ არ განელდეს მომავლის რწმენა.
ჩამოირეცხე ანკარა ცვარით,
თუ გუშინ რამე დაგაჩნდა წყენა.

სიყვარულს უზღე სიყვარულითვე,
გულის გულისკენ მართვა შეიძელ.
და თუ ღირსი ვარ, მიხმე გულით მეც
კაცობრიობის ძმობის ზეიმზე.

## ვლადიმერ სოკოლოვი

●

მადლობთ, მუსიკავ, სევდის ამარა
რომ არ მტოვებ და მარად თანა მდევ.
შენს შუქს არ მალავ და სულ ანათებ,
შენს თავს არასგზით არ გადამალავ.

მადლობთ, მუსიკავ, შუქის გამფენი
შენ ერთადერთი ხარ სასწაული,
რომ შენ სული ხარ არაქაური
და რომ ზოგისთვის ხარ არაფერი.

მადლობთ, მუსიკავ, რომ ბრძენთაგანიც
შენს საიდუმლოს ვერავინ წვდება.
იმიტომ მადლობთ, რომ ვერვინ ხვდება,
რა ქნას, რა გიყოს, ვით გცეს თაყვანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბელა ახმადულინა

## პოეზიის დღე

რა შთაგონებით ის იყო მთვრალი,
ვინც დააწესა დღე პოეზიის?
იმ გზით, ჩემიც რომ აჩნია კვალი,
დღეს ხალხი მიდის ზეიმზე იმ გზით.

დიდებულო დღევ, სხვებისდაგვარად
ვერ გავბედავდი შენს მზესთან მოსვლას.
მე საქმიანი დღე მწვავს თაკარა,
და საზეიმო ჯერ რა მაქვს მგოსანს?!

მაგრამ ვმზერ, აჰა, ხალხს უხარია,
კეთილი სული გვეძახის მისი.
დიდი თუ მცირე — ზარი ზარია,
ლექსის ჰწკარებიც ამგვარად ისმის.

ხალხის გულს ლექსი ესალბუნება
და სანამ იგი გვიხმობს კეთილი,
პოეზიის დღის ველტვი ცდუნებას,
შინ ველარ ვრჩები კარჩაკეტილი.

ალბათ აზრი აქვს ამგვარ ზეიმსაც,
ალზევებულან ამაღ მგოსნებიც.
ახალგაზრდობის გული შეიძრა
და მზე ალეგზნო ხალხის ოცნების.

□

# ჯოის კეროლ ოუტსი

## ახდენილი ოცნებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნოდიამ

### I

თავდავიწყებით უყვარდა ეს კაცი და მის ცოლზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებდა.

სირცხვილი დაეკარგა და იმ ქალს ყველგან თან დასდევდა. პიბოდი მარკეტამდე — პატარა, ბნელ, ხალხით გაჭედილ მაღაზიამდე მიჰყვებოდა; იდგა თავისთვის ტროტუარზე და უხმოდ ელოდა, სანამ ქალი მაღაზიიდან გამოვიდოდა. თავის ფურგონიან მანქანაში შეეტეოდა და წავიდოდა. გოგო, დორი, გაოგნებული უყურებდა, ეგონებოდათ, მშვენიერი გრძელი ჩალისფერი თმაც კი გაშეშებიაო ფიქრისგან; გულსაც ბაგაბუგი გაჰქონდა, ვითომ ისიც განსჯიდა და ანგარიშობდა რაღაცას. მერე, მოსხლეტით, თითქოს თანამედროვე ცეკვის რომელიმე ილეთს ასრულებსო, შეტრიალდებოდა, პიბოდის ხეივანს გადაჭრიდა და ელკს-კლაბის მანქანის სადგომის გავლით კემპუსისაკენ აიღებდა გეზს. სადაც ფურგონიანი მანქანა უნდა მისულიყო.

მანქანა მოსახვევში რომ გამოჩნდებოდა, აქოშინებული დორი უკვე რამდენიმე სახლის აქეთ იდგა და უყურებდა. მანქანიდან გადმოსვლა მაინც როგორი იცოდა იმ ქალმა! დონდლო, არ გამოსაჩენი ბარძაყი თეთრ ზოლად გამოაჭყეტდა; მერე შებრუნდებოდა და — რას ხვნეშოდა, ალბათ? — უკანა სავარძელზე გადაეყუდებოდა ნავაჭრის გადმოსაღებად. შინიდან ორი ბავშვი გამოეგებებოდა საშინაო ტანსაცმლის ამარა, ბავშვები ნერვიულად, მკვეთრად მოძრაობდნენ — დორის გული ეწურებოდა მათი ცოდვით, — დედა კი, გახუნებულპალტოიანი ზორზოხი ქალი, წელში გაიმართებოდა, ბავშვებს დაუცაცხანებდა, ან გაემასხრებოდა. დაკუნთულ ხელებში ჩანთებს დაითითოებდა და... და შვილებიანად შინ შევიდოდა, დორის კი აღარაფერი რჩებოდა საყურებელი ერთი დანჯღრეული ფურგონიანი მანქანის, არბერების სახლის წინა ეზოდ წოდებული დათოვლილი სიცარიელისა და თვით ამ სახლის გარდა. დიდი, უშნო, აედლებჩამოქერცლილი ვიქტორიული სტილის სახლი იყო, სხვა თავისნაირ სახლებში გამოჩხერილი, რომელთაც მეტწილად მათი დამქირავებლები — ფაკულტეტის წევრები უვლიდნენ. დედისგან გამოყოლილი ალღო კარნახობდა დორის, როგორ შეიძლებოდა ერთი შეხედვით უვარგისი და მიშვებული სახ

ნების მორჯულება, მას სწამდა, რომ ამ სახლსაც დაადგებოდა საშველი, — მაგრამ, სანამ ის მ ა გ  ქ ა ლ თ ა ნ  ცხოვრებდა, სახლი სულ ასე უპატრონო, კედლებშემოფცქვნილი და საძაგელი დარჩებოდა.

იმ ქალის ქმარი ველური ალტყინებით უყვარდა და თვით ამ სიყვარულში იყო რაღაც საძაგელი. გულჩათხრობილი გოგო — სხვები ფიქრობდნენ, უბრალოდ, წყნარიაო, — კაცის ცხოვრებაში შემთხვევით არ შეჭრილა, მის კლასში შემთხვევით არ მოხვედრილა: ყველაფერი, რასაც კოლეჯში აკეთებდა, ისევე როგორც ყოველი მისი კაბა და წარბის ყოველი შეხრა, წინასწარ დაგეგმილი, გათვლილი და ერთადერთი მიზნისკენ იყო მიმართული. ოც წლამდე საკუთარი თავი თითქმის არც გახსენებია; ახლა სულ თავის თავზე ფიქრობდა. კანჭმაღალი, მკლავებჩამოქნილი, ტანწვრილი გოგო იყო და მფრთხალი გამოხედვა იცოდა, — მაგრამ ახლა ეს გამოხედვა შეგნებულად დაემუშავებინა და მისით კეკლუცობა ესწავლა. სახეს კოსმეტიკით არ იწვალებდა და ნაზ კანზე გადაპენტილი ჭორფლის თანავარსკვლავედი სიჯანსაღეს ასხივებდა. სულ ჩოგბურთის მოედანზე გასასვლელად გამზადებულსა ჰგავდა — თამაშობდა კიდეც ჩოგბურთს, თუმცა უხეიროდ. ი მ ა ს თ ა ნ  თამაშობდა. მაგრამ ამ დროს ისე იყო დაბორიალებული სიყვარულით, რომ ჩოგბურთის თამაში, ბურთის გაუთავებელი მიწოდება-მიღება რაღაც სხვის იდუმალ ნიშნად მიაჩნდა, როგორც პოეზიაში ან ლიტერატურაშია ყველაფერი რაღაც სხვის (სიყვარულის?) იდუმალი ნიშანი— და ი მ ა ს ა ც  აუცილებლად ეცოდინებოდა ეს, — მაგრამ ვაითუ არც იცოდა? ნუთუ ვერაფერს ხვდებოდა? ჩოგბურთს ხომ სხვა გოგოებსაც ეთამაშებოდა, თავისთავად ეს არაფერს ნიშნავდა — და დორის ტვინი გამალებული მუშაობდა და მუშაობდა, ძილშიც სულ ითვლიდა და გეგმავდა, როგორ მოეპოვებინა ეს კაცი; ყველაფერზე მზად იყო, რადგან იცოდა, მის სურვილს ვერასოდეს ჩაიკლავდა გულში.

ცოლი ქმარზე ნაკლებ გამოჩენილი პიროვნება არ გახლდათ. ლექსების თხელ-თხელ კრებულებს უშვებდა, რომელთაც დორი ვერაფერს უგებდა. ხოლო ის, სახელგანთქმული მისი მეუღლე, რომანებსა და კრიტიკულ წერილებს წერდა. ცოლი ზორბა ტანის, ენერგიული, ფერხორციანი ქალი იყო; ქმარი, მარკ არბერი ,სიმაღლით არ ჩამორჩებოდა მაგრამ ჩაჟამულ-ჩაყვითლებული, მელანქოლიური პირისახით ვერ ეხამებოდა კარგად. დორი ცხადშიც და სიზმარშიც მათზე ფიქრობდა, ორივეზე, და ზიზღით გრძნობდა, როგორ დაუდიოდა სხეულში სისხლი, როგორ უდუღდა სურვილით, — თან განა მარტო კაცის სურვილი ჰკლავდა, რაღაცნაირად, ქალიც იზიდავდა, მისი მიღწევები, მისი სახელი მისი შვილები, მისი საძაგელი სახლი, მისი საძაგელი სხეული, მთელი მისი ცხოვრება. ქალბატონ არბერს ნათელი, ალალი, ცისფერი თვალები ჰქონდა და ხალხი ჭორავდა, სვამსო. დორის ამაზე არავისთან არაფერი დასცდენია.

მათი სასწავლებელი ქალთა კოლეჯი იყო, გამორჩეული და ძვირი. ყოველი გოგო, ერთ წელსაც რომ დაჰყოფდა შიგ, იქაურობასთან თავისებურ, რაღაცით უცნაურ ნათესაობას იგრძნობდა, თითქოს ყველაფერი, სუყველაფერი უხსოვარი დროიდან უცვლელად მოდიოდა: სულ ასე დასეირნობდა სხვა პირდაუბანელ გოგოებთან ერთად, ზამთარში თხილამურებით, კარგ დარში კიდევ — ველოსიპედით, სულ ამ შესანიშნავ ძვირ პროფესორებთან სწავლობდა და ამ შესანიშნავ ჰაერს ყლაპავდა. საყელოგაზინტლული შალის სვიტრები და საწერი პასტით მოთხუპნული თითები ყველას ერთიან ლიბერალურ იერს

აძლევდა: დორის სხვა გოგოებივით კარგად ესმოდა, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ბედისგან დაწყევლილი დარჩა და ამ კოლეჯში ფეხი არ შემოედგმებოდა, თავსაც კი არ გამოიდებდა აქ მოხვედრაზე. იგი, დორი უაინჰაიმერი, ბედმა კი არ დასწყევლა, პირიქით, გამორჩეულად დაასაჩუქრა, და ამის გამო მუდამ მადლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან მის სიცოცხლეს სულაც არ ჰქონდა ამა ქვეყნის გლახაკთა სიცოცხლეზე მეტი გამართლება. მის შეგნებაში ბუნდოვანი ხატები ამოტივტივდებოდა: სახეჩაშავებული დამშეული ბრბო, გაწამებული სახეები აუშვიცის ძველებურ ფოტოებზე, ან კიდევ სხვა რამ — რაც კი საზარელი ახსოვდა „ნიუ-იორკ ტაიმსის" საშობაო გამოშვებიდან, სადაც უკიდურესი სილატაკის ასი შემთხვევა იყო აღწერილი. მისი ქალწულებრივად ნაზი, მაგრამ ჯიუტი იდეალიზმი ფაკულტეტის მასწავლებელთა გავლენით ასეთსავე პრაგმატიზმად ქცეულიყო. ამ ხალხს, სანამ ჰარვარდსა და იეილში სწავლობდნენ, თავადაც გამოევლო იდეალისტობის ხანა, მაგრამ ახლა, ორმოცს გადაცილებულნი, ისევე აგდებით უყურებდნენ იდეალურ ღირებულებებს, როგორც სტუდენტის კისერზე ჩამოკონწიალებულ რაიმე უაზრო ზინზილაკს. მარკ არბერი ჰარვარდელთაგან ყველაზე მეტად გადამწვარი და ყველაზე უფრო ენამჭევრი კაცი იყო.

მეცადინეობის დროს ტყავის სავარძელში გადაშხლართული ეჯდა სასემინარო მაგიდას. ღიპი დასდებოდა. ერთ დროს — დორი ვერაფრით წარმოიდგენდა იმ დროს, თუმცა კი ძალიან უნდოდა — ფეხბურთსაც თამაშობდა, ომიც გამოევლო — ზუსტად არ იცოდა, რომელი, ალბათ, მეორე მსოფლიო. უამური, ბღენძია სახე და ჩამუქებული კბილები ჰქონდა. ლექსებს ჩახრინწული, სისინა, ჩრაზნარევი ხმით კითხულობდა. „მარქსის კვალად მეც ვფიქრობ, რომ პოეზიას ეყო სიყვარულზე გალობა. პოეზიამ ახლა მათრახი უნდა დაიჭიროს ხელში", — გაგულისებით იტყოდა, დორი კიდევ მიაშტერდებოდა, ნეტა მართლა ამბობს თუ ჩვენ გვაგიჟებსო. ოთხი წარჩინებული მოსწავლე ხანდახან შეკითხვებს უსვამდა, ან თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა, მაგრამ მის პასუხებს რაიმე ერთიან წესს ვერ უპოვიდი. ზოგჯერ სულ არ მიაქცევდა ყურადღებას ნათქვამს, თითქოს არც გაეგონოს, ზოგჯერ ენერგიულად და განურჩევლად დააქნევდა თავს, ხან კიდევ თვალებს ფართოდ გაახელდა, მთელ ჯგუფს გადაავლებდა მზერას და ჩაილაპარაკებდა: „ასეთი შენიშვნა მეტად ნიშანდობლივია". დორი კი მზერას ვერ აცილებდა და ლამის გული უჩერდებოდა მისი სურვილით, მისი ცოლის სიძულვილითა და საშინელი შურით. ერთ ზამთარში გოგო, მთელი ოცდაერთი წელი დორი უაინჰაიმერი რომ ერქვა, სულ სხვა, ეჭვიანობით დაღრღნილ არსებად გარდაიქმნა. არც კი იცოდა, რა უფრო უნდოდა: კაცი თუ მისი ცოლის დამარცხება.

მასთან კაბინეტში თავისი ლექსები მიჰქონდა. წიგნებსაც ართმევდა და მერე ჭკუას იღრძობდა მისი შენიშვნების სმენით. არბერი ხელის ფრჩხილებს ერთმანეთს მიადებდა, სავარძელში გაიშხლართებოდა და სწრაფ-სწრაფად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაუდევრად მიაყრიდა სიტყვებს, თითქოს ვერც ამჩნევდა, დორი ეჯდა, მთელი გროვა ხალხი თუ ერთი-ორი მეგობარი. მსმენელს მნიშვნელობა არ ჰქონდა, თავისთვის ბობოქრობდა თანამედროვე პოეზიაზე გამწყრალი. გვარებსაც ასახელებდა: „ეს სონეტების მჯღაბნელი ნაბიჭვარი", „ის ძროხა თავისი შინაბერული ლექსებით", — ისე ცეცხლდებოდა, რომ დორის ერთი სული ჰქონდა შეჰკამათებოდა: რად ბრაზობ? იყავი ნაზი. შემიყვარე და იყავი ნაზი.

როცა იმ ზამთარს დოქტორმა არბერმა ექვსჯერ თუ შვიდჯერ გაკვეთილი გააცდინა, გოგოებმა ძალიან გაუგეს. „შენ როგორ ფიქრობ, მართლა გენიოსია?“ — ეკითხებოდნენ ერთმანეთს. ყოველივეს ნაწილ-ნაწილ დამშლელი, გამაცამტვერებელი და არაღჩამგდები მზერა, მბზინავი კოსტიუმი, უცნაური ფორმის მოკასინები და მოურიდებელი ლაპარაკი ისე გამო[illegible] მამებისაგან, რომ სულ არ გაუკვირდებოდათ, გენიოსი თუ გამოდგებოდა: ეს ის გოგოები იყვნენ, მართლა რომ სჯერათ გენიოსების არსებობისა. ძვირი, ენაწყლიანი პროფესორები ასწავლიდნენ, ოდნავ შერცხვენოდათ საკუთარი თავისა, ას სამოც ქულაზე ნაკლები ინტელექტუალური კოეფიციენტიანი კაცი კაცად არ ჩაეთვალათ, ეჭვით შეეხედათ თავისი ნიჭიერებისათვის სკოლის კედლებში, სამაგიეროდ გარეთ საკუთარ ძალებში დაჯერებულნი გასულიყვნენ, — ჰოდა, დორი, ნიჭის ყოველგვარ ნატამალს მოკლებული და საშუალო დონის ინტელექტის პატრონი, თავის თავზე ხმას არ იღებდა. ალბათ, მისი ნიჭიც ეს იყო: ერთხელ აკვიატებული აზრის ერთგულება, ცბიერებანარევი მოთმინება, ბავშვური და თან კარგა ბასრი კბილების მჩენი ღიმილი.

ერთხელ დორი მთელი საათი ელოდა დოქტორ არბერს კაბინეტში მისთვის გამზადებული რამდენიმე ლექსით ხელში. დაგვიანებული მასწავლებელი ისე შემოვიდა, თითქოს მთელი გზა ერბინოს, მძიმედ, ქოშინით ჩაესვენა ჭრიალა მბრუნავ სავარძელში. ცოტა არ იყოს შეშლილსაც ჰგავდა. ამ კაცს უამრავი რეცენზია დაებეჭდა ნიუ-იორკის ჟურნალ-გაზეთებში, რაც მთავარია სამი პატარა სულისშემძვრელი რომანის ავტორი იყო, ახლა კი გადამწვარი, გამოფიტული თვალებით იყურებოდა. დორი, როგორც მათი კოლეჯის მოსწავლეს ეკადრებოდა, ყურსაც არ შეიბერტყავდა, რომელიმე პროფესორს ცეცხლი რომ წაეკიდა თავისთვის, ამიტომ არც მასწავლებლის უცნაური მზერისთვის მიუქცევია ყურადღება და წინასწარ მომზადებულ სათქმელს შეუდგა. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მის ლაპარაკს? ვის რად ულოდა ახლა ემილი დიკინსონის ლექსები, შელის თავდავიწყებული ვნება ან თუნდაც მისი საკუთარი ვიცური ლტოლვა?

დოქტორმა არბერმა შემთხვევით ხელზე ხელი დაადო. გოგომ მის ხორცის ნაჭერივით ხელს დახედა, მერე სახეს შეავლო თვალი და გაირინდა. პირისპირ ისხდნენ: თამამი, გრძელთმიანი, უსახელო სტუდენტი და უსიხარულო სახელგანთქმული კაცი; იმისი დონდლო, გალიზიანებული სახის ყოველი ნაოჭი, თვალის ყოველი ძარღვი მკაფიოდ ჩანდა ფანჯრიდან გადმოღვრილი ზამთრის მზის შუქზე. დორიმ წყნარად და თავაზიანად უთხრა:

— ბატონო არბერ, ალბათ საჭიროა გითხრათ, რომ მიყვარხართ. ბოლო დროს ვიგრძენი ეს.

— რაო, რაო, რა მითხარი? — წამოიძახა მან. ისე ჩააფრინდა გოგოს თხელ ხელს, თითქოს ჩამორთმევა უნდოდა. გაოცებულ, ოდნავ გალიზიანებულ, მომთხოვნ კილოზე ეკითხებოდა. და ყველაფერი ამით დაიწყო.

II

მისი ცოლი ლექსებს ადრინდელ გვარს აწერდა — „ბარბარა სკოტი“, ოდესღაც, ქალიშვილობის დროს, კიდევ სხვა გვარი ჰქონდა — კემერონი, მაგრამ

ეს უკვე მეტისმეტად შორეული ეპოქა იყო, რომელსაც ფსიქოანალიტიკოსთან თუ გაიღვიძებდა მეხსიერებაში. სახლის ჭუჭყიან სხვენზე ადგილი მოესუფთავებინა თავისთვის და იქ, ბავშვებს მოშორებული, იჯდა ხოლმე დიდხანს, სარკმლის რვაკუთხედს მიაშტერდებოდა და ფიქრებს მიეცემოდა. სარკმლის ფანჯრიდან ხალხი უცნაური და საცოდავი ეჩვენებოდა. თავად ზორბა ქალი იყო, [illegible] იცოდა და ყველა მის კაბას, — განსაკუთრებით, ძვირფასს, — იღლიის ადგილას დიდი ლიმონისფერი ნახევარმთვარეები აჩნდა, რომელთაც ვერავითარი ქიმწმენდა ვერ შველოდა. თავად რომ უშნო ტანი არგუნა ღმერთმა, სხვებსაც იოლად ამჩნევდა ნაკლს, თითქოს გამადიდებელი შუშით უყურებდა. ყოველ დილით სარკმელს აუცილებლად ჩაუვლიდნენ ერთი ხანშიშესული, მოხანხალე მანდილოსანი, ერთი ცხენივით ზანგის ქალი, — ალბათ, ვილაცის მრეცხავი, ალუმინისყავარჯნებიანი კოლეჯის მოსწავლე გოგო, — საბრალო, მაგრამ შეუპოვარი ვინმე — და კიდევ ერთი ზემოქუჩელი ჩალისფერთმიანი ბავშვი, ნაადრევად განვითარებული და დემონური. მისი საკუთარი შვილებიც ადრე განვითარდნენ, მაგრამ შემაშფოთებელს ვერაფერს ატყობდა. ორი მათგანი ახლა სანდო ადგილას, სკოლაში გაეგზავნა, მესამეს კი სადღაც ეძინა.

არც ისე დიდი ხნის წინ ბარბარა სკოტს პულიცერის პრემია მიანიჭეს თავსამტვრევი სონეტების კრებულისთვის, რომელიც სხვადასხვა ადამიანის „ხმების" ურთიერთშეპასუხებაზე იყო აგებული; მის ენერგიულ, მოუხეშავ სტროფებს მიმბაძველიც ბლომად გამოუჩნდა. ამ დილით ბარბარამ დაიწყო ლექსი, რომელიც მის აგენტს მისი სიკვდილის შემდეგ „ნიუ-იორკერისთვის" უნდა მიეყიდა:

**რა საზარელი რისხვაა**
**რა საშინელი ღალატია**
**და კიდევ ეს ალუმინის ყავარჯნები, რეზინით შემკული**

ისეთი ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, რომ სიტყვებს ყველგან თამამად მიჰყვებოდა. ათი წელი გადაჰყვა ფსიქოანალიზს და იმდენს მიაღწია, რომ სულის სამალავში აღარაფერს იტოვებდა; სულ რომ არ ჰქონოდა სათქმელი, ზედმიწევნით დამუშავებული ტექნიკა მაინც გაიყვანდა ფონს. ამ დილითაც თავის დიდ, კიდეებშომტვრეულ მერხს მიჯდომოდა, ბავშვები წლების განმავლობაში რომ ერჩოდნენ თავისი წვეტიანი სათამაშოებით, ფანჯარაში იყურებოდა და ელოდა: შთაგონება როდის დააწერინებდა კიდევ ერთ-ორ სტრიქონს. ხეიბრის დანახვა გამორჩეულ თანალმობას აღუძრავდა, რაღაცნაირად ესწრაფოდა კიდეც ასეთი ხალხის ჭვრეტას, რაკი ეგზომ უღვივებდნენ სათნო გრძნობებს. მაგრამ იმ ყავარჯნებიან გოგოს ვერა და ვერ გასცდა. რამდენიმე საათს იჯდა ასე, სანამ გამოერკვა და მიხვდა, რომ ქმარი იგვიანებდა: სკოლაც დამთავრებულიყო და მისი ორი ბიჭი გაზონზე შინისაკენ მორბოდა.

სამზარეულოში რომ ჩავიდა, დაინახა, სამი წლის ჯეფრის პლასტმასის პატარა ნიშადურის სპირტიანი ბოთლი გაეხსნა, შიგთავსი კი ზოგი იატაკზე, ზოგიც საკუთარ თავზე გადაესხა. საშინელი სუნი ტრიალებდა. უფროსი ბიჭები ისე ეკვეთნენ უკანა კარს, თითქოს სანაძლეო ჰქონოდათ დადებული, ვინ მიასწრებსო. ბარბარა მიუბრუნდა და ყვირილი მორთო. ნიშადურის სპირტი შარვალზე დასხმოდა. ბიჭები წინა ოთახში შეცვივდნენ, ის ისევ სამზარეულოში

იდგა და ყვიროდა. მერე სკამს მძიმედ დაენარცხა. მთელი ნახევარი საათი დასჭირდა, სანამ გონს მოვიდოდა და თავის საქციელს დაუფიქრდებოდა. ბავშვები ეჯავრებოდა თუ საკუთარი თავი? იქნებ მარკი სძულდა? იქნებ ეს ისტერიკა სიყვარულის გამოვლენა იყო, ან სიყვარულის და სიძულვილისა ერთად? ტანსაცმელი მოიწმინდა და სასმელი გადაკრა.

წინა ოთახში რომ გავიდა, ბიჭები უკვე „კონსტრუქტორს" თამაშობდნენ და დედა სულ არ ახსოვდათ. კარგია, დამოუკიდებლები იზრდებიან. სუსტი და ეშმაკი ბავშვები იყვნენ, მარკივით შავტუხები და ნაადრევად განვითარებულნი. ზედმეტი გონიერება თითქოს ტვირთად აწვათ და წინასწარ ვერ იტყოდი, მეორე წუთს რას იზამდნენ: სულ რაღაცა ავიწყდებოდათ, ეკარგებოდათ, ემტვრეოდათ, მარცხი მოსდიოდათ, წამდაუწუმ იტყუებოდნენ, მასწავლებლებისა და მშობლების გამოჯავრება უყვარდათ და ხშირად უმიზეზოდ ტიროდნენ, სამაგიეროდ, როცა ბარბარა სჯიდათ, ჯიბრზე ხან კურცხალსაც არ გადმოაგდებდნენ. ზოგჯერ სულ ველარ ხვდებოდა, ეს რა ხალხი მოავლინა ქვეყნად; ისე უცხონი იყვნენ მისთვის, თუნდაც ჩხუბისა და კინკლაობის დროს, და ისე არანამდვილნი, თითქოს მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობდნენ. სწორედ მის, და არა მარკის წარმოსახვაში. მამას სად ეცალა შვილებისთვის, სულ ეჩქარებოდა, კაბინეტში სამი კარგად ნახმარი საბეჭდი მანქანა ედგა, სამივე შიგ ჩადებული ფურცლით, ერთდროულად სტატიაზე, რეცენზიაზე, ხან რომანზეც კი მუშაობდა. ბავშვებისათვის დრო არ რჩებოდა, ხანდახან თუ გაუქნევდა თავს — ჭკუით იყავითო. მარკ არბერი, თავისი შვილებისა არ იყოს, „ნაადრევად მომწიფდა". პირველმა რომანმა ოცდაოთხი წლისას იმოდენა წარმატება მოუტანა, რომ მას შემდეგ ერთ ადგილას ველარ მოისვენა( ერთი საბეჭდი მანქანიდან მეორისკენ გადარბოდა, თავს არ იზოგავდა, ოღონდ კი არ ჩამორჩენოდა, — არ ჩამორჩენოდა, მისი თქმით, თავის „მეორე", ანუ „ნამდვილ მეს",— ალტერ ეგოს, რეალური მარკ არბერისაგან განსხვავებით სულ რომ ბეჭდავდა და თხზავდა რაღაცას. რეალურ მარკ არბერს კი უკვე ორმოცდახუთი შესრულებოდა და, საშუალო თაობის ცნობილ კრიტიკოსთა უმეტესობის მსგავსად, „იმედის მომცემებიდან" პირდაპირ „თვალსაჩინოებში" გადასულიყო.

ხუთი წლის სტრეჩის პატარა მანქანა ავგო, რომელიც ერთდროულად კაციც იყო და ავტომობილიც და სათამაშოებისგან შეკოწიწებული მოტორით მუშაობდა. „ეს თანამედროვე კენტავრია", ბრძენკაცურად განუცხადა, ბარბარამ კი გონებაში ჩაინიშნა ბავშვის ნათქვამი — რომელიმე ზედაპირულ და პოპულარულ ჟურნალში დასაბეჭდ ლექსს მოუხდებაო... იჯდა ასე, დაუპატიჟებელი სტუმარივით, და უყურებდა, როგორ თავდავიწყებით ჩხირკედელაობდა მისი ბიჭი კოჭებით, ხრახნებით და ჭანჭიკებით, თან უნიათოდ ფიქრობდა, ვახშმის კეთება ხომ არ დაეწყო, ან კოლეჯში ხომ არ მისულიყო და თავისი ქმარი მოეკითხა... ამ დილით გულმოსული გავარდა სახლიდან და ბარბარა მის კაბინეტში რომ შევიდა, თვითონაც გაბუსუნებული და მოღუშული, სანაგვე კალათში ოთხი-ხუთი დაჭმუჭნილი ფურცელი ნახა. სულ ეს იყო მარკის ერთი კვირის მონაგარი.

მარკს პულიცერის პრემია არასოდეს მიუღია. ნაცნობები უბრალოდ და დანანებით ამბობდნენ — გამოიფიტაო. ვისაც მარკი არ უყვარდა, ბარბარას აქებდა, ვისაც ბარბარა არ ეხატებოდა გულზე — მარკს. „თვალსაჩინოებში" გადიოდნენ, მაგრამ ეს აღარ კმაროდა, მათზე უმცროსი, ორმოციანი წლების

შუაში ან ბოლოში დაბადებული მწერლები ჩნდებოდნენ ასპარეზზე ერთიმეორის მიყოლებით, უცხოდ, შემაშფოთებლად ახალგაზრდები, და ორმოცის ასაკის ხალხს ავიწროებდნენ, გასასვლელისკენ უბიძგებდნენ... ვითომ კმაყოფილება უნდა მოეტანა ცოლ-ქმრისთვის „თვალსაჩინოდ" ყოფნას, [illegible] კი გამოდიოდა. უზომო ჭამა-სმას თუ გადაჰყოლებდნენ ბოლმიან გულს ახალი ინგლისის გაუთავებელ ზამთრის საღამოებში.

ერთიც გადაკრა და სავარძელშივე მიეძინა. ცოტა ხანში ბავშვების ჩხუბზე გაეღვიძა და უყვირა: „ჩაიგდეთ ენა!" ბავშვები უცებ დამორჩილდნენ. ჩაბნელებული სასადილოს მეორე ბოლოში თამაშობდნენ, დიდ აგურის ბუხართან, თავის დღეში რომ არავის დაუნთია. თავი უსკდებოდა. ადგა და კიდევ ერთი ჭიქის დასალევად მეორე ოთახში გავიდა.

პირველი საათი იქნებოდა, როცა უკანა კარიდან მარკი შემოვიდა. წაიფორხილა და შუქი აანთო. უჯრუღლა აბანოს ხალათში გამოწყობილი ბარბარა სამზარეულოს მაგიდასთან დაუხვდა. სახის გლუვი კანი უბზინავდა და შეშუპებოდა. მისავათებული ჩანდა.

— რა ჯანდაბა გინდა აქ? — წამოიძახა მარკმა.

ბარბარამ სცადა მხრები აეჩეჩა. მარკი დააცქერდა.

— მოახლე ამყავს. მეტი დრო დაგრჩება შენთვის, შენი მუშაობისთვის. შენი მუშაობისთვის, — სხვანაირი გამოთქმით გაუმეორა, ცოლს რომ ეგრძნო, რა ძალიან ულირდა მისი მუშაობა. — ასე არ შეიძლება, შენს პოეზიას გულისყური სჭირდება. მოახლეს ავიყვანთ, მძიმე საქმისთვის კი არა, უბრალოდ რომ მიხედოს რაღაცებს, ესე იგი, სხვანაირად რომ გითხრა, საგარეო ცნობიერების ფუნქცია რომ შეასრულოს. ყოფით წვრილმანებზე არ უნდა გაცდე.

მთვრალი არ იყო, მაგრამ რამდენიმე საათის წინ ნაქეიფარსა ჰგავდა და დილის ბინდბუნდში ახლადგამოღვიძებული კაცი რაღაცას რომ გეტყვის, არეულად და ღირსების გრძნობით, ისე ლაპარაკობდა. ტვიდის ჭუჭყიანი პალტო ეცვა, ჯერ კიდევ მათი ქორწილის დღიდან რომ შემორჩა, ჰალსტუხი ამოჩაჩოდა და სადღაც გვერდზე მოქცეოდა. სახე უამურად ჰქონდა აწითლებული და დასიებული. მაინც რა უხეშად თელავს სინამდვილე პოეზიას, გაიფიქრა ბარბარამ, და როგორ საცოდავად იკრუნჩხება პოეზიაც და თვით ენაც, როცა ცოცხალ ადამიანებთან და მათ მოთხოვნებთან შეხლა უწევს.

— მოახლე მოვიყვანე. გარეთა დგას, — თქვა მარკმა. — გავალ, შემოვიყვან.

კოლეჯის მოსწავლე გოგოსთან ერთად დაბრუნდა, რომელსაც ასობით სხვა კოლეჯის გოგოებში ვერ გამოარჩევდი.

— ეს დორია, ეს არის ჩემი ცოლი ბარბარა, თქვენ უეჭველად შეხვდებოდით რაიმე სასკოლო ღონისძიებაზე, — თქვა მარკმა. ჩემოდანი ეჭირა, ეტყობა, გოგოსი. — დორიმ ითხოვა, ეცხოვრა და ესადილა ფაკულტეტის მასწავლებელთა რომელიმე ოჯახთან ერთად. ქალების დეკანმა ყველაფერი გააფორმა. დორი ბავშვებს მოუვლის ან რაიმე ამის მაგვარს გააკეთებს. ჩვენს თავისუფალ ოთახში ეცხოვროთ. წამო, ავიყვანოთ.

ბარბარა არც კი განძრეულა. გოგო გაფითრებული და დაბნეული იდგა; თექვსმეტისა თუ იქნებოდა. თმა აბურძგნოდა. ბარბარას შეხედა და თითქოს რაღაცის თქმა დააპირა.

— წამო, აკიყვანოთ, მთელი ღამე ხომ არ იჯდები ასე? — ბრაზი დაეტყო მარკს.

ბარბარამ ხელით ანიშნა, უჩემოდ ადითო. მარკი ქოშინით აუყვა კიბეს და გოგოც მაშინვე გაედევნა. ისე მსუბუქად ადიოდა, არც იგრძნობოდა მისი იქ ყოფნა. ხმაც არ ამოუღია, მხოლოდ სამზარეულოში დატრიალებული სუნი მიანიშნებდა რაღაც სიახლეზე — ოდეკოლონის, სუფთად დაბანილი თმისა და დაფეთების სუნი. ბარბარამ თავისი გულის ბაგაბუგს მიუგდო ყური. გაახსენდა, რამდენიმე წლის წინ მარკმა რომ მიატოვა და თავისი ჩიკაგოელი მეგობრის ბინაში ამოყო თავი — გზად ფათერაკშიც გახვეულიყო, ვიღაცას მიებეგვა კარგად, — და კიდევ მარკმა თვალი რომ ჩაუღურჯა სემუელ რიჩარდსონის ღირსება-ნაკლოვანებებზე კამათში; სხვასაც გამონახავდა მწარედ მოსაგონარს, რა თქმა უნდა, — მის ქმარს ქალებიც ჰყოლია, ზოგი მალულად, ზოგი აშკარად, ახლაც მოუყვანა აგერ...

იჯდა და სუსტად ეღიმებოდა იმის წარმოდგენაზე, როგორ დაუწყებდა ახსნას თავის მეგობრებს: „მარკი მთელი წელი გაჭედილში იყო, ამ თავის რომანს ვერაფერი მოუხერხა, ჰოდა...“

კიდევ ერთხანს უტრიალა ნაირ-ნაირ განმარტებებს და დასაძინებლად აუყვა კიბეს. ბოლმანარევი გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ ქმარი უკვე მათ ოთახში იწვა და ჩასძინებოდა კიდეც; პირი ღია დარჩენოდა და სისინით დუნედ სუნთქავდა. სახლის უკან, მოსამსახურის ოთახში, ის გოგო იწვა; დიდ მანსარდის ოთახში სამ ბიჭს ეძინა, ან იქნებ მხოლოდ იმძინარებდნენ თავს; ბარბარალა იდგა მარტო სიბნელეში და ზორზოხა ხორცებზე იყურებოდა, ფიქრობდა, რა მოემოქმედა და თან იცოდა, რომ არაფერსაც არ იზამდა, რადგან მოვლენათა ერთხელ დაძრულ დინებას აწი ისევე ვეღარ ეშველებოდა, როგორც ამ ჩასორსლებულ ტანს. რაც წლებმა უყო, უყო, მორჩა და გათავდა.

## III

იმ დღის შემდეგ ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ. დღის წესრიგი მარკმა დაუდგინა: „რად გინდა, ბავშვის მომვლელი სულ აქ რომ გვჯდეს. ლანტის გოგო რომ გვყავდა, ახლა იმისთანა ხომ აღარ გვჭირდება“. ბარბარა ყველას უმზადებდა საუზმეს, შემდეგ მარკი და დორი სკოლაში მიდიოდნენ და გვიან, ექვსიდან შვიდის ნახევრამდე ბრუნდებოდნენ. საღამოობით მარკი საბეჭდ მანქანებს არ სცილდებოდა, — ჯერ ერთს მიუჯდებოდა, მერე მეორეს, მერე მესამეს, დორი კი, ჭურჭლის ალაგება-დარეცხვაში და წვრილმან საოჯახო საქმეებში ბარბარას ხელს რომ წაუკრავდა, თავის ოთახში ადიოდა და მეცადინეობდა... ან რაღაცას აკეთებდა, რაღაც ხომ უნდა ეკეთებინა იმასაც.

საღამომდე სად იყვნენ, ამაზე მარკი არაფერს ამბობდა. სალაპარაკოდ ვერ მოიხელთებდი. გახალისდა, გაახალგაზრდავდა. დორის ზრდილობიანად უხსნიდა ხოლმე, რომ როცა მას და ქალბატონ არბერს სადმე პატიჟებდნენ, ის სახლში უნდა დარჩენილიყო და ბავშვებისთვის მიეხედა, რადგან მოწვევა მას არ ეხებოდა; გოგო სიამოვნებით თანხმდებოდა. ერთი სული ჰქონდა, სახლის მოვლაში მიეღო მონაწილეობა! უწესრიგობას ვერ იტანდა, ეს თვისება ოჯახიდან გამოჰყოლოდა, ამიტომ არბერთა არეულ-დარეულ სახლს ვერ შეეგუა; სა-

ათობით კრეფდა ათასგვარ ნივთებს, ხეხავდა ჩაშავებულ ჭურჭელს, ბარბარას რომ აღარც ახსოვდა, ვერცხლისა თუ იყო, წმენდდა, ალაგებდა, აბინავებდა. როგორც კი თოვლი დადნა, გაუბედავად დაიწყო ქექვა ყვავილის ქოთნებში. მეზობლებისთვის მაინც რა უნდა ეთქვათ, — ვინ არისო? ბარბარა საერთოდ არ იღებდა ამაზე ხმას.

— სულ არ მგონია, რომ ნამეტანი უწესრიგო სახლი გვქონდეს. მე რომ მკითხო, არაფერი არ უჭირს, — ხმადაბლა და წყენით გადაულაპარაკებდა ბარბარა მარკს. ქმარი ხელზე მოუთათუნებდა და დაამშვიდებდა: — ვინ ამბობს, უწესრიგოაო, უბრალოდ გოგოს საქმე არა აქვს. მე მგონი, ყველაფერი რიგზეა.

ასეთი ნორჩი არსების გვერდით ცხოვრება მომნუსხველად მოქმედებდა ბარბარაზე. დორისნაირად ახალგაზრდა თავად არასოდეს ყოფილა. საუზმის დროს, ერთ მაგიდას რომ შემოუსხდებოდნენ, ყველას შეეძლო სხვის სახეს ჩაჰკვირვებოდა, საიდუმლო ვერაფერი დარჩებოდა, დაუბანელ პირსა და ცუდგუნებობას საპატიო მიზეზი ვერ უშველიდა, ასაკისა თუ გულგატეხილობის დამჩნეული ნაოჭი ბარბარას სახეზე ვერაფრით დაიმალებოდა და ასევე ვერ დაიმალებოდა მარკის დანაშაულის გრძნობანარევი ენთუზიაზმი, როცა ამბობდა, „ჩვენ უნდა მივიდეთ“, „ჩვენ დაპატიჟებული ვართ...“, სადაც ეს „ჩვენ“ ხან მას და ბარბარას გულისხმობდა, ხან მას და დორის, მაგრამ სამივეს ერთად — არასოდეს. მარკში ახალი პიროვნება განვითარებულიყო. დორის ნახვა კი ერთ რამედ ღირდა. გაზაფხულის მდორე, უფერულ დღეებს იგი მთრთოლვარე, ცინცხალი მზაობით ხვდებოდა. ქერა თმა უბზინავდა, სულისწამლებ კანზე შეყეული ჭორფლი მხატვრის ფუნჯის მინაკარებსა ჰგავდა, კბილები ჰქონდა ძალიან, ძალიან თეთრი და სწორი, პატარა თავხედი პირი კი — პომადით შეურყვნელი და მაინც უცხოდ ვნებიანი... არა, მართლა მომაჯადოებელი იყო. დღეში ორჯერ მაინც იცვლიდა ტანზე, მაშინ როცა ბარბარა ხან მთელ კვირას არ იხდიდა ერთ მოჯაჯულ შავ შარვალს და შავსავე სვიტრს. დორის მთელი კოლექცია ჰქონდა ქაშმირული შალის სვიტრებისა — ხან ჩიტის კვერცხისფერი გამოვიდოდა თავისი ოთახიდან, ხან ჩიტის ფეხისფერი; სხვა დროს კოხტა თეთრ ბლუზას იცვამდა, ან დიდ ვარდისფერ ჟაკეტს. ზოგჯერ შინაურულად გადაიცვამდა სწორ რეიტუზს, რომელსაც მოხდენილად იმაგრებდა თასმით გრძელ, ვიწრო, თეთრ ტერფებზე. წრფელი და უტყვი თვალები ჰქონდა, თითქოს ყველასათვის გახსნილი შიგ ჩასახედად. სულ ცდილობდა, რაღაცით დახმარებოდა, მისი ეს მზადყოფნა დამთრგუნველიც კი იყო უფროსი ქალისთვის. „არ გინდა, მოვერევი. რვა წელია თვითონ ვამზადებ საუზმეს“, — ბრაზით ეტყოდა ბარბარა, დორი კი, დასჯილი ბავშვი, მარტო მარკს კი არა, ბიჭებსაც გადახედავდა თანაგრძნობისთვის. მარკს სამზარეულოში დაფა ჩამოეკიდა ენების სწავლაში ბავშვების სავარჯიშოდ, ხმამაღლა ესროდა განკარგულებებს — ფრანგულ, ლათინურ ან ბერძნულ სიტყვებს, ისინი კი ნერვიული აღტაცებით პასუხობდნენ, დაფაზე ასოებს ჯღაბნიდნენ და თავს იწონებდნენ მოხიბლული, აღფრთოვანებული გოგოს წინაშე, რომელმაც იქნებ არც კი იცოდა, სწორად პასუხობდნენ თუ არა.

— ოჰ, რა ნიჭიერი ბავშვები არიან. რა კარგები, — აღმოხდებოდა მას.

მარკს ხშირად უხდებოდა ბოსტონში მგზავრობა დამაწყნარებელი წამლების რეცეპტების გასაახლებლად, რადგან მისი ექიმი გასინჯვის გარეშე ახალ რეცეპტებს არ უწერდა. ბარბარას ერთი სული ჰქონდა, როდის მოაწევდა ასეთი

მოკლე გასეირნების დრო, მაგრამ ახლა ქმარს იშვიათად მიჰყავდა თან. თანამგზავრად დორი გაიხადა, თავის „მდივანს“ უწოდებდა და შთაბეჭდილებათა ჩასაწერად კოლეჯის ემბლემიან ბლოკნოტს ატარებინებდა თან. ბარბარა ვერასოდეს ასწრებდა დროზე გამზადებას, რადგან წინასწარ არ აფრთხილებდნენ და ეს ფანდი ისე აშკარა იყო, ისე უხეში და დაუნდობელი, რომ მთელი წვეულის შემდეგ სამზარეულოში იდგა და ქვითინებდა... თავის ნიუ-იორკელ მეგობრებს ურეკავდა, მაგრამ გარკვევით არასოდესეუბნებოდა — რა ამბავი იყო მის თავს. მეტისმეტად სასაცილო ჩანდა ყველაფერი და თვითონ გამოდიოდა ძალზე სულელურ მდგომარეობაში. გულის გახსნის მაგივრად უაზროდ ლაქლაქებდა და ხარხარებდა. ეს საუბრები ისე ართობდა, რომ სანამ ყურმილს დადებდა, არაფერი, სულ არაფერი ეჯერებოდა. მერე ისევ თავის თავს უბრუნდებოდა, აი, ამ კოლეჯისგან მოქირავებულ სახლს, აი, ამ სხეულში გამოკეტილ მეს.

საათობით იყურებოდა სხვენის სარკმელში და არაფერს ფიქრობდა. ახლა ის უნიათოდ მიჰყვებოდა ცხოვრების დინებას, როგორც სამყაროს ერთი უბრალო ნასხლეტი. ქვემოთ ბავშვები ხან ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ხან წყნარად თამაშობდნენ, ხან მამის კაბინეტს არბევდნენ, რაც სასტიკად ეკრძალებოდათ; ბოლოს და ბოლოს ბარბარასაც რაღაცა აიძულებდა, წამომდგარიყო, ნელა, მძიმე-მძიმედ დაუყვებოდა კიბეს, თითქოს უჭირდა ათასი სისაძაგლით სავსე რეალურ სამყაროში დაბრუნება. ბავშვები, უსაქციელობისთვის რომ მიიტყეპებოდნენ, დედის ჯიბრით მაინც არ იტირებდნენ, „დედა, შენ მთლად ჭკუაზე არა ხარ, — აქეთ დამოძღვრავდნენ, — დედა, შენ თავს კონტროლს ველარ უწევ“.

— ეს მამათქვენი არ არის თავის ჭკუაზე! — გაჰკიოდა ბარბარა.

თავში ჩაიჭედა, თითქოს ყველას, აბსოლუტურად ყველას მათი ამბავი ეკერა პირზე. უსახელო, უმაქნისი ხალხი, თავის დღეში სტრიქონი რომ არ დაებეჭდა, ახლა მისი უბედურებით ხარობდა: კოლეჯის უკანასკნელ კაცს ახლა უფრო ამაყად ეჭირა თავი, ვიდრე ღირსებააყრილ ბარბარა სკოტს. დორი, მარკ არბერს რომ უმშვენებდა მხარს ბოსტონის გზაზე, ახალგაზრდა და უტვინო მაინც იყო, სახელი მაინც არავის ახსოვდა მისი, თუმცა ვინ იცის, იქნებ მასაც ჰქონდა სადმე შენახული ლექსების პატარა კრებული, რომლის გამოქვეყნებასაც მარკი მოუხერხებდა... ხოლო ამის შემდეგ რა მოხდებოდა, ამას უკვე მართლა ვერავინ იტყოდა. დორი უაინჰაიმერი არაფრით გამოირჩეოდა ხუთასი თუ ხუთი ათასი მოსწავლე გოგოსგან, ის არაფერს არ წარმოადგენდა, პიროვნება არ იყო, მაგრამ მარკ არბერს ხომ მართლა შეუყვარდა, ესე იგი, ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა სხვებსაც შეყვარებოდა... ბარბარას პანიკური შიში აიტანდა იმის წარმოდგენაზე, როგორ მიიყვანდა მარკი თავის ახალ გოგოს ამ უკანასკნელისთვის სულიად უცხო ხალხთან: მარკი ტვიდის ჩამოფხავებული კოსტუმით საკუთარი მამის ოცდაათიანი წლებისდროინდელ სურათებს მოგაგონებდათ, ხოლო გამოპრანჭული დორი თავისი უწონო ძვლებითა და უტყვი სახით, მოდების ჟურნალიდან გადმოსული გეგონებოდათ.

— დორი დიდხანს იცხოვრებს ჩვენთან? — ჩაეკითხებოდნენ ბიჭები.

— რა არის, არ მოგწონთ?

— სასიამოვნო გოგოა. სასიამოვნო სუნი ასდის. დიდხანს დარჩება ჩვენთან?

— წადით, მამათქვენს ჰკითხეთ, — ბრაზით მოუჭრიდა ბარბარა.

გოგო ყველა წესის დაცვით ჰყავდათ შემოკედლებული; შარს ვერავინ მოსდებდა. ფაკულტეტის თანამშრომელთა ზოგ ოჯახს ყოველ წელს აჰყავდა ერთი ან ორი სტუდენტი სულგრძელობისა თუ ქველმოქმედების გამო, ან იმიტომ, რომ ფული სჭირდებოდათ. ერთ დროს არბერები ამრეზითაც კი უყურებდნენ ასეთ გულაჩვილებულ ლიბერალიზმს, მაგრამ ახლა თვითონ [illegible]ს დორი და ბარბარა გიჟივით დარბოდა პიბოდი-მარკეტის დახლებს [illegible] სხვა პროფესორების ცოლებს არ შეხვედროდა და ახალი მდგმურის ამბავი არავის ეკითხა მისთვის. გოგოსთვის საგანგებო საჭმელების — ისპანახის, ჭარხლის, არტიშოკის ყიდვა უხდებოდათ, მაშინ როცა ბარბარას და მარკს ცომეული, ტკბილეული და შემწვარ-მოხრაკულები უყვარდათ, ძარღვებს რომ ტვირთავს, გულს ამძიმებს და ღიპის ზრდას უწყობს ხელს. ბარბარა რომ დამშეულივით მიაძღებოდა საჭმელ-სასმელს, დორი ჩანგლით ციცქნა ლუკმებს აწვალებდა, სანამ ერთ თეფშს მორჩებოდა, ბარბარა მესამეს ასუფთავებდა. გოგოს იქ ყოფნაში მთლად მგლის მადა მოუვიდა (გოგო ძლიერ თავაზიანად იკითხავდა ხოლმე: „ბიჭებმა გააჭუჭყიანეს აბაზანა ასე?“ ან „შეიძლება მტვერსასრუტი ავიღო და შევაკეთო?“ ასეთი მეტისმეტად თავაზიანი შეკითხვების შემდეგ დაეძგერებოდა ბარბარა საჭმელს განსაკუთრებული გაფთრებით).

აპრილში, დორის მოსვლიდან სამნახევარი თვის შემდეგ, ბარბარა თავის საწერ მაგიდასთან რომ იდგა, ფანერის კარზე კაკუნი მოესმა. სტუმრობას შეუჩვეველი უხერხულად შემობრუნდა და სათვალის ზემოდან შეხედა მარკს.

— შეიძლება? — იკითხა იმან. — რას მუშაობ?

საბეჭდ მანქანაში ფურცელი არ ედო.

— არაფერს. — მიუგო.

— დიდი ხანია ლექსები არ გიჩვენებია ჩემთვის. რაშია საქმე?

მარკი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ბარბარამ ბოღმიანი სიხარულით შეამჩნია, როგორ დაბერებოდა ქმარი. მას არ ჰქონდა ბარბარასავით მშვენიერი, ფაფუკი, გლუვი კანი. თავად კანი მოფომფლოვებოდა, ჩოშვებოდა, ტანზე ქონები უთიმთიმებდა. ეგრე გინდა! თითებიც კი აუკანკალდა სიგარეტის მოკიდებისას.

— ეს ყველაზე კარგი ადგილია ამ სახლში, — თქვა მარკმა.

— დორის გინდა დავუთმო?

ქმარმა ყურადღებით შეხედა.

— რატომ უნდა დავუთმო? ეს საიდან მოგივიდა თავში?

— მე მეგონა, ჩემი სულგრძელობის შემოწმება გინდოდა.

მარკმა ვერგაგების ნიშნად თავი გააქნია. ბარბარა ვერ გარკვეულიყო, სულდა ეს კაცი თუ მწერლური ინტერესით უყურებდა. შეიძლება, მარკმა ცოტა შეაფრინა. ან იქნებ ისევ სვამდა; ამ დილით კოლეჯში არ წავიდა და ბარბარას ესმოდა, დორის როგორ ეკამათებოდა მისი ქმარი.

— ბარბარა, რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა მარკმა.

— ორმოცდასამის, ჩემზე უკეთესად იცი.

მარკმა ოთახში გაბნეულ ყუთებს და სხვა ხარახურას მოავლო თვალი, თითქოს რაღაც გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა.

— მოკლედ, ერთი სიძნელე გამოჩნდა.

ბარბარა თავის ძირში წაჭრილ ფრჩხილებს ათვალიერებდა და უცდიდა.

— ფეხმძიმედაა. მე მგონი, განგებ გააკეთა ასე.

— როგორა?

— ასე გამოვიდა, — მარკი იმმუშნებოდა, — განგებ მოაწყო ყველაფერი.

ორივენი დადუმდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მარკმა შეცვლილი ხმით დაილაპარაკა:

— გინდა თუ არა, ბავშვები მიყვარსო. თქვენი ბავშვებიც მიყვარს და ჩემი მინდაო. საკმარისი გამართლებაა. ამის უფლებას ვერ წავართმევ... მაგრამ... მე მგონი, შენ უნდა იცოდე ეს ამბავი — იმ შემთხვევაში, თუ დახმარებაზე არ იტყვი უარს.

— რა დახმარებაზე?

— რაზე და, ბოსტონში მოვაგვარე საქმე, — მარკი სადღაც გვერდზე იყურებოდა. — დორიც დავითანხმე, როგორც იქნა... არ უნდოდა, მაგრამ გასაჭირი ისაა, რომ, მგონი, მე თვითონ წაყვანას ვერ შევძლებ... ხომ იცი, ჩიკაგოში ვარ წასასვლელი...

ბარბარაც არიდებდა მზერას.

— ჩიკაგოს უნივერსიტეტში მოხსენება მაქვს დაგეგმილი, ჯონ გარდისთან ერთად. ხომ იცი, ერთი წელია შემითანხმდნენ. თანამედროვე პოეზიის მდგომარეობაზე — ხომ იცი, ახლა ველარ ვიტყვი უარს.

— მერე?

— შენ რომ დორი წაგეყვანა...

— მე რომ დორი წამეყვანა?

— არ ვიცი, სხვა როგორ ეშველება ამ საქმეს, — ნელა თქვა მარკმა.

— თუ გინდა, გაგეყრები, მაშინ ცოლად შეირთავ.

— მე ასეთი რამე არ მიხსენებია, — თქვა მარკმა.

— კარგი, მაინც გინდა თუ არა?

— არ ვიცი.

— შემომხედე. გინდა, ცოლად შეირთო?

მარკს თვალი ნერვიულად აუტოკდა. პირველად არ დამართნია — ოცი წელი იყო, ასე უთამაშებდა.

— არა, არა მგონია, ასე აჯობოს. არ ვიცი — ხომ იცი, როგორ არ მიყვარს რაიმის დანგრევა.

— ვაჟკაცობა არ გყოფნის?

— ვაჟკაცობა რა შუაშია?

— თუ გინდა ცოლად შეირთო, შეირთე. მე ხელს არ შეგიშლი.

— შენ თვითონ გინდა გაყრა?

— მე შენ გეუბნები. შენზეა საქმე. მაშინ დორიც დაიტოვებს ბავშვს და არ გაიტანჯება. — ბარბარამ გესლიანად ჩაიღიმა. — ჩემზე ოცი წლით უმცროსი ქალის უპირატესობას გაინაღდებს. მესამე ქალბატონი არბერი გახდება და სუყველას შურით დაუვსებს თვალებს. არ გყოფნის ვაჟკაცობა?

— მე მიმაჩნდა, — ღირსების გრძნობით წარმოთქვა მარკმა, — რომ ჩვენ საუცხოო ოჯახი გვქონდა. ვისაც ვიცნობთ, იმათ ოჯახებს სულ არ ჰგავდა. ისიც გვიწყობდა ხელს, რომ სხვადასხვა სფეროში ვმუშაობდით, მაგრამ მთავარია, ერთმანეთს როგორ ვუგებდით. ბოლო სამი თვის განმავლობაში შენ გასაოცარი სულგრძელობა გამოიჩინე და მე გიფასებ ამას, — მან ნელა დააქნია თავი, — გიფასებ და თან ჩემს თავს ვეკითხები, თუ... თუ მეყოფოდა ძალა შენ-

სავით მოვქცეულიყავი, შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი. იმის თქმა მინდა, შენ რომ, ვთქვათ, მოგვეყვანა...

— გასაგებია, რისი თქმა გინდა.

— აქამდე გასაოცარი ოჯახი გვქონდა. მე არ მინდა, რომ ის იმპულსურად, რაღაც ემოციური და დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო დაინგრეს, — დასძინა მარკმა. ამ წუთში გიჟს წააგავს, გაიფიქრა ბარბარამ, ოღონდ წყნარ გიჟს, ყურები მთლად აჭარხლებოდა. ქალს პირველად შეეცოდა გოგო, რომელიც ბოლოს და ბოლოს, არაფერს წარმოადგენდა, პიროვნება არ იყო და ახლა შინამოსამსახურის საზიზღარ ოთახში განაჩენს ელოდა.

— კარგი, წავიყვან ბოსტონში, — თქვა ბარბარამ.

## IV

მეორე დილით მარკი ჩიკაგოში მიდიოდა. ამბობდა, დაახლოებით ერთი კვირა დავრჩებიო, რადგან მოხსენების გარდა სხვა საქმეებიც მაქვსო. წინა საღამოს თავისებური გაცილების ვახშამი მოიწყვეს. დორის გაცრეცილი ხელი გამხდარ, ბავშვურ მუცელზე ედო და გაწურჩეველი გამომეტყველებით სასმელს წრუპავდა, ბარბარა და მარკი კი ორი ინგლისელი რომანისტის ღირსება-ნაკლოვანებებზე კამათობდნენ — მათი სალიტერატურო ბჭობა ყოველთვის გონებამახვილური, ზედაპირული, უპასუხისმგებლო და ძალზე სასიამოვნო მოსასმენი იყო. ორ საათზე მარკმა დორი გაალვიძა, რომ გამომშვიდობებოდა, ბარბარა კი, თავისი კეთილგონიერებით გაამაყებული, მარტო ავიდა მეორე სართულზე.

მეორე დღეს დორი ბოსტონში წაიყვანა. დორი დედიკოს შვილი იყო, დედებს რომ გოგოები უყვართ, ისეთი — სუფთა, ხალასი, თავშეკავებული, და ბარბარა ასეირცხვოდ უთვლიდა, ასე რომ ეშინოდა.

— რა მოგივიდა, უამრავი ქალი ვიცი, ვისაც აბორტი გაუკეთებია, და ყველა ცოცხალი გადარჩა, — უთხრა უხეშად.

— თქვენ გაგიკეთებიათ?

— არა.

დორიმ თავი მიატრიალა, თითქოს რაღაცას საყვედურობდა.

— მე უკვე მყავს ბავშვები, შენთვის, ალბათ, უფრო ძნელი იქნება. ამბობენ, ასეთ შემთხვევაში უფრო ძნელიაო, — შემრიგებლური პოზიცია დაიჭირა ბარბარამ.

— მე მინდა, ბავშვები მყავდეს. ალბათ, სამი, — თქვა დორიმ.

— სამი კარგი რიცხვია.

— მაგრამ მეშინია... არ ვიცი, რა ვქნა... არ ვიცი, ახლა როგორ მოვიქცე...

ჯერ თვითონაც ბავშვია, მოულოდნელი თანაგრძნობით გაიფიქრა ბარბარამ. მთელ ამ ამბავში ყველაზე მეტად დორი დაიჩაგრა. ახლა იჯდა, დაუდევრად გაშლილ თმაზე შალშემოხვეული, და ფანჯარაში იყურებოდა. ყველა სხვა გოგოს მსგავსად აქლემის ბეწვის პალტო ეცვა, უმანიკურო და უსწორმასწორო ფრჩხილებზე ეტყობოდა, რომ სულ ილრღნიდა.

— მეტი აღარ იფიქრო ამაზე. დაწყნარდი.

— დიახ, — მიუგო გოგომ გაწურჩევლად.

გზაზე მიქროდნენ. ბარბარას რაღაც უმძიმებდა გულს, ეჩვენებოდა, თითქოს საკუთარი სხეული ყოველ წუთს სულ უფრო და უფრო უბერდებოდა. თავისი სხეული არასოდეს ჰყვარებია. დორის გაცილებით უფრო მოქნილი, სადა და მოხდენილი ტანი ჰქონდა, ბარბარა კი თითქოს სხვა ეპოქას ეკუთვნოდა, ძალიან მეცხრამეტე საუკუნეს, როცა სიმსუქნე ღირსებად ითვლებოდა ქალის. ბარბარას თავისი პოეზია გაახსენდა, ჰაეროვანი და ხანდახან [illegible]ნური, — ახალგაზრდა გოგოს პოეზია ჰქონდა, ნახევრად გამხელილი ხილვებითა და უცხო რიტმული გადახვევებით გაცისკროვნებული. საცა სამართალია, ასეთი ლექსები დორის უნდა ეწერა და არა მას. ის თავისივე ლექსების ღირსი არ იყო. ჰოდა, ახლა ამხელა შარაგზაზე რაღაც უხამსი და საბედისწერო მიზნისკენ რომ მიჰქროდა, ერთბაშად საშინელი სიცხადით დაინახა, რომ ენას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და საბოლოო ჯამში საერთოდ არაფერსა ჰქონდა მნიშვნელობა გარდა სხეულისა, ადამიანის სხეულისა და სხვა ქმნილებათა და ნივთთა სხეულებისა; ან რა უნდა ყოფილიყო ქვეყნად ამის მეტი?

ერთადერთი ნაღდი ფაქტი, რაც მას მართლა უკავშირდებოდა, მისი სხეული იყო. თავის კუთხეში შეყუჟული დორი მეორე ნაღდ ფაქტს შეადგენდა და ახლა ორივე ერთად მიდიოდნენ, რათა მორეოდნენ მას, ვნება მიეყენებინათ მისთვის. მარკი ალბათ უკვე ჩიკაგოშია და კოქტეილებს ურტყამს, გაიფიქრა ბარბარამ. სიტყვები სარეველა ბალახივით ედება თავში, მისი გონება კი ისე მარდად დახტის სხვა ადამიანების ტვინში, რომ ეს ყველაფერი რაღაცნაირ სიყალბედ იქცევა. მას უცნაურად მოეჩვენა, რატომ უნდა გაერთიანებულიყვნენ ის და მისი ქმარი დორის წინააღმდეგ იმის გამო, რომ დორი სავსებით რეალური და უძლური იყო და თავისი არსების არც ერთ ნაწილს სიტყვებში არ აბანდებდა.

ბოსტონში ჩავიდნენ და საჭირო ქუჩის ძებნა დაიწყეს. ბარბარამ უილაჯოდ და დამნაშავედ იგრძნო თავი და გოგოსკენ გახედვასაც ვერ ბედავდა. ხმამაღლა ღუდღუნებდა, სანამ ნახევარი საათი უშედეგოდ ეძებდნენ. ბოლოს მიაგნეს. პატარა კერძო საავადმყოფო აღმოჩნდა სადა ნაცრისფერი ფასადით. ბარბარამ ჩაუარა, კვარტალს შემოუარა და ისევ მას მიადგა.

— წამოდი, გამაგრდი, — უთხრა მან დორის გაქვავებულ პროფილს, — არც მე მადგას ახლა კარგი დღე.

მანქანა გააჩერა და ორივემ საავადმყოფოს დაუწყო ყურება. შენობა უკაცრიელი ჩანდა. ვერც მეზობელ სახლებში დაინახეს ვინმე. მერე, გულდამძიმებულმა, თუმცა ჯერ კიდევ თვითონაც არ ესმოდა ამ სიმძიმის აზრი, დორის უთხრა:

— მოდი, ჯერ ღამის გასათევი ადგილი ვნახოთ. ეს საქმე მაინც გვქონდეს მოგვარებული.

ხმაგაკმენდილი გოგო ბულვარზე მოტელში დააბინავა და დაუბარა, არსად წახვიდე, მე მალე დავბრუნდებით. დორიმ გაშეშებული მდუმარე მზერა დაახვედრა. ეს ქალი დედა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი; მათ შორის სოლიდარობის ნაპერწკალმა გაიელვა, მხოლოდ დედა-შვილს შორის რომ არის შესაძლებელი. ბარბარა ოთახიდან გავიდა. დორი ხელოვნური ხისა და ტყავის აჟურულ სკამზე გაირინდა. ისე იჯდა, რომ საწერი მაგიდის კიდეს უყურებდა. ანაზდად მისი ყურადღება საწოლის თავზე ჩარჩოში ჩასმულმა სურათმა მიიპყრო: მდიდ-

რულ წითელ კაბაში გამოწყობილი ქალი და სმოკინგიანი მამაკაცი მთვარიან ღამით ჩანჩქერს უცქერდნენ. დიდხანს ვერ მოაცილა თვალი, პალტოს გახდაც არ გახსენებია. ბარძაყზე ნერვმა დაუწყო ფეთქვა, მაგრამ არც ეს აწუხებდა: ენერგიულად, ძალუმად ფეთქავდა, თითქოს თვით ხორცი აუცეკვდაო. არ აწუხებდა. კიდევ იჯდა ასე. ბოლოს დილის მზემ გამოაღვიძა და რამდენიმე წამით თავს რეტი დაესხა, სანამ გაახსენდებოდა, სად იყო და რამ მოიყვანა აქ. მაშინვე გაუელვა, რომ სამშვიდობოს გასულიყო, — რახან გათენდა, ესე იგი, სამშვიდობოს გასულიყო, ესე იგი, ვიღაცას ეზრუნა მასზე, მიხვედრილიყო, ამ გოგოსთვის ასე აჯობებს და ასე უნდა მოვიქცეო.

## V

მოკლედ, ის მესამე ქალბატონი არბერი გახდა ერთ თვეში, მას შემდეგ, რაც მეორე გარდაიცვალა. ბარბარა მკვდარი იპოვეს ქალაქის მეორე ბოლოში, ელეგანტურ მოტელში სახელად „სამოთხის სტუმრები". მარკმა ეს საქციელი გამბედავ და ცინიკურ ხუმრობად ჩაუთვალა. ბარბარას სიკვდილი მან გულისწამლები, მაღალფარდოვანი მელოდრამატულობით, ალკოჰოლური მელანქოლიით განიცადა, რის გამოც დორი ძალზე ღიზიანდებოდა: ვეღარ იტანდა ამდენ ლაპარაკს ბარბარას „უსაზღვროდ ვაჟკაცურ საქციელზე". მეორე ქალბატონმა არბერმა საძილე აბების დიდი დოზა მიიღო და ჩუმად დალია სული იმის გამო, რომ მისმა გულმა ამხელა სხეულის დაწოლას ვეღარ გაუძლო; ასე დასრულდა ეს ამბავი. მაგრამ მთლად მაინც ვერ დასრულდა — მარკი სულ ბარბარას სიკვდილს იხსენებდა, განსჯიდა, იძიებდა. „მან ეს ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად გააკეთა. საოცარია პირდაპირ, რომანში წაკითხული მგონია", — ამბობდა ის. თავზარდაცემული იყო და თან დამნაშავედ გრძნობდა თავს.

დორი ცოლად გაჰყვა და მესამე ქალბატონი არბერი გახდა, რამაც საზოგადოება დიდად გააოცა. მარკიც კი არ ელოდა ასეთ ფინალს. თვითონ დორის გაკვირვება მაინცდამაინც არ შესტყობია, — როგორც ყველა მეოცნებე, მრავალი მოულოდნელობისთვის იყო მზად და რაღაცნაირად ამასაც გეგმავდა, თუმც ვერ წარმოედგინა, რა გზით მოვიდოდა აქამდე. სინამდვილეში იგი უკვე ერთი წლით ადრე, როცა ჯერ არც იცოდა რამე და არც მიხვედრა შეეძლო, მეორე ქალბატონი არბერის თვითმკვლელობისა და დაკრძალვისათვის ემზადებოდა, ამიტომ ახლა ბუნებრივად მიიღო ყველაფერი. მოვლენებს ბასრი კიდეები შემოსცვეთოდათ, მყარი, მკვრივი და ჩვეულებრივი გამხდარიყვნენ და ისიც ჩაეთრიათ თავის დინებაში. ქალბატონი არბერი დაერქვა, მაგრამ მაინც იგივე მეოცნებე დარჩა. ზევით, სხვენზე ძველ მერხს მიუჯდებოდა, გამხდარ იდაყვებს დააყრდნობდა და სარკმლიდან გარეთ იყურებოდა. მიაშტერდებოდა უსასოობის მომგვრელ წინა ეზოს და ზედ მიმავალ ხალხს, ეჩვენებოდა, რომ ზოგი, თითქოს მას იქ მყოფს ხედავდა, შემცბარი და ზიზღნარევ მზერას ესროდა სახლს. შინიდან თითქმის არ გადიოდა.

გოგო გააჩინა, კეროლაინი. სულ თავს დასტრიალებდა და არც ბიჭებს აკლებდა ყურადღებას; სწავლის მიტოვება მოუხდა. საღამოს, როცა ბოლოს და ბოლოს ყველა ბავშვს მიაძინებდა, მარკი გამოეგებებოდა კაბინეტიდან და ჩქარ-ჩქარა, სულსწრაფად მიაყრიდა ნაწყვეტებს ახალი რომანიდან ან წინა ცოლის ლექსებს, დორი კი მიაჩერდებოდა და რამის გაგებას ცდილობდა. პირთამდე სავსე იყო ქმრის სიყვარულით, მაგრამ თან... თან ისიც უჭირდა, ეს

სიყვარული აი ამ კონკრეტულ კაცზე მიემართა, თავისი გრძნობისთვის გარკვეულობა მიეცა. მარკს ამ გაზაფხულზე მრავალ ადგილას იწვევდნენ: კალიფორნიაში გადაფრინდა მეტად წარმომადგენლობით სიმპოზიუმზე ჯორჯ სტაინერისა და ჯეიმზ ბოლდუინის მონაწილეობით, დორი კი შინ დარჩა. ყოველ მეორე დღეს ჯეფრი ბოსტონში ფსიქიატრთან მიჰყავდა და მოჰყავდა, — თავისი ბავშვი ხომ ჰყავდა და ჰყავდა მოსავლელი, აქეთ მარკთან ჩამოდიოდნენ გაუთავებელი სტუმრები, ხშირად წინასწარ რომ არც აფრთხილებდნენ, და მთელ კვირებს რჩებოდნენ — გვიან წვებოდნენ, გვიან დგებოდნენ, სვამდნენ, ჭამდნენ, კამათობდნენ, — წინასწარ იცოდა, ეს ცხოვრება რომ ელოდა, მაგრამ მაინც ვერაფრით შეეგუა. საკუთარი ბავშვი უკვე სხვისებში ერეოდა, თითქოს ესეც მოსავლელად დაეტოვებინა იმ ქალს მისთვის. ბედს უმადლოდა, გოგო რომ გაუჩნდა: ქალებს შორის ხომ თავისთავად მყარდება რაღაცგვარი თანხმობა და ურთიერთგაგება.

ივნისში ორი კაცი ესტუმრათ ერთი კვირით და დორის მათთვის სადილების კეთება დააწვა საქმედ. მაღალი, ხმელ-ხმელი, თმაჭაღარა ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ; მათ ქცევას ერთიან წესს ვერ უპოვიდი: ხან ფუსფუსებდნენ, ხან უაზროდ და უთავბოლოდ მასხრობდნენ; მათ მოპყრობაში დორისთვის შეურაცხმყოფელი ქედმაღლობა იგრძნობოდა, მაგრამ ისეთი მსუბუქი და შეფარული, რომ აშკარად ვერც ვერაფერს დააბრალებდი. ვეგეტარიანელები იყვნენ და ვერ იტანდნენ, თუ ვინმე მათი თანდასწრებით ხორცს ჭამდა. ერთ საღამოს ვახშმისას, დორი ატირდა და ოთახიდან გავარდა, რაც ორივე სტუმარს, მარკს და ბავშვებსაც კი არ ესიამოვნათ. სხვენზე ავიდა და ანგარიშმიუცემლად მიუჯდა მერხს. ბარბარა სკოტის ლექსების კითხვა ვერ შეელოდა, რადგან არაფერი ესმოდა მათი. მისი გაგება დავიდა ჩვილის და ბიჭების მოვლაზე, სადილების კეთებაზე, სახლის დალაგებასა და საყიდლებზე, — ჰო, კიდევ ფურგონიანი ავტომანქანის გარაჟში დაბინავებაზე... იმის დრო აღარ რჩებოდა, ჩოგბურთი ეთამაშა ან მარკს ნიუ-იორკში წაჰყოლოდა. საშინლად მოტყუებულად იგრძნო თავი, მოეჩვენა, თითქოს მასში რაღაც ჩაკლეს, თითქოს იმ დღეს მართლა გაუკეთეს აბორტი და მას შემდეგ თანდათანობით ჰკვეთდნენ და ჰკვეთდნენ რაღაცას.

ცოტა ხანში მარკი ამოვიდა. ადრევე გაიგონა მისი ნაბიჯების ხმა და ქოშინი. „აი, სად ყოფილხარ", — უთხრა მარკმა დიდი, ხორციანი მკლავები შემოახვია და სახეში მთვრალი სიყვარული შეასუნთქა. „ჩემო ძვირფასო, ჩემო ულამაზესო", — ეფერებოდა. ბოლოს და ბოლოს, მართლა უყვარდა, ნამდვილი მამაკაცი იყო და მკლავებიც ნამდვილი ჰქონდა, და დორისაც უყვარდა, თუმცა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა სადღაც მეხსიერების ჯურღმულებში ჩაკარგვოდა.

— იქნებ ჩამოხვიდე და ბოდიში მოუხადო, — ნაზად უთხრა ქმარმა. — ის ხალხი შეწუხდა და უხერხულია. ხომ იცი, უსიამოვნება როგორ არ მიყვარს.

დორის ისევ ამოუჯდა გული, იმიტომ რომ უმწეო იყო, იმიტომ რომ ისევ ვიღაც შეაწუხა, იმიტომ, რომ ვიღაცის სხვენზე დანჯღრეულ მერხში შეყუჟული გოგო იყო, მხოლოდ ეს გოგო და მეტი არავინ, არა სხვა პიროვნება, თავის ძალებში დაჯერებული რომ დაუხვდებოდა ამ კაცის სიტყვებს, — რაც იყო, იყო, ამ ერთადერთ და საბოლოო სინამდვილეს ვერსად გაექცეოდა.

□

# ბაიფ აჯბა

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ

### ცხენები

არც შეკივლება მოჯირითეთა,
არც წაქეზება მაცქერალ ხალხის
და სძინავს სოფელს, მორკინალს ბედთან,
მთელი დღის შრომით და გარჯით დაღლილს.

სიზმრად კი ისევ მიმოქრის რემა,
იქ, მაღალ მთებში ქათქათებს მთვარე,
მერნები ისე, ვით აღმაფრენა,
დაწყვილებიან სივრცეს და ქარებს.

და მიმოქრიან, როგორც ზღაპრებში,
მუხლჩაუხრელნი და გიზგიზებენ
ვით კოცონები, რაღაც კაეშნით
და ველურ მზერით თვალში მიმზერენ.

თითქოს მიხმობენ და მაქეზებენ:
„თუ ვაჟკაცი ხარ, მოდი აგვანთე,
თუ გაქვს ყინი და თუ გაქვს შეძლება,
გადაგვატარე ქროლვით მაღალ მთებს".

და აგიზგიზდა წინაპრის სისხლი
ძარღვებში, როგორც დიდი კოცონი,
შორიდან ყორნის ყივილი ისმის
და ძლივს ვაკავებ სურვილს მოწოლილს.

ვარ მადლობელი, წინაპრის სისხლო,
და შენც, ქალღმერთო, თეთრო ვენერავ,
რომ ისევ ქროლვად მეძახი, მიხმობ
და ისევ იწვი ჩემში ნელ-ნელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გავაქროლებ დარახტულ მერანს
და გაგიტაცებ მშვენიერ ასულს,
გადავუქროლებ მთებს აღმაფრენად
და შენ მოგიტან გვირგვინებს დაწნულს.

ქარი კი უსტვენს,
ქარი კი უსტვენს,
ვით გაქცეული ბავშვობა ჩემი,
ჰყვება ლეგენდებს, ჯერ ქვეყნად უთქმელს,
და ზღაპრულ ცხენზე სიმღერას მღერის.

## მიწის ანგელოზი

სადაც არ ვიყავ,
სადაც არ წაველ
და რა ბედისაც ვიყავ ზიარი,
ცრემლი ყოველთვის შერჩა წამწამებს,
ვიყავ დაჭრილი შენი იარით,
მოგიგონებდი ასე ნაწამებს
თან მხიარული, თან ნაღვლიანი.

შენი სიმაღლის ვიყავ მსურველი
და შენი სული მე თან დამქონდა
და მთვრალს მაგ შენი მთვარის სურნელით,
ლელო ყოველთვის შენით გამქონდა,
ასე გავლიე გზები ულევი,
შენ იყავ, რაიც მქონდა, არ მქონდა.

მიწა რომ ჰყვავის,ვიცი შენა ხარ,
ცა რომ კრიალებს, შენა ხარ ისიც,
ვინმემ სამოთხე თუკი ვერ ნახა,
შენთა ვარსკვლავთა უცქიროს ციმციმს,
მოვკვდე? — საფლავზე შენმა ვენახმა
ხელი აღაპყროს ლოცვით და ფიცით.

●

ქარი და წვიმა,
წვიმა და ქარი...
მონაცვლეობა დღისა და ღამის,
არ მოუხუჭავს ქვეყანას თვალი,
მაგრამ იმედი კვლავ რჩება ხვალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს და ბოლოს წავიდა წვიმა
და წვიმას გაჰყვა ქარი ფეხდაფეხ,
მთელი დღის ლოდინს ახლა თოვლს ვწირავ,
მაგრამ ეს თოვლიც კარგად ვერ ვნახე.

ქვეყნიერებავ, დაღლილო ბრძოლით,
დაღლილო გარჯით და მოლოდინით,
შენც განგიკურნავს ჭრილობებს თოვლი
და გაეხვევი თოვლში ლოდივით.

●

და უკვე მათრობს სურნელი თოვლის,
ზეცას უთვლელი მზერა დარაჯობს,
ცვივა ფიფქები ზეციდან ბრთოლვით
და ხილვას მისას, აბა, რაღა სჯობს!..

და მოდის ღამე თოვლივით თეთრი,
მიწავ, შენც მიწექ,
დაცხრი ცოტა ხანს,
მეც მივიძინებ ფიფქების ფეთქვით
და სიზმრის ველზე ისევ მოგნახავ.

●

მე ვდგები დილით,
ყველაზე ადრე,
ვაგროვებ ღიმილს
და თოვლის ვარდებს.

კვალი არც ერთი —
ჭრილობად თოვლზე...
და მთვარე თეთრი
უგალობს მგოსნებს.

●

სძინავთ ღამეში ჩაფლულ დარბაზებს,
რომელთაც მხოლოდ ღმერთი აფასებთ.
სიჩუმე. ნათობს გზა უცნაური
და გვირილებით თმებში ჩაწნულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოდის ველზე თეთრი დუმილი
და მეც დუმილის მათოვს სურვილი.

და ისევ ცვივა თოვლი ფაფუკი
ღმერთის მადლით და ღმერთის ნაკურთხი.

ისევ დუმილი... თოვლის გზა შორი,
გზა უკაცური, თითქოსდა თოვლი

არავის უყვარს, არავის უნდა,
მე კი ამ თოვლის სურნელით ვსუნთქავ.

და ჩაფიქრებით ცას გავცქერ ასე
და თოვლის თეთრი დუმილი მავსებს.

ყველაფრისათვის მადლობა, ღმერთო,
მოწყალეთაგან შენ ერთადერთო!..

რა მომკლავს მჭვრეტელს ამ სილამაზის,
თოვლის სიჩუმე ზედ მხრებზე მაზის.

თოვლქვეშ კი ლურჯად ჰყვავის ენძელა,
მეც უკვდავება თოვლით მეძლევა.

და თეთრი ველის სიმღერა მესმის,
დაუწინწკლავის ჯერ შავი თესლით.

და ყოვლისშემძლე, მაღალი ღმერთი
უსმენდა ჩვენ და ერთადერთი.

## რუშბეი სმირი

●

ერთხელ შენც ავცდა მიზანი, მგონი,
და რა დროსია ამაზე ჯავრი?!..
ვხედავ, სარკმელზე თამბაქოს ბოლით
გამოიკვეთა ნელ-ნელა ჯვარი.

ჩემი სათქმელი — ტყვიაა ჩემი,
მდუმარება კი ბოლავს ბოლივით,
ორივ მოქიშპე და გადამრჩენი,
სიყვარულისთვის გამოგონილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ უაზრო ისმის გასროლა
(არის ხმაური და არ ჩანს სისხლი)
ადრე არაფრად რომ არ ფასობდა,
ახლა კი ასე ხშირად რომ ისმის.

ფრთა დაუკეცავთ ციცინათელებს,
არც მუგუზალთა არის ბრიალი,
მერნები,
ჩემი გზა რომ გათელეს,
გადახიზნულან მზით ნაღვლიანით.

არცა ჯიხვები, არცა ირმები,
არცა არწივთა არის მრავლობა,
სწუხან მწვერვალნი თოვლის იერით
და მდუმარეა შთამომავლობაც.

არც სიხარულის, არც ჟამი გლოვის,
არც ლაჟვარდებში ფრთა დარხეული,
მხოლოდდა თოვლის,
შარშანდელ თოვლის
უკვე დაღლილი წვეთავს სხეული.

ერთხელ შენც ავცდა მიზანი, მგონი,
და რა დროისია ამაზე ჯავრი.
ეხედავ, სარკმელზე თამბაქოს ბოლით
გამოიკვეთა ნელ-ნელა ჯვარი.

# ვასილე სტატი

## სიყვარული და საზრუნავი ჩემი

(ნაწყვეტი რომანიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ცისანა ნიკოლაიშვილმა

მანქანაში ჩუმად იჯდა მესამე მგზავრიც. ძნელი სათქმელია როგორი სვლა უფრო მოსწონდა—მთელი გზა ისე გამოიარეს, კრინტი არ დაუძრავს. თუმცა ივაშკუ და ფედრიკე ჩვეულ რიტმს მაინც არ უღალატებდნენ, თუნდაც სტუმარს ერთი ლაღად გაქროლებაც მოსურვებოდა ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგივით — ხან სარევიზიოდ, ხან შესამოწმებლად, ხან ათასი სხვა, თითქოს განზრახ ადგილობრივი კადრების მოსაცდენად გამოგონილი დავალებებით რომ ჩამოდიან ხოლმე რაიონში.

პირველ მდივანს ერთი პირობა თითქოს კიდეც დააიწყდა მისგან ხელმარცხნივ მჯდარი მეზობელი, ისე გადაჭრით და, როგორც ივაშკუს მოეჩვენა, ცოტა არ იყოს ცივადაც რომ თქვა უარი წინ დაჯდომაზე. სტუმარი უძრავად იჯდა და ხმას არ იღებდა. მისი ასეთი პირქუშობით შეცბუნებულ ივაშკუს რაღაც უცნაური ბრალეულობის გრძნობა დაეუფლა. სხვისა გული—ვით ჯურღმულიო, ნათქვამია. რა იცი, რას ფიქრობს. მით უფრო, კაცი შემოწმებაზეა ჩამოსული. მაინც რა შემოწმება უნდა ყოფილიყო ეს, ივაშკუმ არ იცოდა. გუმანითაც ვერაფერს მიმხვდარიყო. კიშინიოვიდან დაურეკეს, ცენტრიდან ამხანაგი ჩამოდის, ერთ კვირას ჩრდილოეთ მოლდავეთში დაჰყო, ახლა კრასნის რაიონის ნახვა მოისურვაო. თავდაპირველად კი ეს არ ყოფილა დაგეგმილი. რა პრობლემები ან რა კონკრეტული საქმე აინტერესებდა სტუმარს, ქილინ ივაშკუმ არ იცოდა. კიშინიოვიდან მოკლედ აცნობეს, ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგს სურს საქმის ვითარებას გაეცნოსო, თანაც დასძინეს, ეს კაცი გივი ვახტანგის ძე ალექსიძეაო.

— ჩვენთან როდის აპირებს ჩამოსვლას? რისი ნახვა სურს? გეგმა ხომ არ შევადგინო? რა პრობლემები აინტერესებს?

— ალბათ ყველა პრობლემით დაინტერესდება. ეცადეთ ყველაფერი რიგზე იყოს.

— „ყველაფერი რიგზე იყოს“. კიშინიოვიდან ადვილია ჭკუის დარიგება. მერე რა ვიღონოთ, რომ ყველაფერი რიგზე იყოს? განა ჩვენი საზრუნავიც ეგ არ არის? წარმატებას რეალური შესაძლებლობა განაპირობებს, ობიექტური ინფორმაცია... ასეა თუ ისე, არ შეიძლება ეს კაცი ცენტრიდან რაღაც დავა-

ლებით არ იყოს ჩამოსული. კიშინიოველებიც გვარიანად შეფიქრიანებული უნდა იყვნენ. ხმაზე ეტყობოდათ... თავადაც არ იციან ხეირიანად, რა აინტერესებს სტუმარს, შენ კი ჭკუას გასწავლიან: ყველაფერი რიგზე იყოსო.

— კიშინიოვიდან ვინმე ჩამოჰყვება?

— ალბათ არა. ჩრდილოეთ მოლდავეთში არავინ ხლებია, როგორც ჩანს. თქვენთანაც მარტო ჩამოვა.

— როდის ჩამოვა? ბიურო მოვიწვიოთ? რაიონის პერსპექტივები გავაცნოთ?

— არა გვგონია ეგ აუცილებელი იყოს. აჯობებს ჩვეულებრივ განაგრძოთ მუშაობა. აკეთოთ ის, რაც დაგეგმილი გაქვთ. სტუმრის გამო ნურაფერს შეცვლით. დაე ნახოს, როგორ მუშაობთ. ვერ გეტყვით, რამდენ დღეს დარჩება. შეიძლება იმავე დღეს დაბრუნდეს უკან. გვჯერა, ყველაფერი რიგზე იქნება. წარმატებას გისურვებთ.

...და აი, ახლა ის მანქანაში ზის, ივაშკუსაგან ხელმარცხნივ. გაფანტული, გულგრილად გასცქერის გზას, — იმ კაცივით, საქმეს მხოლოდ ვალის მოსახდელად რომ აკეთებს და არა თავისი სურვილით.

რა იცის ივაშკუმ მის შესახებ? თითქმის არაფერი. როგორც პასუხისმგებელი მუშაკი, ალექსიძე დროდადრო ჩამოდის მოლდავეთში. კელინ ივანოვიჩს რესპუბლიკურ პლენუმებზე უნახავს იგი. ზის პრეზიდიუმში მდუმარე, სიტყვაძვირი, ყურადღებით უსმენს გამომსვლელებს, თუმცა ვერ შეატყობ, რა მოსწონს და რა —არა. დროდადრო უბის წიგნაკს გადაშლის და რაღაცას ჩაინიშნავს.

ცოტა არ იყოს უცნაური კაცის სახელი აქვს. სულ რომ არ ფიქრობენ, სწორედ მაშინ გამოჩნდება ხან ერთ, ხან მეორე რაიონში, ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად შეცვლის მარშრუტს...

ერთხელ მოლდავეთის ერთ რაიონში ჩავიდა სტუმრად. როგორც ყოველთვის, კიშინიოვიდან არავინ ახლდა. მანქანიდან სარეველებით დაფარული მინდორი დაინახა. მაშინვე გააჩერებინა მანქანა და რაიკომის მდივანს ჰკითხა: ეს არის თქვენი დამუშავებული მინდვრები?"

მდივანი თავის მართლებას მოჰყვა. ბრიგადირს გადააბრალა ყველაფერი — აქაოდა, მე კი მივუთითე, მოვითხოვე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ხალხი აღმოჩნდა უდისციპლინოო. სტუმარმა შეაწყვეტინა: „კმარა, ჩემთვის ყველაფერი ნათელია. აბა იმ მინდვრებს გახედეთ, გაღმა — რა მშვენივრად არის მოვლილი. აქეთ კი... დანახვა შეგზარავს".

მდივანი თურმე მაშინვე გონს მოეგო: ეს სარეველებით გადავლილი მიწები ჩვენ კი არა, მეზობელ რაიონს ეკუთვნისო. „ვითომ?— იკითხა სტუმარმა და შოფერს მიუბრუნდა, — მასავით შუა ხანს მიტანებულ კაცს, რომელთანაც ხშირად უხდებოდა მგზავრობა მოლდავეთში სტუმრობის დროს: ივან კონდრატიევიჩ, ქენით სიკეთე, მეზობელ რაიონში გაემგზავრეთ და მდივანი ჩამოიყვანეთ". მერე ზურგზე ხელები დაიწყო და იმ ორ მინდორს შუა წინ და უკან სიარულს მოჰყვა, სანამ მეზობელი რაიკომის მდივანი ჩამოვიდოდა..

— ერთი მითხარით, აი, ეს შამბმოდებული მინდორი თქვენია?

— არა. აგერ იმ ალვებამდე ჩვენი მეზობელი რაიონის კოლმეურნეობის მიწებია.

ერთი სიტყვით, მდივნებმა ერთმანეთს დაუწყეს მტკიცება, ეს გავერანე-

ბული მიწა არა შენია, არა შენიო. ასე მიატოვა ისინი გორაკზე. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, — დაე მორიგდნენო. თვითონ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

კიდევ ბევრ უცნაურ რასმე ჰყვებოდნენ ამ კაცზე, ახლა ივაშკუს გვერდით რომ იჯდა მანქანაში. და ეს ზეპირი გადმოცემები კელინ ივანოვიჩის დღევანდელ სტუმარს იდუმალებით მოსილ, სასტიკ პიროვნებად ხატავდნენ.

ივაშკუმ იცოდა, რომ ახლაც მოლდავეთში ჩამოსვლის მეორე დღესვე იგი მანქანაში ჩაჯდა და რესპუბლიკის ერთ-ერთ ჩრდილოეთ რაიონს მიაშურა. იქაური ხელმძღვანელობა დიდის ამბით შეეგება სტუმარს. ალექსიძე დაესწრო საგანგებოდ მისი ჩასვლის აღსანიშნავად გამართულ თათბირს. კარგა ხანს უსმინა მასპინძელთა თავმომწონე ლაპარაკს. მერე სადილზე მიიწვიეს. სტუმარი ყველაფერს უხმოდ, დინჯად აკვირდებოდა. სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, მხოლოდ ეს იკითხა: „კი მაგრამ, ხალხთან როდისღა მუშაობთ?" როგორც ჩანს, მასპინძლებმა მისი ნათქვამის ფარული აზრი ვერ შენიშნეს, ხუმრობით მიუგეს: „ჩვენ ყველაფერს ვასწრებთ. მიჩვეული ვართ".

საჩაიეს საბანკეტო დარბაზში თავი მოიყარეს ბიუროს წევრებმა, რაიაღმასკომის ხელმძღვანელობამ, სხვა რაიონულ დაწესებულებათა მესვეურებმა. ისეთი სუფრა გაეშალათ, გეგონება ჰაიდუკების ლაშქარს ელიან სტუმრადო. გვარიანად დანაყრდნენ. იმ კუთხის ნაქებ სასმელებსაც უნახეს ჰაშნიკი და საქელგანთქმულ მზარეულთა ნახელავსაც გაუსინჯეს გემო. სადღეგრძელოც ბევრი დაილია. სტუმარს ერთი სიტყვა არ უთქვამს. ჭამდა და სვამდა სხვებთან ერთად. შეინახეებს არ აჩქარებდა და არც ისინი ჩქარობდნენ, თუმცა სადაგი დღე კი იყო. ან თუნდაც კვირა ყოფილიყო — შემოდგომაზე ამდენ ხანს დასაჯდომად ვის სცალია?

როგორც იქნა, სადილი დამთავრდა. ხალხი წამოიშალა და უცებ სტუმარმა ანგარიში მოითხოვა.

დარბაზში ჯერ ხმაური ატყდა, მერე სიჩუმე ჩამოწვა. გათამაშდა მუნჯი სცენა.

— დანახარჯი გადახდილია. ჩვენი სტუმარი ბრძანდებით, ნუ შეგვარცხვენთ...

— მიუხედავად ამისა, თუ შეიძლება, გთხოვთ ანგარიში მომიტანოთ, — დაბეჯითებით გაიმეორა ალექსიძემ.

მიმტანმა ქალმა, მთელი საღამო ფარვანასავით რომ დასტრიალებდა თავს სუფრას, დანახარჯი უანგარიშა, სტუმარმა ფული გადაიხადა და დარბაიზიდან გაეიდა. იგი ხუთ დღეს დარჩა ამ რაიონში. მეურნეობები მოიარა, ხალხს ესაუბრა. ზოგან გამგეობაში არც შეუხედავს, პირდაპირ მინდორში კოლმეურნეებისკენ გასწევდა ხოლმე. დიდხანს არც მათ უბამდა მუსაიფს. ერთორ შეკითხვას მისცემდა და მერე დუმდა, უმეტესად მათ უსმენდა.

„იქნებ ახლა მეც უნდა ვუამბო რამე? — ფიქრობდა ივაშკუ. — მაგრამ რომ არ ვიცი, რა აინტერესებს? ეგეც არ იყოს, ლაპარაკს მეც სხვისი მოსმენა მირჩევნია..."

იმ რაიონიდან წამოსვლის წინ სტუმარმა რაიკომის მდივანს უთხრა: „ბიუროს მოწვევა არ არის საჭირო. ჩემს შთაბეჭდილებებსა და დასკვნებს მოგვიანებით შეიტყობთ. ახლა კი მხოლოდ ერთი შემიძლია გითხრათ: თქვენ იმასაც ვერ ასწრებთ, რისი შესაძლებლობაც გაქვთ. ნახვამდის".

მეტი რაღა უნდა ეთქვა? ივაშკუმ იცოდა, რომ იმ რაიონში მალე რიგგარეშე პლენუმის ჩატარებას აპირებდნენ.

ახლა სტუმარი კრასნის რაიონს ეცნობოდა. რა ედო გულში, რა აინტერესებდა, რა მიზანი ჰქონდა, —ეს არავინ უწყოდა. ვერ იტყოდი, რომ ივაშკუ შიშით ფიქრობდა მასზე. ყველაფერი, რაც აქამდე უკეთებია, [illegible] უკეთებია. ისე მუშაობდა, შეეძლო თამამად გაესწორებინა თვალი ყველასათვის, ვინც იგი აირჩია, ვინც მხარში ამოუდგა. — კოლმეურნეებისთვისაც, ხელმძღვანელობისთვისაც. რაღა თქმა უნდა, ჩვენ იმისთვის როდი ვმუშაობთ, რომ ვინმეს თავი მოვაწონოთ. ხალხთან ერთად, ხალხის გვერდით ვმუშაობთ — ეს არის ჩვენი ცხოვრების აზრი და მოწოდება. თუ სადმე შეცდომა მოუვიდა, ისიც მხოლოდ არცოდნისა და თავისივე სისუსტის მიზეზით. ჰოდა, მაშ მოხდეს, რაც მოსახდენია. მაგრამ... რა შეიძლება მოხდეს?

უცნაურია: თითქოს თავს იმხნევებ, იხტიბარს არ იტეხ. გულის სიღრმეში კი მაინც გწიწკნის რაღაც, არ გასვენებს. კიშინიოვიდან რომ ჩამოდის ხელმძღვანელობა, მაშინაც კი შფოთავ რატომღაც. თუმცა განა გასაკვირია? რაიონში უამრავი საქმეა, შენ ყველაფრისთვის პასუხს აგებ, და ისიც იცი, რამდენი რამ არის ჯერ კიდევ გაუკეთებელი. როცა ცენტრიდან ჩამოდის ვინმე, მაშინ, ხომ — მით უმეტეს. ათას რამეს ეკითხები შენს თავს, ძირისძირობამდე ჩხრეკ და უკირკიტებ ყველაფერს...

არა, მართლა, რა საოცარია: თითქოს არაფერი დაგიშავებია, თითქოს შენს თავში დარწმუნებული ხარ, მაგრამ თვითკონტროლის, თვითანალიზის ჩვევა გაიძულებს ეს უკვე მერამდენედ დაუბრუნდე ერთსა და იმავეს, სულ მისხალ-მისხალ იანგარიშო, როდის ან სად მოგივიდა შეცდომა. ან იქნებ...

კომკავშირული კრება გირტოპ-მარეში, რაიცენტრიდან ყველაზე დაშორებულ სოფელში, გვიანობამდე გაგრძელდა. ივაშკუ იქ იმიტომ როდი მიდიოდა, რომ მანამდე ვინმემ საყვედური უთხრა ან კომკავშირელებს დაჰპირდა, კრებას დაგესწრებიო. არა, ამჯერად ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კრების მუშაობაში მონაწილეობა პარტიული მდივნის ერთ-ერთი მოვალეობაა. რაღა თქმა უნდა, აქ ის როდი იგულისხმება, რომ შენი დასწრებით გააბედნიერო კრების მონაწილენი. მთავარია ხალხს მოუსმინო, ისწავლო მათგან. ამ კრებაზე დასწრება კი კელინ ივანოვიჩს სხვა მოსაზრებითაც აინტერესებდა: უნდოდა უშუალოდ ხალხთან ურთიერთობისას ენახა იქაური პარტიული მდივანი ვიქტორ კაზაკუ, რომელსაც კარგა ხანია დაადგა თვალი და, როგორც აპარატის მუშაკები ამბობენ ხოლმე, შესაძლო დაწინაურების მიზნით აკვირდებოდა — რაიცენტრში უპირებდა სამუშაოდ გადაყვანას.

კვირა დღე იყო. ივაშკუმ ფედრიკეს უთხრა, მანქანა გამიმზადე და შენ წადი, დაისვენეო. მარტო აპირებდა წასვლას გირტოპ-მარეში.

— ცუდი გზებია, კელინ ივანოვიჩ. მეტადრე კამენკის ხიდთან. აჯობებს მე წამოვიდე.

— სხვათა შორის, ფიოდორ, მე საინჟინრო-მექანიკური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და მანქანასაც რიგიანად ვმართავ. მართალია, მესამე კლასის შოფერი ვარ, მაგრამ საკმაო გამოცდილება მაქვს. ასე რომ, შენ დაისვენე დღეს, გაერთე, თორემ გოგოები არ გაპატიებენ.

— თქვენ იცით. მე კი გამიფრთხილებიხართ და...

ნასადილევს ფედრიკემ ივაშკუს მანქანის გასაღები გადასცა. თან სთხოვა,

ღრანტეებსა და ნარვალებში განსაკუთრებით ფრთხილად იყავით, — თორემ უკანა რესორს სული ძლივს უდგასო.

— კეთილი, ფიოდორ, ძვირფასო. აკი ადრეც გამაფრთხილე... მაგრამ, ეთი ეს მითხარი, რატომ აქამდე არ შეაკეთე?

— თქვენს ხელში განა რამეს შეაკეთებს კაცი? დღე თქვენ არ იცით და ღამე. სულ „მიდი და მიდი“... მეც, კი ბატონო, მზადა ვარ, ხმას არ ვიღებ. მაგრამ ტექნიკას მოვლა უნდა. წესები უნდა დავიცვათ. ისევ ჩვენთვის არის საჭირო.

ფედრიკემ თავისი ხუთი თითივით იცოდა აქაური გზები. მართლაც, რაიცენტრიდან გირტოპ-მარემდე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღრანტეები და ნარვალები იყო. მოუკირწყლავი მარტო ეს მონაკვეთი დარჩათ. კელინს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კომკავშირელები ამის გამო საყვედურს ეტყოდნენ. სამართლიანადაც ეტყოდნენ, მაგრამ გირტოპ-მარემდე გზატკეცილის გაყვანის საშუალება ჯერჯერობით არა ჰქონდათ.

...კაუბის ტყესთან მისულმა მარჯვნივ გადაუხვია ნავალი გზატკეცილიდან, გახურებული ასფალტის სუნი რომ ასდიოდა. ტყის პირიდან სოფლის შარაგზამდე სოიის მომწვანო-მოყავისფრო, ყვითელდაკრული ნათესები გადაჭიმულიყო. თაკარა მზისგან დაოსებული ეს ნათესებიც თითქოს იმ ჩრდილისაკენ მიილტვოდნენ, განმარტოებით მდგარი ბებერი მსხლის ხე რომ ჰფენდა. რაც თავი ახსოვდა კელინს, ეს ხეც აქ იდგა — ამაყად აღმართული, როგორც ამ ადგილების ერთგული დარაჯი.

ტყის გაღმა გადაშლილი სანახაობა მუდამ აცვიფრებდა კელინს, ამ მკრქალი, კვამლისფრად დანისლული შორეთივით ბუნდოვან და მღელვარე ფიქრს აღუძრავდა. გზის ერთ მხარეს სინიკის ხეობაა გადაშლილი, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი, ან უკვე მიტოვებული ბაღებითა და ვენახებით. ხეობაში მთის წყაროებით ნასაზრდოები ნაკადული მორაკრაკებს, კამკამა, გამჭვირვალე, კამენკაში ჩამდინარი. ამ ნაკადულზე ცხვრის ფარები ჩამოდიან დასარწყულებლად. ქაჩალ გორაზე კოლმეურნეობის ფარეხია. წარსულის მაცნედ შემორჩენილი ძირი მოზრდილი ბაკის გვერდით, გადაყვითლებული საძოვრის ფონზე მეცხვარეთა ახალი, თეთრად მოქათქათე სახლი წამოჭიმულა. ეს ბორცვი ნახევარკუნძულივით გაწოლილა ორი პატარა მდინარის — ზალესნაიასა და კამენკის საუკუნოვან კალაპოტს შორის. რაც უფრო დაბლა ჩასდევს მზერა ბორცვის ფერდებს, მწვანეც სულ უფრო ხშირდება და მკვეთრდება. სულ ქვევით კი, დაბლობში, ატეხილ გვიმრებსა და ლაქაშებში, საიმედოდ მიმალულა აქაურ მკვიდრთათვის ესოდენ ძვირფასი ამ ორი პატარა მდინარის პაემნის ადგილი.

„გაზიკი“ ხმადაბალი ბუბუნით ეშვებოდა კამენკის ხიდისკენ. ხელმარცხნივ გზას კედელივით მიუყვებოდა მზესუმზირას ნათესები. თვალშესული მარცვლით გატიკნილი ოქროსფერი კალათები ნაყოფის სიმძიმეს დაბლა დაედრიკა. წმინდა მოლდავური პეიზაჟი იყო — წყობილი, მომრგვალო ბორცვები, ფერდობებს შეფენილი ბაღ-ვენახები, ოფლით მორწყული მინდვრები, საძოვრები, სიმინდებსა და მზესუმზირებში მიმოკლაკნილი გზა-ბილიკები, მორაკრაკე ნაკადულები, დინჯად, აუჩქარებლად რომ მიიკვლევენ გზას ხევებში, მაგრამ, როგორც კი ჟამი დაჰკრავს, ერთბაშად აბორგებულნი მიილტვიან წინ, სწრაფნი და დაუოკებელნი, ისევე როგორც თვით აქაურ მკვიდრთა ბუნება.

მდინარე კამენკის კალაპოტი იმთავითვე მიჯნად იყო მიჩნეული ორ სოფ-

ელს — გირტოპ-მარესა და პეტრეშტს შორის. ეს მშვიდი, ჩვეულებრივ უწყინარი მდინარე გაზაფხულის წყალდიდობისას მოულოდნელად კალაპოტს გადმოლახავდა, ნაპირებს გადალეკავდა. მერე ისევ ნელ-ნელა დაიხევდა უკან და მეორე გაზაფხულამდე თავის სარეცელს დაუბრუნდებოდა. მაგრამ ზაფხულობით, თქეში და ნიაღვრები რომ მოსკდებოდა, ზოგჯერ კვირობით აიწყვეტდა, აზავთებული დაატყდებოდა თავს ბოსტნეულის ნათესებს, პურისა და სიმინდის მასივებს. და მაშინ გირტოპ-მარე ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე დღე მოწყვეტილი იყო სამყაროს. ასეთ დღეებში იქამდე ტელეფონით თუ მიაწვდენდი ხმას კაცი, ანდა ცხენით თუ ახვიდოდი...

ივაშკუმ უკან ჩამოიტოვა კამენკის ხიდი, რომლის ნაფენსაც სულ ოდნავ ეხებოდა წყალი, ხოლო მოაჯირს გვიმრები მოყავისფრო-ხავერდოვან ჯილებს უწვდენდნენ. აქედან კოლმეურენობა „პობედას“ მიწები იწყებოდა. ხიდიდან გირტოპ-მარემდე სულ რამდენიმე კილომეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ სახლები არა ჩანდა, რადგან სოფელი ბორცვს იქით იყო მიმალული. ლარივით გაჭიმულ გზას ცალ მხარეს სიმინდის ყანები ჩასდევდა, მეორე მხარეს — ახალშენი ხეხილის ბაღი. მწყობრად ჩარიგებულ მსხლის სამწლიან ნერგებს შორის მწიფე, მუცელდაბერილი საზამთროები წამოგორებულიყვნენ. დროდადრო ბაღში კარვები გაიელვებდნენ, თითქოს გაფრთხილებდნენ, თუ გინდა ეს მწიფე საზამთრო იგემო, სჯობს იმ მოხუცებს მიმართო, აქაურობას რომ ჰყარაულობენ და თან თავისთვის უჩუმრად საქმიანობენო—ერთი კალათს წნავდა წნორის რტოებისაგან, მეორე კარავს დასტრიალებდა, მესამე კარტოფილს ფცქვნიდა ან რაიმეს ამზადებდა ვახშმისთვის.

დიდი ხანია არ უწვიმია. შარაგზა ხელის სისქე მტვერმა დაფარა. გაივლის მანქანა თუ საზიდარი, ავარდება მტვერი, ხის ფოთლებსა და სიმინდებს შეეფინება... კელინს ჯერ კიდევ ჰქონდა დრო. ნელა მიჰყავდა მანქანა. ხეებს და ყანას უფრთხილდებოდა, არ უნდოდა მტვრის ბუღი დაეყენებინა. განა იმიტომ, რომ ეცოდებოდა ისინი ან შეეძლო მტვრის ღრუბლებისგან დაეცვა. არა, თითქოს ერიდებოდა, რაღაცნაირი მოკრძალება დაუფლებოდა გზის ორსავ მხარეს გადაშლილი ამ საოცარი სილამაზის წინაშე.

კელინს უნებურად გაეღიმა. ეს წუთიერი აღტყინება, ეს მეყსეული სურვილი თითოეული ბალახის ღერის, თითოეული ყლორტის დაცვისა, მისწრაფება თითქმის განუხორციელებლის განხორციელებისაკენ, ბევრჯერ ჰქცევია უსიამოვნების მიზეზად. ბევრჯერ უთქვამთ საყვედური, სანტიმენტალური ხარო, გაბედულება გაკლიაო. კარგი, ვთქვათ, შენ მოუფრთხილდი ამ სიმინდს, ხეებს, საზამთროს — გზა არ აამტვერე, კოლმეურნეობის სხვა მანქანები ხომ მაინც აამტვერებენ? თუნდაც ავტოკოლონის შოფრები, დღედაღამ ქვას რომ ეზიდებიან კარიერიდან? მაგრამ კელინ ივანოვიჩს მაინც კმაყოფილებას ჰგვრიდა იმის გაფიქრება, რომ მან ფრთხილად გაიარა გზაზე, მტვრის ბუღი არ დააყენა. თუმცა, მთავარი ეს როდია.

ახლა წვიმაა საჭირო, წვიმა! მაგრამ რა ქნას კელინ ივაშკუმ, ან თუნდაც სხვა აქაურებმა, მასავით მოუთმენლად რომ ელიან ცის ნამს... ეს გზა მაინც უნდა მოკირწყლონ როგორმე, მაგრამ ჯერჯერობით საამისო შესაძლებლობა რომ არა აქვთ.

სოფელში ჩასვლას კელინ ივანოვიჩი საღამოსთვის ვარაუდობდა. მანამდე

ჯერ კიდევ დრო იყო. მაგრამ უცებ მზე ღრუბლის მქრქალ ფარდას ამოეფარა. ხვატიც განელდა.

გორაკიდან ხელისგულივით ჩანდა სოფელი — თეთრად მოქათქათე აივნიანი და ვერანდიანი სახლები, ნამდვილი სასახლეები. ჰორიზონტზე ღრუბლები ირეოდნენ. დროდადრო ელვა გაკვესავდა... გაწვიმდება უთუოდ. ოღონდ სეტყვას ნუ გამოურევს... სოფელში რომ შევიდა, კელინმა მისდაუნებურად ჰალსტუხი გაისწორა. ისევ გაეღიმა.

გაახსენდა კოლეგების სხვა საყვედურიც. თუმცა, განა მარტო კოლეგებისა.. .ხალხში უჰალსტუხოდ გამოჩენა როგორ შეიძლებაო, ლიბერალიზმიაო, დემოკრატიის თამაშიო... მდივანი ვალდებულია ყოველმხრივ სამაგალითო იყოს, მუდამ აკურატული, მოწესრიგებული და კორექტული. თუ ყველაფერში მტკიცედ დაჯერებული არა ხარ, ხალხის წინაშე არ უნდა გამოხვიდე. მაგრამ განა ეს შესაძლებელია? გწამდეს დასახული გეგმებისა, პასუხს აგებდე მათი შესრულებისთვის, ხედავდეს პერსპექტივას, შეგეძლოს შენი რწმენით და შთაგონებით აღანთო სხვები, შეგწევდეს უნარი აიყოლიო ისინი — აი, ის, რისთვისაც ვცოცხლობთ და ვსუნთქავთ. მაგრამ მუდამ და ყველაფერში დაჯერებული... არ ვიცი, არ ვიცი. მე, მაგალითად, ეს არ შემიძლია. მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის: როცა ხალხის მხადაჭერასა და თანადგომას ვგრძნობ, როცა ჩემი გადაწყვეტილებები და დასკვნები მათს ნებასურვილს, მათს იმედებსა და ოცნებებს, ესე იგი, ჩვენს საპროგრამო იდეებს ემთხვევა, მეც ძალა და შემართება მემატება. მაგრამ მარტო დამთხვევა არ კმარა. ეს მიზნები ღრმად უნდა ჩასწვდეს მათს გულსა და გონებას. აი, ეს არის შენი მუშაობის მთავარი სირთულე, ამხანაგო პარტიულო მდივანო. და არა ის, რომ მუდამ ჰალსტუხი გეკეთოს, ყველა ღილი შებნეული გქონდეს, გამუდმებით ენთუზიაზმს ასხივებდე და აქეთ-იქით წინასწარ გამზადებულ ღიმილს აფრქვევდე. სავსებით საკმარისია ადამიანი იყო, ისევე როგორც ეს უბრალო მშრომელები. იმიტომ, რომ, თუკი დღეს რაღაცას წარმოადგენ, ეს მხოლოდ მათი ნებით მოხდა. რასაკვირველია, კომუნისტების ნებით, მაგრამ კომუნისტები ხომ მშრომელთა მოწინავე რაზმია. იყავ ისეთივე, როგორიც ისინი არიან, იყავ მათგან განუყრელი, იშრომე დღედაღამ ამ ხალხის მხარდამხარ ყოველივე იმის ხორცშესხმისთვის, რაც მიზნად დაგისახავთ, რაც დავალებული გაქვს — აი, მხოლოდ მაშინ შეძლებ ღირსეულად მოიხადო შენი ვალი, ამხანაგო პარტიულო მდივანო, ამხანაგო დეპუტატო...

კელინმა მანქანა ღობესთან, ხეების ძირში გააჩერა და პიჯაკს გადასწვდა. უჰალსტუხოდ კიდევ გაბედავდა ხალხში გამოჩენას, უპიჯაკოდ — არასოდეს.

რა დასამალია, გვჩვევია ხანდახან ერთგვარი მისწრაფება ზედმეტი ზეიმურობისაკენ... თქმა არ უნდა, კომკავშირული კრება კოლმეურნეობაში პარტიის რაიკომის მდივნის მონაწილეობით მთლად ჩვეულებრივი ამბავი არ არის. ეგეც არ იყოს, კომკავშირელთა კრებას, ახალგაზრდობის თავყრილობას ისედაც მუდამ დაჰკრავს ზეიმის, ჭაბუკური სილაღის ელფერი.

მიუხედავად ამისა, კელინ ივაშკუს არ ესიამოვნა, როცა მანქანიდან გადასვლისთანავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იონ ლიახუ, პარტორგანიზაციის მდივანი ვიქტორ კაზაკუ, კომკავშირის კომიტეტის მდივანი აურელ ბოტნარუ და კომკავშირის რაიკომის მდივანი ლუჩია ალბუ შემოეგებნენ.

— საღამო მშვიდობისა, ამხანაგებო. ბლომად გყოლიათ დღეს სტუმრები.

მეტი არაფერი უთქვამს. არ უნდოდა მასპინძლებისთვის გუნება წაეხდინა. გამგები ისედაც გაიგებდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კელინ ივანოვიჩ, იშვიათად ჩამოდიხართ და ამიტომაც გადავწყვიტეთ შეგხვედროდით. დაისვენეთ ცოტა ნამგზავრზე, მტვერი ჩამოიფერთხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი მადლობა კეთილი სიტყვისთვის. ჯერ არ ჩამოვსულვარ და უკვე მაკრიტიკებთ. ვითომ ასე იშვიათი სტუმარი ვარ? კრიტიკა სასარგებლოა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ საყვედური ობიექტური უნდა იყოს, — გაეღიმა კელინ ივანოვიჩს. — თქვენა? თქვენ რატომ არ გამომესარჩლეთ, ჩემო მშვენიერო? — მიუბრუნდა მერე ლუჩია ალბუს. — მასპინძლებისა ხომ არ გეშინიათ?

— კელინ ივანოვიჩ, ამათ უნდოდათ ეთქვათ, რომ თქვენ არც ისე ხშირად ჩამოდიხართ კომკავშირულ კრებებზე, — ცოტა არ იყოს ეშმაკურად მიუგო ქალმა და მწვანე, სევდიანი თვალები შეანათა.

კელინს მოეჩვენა, რომ ძალიან დიდხანს მისჩერებოდა ქალს, უფრო დიდხანს, ვიდრე ამას ვითარება მოითხოვდა. ეგონა, ირგვლივ ყველამ შეამჩნია ესო.

— გნებდებით, ლუჩია გრიგორევნა, გნებდებით. ვაღიარებ: ახალგაზრდობის შეხვედრებში მართლაც იშვიათად ვმონაწილეობ. ამიტომაც გთხოვთ განსაკუთრებით აღნიშნოთ, რომ აი, დღეს ჩამოვედი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, გამოცდილ და გონიერ კაცს, არ გამოჰპარვია ივაშკუს უკმაყოფილება.

— დღეს მართლაც ბლომად მოვიყარეთ თავი უფროსებმა, კელინ ივანოვიჩ... მართალია, კვირა დღე კია, მაგრამ... მე სხვა რამ მინდა ვთქვა. ჩვენ ახლა ხანმოკლე შესვენება გვაქვს. თავად მოგეხსენებათ, როგორ ხდება ხოლმე, როცა ერთი პირი მოსავალი აღებულია და ხვალ-ზეგ მეორე მკა დაიწყება. არა, საქმე საკმარისად გვაქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ... რა დასამალია, ჩვენც იშვიათად ვხვდებით ახალგაზრდობას, ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. არადა, გინდა მათი აზრი და ფიქრი გაიგო. შენი სათქმელიც უთხრა. რაგინდ ჯიუტი და შფოთიანიც უნდა იყოს ახალგაზრდობა, მის გვერდით თავს მუდამ სხვანაირად გრძნობ, სხვა რიტმით ცხოვრობ. შეიძლება გაგვაკრიტიკონ კიდეც, მაგრამ საერთო ენას გამოვნახავთ.

ამასობაში ცა მოიქუფრა. ღრუბლებით დაიფარა, ბუნება გაყუჩდა, გაირინდა, როგორც ჭექა-ქუხილის მოლოდინში იცის ხოლმე.

მოსაუბრეებს ლუჩია ალბუ და აურელ ბოტნარუ მიუახლოვდნენ.

— კელინ ივანოვიჩ, შევიდეთ, კრება იწყება. გთხოვთ პრეზიდიუმში დაბრძანდეთ.

— რომელ პრეზიდიუმში?

— კრების სამუშაო პრეზიდიუმში.

— მეც სწორედ მაგას ვამბობ: რომ ის სამუშაო პრეზიდიუმია. აირჩიეთ სამი კომკავშირელი. სამნი შეძლებენ კრებას გაუძღვნენ? ან იქნებ გინდათ, რომ პრეზიდიუმში მეტი უფროსობა იყოს, ვიდრე დარბაზში — ხალხი?

— სამნი გაუძღვებიან. მაგრამ ჩვენ გთხოვთ პარტიის რაიკომის მიმართ ჩვენი პატივისცემის ნიშნად.

— მერე თქვენ რატომ მთხოვთ? აქ ყველაფერი კრებამ უნდა გადაწყვიტოს.

კომკავშირული კრება... რა აღტყინება იყო, რა აღფრთოვანება, რა გეგმები, რამდენი წინადადება წამოჭრეს... გამოსულთაგან ბევრმა გააკრიტიკა რაიონის ხელმძღვანელობა და სავსებით მართებულადაც. ყველაზე მეტი უგზოობის თაობაზე ითქვა. სწორედ უგზოობაა მიზეზი, რომ დროდადრო ყოფილის მომსახურება ფერხდება, აღარც ფილმები მოაქვთ, აღარც კონცერტები ტარდებაო. ზოგჯერ კი... ახალგაზრდებმა პირდაპირ და გაბედულად თქვეს, რაიონის ხელმძღვანელობა ფუჭ დაპირებებს სჯერდებაო.

ფანჯრებს მიღმა წვიმის სქელი ფარდა შრიალებდა. ნიაღვრები მოსკდა. დროდადრო ღამის სიბნელეს ელვა აპობდა და გამაყრუებელი გრიალით გადაივლიდა ჭექა-ქუხილი.

კრება გვიან დამთავრდა. კელინ ივანოვიჩს სთხოვეს რაიონის სამეურნეო გეგმებზე ელაპარაკა, განსაკუთრებით — მათი კოლმეურნეობის პერსპექტივებზე.

პარტიული მდივანი, რაღა თქმა უნდა, ვალდებულია ხალხს შეხვდეს და ესაუბროს, სხდომები ჩაატაროს, მონაწილეობა მიიღოს კრების მუშაობაში, სიტყვით გამოვიდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია, როცა პირველ ყოვლისა სწორედ ის უნდა გამოვიდეს და არა ვინმე სხვა. გირტოპ-მარეში კელინ ივაშკუს გამოსვლა აუცილებელი არ იყო, მაგრამ მან მაინც გაუზიარა კოლმეურნეობის კომკავშირელებს თავისი მოსაზრებები, ილაპარაკა ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რაც აღელვებდა და რისი გადაჭრის გზაც ჯერ ვერ ეპოვა. აინტერესებდა მათი შეხედულება, მათი თვალსაზრისი.

კელინ ივანოვიჩი დაემშვიდობა კომკავშირელებს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას. ლუჩია ალბუმ ღვართქაფს გახედა და სტუმარს სთხოვა რაიცენტრამდე მიმიყვანეთო.

— მაპატიეთ, ლუჩია გრიგორევნა, თავად რომ არ შემოგთავაზეთ, მეგონა აქ რჩებოდით, მშობლებთან.

— დავრჩებოდი, მაგრამ ხვალ დილაადრიან კიშინიოვში ვარ წასასვლელი.

წვიმის მძიმე, მსხვილი წვეთები გაბმულ ნაკადებად ერთდებოდნენ და მანქანის ბრეზენტის ძარაზე ჩქაფუნით ეშვებოდნენ.

ფარების შუქი წყვდიადს გადარეცხილ შარაგზას სტაცებდა და განათებულ სივრცეს წვიმის უთვალავი ისარი ესეოდა.

იდგა ბენზინის, გახურებული მტვრისა და ნესტის სუნი. დროდადრო ელვა გაიკლაკნებოდა და მის თვალისმომჭრელ სინათლეზე მკაფიოდ ჩანდა უკუნეთში ამოზრდილი გაქვავებული ფანტასტიკური სურათები. სახელურს ჩაფრენილი ლუჩია დაძაბული გასცქეროდა გზას. ხიდი ალბათ ახლოს იყო, მაგრამ მხოლოდ მოაჯირები ჩანდა. აქაფებულ მდინარეს გვიმრა და ლაქაშები გადაელეკა, ხიდი ორთიანად დაეტბორა.

— უკან ხომ არ დავბრუნდეთ, კელინ ივანოვიჩ?

— ეშმაკმა იცის... ხიდს არ ავცდებით, მოაჯირები ჩანს. მანქანაც საიმედოა. მაგრამ ვაითუ ნიაღვარმა მისასვლელი გადალეკა...

— ვცადოთ უკან დაბრუნება.

ივაშკუმ მანქანა უკუსვლით წაიყვანა. გირტოპში აპირებდა დაბრუნებას. რათა იქიდან სხვა გზით წასულიყო. მანევრირება ჭირდა. მანქანა ბუქსაობდა. ბორბლები თხრილში ჩაცურდა. მანქანა გვერდზე გადაწვა, თითქოს სალტე დაეშვაო.

„ეგ არაფერი, სათადარიგო სალტე გვაქვს", — გაუელვა კელინს. მანქანა გირტოპისაკენ მიაბრუნა, ძრავი ჩააქრო და თავსხმაში გადავიდა. გზის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. რესორი გამტყდარიყო. ლამის [illegible] მიაღწიეს პირველ კარავს. კელინმა ძრავი გამორთო. ფარები ისევ ანათებდა. კარვის შესასვლელში კაცი გამოჩნდა. შორიდან მოჩვენებას ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰეი, რომელი ხარ მანდ?

ლუჩია უხმო შეშფოთებით შესცქეროდა კელინს.

— მოვედით, ლუჩია გრიგორიევნა. გზას ვეღარ გავაგრძელებთ. ფორანმა გვიღალატა. აბა ერთი, ვნახოთ, პაპა რას გვირჩევს.

იგი მანქანიდან გადავიდა. დარაჯმა იცნო და ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა ჰკითხა:

— მოხდა რამე, კელინ ივანოვიჩ?

— მანქანა გაგვიფუჭდა. შეიძლება აქ დავტოვოთ?

— რა საკითხავია. მარტო ხართ?

— არა, ლუჩია ალბუ მახლავს, კომკავშირის რაიკომის მდივანი.

— ა, გრიგორიე კოსტაკეს ქალიშვილი.

— დიახ. ლუჩია აქ დარჩება, მე კი სოფელში ავალ, ივან ვასილევიჩს მანქანას ვთხოვ, რომ რაიცენტრამდე ჩაგვიყვანოს.

ივაშკუ მანქანასთან დაბრუნდა. პიჯაკი გაიხადა, მხრებზე წამოასხა ლუჩიას და კარვისკენ გაუძღვა.

— საღამო მშვიდობისა, პაპა, არ ელოდით სტუმრებს?

— საღამო მშვიდობისა, საყვარელო, ჭეშმარიტად, არ ველოდი. გულით კი მიხარია, რომ ავდარმა მაინც გაიძულათ აქეთ გამოვლა. ისე ხომ არ გაჩერდებოდით.

— აბა, გავვარდი მე ვირტოპში. ლუჩია გრიგორიევნა თქვენთვის ჩამიბარებია, პაპა ვასილე.

— კელინ ივანოვიჩ, მეც მოვდივარ. — უთხრა ქალმა.

— დაიცათ, კეთილო ხალხო. მოდით, ასე ვქნათ: თქვენ კარავში დაისვენეთ, გათბით, შეშრით ცოტა. მე კი ამასობაში სოფელში ავალ, თავმჯდომარეს ამბავს გავაგებინებ. მერე ორივენი ერთად გამოგივლით.

ამ ლაპარაკში პაპა ვასილემ შინ ნაქსოვი შალის მაუდის არმიაკი მოიცვა.

— არა, პაპა ვასილე. მე თქვენზე სწრაფად ვივლი. აჯობებს ჩვენს მზეთუნახავს მიხედოთ.

— მშვენიერი კოსინზიანეს მფარველობა თქვენ უფრო შეგეფერებათ, ახალგაზრდა კაცი ხართ. ჩემზე სწრაფად კი ივლით, რაღა თქმა უნდა, მაგრამ აქაური გზა-ბილიკები მე უკეთ ვიცი, — თქვა პაპა ვასილემ და ცასა და მიწას შუა გაკიდებულ წვიმის საბურველს მიეფარა.

კელინმა ლუჩიას დარაჯის სათბური წამოასხა. ქალი მოხუცის თბილ საწოლზე მოკალათდა, ორივე ხელი მუხლებს შემოხვია და გარინდებული მიაჩერდა წვიმაში დანთქმულ წყვდიადს.

მერე კელინი გზაზე გავიდა, ფარები გამორთო. მთლად გალუმპული დაბრუნდა, ლუჩიას გვერდით დაეშვა თივაზე. ორივენი დუმდნენ. ვაჟს შეამცივნა, კანკალმა აიტანა. ლუჩიამ სათბური მოიხსნა მხრებიდან, მერე პიჯაკიც გაიხადა, სველ კვართზე წამოასხა. კელინს სითბო ეამა. ის ღრმა და ბუნდოვანი მოთენ-

თილობა მოეძალა, ქალის ახალგაზრდა სხეულის ნაზი სურნელი რომ აღძრავს. უხმოდ ისხდნენ. გონებაში ათასნაირი ფიქრები ირეოდნენ, მეყსეულად გაიელვებდნენ, ასევე წამში ქრებოდნენ და ამ ღამეული წარღვნის პირისპირ მარტოდმარტო ტოვებდნენ კელინს. თუმცა არა, მარტო არ იყო. მის გვერდით თანაბრად და რიტმულად სუნთქავდა უცნაურ პოზაში გაქვავებული ლუჩია.

დრო ზანტად მიიზლაზნებოდა. დუმდნენ და იცდიდნენ. ქალს სუნთქვა გაუხშირდა. კელინმა იგრძნო, ქალი შეეხო. ან იქნებ მოეჩვენა? ლუჩია მიეყრდნო. კელინს ეგონა, ჩაეძინაო, მხრებზე მოხვია ხელი. ქალი შეკრთა, თითქოს გაიწია, უნდოდა მოშორებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მაგრად ჩაეკრა. „ო, ღმერთო, რას ჩავდივარ...“ სახე აუწვა კელინს მისმა ჩურჩულმა. ხელები თავისთავად ამოძრავდნენ და ეს სამყაროს გაჩენის დღიდან ცნობილი თითოეული ჟესტი, თითოეული მოძრაობა ერთ სულ და ერთ ხორც ქმნიდა მათს არსებას. გრძელი, გულიდან ამოხეთქილი ოხვრა, შვება და განახლება წვიმის გაბმულ, მონოტონურ მუსიკაში იძირებოდა. ქალის მხურვალე ლოყები, სველი წამწამები, მისი მკერივი ტუჩები, მოუთმენლობით ატანილი თითები ხარბად ელამუნებოდნენ, ეალერსებოდნენ ვაჟის სახეს და ყელ-კისერს...

მხურვალება და წყურვილი მიწისა, რომელზეც ქალის დაძაბული სხეული ირთოდა და ცახცახებდა, მათაც გადაეცათ. და აღარ იყო აღარც წვიმა, აღარც ღამე, აღარც ის მტანჯველი, სადღაც გულის კუნჭულში მიმალული შიში და სინანული. აღარც მოლოდინი იყო. იყო მხოლოდ უნაპირო თავდავიწყება და უშურველი, ზიარი ძლვნად გაღება ორთა შორის.

მერე ისინი სინამდვილეს დაუბრუნდნენ. სუნთქვა დაუწყნარდათ. კელინს საამო სიმსუბუქე დაეუფლა. ნეტარებდა ყოველგვარ საზრუნავს განრიდებული, წვრილმან ქცევათაგან, ყოველგვარი ობივატელური ფიქრებისაგან განწმენდილი. გონებაც, მსგავსად სხეულისა, თითქოს განთავისუფლდა, განათდა, შუქი მოეფინა, რათა ეპოვა პასუხი მტანჯველ შეკითხვებზე, გესლივით ჩაწვეთებულ ეჭვზე, განუშორებელ სინდისის ქენჯნაზე. კელინის გვერდით მშვიდად, დაწყნარებით სუნთქავდა ქალი, მოზიარე მისი სურვილისა და იმ უნაპირო სიხარულისა, მთელ მის არსებას რომ დაუფლებოდა და დაძაბულობას უქარწყლებდა. კელინი ნაზად, მადლიერებით ეფერებოდა მას. ლუჩია შემობრუნდა, მხარზე დაადო თავი.

„ისევ წვიმს“, — ფიქრის ეს უკანასკნელი ნაფლეთი თითქოს ჰაერში შეფრთხიალდა, და ნავარდით აიჭრა ცისკენ. სადღაც შორს ჭექა-ქუხილი ისმოდა.

კელინს ჩაეძინა.

რაღაც მოხდა... თვალი ჯერ კიდევ არ გაეხილა, ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი ძილ-ღვიძილისთვის, რომ მთელ მის არსებას რაღაც ანგარიშმიუცემელი შეშფოთება დაეუფლა. რაღაც მოხდა, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო?

წვიმამ გადაიღო.

კელინმა თვალები გაახილა.

კარავში ქინძლიანი ალიონის მქრქალი სინათლე შემოპარულიყო. კელინის მკლავზე ტკბილად ეძინა ლუჩიას. ცალი ხელი ვაჟის მკერდზე დაედო. ლამაზად ეძინა. გარედან ვიღაცის ლაპარაკი ისმოდა.

კელინმა ფრთხილად გამოსწია ხელი. ლუჩიამ დიდი მწვანე თვალები გა-

ახილა, ნაზად, სევდიანად შეხედა ვაჟს. მანაც გაიგონა ლაპარაკი კარვის ახლოს.

ერთად წამოცვივდნენ. ლუჩია გაფაციცებით ისწორებდა თმას, ქვედა კაბას იფერთხავდა. კელინმა თმიდან თივის ღერი გამოიღო, კეპზე ხელი ჩამოისვა და, სხვა რა გზა იყო, გავიდა.

რაიკომის „გაზიკთან“ კოლმეურნეობის თავმჯდომარის შოფერი იდგა და ისე ათვალიერებდა მანქანას, თითქოს, თუ მეტი არა, მთავარი ინსტრუქტორი მაინც ყოფილიყოს. გზაზე, კოლმეურნეობის მანქანასთან თავმჯდომარე საქმიანად რაღაცას ეუბნებოდა დარაჯს.

— განა ჩვენ ასე ვიყავით მოლაპარაკებული, პაპა ვასილე? დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობის, კელინ ივანოვიჩ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. აი, როგორ იყო ეს საქმე: ჯერ შოფერს მივაკითხე შინ. ეგ კიდევ ახალგაზრდა კაცია და, რაც უნდა წარღვნა მოვიდეს, ეს არ ავიწყდება. მერე, სანამ ივან ვასილევიჩამდე მივაღწიე, სანამ მოვისაზრებდით, შოფერისად უნდა გვეძებნა... ისე კი, არა უშავს რა, დაისვენებდით მაინც ცოტას. მართალს ვამბობ, ქალიშვილო?

ამასობაში ლუჩიაც მიუახლოვდა მოსაუბრეებს.

— სხვა რა გზა იყო? მთელ ღამეს ხომ არ გავათენებდით. კიშინიოვში წასვლელი კი დავრჩი. მაგრამ არა უშავს, ივან ვასილევიჩს ვთხოვ თქვენ დაგიქვითოთ ხელფასიდან ჩემი ჩაშლილი მივლინების თანხა.

— ყველაფერი მოგვარდება, შვილო. ეს წვიმა კი სწორედ მისწრება იყო. წვიმა მიწასაც უხარია და კაცის სულსაც.

რაიკომთან გააჩერეს მანქანა. ფედრიკემ დაინახა, კელინი და ლუჩია თავმჯდომარის მანქანიდან გადმოვიდნენ, და ყველაფერს მიხვდა.

— აქ გაგაფრთხილეთ, კელინ ივანოვიჩ, — თქვა იმ ბრძენის ნაწყენ კილოზე, რომლის სიბრძნისაც არავის სჯერა.

— შევცდი, ფიოდორ, შევცდი. დამნაშავე ვარ...

„იქნებ ამხანაგ ალექსიძეს ეს შემთხვევა აინტერესებს? ჩემს სიცოცხლეში არავის წინაშე თავის მართლება არ დამჭირვებია... ადამიანები იმიტომაც გვქვია, რომ უნდა შეგვეძლოს თავი შევიკავოთ, გულისთქმას არ ავყვეთ, ვნებებს გასაქანი არ მივცეთ. მაგრამ ახლა გვიანლაა. მოსახდენი მოხდა. სიმართლეს ვერსად გაექცევი. ერთი მოლდავური თქმულებაა, კაცმა თავზე ნამჯა დაიდო და ცეცხლი წაუკიდა. მე ამას არ ვიზამ. მაგრამ, თუ მკითხავენ, ყველაფერს პატიოსნად ვიტყვი. კარგი, დამნაშავე ვარ. მაგრამ ახლა, ისევ და ისევ რომ ვიხსენებ იმ ღამის ამბავს, ვერა და ვერ მივმხვდარვარ, — მაინც რაში შეიძლება დამდონ ბრალი?

თუ დანაშაული მიმიძღვის, ყველაზე მკაცრი მსაჯული ისევ ჩემი სინდისი იქნება. ამ სამსჯავროს შემდეგ ნებისმიერი სასტიკი ინსტანცია ლმობიერების განსახიერებად შეიძლება კაცს მოეჩვენოს...

ან იქნებ მისწერა კიდეც ვინმემ ის ამბავი, რომლისთვისაც, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემს ბედს დღესაც მადლობას ვწირავ? რა იცი, ასეთი „კეთილის მსურველი“ ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს... მე მოვიქეცი, როგორც ცოცხალი ადამიანი და მზად ვარ პასუხიც ვაგო ჩემი საქციელისთვის. ამაზე ბევრი ვიფიქრე, ბევრი ღამე გავათენე თეთრად. ახლა მორჩა... ცხოვრება თავისას

მოითხოვს. სხვისი არ ვიცი და, მე, როცა რამე განსაცდელი მელის, ყველაზე მეტად მოლოდინი მტანჯავს. როცა დრო დადგება, შემიძლია მთელი ძალა მოვიკრიბო: ყველა ვარიანტი შევამოწმო, ყველა შესაძლებლობა ავწონ-დავწონო. მერე კი ისევ მიბრუნდება სიმშვიდე და ყველაფერი თავის კალაპოტში დგება. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.

და მაინც, ასეა თუ ისე, კაცი შემოწმებაზეა ჩამოსული. ვთქვათ, ეს გადაწყვეტილებათა შესრულების ჩვეულებრივი შემოწმებაა. აკი მიჩვეული ვართ კონტროლს — ხან ჩვენ ვამოწმებთ, ხან ჩვენ გვამოწმებენ. მაგრამ მაინც... ჯერ კიშინიოვიდანაც ყოველდღე როდი ჩამოდიან შესამოწმებლად და ცენტრიდან ხომ — მით უფრო. ჩემი კოლეგების უმეტესობას ასეთი შემთხვევა შეიძლება საერთოდაც არ ჰქონია. სამაგიეროდ, მე უკვე გამიღიმა ბედმა და აგერ, ზის კაცი ჩემს გვერდით. ზის უხმოდ და არხეინად გაჰყურებს გზას.

გზიდან ხელმარჯვნივ, ახალმოხნული მინდვრის კიდეზე კაცი იჯდა და თამბაქოს აბოლებდა, რომ გაუსწორდნენ, შლაპა მოიხადა — ან მგზავრებს მიესალმა, ან მანქანის გაჩერება უნდოდა. ეს კაცი ნიკოლაი გროსუ იყო, რაიონში ცნობილი მექანიზატორი, ვეტერანი. მანქანა წინ გავარდა, მაგრამ ივაშკუმ გაჩერება გადაწყვიტა.

— გივი ვახტანგოვიჩ, შევჩერდეთ ორიოდე წუთით, რას იტყვით?

ეს იყო ალბათ მეორე ან მესამე ფრაზა, ივაშკუმ სტუმარს რომ მიმართა რაიონში მისი ჩამოსვლის შემდეგ. მას არც კი შეუხედავს პასუხად. ასე რომ, ივაშკუმ ვერ გაიგო, სტუმარი თანახმა იყო თუ არა. მაგრამ კარი უკვე გააღო, უნდოდა რაღაც ეკითხა პაპა ნიკოლაისთვის, ან, როგორც პარტიის რაიკომის საპატიო დაფაზე ეწერა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ გროსუსთვის, ლენინის ორდენისა და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერისთვის, რაიონის ერთ-ერთი პირველი ტრაქტორისტისთვის.

...გაზაფხული იდგა. პირველმა მდივანმა იმ მინდორთან გააჩერა მანქანა, სადაც ნიკოლაი გროსუ პურს თესავდა: ნიკოლაი გროსუ, სხვებივით ისიც კოლმეურნე, გამორჩეული ოსტატობითა და ღირსებით მუშაობდა. K-700 ტრაქტორი თითქოს ერთგვარი კმაყოფილებითაც კი ემორჩილებოდა ოსტატს და მონდომებით მიათრევდა სამ სათესელას, რომლებსაც სწორ მწკრივებად შეჰქონდათ თესლი ნიადაგში. ნიკოლაი გროსუ ოც წელზე მეტი იყო ამ მინდვრებზე შრომობდა.

კელინ ივანოვიჩმა ჰკითხა მაშინ: — ნიკოლაი ნიკოლაევიჩ, ერთი მითხარით, შეგიძლიათ ზერელედ, გატაცების გარეშე აკეთოთ საქმე?

კოლმეურნეს გაუკვირდა მდივნის შეკითხვა.

— არა, — მიუგო მერე. — არ შემიძლია.

— რატომ არ შეგიძლიათ? გვითხარით, თუ საიდუმლო არ არის.

— ეტყობა, ეგრე გამაჩინა ღმერთმა. მე მუშაობა მიყვარს. ბრიგადაში კარგი ბიჭები გვყავს. სიამოვნებით გამოვდივარ ცვლაში სამუშაოდ. ხოლო როცა სულს უხარია, საქმეც გამოგდის ხელიდან. მე ვიტყოდი, ჩემი ადგილი სწორედ აქ არის, ამ მიწაზე, სხვაგვარად არ შემიძლია.

ივაშკუს ღრმად ჩარჩა გულში ტრაქტორისტის სიტყვები: „სხვაგვარად არ შემიძლია". ფიქრებში წასულს ვინ იცის, რამდენჯერ გახსენებია ეს ცხოვრებისეული ფორმულა, რომლითაც ცხოვრობდა მექანიზატორი ნიკოლაი გროსუ და რომელიც, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელი იყო თავად პირველი

მდივნისათვის. მისი გამონაშუქი შარავანდედად ადგა სხვა მიწათმოქმედთა ყოველდღიურ ყოფას და შრომასაც, რათა უკეთ გამოეჩინა და განესაზღვრა მათი მაღალი სულიერი წყობა. თითოეული მათგანი თავისი შრომით, თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ამტკიცებდა და ადასტურებდა, რომ ისინი ამ მიწაზე შემთხვევითი სტუმრები კი არა, — მხვნელ-მთესველთა, მიწათმოქმედთა არა ერთი და ორი თაობის საუკეთესო ტრადიციების, მათი მაღალი თვისებების კანონიერი მემკვიდრენი და გამგრძელებელნი არიან.

ნიკოლაი გროსუმ საპენსიო ასაკს უკვე გადააბიჯა, მაგრამ „სხვაგვარად არ შეეძლო". უშრომლად სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნდა. ტრადიციის მემკვიდრისა და გამგრძელებლის ესტაფეტა კი მან თავის ვაჟს — ნიკოლაი გროსუ-უმცროსს გადასცა.

მექანიზატორისკენ მიმავალი ივაშკუ ფიქრობდა იმ ხალხზე, ვინც პატიოსნად, უჩუმრად და უხმაუროდ ასრულებს თავის მოვალეობას მშობლიური მხარის წინაშე. რაიკომის მდივანი ცოტას როდი იცნობდა ასეთ ხალხს და ამაყობდა ამ ნაცნობობით. ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლულს ყოველთვის იქნებ არც გქონდეს დრო მათზე იფიქრო. მაგრამ ისინი მუდამ შენს გვერდით არიან; სწორედ ისინი ქმნიან საძირკველს იმ მტკიცე შენადნობისას, რომელსაც ჩვეულებრივ კოლექტივს ვეძახით. ივაშკუს ჩვევად, ყოველდღიურ მოთხოვნილებად ექცა ამ ხალხთან ურთიერთობა, მათთან საუბარი, მათი რჩევის მოსმენა.

ისინი, ის ადამიანები, მხვნელ-მთესველთა გვერდით რომ ცხოვრობენ და შრომობენ, თავიანთი მაგალითით ამტკიცებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ მარტო ბატონ-პატრონები კი არა, — ნამდვილი მბრძანებელნიც არიან ყოველივე იმისი, რასაც დღეს აკეთებენ, რაც მომავალში უნდა გააკეთონ. საუკუნეები გადის, შრომის იარაღები იცვლება, მეურნეობის მეთოდები იხვეწება, თვით საზრუნავი კი მიწის მუშისა უცვლელი რჩება. იგი არ ცვდება. პირიქით, რაც დრო გადის, ისიც სულ უფრო ღრმა აზრს იძენს, სულ უფრო ემატება მნიშვნელობა.

ივაშკუს აზრით, ადამიანის ფიზიკური თუ ზნეობრივი ყოფის საძირკველს სწორედ მუშაობის წყურვილი, შრომის სიყვარული შეადგენს, — დღენიადაგ რომ ღრმავდება და ძლიერდება გამუდმებული მხარდაჭერით და ხელშეწყობით. რა თვალსაზრისითაც უნდა მიუდგე, მისი არსი ვლინდება ყველაფერში — საქმეში, ოჯახურ ცხოვრებაში, ჭირსა თუ ლხინში. კოლექტივის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალურ-ზნეობრივი კლიმატი შრომისადმი, მშრომელი კაცის დანიშნულებისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში ყალიბდება. ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ასეთი კლიმატის შენარჩუნებისთვის ზრუნვა თითოეული კომუნისტის, პირველადი პარტორგანიზაციის, რაიკომის მაღალი და წარუვალი მოვალეობაა.

საჭიროა სულ უკეთ და უკეთ აკეთო ეს ხალხთან, მარად განახლებად ცხოვრებასთან უშუალო კონტაქტის დროს, — ყოველ წუთს, ყოველ საათს, ყოველდღე. მაგრამ როგორ?

ივაშკუ და გივი ალექსიძე მექანიზატორს მიუახლოვდნენ.

— დილა მშვიდობისა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ... როგორც ჩვენში იტყვიან, ღმერთი შეგეწიოთ: უფრო სწორად, ტექნიკა იყოს თქვენი შემწე.

— მადლობელი ვარ, კელინ ივანოვიჩ. ტექნიკა მართლაც ჩვენი ღმერთია, მაშ რა არის.

ტრაქტორისტმა სცადა მაზუთით გათხვრილი ხელები გაეწმინდა და დარცხვენილი გაეცნო სტუმარს. ივაშკუ მუდამ უხერხულად გრძნობდა თავს, როცა მეცხოველეთა და მექანიზატორთა ნაჯაფარი, ღონიერი ხელები ეხებოდნენ მის ხელისგულს, რომელსაც უკვე კარგა ხანია აღარ აჩნდა შრომის კვალი, მხოლოდ თანაბარი ნამზევი ეტყობოდა. კელინ ივანოვიჩმა სტუმარი გააცნო მექანიზატორს.

— რას აკეთებთ აქ? ელოდებით ვინმეს თუ ისვენებთ?

— კიდეც ველოდები და კიდეც ვისვენებ. წუხელ ვმუშაობდი,— ვხნავდი. ახლა კოლიცამ შემცვალა, ჩემმა ვაჟმა, — აუხსნა გროსუმ სტუმარს, —ტრაქტორი გავპოხეთ, ქანჩები მოვუჭირეთ და ბიჭი კიდეც შეუდგა მუშაობას. მე ბრიგადირს ველოდები. მოტოციკლით ჩამოივლის და სოფელში ჩამიყვანს. ცოტა ხანს თვალი უნდა მოვატყუო. საღამოს ისევ ღამის ცვლაში გამოვდივარ. სამუშაო ბევრია. გვინდა დროით დავამთავროთ.

— დიდი ხანია ტრაქტორისტი ხართ? — მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში ალექსიძე.

— ორმოცდათხუთმეტი წლიდან. ლამის ძალით გამაგდეს კურსებზე. მაინცდამაინც არ მიმიწევდა გული. მაგრამ, მგონი, არ შემცდარან.

— რა სამუშაო უფრო მოგწონთ? — საუბრის სადავე სტუმარმა აიღო ხელში.

— ყველანაირი, — არ დაუგვიანა პასუხი გროსუმ, — მე მუშაობა მომწონს. მაგალითად, ხვნა ავიღოთ, მიწათმოქმედების საძირკველი. აქ საათებს ვერ განსაზღვრავ, საამისოდ ვერ მოიცლი. დღე და ღამე მუშაობ კაცი. ხანდახან ხდება, დაღლილობისგან ან რაიმე შეცდომის გამო ვინმე კვალს ასცდება. მაშინ ეტყვი შემცვლელს: „აბა, დაისვენე ცოტა ხანს. ახლა მე მივუჯდები საჭეს". წინათ უფრო გვიჭირდა. მინდვრები პატარა იყო. წარამარა აქეთ-იქით ვბრუნავდით, თავბრუ დაგეხვეოდა კაცს. ახლა სხვანაირადაა საქმე. — ნიკოლაი გროსუ მინდორში ტრაქტორთან მარტო გატარებული ღამის შემდეგ ლაპარაკის ხასიათზე მისულიყო. — აბა წარმოიდგინეთ, ზიხარ „კიროვეცის" ან K-700-ის კაბინაში, მიდიხარ და შენს შესახვედრად ზანტად მოიზლაზნება უზარმაზარი მინდორი, შენი გამგონი და მორჩილი. გადაწვება ხნული და მიწის გადახსნილი წიაღი მზად არის თესლის მისაღებად.

ტრაქტორისტმა დასრესილი კოლოფიდან სიგარეტი „ლიანა" ამოაძვრინა, მოუკიდა და განაგრძო:

— მე რომ მკითხო, ყველაზე ძნელი, მაგრამ ყველაზე საინტერესო პერიოდი თესვის პერიოდია. არა, რაღა თქმა უნდა, ალღო და შრომის უნარი ხვნაშიც საჭიროა და ფარცხვაშიც, მაგრამ თესვის დროს საქმეს მთელი გულით, მთელი არსებით ეძლევი. გამუდმებით დაძაბული ხარ, იმიტომ რომ ფიქრობ: შენი სიზუსტე, ალღო და უნარი აქ განსაკუთრებით საჭიროა. იმიტომ რომ შეცდომა, გინდა ჩემი იყოს, გინდა შენი, გინდა ამისი, — ნიკოლაი გროსუს ოდნავადაც არ მორიდებია, ჯერ სტუმარს მიაშვირა თითი, მერე ივაშკუს, — მარტო ჩვენი კერძო საქმე არ არის, მარტო ჩვენ არ ვზარალდებით მის გამო. თესვის დროს დაშვებულმა შეცდომამ არ შეიძლება თავი არ იჩინოს მოსავლის აღებისას, გავლენა არ მოახდინოს უამრავი ხალხის შრომაზე. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, — ხომ ასეა? ჩემი ფიქრით, არაფერი არ შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი, უფრო ამაღლებული, ვიდრე ხვნა, თესვა და პურის მოყ-

ლანა ამ ბორცვებზე, ამ ხეობებში. ხანდახან მაინც შემომაწვება ხოლმე სევდა: ათასობით ჰექტარზე გადაჭიმულ, თითქოს სახაზავით გავლებული სწორი ხაზებით დასერილ მასივებს ზოგჯერ რაღაც უცნაური სიცივე დაჰკრავს. განსაკუთრებით მისთვის, ვინც აქ დაიბადა და გაიზარდა. ჩვენი ბავშვობის ადგილები, ხეობები, ჭალები, მივიწყებული შარაგზები ქრებიან, უზარმაზარ მასივებში იძირებიან. ძველი ადგილები უწინდელ იერს კარგავენ, თითქოს უცხონი ხდებიან. ვიცი, სხვანაირად არც შეიძლება, მაგრამ გული მაინც შემომკვნესის. მე მოხუცი კაცი ვარ. მოხუცობას აბა რაღა მიკლია. ბევრი მინახავს, ბევრი გადამიტანია და აი, რა მინდა გითხრათ: თქვენ შორიდანა ხართ ჩამოსული. ჩვენ აქ, მოლდავეთში, სიმინდი გვითესია სარგველითაც, კვადრატულადაც, სიგრძითაც და სიგანითაც. თანაც სულ სხვადასხვაა ჯიშს ვთესავდით — ცხენის კბილსაც, იუგოსლავურსაც, იტალიურსაც, ეს არის ჩვენი ოდინდელი და მკვიდრი საქმე. მაგრამ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ — რას ვთესავთ, როგორ ვთესავთ, რითი ვთესავთ. მაპატიეთ, მგონი გავცხარდი. მაგრამ წუხელ მთელი ღამე ვხნავდი და თან ვფიქრობდი. დრო ბევრი მქონდა და... — სტუმარმა ბლოკნოტი ამოიღო და რაღაცის ჩაწერა დაიწყო.

— ახლანდელებს მაინცდამაინც არ მიუწევთ გული ტრაქტორისაკენ. არადა, დასანანი კია. მე რომ მკითხო, ტრაქტორზე ადვილია მუშაობა. იჯექი შენთვის და თვალი ფხიზლად გეჭიროს. ეს არის და ეს. ყველაფერს მანქანა გააკეთებს შენს მაგიერ. მეორე მხრივ, რთულიც არის ტრაქტორით მუშაობა. მანქანა მოთმინებას და ამტანობას მოითხოვს, სუსტები არ უყვარს, ისევ და ისევ მოვლა და გაგება სჭირდება. მანქანაზე უნდა იზრუნო. ისე რისი ტრაქტორისტი ხარ?

მოსაუბრეთა ხმა მოახლოებული ტრაქტორის გუგუნმა ჩაახშო.

— ეს კოლიცაა, ჩემი ვაჟი, — თქვა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა და ჭაბუკს ანიშნა, გაჩერდიო. ტრაქტორი თხრილს მიუახლოვდა, გუთანი ასწია, მოტრიალდა, ისევ დაუშვა სახნისი და გაჩერდა. კოლიცა ტანმორჩილი, ჩასკვნილი ბიჭი იყო. გარუჯულ სახეზე მტვერი დასდებოდა. ქუდთან ხელი მიიტანა (მამასა და შვილს ზუსტად ერთნაირი ქუდები ეხურათ. ალბათ ერთად თუ იყიდეს), დამხვდურთ მიესალმა.

— გამარჯობა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩ, — ხელი გაუწოდა ალექსიძემ.

— მე კოლიცას მეძახიან, — დარცხვენით მიუგო ჭაბუკმა. — აი, მამაჩემს კი, შეჰფერის ეგრე მიმართვა.

— გიყვარს ტრაქტორზე მუშაობა?

— რომ არ მიყვარდეს, ხომ არც ვიმუშავებდი.

— რომელი მეტს მოხნავთ — შენ თუ მამაშენი?

აქ საუბარში ვეტერანი ჩაერია:

— ეგ, რა თქმა უნდა. აბა როგორ, ბუნებრივიც არის.

— როგორ ფიქრობთ, კოლია, რამდენი ჰექტარი მიწა ექნება მოხნული მამათქვენს დღემდე?

— მარტო ტრაქტორით თუ საერთოდ? მამაჩემი ხომ ხარებითაც ხნავდა: ცხენებითაც. ტრაქტორით კი ალბათ ასე, ათი ათასი ჰექტარი მაინც ექნება მოხნული. ახლა თუ თესვას, ფარცხვას, კულტივირებასაც დავუმატებთ, რატომ ორმოცდაათი ათასი არ გამოვა. მაპატიეთ, კელინ ივანოვიჩ, თქვენც, პატივცემულო სტუმარო, მაგრამ უნდა წავიდე, ტრაქტორი ცდება, ჩამოვრჩები.

— იცი რა გითხრა, შვილო. მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგონია? კვალი გზის პირამდე უნდა მიიყვანო. ასეთი ხარვეზი მეორედ აღარ დავინახო.

კოლიცას რამდენიმე მეტრი მოუხნავი დარჩენოდა და მამამ ამიტომ უსაყვედურა.

— უნდა იცოდე, მიწის ყოველი მტკაველი ძვირფასია.

— კარგი, მამი, — ჭაბუკი ცქვიტად შეხტა კაბინაში. მაღალი, რეზინის წყვილთვალა ბორბლებზე შემდგარი ტრაქტორი მსუბუქად დაიძრა. მიდიოდა და შავად მბზინავ კვლებს შორის კვამლის ლურჯ ბოლქვებს ტოვებდა.

ნიკოლაი გროსუ დაითანხმეს, რომ მათ გაჰყოლოდა სოფელში.

ტომნეშტი ერთ-ერთი უძველესი სოფელია ჩვენს კუთხეში. აქედან წარმოიშვა ბევრი სხვა დასახლება. სოფელი ძველი კია, მაგრამ დიდი არ არის. ზამთრობით ტომნეშტის სახლები თითქოს წელში იხრებიან, თვალებზე თოვლის ქუდებს ჩამოიფხატავენ, შეცივებულები ერთიმეორეს ეხუტებიან; ზაფხულობით ძლივსღა ჩანან ხშირ—ტყესავით მოძალებულ მწვანეში. მხოლოდ აქა-იქ თუ გამოანათებენ ქათქათა თეთრი სახლები, გეგონება, ვინმემ პეშვით თესლი აიღო და ღრმა, დაკლაკნილი ხევის გაღმა-გამოღმა უწესრიგოდ მიმოაბნიაო. ქუჩები და შუკები ისე ვიწროა, საბარგო მანქანით ყველა სახლს ვერც მიუდგება კაცი.

ტომნეშტის შემოგარენი ერთიანად ფლატეებითა და ბორცვებითაა დაფარული. ალბათ ამან თუ განაპირობა აქაურ მკვიდრთა მიდრეკილება მებაღეობისაკენ. ტომნეშტელები ეზოებში და ფერდობების კალთებზე ოდითგანვე აშენებდნენ ვაშლის, მსხლის, ბლისა და ალუბლის ბაღებს. განსაკუთრებით ქლიავი ხარობს. მოსავალი სარეკორდო არ მოდის, მაგრამ ხილი კი მართლაც ისეთი იცის, ავ თვალს არ ენახვება. რაც მთავარია, აქაურებმა მარტო მოწევა კი არა, შენახვაც იციან ხილისა. ტომნეშტის კოლმეურნეები ხილს კრეფის პერიოდში არ ყიდიან. აქაური ვაშლი და მსხალი საგვიანოა, „საშობაოდ" ეძლევა გემო, სოფლის მუშა ცოტას რომ ამოისუნთქავს და მაჭარიც დაღვინდება. აქაური შავქლიავის ჩირი განთქმულია. სექტემბრიდან, ეგ კი არა, აგვისტოდან დაწყებული საშრობები განუწყვეტლივ ბოლავს, ტომნეშტელთა მწვანეში ჩაფლულ სახლებს ნაზი სურნელოვანი კვამლის საბურველით მოსავს. შემოდგომაზე ყოველი მოსახლის ეზოში, ყოველ ბაღში საშრობია გამართული და ირგვლივ მოტკბო სურნელს აფრქვევს.

ბოლო წლებში ამ კოლმეურნეობის ფერდობებზე კაკლისა და ქლიავის ნერგები ჩაყარეს. კოლმეურნეობათა რაიონულმა საბჭომ მხარი დაუჭირა ტომნეშტელთა თაოსნობას. მოსავლის მოვლა-დაბინავებაზეც თავიდანვე დაიწყეს ფიქრი.

კოლმეურნეებმაც თავის დროზე ჩაყარეს ნერგები ციცაბო ფერდობებზე. ხეებმა იხარა და ბევრმა ლამის უკვე კოლმეურნეობის სეიფში დაიგულა მოგება.

საფრთხე იქიდან დაატყდათ თავს, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. თითქოს ყველაფერი გაითვალისწინეს, მაგრამ აშკარა იყო, ხილის კრეფასა და დაბინავებას მაინც ვერ აუვიდოდნენ. რა ექნათ ამ დოვლათისათვის?

უხვ მოსავალს შეიძლება სოფელი წაელეკა. პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომამ ჯერ კიდევ მაისში მოისმინა სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარის, დამზადების სამმართველოს უფროსის, საკონსერვო ქარხნის ხელმძღვანელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ინფორმაციები ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების სეზონისათვის მზადების შესახებ. მაგრამ დადგა ივნისი და აშკარა გახდა, რომ თურმე ყოველთვის როდი ვახერხებთ ზუსტად გამოვიცნოთ თუნდაც უახლოესი პერსპექტივა. მოსავალი ნავარაუდევზე თითქმის ორჯერ მეტი მოვიდა. თუმცა, რაც დაგეგმილი ჰქონდათ, იმაზე მეტიც რომ არ მოსულიყო, მაინც გაჭირდებოდა ამოდენა დოვლათის მოვლა.

ზოგიერთი მაინც დაუდევრად გაიძახოდა:

— მოსავალი იყოს, თორემ.. მოვერევით როგორმე. თავს არ შევირცხვენთ....

ნეტავ საიდან იღებს სათავეს ასეთი უპასუხისმგებლობა? ნუთუ ეს იმ დროიდან მოგვდევს, როცა გლეხი დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომობდა ერთ მტკაველ მიწაზე და სამადლოდ ერთ ლუკმას ძლივს გამოუგდებდნენ? რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ჯერ მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია, ახლა კიდევ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო ნიშნად იქცა. ამ სიახლეთა წყალობით თვით უკანასკნელი ხუთწლედების გვალვიან წლებშიც კი კოლმეურნეობებს არ უზარალიათ და ზოგან კარგი მოსავალიც მიიღეს.

ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობა მეხილეობაზე გადავიდა. წლეულს პირველად დაისხა ქლიავმა — თითქმის სამასმა ჰექტარმა. როგორც ივნისში დაიანგარიშეს, კრასნის საკონსერვო ქარხანასა და დამამზადებელ ორგანიზაციებს დიდი დიდი, მოსალოდნელი მოსავლის ნახევარი შეეძლოთ გადაემუშავებინათ და შეესყიდათ.

იმ დღეს ტომნეშტში რაიონული საგეგმო განყოფილების ეკონომისტთა ჯგუფის შეხვედრა იყო დანიშნული. კოლმეურნეობის ეკონომისტის იულია ბურდიას წინადადება უნდა მოესმინათ და განეხილათ. თათბირის ჩატარება ადრევე იყო გადაწყვეტილი ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს ივაშკუმ დილითვე უთხრა სტუმარს, როცა იგი უთენია გამოცხადდა რაიკომში და გაეცნო:

— ალექსიძე, გივი ვახტანგის ძე.

— სასიამოვნოა. ჩვენ გელოდით, — ივაშკუმ საჭიროდ არ ჩათვალა თავი გაეცნო ჩამოსულისთვის. დარწმუნებული იყო, რომ სტუმარს მარტო სახელი და გვარი როდი ეცოდინებოდა მისი, ისევე როგორც თავად ივაშკუმ იცოდა თავისი კოლეგების, კოლმეურნეობებისა თუ საწარმოების პარტიული მდივნების, თავმჯდომარეების, დირექტორების ბიოგრაფია, ძლიერი თუ სუსტი მხარეები... — დღეს ჩაპაევის კოლმეურნეობაში მოგვიწევს მუშაობა. ჩაი გნებავთ?

— გმადლობთ. აჯობებს ახლავე გავემგზავროთ.

კოლმეურნეობის გამგეობაში თავი მოეყარა ყველას, ვისაც რამე კავშირი ჰქონდა მეხილეობასთან. საქმიანი ატმოსფერო და კარგი განწყობილება მოწმობდა, რომ ხალხი მზად იყო მომავალი მსჯელობისათვის. ივაშკუმ შეკრებილთ წარუდგინა ალექსიძე.

სტუმარს გულთბილად, პატივისცემით შეხვდნენ. აღგზნებული ჟრიამული მიწყდა. სიჩუმე ჩამოწვა. უხმოდ, მორიდებით მიუსხდნენ გრძელ მაგიდას. ზოგს აშკარად დაეტყო შეშფოთება. ააშრიალეს ასგზის წაკითხული და

გადაკითხული ქაღალდები... ზოგჯერ სჩვევიათ ასე ამ მხარეში: თითქოს ერიდებათ, ეშინიათ უფროსობისა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივან დმიტრიევიჩ როშკამ მოკლედ ახსნა ვითარება: ქლიავის ბაღებს სულ ოთხასამდე ჰექტარი უჭირავს. აქ იგულისხმება უამრავი უბანი თუ განტოტება, გეოგრაფიული თუ ორგანიზაციული ფაქტორები, ერთმანეთთან დაკავშირებული ზოგჯერ უხილავი ძაფებით — გზათა სისტემით, სატრანსპორტო საშუალებებით, ხილის შენახვის პირობებით, — ერთი სიტყვით, ინფრასტრუქტურით, რომელიც ეკონომიკურ მექანიზმს ემორჩილება. ხეები ჩაყარეს, ნაყოფი დაისხა, დამწიფდა და აი, ჩვეულ სკდება მოსავალი. აქამდე ათასჯერ დაიანგარიშეს, დათვალეს, შეამოწმეს. ახლა დაგვიანება აღარ შეიძლება. დროა მსჯელობას და ჰიპოთეზებს მორჩნენ. მოსაზრებები ერთიმეორეზე უკეთესია, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არც ერთისთვის არ შეუსხამთ ხორცი: ქაღალდზე ყველა დასკვნა მშვენივრად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ჯერჯერობით მათგან ვერც ერთმა ვერ არგო ფერდობებს შეფენილ ბაღებს — კოლმეურნეობის ეკონომიკური აყვავების იმედსა და საფუძველს.

თავის დროზე ამის გამო დიდი შეხლა-შემოხლა იყო, ბევრი იდავეს და იკამათეს, ბევრი ატრიალეს ათასნაირი ციფრები და არგუმენტები, ბევრი რამ დოთმეს კიდეც. იმას არ უარყოფდნენ, რომ ქლიავის გადამუშავების ძირფესვიანად შეცვლა და გაუმჯობესება აუცილებელი იყო, მაგრამ ამ კონკრეტულ საქმეს ხელი არავინ მოჰკიდა. მაშინ ეკონომისტმა იულია ბურდიამ კოლმეურნეობის აგრონომებთან და ინჟინრებთან ერთად საინტერესო წინადადება წამოაყენა. აზრი შეიძლება დიდად ორიგინალური არ იყო, მაგრამ მაინც... საქმე ეხებოდა აქაურ მკვიდრთა ოდინდელი ტრადიციის აღორძინებას, მათი გამოცდილების გამოყენებას, ოღონდ — ბევრად უფრო ფართო მასშტაბით, თუ ამას მხარს დაუჭერდნენ რაიონული და თვით რესპუბლიკური ორგანიზაციებიც კი.

აქაური ამხანაგების აზრით, მხოლოდ ამ გზით თუ გაართმევდნენ თავს მოძალებულ მოსავალს. სწორედ ეს აცნობეს პარტიის რაიკომს.

ვარაუდობდნენ, რომ ბაღების მთელი ფართობიდან ჰექტარზე უნდა მიეღოთ საშუალოდ თხუთმეტი ტონა მოსავალი, რამდენიმე ათასი ტონა წვნიანი, ტკბილი, მტრედისფრად დაბინდული ქლიავი, უმეტესად, „მოლდოვას", „კოდროუს", „ტულეუ გრასის", „ანა შპეტის" ჯიშისა. რაღაც უნდა ელონათ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის დაგეგმილზე ორჯერ მეტი ხილი ჩაებარებინათ. მაგრამ თუნდაც ჩაებარებინათ, კოლმეურნეობაში მაინც რჩებოდა ქლიავის დიდი მარაგი — დასაკრეფიც და დაცვენილიც. იმასაც ხომ მოვლა სჭირდებოდა? აი, რაზე ბჭობდნენ კოლმეურნეობის სპეციალისტები. მათი იდეა თავის მხრივ უამრავი სხვა საკითხის მოგვარებას მოითხოვდა, რისთვისაც დღევანდელი თათბირის მონაწილეებს უნდა შეეწყოთ ხელი. საჭირო იყო კონკრეტული დახმარება. სხვაგვარად საქმიანი იდეა სულ ადვილად შეიძლებოდა განუხორციელებელი დარჩენილიყო.

შეკრებილებმა ყურადღებით მოუსმინეს იულია ბურდიას და სხვა სპეციალისტებს. იგრძნობოდა, რომ საკითხს დეტალურად იცნობდნენ. მაგრამ, რაკი უფროსობა დაატყდათ თავს, აუცილებლად მიიჩნიეს დაწვრილებით ელაპარაკათ. მთავარი აგრონომის გამოსვლის შემდეგ ალექსიძემ, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად თქვა:

— როგორც ვხედავ, ამხანაგებო დეტალურად იცნობენ განსახილველი საკითხის არსს. თუ ასე დაწვრილებით მხოლოდ ჩემს გამო ლაპარაკობთ, არ არის საჭირო. საქმიან გადაწყვეტილებაში ისედაც გავერკვევი. მე არ მინდა ჩემმა აქ ყოფნამ მუშაობაში ხელი შეგიშალოთ...

— დიახ, დიახ, ამხანაგებო, — დაუდასტურა ივაშკუმ, — ჩვენ აქ კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად შევიკრიბეთ. ზოგადად პრობლემა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას შესწავლილი აქვს. მოდით, საქმის არსზე გადავიდეთ. წლევანდელ უხვ მოსავალს მოვლა-პატრონობა სჭირდება. როგორც თავმჯდომარე ამბობს, ტრანსპორტისა და აუცილებელი სპეციალიზებული ტარის უკმარობა საშუალებას არ გვაძლევს ინდუსტრიულ ცენტრებს მივაწოდოთ იმდენი ხილი, რამდენის მიწოდებასაც ვისურვებდით. თუ მოსავლის მთლიანად აღება, დამუშავება და საწყობებში გადაგზავნა არ მოხერხდა, ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობამ მარტო წლეულს, ბაღის პირველი მსხმოიარობის წელს, შეიძლება ნახევარ მილიონ მანეთამდე წმინდა მოგება დაკარგოს. პარტიის რაიკომის ბიურომ, ამხანაგ ბურდიას წინადადებიდან გამომდინარე, დასახა ამ საკითხის გადაჭრის გზა. ლაპარაკია იმაზე, რომ ქლიავისა და სხვა ხილის მოსავალი, რისი დროულად გაყიდვა და გადაზიდვაც არ მოხერხდება, აქვე, კოლმეურნეობაშივე გადაამუშაოთ. სხვა სიტყვებით, კოლმეურნეობა შეასრულებს წამრეწველო საწარმოების, ყოველ შემთხვევაში, ამ საწარმოთა საამქროების ზოგიერთ ფუნქციას. ერთი შეხედვით, საკითხი არც ისე რთულია, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია, ამხანაგებო. წლეულს ქლიავის მოსავალი იმდენად უხვეია, რომ კოლმეურნეობას საშრობები არ ეყოფა...

— კელინ ივანოვიჩ, ჩვენ უკვე ოთხი დიდი საშრობი ავაგეთ და მოვაწყვეთ კიდეც. ახლა კოლმეურნეობაში თორმეტი საშრობი გვაქვს, — თქვა როშკამ.

— მაგრამ ეს იმის მეასედი ძლივს არის, რაც ჩვენ გვჭირდება, — მაშინვე ჩამოართვა სიტყვა ბურდიამ. — ამიტომ ჩემი წინადადება იქნება ქლიავი გასახმობად დავუნაწილოთ იმ კოლმეურნეებსაც, რომელთაც თავიანთი საშრობები აქვთ... მაგრამ აქ შეიძლება სირთულეც შეგვხვდეს — იულია ბურდიამ კითხვის თვალით გადახედა თათბირის მონაწილეებს.

— განაგრძეთ, იულია პავლოვნა.

— დავიწყოთ მოსავლის აღებით. ვთქვათ, ერთ კაცს შეუძლია დღეში ოთხასი კილოგრამი ქლიავი მოკრიფოს. კრეფა დაახლოებით ოც დღეს გრძელდება. ესე იგი, თითოეული მოკრეფს საშუალოდ რვა ტონა ქლიავს. მოსავლის ასაღებად მუშა ხელი გვჭირდება. სკოლის დირექტორმა ამხანაგმა გრადნიუკმა უკვე გვაცნობა, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ მოსწავლეებს. ეს იქნება სავსებით რეალური დახმარება.

— ოღონდ მოვითხოვთ, რომ ბავშვებს შეუქმნან აუცილებელი პირობები, — ენერგიულად ჩაერია საუბარში სკოლის დირექტორი: — მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ტრანსპორტით, სასმელი წყლით, ცხელი კერძებით. შარშანდელივით ნუ იზამთ. გარდა ამისა, ბავშვებს ნუ დაიხმართ სხვა უბნებზე — მებოსტნეობასა და მევენახეობაში. ჩვენ კი ვეცდებით მათ მშობლებს დავეხმაროთ, თავს არ შევირცხვენთ.

— აკი მოვილაპარაკეთ ყველაფერზე, — წყენით შენიშნა როშკამ, — რა-

და საჭიროა ხალხის ყურადღების მოცდენა ყოველგვარი წვრილმანის გამო!

— ეს წვრილმანი სულაც არ არის!

— მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებაზე იფიქრეთ? — ჰკითხა ივაშკუმ. — მანქანებსა და ტრაქტორებს ვინ დატვირთავს?

დუმიტრუ ლოიტრე, კოლმეურნეობის პარტორგი, გულმოდგინედ იწერდა რაღაცას ბლოკნოტში.

— ყველაფერი მოგვარდება, კელინ ივანოვიჩ, — დაჰპირდა თავმჯდომარე. — ფიქრი ნუ გაქვთ.

— რაღა თქმა უნდა, ძირითად სამუშაოს კოლმეურნეები შეასრულებენ, მაგრამ მოსწავლეთა დახმარების გარეშე ვერას გავხდებით. შემდეგ, — იულია ბურდიამ ნაჩქარევად გადაავლო თვალი თავის ჩანაწერებს,— არ გვყოფნის ყუთები, ქაღალდის ტომრები. კარგი იქნება, თუ ჯუთის ტომრებსაც ვიშოვით. თუ შევძლებით და კოლმეურნეობის ძალებით ქლიავი ბლომად გავახმეთ, განსაკუთრებით „მოლდოვა“ და „კოდრუ“, ას ტონამდე ხმელი ხილი დაგვიგროვდება. ესე იგი, დაგვჭირდება ხუთი ათასამდე ტომარა და დაახლოებით ამდენივე ყუთი. საწყობები იქნება საჭირო. ადგილი მოვძებნეთ, მაგრამ შავქლიავს განსაკუთრებულ პირობებში უნდა შენახვა. თუმცა, აქ ჩვენ თავადვე შეგვიძლია ვიპოვოთ გამოსავალი. კელინ ივანოვიჩ, — იულია ბურდია რაიკომის მდივანს მიუბრუნდა, — მერიდება ასეთი სათხოვრით რომ მოგმართავთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვს: საწვავითაც უნდა დაგვეხმაროთ. შეშას ვგულისხმობ, საშრობებისთვის. თუ რამდენიმე ასეული კერძო საშრობიც გამოვიყენეთ, ეს კი სავსებით რეალურია, შეშა უნდა მოვიმარაგოთ. ნახშირი აქ არ გამოდგება. „სათადარიგო ნაწილებიც“ —უნდა მოგვაშველოთ. — წნორის ლატნები. საშრობები მარტო ერთხელ ხომ არ დაგვჭირდება. ჩვენ კი წნორები თითქმის სულ გადავბელეთ... ახლა სხვა კოლმეურნეობებთან გვაქვს მოლაპარაკება გამართული. თქვენი ჩარევა, რა თქმა უნდა, დააჩქარებს დახმარებას.

გარდა ამისა, გადასაწყვეტია შრომის ანაზღაურების საკითხი. მოსავალი კოლმეურნეობას ეკუთვნის, საშრობი კერძო საკუთრებაა. რაც გინდა თქვით და, ამორტიზაციისთვის რაღაც გზით უნდა გადავუხადოთ. კაცი დაინტერესებული უნდა იყოს მუშაობით. ყოველი კოლმეურნე თვითონაც ახმობს ქლიავს. მწიფე ნაყოფი კი დიდხანს ვერ მოიცდის. შემდეგ — როგორ მოხერხდება მზა პროდუქციის რეალიზაცია? ნაწილს სამომხმარებლო კოოპერაცია წაიღებს, ნაწილს — საკონსერვო ქარხანა. აქ არის ბევრი ისეთი იურიდიული თუ ფინანსური საკითხი, რაც დაკავშირებულია შრომის ანაზღაურებასთან, კერძო საშრობების გამოყენებასთან, შინ მუშაობასთან. ამ მომენტებიდან ბევრი არც არის გათვალისწინებული მოქმედი ინსტრუქციებით. სხვა ინსტრუქციის გამოყენება კი არ შეიძლება, რადგან ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებშია დამუშავებული და დღეისათვის უკვე მოძველებულია. ყველა ამ საქმეში უთუოდ გვჭირდება კომპეტენტური რაიონული ორგანიზაციების დახმარება.

დუმიტრუ ლოიტრე, კარგი მეურნე, პრინციპული ამხანაგი, შესახედავად ზღაპრულ გოლიათსაც რომ ჰგავდა და პირმშვენიერ ასულსაც, უფროსობის წინაშე ყოველთვის სხვებზე მეტად იბნეოდა. ახლა მან ივაშკუს რამდენჯერმე სტყორცნა მრავლისმეტყველი მზერა, მაგრამ კელინ ივანოვიჩი ყურადღებას არ აქცევდა.

მაშინ დუმიტრუ ლოიტრემ ბარათი გაუგზავნა. ივაშკუმ ნაწერი წაიკითხა და მშვიდად ჩაიდო ჯიბეში.

— ჩვენ უკვე მოვეთათბირეთ ამხანაგებს კოლმეურნეობათა საბჭოდან, — თქვა წთავარმა ბუღალტერმა გავრილ ტოლპანმა. — დიდხანს ვიმტვრიეთ თავი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ კოლმეურნეებისთვის ხელსაყრელია საკოლმეურნეო მოსავლის ნაწილის დამუშავება ოჯახურ პირობებში. დღისით მოხუცები თითქმის ყველა ოჯახში რჩებიან. საშრობებს ისინი მიხედავენ. საღამოს სხვებიც დაბრუნდებიან მინდვრიდან და ღამისთვის გამართავენ საშრობს. ინსტრუქციების საქმე კი მართლა ვერ არის კარგად. მაგრამ, ჩვენ რომ მოგვცემდნენ ნებას... მე პირადად ერთი გარემოება მაფიქრებს — მოტყუებული არ დავრჩეთ. ვთქვათ, მივეცით კაცს ორმოცდაათი ყუთი დარჩეული ქლიავი. ერთი უკეთ ახმობს, მეორე — ნაკლებად. ფულს ხომ ყოველი კილოგრამისთვის ვუხდით. აი, სწორედ აქ იჩენს თავს დაბრკოლება, შეიძლება ეშმაკობით გვაჯობონ...

— სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, კოლმეურნეს შეუძლია საერთო დოვლათის ნაწილი გადამალოს, არა? — წამოვარდა ლოიტრე. — მე აღშფოთებული ვარ თქვენი ნათქვამით. განა შეიძლება განურჩევლად ყველაზე ეჭვი მიიტანო? როცა მოსავალი პირდაპირ ბაღში ლპება, იმიტომ რომ მოკრეფასა და გადამუშავებას ვერ ვასწრებთ, განა მაშინ კი ჩვენ თვითონ არ ვიტყუებთ თავს? გულს არა ვტკენთ ხალხს? ჩვენი მოვალეობა მარტო მოსავლის მოყვანა და აღება როდია. ჩვენ ვალდებული ვართ გავუფრთხილდეთ საზოგადოებრივ დოვლათს, ვიყოთ დაუნდობელნი ყველას მიმართ, ვინც ამ დოვლათს ფლანგავს და დაუდევრად ეპყრობა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვაძლევს უფლებას ხალხს ცილი დავწამოთ, უსაფუძვლოდ დავაყენოთ ეჭვქვეშ თანასოფლელთა პატიოსანი სახელი. ჩვენ ამ ხალხს მრავალმილიონიან მეურნეობას ვანდობთ. ისინი მას ამუშავებენ, ამდიდრებენ. მაგრამ ასი ყუთი ქლიავი რომ ვანდოთ, ამისი გვეშინია, რადგან თურმე შეიძლება ერთი ან ორი ყუთი გადამალონ. არა, თუ ეს ფიქრი არ მოვიშორეთ თავიდან, ისე წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოსავლის მოვლა და მოფრთხილება კი, ჩემი შეხედულებით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

— დუმიტრუ ივანოვიჩ, ამხანაგებო! განა რა ვთქვი ცუდი? — დაიწყო თავის მართლება ბუღალტერმა. — მე ჩემი შიში გაგიზიარეთ..

— შიში, — გაიმეორა ლოიტრემ. — მერე, რა იმალება ამ სიტყვის მიღმა? რაღაც ძალიან ხელწამოსაკრავ სიტყვად ვაქციეთ ეს „შიში“. ძალიან ადვილად გამოგვაქვს ნაჩქარევი დასკვნები ადამიანებზე. ოჯახშიც, სკოლაშიც, გვასწავლიდნენ, ადამიანში პირველ ყოვლისა კარგი და ნათელი უნდა დავინახოთო. მაპატიეთ ეს გაცხარება, მაგრამ ხალხი ჩვენგან დახმარებას ელის, ჩვენი გონივრული გადაწყვეტილების იმედი აქვს. — მოსავალი უნდა გადავარჩინოთ. მერე იცით კი, ამხანაგო ტოლპან, — ისევ ბუღალტერს მიუბრუნდა ლოიტრე, — როგორ იშვა იდეა, რომელსაც დღეს აქ განვიხილავთ. და რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მოვიწონებთ კიდეც?

— იაკობ ხინგანუმ წამოაყენა ეს იდეა, შავქლიავის ცნობილმა ოსტატმა. რომელსაც ზოგ-ზოგებმა სპეკულანტი უწოდეს, რადგან ყოველ წელიწადს ბა-

ზარზე გაჰქონდა თავის ბაღში მოწეული ჭარბი მოსავალი. ხომ ხედავთ, ზოგიერთს ამ კაცშიც მხოლოდ ცუდი უნდა დაინახოს, ამხანაგო ტოლპან.

— მერე მე რა ვთქვი ცუდი, ამხანაგებო? ახლა მორჩა, აღარ მომასვენებენ...

ლოიტრეს მიაი სიტყვები ვითომც არ გაუგონია. სად გაქრა მისი მორიდება პატივსაცემი სტუმრების წინაშე...

— ჯერ კიდევ ზაფხულის დამდეგს მე და მთავარმა აგრონომმა ხუმრობით ვკითხეთ მოხუცს, როგორ მომავალს გვიწინასწარმეტყველებდა.

— უხვი მოსავალი იქნება წელს, ბიჭებო, უხვი. განსაკუთრებით კოლმეურნეობის ახალ ბაღებში. არც კი ვიცი, ამდენ საქმეს როგორ გაართმევთ თავს.

— როგორმე გავართმევთ, კოლმეურნეების დახმარებით, თქვენი დახმარებით, ძია იაკობ.

— ერთობლივ, რა თქმა უნდა, ყველაფერს დაძლევს კაცი. მაგრამ მე ხილის საკრეფად ვაითუ ველარ ვივარგო. თუ დაჩირვას გადაწყვეტთ, მაშინ კი მოვკიდებ ხელს. ერთ-ორ ტონას დავამზადებ და ისეთ შავქლიავს ჩაგაბარებთ, თითებს ჩაიკვნეტს კაცი. კოლმეურნეობაც მოიგებს და არც მე დავრჩები ზარალში. რას იტყვით?

— ვერ მივხვდით მაშინ, სერიოზულად ამბობდა თუ ხუმრობდა. მაგრამ ეს სიტყვები გულში ჩაგვრჩა მეც და ტრიფანსაც. მერე ძია იაკობს ვთხოვეთ დაახლოებით ევარაუდა მოსალოდნელი მოსავალი. იულია პავლოვნამ წინასწარი ანგარიში მოამზადა, ეს საკითხები გამგეობაზე განვიხილეთ, პარტიის რაიკომსა და კოლმეურნეობათა საბჭოს ვაცნობეთ, კოლმეურნეებს ვესაუბრეთ. მათ მოგვიწონეს აზრი. ზოგიერთი იმააც დაგვპირდა, უსასყიდლოდ დაგეხმარებით ჩირის დამზადებაში, ოღონდ მოსავალი ტყუილად არ დაილუპოსო. ეს ხომ მათი ნაშრომია, გული შესტკივათ. მოსავალი განა მარტო ფიზიკური მუშაობის ნაყოფია, ამ შრომაში ხომ ადამიანის სული და გულია ჩაქსოვილი...

ალექსიძე გამოსულებს უხმოდ უსმენდა, არაფერში არ ერეოდა. მხოლოდ დროდადრო რაღაცას ჩაინიშნავდა უბის წიგნაკში.

საქმიანი ლაპარაკი გაიმართა. ბევრი აზრიანი, პრინციპული წინადადება წამოაყენეს და მათი ხორცშესხმის კონკრეტული გზებიც დასახეს.

მზე ისე გადაიხარა, თათბირის მონაწილეებმა ვერც კი შეამჩნიეს. ამ თათბირზე მათ ერთობლივად მოსინჯეს მოსავლის ძლების ახალი ვითარებით ნაკარნახევი გზა. ამიტომ ყოველი წვრილმანი გულდასმით უნდა აეწონ-დაეწონათ, ყოველნაირი თვალსაზრისით შეემოწმებინათ.

ივაშკუმ დასკვნები ჩამოაყალიბა. გადაწყდა ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობას გამოეცადა ქლიავისა და სხვა ხილის უხვი მოსავლის ათვისება-გადამუშავების ახალი ფორმა. მაგრამ იგი ჯერ სათანადოდ უნდა მომზადებულიყო ამ ექსპერიმენტისათვის.

კონსერვის ქარხანა კოლმეურნეობას საჭირო რაოდენობის ყუთებსა და ტომრებს მიაწვდის.

— ჰენრიხ ჰენრიხოვიჩ, — მიმართა ივაშკუმ ჰენრიხ პეტროვს, ქარხნის დირექტორს — თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ კოლმეურნეებს. მოსავლის აღების პერიოდში, ცხადია, არც თქვენა ხართ მოცლილი. მაგრამ ქარხანას მუდამ აქვს რაღაც მარაგი. თუ ამ მარაგმა არ იკმაროს, თქვენს მეგობრებს, კიშინიო-

ვის კარტონაჟის ფაბრიკის მუშაკებს მიმართეთ. დიპლომატიური ურთიერთობა ხომ არ გაგიწყვეტიათ მათთან?

— ამ ფაბრიკასთან ურთიერთობის გაწყვეტა არამც და არამც არ შეიძლება, — ეშმაკურად ჩაიცინა პეტროვმა. — ვეცდებით კოლმეურნეობას დავეხმაროთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მარტო ლამაზი თვალებისთვის არა...

— მუქთად არც გვინდა. პროდუქციის ნაწილს თქვენ ჩაგაბარებენ.

— ვიცი მე, კელინ ივანოვიჩ, მერე ბაზრის ფასს დაადებენ.

— შეიძლება ცოტა დათმონ კიდეც. მერე რა საქონელი იქნება... ხალხი ხელიდან გამოგტაცებთ...

ივაშკუმ უბის წიგნაკი გადაფურცლა, ჩაპაევის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, სატყეო მეურნეობის სამმართველოს შეშის თაობაზე მოველაპარაკებიო. რაიაღმასკომს, საფინანსო და საგეგმო განყოფილებებს სთხოვა გულდასმით გაერკვიათ კოლმეურნეობის პირობებში შინ მუშაობისა და ანაზღაურების საკითხები.

— ისე არ გამოვიდეს, რომ ქატოს გამოვექიდოთ და ფქვილი დავკარგოთ. თუ მოსავალი გადავარჩინეთ, გვარიან შემოსავალს მივიღებთ. ხალხს ნუ აწყენინებთ. დააინტერესეთ და ეს ერთიორად გაზრდის არა მარტო წლევანდელ შოგებას. მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ქლიავი ყოველ წელიწადს იძლევა მოსავალს. თუ საჭირო პარაგრაფი ვერ ვიპოვეთ, მაშინ თავად ჩვენ აქ, ადგილზე ვიმსჯელოთ და ერთდროულად მოვიფიქროთ რამე. ორიდან რომელია უფრო ნაკლები ბოროტება — ადამიამინდელი ინსტრუქციების დარღვევა თუ მოსავლის კარგა დიდი ნაწილის დაკარგვა? ნათელია ყველაფერი, ივან დმიტრიევიჩ?

— ნათელია, კელინ ივანოვიჩ, — თავი დაუქნია კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— ვფიქრობ, არ იქნება ცუდი, თქვენი კოლმეურნეობის დელეგაცია, ვთქვათ, ლოიტრეს, ბურდიის და მთავარი აგრონომის შემადგენლობით, ესტონეთში გაემგზავროს და ოჯახურ პირობებში საკოლმეურნეო მოსავლის დამუშავების გამოცდილებას გაეცნოს. მე მოველაპარაკებოდი ხაარიუს პარტიის რაიკომის მდივანს. თუ ეთანხმებით ჩემს წინადადებას, იფიქრეთ, როდის სჯობია გაემგზავროთ — მოსავლის აღებამდე თუ შემდეგ.

კოლმეურნეობის გამგეობას და პარტბიუროს ვთხოვ ყურადღებით გააანალიზონ, დაამუშაონ თანამშრომლობის ეს ახალი ფორმა. ამ საკითხს პარტიის რაიკომის ბიუროც განიხილავს. ნუ დავივიწყებთ, რომ ქლიავის შემდეგ ვაშლისა და მსხლის მოსავალი იქნება ასაღები. ყველა მეურნეობა ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს ცდებსა და ინიციატივას. აბა, ხელი მოგემართოთ!

თათბირი დამთავრდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა.

— ივან დმიტრიევიჩ, — უთხრა ივაშკუმ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — საცაა დაბინდდება, ჩვენ კი დღეს არც გვისაუზმია, ვერ მოვასწარით. დუმიტრუ ლოიტრე სადილად გვეპატიჟება, მაგრამ ახლა ჯობს სახელდახელოდ წავიხემსოთ, ზედმეტი პომპეზურობის გარეშე. სად შეიძლება კაცმა ასეთი ადგილი იპოვოს?

— საჩაიე უკვე დაკეტილია. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ჩემთან წავიდეთ.

— გმადლობთ, სხვა დროს იყოს. იქნებ მაინც საჩაიეში მოხერხდეს?

— ახლავე მოვაგვარებთ, — ლოიტრე ეზოში გავარდა.

შეექცნენ, რაც ღმერთმა და შემოდგომამ უბოძათ, — პურს, პამიდორს, ცხვრის ყველს, ხახვს. თითო ჭიქა ღვინო დალიეს. ორივეს დანახარჯი ივაშკუმ გადაიხადა, მიუხედავად განცვიფრებით მომზირალი როშკას და [illegible]ტრეს უარობისა. სხვა დროსაც ყოფილა შემთხვევა, ერთად უსადილიათ. ვერც ერთხელ ვერ მოახერხა თვითონ გადაეხადა დანახარჯი. კაცმა რომ [illegible]ყენია, როცა გულით გიპატიჟებიან და შენ მაინცდამაინც გინდა ფული [illegible] ამ გულითად მიღებაში — მაგრამ ახლა ივაშკუ მარტო არ არის, შემმოწმებელი ახლავს. არა, ისევ ასე აჯობებს.

გივი ალექსიძეს არაფერი უთქვამს, როცა დანახარჯი ივაშკუმ გაისტუმრა. მერე კოლმეურნეობის საშრობები და ფერდობებს შეფენილი ბაღები დაათვალიერეს.

რაიცენტრში რომ დაბრუნდნენ, ბინდდებოდა. რაიკომთან ალექსიძემ უთხრა, კიშინიოვში მივდივართ. დამშვიდობებისას ხელი ჩამოართვა.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, გივი ვახტანგოვიჩ.

მეორე დღეს მიღება ჰქონდა. პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის დადგენილებით გადაწყდა, რომ ხელმძღვანელობა ხუთშაბათობით მიიღებდა მთხოვნელებს. რაიონულმა გაზეთმა მოქალაქეებს აუწყა ეს. ხალხმა იცოდა, რომ მათ ელიან, და ისეთი მოულოდნელი რა უნდა მომხდარიყო, რომ დაწესებული განრიგი შეეცვალათ. კაცმა რომ თქვას, მდივნები, და არა მარტო ისინი, ყოველდღიურად იღებენ და ხვდებიან ხალხს — არა მარტო კაბინეტებში. ყოველი ამ შეხვედრისას უამრავ განცხადებასა თუ საჩივარს ისმენენ და განიხილავენ. ზოგჯერ საკითხს განსაკუთრებული ჩაკვირვება ესაჭიროება, რათა ჩახლართულ საქმეს ნათელი მოეფინოს, მაგრამ ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო, გაკეთდა. და თუ მოხდა ისე, რომ თხოვნის დაკმაყოფილება არ ხერხდება, მაშინ დაუფარავად, პატიოსნად უნდა ვუთხრათ, რა მიზეზით ვეუბნებით კაცს უარს.

ივაშკუ მუდამ მღელვარებით ელოდა მიღების დაწყებას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მართალია, ის კი იღებს ხალხს, უსმენს და ყოველ ღონესაც ხმარობს მათ დასახმარებლად, მაგრამ ისინი კიდევ უფრო მეტად სცდიან მას, მის ადამიანობას, თვალთახედვის სიფართოვეს, მინდობილი საქმის გონივრულად გაძღოლის უნარს. რაიკომის მდივანს სწამდა, რომ გულწრფელი ყურადღება, განცხადებისა თუ საჩივრის ბედის დროულად გადაწყვეტა ერთერთი ძირითადი ასპექტია ხალხთან პარტიული მუშაობისა. ხალხის ყოველი მოსაზრება, რჩევა, შენიშვნა თუ წინადადება — გინდ ზეპირად, გინდ წერილობით გამოთქმული — ობიექტური ინფორმაციის დაუშრეტელი წყაროა, კონკრეტული აქტუალური სინამდვილის ნაწილია. მათი მეშვეობით ივაშკუსათვის ნათელი ხდებოდა ადგილებზე არსებული ვითარება, შიგნიდანვე დანახული და განცდილი თვით მისივე უშუალო მოწმეთა თუ მონაწილეთა მიერ. ეს სურათს მეტ მნიშვნელობასა და უტყუარობას სძენდა. სხვადასხვა არხით შემოსული ამ მრავალფეროვანი ინფორმაციის განზოგადებით ივაშკუს საშუალება ეძლეოდა ცხადად წარმოედგინა რაიონის პოლიტიკური თუ სოციალური განვითარების საერთო სურათი, რომელსაც კონკრეტულ პიროვნებათა თვალსაზრისით განხილვა-შეფასება მკაფიო კონტურებსა და რეალურ ძალას ანიჭებდა. ამ ხალხის ნაუბარში გამოხატულებას ჰპოვებდა საზოგადოებრივი

აზრი ყოველივეზე, რაც უკვე გაკეთდა და რაც მომავალში უნდა გაეკეთებინათ. ამ საუბრებში, ამავე დროს, ნათლად აისახებოდა თვით რაიკომის ორგანიზატორული მუშაობის ავი და კარგი. ივაშკუსათვის ყოველი ერთი საუბარი რაიკომის საქმიანობის ზუსტი და ობიექტური საზომი იყო.

ფოსტით გამოგზავნილი თუ სიტყვიერად გამოთქმული, ნაირნაირი ფორმისა და შინაარსის უწყებები, მოსაზრებები, საჩივრები თუ წინადადებები საბოლოო ანგარიშით ხალხის გულისთქმასა და იმედებს, მათ სულიერ განწყობილებას გამოხატავდა...

ერთი შეხედვით, პარტიული აქტივისტი, მინდვრად ხალხს რომ ესაუბრება და უბის წიგნაკში რაღაცას საქმიანად ინიშნავს, კაცს შეიძლება ყოვლისშემძლე დიდკაცადაც მოეჩვენოს, რომლის სიტყვასაც წინ თითქოს ვერავითარი დაბრკოლება ვერ დაუდგება. მეორე მხრივ, ივაშკუ ჯერ პეტრეშტში, შემდეგ კი ოპრიშენში მუშაობის დროიდანვე დარწმუნდა, რომ ასეთი შეხვედრები ორივე მხარისთვის სასარგებლოა — დრო იზოგება. სულ ერთია, ეს ხალხი მაინც მივიდოდა მასთან ან მისწერდა, და მაშინ განცხადების განხილვა ან სიგნალის შემოწმება მოუხდებოდა.

ეს კია, რაიონში მოგზაურობ თუ კაბინეტში იღებ ხალხს, უნდა შეგეძლოს ისეთი საკითხები შეარჩიო, რაც სწორედ პარტიის რაიკომის მდივანს ეხება, თორემ შეიძლება ყელამდე ჩაეფლო აი, ამგვარ საჩივრებსა და განცხადებებში: „შტეფან კარაზანუ საღამოობით შინ ტრაქტორით ბრუნდება, ტრაქტორს პირდაპირ ქუჩაში ტოვებს და გზას ხერგავს. არავინ არ მოუწოდებს წესრიგისაკენ".

ერთი ხანობა ივაშკუს წარამარა საშენ მასალას სთხოვდნენ, განსაკუთრებით — შიფერს. „ამხანაგო მდივანო, დაბეჯითებით გთხოვთ თუნდაც ასი ცალი შიფერი მომცეთ. ვაჟს სახლს ვუშენებ". ან კიდევ: „ფარდული დავდგი, დასახური მასალა კი ვერ მიშოვია". ივაშკუ ამას ჩაინიშნავდა, მერე რაიაღმასკომს სთხოვდა, დააკმაყოფილეთო. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, რამდენიმე თვის თავზე კი რაიაღმასკომის თავმჯდომარემ აცნობა, რაიონისთვის გამოყოფილი შიფერის ფონდიდან თითქმის ნახევარი გავეცითო. არა, ბევრს მართლაც სჭირდებოდა დახმარება. მაგრამ ზოგჯერ ირკვეოდა, რომ ის პატარა ფარდული კარგა მოზრდილი და მშვენივრად გამართული სადგომი იყო, იქვე მის გვერდით სასახლესავით წამოჭიმული მეორე სახლი კი, ამ კუთხის მკვიდრთა ახირებული ჩვეულებისამებრ, წლობით კარგამოკეტილი იდგა, რადგან ბიჭს ჯერ სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული და, ცხადია, არც ცოლი შეერთო.

თავიდან ძალიან უჭირდა უარი ეთქვა თხოვნაზე, თუნდაც მშვენივრად სცოდნოდა, რომ დახმარების არავითარი საშუალება არ გააჩნდა. ძლივს შეეჩვია. მუდამ დამნაშავედ გრძნობდა თავს, უარის თქმა რომ მოუწევდა. არადა, ხალხთან ურთიერთობამ ივაშკუ მიახვედრა, რომ თუ ყველაფერს გულახდილად, პატიოსნად, მიუკიბ-მოუკიბავად იტყვი, არ შეიძლება არ გაგიგონ.

ქლონ ივანოვიჩმა კაბინეტი გაანიავა, მაგიდა მიალაგა. პარტიის რაიკომში ყოველდღე მოდის ხალხი. მდივანს მიაჩნია, რომ რაც მეტი მოვა, მით უკეთესი — ესე იგი ენდობიან, იმედი აქვთ მისი. ცხადია, ეს იმათზე როდი ითქმის, ჩვენს სიკეთესა და მოთმინებას, ჩვენი დაწესებულებების დემოკრატიულობას ბოროტად რომ იყენებენ, — აბეზარ მომჩივნებსა და ცილისმწამებლებზე. ზოგიერთს შეხედავ, ანგელოზი გეგონება — სიფხიზლისა და პა-

ტიონსნების ნიმუში. არადა, სინამდვილეში ქვებუდანია, დავაქარი. მოსვენება აღარ არის იმათი საჩივრებისაგან. უამრავ დროს აკარგვინებენ ადამიანს.

დღეს მიღებაზე მოსულთა შორის ისეთებიც იქნებიან, ვინც შეიძლება სხვა დაწესებულებების კარიც აატალახა, მაგრამ არ მოუსმინეს ან ვერ გაუგეს. ასეც ხდება ხოლმე...

ივაშკუმ მდივან ქალსა და თავის თანაშემწეს სთხოვა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შორეული სოფლებიდან ჩამოსულები, ბავშვიანი ქალები და მოხუცები პირველ რიგში მიეღოთ. მიღების საათებში ტელეფონები გადართულია მდივანი ქალის კომუტატორზე, იმ ერთი, „ჩვენი“ ნომრის გარდა, ცხადია. ეს ნომერი მაინც დარჩა და დარჩა. რამდენჯერ დააპირა ერთი კარგად გამოეთათხა ამისათვის სატელეფონო სადგურის ხალხი, აშკარად რომ ცდილობდნენ ეამებინათ — ვითომც დიდ სამსახურს გიწევთო.

თუმცა იქნებ მართლა დაიტოვოს ეს ნომერი? ყოველი შემთხვევისათვის. რამდენჯერ უფიქრია, რა კარგი იქნება ახლა ჟეტამ რომ დამირეკოს ან კიდევ კადიას ხმა გავიგონოო. ამ ზღვა ქაღალდებში, საქმეებში, პრობლემებში ჩაფლულს, დაქანცულსა და ნერვებდაჭიმულს ახლობელი ადამიანის თბილი სიტყვა ზოგჯერ მალამოსავით მოგეფონება, დაგამშვიდებს, გაგამხნევებს. ხანდახან კიდეც ნანობდა, მკაცრად რომ აუკრძალა თავისებს: თუ აუცილებელი არ იქნეს, არ დამირეკოთო. კაბინეტის მატყუარა სიჩუმეში მარტო დარჩენილი, ზოგჯერ თვალებს დახუჭავდა და ცხადად წარმოიდგენდა ჟეტას, მის საგანგებო, მაგრამ მაინც მომხიბვლელ მიხრა-მოხრას. ნატრობდა, ნეტავ ახლა ჩემს გვერდით გაჩნდებოდესო. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ცდილობდა დაერეკა, კადიას ამბავი ეკითხა, ჟეტას ხმა გაეგონა, თითქოს ამით სურდა დაეჩრდილა სხვა ხატება, ბოლო დღეებში სულ უფრო ხშირად და დაჟინებით რომ უფორიაქებდა წარმოსახვას...

ქელინ ივანოვიჩმა მდივან ქალს ბარათი დაუტოვა — სატყეო მეურნეობის უფროსთან დამაკავშირე ტელეფონით, სხვასთან არავისთანო. მიღების დღეებში იგი ცდილობდა დრო არ გაეცდინა. შეიძლება კიშინიოვიდან დარეკონ, ცენტრალური კომიტეტიდან, მაგრამ, თუ ეტყვი, მიღება მაქვსო, მაშინვე მოგიბოდიშებენ და ლაპარაკს სხვა დროისათვის გადადებენ. ესმით, რომ უხერხულია, აქაოდა უფროსი ვარო, მიღების საათებში ტელეფონით საუბარი გააბა.

მისაღებთა სიაში დღეისათვის საბჭოთა მეურნეობა „ბირუინცის“ მთავარი აგრონომი ანდრეი გირლე და კოლმეურნეობათა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ანტონ ბირგანიც იყვნენ ჩაწერილი. ამათ ხომ ისედაც ყოველთვის შეუძლიათ შეხვდნენ რაიკომის მდივანს სხდომებზე, თათბირებზე, მინდვრებში. ამ დღეებში აკი ნახა კიდეც ორივე, მაგრამ არაფერი უთქვამთ. საინტერესოა, ახლა რაღამ მოიყვანა ან ერთი ან მეორე? თუმცა, არა, ბირგანის მოსვლის მიზეზი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

მიღებაზე მოსულები ყოველთვის როდი ეწერებიან მდივანთან. მოვლენ, დაიკავებენ რიგს და იცდიან. მით უფრო, სოფლებიდან ჩამოსულნი. ალიონზე ადგომას მიჩვეულები, რაიკომშიც უთენია მოდიან. ივაშკუ დიდხანს არ ალოდინებს მთხოვნელებს, მაშინ იღებს, როცა მოდიან: რვაზე მოვლენ? კი ბატონო, რვაზე მიიღებს; ცხრაზე? — არც მაშინ ეტყვის უარს.

კარი გამოაღო. მოსაცდელში ხანში შესული კაცი იჯდა — პეტრეშტის ბოსტნების დარაჯი სავა კოროლევსკი. მოხუცს გუბურასთან ჰქონდა თავშე-

საფარი — კარავი თუ მიწური ქოხი. ადრე გაზაფხულიდან შემოდგომის დამლევამდე იქ ედო ბინა, ზამთრობით კი თავის დიდ, ცარიელ სახლში გადაბარგდებოდა ხოლმე. ივაშკუ იცნობდა ამ კაცს. მის დანახვაზე ერთი ამბავი გაახსენდა.

... იმ დღეს კელინ ივანოვიჩმა, — მაშინ პეტრეშტში მასწავლობდა, — დილაადრიან დაიბარა გუბურასთან ნიკე სოლტანი. ბოსტნებისაკენ აპირებდა წყლის მიშვებას. ნიკეს სარუედ ვიწრო თხრილი უნდა გაეჭრა ექსკავატორით, რომ წყალს პირდაპირ გუბურიდან ნათესებისკენ ედინა. კელინ ივანოვიჩმა უჩვენა, მიწა სად დაეყარა. საქმე მიუჩინა და სანამ წავიდოდა, მოხუცს დაუბარა:

— თქვენ კი, პაპა, ჰქენით სიკეთე, დათვალეთ, რამდენ ციცხვ მიწას ამოიღებს.

— ერთი სიტყვით, მე აღმრიცხველი ვიყო, არა? ფიქრი ნუ გაქვთ. ყველაფერს ზუსტად ვიანგარიშებ.

საღამოს მოხუცი დაღვრემილი დახვდა, ნიკეს კი სახე ისე გაჰბადროდა, გეგონება სპორტლოტოში მოიგოო.

— აბა, როგორ არის საქმე, პაპა, რა ქნა ნიკემ, ხომ გულიანად იმუშავა?

— შევრცხვი, კელინ ივანოვიჩ, შევრცხვი თქვენს წინაშე. მაგან კი იმუშავა, მაგრამ მე რომ სიტყვა ვერ შევასრულე?

— როგორ, დაგავიწყდათ?

— რა დამავიწყებდა, მაგრამ დაიღუპა ჩემი ნაანგარიშევი. შეჭამეს.

მოხუცი სასოწარკვეთილი იყო. მისი სიტყვებიდან კაცი ვერაფერს გაიგებდა.

კელინ ივანოვიჩი სიცილისგან ჩაბჟირებულ მეექსკავატორეს მიუბრუნდა:

— გამაგებინე ერთი, რა მოხდა?

მოხუცს დანა კბილს არ უხსნიდა.

ნიკე ხარხარებდა:

— თქვენ რომ წახვედით, პაპა კაი ინსპექტორივით დამადგა თავს. თვალს არ აშორებდა ექსკავატორს. სანამ მე ციცხვით მიწას ამოვიღებ, ისარს მოვატრიალებ, მიწას გადავყრი, ეგ თავისთვის ითვლის... მერე რაციონალიზაცია მოძიენდომა. შეეშინდა, ანგარიში არ ამერიოსო. სიმინდის ტარო აიღო, მარცვლები გამოფშვნა, ჯიბეში ჩაიყარა და გვერდით ჯამი მოიდგა. გადავყრი ციცხვით მიწას, ეგ აიღებს და ერთ მარცვალს ჯამში ჩააგდებს. საღამოს მარცვლებს დაითვლიდა და ანგარიშს ჩაგაბარებდათ. ასე ვიშრომეთ მთელი დღე. რომ შესაღამოვდა, პაპა წავიდა, ქათმებს წყალს დავუდგამ, საკენკს დავუყრიო. სანამ დაბრუნდებოდა, მამალი, — აგე, იქა ჰყავს დაბმული, კარავთან, — ჯამს მიადგა და ჩვენი ნორმადარი ცარიელზე დატოვა.

— დამაცადოს, მალე ამოვალ მაგის ოხტში. ერთხელ დამავალეს ასეთი საქმე და არ მომჭრა თავი მაგ წყეულმა?

— ეგ არაფერი, პაპა. ნიკეს ნამუშევარს ჩვენ დავიანგარიშებთ. თქვენ ეს მითხარით, მამალი ჯიშიანია?

— ჯიშიანიო? ეგ იყო მაგისი დამსახურება! მაგრამ სულ ერთია, უდანოდ ვერ გადამირჩება. რა დღეში ჩააგდო მაგ საძაგელმა კოლმეურნეობა!

— კარგია, პაპა, ნუ ჯავრობთ. ხვალ საანგარიშოს მოგიტანთ. მამალს კი მოდი, თავი დაანებეთ. ხანდახან გაგართობთ მაინც. თან ჯიშიანიც ყოფილა...

— შემობრძანდით, პაპა. დაბრძანდით. რაზე შეწუხებულხართ, რაიონულ ცენტრში რამ ჩამოგიყვანათ?

ძიხუცს ქუდი მოეხადა და ხელში ეჭირა. მორიდებით ჩამოჯდა სკამზე.

— სულგრძელად მომიტევეთ. ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ასეთ საქმეზე რაიკომამდე მომიხდებოდა მოსვლა. მაგრამ აღარ ვიცი, ვის მივმართო. პეტრია სოლტანმა მითხრა, მიღების დღე აქვთო. ვიფ[illegible] შევალ-მეთქი.

კარს უკან ნაბიჯების ხმა გაისმა. „ვინ უნდა იყოს?“ მღივანი ქალი ასე ადრე არ მოვიდოდა.

კაბინეტში გივი ალექსიძე შემოვიდა. „ეს რაღა ახირებულობაა! გუშინ ვერ მითხრა, თუ დაბრუნებას აპირებდა? დაერეკა მაინც. ახლა რა ვუყო? მიღების დღეა. ხალხი მოვა. უკვე მოდიან კიდეც...“

— ერთი წუთით, პაპა... დილა მშვიდობისა, გივი ვახტანგოვიჩ. დღეს არ გელოდით. მიღება მაქვს.

— არა უშავს, ვიცი. თქვენი საქმე აკეთეთ. ჩემზე ნუ წუხართ. იმედი მაქვს, ხელს არ შეგიშლით.

— გისმენთ, პაპა.

— ჭაზე ვამბობდი. ჭიშკართან ჭა მაქვს. ჩემი არ იყოს, დაბერდა ისიც. ლამის ერთიანად ჩაიქცეს. ვიფიქრე, შევაკეთებ-მეთქი. მინდა ჩემს შემდეგ ისე დარჩეს, კაცს შეხედვა არ შეეზაროს... ერთი სიტყვით, მივედი სოფლსაბჭოში, ცემენტი ვთხოვე. მითხრეს, მოგცემთო, ოღონდ სამომხმარებლო კოოპერაციის ხუთასი კვერცხი და კრაველი უნდა მიჰყიდოო. ახლა სად ვიშოვო ესენი მე გაჭირვებულმა? ცხვარი მე არ დამიდის და ქათამიც სულ ორი-სამი ფრთა მყავს. ცემენტი მინდოდა მეყიდა. მასალისა და ხელობის ფულს გადავიხდიდი. მაგრამ ჩემი ლოლიავის თავი არავისა აქვს. რაიაღმასკომსაც მივმართე. შემპირდნენ, მაგრამ აგერ ერთი წელი იქნება მატყუებენ. გადავწყვიტე რაიკომში მომეწერა. ერთმა კეთილმა კაცმა მირჩია. დავწერე ყველაფერი, როგორც იყო. მალე ორი თვე შესრულდება. პასუხი არ ჩანს.

— შეუძლებელია, სავა პაპა.

— იქნებ არ მოვიდა წერილი. დაიკარგა ალბათ.

პეტრეშტელი პენსიონერის სავა კოროლევსკის წერილი ორმოცდაშვიდი დღე ხელუხლებლად იდო. ივაშკუს ის არ წაუკითხავს. წერილების ნაწილი, რასაც უმისოდაც შეიძლება პასუხი გასცენ, თანამშრომლებს ეგზავნებათ. პირველი მდივნის თანაშემწემ წერილი პროპაგანდის განყოფილებაში გაგზავნა. იქიდან მრეწველობის განყოფილებას გადასცეს. რა საოცარი სიზუსტე და თანდარიგიანობაა! შემდეგ წერილი ოპრიშენის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს გადაუგზავნეს და მიუთითეს, რომ მთხოვნელს ჭის შეკეთებაში დახმარებოდნენ. ეს იყო და ეს. თხოვნა იმდენად უმნიშვნელო მოეჩვენათ, ვერავინ მოიცალა შეემოწმებინათ. რაიკომის მითითება შესრულდა თუ არა.

არადა, ამ საქმეს არც დიდი ხარჯი სჭირდებოდა, არც ბევრი კირკიტი და ანგარიში. საკმარისი იყო ოპრიშენის სასოფლო საბჭო თავიდანვე ყურადღებით მოჰკიდებოდა სავა კოროლევსკის თხოვნას. მით უფრო, რომ ჭების შესაკეთებლად სამშენებლო მასალის დამატებითი ფონდები გამოიყოფა, პირველ ყოვლისა — ცემენტი. შემდგომ ინსტანციას კი, რომელსაც მოხუცმა კოლმეურნემ მიმართა, მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა შეეხსენებინა ეს თხოვნა ოპრიშენის ხელმძღვანელობისთვის, თანაც ისე, რომ კარგა ხანს არ დავიწ-

ყებოდათ, როგორ უნდა მოვალეობის შესრულება, მაგრამ, თუ კაცმა პარტიის რაიკომს შესჩივლა, აქ კი წერილი ორმოცდაშვიდ დღეს გაიჩერეს და ყურიც არავინ შეიბერტყა, როგორც იტყვიან, ახსნა-განმარტება ზედმეტია.

„ეს ალექსიძე ცოტა გვიან მაინც ჩამოსულიყო. ასე მგონია მოწაფე ვარ და სიზარმაცეზე წამასწრეს. ვერ არის კარგი საქმე. მაგრამ ქკუის სასწავლი გაკვეთილი კია". ივაშკუმ კალენდრის ფურცელზე რაღაც მიაწერა.

— ორშაბათ დილით ხელოსნები მოვლენ და ჭას შეგიკეთებენ. ნუ დაიზარებთ, ათი საათისათვის ბრიგადის სახლიდან დამირეკეთ. აგერ, კალენდრის ფურცელზე ჩავინიშნავ და ზუსტად ათ საათზე თქვენს ზარს დაველოდები. ვეაპატიეთ, რომ ასე მოხდა. ჩვენი ბრალია.

— არა, განა ვინმეს ვუჩივი... ეტყობა, სხვები არიან დამნაშავენი. ვისთანაც ადრე დავდიოდი.

— საქმეც ეგ არის, პაპა, რომ ჩვენა ვართ დამნაშავე, რაიკომი, პირველ ყოვლისა — მე. გმადლობთ, რომ ჭკუა მასწავლეთ. ამ გაკვეთილს არ დავივიწყებ.

— რაკი ეგრეა... მაპატიეთ. მაშინ ორშაბათს დაგირეკავთ.

ივაშკუმ ალექსიძეს დაწვრილებით უამბო მოხუცის თავგადასავალი.

... სკამზე სადად ჩაცმული ქალი ჩამოჯდა. თავსაფარი წარბებამდე ჩამოეწია. არ იცოდა, აცახცახებული ხელები სად წაეღო. დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა.

— მე ანასტასია ვილკუ ვარ... — ცხვირსახოცი ტუჩებთან მიიტანა. ნაოჭებით დაღარულ, ჩაშავებულ სახეზე მღელვარება აღბეჭდვოდა.

ივაშკუმ წყალი მიაწოდა.

— დაწყნარდით. დალაგებით მომიყევით, რა მოხდა.

— ჩემი ქმარი, ნიკიფორ ვილკუ, საავადმყოფოში მესაზიდრედ მუშაობს... — თვალები მოიწმინდა, ამოიხვნეშა. — ო, ღმერთო, ტოადერ ჩეპოიმ, ჩაპაევის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სცემა, ერთი ტომარა ხორბალი მოგიპარავსო. ჩემს ქმარს კი საბუთები ჰქონდა, ქვითრები... თვეზე მეტი საავადმყოფოში იწვა. ექიმებმა ცნობა მისცეს... მილიციაშიც ვიყავი, სახალხო სასამართლოშიც... თითქმის წელიწადია დავდივარ, ვის აღარ ავუტალახე კარი. ჩეპოის რა ენაღვლება. გამოდის, რომ ჩემი ქმარი ხელმრუდი ყოფილა. ჩვენ კი შვილები გვყავს. აქაოდა უფროსი ვარო, განა შეიძლება ტყუილუბრალოდ ცილი დასწამო ადამიანს და ხელითაც მისდგე? ეს ხომ უკანონობაა, ასეთი რამ რომელ კანონში გვიწერია?

— არც ერთში. დაწყნარდით. არც ერთ კანონში არ გვიწერია. ყველაფერს გავარკვევ და უმოკლეს ხანში პასუხს გაცნობებთ. თუ მართლა, როგორც თქვენ ამბობთ, სამართალი დაარღვიეს, შეცდომას გამოვასწორებთ. დამნაშავეები დაუსჯელი არ დარჩებიან.

„თითქოს განზრახო, სწორედ დღეს ხალხი ისეთი საჩივრით მოდის, არც რაიონს ეკადრება, არც ხელმძღვანელობას. მეორე მხრივ, თუ კაცს გასაჭირი ადგას, განა დაიცდის? გაუწევს ანგარიშს ჩვენს განწყობილებას ან იმას, რომ რაიონში ცენტრის წარმომადგენელი გვეწვია?"

ალექსიძემ ეს ამბავიც მოისმინა, ბლოკნოტში ჩაინიშნა.

ანტონ ბირგანი, ჩამრგვალებული, ქერა, ლაწვებამომჯდარი კაცი, რამდენიმე წელი იყო კოლმეურნეობათა სარაიონო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. კარი შემოაღო და შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

— გთხოვთ, ანტონ ნიკოლაევიჩ. გისმენთ. ეს ამხანაგი გივი ალექსიძე გახლავთ, ცენტრიდან.

— ხვალ ბიუროზე ჩემი საკითხი გადის. გადაწყვეტილების პროტესტს გავეცანი. სასჯელი ძალიან მკაცრი მეჩვენება.

— ამიტომაც გაგვაქვს საკითხი ბიუროზე, რათა კოლექტიურად ვიმსჯელოთ. როგორც ბიუროს წევრები გადაწყვეტენ, ისე იქნება.

— გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ბიუროზე ნუ გაიტანთ საკითხს. მე მგონია, ჩემი საქმე ამოდენა ყურადღებას არ იმსახურებს.

— ჩემი აზრით, საქმე უფრო რთულია, ვიდრე თქვენ გგონიათ. ვერაფრით დაგეხმარებით. თქვენი საკითხი შეტანილია ხვალინდელ დღის წესრიგში. ალბათ ადრე რომ გაგვერჩია, ბევრად უკეთესი იქნებოდა.

— ბოდიშს ვიხდი.

— არა უშავს.

— საქმე ის გახლავთ, რომ ბირგანმა საკუთარი სახლი აიშენა, — დაუწყო ივაშკუმ ახსნა ალექსიძეს. მაგრამ მან ცივად შეაწყვეტინა:

— ვიცი.

„ეტყობა, კარგად არის საქმეში ჩახედული და მისი ამოცანა მხოლოდ ჩვენი მუშაობის გაცნობა როდია. მე შენ გეტყვი, ზედმეტი სიტყვა დასცდება. თუმცა, ანკი რა უნდა თქვას. ენახოთ...“

... სოფელ რედულენის საბავშვო ბაღის გამგე ელეონორა ისტრატი თამამად შემოვიდა, აღელვებული, აწითლებული. დამჯდარიც არ იყო, რომ გაალმასებულმა დაიწყო:

— ქელინ ივანოვიჩ, ოდესმე ჩვენთან წესრიგი დამყარდება? ბოლოს და ბოლოს ჩვენს რაიონში საბჭოთა ხელისუფლება არის თუ არა?

— გამარჯობათ, ელეონორა ნიკოლაევნა, დაბრძანდით. ამხანაგი გივი ვახტანგოვიჩ ალექსიძე, ჩვენი სტუმარი ცენტრიდან.

ნირწამხდარმა ქალმა მიმოიხედა:

— მაპატიეთ, სხვა დროს მოვალ. სადაც აქამდე მოგვითმენია, კიდევ მოვითმენთ. მაგრამ აკი წერია, მიღების დღეაო.

— დაბრძანდით. გვითხარით თქვენი სათქმელი. დღეს ნამდვილად მიღების დღეა.

— მერე ამხანაგი?

— ჩვენ ორივენი სამსახურში ვართ. გისმენთ.

— რა ვიცი, მაინც უხერხულია. იქნებ სხვა დროს მოვსულიყავი?.. რაღა სტუმრების თანდასწრებით ვიჩივლო?

— ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ბრძანეთ.

— კარგი. მოკლედ გეტყვით. ჩვენი ბაღის მეზობლად, ერთი ლობე გვყოფს, პატარა სასურსათო მაღაზია იყო. სამომხმარებლო კოოპერაციამ ფარდული დაკეტა. ვაჭრობას სოფლის დიდ მაღაზიაში მოუყარა თავი. ბაღის გვერდით ბუფეტი გახსნეს, სადაც ძირითადად ლუდს ყიდიან. სოფლის ლოთები ლუდს არ სჯერდებიან. თქვენს მტერს, რაც იმ ლობესთან ამბავი ხდება. პატარებს კი არა, უფროსებსაც ესიკვდილებათ ბუფეტის გვერდით გავლა. ბავშვები კი მუდამ იქვე გვერდით არიან, ყველაფერს ხედავენ, ყველაფერი ესმით. მე უკვე მივმართე განათლების განყოფილებას, რაიაღმასკომს. მაცნობეს, სამომხმარებლო კოოპერაციას მიეთითა, ბუფეტი დაკეტო-

სო. ჩემს განცხადებას კი რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ წააწერა: „საქმეში“. ახლა მიბრძანეთ, განა ასე უნდა წესრიგის დამყარება?

— ერთ წუთს მომითმინეთ... ეფიმ ვასილევიჩ, კრებაზე არა ხართ? ვიცი, ვიცი, თქვენც მიღება გაქვთ. მითხარით ერთი, რედულენში საბავშვო ბაღის გვერდით რომ ლუდხანაა, იმისი თუ იცით რამე? დაკეტეს... როგორც ჩანს, კარგად ვერ დაუკეტავთ. დღესაც ღიაა სამომხმარებლო კოოპერაციისა და რამდენიმე ლოთის გულგასახარად. სამაგიეროდ, მის გამო ბაღის აღმზრდელებმა დაკარგეს მოსვენება და, რაც მთავარია, ბავშვები წუხდებიან. გიკვირთ? მეც, მეტი რომ არა ვთქვა, მიკვირს. დიახ, გამგემ თქვენს თანამშრომლებს მიმართა, უფრო ზუსტად, თქვენს მოადგილეს... დიახ, დრასინსკის. განათლების განყოფილება და ბაღის ხელმძღვანელობა დაარწმუნეს, დაუყოვნებლივ ზომებს მივიღებთო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. შემდეგ რაიაღმასკომში შეიტანეს განცხადება. ამხანაგი დრასინსკი ისევ შეჰპირდა, ბუფეტს სხვაგან გადავიტანთო, განცხადება კი საქმეში ჩააკერეს. გთხოვთ შეამოწმოთ და მაცნობოთ, როდის და რა ზომებია მიღებული ამხანაგების ზეპირი და წერილობითი განცხადებების თაობაზე. არ დაგავიწყდეთ, საქმის ასე გაჭიანურების მიზეზებიც მიუთითეთ. თუმცა თქვენი მოადგილე მსგავს უგულისყურობაში სხვა დროსაც ყოფილა შემჩნეული... ელეონორა ნიკოლაევნა, მოისმინეთ ჩემი საუბარი აღმასკომის თავმჯდომარესთან? იმედი მაქვს, ამჯერად კონკრეტულ ზომებს მიიღებენ. საბჭოთა ხელისუფლება თავის სიტყვას იტყვის. ასე რომ, ნაჩქარევი დასკვნები მაინცდამაინც ნუ გაგვიტაცებს.

— მაპატიეთ, კელინ ივანოვიჩ, ასეთი ფიცხი ხასიათი მაქვს. სამაგიეროდ, გულღრძო არა ვარ. მერე ვნანობ ხოლმე. მაგრამ ასეც ხომ არ შეიძლება. ვის მოუვიდა აზრად იქ ბუფეტის გახსნა? ანდა, თუ მოხდა შეცდომა, ნუთუ ამდენ ხანს არ შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება? ოჰ, ისევ დავიწყე ჩემებური. მაპატიეთ.

ქალი წამოდგა, დარცხვენით გადახედა ალექსიძეს.

— არა უშავს. შეცდომას გამოვასწორებთ. მაგრამ თუ მავანს და მავანს მხოლოდ თავისი კანტორის ინტერესები აღელვებს, ამის გამო მთელი პლანეტის დადანაშაულება არ შეიძლება, თუნდაც ძალიან გულფიცხები ვიყოთ. სამშაბათს დამირეკეთ, რას უზამენ იმ ბუფეტს. თუ მე არ ვიქნე, მდივან ქალს დაუბარეთ. ნახვამდის.

— გმადლობთ, მაპატიეთ.

... მარია კარტოფიანუ წლების მანძილზე ბუღალტრად მუშაობდა კოლმეურნეობა „ნოვი პუტში“. სკოლა რომ დაამთავრა, ბრიგადაში აღმრიცხველად მიიღეს. მერე ბუღალტერიაში გადაიყვანეს. დაუსწრებლად სწავლობდა საგეგმო-საფინანსო ტექნიკუმში, მეოთხე კურსზე იყო. ზამთრის სესიებზე რომ გამოიძახეს, თავმჯდომარეს განცხადება შეუტანა, ერთი თვით განთავისუფლება სთხოვა. კოტრუცეს მის მოსასმენად არ ეცალა. „არსადაც არ წახვალ“, — შეაწყვეტინა სიტყვა, ახლახან არ იყავი გამოცდების ჩასაბარებლადო? მარიას უნდოდა აეხსნა, მაშინ მესამე კურსის გამოცდები ჩავაბარე, ახლა კი მეოთხეზე ვარო. არაფერმა არ გაჭრა. იურიდიულ კონსულტაციაში ურჩიეს გამოძახება კოლმეურნეობის გამგეობაში გაეფორმებინა და სესიებზე წასულიყო. მარიაც ასე მოიქცა. სამსახურში ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა, გამგეობას ცნობა წარუდგინა, მაგრამ უთხრეს, სხვა სამუშაოზე ხარ გა-

დაყვანილით — თავმჯდომარემ სესიებზე უნებართვოდ წასვლა არ აპატია. მარიამ ახსნა-განმარტება მოითხოვა. კოტრუცემ უხეშად გააწყვეტინა სიტყვა. შეურაცხყოფილი, ნერვებაშლილი ქალი ავად გახდა, ჰიპერტონიული კრიზი მოუვიდა.

ივაშკუ კარგად იცნობდა მარია კარტოფიანუს, როგორც დიდი საქმის ერთგულ, სინდისიერ ქალს. ოპრიშენში მისი მუშაობის პერიოდში მარია პარტკომის წევრი იყო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი. ამხანაგები, გამგეობის ძველი თანამშრომლები პატივს სცემდნენ, თანაუგრძნობდნენ, მაგრამ კოტრუცეს შიშით ვერავინ გამოექომაგა.

მარიამ გადაწყვიტა პარტკომისათვის მიემართა. მისი განცხადება ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს. შვებულება აუნაზღაურეს, ბუღალტრის თანამდებობაზე აღადგინეს... მაგრამ კოლმეურნეობის მესვეურთა, უფრო სწორად თავმჯდომარის დამოკიდებულება დაუსწრებლად მოსწავლეთა მიმართ პრინციპული განსჯის საგნად არ იქცა, თუმცა კოტრუცესაგან ამგვარი საქციელი პირველი როდი იყო.

— არა, ახლა ხმას აღარა მცემს. ვცდილობ საბაბი არ მივცე. მაგრამ სულ მალე ისევ სესიებზე ვარ წასასვლელი. დამერწმუნეთ, მეშინია თავმჯდომარესთან შევიდე და ვთხოვო ნება დამრთოს კანონიერი უფლებით ვისარგებლო. ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა, კელინ ივანოვიჩ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

მარია უხერხულად, მორჩილად იჯდა სკამის კიდეზე და ხელში ცხვირსახოცს აწვალებდა. ახალგაზრდა იყო, მაგრამ განაწამები სახე ჰქონდა. მაგიდაზე დააწყო განცხადებები, გამოძახება, ცნობები, ამონაწერები ჩათვლის წიგნაკიდან — „თავდაცვის იარაღები". სამსახურში არც საყვედური მიუღია ოდესმე, არც უბრალო შენიშვნა. რამდენიმეჯერ მტკიცედ გადაელობა თავმჯდომარის საეჭვო ფინანსურ წამოწყებას. კოტრუცემ ერთი დაჟიდარაბა აუტეხა. ივაშკუ გამოექომაგა. მაშინ მასაც კარგად მოხვდა კოტრუცესაგან, როგორც პარტკომის მდივანს. მარია უდანაშაულო იყო — კოლმეურნეობის ქონებას უფრთხილდებოდა, თავის მოვალეობას ასრულებდა. ივაშკუმ არ იცოდა, ამ შემთხვევამდე კოტრუცე ოდესმე ფინანსურ დისციპლინას უგულებელყოფდა თუ არა, იმ დღიდან კი აღარ უცდია ბუღალტრისათვის საეჭვო საბუთებზე მოეწერინებინა ხელი. და აი, პატიოსანი მუშაკი, გულისხმიერი ქალი, ორი შვილის დედა (მისი ქმარი კალოზე მარცვლეულის საშრობში მუშაობდა) ახლა იძულებული იყო ყოველი თავისი ნაბიჯი ცნობებითა და ამონაწერებით დაედასტურებინა.

— ბავშვები როგორ გყავანან, მარია? გეორგე ისევ იქ მუშაობს?

— ბიჭები იზრდებიან. კარგად სწავლობენ. გეორგე ისევ საშრობშია. დღეღამეშიც ჯანმრთელადაა, ოჯახს უვლის. რა ვიცი, ჯერჯერობით ამ მხრივ სამდურავი არ მეთქმის.

— დამშვიდდით და იმუშავეთ, როგორც აქამდე გიმუშავიათ. ჩვენ მოველაპარაკებით კომუნისტებს, გამგეობას.

— გმადლობთ.

— მაინც რაო, რა ჩაიდინა კოტრუცემ? — იკითხა უცებ ალექსიძემ.

ივაშკუმ მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება. საერთოდ, კოლმეურნეობა „ნოვე აუტზე" ელაპარაკა. მეურნეობა ერთ ადგილს ტკეპნიდა, მაგრამ, რაკი

წლების მანძილზე სხვებზე წინ იყო, ცვლილება ჯერ იმდენად არ ეტყობოდა. არადა ყველა პარამეტრის, პირველ ყოვლისა ეკონომიკის განვითარების დინამიკით იგი ბევრად ჩამორჩა დანარჩენ მეურნეობებს. წინსვლა შენელდა. ოპრიშენელებს კვალში ედგა კოლმეურნეობათა უმრავლესობა, რომელთაც ენერგიული, დღევანდელობის შესაფერისად მომზადებული, უნარიანი, ახლის მგრძნობელი ხალხი ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი დაეწია და გაუსწრო კიდეც.

კოტრუცე ჩამორჩა. პარტიის რაიკომს კოლმეურნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე მეტად შესაძლო შედეგები აფიქრებდა. კოტრუცე — კარგი მეურნე, გამოცდილი თავკაცი, გაჭირვებით ეგუებოდა ახალ რიტმსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ახალი პრინციპებით ნაკარნახევ მოთხოვნებს. პირველობას მიჩვეული მტკივნეულად განიცდიდა სხვის წარმატებას და ხშირად ჯავრს უდანაშაულო ხელქვეითებზე იყრიდა — ბრმად მორჩილებას მოითხოვდა, დაუფიქრებლად ხსნიდა ხალხს, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაჰყავდა, თითქოს მარიონეტები ყოფილიყვნენ და არა კარგად მომზადებული ახალგაზრდა სპეციალისტები. ერთი სიტყვით, შრომის ატმოსფერო ვერ იყო სახარბიელო.

სპეციალისტები კოლმეურნეობიდან მიდიოდნენ ან ხელს უიმედოდ ჩაიქნევდნენ და თავმჯდომარის ნებას ემორჩილებოდნენ. ეს კია, სოციალურ პრობლემებს ოპრიშენსა და პეტრეშტში მუდამ დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ. კოტრუცე ბევრჯერ შეუქიათ კოლმეურნეობის სახსრებით აგებული სკოლის, საბავშვო ბაღის, წიგნის მაღაზიის, საავადმყოფოს გამო. მართალია, ეს შენობები მთლად თანამედროვე პროექტებით არ იყო ნაგები, მაგრამ მაინც. თავმჯდომარე ამაში უწინარეს ყოვლისა თავის დამსახურებას ხედავდა. ხშირად იცოდა თქმა:

— მე ავაშენე!

ერთი მხრივ ასეც იყო. ბევრი კოლმეურნეობა ვერ დაიტრაბახებდა, ამდენი ავაშენეთო. ამიტომ იყო, თავმჯდომარის უხეშობას, უკმეხ სიტყვებს მოთმინებით რომ იტანდნენ. მეორე მხრივ, ხალხი იმასაც ხედავდა, რომ ნაკლებს არც მეზობლები აშენებდნენ, მაგრამ ამისთვის დამცირების ატანა არავის უხდებოდა. მარიას მაგალითი კოტრუცეს აშკარა უჯიათობაზე მეტყველებდა. კარგი, ვთქვათ, თავიდან მართლაც გაცხარდა. მერე? არა, კოტრუცე თავის ნათქვამს არამც და არამც არ გადავიდოდა. ივაშკუ ხვდებოდა, როგორ უმძიმდა პარტორგანიზაციის მდივანს, რა ფასად დაუჯდებოდა კოტრუცეს დაყოლიება მარიას ძველ ადგილზე დაბრუნებაზე. მაგრამ პარტკომმა ბოლომდე მაინც არ მისდია საქმეს. კოტრუცეს საქციელზე პრინციპულად არავის უმსჯელია.

ივაშკუმ გადაწყვიტა კოლმეურნეობის კომუნისტებისთვის შეეთავაზებინა ერთ-ერთ კრებაზე განეხილათ ეს საკითხი. თვითონაც აპირებდა კრებაზე დასწრებას. კოტრუცეს ბევრს უთმობდნენ, მაგრამ ხალხის აბუჩად აგდებას, უხეშ გამოხდომებს, ვოლუნტარიზმს, რაც უთუოდ დაღს ასვამდა კოლექტივში მორალურ კლიმატს, ვერ აპატიებდნენ.

— სარეზერვო კადრები თუ გყავთ?

— გვყავს, გივი ვახტანგოვიჩ. გვყავს. ვფიქრობთ, ვარჩევთ, ვაანალიზებთ... კოტრუცე ჩვენს რესპუბლიკაში კოლექტივიზაციის ისტორიის ცოც-

ხალი ფურცელია, ომის ვეტერანი, სულით ხორცამდე ამ მინდვრების ერთგული. განუზომელია მისი დამსახურება ამ მიწის, ხალხის წინაშე. მასთან კიდევ შეიძლება მუშაობა. ვფიქრობ, მივაღწევთ კიდეც ამას. არა მარტო მისი ძველი დამსახურების გამო, არამედ იმ ენერგიის, თავდადების, შეუპოვრობის გამო, რასაც ზოგჯერ წვრილმანებზე ხარჯავს. მე მიმუშავია კოტრუცესთან...

— ვიცი.

— რამდენიმე წელი ვიმუშავე. ერთი მხრივ ძნელი იყო, მეორე მხრივ კი ბევრი რამ ვისწავლე. ახლა კი დროს ჩამორჩა მოხუცი. დღეს ზოგი რამ მიუწვდომელია მისთვის...

— კელინ ივანოვიჩ, მოშაგიდან რეკავენ, — კარი შემოაღო მდივანმა ქალმა.

— ერემეი ელისეევიჩ, უნდა დაგვეხმაროთ. ჩაპაევის კოლმეურნეობა უნდა იხსნათ. ასი კუბმეტრი... არა, არა, ხე-ტყე კი არა, შეშა სჭირდებათ. ქლიავი ფუჭდება. სხვებსაც აუხსენით მდგომარეობა. ყველაფერი გამოდგება — გრიგალისაგან დალეწილი, გამხმარი ხეები... დიახ, მათივე ტრანსპორტით. მაშ შევთანხმდით. მაცნობეთ, რას გადაწყვეტთ. როშკას მოელაპარაკეთ და გადატვირთვის საქმე მოაგვარეთ... მითხრეს, გარეული ტახები მომრავლებულა თქვენთან, კოლმეურნეობის სიმინდს ანადგურებენო... არ მგონია, ვიცი, ჩემზე მარჯვე მონადირეებიც გეყოლებათ. ნახვამდის. აბა, ველი თქვენს პასუხს.

... საბჭოთა მეურნეობა „ბეიუშის" დირექტორი ფიოდორ შატკოვსკი ასე შეწუხებული არასოდეს უნახავს ივაშკუს.

— რა მოხდა, ფიოდორ ფიოდოროვიჩ, რამ დაგაღონათ?

— რაღა რა მოხდა, კელინ ივანოვიჩ, — მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ვფიქრობდი, რა გაათენებს-მეთქი. ერთი სული მქონდა, როდის გნახავდით. რჩევა მინდა გკითხოთ.

— გისმენთ. ეს ამხანაგი ალექსიძე გახლავთ, ცენტრიდან.

— გუშინ, გვიან საღამოს, სოფლის მეურნეობის სამმართველოდან დამირეკეს, ხვალ, ორ საათზე, კიშინიოვში უნდა იყოო. მგონი ჩემი საკითხი გააქვთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, საბავშვო ბაღისთვის მაცივარი და სარეცხი მანქანა რომ ვიყიდეთ.

— სულ ეს არის, ფიოდორ ფიოდოროვიჩ?

— ცოტაა? იმის მაგივრად, რომ ფული სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ვხარჯო, მე თურმე მაცივრებსა და სარეცხ მანქანებს ვყიდულობ, სახელმწიფო სახსრებს ვანიავებ. ახლა თქვენ მიბრძანეთ, — შატკოვსკი ალექსიძეს მიუბრუნდა, — რა უფრო მნიშვნელოვანია — სათადარიგო ნაწილები თუ სარეცხი მანქანა?

გივი ალექსიძე ჩაფიქრებული იყურებოდა:

— გააჩნია როდის. თუ კომბაინი მინდორში ტყუილად ცდება, შესაძლოა ტრანსმისიის ღვედი უფრო მნიშვნელოვანი იყოს; შეიძლება სარეცხი მანქანა უფრო საჭირო შეიქნეს.

— ესე იგი, მაინც შეიძლება, არა?

— რაღა თქმა უნდა.

— ფიოდორ ფიოდოროვიჩ, თქვენ ჩემთან მოხვედით, არა? გისმენთ.

— ასეთი განა რა ჩავიდინე, — მევენახის სახლისთვის ბილიარდის მაგიდა ვიყიდე თუ პიონერთა ბანაკის ნაცვლად ფინური აბანო ავაშენე? პარტორგი, მე და ადგილკომის თავმჯდომარე ერთად ვიყავით ბაღში, ვნახეთ, რა უჭირთ, რა — არა, ბავშვებს როგორ უვლიან, პროდუქტებს როგორ ინახავენ. გვინდოდა დავხმარებოდით. ბავშვი ბავშვია... წარამარა [illegible]ებიან, უამრავი სარეცხი გროვდება. გადიები კი ხელით რეცხავენ. ის ბავშვები ხომ ჩვენი მშრომელების შვილები არიან. ესე იგი ჩვენი საქმე ერთგვარად ბაღზეც არის დამოკიდებული. თუ იქ საქმე კარგადაა, დედები კმაყოფილი არიან, სამუშაოდ გამოდიან... ჩემთან ერთად განათლების განყოფილების გამგეც გამოიძახეს. ახლა აქ არის, მოსაცდელში ზის.

— რატომ არ შემოვიდა?

— ამბობს, დანაშაულს ვაღიარებო და თქვენი შეწუხება არ უნდა.

— მაინც რაში მიაჩნია თავი დამნაშავედ?

— მოსვენებას არ მაძლევდა, ბაღს დაეხმარეო. ახლა წუხს, ვითომ მე რომ არა, ეს ამბავი არ დატრიალდებოდაო.

— რამ წაგახდინათ, ფიოდორ ფიოდოროვიჩ. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა? არ მოგიპარავთ, სახელმწიფო ქონება არ გაგიფლანგავთ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ასე ჰაიჰარად არ გამოგიძახებდნენ. მეც მაცნობებდნენ... კარგი, ვთქვათ და გამოგიძახეს. რისი გეშინიათ? ცოტა ხანს დაშელოდეთ მოსაცდელში. გივი ვახტანგოვიჩ, მაპატიეთ, უნდა დავრეკო.

— იმუშავეთ.

— სოფლის მეურნეობის სამმართველოა? გამარჯობათ. ივაშკუ ვარ. ამხანაგ პერჟუს სთხოვეთ... წავიდა? სად? მეურნეობებში? რადიოკავშირით მოძებნეთ და გადაეცით რაიკომში დარეკოს. სწრაფად. გეთაყვა.

— ალო, კიშინიოვია? ვიქტორ ვასილევიჩი ხართ? გაუმარჯოს ხელმძღვანელობას! გამარჯობათ, ძვირფასო კურატორო. იმ დღეს ისე უცებ წახვედით... ვფიქრობდი, კიდევ ვილაპარაკებთ-მეთქი. იქნება რამე დავაშავეთ?.. კარგი, კარგი, განა არ ვიცით, რამდენი რამაა კიდევ გასაკეთებელი. ერთი მხრივ გვაქებთ, მეორე მხრივ — ბიუროზე გვიძახებთ. ჩვენი რაიონის პატრიოტი მგონიხართ, თქვენ კი თურმე ხალხს ბიუროზე იძახებთ და მე არაფერს მატყობინებთ. როგორ თუ ვის? საბჭოთა მეურნეობა „ბეიუშის" დირექტორსა და განათლების განყოფილების გამგეს იმისთვის, რომ ხუთასიოდე მანეთი საბავშვო ბაღს მოახმარეს... ვიცი, ვიცი ეგ გადაწყვეტილება. ზეპირად ვიცი. გმადლობთ, ძალიან გამახარეთ. მაშასადამე, მომავალშიც რაიონის პატრიოტად გიგულებთ... შევეცდებით გავართვათ თავი. კარგად ბრძანდებოდეთ.

— დიახ, დიახ, გისმენთ. ამხანაგო პერჟუ, ვინ გითხრათ, რომ შატკოვსკისა და კოჩიერუს კიშინიოვში იბარებენ? თქვენ ასე გაიგეთ? მერე მე რატომ არ მითხარით? გეგონათ ვიცოდი? როგორ თუ გეგონათ? იმის გამო, რომ ნათქვამი თურმე წესიერად ვერ გაგიგიათ, ორი კაცი მოსწყვიტეთ სამუშაოს. არა, ჩამოსვლა არ არის საჭირო. ამ საკითხზე სხვა დროს ვილაპარაკებთ. ახლა თქვენს საქმეს მიხედეთ...

— ელენა ანდრეევნა, შატკოვსკისა და კოჩიერუს სთხოვეთ. ხალხი ბევრია?

— ბევრია, კელინ ივანოვიჩ.

— ბოდიში მოუხადეთ და უთხარით, რომ ნახევარ საათს შესვენებას ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირებთ. ხუთ წუთში გავალთ. სახაიეში დარეკეთ და ჩვენთვის რამე შეუკვეთეთ.

— მძღოლი გამოვიძახო?

— არ არის საჭირო, ფეხით გავივლით.

შატკოვსკისა და კოჩიეროუს უთხრა, გაუგებრობა მომხდარა.

სახაიეში შევიდნენ. ხელმძღვანელობის ოთახი, — რას იზამ, რაიონში ასეთი ოთახებიც არის, — მდიდრულობის პრეტენზიით იყო მოწყობილი. ინკრუსტაციებითაც მოერთოთ, მაგრამ ცოტა არ იყოს დაულაგებელი გახლდათ და გალაქული ხის უსიამოვნო სუნიც ტრიალებდა. რაც სამზარეულოში მოეძევებოდათ, მოართვეს.

— რას ინებებთ, ღვინოს თუ კონიაკს? — ჰკითხა მიმტანმა ქალმა.

— ჩუმაური „კაბერნე“ თუ გაქვთ... ბევრი კარგი მსმენია ქართულ ღვინოებზე, გივი ვახტანგოვიჩ. მინდა გითხრათ, რომ არც ჩვენია ნაკლები.

— არც ჩვენია ცუდი, თქვენიც კარგია.

საუზმეზე მეტი არაფერი უთქვამთ. ყავა რომ დალიეს, ივაშკუმ ოფიციანტს სთხოვა დანახარჯი ერთად ეანგარიშა. სტუმარს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

... მისაღებში სხვებთან ერთად რაშპის მაღაზიის ნოქარი ალექსანდროუ სტახიც იცდიდა. მალე იგი კაბინეტში შევიდა.

— გისმენთ.

— ამხანაგო მდივანო, კოლმეურნეობაში მისი შექმნის დღიდან — 1949 წლიდან ვმუშაობ. 1965 წლამდე საწყობში მეკუჭნავედ ვიყავი. ჩემ ხელში იყო ყველაფერი — ნემსი და ძაფით დაწყებული ტრაქტორის ძრავებამდე, ბრინჯი გინდა, თაფლი გინდა, პური, ხორბალი, სიმინდი, კოლმეურნეობის ღვინო — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მეურნეობაში სჭირდება კაცს. ვინ აღარ მოდიოდა — ტრაქტორისტები, კომბაინერები, ათასი სხვა. პროდუქტებსა და საქონელს ვღებულობდი და გავცემდი. ახლა მიკვირს, როგორ ვართმევდი თავს. მერე თანდათან გამიძნელდა მუშაობა. განთავისუფლება ვთხოვე. სამომხმარებლო საზოგადოებამ მე და მიშა ბირმანს ახალი მაღაზია ჩაგვაბარა. კოლმეურნეობამაც ნება დაგვრთო. რევიზიამ დანაკლისი აღმოაჩინა — ორი კილოგრამი ფქვილი და სამი კილოგრამი ბრინჯი. თექვსმეტი წლის მუშაობის შემდეგ! აი, როგორ ვუძღვებოდი საქმეს. ნაკლებად არც მაღაზიაში მიმუშავია. ხალხი გეტყვით. ამდენი წლის მანძილზე ერთი საჩივარი არ მახსოვს. ახლა პენსიაზე მინდა გადასვლა. ოცდაშვიდი წლის სტაჟი მაქვს. ორი წელიც ფრონტზე ვიბრძოდი. ვატყობ, უკვე მიჭირს მუშაობა. მაღაზია ყოველდღე უნდა გააღო — წვიმაა, თოვაა... თან ახლა ხალხი კარგ საქონელს ეტანება, ძვირფასს ეძებს, ჩვენ კი ეგ საქონელი ნაკლებად გვაქვს. გაისიდან პენსიაზე ვაპირებ გასვლას. დავიწყე კიდეც საბუთების შეგროვება — სამხედრო კომისარიატში, კოლმეურნეობაში, სამომხმარებლო კავშირში. ქაღალდები კი წესრიგში მაქვს — ჩამიწერეს აქედან აქამდე აქა და აქ მუშაობდაო. სტაჟი მყოფნის. ესაა, საპენსიო ასაკისა არა ვარ, მაგრამ გავხდები, ღვთის შეწევნით. სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში მითხრეს, ერთ ადგილზე მუშაობის უწყვეტი სტაჟი არ გყოფნისო. პენსია ან მარტო კოლმეურნეობაში მუშაობისთვის უნდა დაგინიშნოთ, ან მარტო მაღაზიაში ნამუშევარი წლებისთვისო. კანონია ასეთი: ან ეს, ან — ისო. ეგ როგორ გამოდის,

ამხანაგო მდივანო? განა სახელმწიფო სამსახურში არ ვიყავი? ერთი გენახათ, ჩემ დედაკაცს სიმინდის ფქვილის ფაფას სამ-ოთხჯერ რომ შევაყენებდი, ქათმებს დავკლავდი, ზამას მოვახარშვინებდი. მერე ფაფას კალათში ჩავდგამდი, თბილად შევფუთნიდი, გვერდით ზამას მივუდგამდი და თუ შემხვდებოდა ფორანი, ხომ კარგი, არადა ფეხით გავწევდი მინდორში, — ტრაქტორისტებისკენ. აღდგომას კულიჩები მიმქონდა, ღვინო, — ოღონდ კი მინდვრად დარჩენილიყვნენ, ეხნათ და ეთესათ. ახლა რა გამოდის, ამხანაგო მდივანო? გეკითხებით, როგორც ჩვენიანს, მიწათმოქმედ ადამიანს: ის მძიმე წლები, კოლმეურნეობა რომ ის-ის იყო დგებოდა ფეხზე, სათვალავში ჩასაგდები არა ყოფილა? მეუბნებიან, კოლმეურნეობა არ უნდა მიგეტოვებინაო, კანონი ამას მოითხოვსო. მერე მე რა ვიცოდი. წავედი კოლმეურნეობიდან. მაგრამ მუშაობა ხომ არ მიმიტოვებია? ვიღაცას ის საქმეც ხომ უნდა ეკეთებინა? ახლა რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

— რთული საკითხია, ამხანაგო სტახი. არ არის იოლი გადასაწყვეტი გულწრფელად გეუბნებით, გულახდილად, როგორც საერთოდ ველაპარაკებით ხალხს. არც იმას ვმალავთ, რაც შეგვიძლია, და არც იმას, რისი ძალაც არ შეგვწევს. კანონი კანონია. მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს. ბევრი გაკეთდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი... საქმე ისაა, რომ კანონის თანახმად თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ პენსია იმ წლებისთვის, რაც კოლმეურნეობაში იმუშავეთ; ან სახელმწიფო პენსია იმ წლებისთვის, როცა კოოპერაციის სისტემაში მუშაობდით. სხვა საშუალება არ არსებობს. კანონი კანონია.

— ვხედავ, სხვა გზა მართლაც არ არის. აღარც ძალა მომდევს უწინდებურად. იქნებ სხვა მხრივ დამეხმაროთ. ჩვენი სოფელი დიდია, მაღაზია კი მხოლოდ ორი გვაქვს. იქნებ მოხერხდეს ქვედა მხარეს, ჩვენს გვერდით, ფარდული გავხსნათ. ხალხისთვისაც უფრო ღასამხარი იქნება, იქ იყიდიან პურს, მარილს, ძეხვს. ყოველი წვრილმანისთვის სოფლის ცენტრში არ ივლიან. იმათთვისაც მადლია, ჩემთვისაც.

— სამომხმარებლო კავშირში მოველაპარაკები ამხანაგებს. თუ რაიმე მოხერხდა, დაგეხმარებით.

— მადლობელი ვარ. ბოდიშს ვიხდი, ამდენი დრო წაგართვით.

... ანდრეი გირლემ, მაღალმა, ხმელ-ხმელმა კაცმა, ხელში გახუნებული ჰილის ქუდი რომ ეკავა, უხმაუროდ გააღო კარი. ზღურბლზე შეჩერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, შევიდე თუ არაო.

— შეიძლება? — ჩურჩულით იკითხა.

— გთხოვთ, ამხანაგო გირლე.

ანდრეი გირლე ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა „ბიროინცის" მთავარ აგრონომად მუშაობდა. იყო თავისთვის უჩუმრად წლების მანძილზე, არც არავინ აკრიტიკებდა, არც არავინ აქებდა. ასეთმა კაცმა ციდან ვარსკვლავიც რომ მოწყვიტოს, არ დაუჯერებენ... მისი მინდვრები მუდამ საუცხოოდ იყო დამუშავებული, ვარდის ბუჩქები — დროულად გაწმენდილი, ლავანდი — დაკრეფილი, სალბი — მოთიბული. ამ კაცში, ისევე როგორც მისი მინდვრების შროშანსა და ზამბახში, იყო რაღაც იდუმალი, ამოუცნობი.

— საჩივლელად არ მოვსულვარ. ლაპარაკი მინდა თქვენთან, მაგრამ არ

ვიცი, რით დავიწყო. ასეთ კაბინეტებს მაინცდამაინც შეჩვეული არა ვარ.

— რაკი მობრძანდით, უთუოდ სათქმელიც გაქვთ. ჰოდა, იმ საკითხით დაიწყეთ, რაზეც ფიქრობთ და რამაც ალბათ აქ მოგიყვანათ.

— მინდოდა თესლბრუნვის სტრუქტურაზე, ჩვენი მეურნეობის კულტურებზე მელაპარაკა. წლიდან წლამდე ერთსა და იმავეს ვთესავთ და მოგვყავს — სალბი, ლავანდი, პიტნა და მხოლოდ პატარა ნაკვეთზე — ზამბახი, შროშანი, ქინძი. ისე მივეჩვიეთ ამ კულტურებს, ისე შევისწავლეთ ჩვენს ფაბრიკაში მათი გადამუშავების პროცესი, რომ სხვა არაფერი გვინდა. არავითარი სირთულე, არავითარი გაწამაწია. მაგრამ სარგებლობაც რომ არ მოაქვს? ჩვენ უმეტესად მრავალწლიან კულტურებს ვთესავთ — მეორე, მესამე, მეოთხე წელს გვაძლევენ მოსავალს. ეს კი ნიადაგს ფიტავს. თანაც სულ რამდენიმე კულტურა მოგვყავს და ამიტომ მოსავლიანობაც დაბალია.

— როგორც ვიცი, მუდამ მოწინავენი ხართ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

— ეგ იმიტომ, რომ სხვები ჩვენოდენ მოსავალსაც ვერ იღებენ. თუმცა მე ამისი თქმა კი არ მინდოდა. საქმე ისაა, რომ ჩვენ მცირემოსავლიანი კულტურები მოგვყავს, რომელთაც ექსტრაქტული ზეთების დაბალი პროცენტულობა ახასიათებთ.

— ვის ეხება ეგ საკითხი, ვინ არის პასუხისმგებელი ამ საქმისათვის — დირექცია, პარტკომი, საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა საბჭო? სამინისტრო? როგორც ჩანს, საჭიროა განგაში ავტეხოთ, დავარწმუნოთ, მოვითხოვოთ...

— ვცადე. დირექციაშიც ვიყავი, სპეციალისტებსაც ველაპარაკე... ჯიშების გამრავალფეროვნება დიდი ხნის წინ უნდა დაგვეწყო. ზამბახში, მაგალითად, ეთერზეთების პროცენტი უფრო მაღალია. ვერაფერს გავხდი. ეთერზეთოვანი კულტურების სამმართველოა წინააღმდეგი — ექსტრაქციის ტექნოლოგიური პროცესი დამტკიცებულიაო, სხვა ზეთები კი საპარფიუმერიო და ფარმაცევტულ მრეწველობას არ სჭირდებაო, გეგმაში არ არის შეტანილიო. იმიტომ არ არის, რომ არ შეგვითავაზებია. კულტურების გადასინჯვა და გამდიდრება სულ მცირე ორჯერ მაინც გაზრდიდა მეურნეობის შემოსავალს. მთავარი ინჟინერი და მთავარი ტექნოლოგი ამ კულტურების გადამუშავებაში ვერავითარ დაუძლეველ დაბრკოლებას ვერ ხედავენ. ზეთების ექსტრაქციის პროცესში დაგვჭირდება მცირეოდენი ცვლილების შეტანა. ჩვენი თხოვნა და წინადადებები დიდი ხანია სამინისტროში აწყვია. ბევრ საბჭოთა მეურნეობას უკვე მოჰყავს და წარმატებით ამუშავებს ზეთოვან კულტურებს. დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. ჩვენი მეურნეობა კი თითქოს ყველამ დაივიწყა. სულ უკან-უკან მივდივართ. ნაკლებეფექტური, ეკონომიკური თუ აგროტექნიკური თვალსაზრისით უმნიშვნელო საქმეზე ვცდებით. დრო იყო, ხალხი გვაწყდებოდა. ახლა გაქცევაზე უჭირავთ თვალი. ანკი რა ხელსაყრელია გამუდმებით აკეთო ერთი და იგივე, თუ შედეგი წლიდან წლამდე კლებულობს. მერიდება კიდეც, ამას რომ გიამბობთ, მაგრამ ღამ-ღამობით ზამბახითა და შროშანით მოფენილი მინდვრები მესიზმრება. საჩივლელად არ მოვსულვარ, გული მტკივა. რაღაცნაირი განურჩევლობა შემომეპარა და შევშინდი. მიწას გულგრილი მოპყრობა არ უყვარს. აი, აქ ჩვენი წინადადებებია თავმოყრილი. იქნებ გადახედოთ...

პიჯაკის შიდა ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცლების დასტა ამოიღო. გაუბედავად გაუწოდა ივაშკუს. ფაქიზად ჩამოეწერა კონკრეტული ციფრები, ახალი კულტურებისთვის ფართობიც მიეთითებინა. ყოველ ფურცელს ერთვოდა მოკლე განმარტება, საშუალო მაჩვენებლების გაანგარიშება: მოსალოდნელი მოსავლიანობა, ზეთების ექსტრაქციის პროცენტი, კულტურების თესლბრუნვა.

— ამ ფურცლებს ვერ დამიტოვებთ? მინდა უფრო გულდასმით შევისწავლო. რამდენადაც გავიგე, ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ციფრები. ვფიქრობ, აჯობებს ეს საბუთები მეურნეობის საწარმოო პარამეტრების ეკონომიკური ანალიზის სახით რაიკომის ბიუროს წარვუდგინოთ — ზუსტი გაანგარიშებითა და დამაჯერებელი წინადადებებით. რამდენი დრო დაგჭირდებათ საამისოდ?

— ასე ორი კვირა.

— ნუ იჩქარებთ. პრობლემა სერიოზულია, რაკი საქმე უშუალოდ მეურნეობისა და ეთერზეთების ფაბრიკის პერსპექტივას ეხება. ერთი თვის შემდეგ გელოდებით.

— მოვალ, აუცილებლად. მაგრამ გთხოვთ გამიგოთ, როდი ვჩივი...

— გმადლობთ, ამხანაგო ვირლე. ერთ თვეში გელოდებით. ამასობაში ჩვენც ვიფიქრებთ ამ საკითხზე.

... მიხაილ სლაბარი კოლმეურნეობა „პრავდის" ძველი მუშაკი იყო. არაერთგზის ყოფილა არჩეული პარტორგანიზაციის მდივნად. იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეც, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეც, კოლმეურნეობის ადგილკომის თავმჯდომარეც... ზოგჯერ ხუმრობდნენ კიდეც, ეტყობა, დედამ უფროსის სავარძელში შობაო. ბოლოს და ბოლოს ყველა მიხვდა, რომ არ იყო საჭირო ერთი პასუხსაგები თანამდებობიდან მეორეზე მისი დაუსრულებელი გადაყვან-გადმოყვანა. მეურნეობის ხელმძღვანელმა ვასილე ბანტიამ კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა შესთავაზა. სლაბარმა იუარა, მაგრამ სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, დასთანხმდა.

— დაბრძანდით, მიხაილ ალექსანდროვიჩ. რაიმე დარღვევა აღმოაჩინეთ მარცვლეულის აღრიცხვაში? მოხდა რამე? დიდი ხანია აღარ შემოგივლიათ.

— ისეთი არაფერი, კელინ ივანოვიჩ. როგორც თქვენთვის ცნობილია, ვშრომობ, თავაუღებლად ვმუშაობ. საკითხი არც ისე რთულია, მაგრამ, თუ ყურადღებას არ მიაქცევ, შესაძლოა დიდი უსიამოვნება მოხდეს. — ივაშკუსაკენ გაიხარა, ნიკაპი ლამის მაგიდის კალენდარს ჩამოადო, უჩურჩულა: ეს ამხანაგი ვინ არის? არ მინდა უცხომ გაიგოს, რასაც ახლა მოგახსენებთ.

— ამხანაგი ალექსიძე გახლავთ, ცენტრიდან. მივლინებით ჩამოვიდა. შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

— ოპო, მით უკეთესი.

სლაბარი ისე შეტრიალდა, რომ ორივესთვის მიემართა. ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო რაღაც ქაღალდი და მდივანს გაუწოდა.

— ეს რა არის?

— წაიკითხეთ და გაიგებთ.

მიხაილ სლაბარი გამომცდელად შეჰყურებდა ხან მდივანს, ხან ალექსიძეს.

ეს იყო ჩვეულებრივი ანგარიშის პირი, რომლითაც კოლმეურნეობა „პრავდამ" კულტსაქონლის მაღაზიაში მაგნიტოფონი შეიძინა.

— ჩვეულებრივი ანგარიშია, ხელმოწერითა და ბეჭდით.

— რისთვის არის გადახდილი, ნახეთ?

— მაგნიტოფონისთვის.

— აი, სწორედ მანდ არის ძაღლის თავი დამარხული. ისმის კითხვა, მაგნიტოფონი სად არის? შეგიძლიათ მითხრათ, სად არის მაგნიტოფონი? ასეც ვფიქრობდი — არ იცით. მე კი ვიცი: კიშინიოვშია, კონდურაკის ოჯახში.

ამბავი თანადთან დეტექტივს ემსგავსებოდა:

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ კოლმეურნეობის ფული პირადი საჭიროებისათვის გამოიყენეს?

— სწორედ, სწორედ. და ისიც მინდა დავუმატო, — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ალექსიძეს, — რომ რაიკომში ზოგიერთმა ამხანაგმა იცის ეს ამბავი და ზომებს არ ღებულობს.

რამდენიმე წლის წინ, სანამ ბანტიას თავმჯდომარედ აირჩევდნენ, კოლმეურნეობის ძველი თავკაცი მაქსიმ კონდურაკი მძიმედ დაავადდა, ადრე გავიდა პენსიაზე და კიშინიოვში გადასახლდა, ვაჟთან. გამგეობის თანამშრომლებმა ბანტიასთან ერთად, რომელიც მაშინ მთავარი ეკონომისტი იყო, მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს მაქსიმ კონდურაკისთვის ერთად გატარებული წლების მოსაგონრად საჩუქარი ეყიდათ. ფული შეკრიბეს, სტერეომაგნიტოფონი კი მხოლოდ გადარიცხვით იყიდებოდა. ცდის დრო არ იყო, კონდურაკი უკვე შესდგომოდა გამგზავრების თადარიგს. მაშინ ბანტიამ მოისაზრა, რომ შეიძლებოდა მაგნიტოფონი კოლმეურნეობის ბუღალტერიის მეშვეობით ეყიდათ, ფული კი სალაროში მთლიანად შეეტანათ. ასეც მოიქცნენ. მაგნიტოფონის ფირზე გულთბილი გამოსათხოვარი სიტყვები ჩაწერეს, მაქსიმს სიკეთე უსურვეს და, როგორც წესია, ჭიქა ღვინით დაულოცეს საჩუქარი.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. და აი, ფხიზელი აქტივისტი მიხაილ სლიბარი რაიკომში გამოცხადდა.

— მართალი ხართ, — დაძაბულად, თავშეკავებით თქვა ივაშკუმ, — რაიკომში ზოგიერთმა ამხანაგმა იცის ეს ამბავი. მათ იციან, რომ თქვენი წილი თქვენც დადევით მაშინ.

— აბა რა მექნა? რაკიღა ფულის დადება იყო, მეც იძულებული გავხდი მონაწილეობა მიმეღო. მაგრამ მე ვთქვი, მე გავაფრთხილე...

— დიახ, დიახ. დარღვევა აშკარაა. მადლობელი ვართ შეტყობინებისათვის. როგორც სტაჟიანმა აქტივისტმა, მომავალშიც უნდა მოგვაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა გკითხოთ: კანონის დარღვევიდან ორ წელზე მეტია გასული. აქამდე რატომ არაფერი შეგვატყობინეთ? გამგეობის მუშაკებმა კი იმავე დღეს გვაცნობეს ეს ამბავი. თქვენ შეგიძლიათ ისიც დაუმატოთ, რომ მეც იქ ვიყავი, როცა კონდურაკის საჩუქარი გადასცეს. საინტერესოა, რა მიზეზია, რომ ორი წელი და შვიდი თვე დუმდით? სანამ თავმჯდომარის მოადგილე იყავით, არ ინებეთ გვეცნობებინათ, როგორც კი დაგაქვეითეს, სიფხიზლე გაგიცხოველდათ. ეს როგორღა გავიგოთ?

— არ ვიცი, როგორც გენებოთ.

სლაბარი უმეტესად ალექსიძეს მიმართავდა:

— მე მეგონა, რომ ჩემი ეალი იყო მეცნობებინა... მაგრამ თუ რაიკომში იციან ეს ამბავი და ზომებს არ ღებულობენ, აღარ ვიცი, ამას რა ვუწოდო.

ალექსიძე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. ადგა, ფანჯარასთან მივიდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაბინეტი უნდა გავანიავოთ.

მომსვლელთა შორის სლაბარი იყო ერთადერთი, ვისთვისაც ივაშკუს არ უნდოდა ხელი გაეწოდებინა.

... ჩუმად ისხდნენ. ღია ფანჯრიდან ფარდებში შემოღწეულ საღამოს სიგრილეს ეწაფებოდნენ და თავ-თავიანთ საფიქრალს ფიქრობდნენ: მაინც რა კარგია, რომ ხშირად არ გვხვდებიან აი ასეთი ზედმეტად ფხიზელი ტიპები, გლობალური ინტერესების აი ასეთი თავგამოდებული დარაჯები.

ივაშკუ იცდიდა, იქნებ კიდევ ვინმემ შემოიხედოსო. თუნდაც დიდი გასაჭირი ადგეთ, ყველას როდი შეუძლია დღისით მოვიდეს რაიკომში მიღებაზე. ზოგს სამსახური აქვს ისეთი, ადვილად ვერ გაითავისუფლებს თავს. ამიტომ იყო მითითებული განცხადებაში: „ვისაც არა აქვს საშუალება მიღებაზე გამოცხადდეს სამუშაო საათებში, შეუძლია მოვიდეს სამუშაო დღის შემდეგ".

კელინ ივანოვიჩმა მისაღებში გაიხედა. მდივანი ქალი წასულიყო. მარჯვნივ, კართან, ტერინტე კუკოში ჩამომჯდარიყო სკამზე, ისიც მისი ძველი ნაცნობი. უკანასკნელად ერთი კვირის წინ ნახა. კაბინეტში ალექსიძე რომ არ ყოფილიყო, ამას არ მიიღებდა, მაგრამ...

— ვის ელოდებით?

— თქვენ.

— წინა ხუთშაბათს ხომ იყავით, იმის წინაც, მანამდეც.

— მითხრეს, ცენტრიდან ამხანაგია ჩამოსულიო.

... აი, რას ნიშნავს პატარა დაბა. ვერც კი მოასწრებს ვინმე ვოევოდას წისქვილის მხრიდან შემოსვლას, რომ გაღმა, რიშკანის შემოსახვევში, უკვე იციან, ვინ მოდის და საიდან მოდის. კუკოშსაც გაუგია. სწორედ იმიტომ მოვიდა. ზის თავისთვის წყნარად, მორჩილად. უცოდველი კრავივით.

— კეთილი, შემოდით.

ივაშკუს ამ ძველმა ნაცნობმა წლების მანძილზე ბევრი დაწესებულება და თანამდებობა გამოიცვალა — თუ შტატით, თუ საზოგადოებრივ საწყისებზე: განაგებდა „ცოდნის" რაიონულ განყოფილებას, იყო რაიაღმასკომის თავმჯდომარე (საზოგადოებრივ საწყისებზე), კულტურის რაიონული სახლის დირექტორი, დოსააფის რაიკომის თავმჯდომარე... ბოლო წლებში ტესლენის კულტურის რაიონული განყოფილების გამგედ მუშაობდა, კრასნაში კი ცხოვრობდა. კამენკუცის გაღმა ნაპირზე მშვენიერი სახლი ედგა. სახლს უკან ბაღი და ვენახი გადაჭიმულიყო.

კუკოში მდივნისკენ გვერდულად დაჯდა, ისე, რომ ალექსიძეს პირდაპირ შესცქეროდა. დაჯდა და მაშინვე დაიწყო:

— იძულებული ვარ თქვენ მოგმართოთ, პატივცემულო ცენტრიდან ჩამოსულო ამხანაგო, ვინაიდან არაერთხელ და უშედეგოდ ვითხოვე სამსახურ-

-ში მოწყობა. აგერ უკვე მთელი წელია უსაქმოდ ვარ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავარიაში მოვხვდი. თითქმის წელიწადი საავადმყოფოში ვიწექი. გამოჯანსაღების შემდეგ კანონის თანახმად ჩემთვის ან ძველი თანამდებობა უნდა დაებრუნებინათ, ან სხვა, შესაფერისი ადგილი გამოეძებნათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი კუკოშმა თავისი აღსარება დაიწყო, ალექსიძემ საქაღალდე გახსნა, კონვერტებმიბნეული ფურცლების დასტა ამოიღო და მომჩივნის მონოტონურ ლაპარაკში კითხვას შეუდგა.

— მესამე ჯგუფის ინვალიდს კულტურის სახლში მასობრივი გართობის ორგანიზატორად მაწესებდნენ. კლოუნადაო, თანამედროვე ცეკვების სწავლებაო... პროკურატურამ ბრძანება გააუქმა. ამგვარი ფორმალური გადაწყვეტილებებით უხვევენ თვალს კულტურის სამინისტროს: აგერ, ბატონო, სამსახურს ვთავაზობთ, ბრძანებაც ხელმოწერილია, და დაინახეთ, ეგ უარს ამბობსო... შემომთავაზეს კლუბის გამგის ადგილი — სახლიდან ოცდაათ კილომეტრზე... პირველ მდივანს არ სურს, რომ სპეციალობის მიხედვით მოვეწყო, შავიწროებს და ანგარიშს მისწორებს იმ „ურჩობისთვის", რასაც აქ კულტურის რაიონული განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში ვიჩენდი. ხელმიშლის თანამდებობის მიღებაში ჩემი აშკარა პრინციპული ხასიათის გამო. აი, ამ საქმის გაჭიანურების მთავარი მიზეზი. კულტურის სამინისტრო ზრუნავს ჩემზე. რამდენჯერმე მოსწერეს პირველ მდივანს, სთხოვეს დამხმარებოდა. მაგრამ ამხანაგმა მდივანმა ჩემთან საუბარიც კი არ ინება. კულტურის სისტემაში ოც წელზე მეტი ვიმუშავე. სიგელები მაქვს მიღებული, დიპლომები. ახლა კი იმის გამო, რომ უმუშევარი დავრჩი, ოჯახში ნერვიული გარემო შეიქმნა, მატერიალური სიძნელეები წარმოიშვა. გთხოვთ საქმეში ჩაერიოთ, რათა მუშაობის საშუალება მომეცეს. კიშინიოველი ამხანაგები ყოველნაირად ცდილობენ დამეხმარონ, აქაურები კი არაფერს არ ერიდებიან, რომ უსამსახუროდ დავრჩე. ჩემსა და პირველ მდივანს შორის კონფლიქტის მიზეზი მარტო ჩემი პირდაპირი ხასიათი როდია. მე მუდამ გაბედულად ვიცავ ჩემს მოსაზრებებს, მაგას კი ეს არ უყვარს. მე მეგონა, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები ინვალიდებისათვის პირობების გაუმჯობესების თაობაზე იმოქმედებდა მათზე, ვინც ხელს მიშლის სპეციალობის მიხედვით მუშაობაში. მთელი სიცოცხლე კულტურის სფეროს ვემსახურები და გულითაც რომ მინდოდეს, სხვა სამუშაოს ვერ შევასრულებ. აი, რატომ მოვედი და ჩემი გასაჭირი გიამბეთ, ცენტრიდან ჩამოსულო ამხანაგო. ვწუხვარ, თქვენი გვარი არ ვიცი.

სტუმარმა თავი ასწია და ცივად უპასუხა:

— გივი ვახტანგის ძე ალექსიძე.

კუკოშმა მონდომებით, მსხვილი ასოებით გამოიყვანა ეს სიტყვები თავის გადაყვითლებულ, გვარებითა და სხვადასხვა ფერის მელნით აჭრელებულ ნუსხაში.

— დაამთავრეთ, ამხანაგო კუკოშ? — ჰკითხა მომჩივანს ივაშკომ და ჯიქურ მიაცქერდა. — რამდენადაც მე დღის მიღება მაქვს და რამდენადაც თქვენ მუქ ფერებში წარმომადგინეთ, ნება მიბოძეთ ზოგიერთი რამ დავაზუსტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელინ ივანოვიჩი თავს ძლივს იკავებდა, რომ მაგიდაზე მუშტი არ დაერტყა და კინწისკვრით არ გაეგდო ეს კაცი, რომელიც გუშინ შეიძლება კიდევ რაღაცას იმსახურებდა, დღეს კი გაბოროტდა და აბეზარ თავკერძად იქცა. ალექსიძის იქ ყოფნა ნაკლებად აწუხებდა. თავშეკავება და წონასწორობა იმისთვის სჭირდებოდა, რომ დამაჯერებლად ელაპარაკა.

ერთი პირობა უსიამოვნო განცდამ შეიპყრო. მაგრამ — არა, გაჩუმება არ ევარგებოდა. დრო იყო ბოლო მოეღო ამ დაუსრულებელი შეხვედრებისა და საუბრებისთვის.

— ბოლო წლებში თქვენ, ამხანაგო კუკოშ, ტესლენში კულტურის განყოფილებას ხელმძღვანელობდით. კრასნაში ცხოვრობთ, ტესლენში მუშაობდით. ავარიაში მოხვდით. მკურნალობის პერიოდშივე დაწერეთ განცხადება და სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვეთ. ხაზგასმით ვამბობ: თავად დაწერეთ განცხადება. ერთხანს ისევ საავადმყოფოში იწექით. მერე ამბულატორიულად განაგრძეთ მკურნალობა. კომისია გაიარეთ, ინვალიდობის მესამე ჯგუფი მოგაკუთვნეს. სწორედ მას შემდეგ გადაწყვიტეთ რადაც უნდა დაგჯდომოდათ აქ, ჩვენთან დაგეწყოთ მუშაობა ან კულტურის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელად ან ინსპექტორად მაინც. კანონს იშველიებთ, არა? მაშ მოდით, დავაზუსტოთ სათქმელი: თქვენ ხომ აქ, ჩვენთან კი არა, ტესლენში მსახურობდით, — სხვათა შორის, არც ისინი არიან მოვალენი ძველ ადგილზე დაგაბრუნონ, — განცხადება ხომ თქვენ დაწერეთ. თქვენს ადგილზე სხვა დანიშნეს და ახლა ვაკანსია აღარა აქვთ. აი ასეთ ვითარებაში ჩვენ და ტესლენელმა ამხანაგებმა, რაკი გვსურდა დაგხმარებოდით, შემოგთავაზეთ სამსახური თქვენივე სპეციალობით: კლუბის გამგეობა სამ სოფელში და კულტურის სახლის დირექტორობა. ამ სამიდან ყველაზე შორეულ სოფლამდე თქვენი სახლიდან რვა კილომეტრია და არა ოცდაათი. თქვენ არ ინებეთ დათანხმება. შემოგთავაზეთ გემუშავათ პროფტექსასწავლებელში — აღმზრდელად, საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ, წიგნის მაღაზიის დირექტორად. ისევ უარი განაცხადეთ. მაშინ კულტურის რაიონული სახლის დირექტორს ვთხოვე ხელფასის უწყისში შეეტანეთ — როგორც მასობრივი თამაშების ორგანიზატორი. ეს იყო ერთადერთი ვაკანტური თანამდებობა, ერთადერთი საშუალება, რომ დროებით მაინც როგორმე დაგხმარებოდით. ვაღიარებ, დამნაშავე ვარ, რომ ასეთი რამ შევთავაზე. თქვენი გვარი იმ უწყისში, რაღა თქმა უნდა, დროებით შეიტანეს, სანამ სხვა გზა გამოჩნდებოდა. თუმცა შეცდომები მანამდეც მომდიოდა, ოთხი წლის წინ, როცა ბოროტად გამოიყენეთ თანამდებობა — სამსახურიდან გაათავისუფლეთ ბეიუშის კულტურის სახ-

ლის დირექტორი და ხალხური ცეკვის ანსამბლის „ტროპოციკის" სამხატვრო
ხელმძღვანელი, რათა მათ ადგილზე თქვენი ნაცნობები დაგენიშნათ. სხვა
მაქინაციებიც გავიხსენოთ — შეღავათით რომ ისარგებლეთ, მსუბუქი მანქა-
ნა გამოიყვანეთ და შემდეგ ზედმეტ ფასში გაყიდეთ; თქვენ მერე კიდევ ისა-
რგებლეთ ამ შეღავათით, ახლა თქვენი ვაჟის სახელზე შეიძინეთ მანქანა და
ისევ ხელი მოითბეთ. ყოველივე ამისათვის სასტიკ საყვედურს იმსახურებ-
დით საალრიცხვო ბარათში შეტანით, სამსახურიდან მოხსნა გეკუთვნოდათ
ჩადენილი სისაძაგლისთვის, მაგრამ საშუალება მოგცეს საკუთარი განცხადე-
ბის საფუძველზე წასულიყავით. მეგონა, ადამიანურობა გამოვიჩინე-მეთქი.
თქვენ კი ეს საქციელი შურისძიებად, შევიწროებად ჩამითვალეთ. ვიმეორებ,
მე მინდოდა დამეყოლიებინა კულტურის სახლის დირექტორი დაგხმარებო-
დით, რაიონის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთანაც ბევრჯერ მქონია საუბარი
თქვენს შესახებ. მინდოდა მართალ გზაზე დამებრუნებინეთ. მეგონა გაგვი-
გებდით. კულტურის მინისტრთან შეხვედრისას ყოველნაირად ვცდილობდი
დამეთანხმებინა, რომ რაღაც ეღონა და ჩვენთვის დამატებითი ერთეული გა-
მოეყო — ისეთი, რომ თქვენთვის ხელსაყრელი ყოფილიყო. გასულ ხუთშა-
ბათს გითხარით, რომ სამინისტრომ რაიონულ განყოფილებას საგანგებოდ
თქვენთვის გამოუყო კულტურის სახლის მეთოდისტის ადგილი, რისთვისაც,
სხვათა შორის, საფინანსო ინსტრუქციები დაარღვია. თქვენ დათანხმდით, მაგ-
რამ, ვხედავ, დღემდე არ გინებებიათ ჩვენს რაიონში პარტიულ აღრიცხვაზე
ასვლა. მიუხედავად ამისა, რაიკომში მოდიხართ და ბრალს მდებთ.

დასასრულ, რაკი თქვენ ისარგებლეთ ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგის
აქ ყოფნით, ნება მიბოძეთ მეც ვისარგებლო ამით: კრასნის პარტიის რაიკომს
შესაძლებლად მიაჩნია ამიერიდან ამხანაგ ტ. პ. კუკოშის წერილები და სა-
ჩივრები ამ თემაზე აღარ განიხილოს.

მომჩივანმა პირქუშად მიმოიხედა, მხრები აიჩეჩა და დაბნეული მიაჩერ-
და ალექსიძეს. იგი ფრთხილად აწყობდა საქაღალდეში ფურცლებს და ვერ
შეატყობდით, იწონებდა თუ გმობდა კუკოშის აღსარებას. მერე საქაღალდე
ვანზე გადადო. მომჩივანს შეხედა:

— ნახვამდის, ამხანაგო კუკოშ.

ეს იყო და ეს. მეტი სიტყვა არ უთქვამს.

გვიანი საღამო იყო. მოსაცდელი დაცარიელდა. კელინ ივანოვიჩმა ხვა-
ლინდელი ბიუროსათვის მასალები მოამზადა, სხვა საფიქრალსა და საზრუ-
ნავს ტიეცა. გული დამძიმებოდა. მარტო დარჩენა ყველაფერს ერჩია.

— ქარხნის პროექტის შეცვლა გადაგიწყვეტიათ...
ისევე სცოდნია... ყველაფერი იცის. ძირის-ძირამდე მიჰყვება საქმეს,
თითქოს მურკს ფოთლებს აცლიდეს. საინტერესო ხერხია რაიონში მდგომა-
რეობის გაცნობისა. ნეტა ვინ ვისთან არის დღეს მიღებაზე — ის ჩემთან თუ
მე მასთან?"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— პროექტში რაღაც იყო დასაზუსტებელი.

— გამოდის რამე?

— გვინდა გამოვიდეს.

— გამოიძახეთ ჩემი მანქანა, უნდა წავიდე.

საწვიმარი ლაბადა ჩაიცვა. საქაღალდე აიღო და ფანჯარაში გაიხედა, მანქანა ხომ არ მოსულაო.

— ნახვამდის!

— ნახვამდის, გივი ვახტანგოვიჩ. „გზა მშვიდობისა. კიდევ გვეწვიეთ, როცა...“ მაგრამ ივაშკუმ სათქმელი გულშიც კი არ დაამთავრა.

□

# ჯეიმზ პატრიკ დონლიივი

## მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისურიდან თარგმნა დავით ახობაძემ**

ჯეიმზ პატრიკ დონლიივის შემოქმედებას ,რომელსაც ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვე ამერიკულ პროზაში. დაიბადა 1926 წელს. განათლება მიიღო ნიუ-იორკსა და დუბლინში. იგი რამდენიმე საინტერესო რომანისა და პიესის ავტორია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნოველები: „შევხვდი შემქმნელსა ჩემსა" და „დათუნია ვიყიდე მაშინ", კრებულიდან: „შევხვდი შემქმნელსა ჩემსა, შეშლილი მოლეკულა", იუმორით შეზავებული ელეგიური მინიატურებია ადამიანის მიუსაფრობასა და მის აუხდენელ ოცნებებზე. მწერლის ლირიკული გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან ლონდონიდან, დუბლინიდან, ნიუ-იორკიდან, რომლებიც გრძნობენ თანამედროვე დასავლეთის ცხოვრების ტრაგიზმს, მაგრამ სიცოცხლის ტრფიალი აძლევს მათ ძალას, რომ შეეგუონ და ზოგჯერ შეებრძოლონ კიდეც უკუღმართ ყოფას. ჯ. პ. დონლიივის ენა სადა, დახვეწილი და ლაკონიურია.

### შევხვდი შემქმნელსა ჩემსა

სიმღერ-სიმღერით წაველ ერთ ზაფხულს, რომ შევხვედროდი შემქმნელსა ჩემსა. ბაიებს მოეწინწკლათ მთა, სადაც სახლი იდგა მისი. ვთქვი: მე ამოვალ მთას და შევანჯღრევ კარს, მერე სარკმელსაც მოვძებნი და დავინახავ განვლილ გზას.

ლურჯჯინსიანი, ჩიბუხის წევით იგი გამოვიდა და როდის გარდაიცვალეო, გამომკითხა.

ნაშუადღევს-მეთქი, ვუთხარი. უკლებლივ ყველა მოვიდა, ლურჯსათვალიანი სიდნეიც და წითელი ავტოთი ფლორაც. მერე შემომხედეს და თქვეს: გამგზავრებულაო უკვე. ეს იყო და მხოლოდ ეს, რაც გავიგონე სიკვდილის დღეს.

და შემქმნელმა თქვა: მოდი და დაჯექ, ღვინოს მიირთმევ, ალბათ. ვუთხარი: თუ შეიძლება მსუბუქს და მშრალს. ახლა კი მარქვი, ყმაწვილო, როგორ იმგზავრე, იმ ადგილებში თუ იარე, სასოწარკვეთა რომ ჰქვია, ან ის ქალაქი თუ ნახე, სევდა რომ დაურქმევიათ, ანდა სიცილით ხომ არ ირჩენდი თავს.

შემქმნელო ჩემო, მე მოგახსენებ მართალს. დიდხანს დავყავი დედაქალაქში, რომ ერქვა ფული, ჩემთვის კი იგი იყო გასართობი და მხიარული, სურნელთ ქალაქი, ქალაქი ფულის, ოქროს ჩხრიალის, კისკისისა და ისევ... ფულის, სადაც ყველაფერს ვიძენდი იაფად და მერე ვყიდდი ათმაგად.

მაგრამ, შვილო, რა თქმა უნდა, არ დარჩებოდი იმ ფულის ქალაქში. როგორღა არა, ჩემო შემქმნელო, სიკვდილამდეც იქ არ დავრჩი? ალმა მივფრენდი აღფრთოვანებით და ჩემი სიმღერაც ისმოდა ცაში:

ყოველი ტიტა გამოდგება
არაყის სახდელად
და ფულებს ჭრიან
უეჭველად ჩემთვის, სახვეტად.

და სიდნეი და ფლორა მოვიდნენ ჩემთან, საპიკნიკოდ ვესტუმროთო ვერმონტის მთას. მთელი ის ღამე ვიარეთ გზად, ლუდის ქილები მიმოეფანტათ გარს. ჩემთვის ვიჯექი, გავცქეროდი ცას, ხეების ჩრდილებს ვაკვირდებოდი, შემხვედრი ავტო მირევდა თვალს და ჩემთვის ჩუმად ვფიქრობდი: სუსტი ვარ, მინდა, მიყვარდეს ვინმეს, კლუბების მრევლში ავითქვიფები, უზრუნველყოფას დავეწაფები, ვისუნთქებ მხოლოდ საერო ჰაერით. მაგრამ ფლორამ თქვა: გულჩვილი ტიპი ხარ ჩიბუხით პირში, სიღარიბეღა გაკლია მხოლოდ, თუ რამეს ამგვარს გადაწყვეტ, ჩვენც ყველა შენთან ვიქნებით ბოლოს. არა, ბატონო, მხოლოდ ის მინდა, ფულისთვის ვუყვარდე ვინმეს. ასე მივდიოდით ვერმონტზე საპიკნიკოდ და სალაღობოდ.

ტბის პირას დავანთეთ კოცონი, მივთელ-მოვთელეთ ჭაობის ბალბა. ხორცის ნაჭრებიც მოვძიძგნეთ კარგად. აი რატომაც ვერ მოვინანიე, შემქმნელო, მიხვდები ალბათ. ვიფიქრე, გავცურავ-მეთქი, ვარსკვლავებს შევავლებ თვალს, მერე კოცონსაც შემოვუსხედით, შემცივდა და გავხდი ავად. ასე ვუთხარი მათ სიკვდილის წინ: ჩქარა მაფრინეთ ფულის ქალაქში და ვნახოთ, რამდენს მომთხოვენ გადარჩენაში. ისინი მოვიდნენ, მითხრეს: წრფელო მეგობარო, შენი გზა სხვა ქალაქს უმიზნებს ამჟამად და ზუსტად ეს მატარებელი უკან არასდროს ბრუნდება. მე მოვითხოვე სასწრაფოდ ბილეთის შემმოწმებელი, იქნება იმან იცოდეს, სად არის ჩემი შემქმნელი. იმიტომაც, რომ აქ, ქვევით, არის ისეთი საგნები, რომლის იაფად შესყიდვაც, ალბათ სჭირდება იქ, ზევით, და მათაც მითხრეს: არ არის ბილეთის შემმოწმებელი, უფასო არის მგზავრობა ამგვარი მატარებლით.

რაღა გაეწყობა, წავედით-მეთქი, მოვრჩი მე ენის ლიკლიკს და, როგორც ხედავთ, ვერ შეველიე ქალაქ ნიუპორტის ზუთხსა და პიკნიკს. დღედაღამ ვიჯექ ჩემს კლუბში, ვჭამდი და ვერა ვძღებოდი. მოეეშვათ მაგას, ნუღარ იდარდებ, მე ვიცი, შვილო, რასაც გრძნობ და ახლა მინდა, სასიამოვნო, კარგი ამბებიც მოგითხრო: აქ ჩვენთან ახლა როველი იწყება, იქნება ბოჩოლას მწვადიც, ხორცის ნარჩენი ნაჭრები და უსასრულო დარიც. გათბი და დატკბი მზის სხივით, განცხრომას მიეცი თავი. მაგრამ, შემქმნელო, საკვირველია ასე გულთბილად ჩემი მიღება. მე ხომ იქ, ქვევით, არასდროს სიკეთე არ მითესია, არცა სევდა და განცდები ჩემს გულს არ გაჰკარებია. ეგ არაფერი, შვილო-

სა, ნურც მაგას ნუ დაიდარდებ. მთავარი მაინც ის არის, გულს ბოროტს რომ არ აკარებ, თორემ ზედმეტი ლუკმისგან კაცი არასდროს წამწყდარა.

მაგრამ შემქმნელო, სიდნეი და ფლორა? აგერ, ისინიც, აქეთ მოიწი, კარგად მოჩანან ორთავ. შეხედეთ, შეხედეთ, რეებს სჩადიან, [illegible] ნაძი-რალები. ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს იქამდე დაუნა[illegible]ის სანთებელა აუწაპნია, ხოლო ფლორა ჩემს ბინაში შესახლებულა. დაწყნარდი, შვილო, შენც ხომ ასეთი, მხოლოდ ასეთი იყავი აქამდის. კი მაგრამ ,იმავ სიდნეის ჩემი გრამოფონი მოუპარავს, ფლორას კი ცხენი, ჩემი რაში, მაგ ნაძირალას შეუკაზმავს, სამაგიეროდ, ამიერიდან, შვილო ჩემო, გეცოდინება, შენ შემდეგ მიწაზე ნურაფერს დატოვებ სანანებლად და გულის სახეთქად.

შემქმნელო ჩემო, ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ აწი. ახლა კი, შვილო, დროა ვიცუროთ და ვივარჯიშოთ, მერე კარგადაც დავნაყრდეთ და ღამის კლუბშიც ჩავბარგდეთ. კი, მაგრამ, ვერაფრით გავიგე, ასე ადვილად როგორ მოვრიგდით. თანაც აქ რომ ჯობია, ესეც ხომ ცხადზე ცხადია, არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ყველაფერი ასე მუქთაა. ო, შვილო ჩემო, თვალებში მიცქირე და დამაკვირდი, რას ხედავ? მოიცა, მოიცა, შემქმნელო, ეს ხომ მე ვარ.

## დათუნია ვიყიდე მაშინ

კარი რომ შევაღე, მუშტში ჩავბღუჯე ერთადერთი ფუნტი. ვიფიქრე, მხოლოდ ერთხელ მოგვეცემა სიყრმე და არც არასოდეს დაგვიბრუნდება-მეთქი... და თვალი მოვავლე ამ წითელ-ყვითელ ბზრიალა საგნებს, ციცქნა ავურებს, სახლებს, კოპწია სათამაშოებს... და დათუნია მოვითხოვე, გარეცხვა რომ შეიძლებოდეს, ისეთი.

ქალს ჩაეცინა: გვაქვსო ასეთი ღრუბლის დათუნია. სულს ლევს-მეთქი ჩემი შვილი ფუმფულა მხეცისათვის, მე კი მინდა, რომ გამძლე იყოს, რადგან ნავში ვცხოვრობთ და ვერსად თამაშობს ბავშვი.

ჩავიხუტე ფაფუკი სათამაშო და რა ღირს-მეთქი, ვკითხე. ერთი გინეა. სასიკვდილო ოხვრასავით აღმომხდა. ხანდახან გავიფიქრებ ხოლმე, რა მოხდა, ჩემი წილი ფუნტების დასტა, თუნდაც ძალიან მცირე, საყურებლად მაინც ეგდოს აგერ, კარადის უჯრაში. ეჰ, მაგრამ ფუნტი ფუნტია და მისი დასტაც. მერე გადავხედავ მძინარე შვილის ნეტარ სახეს და ცრემლები მახრჩობენ. ბოლოს და ბოლოს სათამაშო რაღაა, ეგეც რომ განგებას შესთხოვო. თანაც რამე ზიზილ-პიპილოს ხომ არ ვყიდულობ. ეს დათუნია ღრუბლისაა და ირეცხება, ღიღხანს გაძლებს. მოკლედ, აიღეთ, აიღეთ, მადამ, ეს ფუნტი.

ხელში მოვირგე ფუმფულა საგანი და 22 ნომერ ავტობუსში ავედი. ზევით მოვკალათდი, წინა მხარეს, და მზით გაჩახჩახებულ გამვლელებს დავცქეროდი. სიხარული ციაგებდა მათ სახეებზე. მიმოხტოდნენ და მიმოქროდნენ მშობლებს ატორღიალებული პატარების ქუდები და კიკინები... და ეს დათუნიაც იხტუნებს, ითამაშებს მუდამ.

პატარა, მწვანეში ჩაფლული მოედანი გადავკვეთეთ მჩქეფარე შადრევნის გასწვრივ. აქვე, ახლოს, ორი ვეება ზარბაზანია შემართული. აქეთ ჩავლილს სულ მგონია, რომ საცაა მათ გრგვინვას გავიგონებ, ირგვლივ, კოპწია სახ-

ლებში ვაჭრობაა გამალებული. ჩაყვითლებულ ყავახანებში მდიდრები ღლიმიან, თამბაქოს ეწევიან, იცინიან. მე ისინი ყველანი მიყვარს.

მოსახვევში ჩამოვხტი, მდინარის პირას. საბარგულებს ჩავუშვებ და იქით წავედი, სადაც ირწევა და ნაპირს ეტმასნება ჩემი ალმიანი ნავი. შორიდან უკვე კარგად ისმის დედა-შვილის პუტუნი. ვფიქრობ ხანდახან, ნაადრევი ხომ არ იყო-მეთქი ჩემი მამობა, მაგრამ ახლა რაღა დროისია, ველარაფერს ვიზამ. სადილად შეიძლება ნივრით შემწვარი ხორცი დამხვდეს .მერე, მოგვიანებით, გარეთ გამოვალ და გაჩირაღდნებულ სანაპიროს გავხედავ, ფოლადის ხიდზე არეკლილი სინათლის ლიცლიცს შევავლებ თვალს. ამგვარ პატარა სიამეს მეც ვიზოგავ ხოლმე.

ქვევით ჩავუყევი ვიწრო გასასვლელს და შევძახე, მოვედი და ჩანთაში მაქვს-მეთქი. აღარ ვიცოდით ახლავე მიგვეცა თუ დილამდე მოგვეცადა. ვერც კი აგიწერთ რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს დათუნია, რამდენს. ერთ გინეას? ო, არა. ერთ გინეას. იცი, ძვირფასო რა კარგია! ოქროსია, ღრუბლისაა.

ძილის წინ ვაჭყუმპალავეთ პატარა და თავის მოცუცქნულ საწოლში ჩავაგორეთ ფუმფულა დათუნიასთან ერთად. იკისკისა და იცინა, ჩაიხუტა და ჩაკოცნა სათამაშო მხეცი. მერე ნანინაც ვუმღერე ორივეს. მერე ისიც ვუამბე, თაფლი რომ უყვართ ამათ და ფული რომ სჭირდება დათუნიას შეძენასაც.

ღამე კი, როგორც ყოველთვის, საშინლად დაქანცული გულაღმა დავწექი და ყური მივუგდე საოცარ ხმას, მდინარის მეორე ნაპირიდან რომ მოისმოდა. მათ იქ სანთლის სახლი აქვთ და მოჩუხჩუხე შადრევნები. მდინარეზე კი კარჭაპები ზმუილით მიმოდიან და გაპობილ ტალღებს ჩვენკენ მოაგორებენ... და თუ სათამაშოს სიხარული მოაქვს, ჯანდაბას ფული.

მთელ იმ ღამეს ნემსებზე ვიწექი. ინათა თუ არა, ავდექი და ქურაზე ყავა შევდგი. კარაქიც ამოვიღე ჩემი ახალი საკარაქედან, შებრაწულ პურზე წავუსვი და ძეხვს მივაყოლე. მერე გარეთაც გავედი და მხრჩოლავ მილებს გავხედე. იქით, ზევით, საათმა რვაჯერ დარეკა. ალბათ ოდესმე მეც მექნება ჩემი ბაღი და მოზრდილი ოთახი.

შეკივლება მომესმა. რა მექნა, აღარ ვიცოდი, ტყაპანი გავიგონე და შიგ შევვარდი. პატარა გოგო ფანჯარასთან იყო. დათუნია არსად ჩანდა. ღმერთო ძლიერო! ეს რა დამემართა. წყალზე ფუმფულა ყურები და შუშის თვალები ტივტივებდა. იქვე გავშეშდი და ზღვისაკენ მიმავალ მდინარეს ჩავაშტერდი. ერთი ფუნტი, ერთი შილინგი!.

□

# პიერ რევერდი

## წიგნიდან „ნაყარ-ნუყარი აზრები“

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ლოლაძემ

პოეტი გოლიათია, რომელიც იოლად ძვრება ნემსის ყუნწში, და ამავე დროს ჯუჯა, რომელიც ავსებს უზარმაზარ სამყაროს.

ავტორი საკუთარი ნაწარმოების დაცვით თავისი ნალვაწის ბრალმდებელი ხდება. გამართლება გამარჯვებას მოაქვს. ყოველივე სხვა, დასაცავი სიტყვაც კი, პატივაყრილია.

ხელოვნება იწყება იქ, სადაც სული ლაფავს შემთხვევა. და მაინც შემთხვევა თუ ამდიდრებს მას. ამის გარეშე ხელთ მხოლოდ მშრალი კანონებიღა გვრჩება.

ადამიანმა დასაბამი მისცა პოეზიას, პოეზიაშივე ეგულება სასუფეველი. მაგრამ იგი მაინც ბუნებაში ეძებს სანუკვარ სავანეს, თითქოს იქ გაპარვოდეს.

მითხარი რაზე ოცნებობ და, გეტყვი ვინა ხარ!

პოეტმა პირველქმნილად უნდა აღიქვას საგანი, თავისმიერად დაანახოს მკითხველს და დაარწმუნოს იგი სხვაგვარი აღქმის შეუძლებლობაში.

ხელოვნება არ არსებობს წინააღმდეგობისა და, მით უფრო, თავისუფლების გარეშე.

პოეზია სალაპარაკო თემად არ უნდა იქცეს. ლექსებს კითხულობენ, სიამოვნებითაც, თუ კარგი ლექსია. ოღონდ მის ავ-კარგზე არ საუბრობენ!

ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა! ღმერთო, ნუ მიწყენ და რატომაც არა, თუკი ამ გაუმაძღარ არსებათ ასერიგად უყვართ მარგალიტები?!

ეს მე ვარ, მე ვარ, საკუთარ ტყავში გამოხვეული — მარტოეული ხმას არავის ვცემ. და ამავე დროს უზომოდ ბევრს რომ ვესაუბრები — ვწერ!

ბუნება ალერსიანი არ გახლავთ. ალერსი უხამსობის ხანგრძლივი მოგლუვების ნაყოფია.

ჯოჯოხეთი მოკირწყლულია კეთილი სურვილებით, ხოლო სამოთხე, რაღა თქმა უნდა, ავი ზრახვებით.

კუთვნილ წარმატებას რომ იმსახურებ, ნულა მიიღებ წამებულის იერს, თითქოსდა დიდებისაგან იყო განძარცული.

პოეტი უნდა ერიდოს ჩვეულსა და შეგუებულ აზრებს, გრძნობებსა და სიტყვებს. განსაკუთრებით კი უნდა უფრთხოდეს საკუთარი ხედვისა და სინამდვილის შერევას ერთმანეთში, რადგანაც ამით ის შეიძლება ისეთ მხატვარს დაემგვანოს, რომელმაც შესაძლოა ხაღებავების ჭამა დაიწყოს.

ოცნებათა ღრუბლების ასეთი მოზღვავება, ალბათ, ულმობელსა და მძიმე სინამდვილეს ათანასწორებს.

ჭერაც ამოუცნობი რამ უნდა მოგვაწოდოს პოეტმა, თორემ სხვისი ნაღვაწი და შეცნობილი ან ჩვენ ან მას რას არგებს?!

მომავალი — სამოთხეა, რომლიდანაც, დარწმუნებული ვარ, ჯერ არასოდეს არავინ დაბრუნებულა.

მხოლოდ განსაცვიფრებლად ორიგინალური ნაწარმოებების წერისათვის ამდენ წლებზე ფეხის დადგმა. ორიგინალობა ამოუცნობი რამაა. იგი თავისთავად იფეთქებს ხოლმე —მეტწილად იმ დროს, როდესაც არ ელი, იმ დროს, როდესაც გგონია, წერ ყოველგვარი იკლიკანტურობის გარეშე, სავსებით უწყინარ, ბანალურ რამეს. ვერ შეძლებ შენს აზრებზე უფრო ამაღლებულად იაზროვნო, ვერც შენი ხმის შესაძლებლობებს გასცდები. მაგრამ, თუკი სადღაც სიღრმეში ჩამალულია რაღაც ჭეშმარიტად ორიგინალური, ისეთი, რაც უმნიშვნელოდ თუ მნიშვნელოვნად განირჩევა ყოველივე სხვა რამისაგან, მაშინ მხოლოდ ერთიღა გვრჩება: მოთმინებით ვაცალოთ მომწიფება, სანამ თვითონ არ ამოხეთქავს.

ამოცანა პოეტური სახის შექმნაში როდი მდგომარეობს. ფრთებშესხმული იგი თავად უნდა გამოგეცხადოს.

ძალზე დიდი ნიჭია საჭირო, ჩაწვდე წვრილმანსა და უმნიშვნელო საგნებს.

შენმა სიყვარულმა თუ არა მიქნა რა, შენი სიძულვილი რაღას დამაკლებს?

ხელოვნება მთლიანობაში სხვა არა არის რა, თუ არა სიყვარულისა და შემთხვევითობის თამაში.

საკვირველია, სიკვდილზე ფიქრი ზოგჯერ ასე ასატანს რომ ხდის სიცოცხლეს.

ბედნიერი ვიქნებოდი, რომ, რაც დავწერე, დამეწერა ისე, როგორც ვოცნებობდი.

ამქვეყნად უბრალოდ ყოფნა უბრალო საქმე ხომ არ გგონიათ?

კალამი იმ გასაღებს მიაგავს, რომელიც კეტავს და არაფერს აღებს!

მხოლოდ მოდა თუ გამოდის მოდიდან და სწორედ მოდას მოაქვს წარმატება.

ზუსტი მიგნების მიგნება არაფრად გვიღირს.

ღარიბს საცხოვრებლად მხოლოდ სინამდვილე გააჩნია, სხვებს კი სინამდვილესთან შესაგუებელი სახსრები.

პოეზიის გარეშე ბუნება არასოდეს გაგიხდება მეგობრად, ნაზ თანამგზავრად.

ყოველი დღე მომავალს ეკუთვნის. წარსული, აწმყო გააუქმეს, თეორიულად თუ შემორჩა. ჩვენ მომავლით ვცხოვრობთ. ალბათ მომავლითვე აღვესრულებით.

არავითარი პოეტური კავშირი არ არსებობს ჩემსა და რეალობას შორის. პოეზია — ეს ჩემი და არარსებული სინამდვილის კავშირია. სწორედ ეს არარსებობა ქმნის ყველა ლექსს.

ნუ მოტყუვდებით, თქვენ რჩევას კი არ გთხოვენ, არამედ თანხმობასა და თანადგომას.

რა სიურპრიზი და მოულოდნელობა იქნებოდა, უცებ რომ ისეთი გავმხდარიყავი, როგორადაც წარმოსახული გყავართ.

თუკი გგონია, რომ სხვაგან მიაგნებ რაიმე მარცვალს, სცდები, პოეტო. მხოლოდ შენშია შენი მარცვალი. სხვათა მარცვლები არას გარგებენ.

ასეთ ნელ ცეცხლზე თუ განაგრძე წვა, ნაღდად ცუდად დაამთავრებ. ნამწვავივით მიგაგდებენ.

მხატვრული ნაწარმოების ლოგიკა მის სტრუქტურაშია. თუკი ის შინაგანად მთლიანია და მკვრივი, თანასწორ საფეხურებზე მყარად დგას, მაშასადამე ის ლოგიკურია და ბუნებრივია.

ხელოვნება სინამდვილის ერთგვარი ფილტრია. როცა კარგი ყავის დალევა გსურთ, ფილტრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

უფუნჯო მხატვარი, უკალმო მწერალი... აბჯარაყრილი მეომარი. მიდი და რამე დაწერე ამისთანა აზრების შემდეგ!

მშვენიერი ილუზიები ულმობელი სინამდვილის სანაცვლოდ — აი, პოეტური ნატურა. და თუ მხოლოდ ესაა, ღირს კი ამაზე საერთოდ ლაპარაკი?!

მხატვარმა შექმნა ფერწერული ტილო — მაშასადამე ყოველივე თქვა. თუკი ქაღალდზე მოხაზა ნახატი — ყოველივე დასრულებულია. ხოლო მწერლისათვის, რომელმაც დაასრულა ხელნაწერი, რჩება კიდევ გადაბეჭდვა, გამოქვეყნება. ეს ოდნავ რაღაცით — მხოლოდ რაღაცით — მიაგავს საკუთარი მუსიკალური ნაწარმოების მოსმენას კომპოზიტორისათვის. კარადაში გამოკეტილი ხელნაწერი, წაკითხული მხოლოდ ავტორის მიერ — არაფერია. შესაძლოა იგი ბევრსაც ნიშნავდეს და სულ არაფერსაც. მოსმენა, გამოცემა —ესაა ნაწარმოების აუცილებელი გამოცდა. და ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემქმნელთა შესაძლებლობებზე არაა დამოკიდებული. სწორედ ესაა მთავარი!

უნდა გაგაჩნდეს თავისუფლების შეგრძნება. ისე უნდა მიეჩვიო მას, ვით ლამაზი ოქროს თევზი თასს, სადაც ასე ნარნარად და ბედნიერად დაცურავს.

ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, როგორც ვალერი ამბობს, გამოხატო, თუნდაც გადასცე შენი პოეტური წარმოსახვა, არამედ მთავარია გამოიწვიო იგი. პოეტი ისაა, ვისაც ხელეწიფება ლექსის მეშვეობით მიაღწიოს ამ მდგომარეობას.

განცდა, რომელსაც იწვევს დაწერილი ლექსი, ხშირად არ შეესაბამება იმას, რასაც პოეტი წერის დროს განიცდის. როდესაც პოეტი წერს — განიცდის; როდესაც ცდილობს ლექსის მეშვეობით შექმნას ეს განწყობა, მაშინ ბატონობს, ან ცდილობს იბატონოს.

შესაძლოა, სწორედ ამაშია განსხვავება პოეტური ბუნების ადამიანსა და პოეტს შორის, რაც ხშირად უკიდურეს ზღვრამდე მიდის ხოლმე. პოეტური ბუნების ადამიანები უფრო მეტს გრძნობენ, ვიდრე შეუძლიათ გამოხატონ, ხოლო მეორენი ცდილობენ გამოხატონ ან გამოხატავენ იმაზე მეტს, რისი განცდაც შეუძლიათ.

იშვიათი, ღვლარჭნილი, თავისთავად მდიდარი, ღრმად მეცნიერული თუ უბრალოდ ლამაზი სიტყვა ზეთის საღებავს წააგავს, — ტუბიდან რომ გამოდის, — ლამაზს, მაგრამ არაფრის მთქმელს.

ფერადოვანი სიტყვა მწველი არაა. უნდა მოიმარჯვო ის სიტყვები, რომლებიც იმ საგანს გამოხატავს, რაზედაც წერ. ზოგჯერ ნაკოდალივით მარტივი და უხეში სიტყვები ნაპერწკლებს გადმოყრის.

თუმცაღა ეს იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორაა იგი დაპობილი და შეწყობილი ბუხარში.

ხიცოცხლე, ვით ქვიშა არარსობის ორ კიდეთა შორის.

ბედი გარგუნებს სამყაროს ნაწილს, ხოლო ოცნება მას აცისკროვნებს.

მარადიულ სიცოცხლეში ისაა კარგი, რომ მისი არა სწამთ. თორემ ვინმეს მიასწრებდი?

პოეტური გარემო, პოეტური წრე! მომხიბლავი ფორმულაა, სალონში კოქტეილის წრუპვის დროს წარმოთქმული. ამას ამბობს ის, ვინც პრეტენზიას აცხადებს პოეტთა რიცხვს მიაკუთვნოს საკუთარი თავი.
მე კი თავს ვიტეხ იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს პოეტური წრე.

შეცდომებზე სწავლობენ. რამდენი სასარგებლო და სავალდებულო რამ უნდა შეისწავლო, რომ მიხვდე რატომ სცდები, და თავი აარიდო შეცდომებს.
შემთხვევითობა აქ არაფერს გვშველის.

ვინ დამიშლის კვლავ გავიმეორო ის, რომ პოეზიის სამყოფელი მხოლოდ ადამიანია.
პოეზია — მოვლენებთან და საგნებთან ადამიანის ურთიერთობის შედეგია.

პირველი თუ, ვინ იცის, მერამდენე მეხის ან ხანძრის გამო იშვა პრომეთეოსის მითი.
მაგრამ მითისთვის დამახასიათებელია ჭეშმარიტების გარკვეული დამახინჯება.
ციდან არაფერი მოუტაცნიათ! ცეცხლი უფასო ძღვენი გახლდათ.

ყველაზე დაუფარავი ნიღაბია იუმორი, მაგრამ ყველაზე ბასრი — ბოლომდე განმგმირავი.

ნამგალა ისე სერავს ცას, როგორც დუზა ზღვას.

ცდილობენ ბევრი რამ შექმნან, ხოლო ამთავრებენ იმით, რომ ქმნიან მხოლოდ იმას, რაც შეუძლიათ.

დღეს ხან კარგად, ხან კი ცუდად ვართ. ოქროს ხანა მხოლოდ გუშინ იყო.

უვიცობა არარას გეკითხება, გონიერება კი —მარადიული კითხვარია.

მასწავლებელნო, მარადიულო მწვრთნელნო მაიმუნთა, ანგელოსთა და დემონთა!

მომავალი მზესავით უნდა გიყვარდეს. აბა, წარმოიდგინე რა მოგივა, მზე რომ მოგიახლოვდეს.

ბრტყელია ვით ეული ციფერბლატი წელიწადის დროთა გზაჯვარედინზე.

არაჩვეულებრივი ცხვირწინ გიდევს. ირგვლივ თვალებს ნუ აცეცებ.

სიყვარული ერთფეროვანია, მხოლოდ ეჭვიანობაში გამოიკვეთება ორიგინალობის ილუზია.

ფორმას თვით ფორმის მონახაზიც კი ქმნის.
ყოველი მეოცნებე პოეტი როდია. თუმცაღა პოეტებშიც არსებობენ მეოცნებენი. თუ პოეტი არ ხარ, ოცნება უნაყოფოა. პოეტის ოცნებაა ნაყოფიერი. იგი თავისებურად უწევს ანგარიშს იმას, რასაც სხვები „აზრს“ უწოდებენ. მაშასადამე, ოცნება „აზრის“ განსაკუთრებული ფორმაა. აქედან გამომდინარე, აზრია სული შემღწევი, ოცნება კი — შეღწევადი. ვინ უწყის, იქნებ აჯობებდა პოეტის სული შეღწევადი ყოფილიყო ვიდრე შემღწევი?

ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა ბრძნული აზრი გამოვიტანე ხანგრძლივი ფიქრიდან — სულ არ მქონია ფიქრის უნარი.

ნუ დაივიწყებთ, რომ მორწმუნე, რა ხანია წმინდანი აღარ გახლავთ ისევე, როგორც მეომარი — გმირი.

მე ვიცი სიკვდილშემდგომ სიდიადის ამაოება, და მაინც მუდამ დღე ვფიქრობ იმაზე, რომ სიდიადე სიკვდილის ზომაზე გამოჭრილი ნათლის სამოსელია.

პოეზიას არ ქმნიან. ალალბედზე თუ წერენ, ხატავენ, თხზავენ მუსიკას. თავს აღწევენ ან ვერ აღწევენ პოეტურობას. ესე იგი წერენ, ხატავენ თუ თხზავენ ან არაფრისათვის, ან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად, ო-ო რა ხშირად მიოცნებია მეტეორზე.

პეპელასავით დაფრენს არწივისფრთებს მოცარტი.

რა დარჩებოდა მსოფლიო ისტორიისაგან, შეცდომა მისი განუყოფელი ნაწილი რომ არ იყოს?

მედიდური, ამაყი ქალიც მოითხოვს წაარშიყებას — შორიდან მხოლოდ.

საბოლოოდ, მხოლოდ პოეზია, ხელოვნების სხვა სფეროსაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს სათაკილო. მგონია, რომ უმრავლესობისათვის ის მხოლოდ ერთგვარი ალიბია, თავისებური ფანდია, რომელიც კრიტიკულ მდგომარეობაში შველის ადამიანს თავი შეაკავებინოს ცხოვრების ორ საფეხურს შუა, მის ნებისმიერ ფორმის გამოვლინებაში — გინდ საზოგადოში, ემოციურში თუ მატერიალურში. სიცოცხლე გასამრჯელოსათვის? პოეზიით ვერას იშოვი — ესე იგი პოეზია პროფესია არ გახლავთ. პოლიტიკური მოღვაწეობა? ჩვენ ვიცით, რა საცოდავ და საჩოთირო ურთიერთობაში ვლინდება პოლიტიკისა და პოეზიის კავშირი. რაც შეეხება გრძნობებს, ეს უხილავი მახეა. ისე უნდა გამოიყენო ისინი, რომ არ ჩავარდე შემარცხვენელ სისუსტეში, სადაც ყოველგვარი შინაგანი და სანუკვარი უსირცხვილოდ წინაა წამოწეული. არ უნდა ითვალთმაქცო საკუთარ ნაიარევებთან, და არ უნდა გააყალბო ისინი. საკუთარ ნაკლულოვანებათა ჩვენება იოლ და სარფიან საქმედ არ უნდა გაიხადო. უნდა გადარჩე დაუღუპავად. ერთი სიტყვით, იცხოვრო სადღაც განზე. სწორედ ამას ვამბობდი.

მისდიო პატიოსნებას ან პირი იბრუნო მისგან, განა ესაა მთავარი? მთავარი ალბათ, გულის უბრალო კონტროლია.

ძლიერი ადამიანი ისაა, ვისაც, ჩვეულებრივ, საკუთარი სისუსტის გამომჟღავნება არ შეუძლია.

თუმცა არსებობს აგრეთვე გრძნობაგაცლილი ცხოველი, რომელიც არც ძლიერია და არც სუსტი. იგი მხოლოდ ცხოველია.

გონების დაავადება, გონების გახრწნა და ინფექცია. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, მის მიკრობებს ისევე აღმოაჩენენ, როგორც ადრე სხეულის მიკრობები აღმოაჩინეს.

ოპტიმისტი! ვართ კი ჩვენ ასეთნი? იმდენი რამ ლამაზი და მშვენიერია ცხოვრებაში! მიდი და ისარგებლე, სხვა რაღა გინდა?

ძნელია ისაუბრო მასზედ, თუ რას წერ, რადგანაც შემოქმედება შენი არსების ნაწილია, რომლის გამოვლინება მეტად რთულია. ესაა პიროვნების მოუხელთებელი და ყველაზე ფარული, არ ვიცი მუქი თუ ნათელი, მაგრამ ამოუცნობი ნაწილი. ჩვენც ვერ ამოვიცნობდით მას, რომ არ მივსდევდეთ თუმცა ამაღლებულ, მაგრამ ფრიად სახიფათო შემოქმედებას —მწერლობას.

ყოველ შემთხვევაში, საკმარისია გასაგებად წერო. ლაპარაკი აქ რა შუაშია?

ჩვენ ბიძგი მივეცით — ესაა და ეს. თითოეულმა მხოლოდ ის ნაწილი უნდა აითვისოს, რომელიც მისთვისაა დამახასიათებელი და მაცოცხლებელი. მკითხველს ვერავინ წაართმევს ამ უფლებას, განსაკუთრებულ ძალას, რომელიც თანაზიარს ხდის ავტორთან. ასე სანამყენე კალამი შეეზრდება ხოლმე ხეს.

სწორედ იმ წამიდან, როდესაც კალამი ემყნობა ხეს, წერის აქტი იღებს წმიდათაწმიდა ხასიათს.

გონება ისე მარწევს, როგორც ლერწამს ქარი.

მშვენიერი საშუალებაა იოლად დაგებნეს თავგზა, და ამავე დროს ყველა გამოსავალი ერთად მოიძიო.

ბუნებით არიან ამაყნი, ხოლო მორიდებულნი — საჭიროების გამო.

მოკრძალებაში ჭკუა მხიბლავს, მის გამოსავლენად რომაა საჭირო.

თუკი, როგორც ამას უმრავლესობა ამტკიცებს, სიკვდილი მხოლოდ მარადიული ძილია, მაშინ სიცოცხლე, მხოლოდ წამიერი უძილობა ყოფილა.

სხვის წინააღმდეგ ბრძოლა გაკაჟებს, საკუთარ თავთან ბრძოლა კი — გფიტავს. დიდი ძალისხმევაა საჭირო, გაუძალიანდე საკუთარ თავს.

ძალის ბრმა კულტია გამეფებული. უმეტესად მხდალში თუ მოვიძიებთ მას.

არავის აქვს უფლება ჩამოგართვათ თქვენი უფლება. რაა თქვენი უფლება?

ვისაც უნარი აქვს არსებულს შემატოს რამე — შემოქმედია, პოეტი.

გაზეთი, წიგნი — ყოველივე სანახაობად იქცა. აღარა სურთ ფიქრი, აღარა სურთ წარმოსახვა, აღარა სურთ წაკითხულის კვლავ აღდგენა. ლიტერატურა აღარაა მეტად სტიმულის მომცემი, ავტორისა და მკითხველის დიალოგი. ესაა ლორნეტი, გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი. მკითხველს მხოლოდ გახედვა სურს. სურს სწრაფად ჩავლა, რომ არ იფიქროს.

გვიან თუ ხვდებიან, რომ პოეტები ხანდახან ჭეშმარიტებას ამბობენ საჭირბოროტო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

ისინი თავით გრძნობენ, მე კი ჩემი მგრძნობიარობით მესმის.

სიცივისაგან, საათი რაა, ისიც კი კვდება.

მთელი ცხოვრება ვსაზრდოობდი სხვისი ეგოიზმით. სიცოცხლის ბოლოს ჩემიც მყოფნის.

— ბოლოს და ბოლოს ხისა ხომ არ გგონივართ?
— ე, მეგობარო, გული, ხისაგან განსხვავებით, თუ გამოიფიტა, არ აალდება.

ბრბოსდაგვარად არ მიყვარს ულრანი ტყე. მხიბლავს ეული ხე, იშვიათი მეგობარი, რომლის ყველა ნაიარევს ვიცნობ.

ასკეტიზმი! პირველი სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ.

ეხლაღა მივხვდი, თუ რატომ ვნანობდი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, რომ არ გავხდი მხატვარი. ჩავწვდი იმასაც, რომ სინამდვილესთან ის უფრო დაკავშირებული.
აბა ლურჯი და წითელი სიტყვებით ხელებს თუ გაითხვრი?

დიდხანს უნდა იცოცხლო, რათა შეიგრძნო ილუზია, რომ შეგეძლო უკეთ გეცხოვრა. დიდი დრო უნდა დაკარგო, გემო რომ გაუგო სიცოცხლეს.

ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი საკუთარი თავი გაასამართლოს, საკუთარ სამსჯავროსთან უნდა დატოვო. სხვისი სიძულვილი თუ ზიზღი მისთვის არაფერს ნიშნავს, რადგანაც იგი საკუთარი ზიზღითა და სიძულვილითაა დათრგუნული.

კიბორჩხალასავით ნაზად შეჩერდა ისრები.

ჯანმრთელი თუ ხარ, უშფოთველად ფიქრობ სიკვდილზე.

ხელოვნება ოქროს ძაფია, რომელიც სამყაროს თავიდან ბოლომდე რთავს.

თუკი შეჩერდი, რათა ცხოვრებას უჭვრიტო, ოცნებობ მაშინ. თუკი არასოდეს შეჩერებულხარ, ცხოვრობ ისე, როგორც გიოცნებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძაფრად შევიგრძნობ სინამდვილეს, ოდეს დაბრკოლება და სიძნელე მხვდება.

არ დაივიწყო, რომ სასრული განსხვავდება უსასრულოსაგან არასრულყოფილებით.

ნუ ცდილობ დროის მოკვლას — არაფერი გამოვა. დრო ძლიერია — დაგასამარებს. ეცადე, იცოცხლო შენთვის განკუთვნილ დროში და დროც აცოცხლო. მაშინ ის სიცოცხლის მომნიჭებელია.

მეცნიერება არსებულს ნელინელ საფარველს ხდის, ხელოვნება არსებულისაგან ერთი ხელის მოსმით ჯერ არარსებულს ქმნის.

გული არ ბერდება? სხვა რომ ყოველივე ბერდება, ნეტავ იმიტომ ხომ არ მძიმდება იგი? თუ პირიქითაა ყოველი?

ჩემი ბავშვობა. სიყრმე! გული ყოველივეს სულის სიღრმემდე გრძნობდა, თავში კი არაფერი მიჩერდებოდა.

მხოლოდ სიტყვით საბუთდება ლექსი. სიტყვაა უხილავი მახეც. კარგი ლექსის დასასამარებლად ერთი სიტყვაც კი საკმარისია.

მხიბლავს ის ხალხი, რომლებსაც მხოლოდ ერთი რამ ადარდებთ — სათქმელი მარტივად თქვან.

ხოლო, ზოგიერთი ადამიანის გულისამრევ პედანტიზმს ვერ ვიტან. თვით განსაჯეთ, რა ასატანია ის, ვისაც სურს გადმოგვცეს ჩაკიწკიწებულად, რომ არაფერი აქვს სათქმელი?

ერთფეროვნებაც და მრავალფეროვნებაც ნაყოფია ყველაფრის და ყველაფერში. ეს როგორც ხელოვნების ნიმუშს, ასევე ცხოვრებისეულ მოქმედებასაც ეხება.

ისიც კი არ იყო ბოლომდის დარწმუნებული, ვინც კვდებოდა და ამას ამბობდა „ვცდილობდი ყოველივე კეთილსინდისიერად მეკეთებინა“.

ადამიანი ან ცდება, ან თავის ჭკუით ზუსტად აღიქვამს სინამდვილეს. ხოლო სინამდვილე ყოველივეს მიუჩენს სათანადო ადგილს.

ფორმა სიღრმიდან იწყება და სიღრმე მთავრდება ფორმით. ეს ის მდგომარეობაა, სადაც სიღრმე თვით ეფინება ზედაპირის შუქს.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც არასდროს ცრუობენ, მაგრამ საუბედუროდ, ყოველთვის ცდებიან.

ჭეშმარიტება რომ ჰპოვო მათში, დიდი ძალისხმევაა საჭირო. მთავარია, თუ რა მხრიდან მიუდგები.

მათ ეგონათ რომ ბედისწერის ჟამმა დარეკა, ვაი რომ აზრადაც არ მოხვლიათ უკან მიეხედათ.

ალბათ ადამიანის სიდიადე მხოლოდ სისუსტეთა დაძლევით მიიღწევა. მაგრამ ხომ არსებობს ფუჭი სიდიადე, რომელიც საზიზღარ გულქვაობაზეა დამყარებული.

უნდა შეეჩვიო, ნელინელ მიაძინო საკუთარი ვნებანი.

ის თუ შორსაა, რაც მიყვარს, სიცოცხლე ციხეა ჩემთვის.

ყველაფერი რომ გვცოდნოდა, ალბათ ღრმად ჩავფიქრდებოდით იმაზე, რომ საფიქრალი აღარაფერი გვექნებოდა.

ჩემი პოეზია ოცნებაში მოვიძიე, მაგრამ მისი მყარი საყრდენი რეალობაა.

ბუნდოვანებით არ უნდა დააფრთხო მკითხველი. პირიქით, მას მეტი ასპარეზი უნდა დაუტოვო თანადგომისათვის.

ხელოვნება შულერია, რომელსაც თვალთმაქცობის გარეშე არ შეუძლია არსებობა, ხოლო რადგანაც ამ თამაშში ყველა ცრუობს, არავინ თვლის საკუთარ თავს გაქურდულად.

ვისაც არაფერი აეჭვებს, მას არაფრის გუმანი არა აქვს.

ნაწარმოები ჰაერის ბურთულებს მიაგავს, რომლებიც ღამით ჭაობიდან ამოდიან. სიღრმე მათ რაოდენობას ზრდის.
ჰაერის ბურთულები ყოველთვის მჭვირვალეა, რაგინდ მყრალი იყოს ჭაობი.

ყველაზე მეტად ის მაწუხარებს და მახარებს, რომ ხანდისხან შეგიძლია იმისთანა ადამიანს შეხვდე, რომელსაც გენიალობის ნატამალი არ სცხია.

თავი პატარა მოცულობისაა, მაგრამ უსაზღვროდ ბევრს იტევს. ხანდახან კი ჭკუის კოლოფი ცარიელ კოლოფს მიაგავს.

რა ბედნიერებაა, რომ გონების ჭუჭყი ისევე არ ჩანს, როგორც სხვა სიბინძურე.

ნიჭი პრივილეგია როდია. ნიჭით ვერ გამართლდები. ნიჭი — მხოლოდ მოვალეობაა. თუ ყურად იღე ეს შეგონება, მაშინ ყოველივე თავის ადგილზე აღმოჩნდება

ენის სირთულე მის არმატურაშია. მის ურყევ ჩონჩხში, უშეცდომო, უხორკლო და მქისე ენა ერთფეროვანია როგორც დამყაყებული გუბე. ესაა ამორფული და უხორცო ენა.

პოეტმა ნათლად უნდა წეროს. მან სიტყვა არ უნდა დაძრას იმაზე, რაც ხალხისათვის ისედაც ნათელია და გასაგები.

კარგი რამაა, არა — არაფრის სწავლა არ გსურდეს და სხვას კი მოძღვრავდე?! თვით მეგობრებშიც კი ამგვარი რამ როგორი ასატანია?

თუ ნაწარმოები განურჩევლად ყველასათვის არ იწერება, მაშასადამე, არავისთვისაა დაწერილი.

უძრავლესობა მხოლოდ ღმერთს მიაწერს ყოველივეს და თვლის, რომ მხოლოდ მისგანაა დავალებული.
ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მავანთათვის ეს საბაბია, არავისაგან დავალებული არ იყოს.

ვეჭვობ, ამ კეთილმზრახველ ჰუმანისტებს, ასერიგად რომ უყვართ კაცობრიობა, — ადამიანი ხომ ახალი ღმერთია, — შესწევდეთ უნარი ერთი საბრალო კაცის სიყვარულისა.

ააჭრელო ქათქათა ქაღალდი, ავად თუ კარგად, ქაღალდის სიავკარგეზე არ მიგვანიშნებს, ქაღალდი რა შუაშია?

რაც უფრო ნატიფი ხდება ადამიანი, მით უფრო მაღლდება იგი, — ფეხის წვერებზე დგომით კი არა ,არამედ გულის „წვერზე“ დგომით.

საკუთარ თავს ხშირად დავკითხივარ, რად არიან დიდი შემოქმედნი ასე ძუნწნი სხვათა ქებაში. ნუთუ მოკრძალებისა გამო? მაგრამ ღრმად რომ ჩავუფიქრდი, გავიკვირვე. მათ ხოტბაზე როცა მიდგება საქმე, მცირედით როდი ნაყრდებიან.

დიდებით დაბრმავებულმა ბნელმა პიროვნებებმა რომ იცოდნენ, თუ რა ფასად ჯდება ეს სხივები.

სამყაროში ვერაფერს ნახავთ ისეთს, მნიშვნელობა სრულიად რომ არ ჰქონდეს.

ცუდად თუ კარგად ჩემმა ხელობამ ჩემი ცხოვრებით მაცხოვრა. საქმე არჩევანზე რომ მიმდგარიყო, ნუთუ ყასბობას ვამჯობინებდი?!

ვერ ვიტყვი, მტერმა გამცა-მეთქი. ხშირად მეგობრებს, უფრო ხშირად კი თავად მიმიძღვის ბრალი. მეტი ყურადღება გმართებს საკუთარი თავის მიმართ.

პოეტი სხვა პოეტისგან მხოლოდ ოსტატობის დაუფლებას უნდა ცდილობდეს. ოსტატობის, სხვისა თუ თავისა, გრძნობა, სევდა, სიძულვილი თუ სიყვარული მას თავად უნდა გააჩნდეს. ძნელია შენში მოიძიო ეს ყოველივე, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია მოძიებულის გამოყენება. რადგან, საკუთარი თავის ან საკუთარი პიროვნების წარმოსაჩენად არ არსებობს რაიმე სხვა საშუალება.

ხელოვნებაში მხოლოდ პიროვნულ ოსტატობას უწევენ ანგარიშს.

დღესდღეობით ხელოვნება თავის შიდა პირს გვიჩვენებს. ოდესღაც ედგარ პო ცდილობდა ამას. ეს იმას მიაგავს, რომ თერძმა შემოიღოს მოდა კოსტუმის უკუღმა ტარებისა, რათა თავისი ოსტატობა უკეთ წარმოაჩინოს.

არსებობენ უფრო ემოციური, ვიდრე ჭეშმარიტად მგრძნობიარე ადამიანები. მგრძნობიარობა განიფინება ყოველივეზე — საგანზე თუ ცოცხალ არსებაზე. ემოციური ეგოისტი საკუთარ წვენში იხარშება და საკუთარ ტყავშია მომწყვდეული.

ის შენი ღირსი არაა, მაგრამ შენი ღირსი რომ ყოფილიყო, ისერიგად კარგი იქნებოდა, შენ აღარ იქნებოდი მისი ღირსი.

დარწმუნებული ვარ, რომ ნაწარმოებს საკუთარი სახელი უნდა მოაწერო, ხოლო ფსევდონიმის ქვეშ უნდა იცხოვრო. ნათელია, რომ სახელი და ფსევდონიმი სხვა და სხა რამ არი, ერთ საფეხურზე არ დგანან, რადგანაც ჩვენ თავად სხვადასხვანაირად ვაფასებთ მათ.

მე გადამავიწყდა იმ ინგლისელი მწერლის სახელი, რომელმაც თქვა: „ის ვინც აზროვნებს, სიცოცხლეს კომედიად მიიჩნევს, ხოლო ვინც გრძნობს, — ტრაგედიად“. რა ღრმა და მართებული აზრია. მაგრამ არსებობს ისეთიც, ვინც არ აზროვნებს რათა უკეთ შეიგრძნოს. ამდაგვარი პიროვნებებისათვის ცხოვრება ყოველთვის ტრაგიკულია. ხოლო მათთვის, ვინც ბევრს აზროვნებს, უფრო მეტს, ვიდრე გრძნობს, ცხოვრება შესაძლოა კომედიად იქცეს, ან სურვილისამებრ სხვა რამედ. მათ შეუძლიათ საკუთარი ნებით ცვალონ თავისი თვალსაზრისი და საკუთარი ჩარჩოები. ასეთნი ყოველთვის საკუთარი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი არიან.

ღმერთო ჩემო, რა ფასი ადევს ხელოვნების ნიმუშებს! უბრალო ცხოვრება არ ჯობია? მარტივი ცხოვრება?

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვერ ვიტანთ სწორედ იმას, რაც გვშველის იოლად ავიტანოთ საკუთარი თავი.

ზოგჯერ სინდისი მქენჯნის იმათ წინაშე, ვინც უდროოდ აღესრულა, ძალზე ადრე დადუმდა ,ადრე იშვა და ბევრის თქმა მოასწრო.

ყოველივე მატერიალური ცვდება, სული კი ყოველდღიურობასთან ბრძოლაში ისე ბასრდება, როგორც დანის პირი სალეს ქვაზე.

სინდისი — თვალსაზრისია. თვალსაზრისი, რომელთანაც ჩვენ არავითარი კავშირი არ გვაქვს. ამიტომაც ცუდად ვგრძნობთ თავს, როდესაც წონასწორობას ვკარგავთ და ვცდილობთ დავეყრდნოთ მას.

ვერც ხელოვნება, ვერც პოეზია თავის მიზანს ვერ მიაღწევს, თუკი განცდა, რომლებსაც ისინი იწვევენ, არ არის უფრო ცხოველი, ინტენსიური და უფრო ხანგრძლივი, ვიდრე რეალური განცდა.

აქ საქმე ბუნების მიბაძვას როდი ეხება, არამედ მის გადალახვას გულისხმობს.

წლები შეალიე იმის სწორებას და ჩარხვას, რის შესწორება და გაჩარხვა შეუძლებელია— აი ჭეშმარიტი საქმიანობა.

შემიმჩნევია, რომ კრიტიკული გონით დაჯილდოებული ადამიანი იშვიათად თუ იყენებს მას საკუთარი თავის წინააღმდეგ. იგი ყოველთვის უდრეკი სიმამაცით სხვების მიმართ აქვს მიმართული.

თვითგანადგურებისაგან მათ რაღაცა იცავს.

თუ გსურს გაიგონ, საქმე სიტყვას შეეხება თუ ქვას, საკმარისია ერთმანეთში არ აურიო ქვის იუველირი და მთლელი.

რეალისტია ის, ვინც წარმოსახვითში სესხულობს და იძენს ყოველივეს, რათა შემდგომ რეალურად წარმოგვიჩინოს.

მეოცნებეა ის, ვინც რეალობას ეჭიდება მხოლოდ იმიტომ, რომ შეერწყას ოცნებას და განიბნეს მასში.

რაოდენ ბევრი, ულმობელი და გმირული აზრი დაუწერიათ მოკრძალებულ, ხალათმოხურულ, ფოსტლებში ბუხართან მოკალათებულ ადამიანებს.

ნიცშე თავის მორიდებულებას უზარმაზარ ულვაშებში მალავდა.

„იცოცხლო, რათა იფიქრო", —ამბობდა სპინოზა. მშვენიერია, მაგრამ ასეთ ცხოვრებას ფუფუნება სჭირდება. სადაა ამის შესაძლებლობა. მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია იმაზე, რაც სპინოზას აზრად მოუვიდა.

ხელოვნება წარმოიშობა მაშინ, როდესაც საგნები მოსვენებას არ აძლევენ ადამიანს.

იმის მაგივრად, რომ უბრალოდ დაეხედა კაცის ნატეხზე და გასცლოდა, ადამიანმა აიღო იგი ხელში და გამოქვაბულის კედელზე მიამიტურად გამოსახა ირმის კონტურები.

ჭეშმარიტება ჭიდან მოყელყელავდება ხოლმე, რათა გვაცდუნოს და უსაზღვროდ მივეზიდოს.

ჭეშმარიტება — თვითაა უძირო ჭა.

პოეტისთვის უდიდესი ბედნიერებაა — შესწევდეს უნარი ტკივილის შეგრძნებისა და ძალა ამ ტკივილის ზიდვისა.

ყველაზე ლამაზმა პოეტურმა სახემ შეიძლება სიცილი გამოიწვიოს. გააჩნია, ვინ როგორ აღიქვამს მას. არასწორი კონტაქტი თიშავს მცველს და აქრობს შუქს.

პოეტი შთაგონებამ არ უნდა მოსწყვიტოს მიწას. მის ფუნქციაში როდი შედის მიწის მიტოვება ვარსკვლავების ხაკრეფად. ხელმოცარული ვერასდროს შესწვდება მათ.

პოეტის დანიშნულება ისაა, რომ თვით შექმნას ვარსკვლავები, რომლებიც მის ლექსებში გაიფანტებიან და თვით ლექსებსაც ზეცისკენ აიტაცებენ.

ერთ მშვენიერ დღეს არჩევანი უნდა გააკეთო უებველ და მტკნარ სილამაზესა და ძალუმ სიმახინჯეს შორის, რომელზედაც კარგი მომავლის იმედს დაამყარებ.

არაფერს მისცე უპირატესობა, ყველაფერი გიყვარდეს კიდეც და გძულდეს კიდეც — ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს.

ზოგიერთი რამ უმჯობესია წარმოიდგინო, ვიდრე მოწმე-მნახველი გახდე, გინდაც სხვისი უბედურება ან ბედნიერება იყოს ეს.
მაშინ ხომ არაფერი აგაღელვებს.

შენი დროისათვის კი არა, შენთვის განკუთვნილ დროში უნდა წერო.
ვინც იოქვიფება თავის დროში, თავის დროზე ადრე აღესრულება.

ლიტერატურაში არსებობენ ისეთნი, ვისაც „რაღაცა აქვთ სათქმელი“. ამბობენ კიდეც, უმეტესად ძალზე ცუდად.
არსებობენ ისეთნიც, ვისაც „ბევრი რამ არა აქვთ სათქმელი“ და ცხვირს იმტვრევენ კარგად თქმის სურვილით.

თითქმის ყველა დამწყებ ავტორს პატივმოყვრული აზრი ამოძრავებს, შექმნას ისეთი რამ, რაც დროს გაუძლებს.
დრო გადის და, დაუძლურებულნი თითქმის ყველა მათგანი ჩაფერფლილია.

შენ წერ იმისათვის, რომ დაიპყრო საზოგადოება. შენ წერ იმისათვის, რომ შეაცბუნო საზოგადოება. შენ კი, ო, რა თქმა უნდა, წერ იმიტომ, რომ ამაღლდე ყოველგვარ საზოგადოებაზე.
შენდა უნებლიეთ თუკი რამე გამოგივიდა, მაშასადამე, იმ საზოგადოებისათვის გიწერია, რომლის ღირსიც ხარ.

პოეტს, პოეზიას მხოლოდ ერთი მაცოცხლებელი წყარო, მხოლოდ ერთი საიდუმლო და მხოლოდ ერთი წამალი აქვს — გულდაწყვეტილი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, დაკანონებულად ფეხით სიარული უფრო ადვილია, არა?

ხელის ცეცებით მოცოცავს ჩემს ოთახში რიჟრაჟი.

სპილოსთათებიანი საზარელი ღამე.

მწერალი შეძლებისდაგვარად გვერდში უნდა ედგას მკითხველს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს მკითხველად. მწერალმა მხოლოდ ერთი რამ უნდა აღიქვას მკითხველივით, ის თუ როგორ აღიქვა მკითხველმა ავტორისეული ჩანაფიქრი.

მხიბლავს კაცი, რომელიც ამბობს: „რა თქმა უნდა, მეც ხშვისხებრ სულელი ვარ, მეტად კი არა. და როდესაც ვინმე ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებს, იგი ჩემი სისულელის დონეს კი არ მიმედავნებს, არამედ საკუთარი სისულელის სისავსეს ავლენს. ამას არავითარი ფანდი და ხრიკი არ შველის“.

არსებობს საქმის კაცი — ოღონდაც რამე აკეთებინე.
არსებობს შემოქმედი, რომლისათვის უმთავრესია კარგად კეთება.

იდეები და გრძნობები ხანდისხან შეთქმულებივით ხვდებიან ბინდისა და ღამის გასაყარზე.

რაც უფრო მეტ ილუზიას კარგავ, ცხოვრება უფრო ილუზიური გეჩვენება.

თავს დავეკითხე, აუგად რად იხსენებენ ახალგაზრდობის წლებს? იმ წლებს, როდესაც ჯიბე-გახვრეტილს, დროის მეტი არარა გაბადია.

უბედურებაა, ოდეს გაზვიადებული წარმატება ზიზღს არ იწვევს შენში, ხოლო პატარა მარცხი ზედმეტად გადარდებს.

ჩემი მომავალი საუცხოოდ მეხატება, როდესაც თვალდაჭყეტილი ზინრკლში ვიხედები.

ჩვენი დროის ზოგიერთმა მხატვარმა მხოლოდ იმის დამტკიცება მოახერხა, რომ პოეზიას სალებავები გაცილებით მეტ ფასს დაადებდა.

ლექსების წერა ჩემთვის უკიდურესი საშუალება გახლდათ.
ლექსის მეშვეობით მე ვერ ვამბობდი იმას, რისი თქმაც, ვგონებ, შემეძლო ან, რისი თქმაც ძალზე მსურდა.
ხოლო, რაზედაც სათქმელი არაფერი მქონდა და რისი თქმაც სულაც არ მსურდა — მხოლოდ იმის თქმა შევძელი.

საზოგადოებამ რევანში აიღო ხელოვნებაზე!
უწინ მას კარგი ტონის ავტორები უყვარდა, ახლა კი თავხედსა და გაიძვერას ამჯობინებს.

კარგი იქნებოდა სიბერესაც რომ... ჩაევლო.

დამცინავი გონება — პატარა გონებაა. ქილიკი კრიტიკული გონების ნეხვია.

ამჟამად მე ჩრდილის მუსიკა მჭირდება.

რაც დრო გადის, ყველაზე ვარგის და მიღებულ მოაზროვნეებად ითვლებიან ის მოაზროვნენი, ვისაც ჭეშმარიტად ძალუძს სხვის ნააზრევზე ფიქრი. დღესდღეობით ასეთნი არიან წინა პლანზე წამოწეულნი.

არასოდეს ვყოფილვარ ფრთხილი. მეგონა წლებთან ერთად სიფრთხილე მომემატებოდა. მაგრამ მივხვდი, რომ, თუ დაბადებიდანვე არ გამოგყვა სიფრთხილე, ვერაფერი შეგცვლის.

ხელოვნებაში, თუ გინდა უკეთ გაგიგონ, ნაკლებად იხმაურე.

არსებობს ნაწარმოებები, რომლებიც ავტორისათვის კვარცხლბეკად ხდებიან — ეს მართებულიცაა. ავტორი იმისათვის ცდილობს და წერს, რომ გაბედულად ავიდეს ამ კვარცხლბეკზე. მაგრამ არსებობენ ავტორები, რომლებსაც სურთ საკუთარი შემოქმედების კვარცხლბეკად ყოფნა, რათა ნალვაწმა სწრაფად და მსუბუქად იდინოს და არ დაჩრდილოს თვით ავტორი.

უნდა განერიდო ყოველგვარ ნილაბს. პირველ რიგში კი იმას ,რომელიც წარმატებას შეიცავს. მასში ყოველთვის როდია ჩამალული სიკეთე —პირიქით მისი ღალატი მუდამ სდევს დიდ წარმატებას.

თუ არაფერი გჭირდება, იოლად გახვალ, არც ვინმე დაგჭირდება.

კარგი ჩვევები ბავშვობიდანვე უნდა ჩაინერგო. და პირველ რიგში ის, რომ ჩვეულებრივად ჩვევები ხშირად და იოლად სცვალო.

არასოდეს გადადო ხვალისათვის ის სიამოვნება, რასაც საქმის დროზე დამთავრება და მისივე მალე მივიწყება განიჭებს.

ჩვენი მოქმედებანი აშუქებენ ჩვენსავე იდეებს, ხოლო ჩვენი იდეები არ აშუქებენ ჩვენს მოქმედებებს.

მარტივი და უბრალო შეცდომა. როდესაც ადამიანი შესტირის ღმერთს, ამბობს — ღმერ-

თი მელაპარაკებაო. ხოლო, როდესაც ადამიანს არაფერი აქვს სათქმელი, ამბობს — ღმერთი სდუმსო.

ძალზე თუ ჩაეჭიდე შენს იდეას, ორთავე დამონებული ხართ. ისაა შენზე ჩაბღაუჭებული. ასე რომ გიყვარს ეგ შენი იდეა, გაგვეგო მაინც საით გაგაქანებდა?

ჩემში ორივე ბუდობს — მისტრალის სიშმაგე და წყნარი შტილის ნინაზე.

გენიოსმა გამოიგონა რიცხვი. ჩემთვის უაზროა ყოველგვარი რიცხვი. ის მაწუხებს და მღლის. ამოხსნა, ახსნა... მე უფრო ბუნებას ვეტრფი, ამოუხსნელს.

პოეტები წინასწარმეტყველნი როდი არიან. როგორც წესი, ისინი მკვეთრად ვერ შეიგრძნობენ აწმყოს და არ შესწევთ ძალა ღრმად გაიდგან ფესვები მასში. მხოლოდ ხანდახან ეწვევათ ეს იშვიათი უნარი წარსულისადმი, იმისადმი, რასაც შემდგომშიც ექნება ძალა ღირებულად წარმოჩნდეს. პოეტები მომავლისათვის არაფერს წინასწარმეტყველებენ, მაგრამ ზოგჯერ აწმყოში გრძნობენ იმას, რაც სხვისთვის მხოლოდ შემდგომში ხდება ნათელი.

აუცილებლობა მარტოოდენ აუცილებელს შობს.

ჯერ ვცოცხლობ — შემდგომ კი ალბათ ვწერ. მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები და ვგრძნობ, რომ წერისას ვცოცხლობ.

მზის აჩრდილი, მთვარე თეთრი საფარველით, დღენის და მოსვენებას არ აძლევს ღამეს.

ადამიანის ყველაზე არაადამიანური იმიტაციაა მანქანა.

ტალანტს შეუძლია საკუთრივ გაითავისოს ყოველივე და საკუთარი ყალიბი მიუჩინოს. გენიოსი კი ამ ყალიბს ზეცისაკენ უცვლის გეზს.

ალალმართლობა უპირველესად!

როდესაც ყოველივე ცუდად, ძალზე ცუდად მიგდის, წარმოიდგინე თითქოს მკვდარი ხარ. ნელინელ ამ მდგომარეობას მიეჩვევი და დაგეუფლება ისეთი სიამე, რომელიც აღდგომას მოასწავებს.

სიკვდილი ალბათ სიყვარულივით მხოლოდ ერთხელ მოდის.

პოეზია უხილავში არსებობს; იმაში — რაიც გვაკლია, რისკენაც მივილტვით, რაც არ ვართ ან როგორიებადაც და რადაც გვსურს ყოფნა.

პოეზია ქრება სინამდვილესთან კონტაქტში, ვით ჩრდილი კაშკაშა მზის შუქზე.

არსებული სინამდვილე მკვლელია პოეზიის, სინამდვილე უხილავი — მისი მაცოცხლებელი წყაროა.

სიმბოლისტებმა ყოველდღიური ლაქლაქით გააუფასურეს და შეგვაზიზღეს სული.

დღეს პოეზიასაც იგივე ხვედრი ემუქრება. იქამდე მივა, რომ ვერც კი ახსნიან, თუ რა ცნებაა იგი.

აბა ამაზე უარესი რაღა იქნება, თუკი სიტყვა „პოეზიას“ ყველაზე ბანალურს და უგერგილო ნაწარმოებებს უსადაგებენ.

ეი, თქვენ, ჩაკეტილი ოთახების პოეტნო და მუსიკოსნო! თქვენც, მეროიკული სულისკვეთების მქონენო! ერთი მითხარით, რით განასხვავებთ ბახსა და ვაგნერს? ვის მიანიჭებთ მეტ სიდიადეს?

არსებობენ ერთობ სასაცილო ადამიანები. ერთ მშვენიერ დღეს ისინი კარგავენ საკუთარ სახეს, და მთელი თავისი სიცოცხლე ნიღაბს ატარებენ; მერე და მერე ისე შეეჩვევიან, ვერც კი ამჩნევენ ნიღაბქვეშ რომ აღმოხდებათ სული.

იმ ადამიანისთვის, რომელიც მოვალეობის გრძნობით არის შეპყრობილი, შესაძლოა, წერა ზოგჯერ ერთადერთი საშუალებაა საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად. სხვისთვის, შესაძლოა, წერა მხოლოდ მიდრეკილებაა თუ სიამოვნება. ყოველ შემთხვევაში, წერის ფუნქცია, რაც ოდესღაც იშვიათი და მეტწილად საეჭვო და ნორმას გადაცილებული საქმიანობა გახლდათ, დღეს ისერიგად ბანალური გახდა, რომ მან უწყინარი ავადმყოფობის მეტად ლოკალური ფორმა მიიღო.

პოეზია ფასეულობათა გადახალისებაა. გადახალისების გარეშე საგნები ფერმკრთალდებიან და სიტყვები უბრალო ნიშნებად რჩებიან, ამოქმედების მოლოდინში. მხოლოდ ამ მაგიური მოქმედების ნიჭით დაჯილდოებულს შეიძლება ეწოდოს პოეტი. აქედანაა ჭეშმარიტ პოეტთა მცირერიცხოვნება.

საგანი ან სიტყვა თავისთავად პოეტური როდია. სიტყვა ან ნატიფია, ან უხეში — პოეტური კი არასოდეს. არც ერთი საგანი თუ სიტყვა პოეზიის, როგორც ასეთის, პატარა ნაწილაკსაც კი არ შეიცავს.

ყოველივე ეს პოეტის გონებასა და გულშია გამჯდარი. მხედველობაში გვაქვს ნაღდი პოეტი, რომელიც სიტყვის მეშვეობით, სიტყვის ძალითაა პოეტი. ყოველივე უძრავადაა, სანამ გონება არ ჩაერევა. სამყარო უკვე შეცვლილია — კლიტე გადატრიალდება მაშინაც კი, როდესაც პოეტი ვერ ახვედრებს გასაღებს საკეტის ხვრელში. სწორედ ამ კარით უნდა გავიდნენ საგნები —ერთი ფასეულობათა სამყაროდან მეორეში და ისე უნდა დაეფინონ ერთმანეთს, როგორც გემი საკუთარ ანარეკლს.

მაგრამ ჩვენ იმის პრეტენზია არ გვაქვს, მოვიხელთოთ ანარეკლი, ისე ვით გემი.

გიყვარდეს ბედნიერება, მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერება ნიშნავს უძვლო ქათმის, უფხო თევზის და უეკლო ვარდის სიყვარულს.

თუ გინდა შეინარჩუნო კბილები და გაიმაგრო ყბები, დროდადრო მათ სახრავად მაგარი რამეები უნდა მისცე. აი, რა აკლია სიცოცხლეს, რათა იგი ისეთად გიყვარდეს, როგორიცაა იგი სინამდვილეში.

ნაწარმოები დასრულებულია მაშინ, როდესაც ავტორი გრძნობს, რომ მეტს ვერაფერს მიამატებს მას, ხელის ხლებით ყოველივეს გააფუჭებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტი აღარ შეუძლია ავტორს, რომ იგი დაიღალა, გამოიფიტა და დამარცხდა. ნაწარმოებმა დაამარცხა. მას არც ძალი და არც შესაძლებლობა აქვს ნაწარმოების სრულყოფისათვის. მაშასადამე ავტორი და ნაწარმოები გაემიჯნენ ერთიმეორეს.

მაგრამ რამდენიმე თვის თუ წლის შემდეგ, ავტორი ცივი გონებით კვლავ უბრუნდება ნაწარმოებს. ამჯერად იგი მეტ ძალას გრძნობს, რათა ნაწარმოებს დასახვეწად კვლავ შეეჭიდოს, ერთი ხელის მოსმით სურს ახალი ღირსებები შემატოს მას.

ავტორს ჰგონია, რომ მან იცის, თუ რა ნაკლი აქვს ნაწარმოებს, თუ რად შეეძლო წარსულში ყოფილიყო იგი, ან თუ როგორი იქნება იგი მომავალში.

საოცარი მირაჟი!

ეს ჩანაწერები, ოცდაათი წლის მანძილზე რომ ვაწარმოებ სიმყუდროვეში, რომელსაც თავიდანვე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, შეუფასებელ განძად და ჩემი აზრის სიცოცხლისუნარიანობის მოწმედ იქცა მათი მეშვეობით, რომლებსაც კვლავ და კვლავ ვუბრუნდები, დავრწმუნდი, რომ არჩეული გზისთვის არ მიღალატნია და ამაოდ არ დავშვრალვარ. მთელი ჩემი სიცოცხლე ადამიანებთან და საგნებთან ურთიერთობაში გავატარე. და რადგანაც ამ ჩანაწერების არსებობა აზრადაც არავის მოუვიდოდა, მეგონა ისინი ხელშეუხებლად დარჩებოდნენ, მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდგომ იქნებოდნენ აღმოჩენილნი და გამოქვეყნებულნი.

ხშირად ხდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთის კითხვისას ჩემს მიერ ადრე გამონათქვამ აზრებს თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებულს წავაწყდები ხოლმე. ამ დროს ისეთი გრძნობა მეუფლება, როგორც იმ ძუნწს, რომელმაც შეიტყო, რომ მოხერხებულმა მფლანგველებმა მის საგანძურს მიაგნეს და უმოწყალოდ დაუწყეს ფლანგვა.

# არმენ შეკოიანი

(გამარჯვების ორმოცი წლისთავი)
(სომხეთი)

## ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მზია ხეთაგურმა

### ჩემს ქართველ მეგობარ ბახვას, რომელსაც განშორებისას მისამართი ვერ დავუტოვე

გულმავიწყობა უნებლიე, გთხოვ — მომიტევე!
ახლა საით ხარ, ხომ გწყურია შენც ჩემი ნახვა?
განშორებისას მისამართიც ვერ დაგიტოვე,
ჩემო ქართველო მეგობარო, ძვირფასო ბახვა!

რა დამავიწყებს შენს ვაჟკაცურ გულსა და ღიმილს
და სურვილს ჩვენსას — ერთმანეთის მხარდამხარ გვევლო,
ღრუბლიან დღესაც განათებდა მზისფერი სხივი
და თავად ჰგავდი ამღერებულ შენს საქართველოს.

გთხოვ მაპატიო, ჩემო ძმაო, გთხოვ მაპატიო, —
ვერ დაგიტოვე მისამართი, არც შენი მახსოვს...
იმ განშორების მძიმე წუთებს რა დამავიწყებს,
ახლაც, რომ ვფიქრობ, — მღელვარების მარწუხი მახრჩობს.

რომ არ გვენახა ერთმანეთის ორივეს ცრემლი, —
ორივემ სწრაფად მივაბრუნეთ გვერდზე თავები,
სწორედ ამიტომ დაგვავიწყდა გაკრული ხელით
ფურცლის ნაგლეჯზე დატოვება მისამართების.

გვეცვა ჩექმა და ჯარისკაცის გვეხურა ქუდი,...
იქნებ ვერ გიცნო, შენც ვერ მიცნო, რომ შევხვდეთ ახლა...
გნატრობ და ჩემს ბედს მაინც გულწრფელ მადლობას ვუხდი,
რომ ჯარში შენთან მომახვედრა, ძვირფასო ბახვა!

შენ მაპატიე, მეგობარო, შენ მაპატიე,
რომ მისამართი ვერ მოგეცი განშორებისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ხანი გადის, შენი ძმობა უფრო ვირწმუნე,
და თუ შეხვედრა ერთმანეთთან კიდევ გვეღირსა, —

მაშინვე გეტყვი: — მაპატიე, ო, მაპატიე,
ვარ დამნაშავე — ვერ მოგწერე ციცქნა ბარათიც,
დღე და ღამ ვწუხვარ, რომ ბოლო წუთს ვერ დაგიტოვე
ფურცლის ნაგლეჯზე ჩემი სუნთქვა და მისამართი...

ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ძმები ვართ, ჯარშიც
ორივე ერთად, ერთ რიცხვში და ერთ დღეს მოვედით,
ვიცოდით, ერთ დღეს ვბრუნდებოდით საკუთარ სახლში,
რომ შენსას ერქვა საქართველო, ჩემსას — სომხეთი!

□

# ჰელმუტ ჰაისენბიუტელი

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა ბესიკ ადეიშვილმა

### ნული საათი ალსტერის სანაპიროსი

სრულად-ფათერაკ-შელევნილი განძრცვილობა ბძურგერის-სარგო-ძილის
ჟამისა.
გაზის ფარანთა შუა დატმასნილი — ესე არს ღამე.
ავტომობილი ერთადერთი მოყუდრე ღამის მიმოიბნევს რადიოჰანგებს.

რეკს საათი. წვეთი და წვეთი ნახმევი მისი.
შუაღამის ფშვინვის უსაზმნო ჩქამთა კვალად უბნობს სანაოს მრუმე
დაკორძილი ენა.
ლომბარდის ხიდის შორებელი ნათლის ძელსკამი ერთის წამით აღმოიტყვის
ტრამვაის დგანდგარს,
დრო სიღრუვეა დუმილისა,
ღრუბელთა სპეტაკ გისოსებს შუა აკიაფდა კასიოპეა·

სევდა ნამყოსი სანახია ესევითარი.
შეიფორხილებს ლტოლვა მიმხლტომი.
ღიმი მისი წარკვდომილი ფერმიხდილობის განფენილ ნიღაბს შემომაგებებს
შორევიდან.

(1951)

---

კასიოპეა — ვარსკვლავეთის ჩრდილო ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი. ხუთეული ყოვლის უმეტს მთებარე ვარსკვლავებისა — გაწელილი დუბლ-ვეს მსგავსად განრიგებული — საშუალო ევროპულ განედებში კასიოპეას თანავარსკვლავედი ზეცაზე ჩინობს წელიწადი-თორმეტი თვე ირმის ნახტომის განფენის შიგნით. მითოლოგიურად იგი მეუღლეა ეთიოპელი მეფის კეფეოსისა; დედა ანდრომედასი — სექტემბერ-ნოემბრის დაუვალი ვარსკვლავი.

დედნის პუნქტუაცია დანარჩუნებულია შეძლებისამებრ.

## კომბინაცია II

1.

მრუმე.

2.

### ნაშუადღევს გულისძილიდან აყოლილი მოგონება

მღვიძარე დეტალი.
ძელსკამის ჩრდილი გახლტომილი სპეტაკ სილაში ჩაიბნევა.
მრუმე სახურავი.
ეული ტრედის გაუძრველი განაკვთულობა.
შლაგერის ჰანგი (სტრიქონები ძილისპირული).
თეძოს შიგამხრივ თბილი და თბილი მშვინვა კანისა.

3.

პიკასოსეულ ნატურმორტთა
წყნარი კილო
მესმა უეცრივ.
ნაღვლიანობა ჩრდილთა ფერადთა.
მოყვითანო-ლიმონისფერი, მოწითანო-იისფერი და, მრეში ფერი და,
ლურჯფიქალი.

4.

დასხლეტილი არარაობას
დასხლეტილი ნასადილევზე სიგლუვის ჟამს გამოზაფხულის შუქთაფენობას
ხატი ეგე მერე და მერე
უხსოვნელად ჩავლილ წვრილმანთა
ლეგა ხახას დაენთქმება.
ქანდაკი მკვიდრი.

5.

### ნაშუადღევს გულისძილიდან აყოლილი კაეშანი

ესე-განათუ სინამდვილე, ესე არს ჩრდილი
და, გარდმომავლის სინათლისა დასაბამობა
კვალად შთება მიუწვდომელი.

(1952).

## პამფლეტი X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცინცხალ მოხატული მოცინარი სახეები, სათითაოდ მოხატული,
ბრუნვა ამა სოფლისა
მოცინარი სახეები სათითაოდ იმოსავენ ახალუხლებ შესამოსელს
დასტური მსოფლჲური სიკმარისა
იჩემებს ხალხი დადებითობას
ყოვლისგამრიგე სავაჭროებს დაივლის მერმე
გაითავისთანებს ახალსამოსელს, სალუქს, იეფად შემოპირებულს
მიმომცინარე სახეები ერთ-სახედვე მიიქცევიან

(1954).

## ლექსი სარკმლისა

ალევსება ბეღურების კილოს ცალიერი სწორკუთხედი — განთიადი.
ბეღურების კილო — ცის გადამართ მიმოძრავი მეტრი და მეტრი
მუსიკად-ქმნილი.

მეყურება კილო ბეღურების.
ბეღურების კილომ გაიიდუმალა უწინდელი ბალღის წილი დილა უწინდელი.
უხსოვარი ბალღის წილი დილა უხსოვარი.
მეტრი და მეტრი მიმოძრავი — გახსენება დავიწყებულის, რაიც შთენილა.

(1953).

## ტავტოლოგიზმები

ჩრდილი რომელი გახლტა ჩემგნივ არს ჩრდილი ჩემგნით გახლტომილი
მდგომარება რომელს დავადეგ არს მდგომარება დავადეგ რომელს
მდგომარება რომელს დავადეგ არის დასტური და, არის არა
სიტუაცია. სიტუაცია ჩემი. სიტუაცია განგებისი.

მწკრივნი მწკრივთანი გარდამოდიან სივრცეთა ცალიერთა
მწკრივნი მწკრივთანი გარდამოდიან ფერთა წმიდათა
მწკრივნი მწკრივთანი გარდამოდიან ჩრდილს რომელი გახლტა ჩემგნითვე

ჩრდილი რომელი გახლტა ჩემგნივ არს ჩრდილი ჩემგნით გახლტომილი
მწკრივნი მწკრივთანი გარდამოდიან ჩრდილს რომელი გახლტა ჩემგნივ
და,
განიმქვრევიან.

(წიგნიდან „ლიბრეტო")

## ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფრანკონიული ალუბლის ბაღი იანვრის თვეში

1.

რაც აქამომდე იყო ხე, იყო შტო, იყო სხტე, იყო ხერგული —
თოვლის-მიერ გაცრცნილ ჰაერში
ნამლევი ესე ნაკვალევი, ტუშით მოსმული,
ვით სიტყვა ერთი ფურცელზედან დაჩნეული,
ვეებერთელა ემაგ სითეთრეს დაენთქმება.
აეხატება სრულიადმცირე მშვენება იგი განტოტვილი
თეთრსა ცასა; მალალთითება, იგი,
თითქმისდა უხსოვნელი, თითქმისდა სუსხი უიოლესი,

დროჟამს თითქმისდა განრინებული;
თითქმისდა ასე: არც ზეითური, არც ქვეითური, თვალთმიუკვლევი
წირი მქრქალი, ცას და გორმახებს გაკიდული,
სულ ოდნავ თეთრი, ისევე თეთრში ჩატეული,
თითქმის არარა —

2.

მყოფობს მაინც,
ვიდრე ფურცელი ესე, ალაგი ესე, წამი ესე
სულმთლად თეთრად მოიქცეოდეს.
ფეთება იგი ფერთა მცირეთა,
ძნელგანსაჭვრეტი, ჩინობს მაინც ისევ და ისევ:
მწირზემწირთა ესრეთ წინწკალთა სპა ურაცხავი,
თუთიისფრად, ტყვიისფრად; ცარცისებრ,
ანდა თაბაშირისებრ, რძისებრ თეთრი; გადაპენტილი, ობისფეფი, —
თვითეული განცალკევებით,
აგრერიგად მრავალხმიერად, ნათლად აგრერიგ დაწინწკლული
სასიკვდილო დღესასწაული ნაკვალევთა,
კონა და კონა კნინი სითეთრე ილალადებს
მძლეთამძლეობას ზანტი მთქნარებით დავანებული მარადისობის.

3.

თითქმისდა ასე: არარასა და არარას შუა
ძალიანდება და, თეთრად ჰყვავის ხეჲ ალუბლის.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ადეიშვილი

# გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის კრიტიკულ-ინფორმაციული ანალიზი

## მეთოდოლოგიური ნაწილი

გერმანულენოვანი თანამედროვე პოეზიის მიმომხილველს უპირველესად მოეთხოვება: ალღო გამორჩევისა, მონიშვნისა, გადამიჯნვისა. რამეთუ ეს არის „ძნიად მოსახილველი" მოზაიკა, სად ყოველი კენჭი გამორჩეული და ნიშნადია. ზღვრეში, ზღვრები და ზღვრები: გეოგრაფიული, ეთნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ყოველი მათგანი გასათვალისწინებელი). მეორე სიძნელე: ერთდაგვარი „ილუზიური" დაუძლევლობა, პოლიტიკური status quo (რაიც აღუდგება ხოლმე პოეტური სუბსტრატის მთლიან გაგებას). ესე ყოველი გარკვეული ნაკლულების დაღს აჩნევს როგორც აღმოსავლეთგერმანულ ასევე დასავლეთგერმანულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას.

1964 წლის დეკემბერი. ლიტერატორთა ინტერნაციონალური კოლოქვიუმი ოდერის ფრანკფურტში. თემა: გათიშულ გერმანულენოვან სამყაროში მიმდინარე ლიტერატურული პროცესი; გერმანული ლიტერატურის ინტერნაციონალური რეზონანსი; ტრადიცია და ლიტერატურული პოლიტიკა. კოლოქვიუმმა აღნიშნა: ძირი ნაკლი გერმანული ლიტერატურისა (გდრ-ის მასშტაბი) — კარჩაკეტილობა (თავისთავში ჩაკეტვა). ნაკლებ მოდერნულობა, ცალმხრივი ინფორმაცია უცხოეთის ქვეყნებში აღჩენილ მიმართულება-მიმდინარეობათა შესახებ, თვალსაწიერის მოზღუდვა და შედეგად ყოვლისა — დახშული ინტერნაციონალური გამოძახილი; მოდერნიზმის გაუბრალოებული, ლოზუნგური ინტერპრეტაცია. განსხვავებულ ცნებათა და კონცეფციათა ერთ ქვაბში ხარშვა — დეფინიციის უქონლობა (ვოლფგანგ იოჰო). ევონ ნაგანოვსკის კონსტატაცია: ეს ფაქტია, გერმანული ლიტერატურა მონოლითი აღარ არის (გულდასაწყვეტი ფაქტი). მაგრამ რაიმეს შეფასებისას ესეც უნდა გვახსოვდეს: ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ლიტერატურა (განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საფუძვლებზე), ორივე ლიტერატურის განმკვიდრებაში ესთეტიური ფაქტორის წილხვედრიც ცხადი უნდა იყოსო. ორივე ქვეყნის ლიტერატურა თავ-თავის ესთეტიურ კონცეფციას იცავს დღემდეო. მაგალითად: გერმანული კლასიკური მოდერნისტული ლიტერატურის ტრადიცია აღმოსავლეთში საერთოდ არ განვითარებულა (ეს კი მნიშვნელოვანი მონაპოვარიაო). მივიწყებულია ინტერნაციონალური პროზის მიღწევაც (ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, ფ. კაფკა) — მეტადრე კაფკა — მოდერნული რომანის მამა. ასევე ნაკლებ განქვეყნდა თქვენში რ. მუზილის, ჰ. ბროხის შემოქმედება (რითაც მწერალთა ახალთაობას ლიტერტურული ვარჯიშის საშუალება წაერთვაო). ნაცისტური ჟამიანობის დამხობის შემდგომ დასავლეთ გერმანულმა მწერლობამ კვლავ აღიდგინა მსოფლიო ლიტერატურასთან შერწყმის დიდი ტრადიცია, აღმოსავლეთი ამ მხრივ ვალში დარჩაო (ზემორეჩამოთვლილ კლასიკოს მოდერნისტთა ხელდასხმულნი არიან დიდი ტალანტები: დოს პასოსი, ვირჯინია ვულფი, უ. ფოლკნერიო). სტ. ჰერმლინის განცხადება: დასავლური ლიტერატურის ანალიზირებისას მოსანიშნია ცხადლივი მიჯნები: სურრეალიზმი, ექსპრესიონიზმი, დადაიზმი — წარსული მოდერნიზმისა, ხოლო დღეისა: მოდერნიზმი და აბსტრაქციონიზმი. კაფკა დიდოსტატია, მისი მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ, თუმცაღა 1928 წელს, როცა მისი გლორია კიოლნს, პრაღას, ბერლინსა და ვენას არ გასცდენოდა, წაკითხული მქონდა მისი თხზულებებიო. კაფკა დიდი შემოქმედია. მისი ქმნილებანი მაძრწუნებელი ტკივილიდან არიან წარმომდგარნი) — ახალგაზრდობა მისი ნაწერებით უნდა იწვრთობოდესო. NDL 8, 1965) ინტერნ. კოლოქვიუმის ეს მასალა 60-იანი წლების ლიტერატურულ განწყობას მიგვანიშნებს იმავდროულად.

კიდევ არის სიძნელეები: ყოველ ლიტერატურას ეგულვება თავისთავშივე დაფარული მკვებავი წყაროები (სინედლე და წვენი თვისი) —

აქ მოსაზღვრე და შორი ხალხის წიაღიდან გადმოსული კეთილისმყოფელი გავლენა იგულისხმება, რაიც ზოგჯერ საკუთრივ ძირად შემოიჭცევა ლამის (მეტადრე ევროპულ კონტინენტზე) — რომელ ათწლეულში რომელი წყარო იხვევს პრიმატს ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურულ ნიადაგზე — უცხო თვალისთვის ამის გასიგრძეგანება არცთუ იოლია (იქნებ შესაძლებელიცაა, მაგრამ იმა ბუნებრივ გარემოშივე უნდა იხილო პროცესი საზრდოობისა). ეს ერთი; მეორე: გერმანულენოვანი გვარ-ტომის თვითეულ განშტოებას დღემდე არ დაუთმია თავისებურება (თავისთავადობა უფრო სწორედ), მკაფიო იერი. ავსტრიული ლიტერატურა ჰერმეტიულია მეტწილად. [აქო დღემდე დაობენ კიდეც ავსტრიული გამორჩეულობისა გამო. ჯერ კიდევ მ. ჰოფმანსტალის მოღვაწეობამ წარმოაჩინა ავსტრიული ფაქტორი]. შვეიცარიული მწერლობა სულ სხვაფრივ არის მოდიფიცირებული: უცნაური თავისუფლება წარმოსახვისა, ერთგვარ რაციონალურობასთან შერწყმულ-შეთანაზრებული [გ. კელერი; აწინდელნი: მ. ფრიში, ფ. დიურენმატი]. სამოციანმა წლებმა მხოლო პიროვნების წამოწევასთან ერთად ერთხელაც წამოსწია და განამტკიცა ცალკეულ სახელმწიფოთა კერძოობა და თავისთავადობა (ამოზიდა შიგა პრობლემების წყება) — ჰოლოგრამა მეტად რთული და მიქცევადი შეიქმნა. მაინც კი, თავ-თავიანთი გზით მიმავალი შენაკადები შეუმჩნევლად ედევნებიან დაფარულ, ერთიან სულისხმევას ღიდი მდინარის დელტისაკენ. ნიშანდობლივია [ემიგრაციიდან ჩამობრუნებული გერმანელი პოეტი ქალის ჰილდე დომინის გამონათქვამი (მსოფლიო მოუვლია; დედანში უკითხავს უნგარეტი, ალბერტი, ესპანურენოვანი პოეტები): აღმოსავლეთ-დასავლეთელი გერმანელი ლირიკოსები ერთი ენით მეტყველებენ და ზღუდე-გალავანი მათ შორის არა სდგასო. ეს გრძნობით ხმეული სიტყვებია იმ ქალისა, რომელმან უწოდა თავს „გზად მიმავალი." ის ვინც იწვნია: „განუშორები ექსორია (თანამდევარი შენი მარადი) დახვეულია ლაბირინთი, გახაძვრომელი" — „მებაღე მიხმობს) მიწის საფარში გამზადილი ყვავილები ლურჯად ჭვივიან". „ძირი განცდა დღევანდელობისა — უიმედობა, მარტო-სულს რომ გარემოიცვავს, ხოლო მარტოსული იგი იდეოლოგიისა თუ უტოპიის ნუგეშინს მიენდოს უნდა, მეტი რა ჩარა აქვს".

მოდერნისტები არიან დასავლეთში და არიან აღმოსავლეთშიც [კლასიკური მოდერნიზმის ტრადიციას ორივ მხარეში მოეძევება განმგრძობი და ახალი თვისებით შემმოსველი]. ესეც გამაერთიანებელი შიგა ფაქტორია. სამაგალითოდ მოვიტანთ ცნობილი აღმოსავლეთელი მკვლევარის ჰ. რიხტერის რეცენზია-წერილს პაულ ვინსისადმი 1978 წ. გამოცემული მისი კრებულის თაობაზე. კრებულის სახელწოდება — „ოთხი ხაზი ჩემი ხელისგულისა". ვინსი — აღმოსავლეთ გერმანიის ერთ-ერთი უსაჩინოესი პოეტი. ჰ. რიხტერი უწოდებს მას „ლექსთხუროთმოძღვარს". სიტყვა სტრიქონს თანხვდება სრულად, არა გარეგნულად, არამედ მთელის დამტევნელობით. კითხვა: მერედა ვინ იყო თქვენი დამმოძღვრელი — თურმე სტ. გეორგე — მოდერნიზმის ბურჯი. ახლა, როგორლა მოხდა სუბლიმაცია ან არა და ტრანსფორმაცია? საკვირველია, ღმერთმანი, ეტყვის კრიტიკოსი, თქვენ, პაულ ვინს, ირონიის, მახვილი სიტყვის ოსტატი, ჰუმორზე მწყრალი კაცის, ამ მზვაობარი გენიის შეგირდად როგორ იქეცით? გეორგეს პონტიფიკური ზეობა დინჯ და ამავ დროს მახალისებელ თამაშად გარდაუსახავს ვინსის ნიჭიერებას (თამაში სიდინჯესიმხიარულისა. შენიღბვა. თამაში-მალვა) — საგულისხმო ფაქტი ტრადიციის შენახვის და გაახლებისა. კრებულის საუკეთესო ლექსია „შეხვედრა" (ი. ბეხერისადმი მიძღვნილი). ბეხერისავე ეპიგრაფი უზის: „აქედანვე მსურს შეგაგონოთ: როს არ ვიქნები,

ტყუილუბრალოდ ნუ დაძებნით ძველთაგან
ნაჩვევ ჩემს საცხოვრისს,
აზრს ცხოვრებისას დასძებნიდეთ, რამეთუ მისი
წიაღისკენ წარვემართევი".

ვინსის ლექსი თავისებურად განმარტავს ბეხერის ნიშანდობლივ კონცეფციას Dasein-ისას [არსებობისას]. მიეშურება აწინდელი პოეტი უწინდელის შესახვედრად [კიდეც სულეთისაკენ ნამცნევი მგზავრობაა ეგე და კიდეც არა] — ეს ახალი სულისკვეთებაა, აღმოსავლეთ გერმანულ პოეზიაში დანერგილი (იმავ ბეხერის, ლ. ფიურნბერგის, გ. მაურერის შემოქმედების წყალობით). სამარის ლოდს გადასწევს, ბალახის ფესვებს ჩაეძიება... წააწყდება კი სათვალის ნამტვრევს. მერმე ჰანგთა ქვეყანაა [დედისეული ბაღის გულში მღერისხო ეგებ. ან იქნებ ხალხით აზრიალებულ ქუჩებს მიჰყვება. გარემომბერავს რომელთ სული... მერმე კიდევ გაკრისტალებულ სტრიქონებს გადაუფრენს აზიდული აფრებით და მიეტანება სილაჟვარდეს, მისივ საბრძანებელ მდელოთა მწვანეს დაუმუხლებს... სამეფოში მბრძანებლის კვალი არ ჩანს და უცებ: „ქუჩის კუთხეში დაყურსული ქარიფანტია დამილანდავს ჟამიდანჟამ, პოეტური განზრახულობით ზურგსუკან იგრე შურდული რომ დაუმალია, წყვილებისა თუ ღამის დარაჯის დასაფრთხობად

— მშვენიერის და ჭეშმარიტის არსი ჯერეთ არ
უცვნია,
რაღა თქმა უნდა,
წითურთმიანი ჭაბუკია,
უთენია მისი მჭვრეტელი ვფიქრობ ნიადაგ:
სად მინახავს ნეტავი — ერთი.
ხშირად ისიც მიყურებია,
ნაღმით დაბზარულ სანგრის ხერხემალს
ვაგლახად როგორ მიებღოტება,
ლამის არი, გადმოეკიდოს.
ჯიუტად აგრე გამობურცავს მერმე ქვედატუჩს,
გაიბუტება და მომავლისაკენ იქცევს პირსა...“

[ერთგვარი მითიურობით იმოსება გარდასხული პოეტის სახე]. საგულისხმო ლექსებია: „ქება როკვის ხელოვნებისა“, „ცვალება ნივთიერისა“ [მ. ბოსხს რომ ეძღვნება, ანუ უკეთ ბოსხისეული მოტივის მომარჯვებაა]. წიგნი გაფორმებულია ავტორის მიერვე (შავ-თეთრი გრაფიკა).* აქვე გვინდა მეთოდოლოგიური ხაზრისით მოვიშველიოთ კონკრეტული პოეზიის იდეოლოგის ჰელმუტ ჰაისენბაუტელის ერთი წერილი (აპრილი 1966-ისა: არცა რა გერმანული ლიტერატურა არს): საუკუნის წინ გერმანულენოვანი სამყარო თუმცაღა მთლიანობა არ ყოფილა, ერთიანი ფონი მაინც ჩინობდაო. ახლანდელ დროში ცალკ-ცალკე მწერლებზე უნდა ილაპარაკო, ერთიანი გერმანული ლიტერატურა არ ჩანს. ის ცალკეული მწერლებიც იმ ძველებს ვერ გაეტოლებიანო — იტყვის რუდოლფ ვალტერ ლეონჰარდტი, გერმანული მოდერნისტული მწერლობის მიმომხილველი. ჰაისენბაუტელი არ ეთანხმება რ. ვ. ლეონჰარდტს. გერმანულ სინამდვილეს არც „ბიტნიკები“ წარმოუჩენია, არც „დაკარგულთა თაობა“, არც სიურრეალიზმის ანდა „ახალი რომანის“ მიმდევარნი გვყოლიან მაინცადამაინც, ისიც შეიძლება ითქვას, პლანეტური, ნიშნადი ფიგურა ამ ბოლოს სწორედაც არ წარმოგვვლენია, უკანასკნელი ფენომენი ბრეხტი გახლდათო — და არც 47-ის ჯგუფი გვესახვის მოქმედ ინსტიტუციად, ეს ერთი დებატური კლუბია (თავისუფალი არჩევანის, თანადგომა-უკუდგომის პრინციპით შეკრებილი). რაიმე თეორიულ საკვებს ევროპას იგი ვერა და ვერ მიაწვდისო — ეგ უბრალოდ საყრდენი წერტილია ტრადიციის განსაგრძელებლად, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიმართულებათა სადისკუსიო საკრებულოა, რომელს გერმანია მთელი 40 წელი მოკლებული იყოო, ასე რომ, 47-ის ჯგუფი გამაერთიანებელი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ სახელები გერმანიაში მაინც მოიძებნება (იქნება მსოფლიო სახელებიც კიო) — ჰიერარქიული განრიგება სახელებისა როდია თავი და თავი, ახალი თ. მანის გამოჩენაც არაა საჭირო, ანდა ბესტსელერების ერთიმეორის მიყოლებით გამოგდება ბაზარზე, მწერლის ღირსება როდი არი, ამდღევანდელი მსოფლიოს სათქმელის მხატვრულ გაცხადებას მიაპყრონ გულისყური. საბოლოო დასკვნა ისევ უარყოფაა, მიღწევათა მიუხედავად. ასეა მაინც: გერმანულენოვანი ერთიანი ლიტერატურა არ არსებობს. მაშ რა არსებობს? — არსებობს მოდერნული ლირიკის ევოლუცია, რომლის ხარბიელია ფრანგული, ანგლო-ამერიკული, რუსული, იტალიური თუ ესპანური ენები და გერმანულიც ამდენადვე. ეს ინტერნაციონალური მასშტაბი ჰაისენბაუტელის საზრისისა სწორედ რომ ყურადსაღებია [და მრავლისამხსნელიც]. ეს გოეთესეული მსოფლიო ლიტერატურის იდეის ერთგვარ განხორციელებასაც მიგვანიშნებს [დასავლეთგერმანული თანამედროვე ლიტერატურისა თუ მთელი ევროპული ლიტერატურის წიაღში]. საყრდენი ყოველი ეროვნული ლიტერატურისა დღესდღეობით ამ იდეის არსობრივი, სინთეტური მიღება და განმკვიდრებაა. — კარჩაკეტილობის დაძლევა და გადარჩენაც ეგ არის. ერთიანი ევროპული სულისკვეთების ერთგული გახლდათ და კიდეც არის ომისშემდგომ წარმოჩენილი დიდი საკრებულო ტალანტებისა, 47-ის ჯგუფი (ასე იხსენიებენ მას კრიტიკოსები თუ მიმომხილველები). ამა გერმანელ შემოქმედთა დღევანდელი მსოფლიო რეზონანსი უბადლოა მეოცე საუკუნისჟამინდელი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიაში. თავისი პროდუქციით ეგ თაობა ვერც გაუტოლდება პირველი მსოფლიო ომის აქეთ-იქითა მიჯნებზე მდგართა შემოქმედებას, მაგრამ 47-იანელთა მიერ აღსრულებული შიგაკულტურული ინტეგრირება [გარეგანი, პოლიტიკური ინტეგრირების საპირისპირო, ევროპული და იქნებ მსოფლიო მასშტაბისაც] მართლაც ტოლდაუდებელია.

დღევანდელი მოდერნიზმი სულაც არ არის ერთფერი, იგი დიფერენციაციისა და ინდივიდუალიზაციის პროცესია (არაერთი მწერალი და ხელოვანი წარმოაჩინა მან დასავლეთ-აღმოსავლეთში, ავსტრიასა და შვეიცარიაში). მსოფლიო ლიტერატურის იდეის აზჯართმტვირთველი დღესდღეობით მაინც მოდერნიზმია. თავის დროზე ამავე იდეის განხორციელებას დიდად აუმართა ხელი ბ. ბრეხტის შემოქმედებამ (სხვათა შორის, მისმა ლირიკამაც, რამეთუ ბრეხტის დრამატურგიისა და ლირიკის, ასევე მისი თეატრის პრინციპები განუყოფელია. სონგებით, კაბარეტული თეატრის პრინციპებით გაუხვებული, გონება-გრძნობის მაქსიმალური

* 1982 წლის 6 აპრილს, ოთხი თვით ადრე, ვიდრე სამოცისა მოიყრებოდა, გარდაიცვალა სენმორეენილი პ. ვინსი.

აქტივობის მოწადინე ბრეხტისეული ხელოვნება მაგალითია წინმისწრაფული ავანგარდიზმისათვის). ომის შემდგომ ათწლეულში ჭრილობებით შებრძვილებული, გათანგული სამყარო ნელინელ გადაერთო ახლებურ იდეოლოგიურ-ესთეტიკურ სულისხმევას (უეცრივ იმძლავრა გნოსეოლოგიურმა თუ სოციალურ-პოლიტიკურმა ინტერესმა — კულტურულ პოლიუსთა შემეცნების, სინთეზირების სწრაფვა გამოიკვეთა).

მოდერნისტულ ქმნადობაში მონაწილეობდა და კვლავაც მონაწილეობს როგორც დასავლეთის ქვეყნების ასევე სოციალისტური დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურა (არაერთგზის შემდგარა დისკუსია პოპ-არტის, ახალი საგნობრიობისა და ახლებური რეალიზმის თაობაზე, თუნდაც აღმოსავლეთ გერმანიაში).

დიფერენცირებულ-ინდივიდუალიზებული (ანუ სიღრმითსიღრმემდე-სინთეტურად ათვისებული, მხატვრულად გარდასახული) მოდერნისტული აზროვნება არის შემაერთი არა მარტო გერმანულენოვანი არამედ მთელი ევროპული ლიტერატურული სამყაროსი. ეს ერთიანი სწრაფვა ახალი ფორმისადმი რიგიანად წარმოგვიჩინა იენს გერლახის მიერ ჯერ კიდევ 1956 წ. გამოკრებილმა ანთოლოგია 56-აღმოსავლური და დასავლური ლექსები — რედაქტორი მისი — დასავლეთ გერმანიიდან აღმოსავლეთს გადმოსახლებული გერმანელი პოეტი, რომელს კარგად უცვნია აქეთურობაც და იქეთურობაც, წინათქმაში წერდა: „არსებობს კი ცალკე აღმოსავლურგერმანული და ცალკე დასავლურგერმანული ლირიკა? კიდეც ჰო და კიდეც არა. ელბის გაღმაც და ელბის გამოღმაც იწერება ცუდი და კარგი ლექსი. უპირველესად ეს უნდა ითქვას. თუმცაღა ჩანობს განსხვავებაც, ამ ორი გერმანული სახელმწიფოს საზოგადოებრივი განვითარებით განპირობებული. ფორმალური ექსპერიმენტის ერთგვარი გარდამეტება, დასავლეთგერმანელ ლირიკოსთა ერთი წყება რომ ადგას (ენობრივი სახიობის საფრთხე) და მეორის მხრივ — შინაარსობრივი პრობლემის აღმატება, ზოგიერთი აღმოსავლეთგერმანელი ლირიკოსისთვის ნიშნეული (ფორმის მოკოჭლება).“ ამ ანთოლოგიის მიერ წარმოჩენილი პოეტები: ი. ბახმანი, უ. ბერგერი, პ. ცელანი, ა. ენდლერი, მ. ჰაისენბაუტელი, ჰ. ციბულკა, ვალტერ ჰელერერი, პეტერ რიუმკოპფი, ჰ. კალაუ, პ. ვინსი, ჰ. ბენდერი და სხვ. 60-იან წლებში უკვე წინამძღვრები და ტრადიციის დამფუძნებელნი გახლდნენ. — ეს კი მაჩვენებელია იმისა, რაოდენ ეადვილება დასავლურ პოეზიას გაახლება-შევსება, ანუ ახლებრივ წამომართვა.

გერმანული მოდერნისტული პოეზიის ანალიზი თავიდანვე საჩინოჰყოფს აღმოსავლეთგერმანული ლირიკისა და მთელი დანარჩენი გერმანულენოვანი ლირიკის ფორმისმიერ სხვაობას. აღმოსავლეთგერმანულ ლირიკას რამდენადმე მოსპარბებია ზოგადობა, მხატვრული განსაგნება, დაკონკრეტება თითქოს უგულვებელყოფილიცაა (რაღა თქმა უნდა, გამონაკლისიც არის; მაღალხარისხეულ პოეტურ ფენომენებზე არ ვლაპარაკობთ). ეს ერთი მხარე ზემოთმოტანილმა გერლახისეულმა მოსაზრებამაც დაგვანახა. მეორე მხარესაც მოვინიშნავდით: ფილოსოფიური სიღრმე (ჭეშმარიტი რიტმული აზროვნებით გაცხადებული) აღმოსავლეთგერმანულ თანადროულ ლირიკას ნაკლებად მომადლებია. ხოლო დასავლეთგერმანული ლირიკა (ასევე შვეიცარულიცა და ავსტრიულიც) პირიქით, ერთიანად დანთქმულა თვისივ „ეგზისტენციაში“ (რიტმული განსხეულებაც აგრერიგად უმარჯვებია), ოღონდ ეგევითარი გაშინაგანება მისი თითქოს განუტფობელია სულიერთადმი სიყვარულით და სხეულებრივ ვერ მიეზიდება კაცობრიულ თანამყოფობას. სწორედ აქ ჭვივის დასავლური სოციალური სტერეოტიპის რაღაცნაირი ნაკლულება (ტრაგიკული ელფერით განათლული). მიზეზი ამისა არის არა განსაკუთრებული რამ უსწორობა (არაჭეშმარიტულობა), როგორც ბევრი ჰფიქრობს, არამედ თვით ბუნება დასავლური ცივილიზაციისა, ანუ უფრო სწორედ ბუნებითი მიმართება დასავლური ფსიქიკისა, რომლის უზადო ანალიზი ჰყო ვლ. სოლოვიოვმა თავის დროზე:

მეორე მხარეს დავაყენებდით ლიტველი მხატვრის ჩიურლიონისის გამონათქვამს: გამომწყვდეულ-გამოხუთული, წყვდიადს დანთქმული მარტოსული (vienui vienam) ფრთები წართმევია სულს კაცისას, კერძოობითი „მე“-ს დამთრგუნველი. აბა და ნახე შეჭირვება, მაგრამ რაც მეტად გაშლის ფრთებს, მით უფრო უშელავათებს, თავადაც უფრო იშვებს კაცი... თავისთავში დანთქმულს განა ვის მოჰფონებია სიხარული. აწინდელი „დეკადენტიზმი“ თქვი, გინდაც პშიბიშევსკი. ყოველი მისი ნაწარმოები ნაღვლითაა ნაზავი... ეგ ის კაცია, თავისთავს რომ ჩაწერტებია ერთთავად, „განძარცულ სულს“ აანალიზებს... საკვირველია, მაინც რით მხიბლავს კაცსა აგრერიგად თვითანალიზი, გინახავს ინტელიგენტი, თავისთავში ჩაღრმავების

---

[1] მოდერნისტული პოეზია — თანამედროვე პოეზიის საყოველთაოდ მიღებული სახელდებაა და ჩვენც ამიტომ ვიშველიებთ.

სიამე არ ეწვნიოს. მერე და შედეგი? შესძლებია კი რომელიმეს განემარტა, თუ რა არის „მე"?".

ტრაგიკული სურათი ევროპული ცივილიზაციისა წარმოსდგა ა. შვაიცერის ვრცელ თხზულებაში [„დაცემა და კვალად აღშენება კულტურისა". კულტურის ფილოსოფია — ნაწილი პირველი. ტ. 2 1971]. ა. შვაიცერის აზრი ასე მიიმართება: თეორიული განსჯაც კი კულტურის დაცემისა გამო (რაიც მოხშირდა ჩვენს ეპოქაში) დაუშვებელია, რამეთუ ერთადერთნი მშენებელნი ამა ევროპული კულტურისა ჩვენ ვართ და სხვა რამ რეზერვი არ არსებობსო — არც იარსებებსო — ამ ძირმა აზრმა უნდა შეაძლებინოს ყოველ ევროპელ ერს წამოდგომა, ერთიანი ზნეობით უნდა განმსჭვალოსო იგი. მჭრტოლდენ მოქმედებისაკენ ლტოლვა სულ მუდამ, ლტოლვა დაუსვენარი; დაუნჯებული მსოფლსაზრისის უქონლობა, აი, სისუსტე ევროპული ცხოვრების ნირისა. ერთ რამეს ძალუძს დასავლეთის აღდგინება — ცხოვრების აზრის ჩაძიებასაო. მაშასადამე, ფონი დღევანდელი დასავლური ცივილიზაციისა ასეთია: ნეგატიურ ზღვრამდე მისვლა, გარდამეტებული მიჯაჭვა ნივთიერი ეგოისტური ნებელობისადმი (აქედან მომდინარეობს ეგოისტური ქმედობა), სულიერი „უხილავი" ქმედობის თანდათანობითი მივიწყება. დასავლეთგერმანულმა (ასევე ავსტრიულმა და შვეიცარიულმა) თანადროულმა პოეზიამ თავისებურად გარდასხა იგი ლტოლვა ბოლო ზღვრამდე მისვლისა [ენობრივი ექსპერიმენტირების მეშვეობით გამოვლენილი შინაგანი განცდა]. — ენობრივ-პოეტური ექსპერიმენტი მოპირისპირეა ყოველგვარი პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ ენობრივი ტოტალიზაციისა, პოლიტიკანთა ჯგუფები რომ ახორციელებენ აშკარად თუ დაფარულად. იგი ეპირდაპირება მასიურ მედიუმებსა და ათასის ხრიკით განხორციელებულ მანიპულაციას პიროვნებისას — ე. ი. ყოველივეს, რაიც გამოშიგნავს და გაალარიბებს ენას და მერმე შინაგანობასაც კაცისა. ეს არის გალაშქრება კულტურული სფეროს ერთიანი „სატანიზაციის" წინააღმდეგ, გალაშქრება ცნობიერი და ამავე დროს ქვეცნობიერიც. ამგვარი დაპირისპირების საფუძველია ახლო წარსულის — ფაშიზმისდროინდელი გამოცდილება, მესამე რაიხის ენობრივი ნორმატივის საქვეყნოდ გამოცხადების და დადგენების, ენის „შეკრეჭვისა" და „თავის თარგზე" მოჭრის მოწამე, ოდეს ხელისუფლებრივმა ტოტალიზაციამ ენობრივი და კულტურული ტოტალიზაცია განაპირობა. იმ დროს დაიწერა მსოფლიოში სახელგავარდნილი წიგნი ვიქტორ კლემპერერისა ლ ტ ი (ლინგუა ტერტიი იმპერიი) — სიბნელის მამხილებელი.

იდეოლოგიური საფუძველი გერმანული მოდერნისტული ლირიკისა (50-60 წლები): გერმანული ეგზისტენციალიზმი; შპენგლერისეული კონცეფცია კულტურათა განვითარება-გამორჩევისა, თავისთავში ჩაკეტვისა, ხელინელ კვდომისა (თავისთავიდან გაუხვლელობისა გამო), ნეოთომიზმი — მეცნიერებისა და რელიგიის სინთეზისადმი სწრაფვა, ვიტგენშტაინისეული „ლინგვისტური ანალიზის ფილოსოფია", ჰ. მარკუზეს „ამბოხი" ფილოსოფია; თ. ადორნო, „ფრანკფურტული ფილოსოფიური სკოლა" (რომლის ამოსავალია: თანამედროვე დასავლური საზოგადოება — პრინციპული მტერი ინდივიდუალობისა — აქედან მომდინარე „ნერვოზისმომსავი ლიტერატურის" როგორც ნონკონფორმიზმის ერთ-ერთი ფორმის-გამართლება); სტრუქტურალიზმი: სიურრეალიზმის ესთეტიკა, ფილოსოფია; გერმანული ექსპრესიონიზმი. ამ ყაიდაზე ჩამოყალიბდა სწორედ ლიტერატურული კაბარე „ვენის ჯგუფი" [ჩამოყალიბდა 1952-1955 წწ.] — ესენი არიან ავანგარდისტები: ფრიდრიჰ ახლაიტნერი, ჰანს კარლ არტმანი, კონრად ბაიერი, გერჰარდ რჲუმი. მათი პრინციპები: ტექსტის მონტაჟი, დიალექტური ლექსი (გერმანულ დიალექტთა ზგერითი მხარის აქცეპტი), ვიზუალური ტექსტი, რადიოფონული ტექსტი, მობილური ტექსტი, პოლიგრაფიული ტექსტი, ტექსტური ფილმები — ეს ყოველივე ერთს ემსახურება — პოეტური აქტის უშუალო გარდამოცემას [მომარჯვებულია სიურრეალიზმის გამოცდილება, დადაიზმი, კონსტრუქტივიზმი, ცალხმიანი კლავილური მოდერნისტული მუსიკა — პაუზის განსახორციელებლად, ვიტგენშტაინის „ენის ფილოსოფია", კიბერნეტიკა]. ვიმეორებთ, ეს ყველაფერი იმისათვისაა, რათა მეხსიერებას მნახველისას შთაუბეჭდოს პოეტური აქტი, რაიც შემდგომ ამისა განუშორებლად თან ახლდეს იქნება ადამიანს (ვით სულიერი რამ სიმდიდრე). „ვენის ჯგუფმა" მოიმარჯვა კონკრეტული პოეზიის ასპექტი — მხოლოთ გამარტივებული ენის მომსწრაფველი [კონკრეტული პოეზიის კონცეპცია პირველმა ჩამოაყალიბა ოიგენ გომრინგერმა, ბოლივიაში დაბადებულმა შვეიცარიელმა დიზაინერმა]. „ვენის ჯგუფის" ძიებას დიდად წაადგა გერმანელი კონკრეტისტის დიტერ როტის მიერ მონტაჟირებული ტექსტები. პირველი „მანიფესტაცია" „ვენის ჯგუფისა" მკითხველის წინაშე — 1957 წელი. 1960 წლიდან მოყოლებული ეს ჯგუფი ავანგარდისტული ხელოვნების ბურჯად იქცა. ერთ-ერთი მონტაჟი, გ. რჲუმის მიერ განხორციელებუ-

ლი: სექსუალური აქცენტი ცალკე ბგერებისა — მამაკაცისა და ქალის ხმის მოდიფიცირება; ქალის სხეულის პროპორციების პაუზურ განფენილობად გარდასახვა, სანტიმეტრული განზომილებისა — სეკუნდებად; სექსუალობის გამომხმობი ჩქამების მომარჯვება. „ვენის ჯგუფის“ პრაქტიკა შლაგერის განწყობასაც მოიცავს (მსუბუქი ირონიით გაზავებული რითმიანი ლექსი, ბდღვრგერული სამყაროს მკენწლავი). 1957 წ. შეთხზული მონტაჟი „თეთრის ფერისა“ (ფ. ახლაიტნერი):

თეთრი ვითარ თოვლი
თეთრად შემოსილი
თეთრი ვითარ ცარცი
თეთრია ფერი უბიწოების
ჯინჯველნი თეთრნი
მკლავნი თეთრნი
სპეტაკი ფერი
თეთრი გამაში
თეთრი ხელი
თეთრი თათმანი
თეთრი ნაჰშირი

კონტრასტირების მეშვეობით ახალი ძალის მოხმობა, შავი — წამიერი იდუმალება თეთრისა.

თეთრი ტილო
თეთრი აღდგომა
თეთრი ჯორაბი
თეთრეული
თეთრი კვირა
თეთრი კბილები

თეთრია ფერი უბიწოების

თეთრი კვირა
თეთრი სპორტი
თეთრი სიკვდილი

თეთრი დროშა
თეთრი მღვდელი
თეთრი გვარდია

თეთრი რასა
თეთრი კედელი

თეთრი სახლი
თეთრი ჯვარი
თეთრი ზღვა

თეთრია ფერი უბიწოების

გადაუთეთრდა მამრს პირისახე

თეთრი რამ ფოთოლი

თეთრი რამ სამოსი

თეთრი რამ მკერდი
თეთრი რამ ლაქა

გადაუთეთრდა მამრს პირისახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ვითარ მშვენი
თეთრი ვითარ მკრთალი

თეთრი თმა
თეთრი ვითარ ცვილი

გადაუთეთრდა მამრს პირისახე

მამრმა მოიგო თეთრით
მერმე წააგო თეთრით
თეთრად განბანვა
ნდომაა მღვდრის

უმარტივესი სიტყვები ურთულეს ასოციატიურ კავშირთა მხმობელნი არიან, სამყაროს მარადი ფერი, მერმე შიგ ჩართული ქალური სუბსტანცია; მამაკაცის შინაგანი ალფრენა ქალურისადმი, თეთრისადმი, დასასრულ შთამბეჭდავი სტრიქონი: თეთრად განბანვა ნდომაა მღვდრის. სამუდამო კლიშე ქალურისა, სადაც ხედვითი და ბგერითი განწყობა ულლდება ერთს სუბსტანციურობაში—ქალურისა (სიწმინდესაც გულისხმობა იგი, რამეთუ თეთრი კვირა, თეთრი აღდგომა, თეთრი სააღდგომო ტილო — განუყოფელია მისგან). 50-იანი (ასევე 60-იანი) წლების დასავლეთგერმანული პოეზიის მეტრი და ავტორიტეტი, იდეოლოგი დასავლეთგერმანული კულტურისა გ. ბენი (1886—1956). მისი ლირიკა, მისი ესსე და პროზაული ფრაგმენტები ტოლდაუდებელიაო დასავლეთ გერმანიაში, იტყვიან მიმომხილველები (ეს ეგზისტენციალისტური პროზაა). ბენისეული ესსეს მკითხველი ვერცერთ მის თეზისს გვერდს ვერ აუვლის (მეტადრე იმას, დასავლური კულტურის გენეზისსა და კრიზისს რომ უტრიალებს). ჩვენს თემას ყველაზე მეტად წაადგებოდა გ. ბენის პროგრამული წერილი „პროვოცირებული ცხოვრება“. აქ ერთიანი სურათია დასავლური ყოფისა, პარანოისტურ-შიზოიდური მოტევნითურთ (ლტოლვა ექსცესისაკენ) — ეს ერთგვარი საფუძარი (ჰაშიშისა და ჰალუცინოგენებისა) დასავლური ქმედითი კულტურის ნიშანდობლიობა და ბუნებაარ — განაცხადებს გ. ბენი. მერმე იგი ამ წმიდა დასავლურ ნიშატს ბორობუდურის ტაძართან შეაპირისპირებს, ნაყოფიერების აღმოსავლურ პირველსაწყისთან, პრიმიტიულის დასაბამობასთან, ეთიურ და ფიზიოლოგიურ

პრომისკუიტეტთან. დასავლური ცივილიზაცია-შემმეცნებელი ნამდვილისა (საბერძნეთიდან მომდინარე, დარვინიზმამდე და ნიცშეანურ ზეკაცურ იდეალამდე განგრძელებული). „მე"-ს მხმობელი ცივილიზაცია, რომლის წიაღ თავად „მე" ხან წამოიწევს, ხან დაექანება და არის ერთ რკინებაში. ამიტომაა, დასავლური სული მატერიას სულ სხვაგვარ რომ უპირისპირდება, „მე"-სა და სამყაროს გათიშვას წარმოშობს, „მე"-მ დაანაწევრა მატერია, ფორმალურად დამყო, ალაგ-ალაგ დამგლიჯა კიდეც. მითვე მოიახლოვა შიზოიდური კატასტროფა (დასავლური ბედითი ნევროზი). სინამდვილე — ეს შემაძრწუნებელი ცნებაა, ბედისწერად რომ დაბბრუნავს ევროპას (აქედან — ომი, დაძაბულობა ერთიანი ევროპული სულისა). ხოლო ის მთელი ჰალუცინოგენური ხაფუარი — არის სურვილი უსაშველო დაძაბულობის გადალახვისა, რამეთუ ცხოვრება ევროპის არის პროვოცირებული ცხოვრება, არყოფილი, უუდიდესი შინაგანი გამონაგონი, ვალკიურეს ფანტასტიური გაფრენიდან წარმომდგომარე — ეს ძალა ჰქმნიდაო მარად ევროპულ კულტურას — დაასკვნის გ. ბენი. გერმანული რელიგიაც პროვოცირებული რელიგიაა — და არა ბუნებრივი, უზეშთაესი ხმევით მოპოვებული რამ კავშირი. გერმანულ რელიგიას ჰქმნის „მე"-ს არნახული შეპირისპირება არარაისთან. ევროპული ხელოვნება კიდევ უშინაგანესი ოცვნის განსხეულება და განმკვიდრებაათ (ენდოგენური სურათხატები — აი, უკანასკნელი ჩვენდა შთენილი ნაცადობა ბედნიერებისა — 1948 წ.). ბენისეული ანალიზი ბუნებრივად ასოცირდება, ერთის მხრივ შპენგლერიანულ კულტურულ კონცეპციასთან და, მეორის მხრივ, დასავლეთგერმანულ „კულტურის ფილოსოფიასთან" (კულტურის ფილოსოფიის საზრისისამებრ — კულტურა შინაგანი უნარია მხოლოდ და მხოლოდ, უხსოვარ ჟამთაგან კაცში დატევნილი). ბენისეული ინტერპრეტაცია უპირველესად გვიპყრობს ტრაგიკული დღეისის ხილვით, დღეისისა, სხვათაგან დაფარულია რაიც (ან თუ არა, ასე ნათლივ მაინც არ სჩვივის) — ეს არის დიდი ეგზისტენციალისტი პოეტის ამოსავალი (გ. ბენის შემოქმედებასა და ფილოსოფიას დაეფუძნა 50-იანი, 60-იანი და ასევე 70-იანი წლების გერმანულენოვანი დასავლური პოეზია — ამა მემკვიდრეობითობის დაძლევის თაობაზე არაერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრება ჰ. მ. ენცენსბერგერს, ი. ბახმანს და კიდევ სხვებს).

რამ განაპირობაო სურათ-ხატთა უბადლო ოსტატის პ. ცელანის ნებითი ემიგრაცია პარიზს და მერმე თვითმკვლელობა მისი, რაისთვის ებეტება კიდითი კიდე წყება გერმანელი მწერლებისა (ი. ბახმანი რომში ცხოვრობდა და იქვე დაასრულა 1973 წლის ოქტომბერს სიცოცხლე) — კითხულობს თავის წიგნში — ლექსნი. პოეტნი. სინამდვილენი — აღმოსავლეთგერმანელი კრიტიკოსი ჰ. რიხტერი. გ. ბენის ესსე „პროვოცირებული ცხოვრება" ამომწურავად პასუხობს ამ კითხვას (შინაგანი თვალსაზრისით). 1951 წ. მარბურგის უნივერსიტეტში გ. ბენმა წაიკითხა მოხსენება „ლირიკის პრობლემები" (რაიც შემდგომ თავისებურ „არს პოეტიკა"-დ ინიშნა ახალთაობამ). პოეტს წვლილად ცოდნა არ მოეთხოვება და არც საღვთიადაგორუდუნება, იგი მიახლოებული უნდა იყოს ყოველს, უნდა გაიგნოს დღევანდელნი გზანი სამყაროსანი, იცნოს ჟამი, ამა შუადღით რომ დარექს დედამიწაზე. პოეტი უნდა იყოს არტისტი, თავისთავის გამომხატველი, ქმნულზე მაღლა ეხახვოდეს შემოქმედება თავად; სიტყვის მაგიით გააცხადოს ხელოვნება — ვითარცა უზეშთაესი მონოლოგი. გ. ბენის ლექსს არ დაჰყვება პოეტიზირებული მუსიკალობა (მსგავსად გ. ტრაკლის ლექსისა) — ის მეტად გონებისმიერია და შიგნივ მწვდომი, ტრაგიკული დასაზღვრულობიდან აღელტვის იგი ამაღლებას [ნიშანდობლიობა მისი — განდგომილობა, განზრძნობილობა]. ბენის შემოქმედება დასავლური კულტურული კონცეპციის უმაღლესი გამოვლენაა თითქოს, რითაც რამდენადმე ენადაგება იმ ბიერატიულ ფუნქციას, XIX ს. მიწურულსა და XX-ს. დასაწყისს სტ. გეორგეს ლირიკას რომ ეკისრა.

ბ ე რ ლ ი ნ ი (1948 წ.) — ეს ლექსი ერთხელაც გაამჟღავნებს უშინაგანეს კაეშანს, ძალმოსილებად რომ წარმოსდგება ჩვენს წინაშე იმავდროულად (უდაბნოში ჩამხობილი დასავლური კულტურის სფინქსურ ბიეროგლიფიკად):

„ხიდები, ეგრეც კამაროვნები
უწვდომმა ველმა შეიწოვოს ოდეს,
ქვიშას განებნენ ციხე-დარბაზნი,
ხოლო სახლები გაუკაცურდნენ,
სპათასპანი და ურდოთურდონი
ჩვენთა საფლავთა ზედა დგებოდნენ,

ერთიღა იქმნეს განუქელთობელი
— ლოდების ნიში დაშთენილი სამარადისოდ,
მერმე ლომები, უდაბნოს ქვიშას დაფლული
და შემდგომ, ოდეს ზღუდეები ჩაიქცევიან,
ეგე ნამზღვლევი ილალადებს
დასავლეთის დიად დიდებას."

„განვითარების სიუცხოვე (ვით სიღრმისსიღრმე ბრძენკაცისა,) არად უჩანენ (შვილები და

შვილთაშვილები). მიმართება და მოქმედება (შეხვედრაც, განშორებაც, მინიშნებაც იმ სამყაროსი (სიცხადე რომ ვერ განუმტვრეტია) ჩემი ხორკმლის წინ — (მინდორია დაცემული) — (იტყვის ბრძენკაცი) — ზედვე ჩრდილები მოჯარული) წყვილი ალვის ხე აქეთ-იქით რომ უსწორდება) ის გზა შენ უწყი, საითკენ მიდის!" — ამ ლექსის ბოლო ორი სტრიქონი განუმარტავია. სიკვდილისაკენ დამართული გზა არის გზა „ნამდვილის" შეცნობისა სიცოცხლეშივე — მიტომაც ბრძენი განმარტოვებულია და დანთქმული თვისსავ ეგზისტენციაში.

დასავლურ კულტურას საძირკველშივე დატნევია რეფორმისტული ღვრიტა; (ასე რომ დასავლეთელ მწერალთა რეფორმისტული იდეოლოგია მუდამ როდი მიანიშნებს მოდუნებას რასმე, ანდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მიმართ შეკვრას — არც ნონკონფორმისტული, ნონკონფესიონალური თუ ნონკონვენციონალისტური — (ენობრივი) გალაშქრება მწერლისა მოასწავებს უსათუოდ ნგრევას] — ევროპული კულტურის ძირი თვისებაა — სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთზეგავლენა, ურთიერთკონტროლი, ურთიერთგაწონასწორება, გადახალისება. ყოველგვარი ზავთი ისევ ერთიანევროპულ კულტურულ საშოში ჩაბრუნდება, შიგნიდან გაახლებს სხეულს (აი, სიღრმისეული აზრი ევროპული რეფორმიზმისა, ცხოვრებაში იქნება, ხელოვნებასა თუ პოეზიაში). ეგ რეფორმიზმი წინასწარვე გულისხმობს ყოველნაირ ფორმისმიერ სიახლეს, ავანგარდიზმსა და აბსტრაქციონიზმს, რაიც პოეზიის მიმომხილველმა უნდა გაითვალისწინოს. ეს წმინდა სპეკულატიური, ანუ ლიტერატურული მსჯელობის საგანი როდია, ეგ საზენი მასალაა ფსიქიკისა, ყოფისა და მაშასადამე, ლიტერატურისაც. მიტომაცაა, პასუხისმგებლობა გვმართებს პოეზიის იდეოლოგიურ საფუძველთა ინტერპრეტირებისას.

## კონკრეტული გეგმარი. თაობები და ტალანტები

50-იან-60-იანი წლების გერმანულენოვანი მოდერნისტული პოეზიის მიმოხილვისას თავშივე დაყაყენებდით ნ ე ლ ი ზ ა ქ ს ი ს შემოქმედებას. ჯერ ერთი იმიტომ, ხანდაზმული პოეტი სწორედ 50-იან, 60-იან წლებში რომ აღწვდა ერთიან თავის გენიას (შინაგან „მეტოს", უზენაეს შეწირულობას გამოტაცებული და უეცრივ აღიარებული მთელს ევროპაში), მეორეც იმიტომ, რომ სწორედ ახალთაობამ „სცნო" და „აზიდა" ნელი ზაქსი და კიდევ იმიტომ, რომ თავის „უდაბნოში" განმარტოებული, 40-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული მთელი 20 წელიწადი ჰქმნიდა, იგი ახალგერმანულ პოეზიას, მრავალმხრივ, რომ ენათესავება უახლესი [60-იან-70-იანი წლების ყამინდელი] ლირიკის აღმშენებელთა შემოქმედებას და კიდეც თანაუდგანს. 1966 წ. გადაეცა მას ნობელის პრემია.

ნელი ზაქსის ცხოვრება არის ლეგენდა ბედით რჩეულისა. [ლეგენდაა მისი ყმაწვილქალური, განადგურებული ტრფობა, რომლის ერთგულიც დაშთა. ხაკონცენტრაციო ბანაკმა განაშორა ისედაც შორით ნალოლიავებ მიჯნურს, მოგვიანებით „მკვდარ საქმროდ" რომ იწოდება მის ლექსებში].

1940 წ. სელმა ლაგერლიოფის შემწეობით სტოკჰოლმს გადაიხვეწა და დაემკვიდრა — მას შემდეგ იქაურობას აღარც განშორებია. შინგაზრდილმა, რომანტიკულ სიმშვიდეს ნაზავებმა ქალწულმა იმჟამინდელი ლიტერატურული ცხოვრებისა არა უწყოდა რა (ისე გაილია 10-იანი წლები და თითქმის ოციანიც). იმ დროს გერმანიაში დიდებას იოჭმევდა სტ. გეორგეული განთქმულიყო და განმკვიდრებულიყო გერმანული ექსპრესიონიზმი. მეორეს მხრივ ეს ხელოვნურად დათბუნებული სავანე იქმნა მიზეზი „წყნარი მელოდიებისა". ზაქსის პირველ ლექსებში სტ. ცვაიგმა ინიშნა „ექსტატური წრფე ალმავალი, პოეტესებისაგან ესოდენ შორებელი". ეგ ექსტატურობა თანსდევდა ნ. ზაქსის მერმინდელ ლირიკასაც. იმ სათბურშიაც იგრძნობოდა ნიშანი ბედისწერული, ახლობლებს აგრე რომ აშინებდა: („გამოცხადება უდაბნოური მარტოობისა", „გამორჩეულობა").

ის, რაც ნ. ზაქსზე დაწერილია, 1966 წლიდან მოყოლებული, თვალგადაუწვდენია. მერე და რამ განაღვივა ეგოდენი ინტერესი? უჩვეულონიჭმა; არაგარეგნულმა, შინაგან აფეთქებულმა სიახლემ, კოსმიურმა გაქანებამ, ბედითმა მელოდიამ ლექსისა, რაც მთავარია, სიბრძნის უეცრივმა გაცხადებამ, რომ მოედება ხოლმე ათასებს, მილიონებს, თანაც ამ უჩინო ქალში. მოსალოც წმინდა ალაგად იქცა მისი იმჟამინდელი სტოკჰოლმური რეზიდენცია.

1940 წ. შვედეთს გადახვეწილმა ნ. ზაქსმა ახლებურად მოიხილა აქამომდელი უდრტვინველი ცხოვრება თვისი. გესტაპოელთა დაკითხვებმა, „მიჯნურის" დაკარგვამ (ეს იყო მისი პირველი და ერთადერთი, ლამის „ბალდური" გატაცება) შესძრა გულისგულამდე. მაშინ იყო, გემო გაუსინჯა კაბალისტიკას (ზოჰარს, „მარადის ელვარე" წიგნს). გადაიკითხა, შეითვისა მარტინ ბუბერისა და გერშომ შოლემის თხზულებანი. შეიცნო ი. ბიომე და მემეში გაცხადებული უძველესი სიბრძნე, შეიცნო ნოვალისი (მისი უშინაგანესი მისტიკუ-

რი პრინციპები), ფრანჩესკა ასიზელის ყოვლისშემძლევრავი სიყვარული და ხახოება, მისი ეთერული გამობრწყინება. ბუნებრივიცაა, „იქსტატურად განვითარებადი" მისი ლექსი პირველწყაროს უნდა ჩაჰბრუნებოდა. იმჟამინდელ საგანგებო გარემოცვაში აღსრულდა ეგევითარი ზიარება [მსგვერპლი მილიონების, სისხლი, გეტოს საშინელებანი].

სიკვდილის ფიქრი მხოლოდ და მასთან ფიქრი მარადისობისა — აი ყოველი, რამაც ახლებრივ და თან უცნაურად შემოაბრუნა უკვე ჩამოყალიბებული საზრისი და ახალი სიბრძნის გამომხატველად მოაქცია. ეს ის „ახალი" სიბრძნეა, არცერთ კაბალისტურ წიგნში რომ არ ამოიკითხება. თითქოსდა უზეშთაესი რამ მისია აღესრულებინოს წამებულ ქალს. ამა ფერიცვალების ერთადერთი მოწმე 1966 წლამდე იყო (1947 წელს დასტამბული მისი წიგნი „სამკვიდრებელში სიკვდილისა" — Aufbau Verlag) უუმორესი იყო გზა სიტყვისკენ დამართული. პატარაობაში ნ. ზაქსს ცეკვა ხიბლავდა. როცა კი მამა ფორტეპიანოს მიუჯდებოდა იმპროვიზებისათვის, გოგონაც მუსიკის ჰანგზე როკავდა [„უჩუმარი სამეფოსაკენ" — „მროკველსა ესრეთ დაელეწოს რათა საკანი უხილავი". — ცხადყოფა ნ. ზაქსის უჩვეულო სულისა]. მოგვიანებით მიადგა სიტყვას, მაგრამ რა, მთელი ოცი წლის ნაღვაწი კვლავ დავიწყებას გაატანა. ემიგრაციაშიღა შესძლო გაერღვია სიჩუმე გარემომცველი (სიჩუმე — შინაგანი მონაპოვარი მისი) და აღეთქვა. სრულიად უჩვეულოა ეს გზა სიტყვის აღორძინებისა, აღდგენისა (მერმე ახე საოცრად გადაწნული ეპოქის სავალით) კირთების გზით ამაღლება, განწმენდა, მისი რამდენადმე დაუახლოვდაკიდეც ქრისტიანულ ამაღლებას (ოღონდ ხინკიტური შემეცნება ქრისტიანულ ეზოთერიზმს ზიარებული პოეტების — თუნდაც თ. ელიოტისა ეშორებოდა). ნელი ზაქსის პოეზია ცხოვრების წიაღ, ტანჯვის წიაღ არნახულად ამაღლებული ებრაული სიბრძნისა და ევროპული (გერმანული) შინაგანი კულტურის დამყნობა და განაყოფიერებაა. ე. ი. შინაგანი ხინთეზია. ფანტასტიურია ნელი ზაქსის მიერ სიტყვაში დაძებნილი კოსმიური მასშტაბურობა; ნელი ზაქსის მისტერიები — მკვლევარები მას ახლებურ. ზაქსისეულ თეატრად იხსენიებენ (როკვის, ჟესტ-მიმიკის, მარიონეტული თეატრის უმაღლესი ერთიანობა). ტანჯვათა შინამყოფი მისი გმირები თითქოსდა ავტორისეული უზეშთაესი მედიტაციის, კონტემპლაციის (შინაგანი ეთერიზების) პირმშონი არიანო — საკვირველია მათი რიტუალური სვლა, როკვა, ჟესტიკა — მაგალითი: „მაგიური მროკველი" — ბიომეს, ასიზელის შტუდირების ცხადლივი შედეგი. — ეს ერთგვარი ლევიტაციაა თითქოს, — ეთერული ხმევაა. მ. ბუბერი წერს „რაბი ნახმანის" წინათქმაში: „ებრაელები საუკუნეთა განმავლობაში შეეთვისნენ [illegible] ერთსადაიმავე ნირსა, მრავალ[illegible] და რეაგირებისა არ იცოდნენ, რა იყო. ამიტომ უეცრივ სკდებოდა დაძშულობა იგი — ილია წინასწარმეტყველი თქვი, თუნდაც..." და შემდეგ: „სურათოვნება, ხატოვანება, აზრისა და გრძნობის აგრერიგად აღმავსებელი, ებრაელმა არც იცის, რაა — ებრაელში მოტორული განწყობა ხჭარბობს ხენსორულს. სულიერი ცხოვრება ებრაელისა უფრო მეტი რეაგირებაა ვიდრე საკუთრივ განცდა ცხოვრებისეული, უფრო მეტად სიტყვასა და ცნებაშია მოქცეული, ვიდრე სახოვნებაში. არა სუბსტანციას, არამედ რელაციას მიეზიდება იგი." ნელი ზაქსის უზენაესი პოეტური ჟესტიკაც ეს არის [ცნება და ჟესტიკა, სინთეტურად გამოხატული.] ზაქსისეული [ლტოლვა და გარდაქმნა (გადასხვაფერება)] — უდიდესი ჟესტიცაა და უდიდესი ცნებაც ერთსა და იმავე დროს, მიღმეთს გადამყვანი. ზაქსის გმირების იძვრისს მიუდგებოდა გერმანელი სიტყვა taumeln — ეს ნახევარტრანსია, ნახევარექსტაზია, ტანჯვით მოხმობილი, გათავისუფლებად აღსწრაფებული. ლტოლვა და გარდახვლა [გარდაქმნა, გარდასახვა] — ილტვოდე, დაე. ნ. ზაქსმა ახლებურად აამეტყველა ძველი მისტიური სიმბოლოები (ნიშნები). — წადილი პოეტისა — ნგრეულ სამყაროში ამოკრიფოს და ახლივ ამოიკითხოს მარადიული ანბანი — „მეფური სიტყვა" („მეფეთა სიტყვა") — დასაბამიერი სიტყვა — სიტყვა მეუფე, განმგებელი [კაბალისტური ასო — ნიშნები]. თევზი — სიმბოლო ტანჯვის და განთავისუფლების — იმავ დროს სიმბოლო დადუმების — მკვლევარი შენიშნავს, გესტაპოში დაკითხვის შემდგომ ნ. ზაქსს 5 დღე ენა ჩავარდნია — დუმილი საშინელი — თევზის ნიშანშიც ეს იგულისხმებაო — თევზი სიმბოლო დათმენისა და მერმინდელი აღდგენისა — „თევზი უჩუმარ-ვნებული"; „მეუფე ვნებულობისა". ზოგ მკვლევარს რეინკარნირებულ ექსპრესიონიზმად მიაჩნდა ზაქსის ლირიკა; არა, იგი თვისივ შინაგანობის გამხელა — მისი გათქმაა პირველ ყოვლისა]. ცხოვრების მიზანიც ხომ ეგ ამოთქმა იყო — მისი სინტაქსი (საოცარი სიგნატურა) — უპირველესად სულისმიერია, თუმცაღა ფორმის ხანგრძლივ-ძიების კვალიც ატყვიაო (პეტერ ზაგერ-ი. გამოკვლევანი სტილისა და მოტივირებისა გამო, ბონი. 1970. თანამედროვე მხატვრ. ლიტერატურა საზღვარგარეთ. რუს. ენ. 1972 № 6 გვ. 107).

ქერუბინები — უხანოდ გარდაცვლილი ბავშვები, ზესთა ზეცად ამაღლებულები. ბენგტ ჰოლმქვისტი ზაქსისეული სურათ-ხატების განმარტებისას იხსენიებს ჯ. ჯოისის ეპიფანიებს — ანუ უეცრივ სულისმიერ მანიფესტაციას, რომლის მეშვეობით ხადლენიადაგო საგანი უცხო რამ „ციალს" გარემოიკრებს და თვისსავ „სულს" ამხელსო.

ლტოლვილებით ძლეულს, პირველადი აღმძვრელის — სიყვარულის (Primus motor) გზაზედ მიმავალს, არსად უწერია შეჩერება — (ალტოლვილი) — ახლა მისი ოსტატი სიკვდილია (პლოტინისეულ ექსტაზს დანთქმული—ვითარმურში-თვისსავე სხეულის მტვერს მიიტანს მიღმური აღდგინების წილ — რამეთუ უწყის: ექსტაზში შეზავებულა წარსულ-მომავალი, რაიც მარადიული ამოცნობაა არსებობისა — ექსტაზს დანთქმულივე ჰვრეტს მილიონთა ფერფლს, კრემატორიუმთა ავად მხრჩოლავ საკვამურებს — რამეთუ ესეც უწყის: საკვამურები მარადიული აღდგინების სიმბოლოა, სიმბოლო განუკურნავი სატანჯველისა, მარტოოდენ კოსმიური აღდგინება რომ განკურნავს, ვარსკვლავებზე უფრო მაღალი — ქერუბინების მარად ხმევაში ჩაესმის სიტყვები იობისა: შემომხეთქონო თუნდაც კანი და გარსი თუ რამ მეპოვება. უხორცოდ აგრე დაშთენილი ღმერთს მივაპყრობო მაინც თვალთა (შეგზარავს ეს სახე, თუკი მთელ სიტუაციას გაიხიგრძეგანებ) [„საკვამურებო, ჰოი, თითებო, ვითარ თითებო, ჰოი! ეგევითარო სხეულებავ ისრაელის, ცისად წასული ბოლის"] ნელი ზაქსმა მისტიურად გაიაზრა გეტო [მან არ გაიზიარა ებრაელთა შორის მობოგინე აზრი, დასჯისაო ეგ ჩვენი ტანჯვა — ეგე ტანჯულება კაცობრიული პოეტმა ბოროტების აღზევებად მიიჩნია, სად ბოროტს ბიოლოგიური ფუნქციალა დარჩენია და სულიერების ერთი იოტი არა ხცხია (ანუ არ წილხვდომია)] — ეგ მასიური სიკვდილი ლანდიაო ნამდვილი, განმათავისუფლებელი სიკვდილისა და პოეტი ქალი განმზადდებოდა კიდეც ნამდვილი სიკვდილის შესახვედრად. ამა მზადებამ მოაცოცხლა ხანდაზმული ადამიანი [მერმე მოვიდა სახელიცა და აღიარებაც, გადავარდა საზარი ურჩხული სიყვითლისა, ხაკისფერისა]. მაგრამ ნანახ-განცდილი უეცრივ ერთიანად შემოიქცია მასზე კვლავინდებურად — ახლა მარტო იყო ნ. ზაქსი [დედაც გარდაეცვალა, საყვარელი არსება 1950 წ. ადრე, 1938-ში მამა, სწორედ ხაშინელი ფაშისტური სილამე სანამ ჩამოდგებოდა]. ლანდი სიგიჟისა დაემუქრა სიცოცხლის აღსასრულთან. მაგრამ შინაგანმა ნაცადობამ, ნოვალისისებურ „თვითმოკვდინებაში" ნაწვრთნევმა ფსიქიკამ გაიმარჯვა. 1963-65 წ. წ. შექმნა მან გასაოცარი ლექსი — „ქარაგმანი აღმნთებარენი" (ღამის შინაგანი პოემა):

ამ ღამით იყო,
ქუჩას გავყევი, დაძირულს ბნელში, სამიჯნო ქუჩას,
კუთხემდე მიველ,
ლანდი ჩემი
მკლავებზე რომ გადმომეწოდა,
ამ დაქანცულმა სამოსელმა
ისურვა, ხელით მეტარებინა
და, ფერი არარაისისა მეუბნა მაშინ:
გარდასულხარო მიღმეთს აწცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ სტროფის თომას კლინგერისეული ინტერპრეტაცია ასეთია (ნელი ზაქსის ერთი ლექსისა გამო „მიღმეთს ხარ აწცა"):

(ქუჩა გავიარე) — ეპიური იმპერფექტი (ავტობიოგრაფიული ნიშნადობა) — მაძიებელს, არაერთგზის შეცთომილს რომ გულისხმობს. მომიჯნავე ქუჩა. — ღამე—უჩვეულო—საშინელი—ფარული ქმედება. პირდაპირვე მოიწყება ლექსი: მიიჩქარის პოეტი (ეგზისტენციალური პარადიგმა პოეტი ქალისა) — ყოვნადი შუაგული ლტოლვისას. — მეორე „მე"—ჩრდილი-ტკივილის სადაბური-„მე"-ს განგრძობა, ანუ მისი შემსუბუქება. ტვირთის მოხსნა — ბავშვია იგი — უნდა მკლავებში ინანაოს — „მე"-ს დაღლილობა — ხეტიალი შენი დასრულდაო („ამ ღამით"—ასე მოიწყება ლექსი, — ეს ბოლო ღამეა) — „და ფერი არარაისისა მეუბნა მაშინ: მიღმეთს ხარ აწცა" — ფერი არარაისისა — ფერი ყოფილა, მეტყველება ყოფილა მარადი ღამეც, არარაისიც — რაიც იმედს გინერგავს — მარადიულმა ღამემ აღთქვა თავად — სიღამე (ბნელი) აღმეტყველდა, გაცხადდა უზეშთაესი — [„თვისივ მჭვრეტელი ნათელი" — აგრე უწოდა ნათელს ნ. ზაქსმა]. მანვე ალხატა საოცარი სახე ბულბულისა — ბულბული (როგორც ინკარნაცია მარადი საგალობლის, მარადი მუსიკის („მგალობლის ყელი ხმადმტარებელი ტანჯულებათა"). აღდგინებისა, ხელახლივე სულიერ-შობის წილნაყარნი არიან ბულბულები—ასე რომ, ბულბული იქაც სიმბოლოდ: მხსვერპლისა, ისრაელისა, პოეზიისა, ტრანსცენდენციისა — მარადი მუსიკისა — და როგორც კი აღდგომის (მუსიკის) სიმბოლოდ მოგვევლინა, მაშინვე გაფართოვდა შინაგანი კონსტელაცია მისი — ეს მეტაფორა აღარაა — ევოკატიური ძალაა ეგ — ანუ პოეტის განცდა, რომელიც ყოვლისმომცველი განცდაა და მის მიღმა რამ მხოლმხედველობა არა სდგას — ე. ი. ნიშნის შიგნივ იცვალა სახის მნიშვნელობა და ახალ კონსტელაციაში მოექცა (გიზელა დიშნერი—ნელი ზაქსის ლექსთა გამო). — უჩვეულო

სახეა: „სინაგოგები სევდისანი“. („მიჯნურო ჩემო, ვით ქარბორბალა)“ მომაწყდება გულს „ურვა ეგზ შენის მტვერისა) — ხატი შემზარავი — კრემატორიუმთა ეპოქაში წარმომდგარ სიყვარულს ძალუძს მარტოოდენ ამგვარი გაცხადება. არ შეიძლება არ შთაგვებეჭდოს ზაქსისეული სურათ-ხატი „მტვერი“, „უმტვეროება“ (ლტოლვა უმტვეროებაშიდ“ — აღდგინების ეს უზეშთაესი სიმბოლო — ოდეს ვარსკვლავთა ალმეტყველებული ანბანის რიტმზე ქვები სტოვებენ მტვერსა თვისსა, აღილტვიან უმაღლეს არსებობაში, სად მტვერი არღა არს, სად სული ზეობს. „როგორაც აბრიალებული შეშა ალკმოლავს მაღლა და მაღლა, ხოლო უხეში ნაწილი (მიწადვე რჩება, დანაცრდება, აგრეც ლოცვისას მარტოოდენ ნება და მგზნებარება აღილტვის ზეცად, გარე სიტყვები უკანვე ცვივიან, ნაცრდებიან აგრე“. [მარტინ ბუბერის წიგნიდან ამონარიდი სიტყვები ნ. ზაქსის ზემორემოხსენიებული უზეშთაესი სურათ-ხატის გაგებას გვიადვილებს]. ეს ხასიდისტური ხწრაფვა მუდამ ეახლოვებოდა მის შემოქმედებას. „ყოველი აზრი ადამიანისა სიტყვა ანუ მეტყველი მოძრაობაა, გინდაც არ უწყოდეს კაცმა ეგი“ — ბრატცლაველი რაბინის, ერთ-ერთი უკანასკნელი იუდეველი მისტიკოსის (1772-1810) სიტყვები ძირისძირამდე განგვიმარტავს პოეტი ქალის ლირიკის უზეშთაეს ალმეტყველებასა და შინაგან დაფარულ ეესტიკას. ერთსაც ვიტყოდით: ნ. ზაქსის პოეზია თითქოს შინაგანად ენათესავება მარკ შაგალის აღტყინებულ (ცეცხლისფერ) ტილოებს, უცნაურ სიმჩატესა და ფრენას სხეულისას (ოდეს მიილტვის იგი), შინაგან ზეობასა და ამ ზეობასთან საკვირველად შეზავებულ ნაღვლიანობას.

კაბალისტური ლეგენდა იტყვის, ზოჰარის წიგნის შინაგანი ინტერპრეტატორის წინ ცეცხლი უცები ავარდებაო, ნიშნად აღრჩევისა. ის შინაგანი კოცონი კაბალისტთა ოთახებსაც გადასდებია თურმე არაერთხელ. ეს ის არამატერიალური ალმურია, რაიც არაფერს აზიანებს, რომელშიდ დაიწმინდება სულის მაღალი სუბსტანცია. და აი, ერთხელ, ოდეს შეიკრიბნენ კაბალისტები, როს ათასგვარად განმარტავდნენ „ელვარე ანბანს“, მხახური ბიჭუნა, ურინო, სხვათაგან შეუმჩნეველი, გამკარებია წიგნს ზოჰარისას, ცეცხლი ავარდნილა მისთა ხელთშუა ნიშნად უზეშთაესი აღრჩევისა. დადრეკილან ხანმოთეული კაბალისტები. ნელი ზაქსის დანარჩუნებული ყმაწვილქალური ნიშატი, მისი ურინობა და უცადობა ერთხელაც გაგვახსენებს უბრალოთა და გულუბრყვილოთა ბედის უცნაურ აღრჩევას. არცერთ მისტიურ კლანს არ აღურჩევია ნ. ზაქსი — უპირველეს ყოვლისა მისმა ცხოვრებამ და შემოქმედებამ აღაჩინა იგი და სიბრძნის კვინტესენციას აზიარა — [„ვარ მდიდარი (ვით ზღვა ერთი) წარსულისა და მომავლისა) წარს[illegible]ნივთიერებათაგან ქმნული ერთიან,) ან[illegible] — 1966 წ. დაიწერა ეს სტრიქონები. რამდენიმე წლის შემდეგ ნ. ზაქსი გარდაიცვალა. ომის შემდგომი გერმანულენოვანი მოდერნისტული პოეზიის დასაბამობას თანედგა კიდევ ერთი შეწირული საშინელი განსაწმენდელისა ვ. ბორხერტი (1921-1947) — ეს 26 წლის კლასიკოსი გერმანული მოდერნისტული ლიტერატურისა — მისი პოეზია, ისევე, როგორც მისი მოთხრობები, მინიატურები და დრამატული თხზულება 50-იანი, 60-იანი წლების საკუთრებაა სწორედ (თუმცაღა ავტორს 47 წლის აქეთ არ გამოუღწევია), რამეთუ ახალი თვისების, ახალი ლირიკის გამოვლენაა. ისევე როგორც ზემორეხსენებული ხანდაზმული მოდერნისტის ნ. ზაქსის პოეზია, უკანასკნელი ორი ათწლეულის მონაგარია იგი. აქ მთავარი ქრონოლოგია ანდა ასაკობრივი სხვაობა როდია — ქვემოთაც კი მოვიხსენიებთ ისეთებს, ასაკობრივად უფროსები რომ ჩანან, მთელის თავისი პოეტიკითა და შინაგანი ხმევით კი აქეთკენ იყურებიან, ჩვენი ათწლეულისაკენ, თვისობრივად მათი პოეზია „ძველებისაგან“ (თუნდაც 40-იანი წლების მიჯნაზე მოსული პოეზიისაგან) ერთობ განსხვავდება. ბორხერტის პოეზია გერმანულენოვანი ლირიკის დღევანდელობას მივაკუთვნეთ [ბორხერტის ნაწარმოებები ქართულად ითარგმნა, დაიბეჭდა, დაიწერა, რაც დასაწერი იყო და აქ აღარაფერს ვიტყვით, გავიმეორებთ კი: მისი ლექსები სრულიად ახალი თვისებისაა, აქეთ მაცქერალი].

ავსტრიელი პოეტი ქალი ი ნ გ ე ბ ო რ გ ბ ა ხ მ ა ნ ი გერმანულენოვანი მოდერნისტული ლირიკის ერთიანი საჩინოებაა 1926-1973). ი. ბახმანს ხამი ათწლეული მაინც აშორებს ნელი ზაქსისაგან, მაგრამ მისი ბედისწერაც ომი იყო (ომმა გალია ყმაწვილქალობა, ბომბების წვიმის ქვეშ ვიდოდა ბავშვობა—ისტორიული შეგნება პოეტისა სწორედ მაშინ ჩამოყალიბდაო — იტყვიან მკვლევარები) — მერმე იყო ხეტიალი, ფაქტიური ემიგრაცია, ბოლო საყუდარი იყო რომი — იქ დაასრულა ფიზიკური არსებობა 1973 წ. ოქტომბერს — ტრაგიკულად — ცეცხლი გაუჩნდა მის ბინას და შიგ ამოიწვა. ი. ბახმანმა მოიარა რამდენიმე უნივერსიტეტი და 1950 წ. დაასრულა განათლება. საბაკალავრო თემა: „შესაფასებლად მარტინ ჰაიდეგერის ეგზისტენციალისტური ფილოსოფიისა.“ ცნობილი ეხე ლ. ვიტგენშტაინზე. ი. ბახმანი პოე-

ტიკის დოცენტი გახლდათ, ფრიად განსწავლული. არაერთგზის გამოსულა მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტში. ი. ბახმანმა პროზაც წერა და რადიოპიესებიც. საყოველთაო აღიარებაც არ დაჰკლებია. მისი ლექსების კრებულმა „დრო განგრძელებული" 1953 წ. მოიხვეჭა 47-ჯგუფის პრემია. 1961 წ. გამოსცა მოთხრობები უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი გერმანელი პოეტი საუკეთესო, პირველხარისხოვანი პროზაიკოსიცაა, გ. გრასი აილე „თუნუქის დოლის" ავტორი, რომლის ლირიკულმა გმირმა მერმე ამავე რომანში გადაინაცვლა. ასევე პ. ცელანი, ბ. ბენდერი და სხვები). აღიარება ერთია, ბედი ბედადვე რჩება, შინაგანი ემიგრაციაც ასევე. ი. ბახმანი ჰ. ფ. ჰოფმანსთალის პოეზიას ეთაყვანებოდა [ჰოფმანსთალისეული მანერის ერთგვარი გადაძახილი მის ლექსსაც ატყვია]. ბახმანის პოეზია (როგორც ნ. ზაქსისა) დუმილს ებრძოდა, პოეზიის წინაშე აღჩენილ დუმილს, როცა პოეტური აზროვნება ცალკეული ბგერის აქცენტს შეაჩერდა ანდა წმიდა ეგზისტენციალურ სიტუაციებს; შინაგანის ზედმიწევნითი გაცხადება მოინდომა და „დუმილს დაენთქა" („დუმილს შთავარდნანი"). სიტყვები კვდებოდნენ თვალწინ (მოუმარჯვებლადვე) — ფრანკფურტში წაკითხული ლექციაც ამასვე ეძღვნა — „ენის იმედის გაცრუება" („დაკარგვა ენის იმედისა") წინაგრძნო ჯერ კიდევ ჰ. ჰოფმანსთალმა — ი. ბახმანი მისგან მომდინარე ეძიებს საუდარს სულისას, „ენისმიერ უტოპიას" — გათავისუფლებისა და აღდგინება-აღორძინების საუფლოს; ახლებური შეგნების აღზრდას ქადაგებს, 50-იანი წლების გამოცდილების კვალად, ისტორიის ფილოსოფიის კვალშიდ მიყოლას (ისტორიის ფილოსოფია — როგორც ერთადერთი აზრი ყოვლისა — მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიის ქვაკუთხედია). ი. ბახმანის ბიოგრაფია 47-ის ჯგუფისგან განუყოფელია. ბახმანზე 1 წლით ადრე 47-ის პრემია გადაეცა პ. ცელანს, 1 წლის მოგვიანებით — ჰ. მაისენბაუტელს, სამი წლის შემდეგ (1956 წ.) — ენცენსბერგერს.

ი. ბახმანის პოეზიაში მიგვენიშნება გ. ტრაკლის ერთდაგვარი გამოძახილი [ეს გასაკვირველი როდია, 50-იან — 60-იანი წლებისა და 70-იანი წლების პოეზიაც გერმანული ექსპრესიონიზმითაა ნაკვებ-ნაზარდი, ოღონდ უფრო მეტად დაკონკრეტებულია და ენობრივადაც გამოკვეთილი — დასაზღვრული].

ბახმანისეულ ხატვაში შემოდის: ვულკანი, დრაკონი, ცეცხლი (მთვარის ცეცხლი, მთვარის ძალისხმევა), ზღვა. ხსნისკენ დამართული შინაარსების მანიფესტაციაა ეგი (ესქატოლოგია) — თუმცადა განსაკუთრებული რამ მესიანიზმი არ გემცნევა ბახმანის ლექსთა გადამკითხველს. ეს თავისებური იმაგინირება (ერთგვარი მითოლოგიზმით შენელება) — ევროპული, ეპოქისმიერი სუბიექტივისტური განწყობილების შედეგია (როგორც მკვლევარები მიიჩნევენ). სუბიექტივისტური განწყობა განაპირობებს მითოლოგიის შემოტანას ყოველი პოეტისა თუ მწერლის შემოქმედებაში [ერთერთი რუმინელი მკვლევარის გამონათქვამის პერიფრაზი]. მითოლოგიურ რასმე ნეგატიურ ძალად აღჩნდება აღგზნებულ ფსიქიკაში გუშინდელ ბოროტმოქმედთა და კაცთმოძულეთა ღრეობა:

Sieben Jahre später/in einem Totenhaus//
trinken die Henker von gestern/die Goldnen Becher aus/.

— ბახმანის ლირიკაში ხშირია გარდაცვლილთა მოხეტება, ტანჯული სულების გამოჩენა პეიზაჟში შემოსვლა მათი. საგულისხმიერო ლექსებია — „გზად ასწრაფება. მებადურთ ქოხი," ქოხი—გემბანიდან დანახული პურის ჭამად დამსხდარი მეთევზეები, უხმონი, გამლევარნი, ლბილნი — მომდგარი ტალღა რომ მოიქცევა, მაშინღა ხედავ, თუ კი დააკვირდები,—დგას მარტოხე — შტოჩამოლეწილი, ქარს დაურბევია უკვე. გაუმკლავდება კი ცალმკლავა მომსკდარ უამინდობას? გემიდან ხედავ მშვიდ კაცურ საცხოვრისს, მარადიულ კონტრასტს ამ აზვირთებული ავდრისას, ქაოტური ბუნებისას — იქით იდილიაა — წამი და გაქრება მიწაცა და ქოხიც — ზღვის ურჩხულები ატოტებულან ნიჟარების ახმიანებით, მოკამკამე ხმლები მათი ნაწილ-ნაწილ ჩეხავენ მგზავრის გადარჩენილ დღეებს, მეწამული კვალი წყალს გასდევს — დარჩენილი წუთებისა თუ საათების წიაღში მიგასვენებს ძილი დაქანცულს — გონებას მკარგავ — იღვიძებ, როცა გემზე დილაადრეული ფუსფუსია და გარჯა. „კარგია აგრე დაღლა და (ღამით უილაჯოდ აგრე მიგდება,) კარგია ისიც, თენებულზე (სულის ნათელი აღგენთება როს!) გაუმაგრდით გადმომხობილ ულევნელ ზეცას, (— არად ჩააგდო ზღვა ეგოდენ დაულაბველი,) ტალღათა ზედა აღახწრაფო და აღზიდო ესოდენ გემი, (იმა მზის ნაპირთ გააგებო, რომელნი მარად მოიქცევიან"; მეორე ლექსი (ლირიული პოემის მაგვარი) — „ქვეყნისა, მდინარისა, ტბისა გამო" — ადამიანის დიდი ოდისეაა, მისი სუნთქვის სულმცირე ღრუბლის განმქვრევა — ჯერ ოდისევსის ხეტებაა მოხსენიებული, იქვე ჩინობს ბიურგერული სამყარო. ღამე. მოძღვრის ჯალაბობა. ჩაძინებულთ ხელთ უპყრიათ ბიბლია. თვლემენ მათნი ნაშიერნი, კვლავ თვისივ მსგავსთა წარმომშობელნი. ასე ჩუმად, ასე უსიტყვოდ გადის ღამე. მიდის მდინარე, წნორები რომ ზედ დასწვდენია — მალ-

ლობზე ციხე-დარბაზი ჩანს. სიზმარ-ცხადში, გარდასულთა მოჩვენება. რაინდული ციხე-კოშკი, სიკვდილისა და შეჩვენების მომხწრაფველი დრაკონის ნიშნისდაკვალად მბრუნავი, პრეისტორიის კვლავ შემომქცევი. მერმე პრეისტორიის ხილვა მოდის: ცხოველთ სხეულებაში შთასული მიჯნურები ტიბეტის ხეობად მიედინებიან (მეტემფსიქოზური ხილვა), მანამდე კი კრისტალში მომწყვდეულიყვნენ; ამოვიდნენ მერმე, უპირველესმა აზრმა როს გაალღო გაქვავკინება მათი. ახე იცვალეს სამოსელი. ფრთოსნებისაებრ ამჩატდნენ ერთხელ — მერმე კიდეც დაიხუნძლნენ ხეებივით. მოკვდნენ, გაცოცხლდნენ (ხან არსნი იყვნენ ხანაც ნივთნი) თავისუფალნი კი არასდროს ვყოფილვართო — განაცხადებს ლირიული გმირი [პირველი პირითაა დაწერილი; მიჯნურისადმი მიმართვის ფორმა] — არასდროს გაუმჟღავნებიათ ერთმანეთისათვის, თუ რად უღირდათ ერთმანეთი — მწვერვალს აუყვნენ — სიტყვით შემოსვა ისურვეს, კაცადქმნა. ხახელდეს საგანნი, ამის მერე იყო, ჩახვდნენ: თოვლი არა მარტო თეთრი ტვირთია, ცით ჩამოტანილი, არამედ სიჩუმეცაა, გარდმოვლენილი ჩვენებაცაა. თუმცაღა დასაზღვრეს სახელით მაერიცაა და ალაგიც, ორნი მაინც გადადიოდნენ ყოველ სამანსა და ყოველ მიჯნას; ხამშობლოს ხევდა შემოაწვებოდათ (ანუ უფრო სწორად ნაჩვევი ალაგისა). გაალაჭებდნენ უკანვე, დაუბრუნდებოდნენ ისევ იმ ალაგს. ეხმატკბილებოდნენ ალაგთა და ალაგთა — მერმე იყო მწყემსების ტომი. სიზმრისეული გარდასახვანი. ეს ყველაფერი სიზმარია და ეს ქვეყანაც არის გამოგონილი ქვეყანა მდინარეთა და ტბათა. უძირო ტბათა და ჭრიჭინობელთა ქვეყანა — [სად სული გადასძახის სულს და მიელტვის]. მაგრამ ამა, ეთხოვები სიზმარეულ ქვეყანას და აღარ იცი, გეზმანა იგი, თუ თავადვე მოიგონე, თუ თვით შენი წილხვედრი ცხოვრებაა სიზმრისმიერი — ჩაქრა ყოველი — ემშვიდობები — რაც მოიწიე, რაც მოიმკე (რეინკარნატიული ასპექტი) — ჩიტის ბუდეები ჩამოიშალნენ უკვე. სიმბოლური თუ მითოლოგიური ფინალი ყოვლისა-ფანტასმაგორია:

«O Engelstille, wenn im Gehen die Fäden/ in alle Lüfte ausgeworfen sind/ zu allem frei, wird sich die Hand nicht lösen,/ die einen fängt vom Gang ins Labyrinth».

ამ თითქმის განუმარტავი სტროფით გვირგვინდება ეგზისტენციალური სიტუაცია, ანუ ოდისეა სულისა თვისივ წიაღში, ხოლო აღმძრველი მისი გახლდათ პოეტის განწირულობა, რომლიდან მოყოლილი გადაულახველი ექსოდია, სულიერი ტანჯულება — ეს ერთდაგვარი ჰალუცინაციის — მიერობა ი. ბახმანის პოეზიის განუშორებელი თვისებაა, დიდის ძილით ხმეული.

შემზარავი ტკივილებითაა ნაკარნახევი რომში დაწერილი, უცხოობის [illegible] მისი ლექსები — („მკვდარი [illegible]
პრეფექტურად რომ არ გაწერილა,
რომ არ აგონდება ქალაქს ოქროვანსა არცერთს
და არც მოზურმუხტე მიწის პირსა —
დრო მახლავს მარტო, ჰანგი მარტო,
მარტოდენ ენა გერმანული, ღრუბელივით რომ
შემომეჯარვის, რომელი სახლად ამიჩენია,
მით ვეტევები ყველა ენასა"-ო.

„და მე კი ვწევარ მარტოდ აგრე (ყინულის ჭრილსა (თოვლს ჯერეც არ ჩაუჩუმქრავს თვალნი ჩემნი) მიცვალებულნი მომჯარვიან, (მეკვრიან აგრე, სიტყვაუჩვევნი) ალბათ არავის ვუყვარებივარ (არსად ლამპარი ჩემად დანთილი,) აგრერიგად რომ ექანება".

ი. ბახმანმა — წინამგრძნო სიკვდილი — სოთცარია და შემზარავი გაცხადება ლექსის „სასტუმრო de la Paix":

„ვარდების ტვირთი უჩუმარ აგრე კედლებიდან
ჩამოიქცევა,
ნოხიდან მსწრაფლ რომ ამოჩნდება, ამოღებული
მიწა არი და, ნიადაგი,
სინათლის გული გამოტეხს ლამპარს და, გამოვაუკუნეთი- ნაბიჯები.
სიკვდილის ფერთხით აგა ურდული".

საგულისხმოა ი. ბახმანისეული ხატი ერთი: ციური სამოთხეს ამიერითგან ტანჯვით დაცემულთა სულები ემკვიდრებიანო, ღმერთები არიანო ახლა ისინი [გაგვახსენდება ზაქსისეული ხატი ქერუბინებისა, უხანოდ გარდაცვლილი მეცხრე ცად ამაღლებული ბავშვებისა]. ტანჯვით დაცემულ სულთა თეოზისი — უღრმესი განცდაა იმ განცდათა შორის, კაცს რომ მომადლებია. ამას გაგება უნდა და ჩაღრმავება. ი. ბახმანის უდროო (თუმცაღა ხედისწერული) აღსრულება ამოუზღვავი დანაკლისია გერმანულენოვანი პოეზიისა. ამგვარი ტალანტები იშვიათად იბადებიან, ჯერ ერთი, და, მეორეც, ხანში შესვლისა და სიბერის ჟამსაც კი ხელეწიფებათ უცნაური აჟარდნა და ამაღლება. ამიტომაა დასანანი ეს ყველაფერი.

ი ო ჰ ა ნ ე ს ბ ო ბ რ ო ვ ს კ ი (1917-1965 წ.წ.) აღმოსავლეთ გერმანიის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის პრემიათა ლაურეატი. 47-ჯგუფის თანამდეგი (მისივ პრემიით დაჯილდოებული). თანაბრად გაითქვა სახელი როგორც პოეტმა და როგორც პროზაიკოსმა.

მისი ლექსი გამორჩეულია (მაუცხოებელი ინტონირება, სუნთქვას დამყარებული რიტმიკა,

ანუ წყვეტილი, სტრიქონ და სტრიქონ შუა მსკდომი ბგერები, რიტმზე დამყარებული უცხო ასოციატიურობა, ბუნებისადმი მიმართება იდუმალის ძალით, სულის ხმევა, სიწყნარით აღმავალი, ჰარმონიის არდამთმობი). ი. ბობროვსკის არაერთი მოწაფე აუჩნდა დასავლეთ-აღმოსავლეთში. [ცალკე თემაა ლიტვურ-სლავურ-გერმანული სინთეზი, ბობროვსკის შემოქმედების მარადი თანამდევარი]. ი. ბობროვსკი გერმანულენოვანი თანამედროვე ლირიკის წინამძღვართაგანია. იგი ამავდროს თანაედგა ქრისტეანი მწერლების საკრებულოს (გდრ-ში და არა მარტო გდრ-ში). ი. ბობროვსკის ლირიკაშიც გამოისმის ტრაღიკული ნოტი, ოღონდ სულ სხვანაირი (ჰოლდერლინისებრ მეოცნებე და ნატიფი).

«Из сказочных поэтических видений и натуралистических деталей формируется какая-то третяя действительность и видишь, как эта почти готовая действителность снова рассыпается, разбрасывая искры, вопросительные знаки — (ეს სტილისტური ხერხია, ი. ბობროვსკის პროზისა მეტადრე — ეს კითხვის ნიშნები). Все сначала? — Материя должна вторично раствориться в бездне таланта... такая стихийность, как у Б. довольно редкое явление в немецкой литературе».

[ჩამოყალიბებული სინტაქსის გამო. ახლა გავიხსენოთ ჰოლდერლინისეული ასინტაქსურობა — მ. ჰაისენბაუტელის გამოთქმაა] — მიქოლას სლუცკისის ნათქვამი, მართალია ი. ბობროვსკის პროზას მოიხილავს, მის პოეზიასაც რიგიანად მიესადაგებოდა, რამეთუ პრინციპი ი. ბობროვსკისა ერთია იქაც და აქაც. ი. ბობროვსკის ერთ-ერთი წიგნის სათაურია „მდინარენი ჩრდილთა ქვეყნისანი", 1963 Union Verlag

მ ო გ ზ ა უ რ ი [ყ ა რ ი ბ ი].

მდინარის ხმიანება
ტევრის ფშვენა მძიმე-მძიმედ,
დაფრენენ აგრე გამყივარნი
ფრთოსნები ცარგვალს. ძველთუძველესნი
მისადგომნი სიბნელისანი,
რომელთ სითალხეს დაჰგურგურებს ვარსკვლავთ
კოცონი.

ქაცურად განვვლე ცხოვრებაი,
ბჭენი განხმულნი არ მითვლია,
დახშულთა ბჭეთა ერეკდი ესოდენ.

განხმულია ბჭე ყოველი,
ხელგაშლილი დგა მხმობარეა, აწ
ტრაპეზისკენ წარმომიძღვება.
აჰანდე სიტყვა: ხმიანებენ ტევრნი ფრიადნი,
თევზნი ნაკადს გადმოჰქროლავენ
სუნთქვადათმენილს, ზანზარებს შუქა
ახანძრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და კიდევ:

ტბა.
ტბა რამე.
დაძირულია
ნაპირები
ღრუბელი არი, ხოლო ქვემოთ
წეროა ერთი მეჯოგე ხალხის
წილხვედრი ისი საუკუნენი აღკრთომილან
სპეტად სრულიად,

ქარს ამოვყევი,
მთას ამოველ,
აქ დავმკვიდრდები. მონადირე
მერქვა აქამდე. მომიწყვდია
ახლა შალდიყმა.

ბალახო, შენი მასწავე ენა,
თან კი სმენა ესე ყოვლისა,
სიკვდილი ესე.
მასწავლიდე, ქვაო, შენგნივე გრძელსიტყვაობას,
მასწავე, წყალო, უბრყვილოო, ქვეყნად დაშთენა
და, ნიავქარო, მომკითხავე ნუმცა.

გ ჰ უ ნ ტ ე რ ა ი ხ ი (დაბად. 1907 წ.) — სახელმორჭმული ლირიკოსი, მრავალთა მოწაფეთა დამმოძღვრებელი აღმოსავლეთ-დასავლეთში. 1950 წ. 47-ჯგუფის პრემია გადაეცა. 1959 წ. გ. ბიუჰნერის პრემია. ბავარიის ხელოვნებათა აკადემიის წევრი. გ. აიხი გერმანულენოვანი მოდერნისტული პოეზიის ფუძემდებელთაგანია. „აზრისა და სულიხმიერ სამყაროთა ძირისძირამდე ჩამწვდომელი" (კარლ შვედჰელმი). გ. აიხმა მალალხარისხეულად გააგრძელა გერმანულ ლირიკაში დამკვიდრებული ტონალობა ბუნების გაშინაგანებისა [სტ. გეორგე, გ. თრაკლი, მ. დაუთენდეჲ და სხვ.]. რაოდენ შთამბეჭდავია თუნდაც ნაწყვეტი „ზაფხულის მიწურულისა":

გარეგან ხეთა ნუგეშინისა რა დაგარჩენდა
ქვეყანაზე!
რარიგ კარგია, რომ სიკვდილის ერთი წილი
ხეებს რგებია!

მძლევართა გუნდებს ვანდე ჩემი უიმედობა,

ფოთოლთა შორის
ბნელს რამე ძალვად იმჩინარებს
გამლილობა — გაწევართვა მათი,
ფეროვან აგრე შეთვალავს ნაყოფს
იმათი ფრთების მიმოტარება.
დაითმენდეთ — შეგაგონებს.

[საოცარი ერთიანობა ბუნებისა; ფრინველთ

ძალი, ძველთაგან იმედისა და მომავლის მომხწრაფებელი. გამნაყოფიერებელთა და ხეთა დამხუნძვლელთა იდუმალი დანიშნულებაც ჰქვის მათ მძიმე-მძიმე ლტოლვილებასა და ბრუნვაში თითქოს. უძველესი მძლევართ მჩხიბველის ნიში მომადლებიაო თითქოს პოეტს].

### გარდაქმნილი პეიზაჟი

მოდენილია სამხრეთიდან ნაღვლიანობა,
დათოვლილობა მოვიხილოთ რათა ველების,
განძარცულობა ტევრებისა,
მივიწყებულნი ალაგნი ისი გულისანი,
კორომნი ისი იჭვისანი,
ფიცხელი გზანი ნდობისანი
ლობეწნულები სილატაკისა.

ჰგრძნობენ თუ არა გარდაცვლილნი მქროლავ
ბორიოს,

ამას ყამირნი გვანიშნებენ
(ლილოჰრილოსებრ
ისინიც აგრე უსწორმასწორ
ამოფტკნულან).

— ეს გაორმაგებული ხედვა ბუნებისა და სულისა, უჩვეულო თანხვდომა მათი, ბუნებასა და სულში აღმოჩენილი ცვალების იდენტურობას მიგვანიშნებს.

აიხის საუკეთესო ლექსებია: „თანამყოფობა". — ქალისა და კაცის ურთიერთწვდომა, დაუხანებელი და მარადისყოფაში გადამყვანი წამი, ქალისა და კაცის მაერთებელი. სოციალური ელფერითაა მოსილი ლექსები: „მოგზაურობა" (ცეთროვანისადმი მიძღვნილი) და ლექსი „დახედეთ ხოლმე ნუნებს" (ეპიდემიას, ჟამს — აცნობიერებს თითქოს მზერა, აცნობიერებს ვერსაცნაურს, ბედისწერულს).

„იაპონური გრავიურა" — ეს მცირე ლექსი ერთგვარი მედიტაციაა, სახოვნება მისი ძენის პრინციპს ალუძვნიაო თითქოს.

ქურანი
ალვირჩაბმულია,
რიგიან ადგას უნაგირი,
ხეტავი ვისად?

განდა ახლო იყოს მხატვარი
უჩინმაჩინი დაშთება მაინც ამა სურათზე

მხედრის მაგიერ წარსდგი ფეხი,
სურათსა შიგან დაეტანე,
მოიზიდე მოსართავები.

1976 წლის 12 დეკემბერს მიიცვალა პოეტი კ ა რ ლ კ რ ო ლ ო ვ ი (დაბად. 1915 წ.) 1956 წ. გადაეცა გ. ბიუხნერის პრემია. უკანასკნელ ხანებში, ოდეს პოეტები ესსეისტიკას ანდა სულაც პოლიტიკურ მოღვაწეობას მიეტანენ, კ. კროლოვი ლირიკის ერთგული დარჩა. (ბუნების მგოსნის ვილჰელმ ლემანის მოწაფეა იგი). დასავლეთევროპელი მკვლევარი ჰ. ფრიდრიხი იმაგინატიურ მჭვრეტელად მიიჩნევს კროლოვს; სიტყვათშორისი გადვანური ველის დამკვლევად [სიტყვათა და ... ჯუფთის აკორდისა თუ დისაკორდის განმცხადებელიაო იგი]. თითქოს და ისე, უცხოდ, თამაშ-თამაშ აგნებს ჭეშმარიტ სიღრმეს ისეთი ლექსები, როგორიცაა „ანარქისტული სინათლე" [კონსტრუქტივისტული რამ სურათი: საგნებს ჩრდილი დაუკარგავს; თეთრი კანი, რაკილა სხეულს დასცილებია, კიდევ უფრო განსპეტაკებულა. საყვარელს შეყვარებულისა ვერა გაუგია რა ჩრდილის გარეშე. ერთი და იგივე მოძრაობათა გამეორების მისტიკა. ხოლო ქვესკნელი, ჩრდილთა მშობელი, ლოდქვეშ სიბნელეს შემყუდევიაო — ასე მთავრდება ეს ლექსი]; ლექსი „სიყვარული" და მრავალი სხვა. ერთობ საგულისხმოა კროლოვისეული ვრცელი ლექსები (თავისუფალი მანერით გაწყობილი, ელეგიათა ახლებური ჟღერებით) — მიმობნეული, მკრთომარე სახეები, ინტუიტიური წვდომა საგნებისა და მოვლენებისა — ყველგან და ყველგან.

### ქერუბინული პეიზაჟი

ქერუბინული პეიზაჟის სამეუფოში
თითო ბუჩქიდან თითო მთვარე ამოზიდულა.
ერთურთის ტუჩზე ხელს ვაფარებთ,
მერმე თვალთა, დაკლული კრავის თვალთა
ნელინელ

ვხუჭავთ ყველანი
სიყვარულს არცა დაჰბედებია სისხლჭარბობა და,
ცისფერთა ქართა საბანებელში
ჰქმნის მიყოლებით ახალსხეულებს.
ზანგის ასულნი შესთავაზებენ
ღრუბლებს სიშავეს.
სულსა თვისსა
თევზნი მდინარეს განუბოძებენ.
წამოვა იგიც და ნაპირებს შემოადგება.
გაცისკროვნებულ სხეულებს
მოიძიებს შესამოსელად

პ ა უ ლ ც ე ლ ა ნ ი. 47-ჯგუფის პრემიის ლაურეატი. უსაჩინოესი გერმანელი პოეტი [დიდად დაფასებული დასავლურ კრიტიკაში, მოდერნისტული პოეზიის კლასიკოსთა შორის შერაცხილი]. ცხოვრობდა პარიზს, განსწავლული რომანისტიკაში, გერმანისტიკაში. ფრანგული სიმბოლიზმის, რილკეს ბოლოყამინდელი ლირიკის მეცანი. თავისი პოტენტური ემიგრაცია პარიზშივე დაასრულა თვითმკვლელობით. არცერთ თანამედროვე გერმანელ პოეტზე იმდენი არ დაწერილა (თანაც აგრე ფუნდამენტურად), რამდენიც პ. ცელანზე დაიწერა (წერილებიდან

და წიგნებიდან მოყოლებული დისერტაციებამდე). პ. ცელანის პოეზია ხტ. გეორგეს ეზოთერული ლირიკით მიჰკვლევდაო გზას — აღნიშნავენ მიმომხილველები. ცელანისეული ლირიკის ენობრივი მომჭირნეობა თვალშისაცემია სწორედ. ბოდლერისა და რემბოს წამოწყებული პერმანენტული რევოლუცია პოეზიის ენას თანდათანობითი ნგრევით დაემუქრაო [წერს ბენგტ ჰოლმსქვისტი — ნელი ზაქსის ლექსთა კრებულის წინათქმაში]. „დღესდღეობით რაც ლექსში ვლინდება, ეს არის სიძნელე სიტყვათხმარებისა, ხოლო ბობოქრულად დაირიბებული სინტაქსი, ელიფსური სახვა მლვიძარი აზრისა ცხადყოფს ლექსის ჯიქურ ლტოლვას დუმილისაკენ“ — პაულ ცელანის სიტყვებია. გარეგნულ მიზეზთა გარდა ლექსის დუმილში დანთქმას შინაგანი საზოგადოებრივი სიტუაცია განაპირობებს. მთელი ეს ენობრივი ექსპერიმენტირება, ერთგვარი ლინგვისტური გაუცხოება არა არის, თუ არა გაბრძოლება ენობრივი საუნჯის იმ ტოტალიზაციის წინააღმდეგ, მმართველი წრეების პოლიტიკას, თუ ტექნიზირებული, „თანამედროვე ჩვევათა“ ტყვედქმნილი საზოგადოების ნებას რომ ემსახურება. ამ საშინელი მანიპულირების წინააღმდეგ აღმდგარა დასავლური თანამედროვე ლექსი. და ის ბარიერიც, უბრალო მოკვდავთა წინაშე აღმართული, ბარიერი ვერგაგებისა (ანუ, თ. ადორნოს სიტყვას თუ მოვიშველიებთ, „შოკი ამოუცნობლობისა“) ფორმაა ბრძოლის, ფორმა ექსტრავაგანტული, პროტესტისმიერი აზროვნების და, არა წმინდა და გარეგნული ექსპერიმენტი. სიტყვა კლიშედ ანუ სკრიპტუმად იქცევაო აწინდელი მაშინერიის ხელში — უთქვამს ჰ. მარკუზეს. „ერთგანზომილებიან“, განადგურების გზაზედ დამდგარ პოეზიას, მმართველი აპარატის მიერ რეკომენდებულს, აღუდგება პროტესტი, უარყოფა ყოვლისა არსებულისა (ანუ მარკუზეს თქმისაებრ „დიადი უარყოფა“, — „პროტესტი, მოპირისპირე იმისა, რაიცა არს“. ხელოვნებაა ერთადერთი იმედი, რომლისა წიაღთ ეგების „გადაიზამთროს“ დევნილმა თავისუფლებამ. — ეგ ტრაგიკული სიტყვებია, ხოლო მილმა ამისა დაჩნდება ტრაგიკული სიცხადე).

ერთი მიზეზიცაა, ლექსის თანამედროვე რედუცირების განმაპირობებელი: გადატანილი საშინელება ომისა, განადგურებისა, სიბოროტის აღზევებისა, რისი დავიწყება შეუძლებელია (დასავლეთგერმანელ, ასევე ავსტრიელ თუ შვეცარიელ მწერალთა მოქმედ თაობებს — 60-დან 84 წლამდე შემოსაზღვრულ ხნოვანებას ამა თაობებისა), ახსოვთ ეგ საშინელება, ქვეცნობიერებაში გადასული, დღევანდელი ყოფნის ტრაგიკულად გამაელფერებელი. ყველა ამ პრობლემას უკავშირდება პ. ცელანის ცხოვრება, შემოქმედება და მისი ტრაგედიული აღსასრულიც. მისი ერთ-ერთი შედევრია 1958 წ. დაწერილი ლექსი „გიხოხნი ენისანი“.

საყუთა-მიერ მონიშნულ[illegible] თვალთა

ქუთუთო მბდვინვარე ნადირი
ნიჩბებით ალვივლა,
განახვნა სახედველი.

მოცურავს ირისე, ოცნების განძარცვა, ოდენ
კაეშანი,
ზეცა, გულისაებრ თალხი, გვიახლოვდება.

ალმაცერ იელვებს, გაკრთება
რკინის როზეტაში კვარი —
სული უხილავ არს თუმცა,
გრძნობის ნაშუქარი ამხელს.

შენებრ შევქმნილიყავ ნეტავ.
შენაც შექმნილიყავ ჩემებრ.
აკი გავუმაგრდით ხორშაკს,
ერთად დავუდექით ხორშაკს,
ახლა უცხოები ვდგავართ.

არის ქვაფენილები ესე. ერთურთს მიჯრილები
ესე,
ერთურთს მიჯრილები ვსხედვართ,
და იქ სიცილი ორთა, სიცილი გულისაებრ
თალხი
და იქ დუმილია ორთა,
ორივ მოუვსია პირი.

და კიდევ: მოვედინ მოვედინ
მოვედინ სიტყვა მოვედინ
განმჭოლად ღამისა
ნათება ჰსურინ ჰსურინ ნათება
ნაცარნი ესრეთ
ესრეთ ნაცარნი ნაცარნი ესრეთ
სიღამე
სიღამე და-ესდენ სიღამე, თვალთ
დაეტანებოდე, დაეტანებოდე ნოტიოთა
დაეტანებოდე თვალთა, ნოტიოთა დაეტანებოდე.

[„ლირიული „მე“ — „მე“, (გისოს რომ გაანგრევს, გავა) გისოსი მე ვარ“]. „ალარასა“ და „ჭერ კიდევ არას“ — შორის ეფეთება პოეზია, ამბობდა პ. ცელანი. მისმა ლექსმაც ტრაღიკულად აირეკლა ესე ყოველი. იგი მაძიებელია ცეცხლოვანი მარადიული ანბანისა, შინაგანი ცისკროვანი ძალისხმევით ეშურება მისკენ — ცელანის ეგევითარი ძიება ერთგვარი ანალოგია ნ. ზაქსის პოეზიისა (მისგან სრულიად დამოუკიდებელი. გადაძახილი ორი რჩეული

პოეტისა. უშორესი მანძილი იდო მათ შორის, დროითიცა და სივრცობრივიც). კრიტიკოსები პოსტსიურრეალისტურად ნათლავენ პ. ცელანის შემოქმედებას, მაგრამ — აღნიშნავს გიზელა დიშნერ-ი [ნ. ზაქსისადმი მიძღვნილ სტატიაში] — მომავალშიც ალბათ ბევრ კრიტიკოსს შეაღონებს ერთი თავსატეხი: „იზმებიდან" რომელსა და რომელს მივაკუთვნოთ გვიანდელი რილკე, ასევე გ. თრაკლი, ნ. ზაქსი და პ. ცელანი, როგორც, ერთის მხრივ ჰოლდერლინის კლასიკაში მოქცევაა პრობლემატური, ასევე, მეორის მხრივ, პრობლემა შექმნილა გ. თრაკლის ექსპრესიონიზმში, რ. მ. რილკესი — სიმბოლიზმში და პ. ცელანისა და ნ. ზაქსის რაიმე ჩარჩოში მოთავსება — სიურრეალიზმი იქნება ეს თუ პოსტექსპრესიონიზმი. გ. დიშნერის მოსაზრება სიმართლეს მიგვანიშნებს უპირველესად (გერმანულენოვანი მოდერნისტული ლირიკის სინამდვილიდან, მისი ენობრივი, ფორმისმიერი სპეციფიკიდან გამომდინარეა ეგე მოსაზრება). გერმანული ლირიკის მკვლევარი ჰ. რიხტერი წერს ცელანის გამო: ის კიდევ ერთი იმედი იყოო გერმანულენოვანი ლირიკისა, აგრე უდროოდ და უსაზმნოდ ჩაღუპული. ანთოლოგიური ლექსი პ. ცელანისა — „კუნძულის დახწვრივ":

კუნძულის დასწვრივ, მკვდართა გვერდიგვერდ,
ტყის გამოლმა, მარტოხის გვერდით
შეულლებულთა
მკლავებს ზეცის შავარდნები დასტრიალებენ,
დიან სულები სატურნისებრ შემოწერილნი:

წყალს მიხოფავენ უცხონი და გალაღებულნი,
ეგე ოსტატნი ყინულთა თუ ქვათა კოველთა:
დაძირული ტივტივების ყლრიალი-ყლრიალი
მოაკილებთ,
ღმუილი ზღვისა და ზვიგვენთა ზურგები ლურჯი.

ჰხოფავენ აგრე, წყალს ჰხოფავენ, ჰხოფავენ
აგრე —
გარდაცვლილნო და მიმცურვალნო,
მოესწარფენით!
მოეჯარენით ყოვლისმხრივ ამა სათხევლსა!
ეგე ზღვა ჩვენი ხვალ განქარდება და
განიმქვრევა! —

ეგ სევდაშემოსილი ხილვა გაგვიცხადებს სიღრმეს, შემეცნებას, სიკვდილის წინარე დაუდრეკლობას — პ. ცელანის პოეზიის ამ განუშორებ თანამდევართ.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი (დაბად. 1929 წ.) 47-ჯგუფის წევრი. უთვალსაჩინოესი პოეტი, მოლვაწე, იდეოლოგი სიტყვის. ენცენსბერგერის ესსეები საქვეყნოდ გაითქვა, მრავალ ენაზე ითარგმნა კიდეც [გამოსვლები ამერიკაში, ევროპაში, ყველგან და ყველგან]. ლექსების კრებული „პოემოზალთ ანბანი" 1964 წლისა — [illegible]ბენს ენცენსბერგერისეულ [illegible]ებებს. გერმანულენოვანმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ენცენსბერგერს „კურაჟული ანალიტიკოსი" უწოდა. მსგავსი შემეცნებელი პოლიტიკური სიტუაციისა, სოციალიური ქცევისა, აწინდელი შეგნებისა, ინტელექტისა დასავლეთგერმანულ სინამდვილეს ძნელად მოეძბნებაო. მისი კრიტიცისტული ხმა სწორედ რომ შეუცვლელიაო დასავლეთგერმანულ სინამდვილეში. ენცენსბერგერი თავგამოდებით ადგას პოეტური სიტყვის აუთენტურობას (პოეტს დაუფარავი ტრიბუნობა არ მოეთხოვება, სიტყვათა და სიტყვათა შუა ჭვრიტებში უნდა ყონავდესო პოლიტიკა, ავტორის ზურგს უკან, თავისით უნდა აღსრულდესო ეგე). დახაზამით ბრეხტის მოწაფე გახლდათ (ბრეხტისეული ლირიული ტრადიციის მომდევარი). პირველი წიგნი ლექსებისა 1957 წ. გამოსცა. მაშინვე მონათლეს კიდეც „დაბოღმილ ყმაწვილკაცად" მისი ავტორი. „ვითარების წარმოჩენაა ლექსის მიზანი, ხაამისოდ ლექსზე უკეთესი სხვა რამ საშუალება არ იპოვება... ვითარების წარმოჩენა ამავე ვითარების შეცვლასა და ახლის წარმოქმნას ედრება ლამის. ასე რომ, ლექსი საქონელი კი არ არი, წარმოების საშუალებაა, ჭეშმარიტების აღწარმოებაში რომ შეეშველება მკითხველს და რაკი ლექსი კონტიგენტურია და დასაზღვრული, მისი მეშვეობით ისევ და ისევ დასაზღვრული, კონტიგენტური ჭეშმარიტება უნდა იწარმოებოდეს. აქედან მომდინარე, პოეზია არის პროცესი ადამიანის თანაცნობისა, ცნობითვე ამაღლებისა..." — სწერს ჰ. მ. ენცენსბერგერი. 60-იანი წლების ცვალებად ვითარებაში ენცენსბერგერი კვლავ პოეზიას წარემართა. პოეზიას არასდროს დაკისრებია საზოგადოებრივი ფუნქცია და არც უნდა დაეკისროს, რამეთუ დღევანდელი პოზიცია დაბეჭდილისა და დაწერილის ჩარჩოებში მოქცეული, მმართველი კლასის მიერ ნებადართული, რეგულირებული და წინდაწინვე ნაგულისხმევი სპორტული ასპარეზობის მაყურებელს მოჰგავსო. ენცენსბერგერის საზოგადოებრივ მოღვაწეობას განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, სალი რაციო, საზარი სიცხადე გონებისა, პოლიტიკური, იდეოლოგიური ექსპანსიის უკუმგდებელი — ეს იშვიათი უთურგვნელი თვისება სულისა. რაც მთავარია, ფუნდამენტურ რაციონალიზმთან ერთად ამ კაცს სიღრმის მჭვრეტელი პოეტურობაც აგრერიგად მომადლებია.

**ნაპირი**

გაღმა ნაპირზე, დილის ბინდში
ნისლი რომ ავა,
განმბრჭობენ მე და განმაცხადებენ.

. . . . . . . . . . . . . . . .

გაღმა ბურია განუჭვრეტელი

გარე-გარე წამოვა ზვირთი და, ფერმკრთალს
რასმე,

ხისასა თუ ორჩხომელისა
თუ კაცის მორგვებს
ჩამოატარებს,

აწ მიხმე, გარქმევ, მიხმე აწლა
სასომიხდილის ხმითა შენითა,
ვერ გამოაღწევს ეგ სიტყვები
ნისლს და ბორიაყს.

გაღმა ნაპირზე,
აგრე მუდამჟამ გაღმა ნაპირზე
განიბრჭობენ აქაურსა არაობას ჩვენსას,
ამა წყლისპირა კანაფისას, ამ ნარიყისას,
დაცალიეწილის ჭვენის ხმისას.

არსებობს კი გაღმა ნაპირი?

თავად არცა რას ალვემატები
და, არცა რა აღმემატება

არცა რაიმე გადაწყდება აქეთა ნაპირს
აქეთ სიმშვიდე არის დიდი.

გაღმა ბურია განუჭვრეტელი

გამოღმა სელი შრება ნელიად
ხრჩოლავს ნაპირი.

— ეს ლექსი ეგზისტენციის ხმობაა პირველ ყოვლისა — ხმობა მეორე ნაპირისა ისევ და ისევ შენგან მომდინარეობს და შენვე გიბრუნდება და თუმცაღა ბოლო სტრიქონი („გამოღმა სელი შრება") — გამოღმა დარჩენისა და თავის თავში ჩაბრუნების მანიშნებელია, ვინ იცის, თავიდან არ დაიწყება ყველაფერი (და იგივე ხმობა გაღმა ნაპირისა კვლავაც არ ამოგზრდის შენივ თავიდან). რამეთუ ადამიანური „მე"-ს თვისებაა ეგ გაწვდომა გაღმა ნაპირისკენ. ილუზიური კონკრეტულობა ლანდშაფტისა (ზვირთის დენა და დილის ბინდში ჩამოტანილი მორგვები) — შეგრძნება მდინარის პირას მდგარი ყოველი კაცისა, ძალაუნებურ რომ გაიყურება გაღმა ნაპირისკენ (ეს კონკრეტული სიტუაცია) — რაიც ყოველ კაცს განუცდია, ფსიქოლოგიური და ლანდშაფტური კონკრეტიზაცია, აორმაგებს მკითხველის აღმქმელობას და მერმე შინაგანად, იმმატერიალურად განაცდევინებს იგივე პროცესს (კონკრეტული ლანდშტაფტის გარეშე), ანუ სულისმიერ სფეროში გადაჰყავს იგი.

ლექსი „ბრმობილთ ანბანი" — ბედის წინაშე შემართების, შინაგანი ბედითი შიფრის ამოცნობის, სასტიკი სინამდვილის პირისპირ დგომის გამცხადებელია:

ალხოც სიბრმავე
კაცო მეფეო, აღმოიკითხე
ბრმობილთა ანბანს სახელი
შენ ი—

აღმოიკითხეო შენივ „მენე თეკელ", ნუ განგაფრთხობსო ბედისწერა კაცობრიული, მეუფეო, ძეხორციელო. საოცარი გრაფიკული ტეხილებითა და წრფეებით, ძუნწი შავ-თეთრითაა გასრულებული ლექსი „დათოვლილი ალუბლის ბაღი" — შავ-თეთრი და მერმე თეთრის ელფერები (ამ თოვლში თითქოს ჩაწერილია სტრიქონი — „ხასიკვდილო დღესასწაული ნაკვალევთა" — ზამთრის მანიფესტაცია. — ლექსის დასასრული ორი ტაეპი საოცარი: თითქმისდა აგრე: არარასა და არარას შუა ძალიანდება და, თეთრად მჟვავის ხეი ალუბლის—მსწრაფლ გაკარგვინებს მატერიალობის შეგრძნებას და იმმატერიალური სამყაროს წიაღთ წაგაუენებს უეცრივ (ისევე, როგორც ზემორეგანხილული ლექსი — „გაღმა ნაპირი") — ისევ და ისევ კონკრეტული გარემოს მეშვეობით. ენცენსბერგერისეული ლექსის თვისებაა ეგე [საგულისხმიერო ლექსებია: „ლანდი", „ლანდთა სამეუფო", „ლანდის ნაქმნევი"].

მოუთმინარედ
კმაყოფილთა სახელითვე შთახდომაი
სასოწარკვეთად
მოთმინებითა
სასოწარკვეთილთ სახელითვე
იქვით ალკვეთა სასოწარკვეთის
მოუთმინარედ მოთმინებითა
შეუგონებელთ სახელითვე შეგონებაა.

— განაცხადა ჰ. მ. ენცენსბერგერმა თ. ადორნოსადმი მიძღვნილ ლექსში „ტვირთმძიმე შრომა" — და ეს ფაქტიურად მისი მრწამსიცაა. ჰელმუტ ჰაიხენბაუტელი მთელს გერმანულენოვან სამყაროში ძნელად ამოსაცნობ, „გაიდუმალებულ" — შიფრირებულ პოეტად არის შერაცხილი (დაიბადა 1921 წ.). განსწავლის წლები — 1942-1945 [შეისწავლა ხუროთმოძღვრება, გერმანისტიკა, ხელოვნების ისტორია.] 1955-57 წ.წ. გამომცემლობის რედაქტორია. 1959 წ.

მოყოლებული სამხრეთ გერმანიის რადიომაუწყებლობის განყ-ბის გამგე. ბერლინის ხელოვნებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. 47-ჯგუფის თანამდეგი. 1959 წ. ჰაისენბაუტელს გ. ბიუჰნერის პრემია გადაეცა. იგია გერმანულენოვანი მოდერნისტული პოეზიის ბურჯთაგანი (თეორეტიკოსი, ესსეისტი). კონკრეტული პოეზიის ავტორიტეტი, ჰაისენბაუტელის ლექსი მუსიკალური და ფერწერული აღქმებითაა გაუხვებული — და კიდევ უფრო აზიდული. კომბინაციები, ტოპოგრაფიები, ლიბრეტო, ტექსტების კრებული — ასე იწოდება მისი წიგნები. ექსპერიმენტირება, ცალკეული ბგერითი კომბინაციები, ვოკაბულარული რიგი, რედუქცია და მეორეს მხრივ კომბინატორიკა, მონტაჟი, კოლაჟს მიახლოება — სიტყვათა ციმციმი — ეს ყველაფერი მთლიანობაა [აცხადებს ჰაისენბაუტელის ტექსტთა წიგნის მიმომხილველი]. ჰაისენბაუტელი უსაზღვრო ექსპერიმენტირებასა და მექანიკურ სიტყვათმიჯრას არასდროს მისდევნებია, მიხმიერი ტექსტის ყოველი სიტყვა აუთენტურია. ფუნქცირებული. ჰაისენბაუტელისეული სტრიქონი შონბერგის მუსიკალურ ფრაზას გაგონებსო — იტყვის მიმომხილველი, სტრიქონთა და სტრიქონთა განზიდული შუალედები, დაშორიშორებული საგნები, მიახლოება პირველქმნილი ნამდვილი რიტმისა (სტრიქონთაშუა ჟამიდანჟამ გახმიანებული სიღრმისეული ნოტი). დროდადრო კოსმიური ძალისხმევით აიზიდება აზრი.

„კონკრეტულია ის, რაც განუმარტავია... ზედაპირთა სიტყვიერი, მიუმსგავსებელი აღწერილობა — ერთადერთი მეთოდია საგანთა მოზიდვისა. უკეთესია ზედაპირთა სრული მოუხილველობა. აცადო უნდა საგნებს, თავისით მოგეახლონ, არ უნდა განჭვრიტო საგნები, ფიქრი არ უნდა მიადევნო, თავისით მოდგნენ, დაე, სიტყვები. კონკრეტული ის არის, რაც ფიქრში არაოდეს გაგივლია". — განგვიმარტავს კონკრეტისტი ფრანც მონი.

ხოლო ჰაისენბაუტელმა თავის მხრივ განაცხადა: „ჩემი წადილია ეგრეთ შევენივთო ენას, რომ თავადვე გამომეპასუხოს"-ო. სტრიქონების მაკავშირებელია დუმილი (მეტაფიზიკური სიდიდე), ჭეშმარიტი შემეცნების დასაწყისი. პირველი ჩქამი, პირველი აბგერება. საგანთა აურის (საგანთა შარავანდის) წარმოჩინება. მეორეს მხრივ — ბიურგერული ენობრივი დოგმატის ნგრევა: ენაშივეა დასაძებნი მდაბალი მეშჩანური ყოფის ძირები, რომელი უნდა მოისრას, ახალი პოეტიკა არის განწმენდა, ამაღლება ყოფისა, ჰ. ჰაისენბაუტელის ლექსი მოწადინებულია გამოთქვას — სიტუაცია. სიტუაცია ჩემი. სიტუაცია განგებისი — ძნელია დაიძებნოს ეგზისტენციალიზმის უკეთესი განმარტება.

ჰაისენბაუტელის პოეზიასაც გერმანული ეგზისტენციალიზმის ელფერი დაჰკრავსო (განაცხადებს კიდეც ზოგიერთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პამფლეტი II

აგვისტოსშუა მოდენილი მდელოს სურნელი —
დასაბამი ჩემის ბიბლიის (პალეოლითი ჩემეული, ჩემსავე ბალღობას თუ გადაწვდება და, ეგ არის (პროსოდია სარკინიგზო ვაგონებისა
ჟამი განვლილი განუგრძელებლად
სამი კვირის სწორა სწორედ გუშინი
წარსულის გარე გადმოეკიდა დღეთა მტევნები
მოუსვენრობა ჩემი ვითარ იმა წყლის კროომა,
მწყობრმა ხოეებმა სახელდახელოდ რომ გადასხიბა
მოუსვენრობა ჩემი — ჩქამი სამუშაო მაგიდის დასწვრივ
გაგორებული წყვილი კამათლის,
ფერცხალნი თვისნი სახეში რომ შემომათვერთხა.

მოწეული ჟამის, ჩავლილი წარსულისა და მის გარეგან შთენილ დღეთა მტევნების, უძველეს წარსულთან გაიგივებული კაცისმიერი მცირე ყავლის ერთობლივი წარმოსახვა — შემოდგომისკენ დამართული აგვისტოს ფონზე, ადამიანური შფოთითა და მოუსვენრობით (ბედისწერულ კამათლის გროვას რომ ედრება) — უბადლო ეგზისტენციალური ხურათი (ერთი დაწამწამება სიცოცხლისა).

ჰაისენბაუტელს წმინდა ექსპერიმენტული — სიტყვიერი კერძოობითი პროსოდიაც ემარჯვება (სპექტრული დაშლა):

თოლიები და მტრედები კიდევ
გედები
მოეხეტებიან ტბებზე
გამოლმიით და მერცხლები შუაგულ ზაფხულს
მტრედები შუაგულ ზაფხულს ტბებზე
მოეხეტებიან გედები და
თოლიები თოლიები თოლიები
და
გედები და კიდევ
თოლიები
მოეხეტებიან შუაგულ ზაფხულს
გამოლმით
თოლიები თოლიები თოლიები
მოეხეტებიან გამოლმით გამოლმით მოეხეტებიან
მოეხეტებიან გამოლმით
გედები გედები გედები
და მტრედები და მერცხლები და მტრედები
და,
და ტბებზე კიდევ შუაგულ ზაფხულს
შუაგულ ზაფხულს ტბებზე კიდევ
შუაგულ ზაფხულს

ბოლოები და მტრედები კიდევ გედები და მერცხლები მოეხეტებიან შუაგულ ზაფხულს ტბებზე გამოლმით“ — ეს უბრალო სიტყვის თამაში როდია, სიტყვებისა და დამხმარე სიტყვების ერთჯერადი და მრავალჯერადი შენაცვლება, კომპონენტების ერთმანეთში ინტეგრირება, თითქმის გათანაბრება, ერთმანეთთან გაჯერება, გადაწვნა, საბოლოოდ წარმოუდგენელ ვიბრაციას წარმოშობს, ჩიტების რიალად და ტბის დასწვრივ ფრთების ტლაშუნად შთაებეჭდება მსმენელსა და წამკითხველს — აქ მუსიკაცაა, და წმინდა სკრიპტუმიც. ამას გარდა ფერწერული სახვაც — ე. ი. წარმოსახვის მთლიანობა, რაიც კონკრეტული პოეზიის მიზანია სწორედ. ჰაისენბიუტელის პოეზია მაღალი გონებისა და მაღალი მგრძნობელობის გაცხადებაა. კონკრეტისთა შორის ჰ. ჰაისენბიუტელი სწორედ იმით გამორჩეულა, სულის უშუალო წვდომა, საგანთა, ფრაზათა და სიტყვათა ეთერული შარავანდის მიზიდვა და მითვე ცნობიერების იმპულსირება რომ ხელეწიფება. (ყოველ ლექსს ავტორის შინაგანი ეთერული ნაწილიც დატანებია თითქოს). სიტყვიერსა და რიტმულ სრულქმნას მიგანიშნებს „ლექსი სიკვდილის წვრთნევისა გამო“.

ჰაისენბიუტელისეული ლექსი ერთიანი სახისმეტყველების პრინციპს როდიღა მისდევს, იგი შინაგანად დანაწევრებული და მერე ხელახლა კონსტრუირებული მთლიანობაა — ეგზისტენციას რომ უთანაბრდება [ფორმით და ფორმაში მიმალული ანუ გაიდუმალებული შინაარსითაც].

ჰაისენბიუტელს არა ერთი და ორი მიმდევარი გამოუჩნდა გერმანიაში: პ. ჰანდკე, ერნ. იანდლი, ვოლფ ვონდრაჩეკი, მიხ. შარანგი, ფრიდრიხ კრისტიან დელიუსი და სხვ., კონკრეტისთა უფროს თაობას (ფრანც მონსა და დიტერ როტს) ერთგვარად რომ გაემიჯნენ. მათთვის ტექსტი ენობრივი ნიშნების უბრალო თანმიმდევრობა როდია, არამედ ფიქრისა და ცნების ურთულეს კავშირთა შედეგი. კონკრეტისტების ახალთაობა ენის ტრადიციულ მოდელებს ებრძვის, გაქვავებულს, რეაქციული იდეოლოგიის, მეშჩანობისა და სიმდაბლის დამფარველს — ებრძვის ტრადიციულ გაგებას ისეთი სიტყვებისა: როგორიცაა „დემოკრატია“, „ერთგულება“ და სხვა და სხვა — მმართველური იდეოლოგიის პაროდირებას მისდევს. „ახალთაობა“ ერთგული აღმოჩნდა „დიადი უარყოფის“ „ახლებური მგრძნობელობის“ მარკუზეანული თეზისისა [«Mein Wunsch: dass man sie zusammentun würde die Linke Scheisse und die rechte Scheisse, die Liberale Scheiße dazu, und eine Bombe draufschmeißen» — პ. ჰანდკე — მარკუზეანული ინტელექტუალთამიერი ამბოხური ძალის მანიფესტაცია] ფორმისმიერი პოზიცია: „ყოველი ამბავი წინადადების გახსნებაა მხოლოდ და შენც ბოლომდე გითხრობთ წინადადებას“ — ვოლფ ვონდრაჩეკი. ეგევე პრინციპი ჰქონდა იმთავითვე არჩეული ჰ. ჰაისენბიუტელსაც.

„ახალთაობის“ კლასიკოსად მიჩნეულია პ. ჰანდკე (დაბად. 1942), გერჰარტ ჰაუპტმანის პრემიის ლაურეატი. პოეტი, დრამატურგი, ახლებური ანტითეატრის დამფუძნებელი დას. გერმანიაში; უმთავარესი გამიზნულობა მისი პიესებისა: სიტყვათა რიტმული მიმდევრობა (ენის აქცენტი). მომარჯვებულია ბიტლსური ელემენტი. სცენაზე მუსიკალური ავტომატებია დადგმული. ემოციაზე ზემოქმედება სხვადასხვა ხერხისა და სიახლის მეშვეობით. სიტყვის მაგია. ნაწარმოები თავისებურ მისტიურ აქტად წარმოგვიდგება. „ვენის ჯგუფისთვის“ ნიშანდობლივი ჰერმეტულობა ჰანდკემაც აითვისა და თავის ანტითეატრში დანერგა. მის პიესებს შორის გამორჩეულია „კასპარი“. [ეს ერთგვარი შორი ანალოგი კასპარ ჰაუზერისა (იაკობ ვასსერმანის რომანი „კასპარ ჰაუზერ ანუ სიზანტე გულთა“), დღევანდელ იმპულსთა სრული გამომხატველი]. კასპარის მოთვინიერება, ანუ „გამოზრდა“, მისი მანიპულირება ამჯერად წმინდა გრამატიკული მოდელების მეშვეობით, გრამატიკული რუტინის მეშვეობით აღსრულდება. გრამატიკული მოდელები ადამიანის გამასწორებელი, ტოტალისტური პრინციპებითაა აგებული, ასე რომ, აქედანვე განაღდებულია კასპარის სრული დათრგუნვა. ხანდკეს პიესა არის პროტესტი გაქვავებული სამეტყველო ფორმების, ენობრივი დიქტატის წინააღმდეგ. პ. ჰანდკეს პოეზიის მკვებავი წყარო, ისევე როგორც სხვა დანარჩენი (ძველი თუ ახალი კონკრეტისტებისა) — ლ. ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ გახლავთ.

პ. ჰანდკე ისევე, როგორც კონკრეტისთა წინამორბედი თაობა, პოეზიის აუთენტურობის მოწადინეა. პოლიტიკური ანგაჟირება პოეზიისა მიუღებელია მისთვის; ეს ერთგვარი ესთეტიზმია, რაიც ლამისაა ყელში ამომივა, ეგ ლიტერატურა არ არისო — დაუფარავად განაცხადა პ. ჰანდკემ — პოეზია უმაღლესი სინამდვილეა, მატერიალურ ინტერესისაგან დაწმენდილი, გაცისკროვნებული (შემთხვევითი როდია, კონკრეტისტებს ნოვალისის მემკვიდრეებად რომ მიაჩნიათ თავი).

„ბაიროითში
1966 წელს
ვიდრე „ტრისტანის და იზოლდას“ წარმოდგენა
დაიწყებოდა
პარკის ფოლორცზე
გამოჩინებულ ავტომატში
პირველად იყო
მონეტა რომ ჩავასრიალე
პირველად ვცადე ეგ სიახლე
ახლის ცნობით ამაყობს აკი ყოველი კაცი,
მეც გავამაყდი ახლის ცნობითა.
თავს დავეკითხე:
სულპირველად კარი როდის დავკეტე-მეთქი
ჩემივ ხელითა?
სად იყო-მეთქი, პურის ნატეხს ჭიანჭველა რომ
შევაყოლე სულპირველად?
სულპირველად მაინც რარიგ ვითარებაში ვიხილე-
მეთქი მდინარიდან წასული ნისლი“? (პ. ჰანდ-
კე შინასამყარო გარესამყაროსი
შინასამყაროსი).

თითქოსდა თამაშ-თამაშ დაწერილი ეს მცირე ნაწყვეტი განგილვიძებს ემოციას, ფრიად ადამიანურს — გულუბრყვილობის, ბალღობისდროინდელი პირველი შეგრძნებების ესევითარი აღდგინება ბაიროითის დიდებული ვაგნერიანული ზეიმის ფონზე, სულ უბრალოდ, პარკში სეირნობისას, მართლაც რომ შთამბეჭდავია. და თუ, ერთის მხრივ, გარეგნულად, კონკრეტისტი პოეტის აღქმა გაუცხოვებია დიად ზეიმს ვაგნერისას, მეორეს მხრივ შინაგანად, სიღრმისეულად დაახლოვებია მასვე (ჩვენდა შეუმჩნევლად). მხოლოდ ბოლო სტრიქონის ჩაკითხვის შემდეგ: „...მდინარიდან წასული ნისლი“ ჩახვდება მკითხველი ავტორისეულ გაშინაგანებას — და ეს ყველაფერი იმ თავდაპირველი გაუცხოების წყალობაა. ჭეშმარიტი კონკრეტისტის ძლიერება ეგ არის, „წინადადებრივი აღწერა გარესამყაროსი შინაგანი სამყაროს, ავტორის თვითცნობიერების აღწერაა იმავდროულად“, იტყვის პ. ჰანდკეს ზემორემოხსენებული წიგნის მიმხილველი (lobbi 2/69 ახალშენი გერმანულენოვანი ლიტერატურა) გერმანულენოვანი მოდერნისტული პოეზიის თვალსაჩინო თეორეტიკოსები არიან: ჰანს ბენდერი (უფროსი თაობის პოეტი, პროზაიკოსი) ჟურნალ „აქცენტების“ გამომცემელი და დიტერ ველერსჰოფ-ი (პროზაიკოსი უმცროსი თაობისა) 1969 წ. გამოცემული დ. ველერსჰოფის წიგნი 60-იანი წლების ჟამინდელი საერთო ლიტერატურული სულისკვეთების გამომხატველია. ნორმატულობას, ე. წ. „ნორმალური“ ადამიანის ტრაფარეტს ლიტერატურა უპირისპირებსო ფსიქიკურ გადაფერდებათა რიგსა და რიგს; კაუზალური, წესრიგიანი სამყაროს პრაგმატულ სურათს — ნაწილნაწილ დაშლილი ქვეყნიური სურათი [illegible] უპირისპირდებათ — განაცხადებს ველერსჰოფი. (სტანდარტებისა და სქემების გაცამტვერება, ენაში ინკრიმინებული ტყუილის [illegible] მტრევა თავისთავად როდია უასულო [illegible] ფაქტი ნგრევისა, ნამდვილი, პირველქმნილი, ქაოტური სამყაროს წარმომჩინებელი. ამა გარდაქმნას ქვეყნისას ლიტერატურა აღასრულებსო — გვარწმუნებს ველერსჰოფი. მისი სიტყვათხმარებაა გადასხვაფერება [ცვალება, გარდაქმნა]. პირველი მოსაბრუნი სიახლისკენ — რომანტიზმია, რომანტიკოსებმა გააცამტვერეს განმანათლებლების მიერ დადგენილი რაციონალისტური კონცეფცია კაცისა და შექმნეს სუბიექტური — ინტროსპექტული ოპტიკა — შემდგომ იყო ახალი მოსაბრუნი — ბალზაკისა — ობიექტური თვალთახედვა, რეალისტური აღწერილობითი ოპტიკა. მესამე მოსაბრუნი — პათოლოგიისა და ფსიქიური ანომალიისაკენ გეზი ლიტერატურისა, სტანდარტისა და ნორმის წინააღმდეგ ამხედრებული პიროვნება რომ მხახურებს [ველერსჰოფის თეორია თ. ადორნოსა და ფრანკფურტული სკოლის იდეითაა ნაზარდი — ძირი თეზისი ადორნოს სკოლისა — თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება მტერია პიროვნებისა და ამიტომაც ლიტერატურის მოჯანყე „ნევროზული“ გეზი გამართლებულია ვითარცა ნონკონფორმიზმის რამ საბუთი]. ველერსჰოფი უპირისპირდება პოეზიის წმინდა ექსპერიმენტულ სკოლებს;რეალური ცხოვრება გამოდევნესო ლიტერატურიდან — უსაყვედურებს. (დიტერ ველერსჰოფი. ლიტერატურა და გარდაქმნა. კიოლნი 1969. თანამედროვე მხატვრ. ლიტ. საზღვარგარეთ, 5, 1971 გვ. 124-8 რუს. ენ.). 60-იანი წლების საგულისხმო მოვლენად ჩაითვლება უნიჭიერესი პოეტის ვალტერ ჰოლერერის კონცეფცია „ვრცელი ლექსისა“, — ვრცელი ლექსი რეალობისადმი პოეტური მიმართების საუკეთესო ხერხიაო. იგი გარკვეულად უპირისპირდება მცირე სუნთქვით დაწერილ რედუქცირებულ ლექსს. ვრცელი ლექსი უკვე პოლიტიკურია თვისივ ფორმის წყალობით, აღმოსავლურ-დასავლურ გერმანული ლირიკის ურთიერთგაგების ფორმადაც ეგ გამოდგებაო.

50-იანი, 60-იანი წლები იყო წლები ახალი გერმანული ლიტერატურის [დანგრეული ქვეყნის, დანგრეული კულტურის პირმშო ლიტერატურის] დაფუძნებისა. თამამად შეიძლება ითქვას, ეგ ყოვლისდამღრეკი ტვირთი 47-იანელთა მხრებზე გადავიდა ერთიან (რამეთუ სხვა მოქმედი ძალა იმჟამინდელ გერმანიას არ ება). (ემიგრაციად დარჩენილი კლასიკოსები ამ ახალ ფუნქციას, რაღა თქმა უნდა, ვერ აღასრუ-

ლებდნენ). დიდმა ევროპულმა შემართებამ 47 ჯგუფისა განაპირობა გერმანულენოვანი მოდერნისტული ლიტერატურის დღესი. ეგენი იყვნენ 60-იანი წლების ფუძე და ბალავარი.

ბოლო ათწლეულის ღირსსახსოვარი თარიღებია: 47-ჯგუფის თავშეყრილობა 1964 წლისა — შვედეთში და 1969 წლისა — ამერიკის შეერთებულ შტატებში. განვლილის შეფასებისა და ახალთა სავალთა არჩევისა იყო ეგ თავყრილობები. [„60-იანი წლების მოგონება" — ლექსი ჰ. მ. ენცენსბერგერისა 47-ჯგუფის სულიერ ქმნადობას წარმოგვიჩენს: სკანდინავიური ზღვისპირეთი. ზაფხულის პირი. ნაპირთან დაბმული ნავების ტორტმანი. თავშეყრა. წყნარი საუბარი. იდილიური ხის სახლები. კუნძულები. დრო. წიგნები. ფიქრით განრინება. მერმე მეგობრულ წიაღში დანთქმა ისევე. მიბინდებულზე ხმები, ძელურიდან რომ გამოისმის, მეგობართა ხმებია. ჩუმი სიცილი. ჩრდილოეთით აღმართული კლდეები. ნელინელ ვშორდებით იმ წლებს, განვლეტვითო. შორს სიწყნარეში კი ისევ ისე დგანან კლდენი უშიშონი. — პოეტური ძალმოსილების, სიმაღლედ აღსწრაფების იმჟამინდელი სიმბოლო, დღესაც რომ წარავლენს სიმხნევესა და სასოებას].

ახლებური ლიტერატურული ტენდენციის დამმკვიდრებელი გახლდათ „ჯგუფი—61" (დორტმუნდისა. იგი მოწოდებული იყო გაეგრძელებინა 47 — ჯგუფის ტრადიცია ახლებურ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ გარემოში). „61 — ჯგუფი" — მუშათა კლასის თემას წამოსწევს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ამ ჯგუფის სულისჩამდგმელია მაქს ფონ დერ გრიუნ-ი, გრიუნმა ითხოვა აშკარა ანგაჟირება ლიტერატურისა, ლამაზობაში ჩაკლული ლიტერატურის სანაცვლოდ კონკრეტული, ადამისშვილთა ფერხორციანი ცხოვრების აღსახვისაკენ მიმართებული ლიტერატურა გვინდაო; მე ვწერ იმის გამო, რაიც მაღელვებს და მწამს, ათასობით სხვა ადამიანს შეძრავს და ააღელვებსო — (1969 წელი). ხელახალი აღმოჩენა სინამდვილისა — აი, მთავარი თეზისი 61-ანელთა. აგიტპროპაგანდისტული სონგის, შლაგერის, ხალხური სიმღერის ვარირება. პოლიტიკური აქტივობა, მეტაფიზიკური საზრისის, პოეტიკური პრივილეგირების დაძლევა. — აი, მოთხოვნა 61-ანელთა. სახელმძღვანელო პრინციპად ირჩიეს ბრეხტისეული ლირიული კონცეფცია (ლექსი უნდა იყოს ხადა, უბრალო, საზოგადოების შემაგონებელი, დამრიგებელი მისი). ამ ბოლოს 61-ჯგუფთან თანამშრომლობენ ჰ. ენცესბერგერი და ჩვენს მიერ ზემორე მოხსენიებული დ. ველერსჰოფი (ველერსჰოფმა წაიყენა სწორედ ლიტერატურის უშუალო პოლიტიკური ქმედობის საკითხი, რის შემდგომ დაიძრა დოკუმენტური ლიტერატურის პროპაგანდა). ძირითადი ბეჭდვითი ორგანო 61 — ჯგუფისა არის ჟურნალი „Kursbuch" 61 — ჯგუფის მაინტეგრირებელი ანთოლოგიაა „Aussichten" („შეხედულებანი"), გამოსცა პეტერ ჰამმა 1966 წ. ჯგუფის თანამდეგნი არიან: არტურ ტროპმანი (მუშა. საწარმოს ტრავმა-გემებულმა იწყო ლექსის წერა; მისი კრიტიცისტული, მამხილებელი ლირიკა დღესდღეობით მოწონებაშია), ფოლკერ ფონ ტიორნე,* დიტერ ზუვერკრიუპი (თავისებური ლირიულ-პოლიტიკური სიმღერების ავტორი), საფაბრიკო რეპორტაჟების ოსტატი გიუნტერ ვალრაფი. 61 — ჯგუფი დღესდღეობით ყველაზე ქმედითი ლიტერატურულ-იდეოლოგიური ძალაა დასავლურგერმანული სინამდვილისა. აღმოსავლეთგერმანული ლირიკის ახალთაობაა: ფოლკერ ბრაუნი, კარლ მიკელი, რაინერ კირში, აქსელ შულცე — სხვები და სხვები — ესენი არიან ახალმეტყველების დიმამკვიდრებელნი. ფ. ბრაუნ-ის ლირიკაში გარდასახული სოციალისტური ლანდშაფტები — ნიშანდობლიობაა დღევანდელი დღისა. გარდაქმნაში დაჩნევიან ამ ლანდშაფტებს. მაღალპოეტურადაა გაცხადებული ესე ყოველი. ფ. ბრაუნის პოეზიას ზ. მაურერის ლირიკის ზეგავლენა ატყვია — მაურერისთვის ნიშნეული ბრუტალური ტკბობა ყოფნისა; ბუნებისა და სამყაროსადმი გაიგივება. საგულისხმოა ევა შტრიტმატერის ნაგვიანევი ლირიული დებიუტი. ადრე იყო, ლექსებს წერდა, მერმე კარგახანს მიანება თავი მთხზველობას. ერთადერთი წიგნი გამოსცა (ზღაპრები) იმ ხნის მანძილზე. გერმანისტიკას უჯდა და სწავლობდა. და მერმე ცხოვრებისეული ესოდენი გამოცდილება ერთბაშად ალმეტყველდა (ამან განაპირობა სწორედ მისი ლექსის დახვეწილობა, მუსიკალობა). ე. შტრიტმატერს მარტივი, მჟღერი რითმა ემარჯვება. ემარჯვება განწყობის სადაგად გადმოცემა, ბუნების თავისებური, ფაქიზი წვდომა. ამიტომ იყო, კრიტიკოსებმა მის ლირიკას სუბტილური უწოდეს,

„ქარი". /მუსიკა ქარისა ურიტმო./ უკონტურო მელოდია /მსხლისა ხეებ-შორის ხმიანებს სხვაგვარად და ფიჭვნარი ხმიანებს სხვაგვარ/ გარე რაობისა და რაგვარობისა ხმიანებს იგი /ხმიანებს იგი პირად ზაფხულისა სხვაგვარ, ზამთრის პირ ხმიანებს სხვაგვარ/, სხვაგვარ-წვიმათოვლში, ტბათა თუ ზღვათა ზედან გადამქროლი_ სხვაგვარ /ველზე შემოყრილი, ხმიანებს სხვაგვარად, ხოლო, ბინადმყოფელს ჩაგესმის სხვაგვარ/.

---

* აწ გარდაცვლილი

ხან ირი, კერიას შეგმაჭვალავს, /ლტოლვაშეპყრობილსა შორეთს გაგიტყუებს ზანაც/

ვულფ კირსტენი (დაბად. 1934 წ.) მაისენის შემოგარენთა მემატიანეა. გლეხკაცის რუდუნების, სოფლის სურათების, სოფლური კილოსა და ფსიქიკის უბადლო მხატვარი [ჩემივ სოფლების წიაღ, ჩემივ მსგავსთაგან გარემოცულვარ მე, საბრალო ნაშიერი კარსტმანსებისა (რეფორმაციისყამინდელი გლეხობა), სულით ხორცამდე ერთ ვქმნილვართო აქაურები].

ვულფ კირსტენს თავისი კომპოზიტები აქვს, ახალია, მისი აღმხატველობაც. — შარაგზანი ჩაერიხანი. ხამანნი ქარისანი — სოფლის საწიერით დასაზღვრული, სოფლურის სუნთქვით გაჯერებული სიტყვები, კრიტიკოსი მ. რიხტერი მის შემოქმედებაში ი. ბობროვსკის ერთდაგვარ ზეგავლენას მიიჩნევს.

აგრარულ ლანდშაფტს გადამართული სადაგო დღის პოეტური გარდასახვა (არა რომანტიზება) და ისიც „ხორკლიანი" ენის მეშვეობით — ჩემი წადილიაო — განაცხადა კირსტენმა — და კიდევ ლანდშაფტის წიაღ მოფუსფუსე კაცის წარმოჩინება, წარმოჩინება კაცისა, ბუნებას რომ დაახლოებია და ხატს ბუნებისასა ჰკვეთს. კირსტენი ლექსებში იმარჯვებს მრავლისმეტყველ ტოპონიმებს, უცხო ენათაგან შემოსულ სიტყვებს, ამ ახალ ძალმოსილებას ლექსისა (გაზომილად, იშვიათის გემოვნებით) — ასევე ბერძნულ-ლათინურ სიტყვებსაც, აგრარული ცხოვრების განუყოფელი ნაწილიაო რამეთუ.
«ausgerißne Scheunetore breiten schwingen/ zu flügeln den Volksmund, /ein faunsgesicht sub rosa, sehr kantabel!/ Kalligraphie lebt auf in den Schleifzügen der ornis» (ჰანს რიხტერ-ი. ლექსნი. პოეტნი. სინამდვილენი წერილები ლირიკისა გამო).

[გამორჩეული ლექსებია: „მიწა მაისენისა", „ხუტორი" და სხვ.] ფრიდემან ბერგერ-ი პასტორის ოჯახში დაბადებული (1940 წ.) და გაზრდილი. თეოლოგიაში განსწავლული. ბომბების წვიმაში, დედასა, ბებია-ბაბუასა და ორ დასთან ერთად გზა-გზა ლოლიალი ფურგუნითა თუ მატარებლით. აი, უპირველესი, რაც ბალღურ ცნობას შთაბეჭდვია (მისი ლექსებიც იმა განცდილის გამოძახილია). ეგზეგეზში (საღვთო წიგნთა ინტერპრეტაციაში) გაწაფულობა ერთობ წაადგა თავისთავადი პოეტური ფორმის მოხელთებისას. პოეტური ტექნიკის დახვეწისას. ფ. ბერგერის ლექსი ღრმად მეტყველია:

„თვალნი მათნი, რომელთ განფრთხობილ ექმნათ
ძილი,
ირგვნებენ სუნს
ახაძრებული გარეცრიგისა,
დაფენილი და წამოკრეფილი ბზეკი... განაჯერს
და სამეწელნი-გუშინდელთათ შემოდგომის
ხელნაბლები ფოთლის სიჩუმეს,
ტალღა-ტალღა რომ მოდენილა —
შუაღამური ზეცის გრგვინვას, მივიწყებული,
უფრო კიდევ — უარყოფილი სიუბრის ნაზმევს,
გარემობერვას ნიავქარისა, გაქვავებულ მოგონებებს სულს რომ უდგამს კვლავინდებურად".

ფ. ბერგერის საუკეთესო ლექსები, ისევე როგორც ვ. კირსტენისა, გამოკრებილი და შეტანილია 1988 წლის ანთოლოგიაში — [რჩეული 88 ახალი ლირიკა. ახალი სახელები].

გიზელა ეკარტი. (დაბად. 1954 წ.) ფოგტლანდის მკვიდრი. მისი ლექსები გამოკრებილი და შეტანილია 1979 წ. ანთოლოგიაში (რჩეული 1979). ჩამოქნილი სტრუქტურა, აზრის დამტევნელი; ცინცხალი პეიზაჟები, მის ფონზე მოფაციფუცე ადამიანები. განწყობის უზუსტესი, უფაქიზესი წარმოსახვა.

„მაინც როგორი ზაფხულია!
ლეღამიწას გაუწვდები, ლამის იფიქრებ,
ოღონდ ეგ არის, მტვრის შადრევნებით
მოიზღუდება ერთხანობას,
ფიდრე გლეხკაცი, ბერი ვინმე, თეძოებგასულ
თავის საზიდარს შარა-შარა ქალაქისაკენ
გაარახრახებს,
კალათაში უზის ქედანი — „შესახრაკადო" —
მეტყვის იგი.

მომეც გელი, გული მტრედისა.
ფართალ-ფართალ გადივლებანო
არეს, ხარება ზაფხულისა გადავუვლი კიდით
კიდემდე"

[„რარიგ დიდია ეს ზაფხული"].

ახალთაობის მხარდამხარ ახლებურ პოეზიას განამკვიდრებენ კანონმდებელნი აღმოსავლეთგერმანული მოდერნისტული პოეზიისა: ლირიკის მცოდნე და მკვლევარი, ნაცადი ოსტატი უვე ბერგერი, რაფინირებული ლირიკოსები: გიუნტერ კუნერტი, ჰაინც კალაუ, ჰელმუტ პრაისლერი, დასავლეთ გერმანიიდან გადმოსახლებული და გდრ-ს დამკვიდრებული ადოლფ ენდლერი, მანფრედ შტრაიბელი — სხვანი და

სხვანი. [აღმოსავლეთგერმანული] „ახალგაზრდული პოეზია იმთავითვე ბეხერის ლირიკაში გაცხადებული „ადამიანური ხატისკენ“ წარემართა შინაგანად, ხოლო ენობრივი და ფორმალური ძიება მისი — ბერტოლტ ბრეხტს დაუკავშირდაო“ — ადოლფ ენდლერის სიტყვებია. აი, გზა, განვითარება აღმოსავლეთ გერმანული თანამედროვე ლირიკისა [რომლის სათავეს უდგნენ ი. ბეხერი, ლ. ფიურნბერგი, გეორგ მაურერი და სხვანი].

### რეზიუმირება

ასე თუ ისე, უზოგადესად მაინც მოვიხილეთ გერმანულენოვანი დღევანდელი ლირიკა, თავთავისი გზით მავალი —ავსტრიული, შვეიცარიული, დასავლეთგერმანული თუ აღმოსავლეთგერმანული პოეზია და ისევ ის ძველი კითხვა წამოგვეძალება — მაინც რა აინტეგრირებს ესოდენ განსხვავებულ ვითარებაში მოქცეულ ამ ლირიკულ მიმართებებს? — არსებობს მათი მაინტეგრირებელი თუ არა? — სწორედ რომ არსებობს — ეს არის მოდერნისტული პოეტური ფორმა.

უზოგადესი ძალხაზები გერმანული ლექსის განვითარებისა:

1. ჰოლდერლინისეული ლექსი, ტრადიციულ, შემოზღუდულ ხალექსო არეთა შიგნით ამეტყველებული, თვისივ განცდის კვალობაზე [წმინდა გერმანული ლექსი, სუნთქვის სიხშირეს მინდობილი, რედუცირებადი, დროდადრო დუმილს მიახლოებული და მერმე დაშორებული].

2. ბოდლერისა და რემბოს გავლებული წრფე ლექსის პერმანენტული რევოლუციონიზირებისა [სიურრეალიზმად, დადაიზმად, აბსტრაქციონიზმად წარმომჩინარე] — ეს ორი ხაზი ერთმანეთს არასდროს შეტოქებია, მაგრამ ერთია განსხვავება: ჰოლდერლინისეულ ლექსს თეორიული დაფუძნება არასდროს დასჭირვებია, უშუალო, შინაგანი აქტია იგი, შინარიტმიკას ერთიან მინდობილი. ბოდლერისა და რემბოს წრფე, რალა თქმა უნდა, თეორიითაც კარგადაა მომაგრებული [გიზელა დიშნერი]. ამ ორი პოეტიური მიმართების თანაარსია გერმანული ლექსი, ამათგან მომადლებია სიუხვე-სიმდიდრე. ერთიან ევროპულ სულისკვეთებას წარეზიდა იმთავითვე უახლესი მოდერნისტული პოეზია გერმანიისა, მიტომაც შექმნილა იგი მრავალფეროვანი და ძლიერი. გერმანული ლექსის წარმომავლობას სწორად იხილავს 1970 წ. მიუნხენში დასტამბული წიგნი: „გერმანული პროზაული ლექსი“. ავტორი ულრიხ ფიულერბორნი. თუკი ფორმის ანალიზზე მიდგება, გერმანული მოდერნისტული ლექსი თავიდანვე უფრო მეტად წარეზიდა პროზაულ ლექსს, ვიდრე წმინდა ვერლიბრს. ამას თავისი [illegible]ტრადიცია აქვსო, განცხადებს ავტორი — [illegible] ქარიშხლისა და შეტევის ხანა — ჰოლდერლინი, რომანტიზმი [ნოვალისის „ჰიმნები ღამისადმი“] — ნიცშე — იმპრესიონისტულ-ახალგაზრდული სტილის ხანა — რილკე — კაფკა-ბრეხტი. დღეს — ჰ. ჰაისენბიუტელი, პ. ჰანდკე. ვერლიბრი მაინც ჩანაფიქრს მიჰყვება, ელემენტებს გადაააადგილებს, გადასვამს, ან არა შეგნებულად დაარღვევს ხაზოვანს — პროზაული ლექსი კი უბრალოდ მისჯარავს ერთიმეორეზე სტრიქონსა და სტრიქონს, შეამჭიდროებს და შინაგანად გამოხეთქს მერმე. (პროზაული ლექსის დასაბამობაა XVIII ს. აღჩენილი პოეტიზაცია „რომანისა“ — ოდეს სუბიექტურმა საწყისმა ძალი მოიცა). (იხ. თანამედროვე მხატვრ. ლიტ. საზღვარგარეთ 6/72 გვ. 119-21). გერმანული მოდერნისტული პოეზიის გენეზისს მოიხილავს სწორედ აღმოსავლეთგერმანელი პოეტი ბერნდ იენცეში (NDL № 7 1966): ნატურალიზმის ბურჯი არნო ჰოლცი (ახლებური ლექსის კანონიზატორი), ვისი წყალობითაც აღსრულდა „არაპოეტურ,“ ტექნიზირებულ, ინდუსტრიზირებულ ფენომენთა „განპოეტურება“. „არაპოეტური“ სიტყვები პოეტურად მოაქცია მაჯს ჰაუხჰოფერის, ლუდვიგ ფულდასა და ბრუნო ვილლეს შემოქმედებამ. ჰოლცისეული ახალმეტყველება (გაზის სინათლეო, ორთქლის მანქანაო, ასფალტიო თუ სხვა) საფუძვლად ექმნა გერმანულ მოდერნისტულ პოეზიას. ა. ჰოლცი შუამავალია ჭერაც ძვალთშეუმუსვრელ წინა ათასწლეულსა და იმ ახალთაობას შორის, აგერ-აგერ ხმალს რომ ლესავდაო. შემდგომ იყო ექსპრესიონიზმი — ქალაქის პრიმატის განმკანონებელი, ქალაქი — ერთის მხრივ ვითარცა მატერიალური წარმოების კერა (გ. ჰაიმი, იაკობ ვან ჰოდდის-ი), მეორის მხრივ — დემონიური საწყისის შემფარველი (გეორგ ენგელკე, პაულ ცეჰ-ი), ხოლო დემონიზმისგან განთავისუფლებაა — რიგი ბრეხტისეული ლექსებისა. აი, საიდან მოემართებაო გზა-სავალი დღევანდელი ახალნაზარდი გერმანული ლირიკისა (ფოლკერ ბრაუნი, რაინერ კუნცე, კარლ მიკელი, მეტადრე ზარა კირში და კიდევ სხვანი და სხვანი) — დაასკვნის ბერნდ იენეტცშ-ი.

უახლესი მოდერნისტული სალექსო ფორმა ერთობ დაიხვეწა, გამოიკვეთა კიდეც, აწინდე-

ლი ფსიქიკის მტვირთველი შეიქნა; დაკონკრეტდა, თანამედროვეობის შეცნობის ფორმად იქცა (არნახულად დაუახლოვდა კაცის შინაარსეზას, გამოხატა იგი), ტოტალიზმის, მაშინერიის წინააღმდეგ ამბოხების იდეოლოგად წარმოგვევლინა. მეორეს მხრივ წარმოშვა უახლესი ჟანრი — პოეტიკური ესსე და კიდევ — პოეტიზირებული თეატრი. გერმანული ამჟამინდელი ლირიკა ფერწერული, მუსიკალური, დიზაინური იმპულსებითაა ნაკვები და შეჭერებული (ასევე-წმინდა მეცნიერული, სოციოლოგიური, ფილოსოფიური იმპულსებით) გერმანულენოვანმა ახალმოდერნისტულმა ლირიკამ აღასრულა დემოკრატიზაცია პოეტური განწყობისა, ჩამოიშორა გეორგესეული ჰიერატულობა [ერთიან შეატრიალა გაგება კონკრეტულისა, გაგება ფორმალიზმისა]; მერმისს შეთანაბრებული ლირიული აზროვნების მრავლისამთქმელ ფორმად შემოიქცა საბოლოოდ. სრულადვე დაინარჩუნა წმინდაგერმანული შინაგანი ძალვა იმ ალქმისადმი (Bildung), ჯერეც გოეთემ რომ მიგვანიშნა. მეოცნებეობა, სულისხმიერი სუბსტანტურობის წარმოჩინება — რაოდენადაც ნიშანდობლიობაა გერმანული ლექსისა. გერმანული მოდერნისტული პოეზიის მთარგმნელმა უნდა გაისიგრძეგანოს ეს ყოველი. [ის, რაც ერთ ენას პოეტურად უჩნს, მეორისათვის საერთოდ გაუგებარი რჩება ხოლმე]. თანამედროვე ლირიკული ნაწარმოების თარგმნა ახლის შექმნას ეტოლება და ესაა. მხოლოდ იგი დასძრავს ძნელ ტვირთს, ვისაც ხელეწიფება საკუთრივ მშობლიური ენის წიაღ ექსპერიმენტირება (ნოვაციათა აღსახვა, დანერგვა, განმკვიდრება). ფორმის დიდი სიყვარული გათარგმნინებდეს უნდა მოდერნისტულ ლექსს და არა ფორმის არადჩამგდები ის ხაჭოჭმანო ტენდენცია, თითოოროლა რუტინერთა გამოისობით, როგორც ჩვენში, ისე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, რომ ვერ იქნა, ვერ აღიხოცა. [1971-1978 წ.წ.].

□

# ვირჯინია ვულფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა ინგა პაპავამ

## „გალივერის" დასაცავად

ვ. ვულფის ჩვენეულ თარგმანში შეცვლილი ფორმით ვიხმარეთ რამდენიმე ინგლისურენოვანი ონომა — ანთროპონიმები და ინგლისური ყოფის ამსახველი ლექსიკა: პოუ, პოუპი, ლეიდი, ლანჩი და ა. შ.

ამგვარი ცვლილებისათვის მხარდაჭერა ვიგრძენით, პირველ რიგში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისაგან. გარდა ამისა, მოვიხსენიებთ რამდენიმე სტატიას: ვ. ტიმინსკაიტესა და ლ. პალმაიტეს „საკუთარ სახელთა ტრანსკრიფციისათვის" (ჩნათობი, 1981) (სახელები უნდა გავაფორმოთ ენა-პარტნიორის მიხედვით და არა შუამავალი ენის საფუძველზე); რ. მიმინოშვილის სტატია „ლიტერატურულ საქართველოში" ბერძნული და რომაული სახელების თაობაზე (თუ ციცერონს არაფერი ეშველება, ისეა გამჯდარი ჩვენს ლიტერატურასა და ცნობიერებაში, შეცდომა იქნება ამ უსამართლობის გამეორება სხვა სახელების გადმოცემის დროს. ამიტომ უნდა ვწეროთ კირკე და არ „ცირცე", და ა. შ.). უცხოურ სახელთა რუსულად გადმოტანის საკითხზე კამათი განახლდა „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე. ვ. ნოვიკოვის, ა. სუპერანსკაიას, რ. გილიაროვსკის და სხვათა შრომებში, რუსულ თეორიულ და პრაქტიკულ-საცნობარო ლიტერატურაში მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული უცხოურ სახელთა რუსულად გადმოტანისათვის პრაქტიკული ტრანსკრიფციის მეთოდი. წარმოთქმა — ფონეტიკური ჟღერადობა ფონემური შემადგენლობის გათვალისწინებით, დაწერილობა, მიმღები ენის ტრადიცია — ეს სამი კომპონენტი განსაზღვრავს, როგორ დაიწეროს ონომა მეორე ენაზე. გასათვალისწინებელია სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლებიც: სახელდებას განსაზღვრავს სახელის ფიზიოგნომიაც, ე. ი. ბგერათა კომპლექსი, გარდა აღნიშვნისა, რაღაც სხვა მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თავისი ჟღერადობით, რომ სახელად აღვიქვათ.

ინგლისური ხმოვან-ფონემის და ხმოვან-გრაფემის სისტემა რთულია და ამიტომაც ინგლისური ონომასტიკის ტრადიციული ქართული ფორმები ზოგჯერ შორდება წარმოთქმას და ასახავს გრაფიკას, რადგან შუამავალი ენიდანაა გადმოტანილი. მაგ., ინგლისურ ონომაში რომ არის „ე" ფონემა, ქართულ ფორმაში „ა", ასევე. ეი/, ი/ე, ა/ქ, ოუ/ვა, აუ/ო და ა. შ. გაუგებარია საფუძველი მსჯელობისა, თითქოს სულ ერთი იყოს, „ვას" დავწერთ თუ „უოს" ქართულად, როდესაც ინგლისურ ონომაში არის „უო", ამით რა აკლდებაო თარგმანს — მცდარი პოზიციაა. თარგმანს აკლდება ის მცირე, რითაც შეიძლებოდა კიდევ უფრო მიახლოებოდა ორიგინალს. სწორად წერს დ. ფანჯიკიძე: თუ გავითვალის-

[1] ამ სტატიის პირველი თავი გამოქვეყნდა ალ-მანახ „საუნჯის" პირველ ნომერში 1984 წელს.

წინებთ, რომ იდეალურად ზუსტი თარგმანიც კი საკმაოდ შორდება დედანს, მაშინ თვალსაჩინო გახდება, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტურად შეუძლებელი სიზუსტის დაცვას თარგმანში. „ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტის" თვალსაზრისით სწორად შეასწორეს: უოტ უიტმენი — უოლტ უიტმანი, რუდიარდი-რადიარდი, აივენგო-აივენჰო, გოლსუორსი-გოლზუორთი.

საინტერესოა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ქსე) პოზიცია.

ქსე უარყოფს უცხოურ სახელთა ადაპტაციას. შესაბამის ეროვნულ [illegible] ანთროპონიმებია პიტერი, პეტრუსი, პეტრე; ჩარლზი, კარლი, შარლი და ა. შ.

ქსე არ წერს გაორმაგებულ თანხმოვანს.

ქსე არ ასახავს უცხოურ გრძელ ხმოვნებს.

ქსე აღადგენს „ზ"-ს „ს"-ს ნაცვლად: ჯოუნზი, ედუარდზი, ტაიმზი, უელზი, (თუმცა იქვე — ქ. უილიამსბურგი); თარგმანში ვწერთ — ელიზაბეთი.

გავიხსენოთ, რომ ინგლისური ხმოვნები მახვილიან პოზიციაში გარკვევით ისმის, უმახვილო პოზიციაში რედუცირდება ან სულ იკარგება. მახვილიან ხმოვანს ფონემის ღირებულება აქვს და შესატყვისი ხმოვანი უნდა მოეძებნოს ქართულ ენაში, მისი გრაფიკულად გადმოცემა გაუმართლებელია. უმახვილო, რედუცირებული ხმოვანი რომ არ დაიკარგოს — სახელის ფიზიოგნომიაც ამას მოითხოვს — იგი დაიწერება გრაფიკულად, ანუ ტრანსლიტერაციულად. ამგვარადაა აღდგენილი ინგლისური ფონემები ქსე-ში.

ქსე აღადგენს ინგლისურ „ო"-ს მახვილიან პოზიციაში: ოლბი, ოლბანი, როლი (წერდნენ „როლეი"); მაგრამ გრაფიკული „უ" დარჩა ონომებში მეკონგამი, დუგლასი, (თუ „კოლუმბია" ტრადიციულია, როგორც ქვეყნის სახელწოდება, აშშ-ს შტატზე იგი არ უნდა გავრცელდეს, იქვეა „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემ". ე. ი. აშშ-ში უნდა იყოს შტატი კოლამბია, ქ. კოლამბუსი). სწორი იქნებოდა — ბაკინგამი, რაგბი, გალივერი, დაბლინი, პადინგი.. თარგმანში ვწერ: ლანჩი.

ქსე აღადგენს „ე"-ს ნაცვლად „ა"-სი, ორივე ვარიანტს ბეჭდავს: აბერდინი, ებერდინი. მაგრამ ზოგჯერ „ე" არაა აღდგენილი მახვილიან პოზიციაში: ადამი, ადისონი, ჰარისბურგი. თარგმანში ვწერ: ელფრედ, ელან.

(ასევე, ინგლისური საბავშვო წიგნის გმირია ელისი და არა ალისა).

ჩვენი დაკვირვებით, „ბრონტი" უფრო სწორი წაკითხვაა. მრავლობით რიცხვში ფუძისეული „ი" დაიკარგება. — სახელის ფიზიოგნომია მოითხოვს ამას,— მსგავსად სახელობითის „ი"-სა (დები ბრონტეები).

ქსე გადმოსცემს დიფტონგებს და ტრიფტონგებს „უ" — თავკიდური ხმოვნით (და არა „ვ"-თი): უაილსი, უეინი, უესტი (თუმცა იქვეა „ვესტსაიდის ისტორია"), უორტრონი, კუაინი, კუპერი, ნიუზუიკი, ლომბოუ შესაბამისად სწორი იქნებოდა: უოშინგტონი, ტუეინი, უესტსაიდი, ჰაიაუოთა, სუიფტი. თარგმანში ვწერ „უოლტერ, ლედოუეი. თავისებურია ბოლოკიდური „უ"; ინგლისელი დრამატურგის სახელში „შოუ" უ ზედმეტია, (ამერიკელი მწერლის სახელი ქსე-ში გადმოტანილია — ი. შო). ამავე დროს „უ" აკლია ონომებს ლონგფელო, პო, მარლო. თარგმანში ვწერ: პოუ, მარლოუ.

ქსე ასახავს სხვა ინგლისურ დიფტონგებსა და ტრიფტონგებსაც: კლეიბერნი, ეიტსი, კაპოუტი, სემიუელი, მაგრამ არ ასახავს სახელში: დოვერი (დოუვერი), მენი (მეინი), კაროლინა (კეროლაინი). თარგმანში ვწერ: პოუპი, ჩეიმბერლინი, მეარი, კარლაილი, ლეიდი, კეიმბრიჯი.

„ი" პირიქით ზედმეტია ინგლისელი მწერლის სახელში „თეკერეი", ინგლისელი მხატვრის სახელში „რეინოლდზი", სწორი ფორმაა: თეკერი, რენოლდზი.

ქსე რთულ ონომებსაც ტრანსკრიფციულად ასახავს: ნიუ-ჯერსი, ნიუ-ჰემპშირი, მაგრამ იგნორებს ტრადიციულ ფორმას „ახალი ორლეანი" — არავითარი მნიშვნელობა, სემანტიკური დატვირთვა არ აქვს „ახალს", ნიუ-ორლეანი სწორი ფორმაა. თარგმნა კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებულია — „ხელოვნების ეროვნული გალერეა" გვაწვდის შინაარსს. მაგრამ არ უნდა იყოს სწორი „ვაშინგტონ პოსტი": „ვაშინგტონი" ქართული სახელია ამ ქალაქის და რთული სახე-

ლის ტრანსკრიფციულად ჩაწერისას ვერ გამოვიყენებთ (სხვა შემთხვევაში ქსე წერს „ეოშინგტონ სკუეარ პლეიარზ") ე. ი. სწორია „უოშინგტონ მუსტ". ასევე არაა სწორი „ვესტ-ინდოეთი", ნარევი მოდელია: ინგლისური ვესტ (უესტ) და ქართული — ინდოეთი, უნდა იყოს „უესტ-ინდია", ასევე არა „მეტროპოლიტენ მუზეუმი", არამედ „მეტროპოლიტენ მიუზიემ".

ქსე-ში შეიძლება აისახოს — ბოლოკიდური „ი", სახელის ფუძეს ეკუთვნის და ბრუნებაში შენარჩუნებული იქნება (ბერნი, ბერნიმ... გოლზუორთიმ... ბრონტიმ...), თუ სახელობითის ნიშანია და ბრუნებაში დაიკარგება (ელფრედი, ელფრედმა...).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტენდენციას, მის გამოკვეთილ პოზიციას რომ გავეცანით, ამან წაგვათამამა რამდენიმე ინგლისურენოვანი ონომა ჩვენს თარგმანში ქსე-გან განსხვავებულადაც დაგვეწერა: კეიმბრიჯი, ჩეიმბერლინი, პოუპი, პოუ, ელანი, ელფრედი, ბრონტი, ბ. შო, ჯეინ ეარი, მეარი, მარლოუ, თეკერი, ლეიდი, ლანჩი. მაგრამ ტრადიცია?

ინგლისური ენიდან ქართულად თარგმნას დაახლოებით ერთი საუკუნის ისტორია აქვს, გარკვეული ტრადიციებიც ჩამოყალიბდა, მაგრამ რამდენად მტკიცეა ისინი? ტრადიცია ხშირად ემყარება ერთჯერად თარგმანს. ათეულობით წელი გადის,. ვიდრე ახალი გამოცემა მომზადდებოდეს .მთელ ამ ინერტულ პერიოდში ყალიბდება ტრადიცია, უცხოური ონომასტიკა გადადის პრესაში, ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. ხელახლა გამოცემისას ძნელდება სწორება —უკვე ნახმარ თუნდაც არასწორ ფორმას მაგიური ძალა აქვს: სხვადასხვა მიზეზით მთარგმნელს ან არ სურს ,ან ეუხერხულება, შეცვალოს, რედაქტორს ერიდება, ჩაასწოროს, და არასწორი ფორმა იქცევა ტრადიციულად.

იმის განსაზღვრაც ალბათ მეტ-ნაკლებად სუბიექტურია, რომელი ონომაა იმდენად ტრადიციული, რომ ქართული ენის განუყოფელ ნაწილად ქცეულა. ჩვენი სუბიექტური შეხედულებით, მაგალითად, ტრადიციული „შექსპირი" და „დიკენსი" შეუცვლელია.

ტრადიცია გაქვავებული მდგომარეობა არაა, ახალ ფორმასაც ბუნებრივად მიიღებს შემდეგი თაობა და ტრადიციულად აქცევს ლანჩს, რაგბის, გალივერს...

## მეორე თავი

თუ ინებებთ და მომყვებით, მოგახსენებთ, რომ ამჯერად სხვა გარემოში ვიყავი. ფოთლები კვლავ ცვიოდა, მაგრამ ოქსბრიჯში კი არა, ლონდონში; წარმოიდგინეთ ოთახი, როგორიც ათასობითაა ლონდონში: შენი ფანჯარა გაჰყურებს მეორე ფანჯარას, ქვემოთ ცილინდრების, საბარგო და მსუბუქი მანქანების რიგია; ოთახში, მაგიდაზე კი სუფთა ქაღალდის ფურცელია, ზედ დიდი ასოებით წერია „ქალები და ლიტერატურა", მეტი არაფერი. ოქსბრიჯში ლანჩისა და სადილის შემდეგ, საუბედუროდ, აუცილებელი შეიქნა ვწვეოდი ბრიტანეთის მუზეუმს. ადამიანმა თავი უნდა აარიდო შემთხვევით შთაბეჭდილებებს და ამგვარად მიაგნო დაწმენდილ არსს, გულისგულს ჭეშმარიტებისას. ოქსბრიჯში ლანჩსა და სადილზე კითხვების მთელი წყება დამესია. რატომ სვამენ კაცები ღვინოს და ქალები წყალს? რატომაა ერთი სქესი ასე უზრუნველყოფილი და მეორე ასე ღარიბი? რა გავლენას ახდენს სიღარიბე ლიტერატურაზე? როგორი პირობებია საჭირო, რომ ადამიანმა შექმნას ხელოვნების ნიმუში? — ათასობით კითხვა ერთბაშად დამეხვია. ადამიანს პასუხი სჭირდება, კითხვა კი არა; პასუხი რომ გამეცა, უნდა დავკითხოდი განსწავლულთ და მიუდგომელთ, მათ, ვინც კინკლაობასა და პოზიორობაზე მაღლა დამდგარან და ვისაც თავიანთი კვლევის შედეგი და ნაფიქრალი გამოუციათ წიგნებად, რომლებიც შეგიძლიათ მოიძიოთ ბრიტანეთის მუზეუმში. თუ ჭეშმარიტებას ბრიტანეთის მუზეუმის თაროებზეც კი ვერ მივაკვლიე, — შევეკითხე თავს, თან რვეული და ფანქარი ავიღე, — მაშ, სადღა იქნება? ასე მომარაგებული, ნდობით გამსჭვალული და პასუხის მაძიებელი გამოვედი სახლიდან ჭეშმარიტების დასადგენად. მთლად ნოტიო დღე არ ეთქმოდა, მოლუშული კი იყო. მუზეუმის მიმდებარე ქუჩებში პირი დაეღოთ ქვანახშირის ჩასაყრელ ხვრელებს, შიგ ტომრები ფრიალებდა; ტროტუარს მოადგებოდა ტაქსი და ასფალტზე გადმოჰქონდათ შეკრული ყუთები, ალბათ სრული გარდერობი შვედი ან იტალიელი ოჯახებისა, რომლებსაც სურთ, რომ ბედს ეწიონ: ან თავშესაფარი, ან

სხვა რამ სახურველი მოძებნონ, რაც ბლუმსბერის კვარტლის გასაჭირავებელ ბინებში შეიძლება ჰპოვონ ამ ზამთარს. რამდენიმე კაცი ქუჩაში მიაბიჯებდა, ნამდვილი ცხენებივით ჰიხვინებდნენ, ბოსტნეულით სავსე ურიკას მიაგორებდნენ: ზოგი ყვიროდა, ზოგი მღეროდა. ლონდონი ჰგავდა საამქროს. ლონდონი ჰგავდა მანქანას — ყველას აქეთ-იქით გვახეთქებდა ერთ სიბრტყეზე, რომ სტანდარტულები გავმხდარიყავით. ბრიტანეთის მუზეუმიც ქარხნის ერთ-ერთი საამქროა, შეაღეთ მბრუნავი კარი და მაღალ თაღქვეშ აღმოჩნდებით, როგორც უზარმაზარ, მოტვლეპილ შუბლქვეშ მოქცეული ერთი აზრი; თაღს წრედ ამშვენებს სახელოვან ადამიანთა დასი. მიუახლოვდით წიგნების გასაცემ მაგიდას; აიღეთ ერთი ფურცელი; გადაშალეთ კატალოგი და..... ამ ხუთიდან თითოეული წერტილი გამოთაყვანების, განცვიფრების და გაგიჟების ცალ-ცალკე წუთს აღნიშნავს. თუ წარმოიდგენთ, რამდენ წიგნს წერენ წელიწადში? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენი წიგნი დაუწერიათ კაცებს? იცით, რომ თქვენ ის ცხოველი ბრძანდებით, რომელზეც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ ამქვეყნად? აქ იმისთვის მოვედი რვეულით და ფანქრით, რომ ამ დილით ვიკითხო და შუადღისთვის ჭეშმარიტება რვეულში გადავიტანო. მაგრამ როგორ? არც მეტი, არც ნაკლები, სპილოების ჯოგი უნდა იყო, ან ობობების მძვინვარება უნდა გაგაჩნდეს — ძალი რომ ერჩით, ყველაზე დღეგრძელ და მრავალთვალება ცხოველებსაც თავს დაეხსნენ — მაშინ თუ შევძლებდი დამეძლია ეს დახვავებული მასალა. ფოლადის ბრჭყალები და ბრინჯაოს ნისკარტი უნდა გქონდეს, რომ ეს ჯავშანი გაარღვიო. რა მომაძებნინებს ქაღალდის ამოდენა მასაში გაბნეულ ჭეშმარიტების მარცვლებს? ვკითხე საკუთარ თავს და თვალი ავაყოლჩავაყოლე სათაურების გრძელ რიგს — წიგნების სახელწოდებებმაც კი გამიჩინა საფიქრალი. სქესი და მისი ბუნება აინტერესებთ ექიმებსაც და ბიოლოგებსაც. მიკვირდა და ვერ ამეხსნა, რატომ იზიდავდა სქესი, ანუ ქალები კარგ ესეისტებსაც, დაოსტატებულ მწერლებსაც და სამეცნიერო ხარისხიან ახალგაზრდებსაც, მამაკაცებს, რომელთაც არ გააჩნიათ ხარისხი და არავითარი სპეციალობა არ აუთვისებიათ გარდა იმისა, რომ არ არიან ქალები. ზოგიერთი წიგნი, ეტყობა, ზერელე და ქარაფშუტულია, ბევრი კი, პირიქით, სერიოზული და წინასწარმეტყველური, ზნეობრივი და დამრიგებლური. მარტო სათაურებს რომ გავეცანი, წარმოვიდგინე: უთვალავი მასწავლებელი ან უთვალავი მღვდელი როგორ ადის ტრიბუნაზე ან კათედრაზე და წინ გადმოხრილი ენამზიანობს ბევრად უფრო მეტხანს, ვიდრე ერთი თემისთვისაა გათვალისწინებული. მეტისმეტი უცნაურობაა „მ" ასოზე საძიებელიც შევამოწმე: მამრობითი სქესი წერს მხოლოდ. ქალები არ წერენ მამაკაცებზე — ეს რომ [illegible] შეიძლებოდა, შვება არ მეგრძნო. რადგან, [illegible] წასაკითხი მექნებოდა ყველაფერი, რაც მამაკაცებს დაუწერიათ ქალებზე, შემდეგ ყველაფერი, რაც ქალებს დაუწერიათ მამაკაცებზე, ამასობაში, ვიდრე მე კალმით შევეხებოდი ქაღალდს, ალოე, რომელიც ას წელიწადში ერთხელ ყვავის, ორჯერ მოასწრებდა გაყვავილებას. ალალბედზე შევარჩიე ათიოდე წიგნი, ბარათები დავდე კონვეიერზე და სავარძელში ჩავესვენე. ირგვლივ სხვებიც ისხდნენ, ვინც ეძებდა ჭეშმარიტების გულისგულს.

რა უნდა იყოს ასეთი უთანასწორობის მიზეზი, დავინტერესდი მე, თან ქალის ფარფლებიან ქუდებს ვხატავდი ქაღალდის ფურცლებზე, რომლებიც ბრიტანელებს სულ სხვა მიზნით შეექმნათ. რატომაა, რომ მამაკაცებს უფრო აინტერესებთ ქალები — თუ კატალოგით ვიმსჯელებთ — ვიდრე ქალებს მამაკაცები? თავისთავად უცნაური ფაქტია; და გონება ცდილობდა წარმოედგინა იმ მამაკაცების ცხოვრება, რომლებიც თავიანთი დღე და მოსწრება ქალებზე წერდნენ, მოხუციც და ახალგაზრდაც, ცოლიანიც და უცოლოც, წითელცხვირაც და კუზიანიც — ისე, გუნებაში გესიამოვნება კიდეც, კაცის ყურადღების ღირსი რომ ყოფილხარ, თუ კაცი მთლად კოჭლი და ჩაჩანაკი არაა. ამ ფიქრებს მივყვებოდი, ვიდრე ჩემს ფუქსავატობას ზღვარი არ დაედო — წიგნების ნიაღვარი დაეშვა ჩემ წინ მაგიდაზე. დაიწყო ჩემი გასაჭირი. ოქსბრიჯში კვლევით მუშაობაში გაწაფულმა სტუდენტმა იცის, როგორ გადალახოს ყველა სიძნელე და, ვით მწყემსი შელალავს ცხვარს ფარეხში, ისე თანდათან როგორ მოუძიოს კითხვას პასუხი. მაგალითად, ჩემ გვერდით ერთი სტუდენტი, რომელიც ბეჯითად იწერდა რომელიღაც მეცნიერული ცნობარიდან, დარწმუნებული ვარ, ყოველ ათ წუთში აგნებდა ზოდებს საბადოს ძარღვში. კმაყოფილი წამოიყვირებდა ხოლმე, ამით ვატყობდი. თუ ადამიანს არ მიუღია განათლება უნივერსიტეტში, შესასწავლ საკითხებს ფარეხში შელალავს კი არა, დამფრთხალ ფარასავით აქეთ-იქით გაგეფანტება არეულ-დარეული, თითქოს ქოფაკების მთელი ხროვა გამოდევნებიათო. პროფესორები, სკოლის მასწავლებლები, სოციოლოგები, მღვდლები, რომანისტები, ესეისტები, ჟურნალისტები, ისინიც, ვისაც არავითარი სპეციალო-

ბა არ აუთვისებიათ გარდა იმისა, რომ არ არიან ქალები, იკვლევენ ჩემს მარტივ და ერთადერთ კითხვას — რატომ არიან ქალები ღარიბი, ვიდრე ეს ერთი არ იქცა ორმოცდაათ კითხვად, ვიდრე ეს ორმოცდაათი კითხვაც შეშლილივით არ დაეშვა ნიაღვრის შუაგულში და არ გაჰყვა დინებას. ჩემი რვეულის ყველა გვერდი ჩანაწერებით აჭრელდა. რომ დავანახოთ, რა დღეში ვიყავი, რამდენიმე ჩანაწერს გაგაცნობთ. შეგახსენებთ, რომ ფურცლის თავში მთავრული ასოებით ეწერა „ქალები და სიღარიბე", მაგრამ აი, რა მომყვებოდა:

მათი მდგომარეობა შუა საუკუნეებში,
ფიჯის კუნძულების ქალთა ჩვეულებები,
ქალღმერთთა თაყვანისცემა,
მორალური უნებისყოფობა,
მათი იდეალიზმი,
მათი მეტი კეთილსინდისიერება,
სამხრეთის ზღვის კუნძულებზე მცხოვრებნი,
მათი სქესობრივი მომწიფების ასაკი,
მომხიბლაობა,
მსხვერპლად შეწირვა,
მცირე მოცულობის ტვინი,
მათი ქვეცნობიერება,
ტანის თმის სიმცირე,
გონებრივი, მორალური და ფიზიკური არასრულფასოვნება,
ბავშვის სიყვარული,
შედარებით ხანგრძლივი სიცოცხლე,
შედარებით სუსტი კუნთოვანი სისტემა,
გრძნობათა სიძლიერე,
ქარაფშუტობა,
ქალთა უმაღლესი განათლება,
შექსპირის აზრი მათზე,
ლორდ ბერკენჰედის შეხედულება მათზე,
ლაბრუიერის[1] აზრი მათზე,
დოქტორ ჯონსონის[2] აზრი მათზე,
მ-რ ოსკარ ბრაუნინგის აზრი მათზე..

ცოტა ამოვისუნთქე და სულ კიდეზე მივაწერე: რატომ ამბობს სემიუელ ბატლერი[3] — „ჭკვიანი მამაკაცი არასოდეს იტყვის, რას ფიქრობს ქალზე"? ალბათ ჭკვიანი მამაკაცები საერთოდ არასოდეს ამბობენ რამეს. მაგრამ, — განვაგრძე მე, სკამზე გადავწექი და ფართო გუმბათს შევხედე, რომელშიც ჯერჯერობით ერთადერთი, და რაღაცნაირად შეშფოთებული აზრი ვიყავი, — ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჭკვიანი მამაკაცები არასოდეს ფიქრობენ ქალზე ერთსა და იმავეს. პოუპი[4] წერს:

„ქალების უმეტესობას არ გააჩნია პიროვნულობა".

ლაბრუიერი კი წერს:

„ქალებს უკიდურესობა ახასიათებთ, ზოგი ზერელეა, ზოგი კი — ღრმა".

აშკარა წინააღმდეგობაა ორი ერთმანეთის თანამედროვე და თვალმახვილი დამკვირვებლის აზრებს შორის. შეუძლია ქალს სწავლა თუ არა? ნაპოლეონი ფიქრობდა, არ შეუძლიაო, დოქტორ ჯონსონი ფიქრობდა, შეუძლიაო*. გააჩნია ქალს სული, თუ არა? ზოგიერთი მთლად გაცოფებული გაიძახის, ქალს სული არ გააჩნიაო. სხვებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ქალი ნახევრად წმინდა არსებაა და ამიტომ თაყვანს სცემენ მას[5]. ზოგიერთი ბრძენკაცი იმ აზრისაა, რომ ქალს შედარებით თხელი ტვინი აქვს; სხვები ფიქრობენ, რომ ქალის ცნობიერება

---

[1] ლაბრუიერი (1645-1696) — ფრანგი მწერალი, სატირიკოსი და მორალისტი. წიგნში „ამ საუკუნის ხასიათები და ზნე-ჩვეულებანი" ავტორმა ასახა ფეოდალური არისტოკრატიის და ბურჟუაზიის ზნე-ჩვეულებები (მთ.).

[2] დოქტორ ჯონსონი —უნდა იგულისხმებოდეს XX საუკუნის ინგლისელი სასულიერო პირი ჰიულეტ ჯონსონი, პროგრესული მოღვაწე. ფაშიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობას (მთ.).

[3] ინგლისურ ლიტერატურაში ორი სემიუელ ბატლერია: ერთი, ს. ბატლერი (1612-1680) — პოეტი სატირიკოსი, „ჰიუდიბრესის" ავტორი. მეორე, ს. ბატლერი — (1835-1902) — მწერალი. ვ. ვულფი მეორეს უნდა გულისხმობდეს (მთ.).

[4] ელიგზანდერ პოუპი — (1688-1744) — ინგლისელი პოეტი, ბუალოს კლასიცისტური ესთეტიკის მიმდევარი. პოეზიის განმანათლებლურ მიზნებს უსახავდა („უინძორის ტყე", „კულულის მოტაცება") იგი იყო ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი. თარგმნა „ილიადა" და „ოდისეა" (მთ.).

[5] „უძველეს გერმანელებს სწამდათ, რომ ქალში იყო რაღაც სიწმინდე, და მათ რჩევას ჰკითხავდნენ, როგორც ორაკულს". — ფრეიზერი, „ოქროს ტოტი".

* „კაცებმა იციან, რომ ქალები სჯობნიან და ამიტომ ირჩევენ ყველაზე სუსტსა და ყველაზე უვიცს. ასე თუ არ ფიქრობდნენ, მაშ რატომ ეშინოდათ ქალების, რომლებმაც კაცების ოდენი იცოდნენ"... „ჩემი აზრით, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიარო, რომ შემდეგ ამ საუბარში დ-რ ჯონსონმა განაცხადა, რაც ვთქვი, მთელი სერიოზულობით ვთქვიო". — ბოსუელი, „ჰებრიდის კუნძულებზე მოგზაურობის დღიური".

უფრო ღრმაა. გოეთე ქალისადმი მოწიწებით იყო აღსავსე, მუსოლინი — ზიზღით. საითაც გაიხედავთ, მამაკაცები ფიქრობენ ქალებზე და ფიქრობენ სხვადასხვაგვარად. ჩანს, ვერც თავი გავუგე ამ საქმეს და ვერც ბოლო, და შურით გადავხედე ჩემ გვერდით მჯდომ მკითხველს, რომელიც სუფთად იწერდა ნაწყვეტებს ა, ბ, გ და ა. შ. ახოების ქვეშ, ჩემი რვეული კი ურთიერთსაწინააღმდეგო, ნაგლეჯ-ნაგლეჯი ფრაზებით იყო გადაჭრელებული. ამან გუნება ამიმღვრია, გამაცოფა, შეურაცხმყო, თითებშუა გამიძვრა ჭეშმარიტება, წვეთიც ვერ შევინარჩუნე.

ვიფიქრე, სახლში ხომ ვერ დავბრუნდები და ქალებისა და ლიტერატურის პრობლემის შესწავლას ვერ დავუმატებ, როგორც სერიოზულ წვლილს, იმ მოსაზრებას, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლები თმა აქვთ ტანზე, ან რომ სამხრეთის ზღვის კუნძულებზე ქალთა სქესობრივი მომწიფების ასაკი 9 წელია? — იქნებ 90? — ამ არეულობაში ხელწერაც წამიხდა, გაურკვევლად ვჯღაბნიდი. ჩემი სირცხვილი. მთელ დილას ვიმუშავე, მნიშვნელოვანი და გამოსადეგი კი ვერაფერი ჩამოვაყალიბე. თუ წარსულში ვერ ვპოვე ჭეშმარიტება ქ-ზე (მოკლედ ასე ვწერდი „ქალს“), რატომღა ვიმტვრიოთ თავი ქ-ს მომავლისათვის? იცოცხლე, ბევრიც არიან და განათლებულიც მამაკაცები, რომლებიც წერენ საკითხზე: ქალი და მისი გავლენა სხვადასხვა სფეროზე — პოლიტიკაზე, ბავშვებზე, ხელფასზე, მორალზე, მაგრამ ამაო წყლისნაყვა იყო, მათთვის რომ მიმემართა. არაფერს დავკარგავდი, სულაც რომ არ გადამეშალა მათი წიგნები.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, მოდუნებული და გუნებაწამხდარი გაუცნობიერებლად ვხატავდი სურათს იქ, სადაც ჩემი მეზობელივით დასკვნები უნდა ჩამეწერა. სახე და ფიგურა დამიხატავს. სახე და ფიგურა გამომივიდა პროფესორ ფონ იქსისა, რომელიც ჩაფლულა ფუნდამენტური ნაშრომის წერაში „ქალთა სქესის გონებრივი, მორალური და ფიზიკური არასრულფასოვნება“. ჩემი ნახატი ვერ მიიზიდავდა ქალებს. ტანმსხვილი იყო, დიდი ყბებით, წონასწორობის დასაცავად წვრილი თვალები დავუხატე, სახე მთლად გაწითლებული. გამომეტყველებით იგრძნობოდა: რაღაც ემოციები დაუფლებია მუშაობისას. როცა წერს, კალამს ისე ატაკებს ქაღალდს, თითქოს შხამიან მწერს ხრესსო და გასრესის შემდეგაც ვერ წყნარდებაო: ისევ და ისევ უნდა მოკლას და ამის შემდეგაც რჩება რაღაც მიზეზი, გაბრაზებული და გაღიზიანებული რომ იყოს. ცოლის ბრალია? — შევეკითხე ჩემს თავს, სურათს რომ ვუყურებდი. ცოლს კავალერიის ოფიცერი ჰყავს საყვარლად? კავალერიის ოფიცერი ტანად თხელია, ელეგანტური და კარაკულში გამოწყობილი? ფროიდის თეორიას თუ დავუჯერებთ, პროფესორს ჯერ კიდევ აკვანში ხომ არ დასცინა ლამაზმა გოგომ? პროფესორი აკვანშიც არ იქნებოდა ლამაზი ბავშვი. ამიტომ თუ იმიტომ, პროფესორი რატომღაც ძალიან გაბრაზებული და ძალიან მახინჯი გამოვიდა ჩემს ნახატში, როცა წერდა თავის დიდმნიშვნელოვან წიგნს ქალთა გონებრივ, მორალურ და ფიზიკურ არასრულფასოვნებაზე. სურათი დავხატე და ასე უშედეგოდ დავასრულე ჩემი ერთი დღის ფუჭი შრომა. როცა უქმად ხარ და ოცნებობ, სწორედ მაშინ წამოგიტივტივდება დაკარგული ჭეშმარიტება. აუცილებელი არაა ფსიქოანალიტიკოსი იყო. მცირეოდენი ფსიქოლოგიური დაკვირვებაც საკმარისი გახლდათ, რომ რვეულისთვის შეგვხედათ და მიმხვდარიყავით — გაბრაზებული პროფესორის კარიკატურა გაბრაზებულ ადამიანს დაეხატა. გაბრაზება დაუფლებოდა ჩემს კალამს, ვიდრე ვოცნებობდი. რა ესაქმებოდა გაბრაზებას? ვგრძნობდი, მთელ დილას როგორ მეუფლებოდა სხვადასხვა გრძნობა ერთიმეორის მიყოლებით, შემიძლია დავასახელო კიდეც — რაღაცამ დამაინტერესა, რაღაცამ დამაბნია, რაღაცით გავერთე, რაღაცამ მოწყენილობა მომგვარა. ნუთუ მათ შორის იმალება გაბრაზებაც, ეს შავი გველი? დიახ, — დაადასტურა ნახატმა, — გაბრაზებაც მათ შორისაა. სარწმუნოდ მითითებდა ერთი წიგნისაკენ, ერთი ფრაზისაკენ, რამაც დემონი აუშვა ჩემში: პროფესორის მტკიცებისაკენ — ქალები გონებრივად, მორალურად და ფიზიკურად არასრულფასოვანნი არიანო. გული ამომივარდა, ლოყები მეწვოდა, ბრაზით გავწითლდი. ამას რა მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ, არ გესიამოვნება, რომ გეტყვის ვიღაც პატარა კაცი, არასრულფასოვანი ხარო ბუნებით — ჩემ გვერდით მჯდომ სტუდენტს შევხედე: მძიმედ სუნთქავდა, მზაკვანძიანი ჰალსტუხი შეება და ორი კვირის გაუპარსავს ჰგავდა. ადამიანისათვის უცხო არაა სულელური პატივმოყვარეობა, ადამიანის ბუნებაა ასეთი, გავიფიქრე და ურმის ბორბლები და წრეები დავახატე და დავახატე გაბრაზებული პროფესორის სახეს, ვიდრე არ დაემსგავსა ცეცხლმოკიდებულ ბუჩქს თუ ალში გახვეულ კომეტას — ყოველ შემთხვევაში ამ გამოსახულებას ადამიანური არც იერი ჰქონდა და არც შინაარსი: ახლა პროფესორი ჰგავდა ფიგურას, რომელსაც კოცონზე სწვავენ ჰემპს-

ტედ ჰითის[1] წვერზე. მოკლე ხანში გავერკვიე გაბრაზების მიზეზში და დავშოშმინდი კიდეც, მაგრამ დამრჩა ცნობისწადილი. რით ავხსნათ პროფესორის გაბრაზება? რატომ ბრაზობენ მამაკაცები? ამ წიგნების შთაბეჭდილებას რომ გააანალიზებ, იგრძნობ, გაღიზიანებული არიან. გაღიზიანება მრავალსახოვანია. როგორ დასცინიან ქალებს, როგორ ეკიდებიან მათ, როგორ ცნობისმოყვარეობას იჩენენ მათდამი, რა აზრის არიან მათზე — ყველაფერში ჩანს გაღიზიანება. რაღაც გრძნობა კიდევ ურევია, ხშირადაც იჩენს თავს, მაგრამ გაძნელდა მისი ხელდახელ გამოცნობა. გაბრაზება, ასე ვუწოდე მე, მაგრამ სიბრაზე ღრმად ჩამარხულა და სხვა გრძნობებში განზავებულა. მისი უცნაური ზეგავლენით თუ ვიმსჯელებთ, სიბრაზე იყო შენიღბული, რთული და არა მარტივი, აშკარა.

რაც უნდა იყოს მიზეზი, ეს წიგნები, — გავიფიქრე მე და მაგიდაზე დახვავებულ წიგნებს მოვავლე თვალი, — ჩემი მიზნისთვის უმაქნისია. იმის თქმა მინდა, რომ ეს წიგნები მეცნიერულად უსარგებლოა, თუმცა ადამიანი მათში ბევრ საინტერესო, მოსაწყენ თუ უცნაურ ფაქტს ამოიკითხავს ფიჯის კუნძულების მცხოვრებთა ჩვეულებებზე. ეს წიგნები დაუწერიათ ემოციათა წითელ ნათებაში და არა ჭეშმარიტების ნათელში. ამიტომ ჯობს, ისინი დაუბრუნდნენ მთავარ გამანაწილებელს და უზარმაზარი ფიჭის უჯრედებს შორის მონახონ საკუთარი უჯრედი. მთელ დილას ვიმუშავე და, ერთადერთი აზრი დამრჩა, პროფესორები — ყველას ერთად შევაგუნდავებ ამ სახელით — გაბრაზებული იყვნენ. ნეტავ რატომ?, ვკითხე ჩემს თავს წიგნების ჩაბარების შემდეგ; რატომ? გავიმეორე, როდესაც სვეტებს შორის ვიდექი მტრედებით და პრეისტორიული კანოეებით გარშემორტყმული, რატომ ბრაზობენ? და ამას რომ ვეკითხებოდი ჩემს თავს, გავეშურე ადგილის საძებნელად, სადაც ლანჩი შეიძლებოდა მეჭამა. რას წარმოადგენს სინამდვილეში ის, რასაც მე ახლა გაბრაზებას ვუწოდებ? ამ პრობლემაზე ფიქრს მთელი ის დრო დასჭირდებოდა, ვიდრე საჭმელს მოიტანდნენ ერთ პატარა რესტორანში, სადღაც ბრიტანეთის მუზეუმის მიდამოებში. ჩემამდე ვიღაცას ესადილა, სკამზე დაეტოვებინა საღამოს გაზეთის შუადღის დამატება და სადილის მოლოდინში სათაურებს [illegible]ული. უზარმაზარი ასოების მწ[illegible] მთელ გვერდს ჰკვეთდა. ვიღაცამ დიდი მოგება ნახა სამხრეთ აფრიკაში. შედარებით პატარა ასოებით გამოყვანილი წარწერა გვამცნობდა, რომ სერ ოსტინ ჩეიმბერლინი[2] ჟენევაში იმყოფებოდა. ფარდულში უპოვიათ ნაჯახი, ზედ ადამიანის თმა ყოფილა, რუბრიკაში „განქორწინებები" ბ-ნი „სამართალი" მსჯელობდა „ქალთა უსირცხვილობაზე". გაზეთი გადაჭრელებული იყო პატარ-პატარა ახალი ამბებით. კალიფორნიაში დიდების სიმაღლიდან ჩამოაგდეს მსახიობი ქალი და ახლა მისი ბედი ჰაერში ეკიდა, მოსალოდნელი იყო ნისლიანი ამინდი; ჩვენი პლანეტის სრულიად შემთხვევითი სტუმარიც კი, გავიფიქრე მე, თუ ხელში მოხვდა ეს გაზეთი, წარმოუდგენელია არ მიხვდეს, თუნდაც ასეთი გაფანტული ფაქტებით, რომ ინგლისს განაგებს პატრიარქატი. ყველა ჭკუათამყოფელი მიხვდება, რომ პროფესორი არის ყველაფრის განმგებელი, მისია ძალა, ფული და გავლენა. ისაა ქაღალდის მფლობელიც, რედაქტორიც და მოადგილეც. ისაა საგარეო საქმეთა მინისტრიც და მოსამართლეც. ის თამაშობს კროკეტს, ფლობს დოღის ცხენებს და იახტებს .ისაა კომპანიის დირექტორი, თავის აქციონერებს ორას პროცენტს რომ უხდის. მან მილიონობით თანხა დაუტოვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს და კოლეჯებს, რომელთაც თვით განაგებს. მის გამოა, რომ მსახიობი ქალის ბედი ჰაერში ჰკიდია. ის გადაწყვეტს, ნაჯახზე ადამიანის თმაა, თუ არა; მას შეუძლია გაამართლოს, ან ბრალი დასდოს მკვლელს, ჩამოახრჩოს ან თავისუფლება მიანიჭოს. მხოლოდ ნისლს, ვერაფერი მოუხერხა, თორემ დანარჩენს ყველაფერს მართავს. და მაინც ბრაზობს. აი, საიდან ვიცი, რომ ბრაზობს: როცა ვკითხულობდი, რას წერდა ქალებზე, იმას არ ვფიქრობდი, რისი თქმა სურდა, მასზე ვფიქრობდი. როდესაც მოკამათე აუღელვებლად მსჯელობს, ის მხოლოდ არგუმენტებზე ფიქრობს, მკითხველიც იძულებულია, მხოლოდ არგუმენტებზე იფიქროს. ის რომ აუღელვებლად წერდეს ქალებზე, უდავო ფაქტები

[1] ჰემსტედ ჰითი — ლონდონის ერთ-ერთი უძველესი რაიონი. მთაგორიანი ტერიტორია ბუნებრივადაა დაცული და ლონდონელების საყვარელი გასართობი ადგილია. ეს იყო იურისტების, მხატვრების და ლიტერატორების კვარტალი. აქ ცხოვრობდნენ ჯონ გოლზუორთი, ჯონ კონსტეიბლი, ჯორჯ რომნი, დოქტორ ჯონსონი, ჯონ კიტსი, დები ჯოუენა და ეგნეს ბეილები (მთ.).

[2] ოსტინ ჩეიმბერლინი — (1863-1937) — ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, საზღვაო საქმეთა მინისტრი. მან ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-ინგლისს შორის ურთიერთობის გამწვავებას 1927 წ. (მთ.).

მოჰქონდეს არგუმენტებად და არ ჩანდეს, როგორაა მონდომებული, რომ დადგინდეს ასე და არა ისე, არც მკითხველი გაბრაზდებოდა. ადამიანი ისევე აღიარებდა ამ ფაქტს, როგორც იმას, რომ მუხუდო მწვანეა და იადონი ყვითელი. ასე იქნებოდა, ნამდვილად. ჩანს, მეც იმიტომ გავბრაზდი, რომ ის ბრაზობდა. ისე, რა სისულელეა, ვფიქრობდი და თან ხალამოს გაზეთს ვფურცლავდი, კაცს ასეთი ძალაუფლება გქონდეს და კიდევ ბრაზობდე. იქნებ, — გავიფიქრე მე, — ძალაუფლებას თავისთავად აჩრდილივით ასდევს გაბრაზება? მდიდრები, მაგალითად, ხშირად ბრაზობენ — ეჭვი აქვთ, ღარიბებს სურთ ხელში ჩაიგდონო ჩვენი ქონება. პროფესორები, უფრო ზუსტად, პატრიარქები ნაწილობრივ, შეიძლება ამიტომაც ბრაზობენ, მიზეზი არ ჩანს აშკარად. შეიძლება სულაც არ ბრაზობენ ხშირად მართლაც შესანიშნავი, თავდადებული, სანიმუშონი არიან ცხოვრებისეულ ურთიერთობაში. ასეც შეიძლება ვიფიქროთ: როდესაც პროფესორმა, ცოტა არ იყოს, დაიჟინა, ქალები არასრულფასოვანი არიანო, მას ქალთა არასრულფასოვნება კი არ აწუხებდა, საკუთარ უპირატესობაზე ზრუნავდა. არ, ამას იცავდა თავგამოდებით და მომეტებული გულმოდგინებით, რადგან ესაა მისთვის ქვა ძვირფასი, განძი აუწონელი. ორივე სქესს ვაკვირდებოდი, ბეჭებით მიიკვლევდნენ ცხოვრების შარაგზას — მძიმეა, ძნელია მუდმივი ბრძოლა, გიგანტური ძალა და სიმამაცე სჭირდება. ყველაზე მეტად კაცს ალბათ, — ჩვენ ხომ ილუზიებით ვცხოვრობთ — საკუთარი თავის რწმენა სჭირდება. თვითრწმენა თუ არ გაგვაჩნია, აკვნის ბავშვებივით ვართ. როგორ შევიძინოთ ეს უხილავი, მაგრამ ფასდაუდებელი თვისება, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად? აი, როგორ: ირწმუნეთ, სხვები ჩემზე არასრულფასოვანი არიანო. ირწმუნეთ, რომ სხვა ადამიანებთან შედარებით რაღაც თანდაყოლილი უპირატესობა გაქვთ, იქნებ — ქონება, მდგომარეობა, სწორი ცხვირი, ან ბაბუის პორტრეტი, რომნის[1] ნახატი — ადამიანის წარმოსახვამ ხომ საზღვარი არ იცის. რატომაა, რომ პატრიარქისთვის, რომელმაც უნდა დაიპყროს, რომელმაც უნდა მართოს, დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შეგრძნებას, რომ ურიცხვი ადამიანი, ფაქტიურად ადამის მოდგმის ნახევარი, მასზე არასრულფასოვანია. დარწმუნებული ვარ, კაცის ძალაუფლების ერთ-ერთი წყარო ესაა. ვიფიქრე, ამ დაკვირვების თვალით გადავხედავ-მეთქი ჩვენს ცხოვრებას. ზოგიერთი ფსიქოლოგიური აბსურდი, რომელთაც ყოველდღიურ ყოფაში ვხვდებით, ხომ არ აიხსნება ამ დაკვირვებით? ხომ არ განმარტავს ჩემს გაოცებას, როდესაც ამას წინათ ერთმა პიროვნებამ, უაღრესად ადამიანურმა, უაღრესად თავმდაბალმა მამაკაცთა შორის, ხელში რომ აიღო რებეკა უესტის[2] რომელიღაც წიგნი, ციტატი წაიკითხა და შესძახა: „წმინდაწყლის ქალური აზროვნებაა! ის ამბობს, რომ მამაკაცები არიან სნობები!" ეს შეძახილი, მე რომ ასე გამაოცა — რატომ იყო ქ-ნ უესტი წმინდაწყლის ქალურად მოაზროვნე, რადგან მან, შესაძლოა, სიმართლე განაცხადა, თუმცა არასასიამოვნო, მეორე სქესზე? — არ იყო მხოლოდ შელახული თავმოყვარეობის ყვირილი, ეს იყო პროტესტი, რომ მამაკაცს არ შერყეოდა საკუთარი თავის რწმენა. მრავალი საუკუნე ქალი იყო სარკე, რომელიც ფლობდა ჯადოსნურ და შესანიშნავ უნარს: აირეკლა მამაკაცის ფიგურა ორმაგად გადიდებული. ეს უნარი რომ არა, დედამიწა დღემდე იქნებოდა ჭაობი და ჯუნგლი. უცნობი დარჩებოდა ყველა ჩვენი საბრძოლო დიდება. ალბათ კაცის ქვებს უნდა ვცვლიდეთ ცხვრის ტყავზე და ირმის გამოსახულებას უნდა ვკაწრავდეთ ცხვრის ძვლების ნარჩენებზე, ან ნებისმიერ მარტივ ორნამენტს, რაც დაეუფლებოდა ჩვენს წაურყვნელ გემოვნებას. არ იარსებებდა ზეკაცი და ბედისწერა. მეფეები და კაიზერები ვერც მოიპოვებდნენ და ვერც დაკარგავდნენ გვირგვინს. ცივილიზებულ სამყაროში შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით იყენებენ სარკეს, მაგრამ ყველა ბარბაროსობისა და გმირობისათვის მნიშვნელოვანია სარკე, ამიტომ იყო, რო ნაპოლეონიც და მუსოლინიც თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ქალები არასრულფასოვანნი არიანო. ქალები რომ არ ყოფილიყვნენ არასრულფასოვანნი, ვერც მამაკაცების საქმეებს წარმოაჩენდნენ გაზვიადებულად. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ მამაკაცებს ხშირად ასე ძალიან სჭირდებათ ქალები. და ამით აიხსნება, როგორი მოუსვენრობა შეიპყრობთ ხოლმე მამაკაცებს, როცა ქალები მათ აკრიტიკებენ; შეუძლებელია ქალმა განუცხადოს მამაკაცებს — ეს წიგნი ცუდია, ეს სურათი სუსტია ან სხვა ამგვარი, და მისი სიტყვები ბევრად უფრო

[1] ჯორჯ რომნი — (1734-1802) — ინგლისელი მხატვარი, მოდური პორტრეტისტი. ქმნიდა გარეგნულად ეფექტურ, ნატიფი სილამაზის პორტრეტებს. (მთ.).

[2] რებეკა უესტი — ფსევდონიმი სისილ ფეარფილდ ენდრიუზისა, XX ს. ინგლისელი მწერალი ქალის. მისი რომანებია „მოსამართლე" 1922 წ., „შიდრევანი გადმოსჩქეფს" 1956 წ., „ჩიტები ძირს ენარცხებიან" 1966 წ. და სხვ. (მთ.).

საწყენად არ ეჩვენოთ. ზევრად უფრო არ გააბრაზონ მამაკაცები, ვიდრე იმან, ასეთივე კრიტიკული აზრი რომ მამაკაცს გამოეთქვა. საქმე ისაა, რომ თუ ქალმა სიმართლის თქმა დაიწყო, სარკეში არეკლილი ფიგურა შეიკუმშება, ცხოვრებისათვის არც ისე მნიშვნელოვანი ხარო, აგრძნობინებენ. კაცმა როგორღა განსაჯოს სამართალი, როგორ შეიტანოს კულტურა ერებში, როგორ შექმნას კანონები, როგორ დაწეროს წიგნები, როგორ გამოეწყოს და სიტყვით მიმართოს წვეულებას, თუკი საკუთარ თავს ორმჯგად გაზვიადებულს არ იხილავს საუზმესა და სადილზე? ასე ვმსჯელობდი ჩემთვის, პურს ვანამცეცებდი და ყავას ვურევდი, და დროდადრო ქუჩაში ხალხს გავყურებდი. სარკის ანარეკლი ყველაზე მთავარია, რადგან ის მართავს ცხოვრებას, ის აფხიზლებს ნერვულ სისტემას. წაართვით ანარეკლი და კაცი შეიძლება მოკვდეს, როგორც კოკაინს დანატრებული ნარკომანი. აი, ამ ილუზიით გაბრუებული მიაბიჯებს სამუშაოდ გამოსული ხალხის ნახევარი. დილაობით მამაკაცები ამ სასიამოვნო ანარეკლის სხივებში მყოფნი გამოეწყობიან ქუდსა და პალტოში. დღეს იწყებენ კმაყოფილნი, ძალამოცემულნი, დაჯერებულნი, რომ მის სმითთან მიელიან სადამოს; ოთახში რომ შევლენ, გაიფიქრებენ, აქ თავმოყრილი ხალხის ნახევარს ვჯობივართო. ასე ფიქრობენ და მათი თვითკმაყოფილება, მათი თვითდაჯერება, მართლაც, გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში; ასე მკვიდრდება თავისებური შეხედულებანი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებზე.

ჩემი დაკვირვებები მეორე სქესის ფსიქოლოგიაზე, მისი ანალიზი, რაც სახიფათოცაა და საინტერესოც, და დარწმუნებული ვარ ამის კვლევა შეგიძლიათ, თუ წელიწადში ხუთასი გირვანქა მაინც გაბადიათ საკუთრად, — შემაწყვეტინეს; ფული უნდა გადამეხადა. სულ ხუთი შილინგი და ცხრა პენი. ოფიციანტს მივაწოდე ათშილინგიანი, ხურდისთვის გაბრუნდა. საფულეში კიდევ დამრჩენოდა ათშილიანგიანი; ეს ამბავი დღესაც მაოცებს — ჩემს საფულეს ისეთი ძალა აქვს, ათშილინგიანებს თავისით აჩენს, გავხსნი და ფული შიგაა. საზოგადოება მამარაგებს წიწილებით და ყავით, საწოლით და საცხოვრებლით სანაცვლოდ რამდენიმე ქაღალდის ფურცლისა, რომლებიც მამიდაჩემმა დამიტოვა მხოლოდ, იმ მიზეზით, რომ მეც მის გვარს ვატარებ.

უნდა მოგახსენოთ, რომ მამიდაჩემი, მეარი ბიტონი, ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა: ბომბეიში ცხენით გასეირნება მოისურვა. მემკვიდრეობა მივიღე დაახლოებით იმ ღამეს, როცა გამოვიდა კანონი, რომლითაც ქალებს ხმის უფლება მოგვენიჭა. ადვოკატის წერილი ჩამიგდეს საფოსტო ყუთში და როდესაც გავხსენი, გავიგე, რომ მამიდას სამუდამოდ დაეტოვებინა ჩემთვის ხუთასი [illegible] წლიური შემოსავალი. ამ ორიდან — ხმის უფლება და ფული — საკუთარი ფული აშკარად უფრო მნიშვნელოვანი იყო. მანამდე ვცხოვრობდი იმით, რომ ხან გაზეთებში მოვიმათხოვრებდი რაიმეს (იქ ვირების გამოფენაო, აქ ქორწილიო), ხან მოხუც ქალებს ვუკითხავდი, ხან ხელოვნურ ყვავილებს ვამზადებდი, ხან ბაღის აღსაზრდელებს ვასწავლიდი ანბანს. 1918 წლამდე ქალებს მხოლოდ ასეთი საქმისთვის შეეძლოთ ხელი მოეკიდათ. თქვენც ალბათ იცნობთ ქალებს, რომლებიც ასე შრომობენ და ამიტომ არ დამჭირდება, დაწვრილებით აღვწერო, რა მძიმე ყოფა გამოვიარე, რა ძნელია ასე ნაშოვნი ფულით ცხოვრება (თქვენც ალბათ გიცდიათ), ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო შეურაცხმყოფელია, — და ეს გრძნობა დღემდე თან მდევს, — შიშისა და სიმწრის შხამი, რაც იმ დღეებმა დამიტოვა. ჯერ ერთი, ყოველთვის რომ აკეთებ იმას, რაც არ გსურს, და აკეთებ მონასავით, თან მლიქვნელობ და ელაქუცები, იქნებ საჭიროც არ იყოს ყოველთვის, მაგრამ გეჩვენება, რომ საჭიროა და ვერ გაბედავ ხიფათში ჩაიგდო თავი; და მეორეც, რომ დაუფიქრდები, როგორ კარგავ მადლს, რომლის დამალვაც სიკვდილია შენთვის, შეიძლება უმნიშვნელო ნიჭია, მაგრამ შენთვის, მისი მფლობელისთვის ძვირფასია და მასთან ერთად კარგავ საკუთარ მეს, საკუთარ სულს, გრძნობ, გაზაფხულის ყვავილობას ჟანგი მოჰკიდებია. როგორც მოგახსენეთ, მამიდა გარდაიცვალა და როცა კი ათშილინგიანს ვახურდავებ, იმ ჟანგსა და ნანგრევებს ვიცილებ; შიში და სიმწარე მიქრება. მართლაც, — გავიფიქრე, როცა ვერცხლის ფულს საფულეში ჩავუძახე, — რა საოცარია, იხსენებ იმ დღეების სიმწარეს და ადარებ: მუდმივი შემოსავალი ხასიათს უცვლის ადამიანს. ამ ქვეყანაზე ვერა ძალა ვერ წამართმევს ჩემს ხუთას გირვანქას. საჭმელი, სახლი და ტანსაცმელი მუდამ მექნება. ახლა აღარ მჭირდება საქმის ძებნა და მუშაობა, სიძულვილისა და სიმწრის გრძნობაც გამიქრა. რატომ მძულდეს კაცი? ვერაფერს დამიშავებს, რატომ ველაქუცო კაცს? არაფერი გააჩნია მიწილადოს. და ასე ჩემდა შეუმჩნევლად აღმოჩნდა, რომ გამომიმუშავდა ახლებური დამოკიდებულება ადამიანთა მოდგმის მეორე ნახევრისადმი. სისულელეა, მთელ კლასს, ან რომელიმე სქესს დავდო ბრალი. ხშირად

ადამიანების დიდი მასა პასუხს არ აგებს, რას აკეთებს. მათ მართავს ინსტინქტი, რომელსაც ვერ აკონტროლებენ. მათაც, ამ პატრიარქებს, პროფესორებს თავისი უსასრულო სიძნელეები აქვთ, საშინელი დაბრკოლებების გადალახვა უხდებათ. მათ განათლებას თითქმის ისეთივე ხარვეზი აქვს, როგორც ჩემსას. მართალია, მათ ჰქონდათ ფული და ძალაუფლება, მაგრამ იმის ფასად, რომ გულში ესვათ არწივი, სვავი, ღვიძლისმკორტნელი და ფილტვისმძიძგნავი — დასაკუთრების ინსტინქტი, მოხვეჭის ვნება, რაც უბიძგებდათ, სხვათა მიწდვრები და საქონელი მიეთვისებინათ თანდათან; ეს ინსტინქტი აიძულებდათ გაევლოთ სამანი და დაეხოთ დროშები, აეგოთ საბრძოლო გემები და ეწარმოებინათ მომწამვლავი გაზი, გაეწირებინათ საკუთარი და შვილების სიცოცხლეც. გაგივლიათ საადმირალო თაღქვეშ (სწორედ ამ ძეგლს მივადექი), ან ნებისმიერ პროსპექტზე, სადაც გამოფენილია ტროფეი და იარაღი, და დაფიქრებულხართ, რას განადიდებენ? ან გაზაფხულზე დაკვირვებიხართ ბირჟის მაკლერს და ცნობილ ადვოკატს — სამსახურში შერგავენ თავს, რათა აკეთონ და აკეთონ ფული, თუმცა წელიწადში ხუთასი დოლარიც საკმარისია, რომ მზის ქვეშ გაიხარონ. ასეთი უსიამო ინსტინქტები არ უნდა გააკარო გულს, — გავიფიქრე მე. ამ ინსტინქტებს ცხოვრების პირობები და ცივილიზაციის დაბალი დონე უნერგავს კაცს, ესეც გავიფიქრე და კეიმბრიჯის მერცოგის ძეგლს დავაკვირდი, განსაკუთრებით ბუმბულს მის მაღალ ქუდზე. ასე დაჟინებით ალბათ მანამდე მისთვის არავის უმზერია. მისი გაჭირვება რომ წარმოვიდგინე, შიში და სიმწარე თანდათან მექცა შეცოდებად და მოთმინებად და შემდეგ, ერთ-ორ წელიწადში, შეცდომებისა და მოთმინების გრძნობაც გამიქრა და უდიდესმა შვებამ დაისადა ჩემში — შემეძლო შეუზღუდავად ჩავკვირვებოდი საგანთა არსს. მაგალითად, მომწონს თუ არა ის შენობა? მშვენიერია თუ არა ის სურათი? კარგია თუ ცუდი ის წიგნი? მამიდაჩემის მემკვიდრეობამ მართლაც გადამიხსნა ცა, და ნაცვლად ჯენტლმენის დიდი და შთამბეჭდავი ფიგურისა, რომელიც მილტონმა სამარადისოდ სათაყვანო არსებად დამისახა, თვალწინ გადამეშალა უკიდეგანო ცა.

ასე ფიქრი-ფიქრით დავადექი ჩემი სახლის გზას — მდინარის პირას ვცხოვრობდი. ხან აქ, ხან იქ ინთებოდა ნათურა და დილასთან შედარებით ლონდონი საგრძნობლად იცვლიდა სახეს. თითქოს უზარმაზარი მანქანა ყოფილიყოს, მთელ დღეს ეშრომოს და ჩვენი დახმარებით შეექმნას რამდენიმე მეტრის სიგრძის რაღაც საინტერესო და სრულქმნილი — ცეცხლოვანი ქსოვილი, რომლიდანაც ბრიალა ფოთლები შემოგანათებდათ, მოყვითალო-მოყავისფრო ურჩხული, რომელიც ცხელ ოხშივარს აფრქვევდა. ქარი დროშასავით ფრიალებდა, [illegible] უტყლაშუნებდა და ყორეებს [illegible].

ჩემს პატარა ქუჩაში კი სიმყუდროვე იდგა. მღებავი კიბიდან ჩამოდიოდა; ძიძა ბავშვის ორთვალას აქეთ-იქით ფრთხილად დააგორებდა; მენახშირე ცარიელ ტომრებს კეცავდა და ერთმანეთზე აწყობდა; მემწვანილე ქალს ხელზე წითელი ხელთათმანები წამოეცვა და დღის ნავაჭრს ითვლიდა. მე კი იმდენად დამამძიმა პრობლემამ, თქვენ რომ ტვირთად ამკიდეთ, ამ ჩვეულებრივ სცენასაც ვერ ვუყურებდი ისე, ერთ ცენტრში არ მომექცია, ვიფიქრე, რა ძნელია ახლა, ვიდრე ერთი საუკუნის წინათ, იმის თქმა, რომელი საქმიანობა უფრო ღირსეულია და საჭირო. რა ჯობს — იყო მენახშირე, თუ ძიძა; შინამოსამსახურე, რომელმაც რვა ბავშვი გაზარდა, უფრო ნაკლებ ღირებულია ქვეყნისათვის, თუ ადვოკატი, რომელსაც ასი ათასი გირვანქა სტერლინგი უშოვნია? უაზრობაა ამის შეკითხვა; ვერავინ მიპასუხებს. შინამოსამსახურის და ადვოკატის შედარებითი ღირებულება ხომ ყოველ ათწლეულში იცვლება — ერთის დაიწევს, მეორის აიწევს; იმის საზომიც კი არ არსებობს, მოცემულ მომენტში განვსაზღვროთ მათი ღირებულება. სისულელე იყო, როცა ჩემს პროფესორს ვთხოვე, მოეტანა „უტყუარი საბუთი" ამა თუ იმ მოსაზრებისა ქალთა პრობლემაზე მსჯელობისას. კიდევაც რომ დაგვედგინა ამა თუ იმ თვისების ღირებულება ამჟამად, ეს ღირებულება შეიცვლებოდა; ერთ საუკუნეში, შესაძლებელია მთლიანად შეცვლილიყო. კიდევ მეტიც, ასიოდე წლის შემდეგ — ვფიქრობდი მე, როცა ჩემი კიბის საფეხურებს მივადექი, — ქალები თავს დააღწევენ მეორე სქესის მფარველობას, აქედან გამომდინარე, ქალები მონაწილეობას მიიღებენ ყოველგვარ საქმიანობაში და ძალებს სცდიან ყველაფერში, რასაც წინათ ახლოს ვერ გაეკარებოდნენ. ძიძა ზიდავს ნახშირს. მემწვანილე ქალი ატარებს მანქანას. გაქრება შეხედულებანი, რომლებიც ემყარება აზრს, რომ ქალს მფარველობს მამაკაცი (ამ დროს ჯარისკაცებმა მარშით ჩაიარეს ქუჩა). ამბობენ, ქალები, მღვდლები და მებაღეები მეტხანს ცოცხლობენ. თავს ნუ ახვევთ მფარველობას, მათაც მიეცით საშუალება მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ საქმიანობაში და ძალა სცადონ ყველაფერში. დე იყვნენ ქალები მეზღვაურები და ჯარისკაცები, მემანქანეები და დოკის მუშები, მაშინ აღარ მოკვდებიან კაცებზე ბევრად

ახალგაზრდა, ნაადრევად ისე, რომ ადამიანი იტყვის — დღეს მე ქალი ვნახეო, როგორც წინათ იტყოდნენ — თვითმფრინავი ვნახეო. ყველაფერი შესაძლებელია, თუ ქალი თავს დააღწევს სხვის მფარველობას, გავიფიქრე, როცა კარს ვაღებდი. მაგრამ რა კავშირი აქვს ყველაფერს ამას ჩემს თემასთან — „ქალები და ლიტერატურა“. ესეც გავიფიქრე, შინ რომ შევდიოდი.

## მესამე თავი

საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, სამწუხაროდ, არც რაიმე ღრმა აზრი მომყვა და არც რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. ქალები მამაკაცებზე ღარიბები არიან — ამიტომ თუ იმიტომ. ჯობს, ხელი ავიღოთ ჭეშმარიტების ძიებაზე და ნურც ლავასავით ცხელი და დამდგარი წყალივით უფერული აზრების ნაკადს შევუშვერთ თავს. ჯობს, ფარდები ჩამოვაფაროთ, რათა არაფერმა გაგვიფანტოს ყურადღება; ლამპას მოვუკიდოთ. უფრო ვიწრო კუთხით დავსვათ საკითხი და მივმართოთ ისტორიკოსებს, რომლებიც ფაქტებს აღნუსხავს და არა შეხედულებებს: როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ქალები ინგლისში საუკუნეების წინათ კი არა, ვთქვათ, ელიზაბეთის ხანაში.

ყოველთვის მაოცებდა ის ამბავი, რომ არც ერთმა ქალმა არც ერთი სიტყვა არ შეაწია სერიოზულ ლიტერატურას, თითქმის ყოველ მეორე მამაკაცს კი შეეძლო სიმღერა ან სონეტი შეეთხზა. როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ქალები, ვეკითხები თავს; ამასაც მნიშვნელობა აქვს, რადგან ლიტერატურას, თუმცა ფანტაზიის ნაყოფია, კენჭივით ვერ დააგდებ მიწაზე; ლიტერატურა ობობას ქსელივითაა, ცხოვრებას ოთხივ კუთხით ჩახჭიდებია, თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ჩახჭიდებია. ამ კავშირს ხშირად ვერც აღიქვამ, მაგალითად, შექსპირის პიესები თითქოს სავსებით დამოუკიდებლად არსებობენ. მაგრამ თუ ობობას ქსელს განზე გაქაჩავთ, გვერდზე გამოდებთ კავს და შუაში ჩამოგლეჯთ, მაშინ გაგახსენდებათ, რომ ობობას ქსელი ჰაერში არ უქსოვიათ უხორცო ქმნილებებს, მგრძნობიარე არსებებმა შექმნეს და დაუკავშირეს ვულგარულ მატერიებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფული და სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

მეც მივედი თაროსთან, რომელზეც ისტორიკოსები ჩამწკრივებულან და გადმოვიღე ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკვლევა: პროფესორ ტრიველიანის[1] „ინგლისის ისტორია“. კიდევ ერთხელ მოვძებნე თავი „ქალები“, ქვეთავი „მათი მდგომარეობა“ და გადავშალე მითითებული გვერდი. „ცოლის ცემა — დავიწყე კითხვა, — აღიარებული უფლება იყო კაცისა; და ამ უფლებით სარგებლობდნენ როგორც მაღალი, ისე დაბალი წრის მამაკაცები... — განაგრძობს ისტორიკოსი, — ქალიშვილი თუ უარს იტყოდა გაყოლოდა მშობლების არჩეულს, მშობლებს უფლება ჰქონდათ ოთახში ჩაეკეტათ, ეცემათ და ეთრიათ, — ეს არ აღაშფოთებდა საზოგადოებრივ აზრს. ადამიანის გრძნობა კი არ აპირობებდა ქორწინებას, არამედ ოჯახის სიხარბე, განსაკუთრებით, „რაინდულ“ მაღალ კლასებში... ერთ-ერთი, ან ორივე ჯერ კიდევ აკვანში იწვნენ, როცა ნიშნავდნენ და ძიძის ხელს ძლივს გასცდებოდნენ, რომ უკვე აქორწინებდნენ“. ასე იყო ჩოსერის შემდგომ წლებშიც, 1470 წლამდე. ავტორი ერთხელ კიდევ აღწერს ქალთა მდგომარეობას ორასი წლის წინათ, სტიუარტების ეპოქაში: „მაშინაც მხოლოდ მაღალი საზოგადოების ქალებს ჰქონდათ უფლება აერჩიათ ქმარი და, როდესაც აღიარებდნენ ქმრად, კანონით და ტრადიციით კაცი ხდებოდა ღმერთი და ბატონი“. მიუხედავად ამისა, პროფესორი ტრიველიანი დაასკვნის, არც შექსპირის ქალებს და არც მეჩვიდმეტე საუკუნის სანდო მემუარების ავტორებს, მაგ. ვერნის და ჰაჩინსონის ქალებს პიროვნულად არ ჰკლებიათ რაიმე და ხასიათიც სრულყოფილი ჰქონდათო. მართლაც, თუ დავაკვირდებით, კლეოპატრა ძალიანაც თავნება იქნებოდა; ლედი მაკბეტიც ალბათ, თავის ჭკუაზე დადიოდა, როზალინდა უთუოდ მომხიბვლელი გოგო იყო. პროფესორი ტრიველიანი უდავო ჭეშმარიტებას და მხოლოდ ჭეშმარიტებას ღაღადებს, როდესაც აღნიშნავს, რომ შექსპირის ქალებს არც პიროვნულად აკლდათ რაიმე და არც ხასიათის სრულყოფის თვალსაზრისით. თუ ისტორიკოსი არ ხარ, შეიძლება გააგრძელო და თქვა, რომ დასაბამიდან ყველა პოეტის ნაწარმოებში შუქურვარსკვლავად ანთია ქალთა სახელები: კლიტემნესტრა, ანტიგონე, კლეოპატრა, ლედი მაკბეტი, ფედრა, კრესიდა, როზალინდა, დეზდემონა, მალფის ჰერცოგის მეუღლე — დრამატურგიული პერსონაჟები. პროზიდან — მილამანი, კლარისა, ბეკი შარპი, ანა კარენინა ,ემა ბოვარი, მადამ დე ჟერმანი — სახელები მოზღვავდა გონებაში, ისეთი კი არავინ გამახსენდა

[1] ჯორჯ ტრიველიანი — (1876-1962) — ინგლისელი ისტორიკოსი. მას ეკუთვნის „ინგლისის სოციალური ისტორია“, „ინგლისის რევოლუცია“, „ინგლისის ისტორია“ და სხვ. (მთ.).

„პიროვნულად და ხასიათის სრულყოფის თვალსაზრისით რაიმე ჰკლებოდეს“. ქალებს რომ მხოლოდ მამაკაცის დაწერილ რომანებში ვარსებათ, წარმოიდგენდით, რომ ისინი იყვნენ უმნიშვნელოვანესნი და სხვადასხვაგვარნი; გმირები და სულით მდაბალნი; ბრწყინვალენი და ბინძურნი; უსაზღვროდ მშვენიერნი და უკიდურესად საზიზღარნი, მამაკაცსავით დიდებულნი, ზოგის აზრით, უფრო დიდებულნიც*. ასეთია ქალი — ლიტერატურული პერსონაჟი. ცხოვრებაში კი, როგორც პროფესორი ტრეველიანიც აღნიშნავს, ქალს ოთახში კეტავდნენ, სცემდნენ და თმით ათრევდნენ.

და ასე იშვა უცნაური ნაერთი. წარმოსახვით მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პრაქტიკულად სრულიად უმნიშვნელოა. თითქმის ყოველი პოეტური კრებული ქალს ეძღვნება, ისტორია ერთ გვერდსაც არ უთმობს; ლიტერატურაში ქალი განაგებს მეფეთა და დამპყრობელთა სიცოცხლეს, სინამდვილეში ის მონაა ნებისმიერი ბიჭისა, ვისი მშობლებიც ბეჭედს წამოაცვამენ თითზე. ლიტერატურაში მის ბაგეთ მოსწყდა ყველაზე გულმხურვალე სიტყვები და ყველაზე ჭკვიანური აზრები; ცხოვრებაში ვერც კითხულობდა და ვერც წერდა წესიერად და ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა.

ჯერ რომ ისტორიკოსისთვის მიგვემართათ და შემდეგ პოეტისთვის, ცხადია, რაღაც ქიმერა წარმოგვიდგებოდა — არწივისფრთებიანი მატლი; სიცოცხლის და მშვენიერების სული, რომელიც სამზარეულოში ბოსტნის ჭრის კეპავს. რაც უნდა საინტერესო იყოს! წარმოსახვისთვის, სინამდვილეში ქიმერები არ არსებობენ. ასეთი რამ ცოცხლად რომ წარმოიდგინო ადამიანმა, ერთსა და იმავე დროს პოეტურადაც უნდა აზროვნებდე და პროზაულადაც. ფაქტიც ხელშესახები უნდა იყოს — ეს ქალი მისის მარტინია, ოცდათექვსმეტი წლის, ლურჯი კაბა აცვია, შავი ქუდი ახურავს და ყავისფერ ფეხსაცმელს ატარებს—და ეცადო, არც ლიტერატურული სახე დაკარგო თვალთაგან — ქალი ის სადინარებია, რომლებშიც სული და ძალა უწყვეტ ნაკადად მოედინება. ასე თუ მიუდექი ელიზაბეთის ხანას, „განათების“ ცალი მხარე გიმტყუნებთ — ფაქტების სიღარიბე შეგაჩერებთ. დეტალურად არაფერი ვიცით; არაფერია ცნობილი — რეალური და მნიშვნელოვანი. ისტორია თითქმის არ მოიხსენიებს ქალს. ისევ პროფესორ ტრეველიანს მივუბრუნდი: რა არის მისთვის ისტორია. სათაურები რომ გადავიკითხე, აღმოჩნდა, რომ მისთვის ისტორია არის: „ფეოდალის საკარმიდამო და სამიწათმოქმედო

---

* „უცნაურია და სრულიად გაუგებარი, როგორ მოხდა, რომ ქალაქ ათენში, სადაც ქალებს ჩაგრავდნენ, როგორც აღმოსავლეთში — ვირივით ამუშავებდნენ და ოდალისკებად ჰყავდათ, სცენაზე შეიქმნა ისეთი ხასიათები, როგორიცაა კლიტემნესტრა და კასანდრა, ატოსა და ანტიგონე, ფედრა და მედეა, და ყველა სხვა გმირი ქალი, რომლებიც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ პიესიდან პიესაში და ამ პიესების ავტორი იყო „ქალთმოძულედ“ შერაცხული ევრიპიდე. ჯერ არავის ამოუხსნია ბოლომდე ეს ამქვეყნიერი პარადოქსი — ცხოვრებაში წესიერი ქალი სახესაც კი ვერ გამოაჩენდა ქუჩაში. მაშინ როცა შექსპირის ნაწარმოებებს თუ თვალს გადავავლებთ (ასევე უებსტერისას[1], თუმცა სხვაგვარადაა მარლოუსა[2] და ჯონსონთან[3]), დავინახავთ: როზალინდადან დაწყებული და ლედი მაკბეტით გათავებული, ქალები მტკიცედ ინარჩუნებენ უპირატესობას, ინიციატივას. ასევეა რასინთან. მის ექვს ტრაგედიას ქალის სახელი ეწოდება, რომელ მამაკაც-პროტაგონისტს დაუპირისპირებთ ისეთ ქალებს, როგორიცაა ჰერმიონე, ანდრომაქე, ბერენიკე, როქსანა, ფედრა, გოთოლია; ასევე იბსენთან, რომელი მამაკაცი შეიძლება დავუწყვილოთ სოლვეიგს და ნორას, ჰედას და ჰილდა ვანგელს ან რებეკა უესტს?“ — ფ. ლ. ლუკასი. ტრაგედია, გვ. 114-115.

[1] ჯონ უებსტერი — XVII ს. ინგლისელი დრამატურგი. მას ეკუთვნის დრამები „თეთრი ეშმაკი“, „მალფის ჰერცოგის მეუღლის ტრაგედია“ და სხვ. (მთ.).

[2] ქრისტოფერ მარლოუ (მარლო) — (1564-1593) — ინგლისელი პოეტი და დრამატურგი, შექსპირის წინამორბედი. მისი პიესებია „დიდი თემურლენგი“, „დოქტორ ფაუსტუსის ტრაგიკული ამბავი“, „მალტელი ებრაელი“, „ედუარდ მეორე“ და სხვ. მასზე ამბობენ, შექსპირის ადრინდელი პიესების თანაავტორი იყოო (მთ.).

[3] ბენ ჯონსონი — (1573-1637) — შექსპირის თანამედროვე ინგლისელი დრამატურგი. დაწერა სატირულ-მორალისტური კომედიები, ტრაგედიები. აღორძინების ხანის ჰუმანისტური დრამის ერთ-ერთი სათავეა მისი პიესები „ეპიცინი, ანუ მდუმარე ქალი“, „ალქიმიკოსი“, „ვოლპონე“ და სხვ. (მთ.).

4 ცისტერციანელები — კათოლიკური სამონასტრო ორდენი. დააარსეს 1098 წ. საფრანგეთში, მათი პირველი მონასტერი იყო ცისტერციუმი. XIV ს-დან დასუსტდა. ორდენის წევრებს ევალებოდათ მძიმე ფიზიკური შრომა, ასკეტური ცხოვრება. ორდენი დღემდე არსებობს (მთ.).

სამუშაოები მინდვრად... ცისტერციანელები[4] და მეცხვარეობა... ჯვაროსნები.. .უნივერსიტეტი... თემთა პალატა... ასწლიანი ომი... ვარდების ომი..., აღორძინების ხანის სწავლულები... მონასტრების აკრძალვა.. .აგრარული და რელიგიური წინააღმდეგობანი... როგორ გაჩდა ინგლისი ზღვის მბრძანებელი... არმაადა...“ და ა. შ. იშვიათად ახსენებს თითოოროლა ქალს, ვინმე ელიზაბარეთს ან მეარის; ისიც დედოფალი ან დიდებულია, საშუალო კლასის ქალი კი, რაც უნდა ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება ყოფილიყო, ვერ მიიღებდა მონაწილეობას დიდ ამბებში, რომლებიც, ერთად აღებულნი, ისტორიკოსისათვის ქმნიან წარსულს, იუმორისტულ კრებულებშიც კი ვერ შეხვდებით ქალს. ობრი[1] არც ახსენებს მათ, ქალები არასოდეს აღწერდნენ საკუთარ ცხოვრებას და თითქმის არც წერდნენ დღიურებს; ორიოდ წერილი თუ მოიძებნება, არც პიესები დაუტოვებიათ და არც პოემები, რომ გვემსჯელა ქალზე. აი, ჩემი აზრით რა არის საჭირო — ნუთუ ნიუნჰემის ან გერტონის კოლეჯის რომელიმე კარგ სტუდენტს არ შეუძლია ეს? — უნდა შეგროვდეს ინფორმაცია: რა ასაკში ათხოვებდნენ ქალს, რამდენ შვილს აჩენდა, როგორც წესი; როგორი იყო მისი სახლი; ჰქონდა თუ არა ერთი ოთახი საკუთრად; თვითონ ამზადებდა თუ არა საჭმელს, ჰყავდა თუ არა მსახური? ეს ფაქტები სადღაც იქნება, თუნდაც საეკლესიო დავთრებსა და საანგარიშო წიგნებში; ელიზაბეთის ეპოქის საშუალო წრის ქალის ყოფა, ალბათ, მიმოფანტულად აღწერილია; სასურველია, ვინმემ თავი მოუყაროს ამ ინფორმაციას და ერთ წიგნად გამოსცეს. თაროზე თვალით ვეძებდი წიგნებს, რომლებიც აქ არ იყო და ვიფიქრე, ჩემს გამბედაობას აღემატება ამ ცნობილი კოლეჯების სტუდენტებს შევთავაზო, რომ მათ ხელახლა დაწერონ ისტორია, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ისტორია, როგორც ის არის წარმოდგენილი, ჩემი აზრით, ცოტა უცნაური, არარეალური და არაპროპორციულია. რატომ არ შეიძლება, მათ ისტორიას დაურთონ დამატება, ამ თავს უწოდონ, რასაკვირველია, რაიმე სადა სახელი და მასში ქალები ბუნებრივად მონაწილეობდნენ? დიდ პიროვნებათა ცხოვრებაში გაიელვებდნენ ქალები, სადღაც უკან იხევდნენ, და მე ხანდახან მგონია, რომ მათში იმალებოდა სიანცე, სიცილი და, ალბათ, ცრემლი. ბოლოს და ბოლოს წარსულს ეკუთვნის ჯეინ ოსტინის ცხოვრებაც. კამათს აღარ უნდა იწვევდეს ისიც, რომ ჯოუენა ბეილის[2] ტრაგედიებმა გავლენა იქონიეს ედგარ ალან პოუს ლირიკაზე; მე რომ მკითხოთ, წინასწარმეტყველი არ ვიქნები, თუ მეარი რასელ მიტფორდის[3] ბუნაგს ერთი წლით მაინც [illegible]. მაგრამ სამწუხაროა,, — გა[illegible] და კიდევ ერთხელ თვალი შევავლე წიგნის თაროებს, — რომ არაფერი ვიცით ქალთა შესახებ მეთვრამეტე საუკუნემდე. გონებაში არ გამაჩნია მოდელი, რომ ასეც გავსინჯო და ისეც. ვთქვათ, ვიკითხე, რატომ არ წერდნენ ქალები ლექსებს ელიზაბეთის ხანაში; დარწმუნებული არ ვარ, განათლებას თუ აძლევდნენ მათ; ან წერას თუ ასწავლიდნენ; ან სასტუმრო ოთახი თუ ჰქონდათ საკუთრად; ან რამდენ შვილს აჩენდნენ ოცდაერთ წლამდე; მოკლედ, რას საქმიანობდნენ დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე. აშკარაა, მათ ფული არ ჰქონდათ; პროფესორ ტრიველიანის აზრით, მათ აქორწინებდნენ ჯერ კიდევ ნორჩებს, უნდოდათ თუ არა, ალბათ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლისას. სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ასეთ სიტუაციაში ერთ-ერთ მათგანს შეექმნა შექსპირის პიესა, დავასკვენი და გამახსენდა მოხუცი ჯენტლმენი, — ახლა იგი მკვდარია, მაშინ კი, მგონი, ეპისკოპოსი იყო, — რომელმაც განაცხადა, რომ შეუძლებელია, ქალს წინათ ჰქონოდა, ახლა ჰქონდეს ან მომავალში ექნეს შექსპირის გენიაო. ამ საკითხზე დაწერა კიდეც გაზეთში. და ქალს, რომელიც მას ეწვია განმარტების მისაღებად, უპასუხა: ხომ ფაქტია, რომ კატები არ მაღლდებიან ზეცად, თუმცა, — დაუმატა მან, — მათაც აქვთ ერთგვარი სული. რა სიბრძნე დააფრქვია მოხუცმა ჯენტლმენმა, რომ გადაერჩინა მეორე სიბრძნე! ამ სიბრძნემ როგორ შეავიწროვა უგუნურების საზღვრები! კატები არ მაღლდებიან ზეცად. ქალები ვერ შექმნიან შექსპირის პიესებს.

სხვა რამეში რომ ცდებოდეს კიდეც, — ეხეც გავიფიქრე, როცა თაროზე ჩამწკრივებულ შექსპირის ტომებს შევხედე, — მაინც სწორია ეპისკოპოსი; შეუძლებელია, სავსებით და აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ ქალს დაეწერა შექსპირის პიესები შექსპირის ხანაში. ნება მომეცით, წარმოვიდგინო, — რადგან ფაქტები

---

[1] ჯონ ობრი — (1629-1697) — ინგლისელი ბიოგრაფი, ორ ტომად გამოსცა „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ (მთ.).

[2] ჯოუენა ბეილი — (1762-1951) — შოტლანდიელი დრამატურგი და პოეტი ქალი, უოლტერ სკოტის მეგობარი (მთ.).

[3] მეარი რასელ მიტფორდი — (1787-1855) — ინგლისელი რომანისტი და დრამატურგი. მისი რომანებია „ჩვენი სოფელი“, „ამერიკული ცხოვრების სურათები“, „ედინბურგული ზღაპრები“ და სხვ. (მთ.).

ასე ძნელად მოსაძებნია; — რა იქნებოდა, შექსპირს რომ ჰყოლოდა საოცრად ნიჭიერი და, სახელად, ვთქვათ, ჯუდითი. სავარაუდოა, რომ თვითონ შექსპირი — დედამისმა მემკვიდრეობა მიიღო — დადიოდა საშუალო სკოლაში, სადაც შეისწავლიდა ლათინურს — ოვიდიუსს, ვირგილიუსს, ჰორაციუსს და გრამატიკისა და ლოგიკის ელემენტებს. ვიცით, რომ ბავშვობაში ძალიან ცელქი იყო, ნადირობდა კურდღლებზე (თუმცა ეს აკრძალული იყო), ირემიც მოუკლავს, და ბევრად ადრე, ვიდრე ამას აკეთებენ ხოლმე, იძულებული შეიქნა ცოლად შეერთო მეზობლის ქალი, რომელმაც ბავშვი გაუჩინა ნაადრევად, ქორწინებამდე. ამ თამაშმა და მხიარულმა თავგადასავალმა აიძულა, ბედი ეძია ლონდონში. ეტყობა თეატრი აინტერესებდა თავიდანვე; დაიწყო იმით, რომ თეატრში მოსულ მაყურებელს ცხენებს ჩამოართმევდა. მალე თეატრშიც მიიღო სამუშაო, წარმატებით გამოვიდა სცენაზე და ცხოვრების შუაგულში მოექცა. ყველას ხვდებოდა, ყველას იცნობდა, სცენისთვის წერდა და ხელი გაიწაფა, ქუჩაში იყო და გონებას ავარჯიშებდა, დედოფლის სასახლეშიც იწვევდნენ. ამ დროს მისი არაჩვეულებრივად ნიჭიერი და სახლში იჯდა. ისიც ისევე თამამი და მეოცნებე იყო, როგორც მისი ძმა, მასაც ისევე სწყუროდა ენახა ქვეყანა, როგორც მის ძმას. მაგრამ ის არ გაუშვეს სკოლაში, საშუალება არ ჰქონდა გრამატიკა და ლოგიკა შეესწავლა, თავი რომ დავანებოთ ჰორაციუსსა და ვირგილიუსს. აიღებდა ხოლმე წიგნს, ალბათ ძმის ნაქონს, და რამდენიმე გვერდს წაიკითხავდა, მაგრამ შემდეგ მშობლები შემოვიდოდნენ და ეტყოდნენ, წინდები დაკემსე ან ხორცს მიხედე, წიგნებსა და ქაღალდებს ნუ ჩაჰყურებ ოცნებაში წასულიო. ალბათ მტკიცედ ეტყოდნენ, მაგრამ გულთბილად, რადგან გონიერი ადამიანები იყვნენ, იცნობდნენ ქალის ხვედრს და უყვარდათ საკუთარი ქალიშვილი — მამამისს ალბათ. თვალისჩინს ერჩივნა. შეიძლება რამდენიმე გვერდი სხვების უჩუმრად დაეჯღაბნა, როცა ზევით ავიდოდა, სხვენზე, სადაც ვაშლს ინახავდნენ, მაგრამ სიფრთხილეს იჩენდა, მალავდა, ანდა სულაც წვავდა. ყელი მოიღერა და უნდა დაენიშნათ მეზობელ მატყლით მოვაჭრის ვაჟზე. მან ტირილით უთხრა, არ მინდა გათხოვებაო, და მამამ ამისათვის მწარედ სცემა, შემდეგ თავი ანება ლანძღვას. ახლა ლანძღვის მაგიერ ეხვეწებოდა, გულს ნუ მატკენო, შენი საქციელით სირცხვილს ნუ მაჭმევო. ალბათ, დაპირდა, ერთ აცმა მძივს გაჩუქებ ან ლამაზ კაბასო. გოგოს თვალებში მაინც ედგა ცრემლი. როგორ არ დაემორჩილოს მამას? როგორ გაუხეთქოს გული? მაგრამ ძალა ნიჭისა ეურჩებოდა. ზაფხულის ერთ ღამეს თავისი ნივთები პატარა ფუთაში გამოკრა, თოკით დაეშვა ძირს და დაადგა ლონდონის გზას. ჩვიდმეტისაც არ იყო. განა ბუჩქებში მოღუღურტულე ჩიტები მასზე უკეთ მღეროდნენ? ძმის ნიჭი გამოჰყვა — ყველაზე საჭირო სიტყვების მუსიკას ხელად მიაგნებდა, ძმასავით უყვარდა თეატრი. აი, თეატრის კარს მიადგა. სცენაზე თამაში მინდაო, გაბედა. კაცებმა მოურიდებლად გაიცინეს. თეატრის პატრონმა, ჩასუქებულმა, ლაშებიანმა კაცმა უხამსად ჩაიხითხითა და შეუღრინა — ძაღლებიც ცეკვავენ, როგორც ქალები თამაშობენო; არა, ქალი ვერ იქნებაო მსახიობი, უთხრა და თან გადაუკრა — მიხვდებით, რასაც ეტყოდა. მაშ, ვერ გაიწაფავდა ხელს თავის საქმეში. სადილს შეჭამდა სადმე დუქანში, თუ შუაღამეს იხეტიალებდა ქუჩებში? მაგრამ ლიტერატურული გენია იყო მასში და სურვილს შეეპყრა, ხარბად დასწაფებოდა ადამიანების ცხოვრებას, შეესწავლა მათი ყოფა. ბოლოს და ბოლოს ის ხომ ძალიან ახალგაზრდა იყო, შექსპირივით პოეტური სახის, მასავით ნაცრისფერი თვალებით, მოშვილდული წარბებით — და, როგორც იქნა, მსახიობმა ნიკ გრინმა, რომელსაც საკუთარი თეატრიც ჰქონდა, შეიცოდა; ალმოჩნდა, ამ მამაკაცისგან შვილსაც ელოდა და ამიტომ — ვინ გაიგებ, რა ცეცხლი და გენია ტრიალებს პოეტის გულში, როცა ეს გული მომწყვდეულა და გახლართულა ქალის სხეულში? — ზამთრის ერთ ღამეს თავი მოიკლა და ახლა ასაფლავია გზაჯვარედინზე, სადაც ავტობუსები ჩერდება, „სპილოსა და სასახლესთან“.

შექსპირის ეპოქაში შექსპირის გენია რომ ჰქონოდა ქალს, ალბათ, ასეთი ბედი ეწეოდა. მე ვეთანხმები გარდაცვლილი ეპისკოპოსის — თუკი ეპისკოპოსი იყო — აზრს: წარმოუდგენელია, ქალი შექსპირის ხანაში შექსპირივით გენიოსი ყოფილიყო. არ შეიძლებოდა შექსპირის გენია შობილიყო მასაში, რომელიც სულ შრომობდა, გაუნათლებელი იყო და მონურ ყოფაში ცხოვრობდა. ის არ შობილა საქსებისა და ბრიტების ინგლისში. ის არც დღევანდელ მშრომელ კლასებშია. მაშ, როგორღა მოიძებნებოდა იგი ქალთა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვობაში ებმოდნენ შრომის უღელში, რომლებსაც მშობლები აძალებდნენ ემუშავათ და კანონით და ტრადიციითაც შრომას იყვნენ მიჯაჭვულნი, როგორც პროფესორი ტრივილიანი წერს. და მაინც გენია აუცილებლად იქნებოდა ქალებში ისევე, როგორც მშრომელ კლასებში. ხან ემილი ბრონტის და ხან რობერტ ბერნსის გენია აგიზგიზდება და გვიდასტურებს, რომ იგი არსებობს. მაგრამ ამ გენიას ქაღალ-

დზე არ განუცხადებია თავი. და მაინც, როცა ვკითხულობ, ჯადოქარი დაახრჩესო წყალში, ან ქალს ეშმაკები დაპატრონებიანო, ან ექიმბაში ქალი სამკურნალო ბალახს ყიდისო, ან ესა და ეს კაცი გამოჩენილიაო (მასაც ხომ ჰყავდა დედა), მაშინ ვფიქრობ, რომ ესაა კვალი დაკარგული რომანისტის, ჩახშობილი პოეტის, ვინმე უტყვი და უსახელო ჯეინ ოსტინის, ვინმე ემილი ბრონტის, ვისი გონებაც ღვარად მოსკდა ქაობების მხარეში და ვინც ეწამა გზებზე ხეტიალით, თავისივე ნიჭით სიგიჟემდე გაწამებული. არ შევცდები, თუ გავბედავ და ვიტყვი, რომ ანონიმი, რომელმაც ამდენი ლექსი დაგვიტოვა სახელდაუსმელი, ქალი იქნებოდა. მგონი, ედუარდ ფიცჯერალდი[1] ვარაუდობს, რომ ქალის შექმნილია ბალადები და ხალხური სიმღერები, რომლებსაც დაბალ ხმაზე უმღეროდნენ ბავშვებს: სიმღერაში გართული ართავდნენ მატყლს და ზამთრის გრძელი ღამეც ილეოდა.

შეიძლება, ასეც იყო, შეიძლება, არც იყო ასე, ვინ იცის? ის მაინც მართალი უნდა იყოს (შექსპირის დის ამბავს ვიხსენებ), რაც ზემოთ მოგახსენეთ: მეთექვსმეტე საუკუნეში დიდი ნიჭით დაჯილდოებული ქალი აუცილებლად გაგიჟდებოდა, ან თავს მოიკლავდა, ან სიცოცხლის ბოლო დღეებს მარტოხელა გაატარებდა სოფლის განაპირა ქოხში, ნახევრად ეშმა, ნახევრად ჯადოქარი, ვისიც ეშინიათ და ვისაც დასცინიან. დიდი ფსიქოლოგიური გამოცდილება არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე: ნიჭით მომადლებული გოგო, რომელიც პოეზიას ეზიარა, იმდენ ხელის შეშლას და წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ისე დატანჯავდა და ნაფლეთებად აქცევდა შინაგანი წინააღმდეგობრივი ინსტინქტები, თქმა არ უნდა, ჯანმრთელობასაც დაკარგავდა და გონსაც. ვერც ერთი გოგო ვერ წავიდოდა ლონდონში, ვერ მიადგებოდა თეატრის კარს და ვერც მსახიობ-მეპატრონესთან მიბედავდა. და თუ მიბედავდა, წაბილწულსა და ტანჯვის აგონიით გონებადაკარგულს უნდა ევლო — თუმცა საზოგადოებამ სიქალწულე გაფეტიშა გაუგებარი მიზეზით, ასეთი დასასრული მაინც გარდუვალი იყო. ქალის ცხოვრებაში სიქალწულე იყო და ახლაც არის რელიგიურ სიმაღლემდე ზეატანილი და იმდენად შებორკილი ნერვებით, ინსტინქტებით, რომ მისი გამონთავისუფლება და დღის სინათლეზე გამოტანა ქალისგან მოითხოვს იშვიათ სიმამაცეს. მეთექვსმეტე საუკუნეში ლონდონში ქალს რომ ეცხოვრა თავისუფალი ცხოვრებით, რომ ის პოეტი და დრამატურგი იყო, ნერვიული დაჭიმულობა და არჩევანის აუცილებლობა სიკვდილამდე მიიყვანდა. ცოცხალი დარჩენილიყო და, რაც უნდა დაეწერა, ყველაფერი [illegible] და მახინჯქმნილი გამოუვიდოდა, რადგან მათ წარმოქმნიდა თავად დამახინჯებული და ავადმყოფური ფანტაზია. ეჭვი არ მეპარება, — გავიფიქრე და თვალი მოვავლე თაროებს, რომლებზეც არც ერთი პიესა არ იყო ქალისა, — ხელმოუწერლად გამოაქვეყნებდა, აუცილებლად მიაგნებდა ამ თავშესაფარს. ქალწულობის სიმორცხვე კარნახობდა ქალებს: მეცხრამეტე საუკუნეშიც კი ანონიმად დარჩენა ერჩიათ. კარერ ბელი, ჯორჯ ელიოტი, ჟორჟ ზანდი — სამივე შინაგანი ბრძოლის მსხვერპლი იყო, როგორც მათ ნაწერებშიც ჩანს, და უშედეგოდ ცდილობდნენ, ამოფარებოდნენ მამაკაცის სახელს. ამით თვითვე უხდიდნენ ხარკს იმ პირობითობას, რომელიც მეორე სქესმა მთლად ვერ დაამკვიდრა, მაგრამ აშკარად მაინც აქეზებდა: ქალის საჯაროობა საზიზღრობააო. ქალის უმთავრესი ღირსება ისაა, — ამბობდა პერიკლე, — მასზე რომ არ ილაპარაკებენ, ანონიმურობა სისხლში აქვთო. — თვითონ პერიკლეზე კი ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ. დღემდე დაუფლებია ქალს სურვილი, დარჩეს უჩინარი. დღესაც კი ქალი იმდენს არ ზრუნავს სახელისათვის, რამდენსაც კაცი, და საერთოდ, საფლავის ქვასა და საგზაო ნიშანსვეტს ისე ჩაუვლის, სურვილიც არ დაებადება, საკუთარი სახელი ამოკვეთოს ზედ, როგორც ელფი, ბერტი ან ჩეზი ცდილობს ინსტინქტის კარნახით, რომელიც ჩასჩურჩულებთ — თუ დაინახეს ლამაზი ქალი ჩავლილი, ან თუნდაც ძაღლი, — თქვან, ეს ჩემი ძაღლიაო. რასაკვირველია, შეიძლება არც იყოს ძაღლი — გავიფიქრე და გამახსენდა პარლამენტ სქუეარი, სიჯიზ ელი და სხვა პროსპექტები; შეიძლება მიწის ნაკვეთზე ითქვას, ან ხუჭუჭა შავთმიან კაცზე; ქალის ერთადერთი უდიდესი უპირატესობა ისაა, რომ შეიძლება ჩაუარონ, თუნდაც ზანგის, ძალიან ლამაზ ქალს და არავინ ისურვებს, მაინცდამაინც ინგლისელი იყოსო.

მაშ, ის ქალი, რომელსაც დიდი პოეტური ნიჭი დაჰყვა მეთექვსმეტე საუკუნეში, უბედური იქნებოდა, რადგან საკუთარ თავს ებრძოდა. მისი წრის ყოფა, მისი ინსტინქტი მტრულად იყო განწყობილი ისეთი სულიერი მდგომარეობისადმი, როგორიც აუცილებელია, რათა გამონთავისუფლდეს ცნობიერებაში მოქცეული სამყარო. მაგრამ როგორი განწყობაა ყველაზე უფრო ხელსაყრელი შემოქმედებითი პროცესისათვის ,— ვიკითხე მე. შეიძლება დაახლოებით

[1] ედუარდ ფიცჯერალდი — (1809-1883) — ინგლისელი პოეტი და მთარგმნელი, მეგობარი კარლაილის, თეკერის და ტენისონის. შესანიშნავად თარგმნა ომარ ხაიამის რუბაიები, ანტიკური ტრაგედიები. (მთ.)

მაინც შევისწავლოთ ის მდგომარეობა, რომელიც ბიძგს აძლევს და აამოქმედებს ამ უცნაურ პროცესს? შექსპირის ტომი გადავშალე, ტრაგედიები, როგორი განწყობით დაწერა შექსპირმა, მაგალითად, „ლირი" ან „ანტონიოს და კლეოპატრა"? რასაკვირველია, მისი განწყობა უაღრესად ხელშემწყობი იქნებოდა პოეტური ნაწარმოების შესაქმნელად, მანამდე მსგავსი არც არსებულა, ალბათ მაგრამ თვით შექსპირი არაფერს ამბობს ამაზე. აქა-იქ გაფანტული ნათქვამით ვიცით, „უთაურად არარას დაჯღაბნიდა". თითქმის მეთვრამეტე საუკუნემდე თვით ხელოვანნი არაფერს წერდნენ საკუთარ განწყობაზე. ალბათ რუსომ დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, თვითანალიზი იმდენად განვითარდა მეცხრამეტე საუკუნეში, მწერლებს ჩვეულებად ექცათ, გადმოეცათ საკუთარი განწყობა აღსარებებსა და ავტობიოგრაფიებში. სიკვდილის შემდეგ აღწერდნენ მათ ცხოვრებას, აქვეყნებდნენ მათ წერილებს. ამგვარად, ჩვენ არ ვიცით, რას განიცდიდა შექსპირი, როცა წერდა „ლირს", მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რას განიცდიდა კარლაილი,[1] როდესაც წერდა „საფრანგეთის რევოლუციას"; რას განიცდიდა ფლობერი, როდესაც წერდა „მადამ ბოვარის", რას განიცდიდა კიტსი[2], როდესაც ქმნიდა პოეზიას, თუმც სიკვდილი უახლოვდებოდა და ირგვლივ გულგრილობა ეხვია. უზარმაზარი თანამედროვე ლიტერატურა აღსარებებისა და თვითანალიზისა გვამცნობს, რომ გენიალური ნაწარმოების შექმნა თითქმის ყოველთვის განუზომელი გმირობაა. ყველაფერი იმის საწინააღმდეგოდ ხდება, რომ მწერლის გონებაში იშვას ნაწარმოები — მთლიანი და სრულქმნილი. მატერიალური გარემო ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნის. ძაღლები ყეფენ, ადამიანები გაწყვეტინებენ, ფული უნდა იშოვო; ჯანმრთელობა გიმტყუნებს და ყველა ამ სიძნელეს ერთვის და ამძიმებს ის, რომ ქვეყანა მოსაბეზრებლად გულგრილია. არავის უთხოვია ლექსი, რომანი ან ისტორია დაწერეო; არავის სჭირდება, არავის აინტერესებს, ფლობერი იპოვის თუ არა საჭირო სიტყვას, ან კარლაილი დაწვრილებით განიხილავს თუ არა ამა თუ იმ ფაქტს. ბუნებრივია, ქვეყანა არც აუნაზღაურებს იმას, რაც არ სჭირდება, და ამიტომ მწერალს — კიტსს, ფლობერს, კარლაილს — ახალგაზრდობის ნაყოფიერ წლებში ყოველნაირად ეშლება ხელი, ყველაფერი წინ ეღობება. წყევლა და [illegible] კივილი ისმის ანალიზისა და აღსარებების ამ წიგნებიდან. „ბუმბერაზი პოეტები სიღატაკეში კვდებიან" — ეს ფრაზა რეფრენად გასდევს მათ სიმღერას. სასწაულია, თუ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანი მაინც შექმნის რაიმეს; თუმცა, არც ერთი წიგნი არ დაბადებულა მთლიანი და სრულქმნილი, როგორც ჩაიფიქრეს. რაც შეეხება ქალებს — გავივლე გუნებაში, როცა ჩემს ცარიელ თაროებს ვუყურებდი — ეს სიძნელეები მათთვის განუზომლად უფრო დიდი იქნებოდა. ჯერ ერთი, გამორიცხულია, ქალს ჰქონოდა ერთი ოთახი საკუთრად, — ვინ დაეძებდა, მყუდრო თუ არ იყო, ან ხმაურის ჩამხშობი არ ჰქონდა, — თუ მშობლები ძალიან მდიდარი ან კეთილშობილი არ იყვნენ. ასე იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც. რადგან ჯიბის ფული, რაც მამის კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, ჩაცმა-დახურვას უნდებოდა. ქალი იმ ამოსუნთქვასაც მოკლებული იყო, რაც ხანდახან მაინც ჰქონდა კიტსს, ტენისონს ან კარლაილს. სამივე თუმცა ღარიბი იყო, ხან ფეხით მოგზაურობდნენ, ხან მცირე ხნით ეწვეოდნენ საფრანგეთს; თუნდაც ძალიან ხელმოკლედ ეცხოვრათ, თავისთვის მაინც იყვნენ, ოჯახის მოთხოვნილებებსა და ტირანიას თავდახსნილნი. ასეთი მატერიალური გაჭირვება საშინელებაა, მაგრამ უარესია არამატერიალური სიძნელეები. თუ კიტსი, ფლობერი და სხვა გენიოსები მძიმედ განიცდიდნენ ქვეყნის გულგრილობას, ქალთა მიმართ ქვეყანა გულგრილად კი არა, მტრულად იყო განწყობილი. კაცებს თუ ეუბნებოდნენ: „წერეთ, თუ გირჩევნიათ, ჩვენთვის სულ ერთიაო", ასე არ ეუბნებოდნენ ქალებს. ქვეყანა ხითხითებდა: „წეროთ? რა აზრი აქვს, რომ წეროთ?" აქ კი ნიუნჰემის და გერტონის ფსიქოლოგები დაგვეხმარებიან, გავიფიქრე მე და კვლავ შევხედე სიცარიელეს თაროებზე. მართლაც დროა განსაზღვრონ, როგორ გავლენას ახდენს შემოქმედის გონებაზე საკუთარი ძალების რწმენის მოშლა, როგორ სწავლობს მერძევეობის კომპანია: რა გავლენას ახდენს ჩვეულებრივი და უმაღლესი ხარისხის რძე ვირთხის ფიზიკურ განვითარებაზე. გვერდიგვერდ, ორ გალიაში ათავსებდნენ ორ ვირთხას. ამ ორთაგან ერთი ჩუმია, მორცხვი და პატარა, მეორეს ბეწვი უბზინავს, ყოჩაღი და ზორბაა. ახლა როგორ უმასპინძლდებიან ქალებს, როგორც ხელოვანთ? გამახსენდა ქლიავიანი და მდოგვიანი სადილი. რომ მეპასუხა, საკმარისი იყო გადამეშალა საღამოს გაზეთი და წამეკითხა

[1] თომას კარლაილი — (1795-1881) — შოტლანდიელი ესეისტი და ისტორიკოსი, ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო რექტორი (მთ.).

[2] ჯონ კიტსი — (1795-1821) — ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი, შელისა და ბაირონის მეგობარი (მთ.).

ლორდ ბერკენჰედის მოსაზრება — არა, მე არ ვაპირებ თავი შევიწუხო და ამოვიწერო, რას ფიქრობდა ლორდ ბერკენჰედი იმაზე, რასაც ქალები წერენ, არც დინ ინჯის შეხედულებებს ავაფორიაქებ. ჰარლი სტრიტის სპეციალისტს შეიძლება ნება მისცეთ ხმაური ატეხოს და ჰარლი სტრიტს ექო გამოაცემინოს, ამით შიში ვერ შემიპყრობს. მაინც მოვიყვან ბ-ნ ოსკარ ბრაუნინგის[1] სიტყვებს, რადგან ერთ დროს ბ-ნი ოსკარ ბრაუნინგი დიდი ფიგურა იყო კეიმბრიჯში, გამოცდებს იბარებდა გერტონისა და ნიუნჰემის კოლეჯებში. ბ-ნ ოსკარ ბრაუნინგს განუცხადებია: საგამოცდო ნაწერებს რომ გადახედავთ, შეფასების მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ საუკეთესო ქალი ყველაზე უარეს მამაკაცზე დაბლა დგასო ინტელექტით. ეს უთქვამს ბ-ნ ბრაუნინგს და ოთახში შებრუნებულა, — ამის შემდეგ რაც მომხდარა, ჩანს, სწორედ იმისთვის აფასებდნენ, თვლიდნენ მნიშვნელოვან და დიდებულ პიროვნებად — ოთახში შებრუნებულა, იქ დივანზე წოლილა მეჯინიბის დამხმარე ბიჭი, „მთლად ჩონჩხი, ჩაცვივნული და ჩაყვითებული ლოყებით, ჩაშავებული კბილებით, სისუსტისგან კიდურებს წესიერად ვერ ხმარობდა. არტურია — უთქვამს ბ-ნ ვრაუნინგს, — ძალიან საყვარელი ბიჭია და საუცხოო გონება აქვს". ეს ორი სცენა, ჩემს წარმოდგენაში ყოველთვის ავსებს ერთმანეთს. და ახლა, ბიოგრაფიების ხანაში, ეს ორი სცენა მართლაც ავსებს ერთმანეთს. ასე რომ, როდესაც ვაფასებთ დიდი ადამიანის ნამოღვაწარს, უნდა ვიმსჯელოთ არა მარტო იმაზე, რას ამბობდა, არამედ იმაზეც, რას იქმდა.

ახლაც აქვს მნიშვნელობა და მით უმეტეს ამგვარ შეხედულებას, ნათქვამს დიდ პიროვნებათა ბაგეთაგან, დიდი დამაჯერებლობა ექნებოდა ორმოცდაათი წლის წინათ. წარმოვიდგინოთ, რომ ქალის მამას მაღალზნეობრივი მიზეზებით არ სურდა მის ქალიშვილს მიეტოვებინა ოჯახი და გამხდარიყო მწერალი, მხატვარი ან მეცნიერი. „ნახე, რას წერს ბ-ნი ბრაუნინგი", — ეტყოდა ის შვილს, და მხოლოდ ბ-ნი ბრაუნინგი ხომ არა, იგივეს წერდა „სეტედი რივიუ", იგივეს წერდა ბ-ნი გრეგი: „ქალის, როგორც ცოცხალი არსების დანიშნულებაა, — წერდა ბ-ნი ბრეგი ხაზგასმით, — იარსებოს მამაკაცით და ემსახუროს მამაკაცს". დაგროვილია უზარმაზარი მასა მამრობითი სქესის შეხედულებებისა, რის საფუძველზეც წარმოიშვა აზრი, რომ ინტელექტუალურად ქალისგან არაფერია მოსალოდნელი. მამამისს ხმამაღლა რომ არც წაეკითხა ეს აზრები, თვით გოგოს შეეძლო ამოეკითხა სადმე; ამის წაკითხვა მეცხრამეტე საუკუნეშიც კი ქალს დაუსუსტებდა სიცოცხლის იმპულსს და დაუქვეითებდა შრომის უნარს. ალბათ ყოველთვის თან სდევდა ქალს ეს მტკიცება — ამას ვერ გააკეთებ, იმის გაკეთება არ შეგიძლია — ამას უნდა დაპირისპირებოდა, ეს უნდა გადაელახა. შესაძლებელია, რომანისტს ამგვარი ბაცილა დიდად ვერაფერს დააკლებს ახლა, რადგან უკვე გვყავს დიდი ქალი-რომანისტები, მხატვრებისთვის ეს ჯერ კიდევ მტკივნეული უნდა იყოს, მუსიკოსებზე კი დღესაც ძალიან მოქმედებს და გუნებას უშხამავს. ქალი-კომპოზიტორი ახლაც ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც ქალი მსახიობი იყო შექსპირის ხანაში. ნიკ გრინმა — გავიხსენე ჩემი შეთხზული ამბავი შექსპირის დისა — თქვა, ქალის თამაში ძაღლის ცეკვას მაგონებსო. ორასი წლის შემდეგ ჯონსონმა გაიმეორა ეს ფრაზა ქადაგ-ქალებზე და ახლაც, ღვთით ბოძებულ 1928 წელს, ვთქვი მე და გადავშალე წიგნი, რომელიც მუსიკას შეეხებოდა, ზუსტად იმავე სიტყვებს იმეორებენ ქალზე, რომელიც ცდილობს შექმნას მუსიკალური ნაწარმოები. „ქ-ნ ჟერმენ ტეილეფიერზე იმის გამეორება შეიძლება, რაც ბ-ნ ჯონსონმა განაცხადა ქადაგ-ქალებზე, თუ გადავიტანთ მუსიკალურ ტერმინებში: „სერ, ქალი, რომელიც ქმნის მუსიკას, ჰგავს ძაღლს, რომელიც უკანა ფეხებზე დადის, კარგად ვერ დადის, მაგრამ გაოცებთ, საერთოდ რომ ახერხებს".[1] ასე ზუსტად იმეორებს ისტორია საკუთარ თავს.

ამგვარად, დავასკვენი მე, — დავხურე ოსკარ ბრაუნინგის ცხოვრება და სხვა ყველაფერიც გავწიე გვერდზე — აშკარაა, რომ მეცხრამეტე საუკუნეშიც კი ქალს არავინ უბიძგებდა, ხელოვანი გამხდარიყო. პირიქით, მას ამცირებდნენ, სცემდნენ, ტუქსავდნენ და ჭკუას ასწავლიდნენ. ალბათ, ტვინი გადაეღლებოდა და ძალა გამოეცლებოდა: ხან ამას ეწინააღმდეგებოდა, ხან იმის უსაფუძვლობას ამტკიცებდა. კვლავ მოქმედებდა მამრობითი სქესის კომპლექსი, ასე საინტერესო და საიდუმლოებით მოცული, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქალთა მოძრაობაზე; ესაა ღრმად გამჯდარი წადილი: დე, ქალი ნუ იქნება უარესი, მამაკაცი უნდა იყოს უკეთესი. ამითაა, რომ კაცმა ფეხი მოიკიდა ყველგან, საითაც გაიხედავთ. კაცები პირველო-

[1] ოსკარ ბრაუნინგი — (1837-1923) — ინგლისელი მწერალი და ისტორიკოსი. ლექციებს კითხულობდა იტონსა და კეიმბრიჯში. მისი შრომებია „დანტე, ცხოვრება და შემოქმედება", „თანამედროვე ისტორია" და ა. შ. (მთ.).

[1] სესილ გრეი. თანამედროვე მუსიკის მიმოხილვა, გვ. 246.

ბენ არა მხოლოდ ხელოვნებაში, ეს აზრი პოლიტიკისკენაც გზას ულობავს ქალს მაშინაც კი, როდესაც კაცისთვის რისკი უმნიშვნელოდ მცირე ჩანს, მთხოვნელი კი მორიდებული და ერთგულია. თვით ლეიდი ბეზბრე მახსოვს, პოლიტიკისადმი მთელი მისი გზნების მიუხედავად, იძულებული იყო, თავი ძირს დაეხარა და მიეწერა ლეიდი გრენვილ ლევინსონ-გოსთვის: „...თუმცა მთელი ენერგიით ჩავები პოლიტიკაში და ბევრს ვლაპარაკობ ამ თემაზე, სავსებით გეთანხმებით, რომ ქალი საერთოდ არ უნდა ერეოდეს ამა თუ იმ სერიოზულ საქმეში, დიდი-დიდი, აზრს თუ გამოთქვამს (ისიც, თუ ჰკითხეს)" და ქალიც მთელ თავის ენთუზიაზმს იქით მიმართავს, სადაც არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ლორდ გრენვილის[1] სიტყვა ქალთა საკითხზე თემთა პალატაში. დიდი უცნაური სპექტაკლი კი არის, გავიფიქრე, ბევრად უფრო საინტერესოა ისტორია, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მამაკაცები ქალთა ემანსიპაციას, ვიდრე თვით ემანსიპაცია. საინტერესო წიგნი შეიძლება შეიქმნას ამ თემაზე, თუ გერტონის ან ნიუნჰემის ვინმე ახალგაზრდა სტუდენტი თავს მოუყრის ფაქტებს და დასკვნებსაც გამოიტანს, — მაგრამ მან სქელი ხელთათმანები უნდა წამოიცვას და ოქროს დაწოლასაც გაუძლოს.

რაც ახლა მხოლოდ გვართობს, გავიხსენე მე, როცა ლეიდი ბეზბრეს წიგნი დავხურე, ერთ დროს მწვავე განცდებს იწვევდა. აზრები, რომლებიც ახლა საბავშვო წიგნებში ჩახაკრავად თუ გამოდგება და ზაფხულის ღამეებში მოსასმენად თუ მოუყრის თავს მსმენელებს, ერთ დროს, გარწმუნებთ, თვალებს უნამავდა ადამიანებს, თქვენს ბებიებსა და დიდ ბებიებს ღვარად ადენდა ცრემლს, ფლორენს ნაიტინგეილი[2] ხმამაღლა შეჰკივლებდა ხოლმე აგონიაში. თქვენ რა გიშავთ, კოლეჯში სწავლობთ და საკუთარი სასტუმრო ოთახიც გაქვთ, — თუ საძინებელიც ისაა და სასტუმროც? — თქვენ იტყვით, ნიჭიერმა ადამიანმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს ასეთ აზრებს; ისე მაღლა უნდა დადგეს, არ ზრუნავდეს, რას ამბობენ მასზე. საუბედუროდ, სწორედ გენიოს მამაკაცებს და ქალებს ყველაზე მეტად აწუხებთ, რას ამბობენ მათზე. გაიხსენეთ კიტსი. გახსოვთ, რა სიტყვები ამოაკვეთინა თავისი საფლავის ქვაზე. მოიგონეთ ტენისონი. მოიგონეთ — მაგრამ საჭირო არცაა უდავო და სამწუხარო მაგალითების მრავლად მოტანა: სწორედ ხელოვანის ბუნებაა ისეთი, ავადმყოფურად აინტერესებს, რას ამბობენ მასზე. ლიტერატურის ისტორია მოფენილია იმედგაცრუებული ადამიანებით, რომლებსაც აინტერესებდათ და მეტისმეტადაც აინტერესებდათ, სხვათა აზრი.

მათი ასეთი მგრძნობიარობა [illegible] საუბედუროა, ვიფიქრე მე [illegible] დავუბრუნდი ჩემს თავდაპირველ კითხვას — როგორი განწყობაა საუკეთესო შემოქმედებისათვის; ხელოვანის გონება ხომ უნდა იყოს კაშკაშა, როგორც შექსპირის გონი, რომ წარმატებით გამოანთავისუფლოს, მთლიანად და სრულქმნილად, მასში ჩასახული ნაწარმოები, გავიფიქრე მე და დავხედე წიგნს, რომელიც „ანტონიოს და კლეოპატრაზე" იდო გადაშლილი. გონებაში არ უნდა იყოს რაიმე დაბრკოლება, არ უნდა იყოს შეუწოველი უცხო სხეული.

რადგან — თუმცა ჩვენ ვამბობთ, არაფერი ვიცით შექსპირის განწყობაზეო, სწორედ ამით ვამბობთ რაღაცას შექსპირის განწყობაზე. რატომ ვიცით ასე ცოტა შექსპირზე დონთან, ან ბენ ჯონსონთან, ან მილტონთან შედარებით — ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ის თვითონ გვიმალავს, ვისით უკმაყოფილოა, ვინ ეზიზღება, ვინ უსიამო გრძნობას ჰგვრის. არაფერი შეგახსენებთ მწერალს. ყველა ცდილობს, გამოთქვას პროტესტი, ჰკუა ასწავლოს სხვას, ხმამაღლა აღწეროს ტკივილები, გადაიხადოს ვალები; ქვეყანა მოწმედ აქციოს იმ გასაჭირისა თუ მწუხარებისა, რამაც მასში ამოხეთქა და მასშივე ჩაიხუდა. ამიტომ მოედინება მისი პოეზია თავისუფლად, დაუბრკოლებლად. თუ ადამიანმა ოდესმე შეძლო შეექმნა ნაწარმოები, რომელშიც სრულად გამოხატა სათქმელი, ეს შეძლო შექსპირმა. თუ ვინმეს გონება ოდესმე გამობრწყინდა და ღვარად მოსკდა, — გავიფიქრე მე და კვლავ წიგნის კარადისაკენ მივბრუნდი — ეს იყო შექსპირის გონება.

---

[1] ლორდ გრენვილი, ჯორჯ ლევენსონ-გო — (1815-1891) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. ლონდონის უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი 35 წელი; მოითხოვდა კოლეჯში დაეშვათ ქალებიც და შემოეღოთ უცხოური ენების სწავლება (მთ.).

[2] ფლორენს ნაიტინგეილი. კასანდრა. წიგნში: რ. სტრეჩი. მიზეზი.

[1] ჯონ დონი — (1572-1631) — ინგლისელი პოეტი, მისი კრებულები „სულის გზა", „სამყაროს ანატომია" და სხვ. ასახავს რენესანსული ჰუმანიზმის იდეალების კრიზისს, რელიგიურ-მისტიკური ხასიათისაა. მან გავლენა მოახდინა XX ს. ინგლისურ ლიტერატურაზე.

# დარეჯან გოჩალეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „თმენის მდინარე"

Ახლა არავინ დაობს იმაზე, რომ თანამედროვე იაპონურმა პროზამ უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე. ჯერ კიდევ ამ სამოცი წლის წინათ შენიშნავდა აკადემიკოსი კონრადი იაპონელთა გასაოცარ თვისებას, რომ მათ შეუძლიათ ყოველგვარი სიახლე ტექნიკის სფეროში სასწრაფოდ დანერგონ თავიანთ ქვეყანაში, მერე კი მათ გაუმჯობესებაზე ენერგიულად იზრუნონ.

შედარებით ჩამორჩენილად ითვლებოდა ახალი იაპონური ლიტერატურა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე. პატრიარქალური, ნატურალისტური, ნეორომანტიკული ტენდენციები სჭარბობდა იმდროინდელ პროზასა და პოეზიაში, სიტყვის ოსტატები ცდილობდნენ ხელისუფლება „არ გაეღიზიანებინათ" რეალისტური, მიუკერძოებელი პალიტრით.

საინტერესოა, რომ სწორედ 20-იანი წლებიდან, ტექნიკურ მიღწევათა კულტივირების დარად, ლიტერატურაშიც სწრაფად დაიწყეს მსოფლიოს ლიტერატურის სხვადასხვა მიმდინარეობათა, „იზმების" ინტერპრეტაცია და მიმბაძველობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 30-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა პროლეტარულ მწერალთა საკმაოდ საინტერესო ლიტერატურული თაობა. რა დაჯგუფებაც არ უნდა წარმოშობილიყო დედამიწის ნებისმიერ რეგიონში, მისი ბადალი ლიტერატურული მიმართულება მყისვე ჩნდებოდა იაპონიაში:

სწორედ ამ ინტენსიურმა, გონების და გრძნობის უახლესი სინთეზის მყისიერმა იმპორტმა უდიდესი ბიძგი მისცა ამომავალი მზის ქვეყნის სულიერი კულტურის წინსვლასა და აღორძინებას.

ამ პატარა წერილში გვინდა ვისაუბროთ ქართულად თარგმნილ იაპონელ მწერალთა წიგნზე, რომელსაც „თმენის მდინარე" ჰქვია და გამოსცა ბათუმის გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ".

სიუსაკუ ენდოს მოთხრობა „ქალი, რომელიც მივატოვე" მოცულობით ყველაზე დიდია კრებულში. მასში ასახულია ომისშემდგომი ტოკიოს ყოფა და სურათები ემოციური, რეალისტური ფერებით. ესიოკა ცუტიმოს, ჯერ სტუდენტისა და მერე სახელმწიფო მოსამსახურის, ჩანაწერებით მკითხველი ეცნობა ომისშემდგომი თაობის ბედს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. ესიოკა შემთხვევით გადაეყრება მორიტა მიცუს, დედაქალაქში სამუშაოდ, ესიოკასებრ ბედის საძებნელად ჩამოსულ ღარიბ გოგონას, რომელიც ფარმაცევტულ ფაბრიკაში მუშაობს. ამ ორი ახალგაზრდის — ესიოკასა და მიცუს — ცხოვრებისა და ოცნების ანალიზით მწერალმა ხაზი გაუსვა საწუთროს მარადიულ პრობლემატიკას, კეთილისა და ბოროტი საწყისის, პრაქტიკოსისა და მეოცნების პრეისტორიულ ურთიერთობას... მეოცნებენი „განწირულნი" არიან, ყოფაში პრაგმატისტები ზეიმობენ მარადჟამ... ოცნებები იმსხვრევა, კერპი ეცემა, სიკეთე დაჩოქილია. მაგრამ რომ შეიძლებოდეს და ორივეს ცხოვრება თავიდან დაიწყოს — კვლავ იგივე განმეორდება: ბედისწერას თავისი კანონები აქვს! მწერალი დიდოსტატური, „რბილი" შტრიხებით ახერხებს მკითხველის ცნობიერებაში, როგორც ეკრანზე, დატოვოს ის ნათელი, რაც თან ახლავს ხოლმე კეთილ საწყისს, რამეთუ სწორედ კეთილ საწყისზე დგას მხოლოდ და მხოლოდ კაცობრიული ცხოვრება.

მოთხრობა „ქალი, რომელიც მივატოვე" თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ს. ენდომ პოპულარობა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოიხვეჭა. 1955 წელს მოთხრობისათვის „თეთრი კაცი", სადაც აღწერილია ფაშისტთა მხეცობა საფრანგეთში, 22 წლის ჭაბუკს მიენიჭა აკუტაგავას სახელობის პრე-

მია. იგი საკმაო ხანს ხწავლობდა საფრანგეთში, კათოლიკეა. მის შემოქმედებას ახასიათებს ღრმა განზოგადება, ილაშქრებს ყოველგვარი ძალმომრეობის, ომის წინააღმდეგ, ასახავს ბურჟუაზიული ცხოვრების მახინჯ მხარეებს. პოპულარულია მისი რომანები — „ვულკანი", „ზღვა და შხამი" (ითარგმნა რუსულად), „მდუმარება". აქვს პიესები, მოთხრობები, ესეები, მინიჭებული აქვს ტანიძაკის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული პრემია.

სხვათა შორის, სიუსაკო ენდო 1958 წელს მონაწილეობდა ტაშკენტში გამართულ აზია-აფრიკის მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაში.

თავის ნაჭუჭში ჩამალული ნატურალიზმის, რომლის ცენტრში საკუთარი „მე" ფიგურირებდა, საპირისპიროდ აღმოცენდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც „ესთეტთა სკოლას" (იაპონურად ტამბი-ხა) ანუ ნეორომანტიკოსებს უწოდებდნენ. ამ მიმართულებას ეკუთვნოდნენ პოეტები და მწერლები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდიკაში, მათ შორის „სუბარუში" (გამოდიოდა 1900 წლიდან) თანამშრომლობდნენ. ნეორომანტიკოსებმა საზეიმოდ გამოაცხადეს, რომ ხელოვნება ყველაზე უმაღლესია და გამოდიოდნენ „ლამაზი" ლიტერატურის მეხოტბეებად.

„იაპონური ხელოვნების ფრინველს, რომელიც ნატურალიზმის ტყვეობაში ჩავარდა, სიმღერა ნაგაი კაფუმ დაუბრუნა, ხოლო ფრთები — ტანიძაკი ძიუნიტარომ", — წერდა მწერალი სატო ხარუი. „ესთეტთა სკოლასთან" დაახლოებული პირი. „სუბარუს" გამოსვლისას მიაღწია რომანტიზმმა იაპონიაში ზენიტს. ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილ მწერალთა შორის ძლიერ იგრძნობოდა ეპიკურეიზმისკენ მიდრეკილება, ტიპიური საუკუნის დასასრულის დეკადანსისათვის. ძირითადად ეს განპირობებული იყო დიდი ქალაქების, კერძოდ — ტოკიოს გაფურჩქვნა-აყვავებით, საერთოდ, კაპიტალიზმის განვითარებით.

ლიტერატორთა ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა კვალი ნატურალიზმისა, ამიტომ მათ არ შეეძლოთ უდრტვინველად მისცემოდნენ მიწიერი სიყვარულისა და ციურ მნათობებისადმი ქების შესხმას. ისინი იძულებულნი გახდნენ ცხოვრებისაგან ხელოვნურად მოწყვეტის პოზიცია დაეკავებინათ. იმ წლებში ხელისუფლების წრეებში ნატურალიზმიც კი მავნე მიმართულებად ითვლებოდა. სინამდვილეზე წერა და თანაც კეთილგანმზრახველად დარჩენა შეუძლებელი გახდა. ამიტომაც მათ ირჩიეს ლტოლვა მშვენიერებისა და სიამოვნების სამყაროში. „ტამბი-ხას" წარმომადგენლები მკვეთრად გამოირჩეოდნენ მწერალ ნატურალისტებისაგან თავიანთი სოციალური წარმოშობითა და ინტერესებით. თანაც ისინი სხვა ატმოსფეროში იღწვოდნენ. ეხუნი [illegible], დედაქალაქში განათლებამიღებული ყენდები გახლდნენ. უფაქიზესი სტილით [illegible] და აღიარებდნენ ერთადერთ [illegible] წმინდა ხელოვნებას, რასაც უყოყმანოდ სწირავდნენ თავიანთ ძალასა და ნიჭს.

„ესთეტთა სკოლის" ერთადერთ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს მათი ლიტერატურული ხერხების, საშუალებების, მიგნებების მრავალფეროვნება და სიმდიდრე.

„ესთეტთა სკოლას" იმთავითვე მეთაურობდა ნაგაი კაფუ, ცნობილი მწერალი. მაგრამ მალე ასპარეზზე გამოვიდა ძიუნიტარო ტანიძაკი (დაიბადა 1886 წელს), რომლის დიდებამ დაჩრდილა კაფუ.

1910 წელს ჟურნალ „სინსიტეში" დაიბეჭდა მისი მოთხრობა „სვირინგი", რომელსაც დადებითად გამოეხმაურა კაფუ.

ტანიძაკის შემოქმედება სრული უიდეობით ხასიათდება.

„სვირინგში" მწერალმა არაჩვეულებრივი სამყარო ასახა: მოთხრობის გმირი, პროფესიით მესვირინგე, შეხვდება თავის ოცნებას, ულამაზეს ასულს და ნემსით მის ტანზე გამოჰყავს სურათი — თავისი ხელოვნების საუკეთესო ქმნილება. ამ მოთხრობის ენა გამოირჩევა არაჩვეულებრივი ღვლარჭნილობით: „ასე ეგონა, მისი სულიც სვირინგის მუქ საღებავში იყო გაზავებული და ქალის სალუქ კანში ილვრებოდა. ეგონა, სპირტში არეული ყოველი წვეთი მისი გულიდან მოჟონილი სისხლის წვეთი იყო..."

ეს მოთხრობა თავიდან ბოლომდე ეროტიკითაა სავსე: — „მინდა სიყვარულით დავტკბე, ფიქრი არ მიყვარს!"

მოთხრობის ფინალში ავტორი აიძულებს თავის გმირს დაუჩოქოს ღვთაებრივ ასულს. „ამიერიდან მამაკაცის სახელის ყოველი ღირსეული მატარებელი მამაკაცი მის ფერხთა ქვეშ იქნება „გართხმული", — ასკვნის ტანიძაკი.

აკუტაგავა რიუნოსკე სტატიაში „ფიქრები ლიტერატურაზე", სხვათა შორის, აღნიშნავდა: „ყველასათვის ცნობილია, ძიუნიტარო ტანიძაკი ორიგინალურ „თხრობაზე" აგებული მრავალი ნაწარმოების ავტორია. ამ ნაწარმოებთაგან ზოგიერთი შეიძლება საუკუნეებს გაჰყვეს", ხოლო ტანიძაკის ბიოგრაფი ტაცუნო ტაკასი წერდა: „უნდა ითქვას, რომ ლიტერატურა მარადიული ალლუმია. რაც არ უნდა გამოუვალი და მტანჯველი იყოს კაცობრივი ცხოვრება,

ლიტერატურა, საბოლოო ჯამში, უსათუოდ ზეიმია, მსუყე დღესასწაული".

ძიუნიტარო ტანიძაკიც კეთილხინდისიერად ილწვოდა ლიტერატურის ზეიმობად გადასაქცევად.

მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი მისი მოთხრობები და რომანები „ეშმაკი", „ფუმიკოს ფეხები", „ბრიყვის სიყვარული" (ითარგმნა რუსულად), „გაზაფხულის ბარბითი", „თხელი თოვლი" და სხვა.

რბილ, ნათელ ტონებში დაწერილი მოთხრობაა „თმენის მდინარე", რომლის ავტორია მიურა ტეცურო. იგი განეკუთვნება იმ თაობის მწერლებს, რომლებიც კობო აბეს შემდეგ გამოჩნდნენ ხელოვნების პარნასზე. მიურა ტეცურო ტრადიციული მიმართულების მწერალია. თავისი ქვეყნის ლიტერატურული კრიტიკა მას ნაოია სიგასა და იასუნარი კავაბატას მიმდევრად აღიარებს. ეს მოთხრობა ჩვენი საუკუნის დასაწყისში იაპონურ ლიტერატურაში გამეფებულ „თავის თავზე მოთხრობის" ჟანრს მიეკუთვნება. სხვათა შორის, „თმენის მდინარის" წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ 1960 წელს მიურა ტეცუროს, 28 წლის მწერალს, აკუტაგავას სახელობის პრემია მიანიჭეს. ამ მოთხრობის მიხედვით მალე მხატვრული ფილმიც შეიქმნა.

ორი ახალგაზრდა — ტამი ტიანი და სინო იწყებენ ცხოვრებას. ტამი-ტიანის პირით გადმოცემულია ქალიშვილთან შეხვედრის პირველი წუთები, „ერთი ნახვით შეყვარების" პერიპეტიები. სიყვარულთან ერთად თავჩენილი მღელვარება, იმედი, დაფიქრება... ერთი სიტყვით, ანალოგიური სიტუაციისათვის სპეციფიკური მომენტები. მწერლის დამსახურება ისაა, რომ მან შეძლო რამდენიმე შტრიხით, როგორც ეს იაპონური ფერწერისთვისაა დამახასიათებელი, მკითხველისთვის შეეგრძნობინებინა ოჯახური ცხოვრების დაწყების ემოციური სიმძაფრე, მისი მარად ახალი განუმეორებლობა.

არ შეიძლებოდა არ აღგვენიშნა მთარგმნელ ლილი მჭედლიშვილის შესანიშნავი უნარი მოთხრობაში გამჟღავნებული იაპონური სულისკვეთების ქართულად ჩინებული ამეტყველებისა. შეიძლება თამამად ითქვას — ეს კრებული მთარგმნელის შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ჩვენ გვყავს არაერთი პოპულარიზატორი და მთარგმნელი იაპონური ბელეტრისტიკისა (ა. ბრეგაძე, გ. ბაქანიძე, ზ. ბოტკოველი, ჯ. თითმერია და სხვა.) და მათ შორის, ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია ლ. მჭედლიშვილს უჭირავს.

ალბათ შემთხვევითი არაა ის მომენტი, რომ იაპონური ლიტერატურის რუსული მთარგმნელობითი სკოლის შემდეგ, რაოდენობითაც და ხარისხითაც ქართველი მთარგმნელები არიან ცნობილნი.

აი, რას წერდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას" მთავარი რედაქტორი ნიკოლოზ ფედორენკო ამ რამდენიმე წლის წინათ:

„იაპონელ ავტორთა წიგნები, გარდა რუსულისა, ითარგმნა საბჭოთა კავშირის ერთა ენებზეც. აქ ყურადღებას იქცევს საქართველოს მაგალითი (უნდა აღვნიშნო, რომ იაპონელები კითხულობენ ქართული კლასიკის დიდებულ ძეგლს „ვეფხისტყაოსანს", რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა ფუკურო აპეიამ). ქართულ ენაზე გამოიცა იაპონური პოეზიის ნიმუშები, აკუტაგავას, აბეს და სხვათა თხზულებანი"..

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გაბუნია

# ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობის ისტორიიდან ლევ ტოლსტოისთან (1901—1910 წ. წ.)

„ვისაც ერთხელაც არის მაინც უნახავს ლევ ტოლსტოი, არასოდეს არ დაავიწყდება იმის ჭკვიანი თვალები, მოძრავი სახე, კეთილი, გაშუქებული ღიმილი, თანაგრძნობით სავსე სიტყვები, რომლებიც საუკეთესო დამკვრელის თითებივით ეხებოდნენ თქვენის გულის სიმებს და საუკეთესო გრძნობებს და თვისებებს აღმოაცენებდნენ გულიდან. ამ დროს თქვენ გრძნობდით, რომ ძლიერი ადამიანი ხართ ამ ქვეყნად და შეგიძლიათ შეიტანოთ სიკეთე საერთო ცხოვრების ჰიმნში და ბედნიერი იყოთ...“ — ასე გულთბილად ახასიათებს ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლევ ტოლსტოის ახლო მეგობარი, ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურის უანგარო მოჭირნახულე ნინო ნაკაშიძე რუსული კლასიკური მწერლობის ბერმუხას. თანამედროვეთა გადმოცემით, მართლაც ასეთი იყო ტიტანი მოაზროვნე და გენიალური შემოქმედი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, რომელმაც გაბედა და რუსეთის იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილეს ერთ-ერთმა პირველთაგანმა თამამად ახადა ფარდა, აკი ამიტომაც უწოდა მას ვ. ი. ლენინმა „რუსეთის რევოლუციის სარკე“, ხოლო იმპერიის მრავალეროვანმა მოსახლეობამ იმთავითვე შეისისხლხორცა „ხალხის ენაზე“ დაწერილი მისი უკვდავი ნაწარმოებები. დღეს ამ ქმნილებათა უმრავლესობა სამუდამოდაა შესული მსოფლიო ლიტერატურული საგანძურის ოქროს ფონდში, ხოლო თვით ლევ ტოლსტოის უაღრესად კოლორიტული, კოლოსალური შემოქმედებითი პოტენციის განუმეორებელი ფიგურა, როგორც გონიერების, ზნეობრიობის, ჰუმანიზმისა და მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის ჭეშმარიტი სინონიმი, მარადჟამს იცოცხლებს კაცობრიობის მეხსიერებაში.

...ლევ ტოლსტოიმ ერთი ნახვით შეიყვარა საქართველო და ქართველი ხალხი. და თუმცა პირველი, არცთუ ისე ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ (1851 წლის 1 ნოემბრიდან — 1852 წლის 10 იანვრამდე) აღარ მოუხერხდა საქართველოში მეორედ ჩამობრძანება, ამას არ გაუნელებია მისი შემდგომი ურთიერთობა საქართველოსთან. ჩვენამდე მოღწეული ეპისტოლური, საარქივო და მემუარული ხასიათის რელიქვიური ჩანაწერები მოწმობენ, რომ XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დიდი რუსი მწერალი თავისი ქართველი (უმთავრესად, ახალგაზრდა) მეგობრების — ივ. გომართელის, ვ ლამბაშიძის, ალ. დიასამიძის, ილია და ნინო ნაკაშიძეების მეშვეობით სისტემატურად ღებულობდა საინტერესო ცნობებს საქართველოს მაშინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.

ლევ ტოლსტოისა და საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის გულთბილი ურთიერთდამოკიდებულების მატიანეში არაერთი ღირსშესანიშნავი ფურცელია ჩაწერილი ამ ბრწყინვალე შემოქმედთან ქართველი ახალგაზრდობის პირადი მიმოწერისა და მეტად მჭიდრო, მეგობრული კონტაქტებისა. ლევ ტოლსტოი, მოუცლელობისა და ჯანმრთელობის საგრძნობლად გაუარესების მიუხედავად, უდიდესი ყურადღებით ეცნობოდა საქართველოდან მიღებულ მრავალრიცხოვან ბარათებს, ხოლო მასთან სტუმრად წვეულ ქართველ ახალგაზრდებს მართლაც მამობრივი სიყვარულით მასპინძლობდა და თავისი ბრძნული რჩევა-დარიგებე-

ბით წარმართავდა კიდეც ამ ყმაწვილკაცების იდეურ-ფილოსოფიურ ფორმირებას. იყო შემთხვევები, როდესაც ლევ ტოლსტოიმ აშკარად აიმაღლა ხმა ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობის შედეგად უსამართლოდ დასჯილი ქართველი ჭაბუკების დასაცავად და ერთგულ მფარველად მოევლინა სამშობლოსგან მოშორებულ, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეებს.

1901 წლის იანვრის შუა რიცხვებში მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე 20 წლის ალექსანდრე ნაკაშიძე (ცნობილი პუბლიცისტის — ილია ნაკაშიძის ძმა) გამოექომაგა მთვრალ რუს ქალს, რომელსაც პოლიციელი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა კაზაკთა რაზმმა დაუყოვნებლივ დააკავა უდანაშაულო ა. ნაკაშიძე, რაზმის უფროსმა იქვე შეუდგინა ყალბი ბრალდება, თითქოსდა იგი თავადვე იყო ნასვამი და „გაკადნიერებული“ ახალგაზრდა კაცი „წესრიგის დამცველებმა“ რიხით გააქანეს საპოლიციო უბანში, სადაც „შესაფერისი მასპინძლობაც“ გაუწიეს (კაზაკების მიერ ნაცემი ა. ნაკაშიძე გაცივდა და სულ მალე პლევრიტით დაავადდა).

ილია ნაკაშიძემ, შეიტყო თუ არა ძმის განსაცდელი, აფორიაქებულმა ლევ ტოლსტოის მიაშურა დახმარებისათვის. დიდმა მწერალმა ი. ნაკაშიძეს მოსკოვის ობერპოლიცმაისტერ დ. თ. ტრეპოვთან გაატანა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „დიმიტრი თევდორეს ძევ, ამ წერილს თქვენ გადმოგცემთ თავადი ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე, ჩემი მეგობარი და ადამიანი, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს და ამიტომ მისი ნათქვამი ყურადღებას იმსახურებს. მის ძმას, შესანიშნავ ჭაბუკს, ფაქიზს, ზნეობრივს, არასოდეს არაფრის მსმელს (ამის შესახებ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ იგი დაადანაშაულეს ლოთობაში), შეემთხვა საშინელი, აღმაშფოთებელი ისტორია, რაშიც დამნაშავენი არიან მოხელე-პოლიციელები.

თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ახალგაზრდა ნაკაშიძეს შეემთხვა, მაშინ ყოველი ჩვენგანი, მოსკოვში მცხოვრები, თავს მუდამ იმის საფრთხეში უნდა ვგრძნობდეთ, რომ ვიქნებით თავლაფდასხმული, დასახიჩრებული და მოკლულიც კი (ახალგაზრდა ნაკაშიძე ამჟამად სახიფათოდაა ავად) ბოროტმოქმედთა ხროვისაგან, რომელნიც წესრიგის დაცვის ხაბაბით დაუსჯელად სჩადიან ყველაზე საშინელ დანაშაულს.

მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულს თქვენ ახლო მიიტანთ გულთან და ამით თავიდან აგვაცილებთ ამ საქმის საქვეყნოდ გახმაურების აუცილებლობას და თავადვე მიიღებთ ზომებს იმისათვის, რათა ყველა პოლიციელმა იცოდეს, რომ ზოგიერთი მათგანის ასეთი საქციელი არ იმსახურებს ზემდგომი უფროსობის მოწონებას და აღარც უნდა განმეორდეს.

გეთაყვათ, გაისარჯეთ დაზარალებულის მიერ შედგენილი აღწერილობის წასაკითხად. იგი სიმართლისმოყვარეობის ისეთ ხასიათს ატარებს, რომ ამ ახალგაზრდა კაცს პირადადაც რომ არ იცნობდეთ, არ შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ მისი ჩვენების ჭეშმარიტებაში.

გისურვებთ ყოველივე კარგს. ლევ ტოლსტოი.

მოსკოვი, 1901 წლის 24 იანვარი“.[1]

ჩვენს ხელთ არსებული ეპისტოლური მასალიდან ჩანს, რომ ლევ ტოლსტოის პირადადაც უცდია ავადმყოფ ა. ნაკაშიძის ნახვა. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავეცნოთ დიდი მწერლის მიერ 1901 წლის 28 იანვარს ექიმ ნ. ვ. სკარიატინისადმი გაგზავნილი ბარათის პატარა მონაკვეთს. საქმე იმაშია, რომ ხსენებულ მკურნალს შემწეობის აღმოჩენა უთხოვია ლევ ტოლსტოისათვის, რაზეც ლევ ნიკოლოზის ძეს ჩვეული გულახდილობით უცნობებია, რომ დროის უქონლობის გამო ვერ დაეხმარებოდა და მოუცლელობის მიზეზად ლოგინად ჩავარდნილი ალექსანდრე ნაკაშიძის ნახვის აუცილებლობას ასახელებდა. „ახლა, — წერდა ლევ ტოლსტოი ნ. სკარიატინს, — მივდივარ ახალგაზრდა ყმაწვილთან, რომელიც მოსკოვში პოლიციამ იმგვარად სცემა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, იგი გალახეს, რადგან გამოექომაგა ქალს, რომელსაც პოლიციელები ქუჩაში ცემდნენ... მშვიდად ამის ცქერა არ იქნება და არც შეიძლება...“

1901 წლის 2 ნოემბერს კიევის გუბერნატორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს აუწყა, რომ 27 ოქტომბერს კარაევისა და ტარასოვსკაია ქუჩების კუთხეში, ბენდერსკის კარ-მიდამოს მახლობლად, პოლიციელმა ხასიანოვმა იპოვა მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის ოთხი პროკლამაცია, სათაურით — „წერილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფისაგან“, რომელიც ეძღვნებოდა რუსეთთან საქართველოს შეერთების მეასე წლისთავს. ქართველი ახალგაზრ-

დები გულწრფელად ატყობინებდნენ გამოჩენილ რუს შემოქმედს თავიანთ მოსაზრებას, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოუტანა რომანოვთა პროტექტორატმა საქართველოს და მშობლიურ კუთხეში ცარიზმის მიერ გაბატონებული ბიუროკრატიულ-შოვინისტური მმართველობის საშკარაოზე გამოსატანად, მისი მანკიერი მხარეების გამოსამზეურებლად, ისინი ქმედითი დახმარების აღმოჩენას თხოვდნენ ლევ ნიკოლოზის ძეს. „საქართველო, — დასძენდნენ ხსენებული წერილის ბოლოს ქართველი ყმაწვილები, — ხელს უწვდის თავის უფროსს ძმებს, დიდ ხალხებს, გამოთქვამს სურვილს იმუშაოს მათთან ერთად საერთო სარგებლობისათვის. მაგრამ ამის მისაღწევად მას სჭირდება დამოუკიდებლობა. მაშ, დაეხმარეთ თქვენ მას ამაში, თქვენს შემდეგ გამოჩნდებიან სხვა კეთილი ადამიანებიც“. 2

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ლევ ტოლსტოისთან განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ბორის გეგიძეს, რომელმაც 1902 წლის 8 სექტემბერს თავის „სულიერ მამასა და ცხოვრების თანამგზავრს“ წერილობით მიულოცა ღირსსახსოვარი თარიღი — საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, ხოლო 1903 წლის 20 აგვისტოს — დაბადების 75-ე წელი. გარდა ამისა, ბ. გეგიძე ორჯერ ეწვია ლევ ტოლსტოის სტუმრად იასნაია პოლიანაში (1904 წლის გაზაფხულზე და იმავე წლის 2 ივნისს), რომლის დროსაც მათ დიდხანს უსაუბრიათ ადამიანის დანიშნულებაზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდსა და თვით რევოლუციის წლებშიც ადმინისტრაციულ-პოლიციური ორგანოები ცდილობდნენ ახალგაზრდობისათვის მოესპოთ ცენზურის მიერ აკრძალული ლევ ტოლსტოის თხზულებათა გაცნობის საშუალება, მაგრამ მათი სურვილი ხშირად განუხორციელებელი რჩებოდა. 1903 წლის 29 სექტემბერს ჩაფრებმა გორში დააკავეს 20 წლის მასწავლებელი ტერ-მათევოსიანცი, რომელიც ადგილობრივ გლეხებს შორის ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწეოდა და თამამად მოუწოდებდა მშრომელებს არ გადაეხადათ მემამულეთათვის განკუთვნილი ბეგარა, არც თავიანთი შვილები გაეგზავნათ მეფის ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად. ჟანდარმერიის აგენტებმა დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს „არაკეთილსაიმედო“ ახალგაზრდა აღმზრდელის საცხოვრებელი ბინა და იქ სხვა „მავნე“ ლიტერატურასთან ერთად იპოვეს ლევ ტოლსტოის ორი ბროშურა — „მიმართვა სამღვდელოებისადმი“ და „ჯოჯოხეთის აღდგენა“, რის გამოც „პოლიტიკურად მოუმწიფებელი“ პედაგოგი უმალვე დააპატიმრეს და გადაგზავნეს მეტეხის ციხეში. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თვითმპყრობელობის ერთგულ სატრაპებს ე. წ. „პროფილაქტიკური თვალსაზრისით“ მოსწავლეთათვის „...აუკრძალავთ ისეთი რვეულების ყიდვა, რომლის ყდაზე მოთავსებულია დიდებული მწერლის გრ. ლევ ტოლსტოის სურათი“. 3

1904 წლის მაისის დამდეგს მოსკოვის სატყეო-საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ქართველი ჭაბუკი ვ. წერეთელი, გადაწყვიტა სტუმრად სწვეოდა ლევ ტოლსტოის იასნაია პოლიანაში. სტუდენტები სწორედ იმ დროს მიადგნენ ლევ ნიკოლოზის ძის კარ-მიდამოს, როდესაც მასპინძელი ჩვეული სითბოთი ემშვიდობებოდა მაქსიმ გორკისა და ამერიკელ მწერალს — ვ. ბრაიანს. სტუმრების გაცილების შემდეგ ლევ ტოლსტოი ყმაწვილებთან მივიდა და მათ შორის გაიმართა მეტად საინტერესო საუბარი სატყეო მეურნეობის სპეციფიკურ საკითხებზე. „კი მაგრამ, რატომ არის თქვენი პარკი ასე მოუვლელი, — გავბედე და ვკითხე მე, — წერს თავის მოგონებაში ვ. წერეთელი, — ტოლსტოი დაჟინებით დამაცქერდა, ხელი მომხვია, ყურადღება მიაქცია ჩემს შავ თმებსა და ქართულ აქცენტს და მკითხა: — თქვენ, ალბათ კავკასიელი ბრძანდებით? შეიტყო თუ არა ჩემი ქართველობა, მაშინვე გატაცებით დაიწყო თბილისში თავისი მოგზაურობისა და... ქართველი მეგობრების — ილია ნაკაშიძისა და მისი მეუღლის (ნინო ნაკაშიძის — გ. გ.) გახსენება. შემდეგ მიგვიწვიეს სუფრასთან, გაგვიმასპინძლდნენ, და დიდ მწერალსა და ადამიანს დავცილდით მოხიბლულნი და მადლიერების გრძნობით აღსავსენი...“ 4

1905 წლის გაზაფხულის მიწურულს ქუთაისის მაზრის სოფელ მათხოჯის მკვიდრმა ახალგაზრდებმა — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. მელაძემ, ხონის საოსტატო სემინარიის უკანასკნელი კლასის აღსაზრდელმა ნ. ძიძიგურმა და შემდგომში ცნობილმა ექიმმა, ჟენევის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორმა ლ. მელაძემ წერილი

გაუგზავნეს ლევ ტოლსტოის, რომელშიც მოკრძალებით თხოვდნენ — იქნება მოეხერხებინა და ეცნობებინა, რა აზრისა იყო რევოლუციაზე. ამასთან დაკავშირებით დამსახურებული მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ძიძიგურის მემუარებში ვკითხულობთ, „ტოლსტოიმ ახალგაზრდობის თხოვნა დააკმაყოფილა და ვრცელი (მანქანაზე დაბეჭდილი ცხრაგვერდიანი) წერილი გამოგზავნა მათხოჯში. საპასუხო წერილის შინაარსის დეტალები კარგად არ შერჩენია ჩემს მეხსიერებას, მაგრამ მისი მთავარი დედააზრი ძირითადად მახსოვს: გაფიცულმა მოსწავლეებმა სკოლის დირექტორს წარუდგინეს საკმაოდ ვრცელი „პეტიცია“, რომლითაც მათ პოლიტიკური ეკონომიისა და სამართლისმცოდნეობის ლექციების კითხვის შემოღების, საღმრთო რჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმების, ბიბლიოთეკის დაარსებისა და უფრო კლასებში მოწაფეთა ამხანაგური სასამართლოს შექმნის აუცილებლობასთან ერთად კონკრეტულად მოითხოვეს „...შემოღება სალიტერატურო პროგრამაში ახალი, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა შესწავლისა (ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი, ანდრეევი, სკიტალეცი, ჩირიკოვი, კოროლენკო, მიხაილოვსკი, ბუნინი და სხვ.)“.

1907 წლის გაზაფხულზე თბილისის სასულიერო სემინარიის წარჩინებულმა მოწაფემ, 19 წლის აბესალომ (პროკლე) ტაბიძემ (გ. ტაბიძის უფროსმა ძმამ), უსახსრობის გამო ვერ შეძლო ლევ ტოლსტოის ქმნილებათა შეძენა და გადაწყვიტა პირადაც მწერლისათვის ეთხოვა დახმარება. ამ მიზნით 14 აპრილს დიდი იმედებით აღსავსე წერილი გაუგზავნა ლევ ნიკოლოზის ძეს, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას სხვა მხრივაც იპყრობს. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ქართველი ადრესანტი ლევ ტოლსტოის ატყობინებდა, როგორი მონდომებით იღვწოდნენ ანაფორიანი ვაიაღმზრდელები გრაფის „მავნე, დამღუპველი იდეების ზეგავლენისაგან“ საქართველოს მოზარდი თაობის „დასაცავად“. „დიდად პატივცემულო ლევ ნიკოლოზის ძევ! — წერდა ა. ტაბიძე, — კარგა ხანია, რაც თქვენს შესახებ მსმენია: „ასე ამბობს ლევ ნიკოლოზის ძე“... ვინ არის ეს ტოლსტოი — ვეკითხებოდი ამხანაგებს და როდესაც შევიტყვე, რომ ის არის შესანიშნავი ფილოსოფოსი, ხარბად დავიწყე ხელში ჩაგდებული მისი თხზულებების კითხვა. მახსოვს, ერთხელ ჩემთან მოვიდა ინსპექტორი, მაშინ მე ვიყავი სასულიერო სასწავლებელში (ქუთაისის — გ. გ.) და დაინახა თუ არა, რასაც ვკითხულობდი, ყვირილით მეცა: უბედურო! რას კითხულობ შენ! ნუთუ არ იცი, რომ ამ ავტორის გამოქვეყნებულმა წიგნებმა შეიძლება შენ სამუდამოდ, სამარადისოდ დაგღუპონ. მე თან წავიღებ ამ წიგნებს და გაფრთხილებ: თუ მსგავსი შემთხვევა განმეორდება, მაშინვე გაგაძევებ სასწავლებლიდან. მან თან წაიღო წიგნი და მე ოთხიანი გამომაყოლეს ყოფაქცევაში.

თუმცა მას შემდეგ — ვიდრე სასწავლებლის დამთავრებამდე (მაშინ მე-IV კლასში ვიყავი), ხელში აღარ ამიღია თქვენი ქმნილებები, მე მაინც ვერასგზით ვერ შევძელი მივხვედრილიყავი: რატომ კრძალავდნენ ამ წიგნების კითხვას?

ამჟამად მე ვარ სემინარიაში, ბევრი წამიკითხია და მსმენია თქვენი ნაწარმოებების როგორც დიდი მოაზროვნის თხზულებების შესახებ და ძალიან ვისურვებდი თქვენი მოძღვრების გაცნობას, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, არ მქონდა ფული, რომ მეყიდა წიგნები.

ახლა მე, დიდად პატივცემულო ლევ ნიკოლოზის ძევ, თქვენ მოგმართავთ თხოვნით დააკმაყოფილოთ ჩემი სულიერი გრძნობები იმით, რომ გამომიგზავნოთ საკუთარ თხზულებათა თითო ეგზემპლარი უსასყიდლოდ.

კიდევ გთხოვთ — თუ შეიძლება, მომწეროთ წერილი, მე ამის დიდად მოხარული ვიქნები და თქვენ წერილს შევინახავ სიცოცხლის ბოლომდე.

აბ (ესალომ) ტაბ(იძე);

ჩემი მისამართია: სამ-ტრედია (ქუთაისის გუბ.). იოსებ გოგოძეს აბეს. ტაბიძისათვის გადასაცემად სოფელ ჭყვიშში“.[5] უნდა ვივარაუდოთ, რომ ლევ ტოლსტოი იმედგაცრუებულს არ დატოვებდა ქუთაისელ სემინარიელს და ზოგიერთ თავის ნაწარმოებს მაინც გამოუგზავნიდა დაინტერესებულ ქართველ ჭაბუკს.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებისა და უკანდახევის პერიოდში, როდესაც მთელ იმპერიას დროებით გამარჯვებულმა მეფის მთავრობამ სისხლიანი ანგარიშსწორება და განუკითხავი ტერორი დაატეხა თავს, რეაქციის ბურუსში გახვეულმა, მომავლის უიმედობით რწმენადაკარგულმა ახალგაზრდობის ნაწილმა, რომელსაც შექმნილი სიტუაციის გამო ვერ მოეხერ

ხების ხაკუთარი ცხოვრებისეული პოზიციის ძირითადი არსის გააზრება, ლევ ტოლსტოისთან გაბაასებით სცადა სულიერი საზრდოს შეძენა.

1908 წლის 21 აპრილს ლევ ტოლსტოის საკმაოდ ვრცელი მოცულობის სენსორულ-სანტიმენტალური შინაარსის წერილი გაუგზავნა ქუთაისელმა მოსწავლემ ვარლამ ბაქრაძემ, რომელსაც დიდი შემოქმედის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების წაკითხვის, მათი გაანალიზებისა და თავისებურად აღქმა-განჭვრეტის შემდეგ ავტორთან საკუთარი ნააზრევის გაზიარებისა და მისგან დიდაქტიკურ-შემეცნებითი რჩევის მიღების დაუოკებელი სურვილი გასჩენია. „...მე ვარ ქუთაისის გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფე, — წერდა ვ. ბაქრაძე, — შევედი თუ არა სასწავლებელში, უმცროსი კლასებიდანვე ენერგიულად დავიწყე კითხვა და ასე ვაგრძელებდი დღემდე. მე ბევრი მიმუშავია ჩემს ცხოვრებაში, ბევრიც შეიძლება ვისწავლე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა დამჭირდება შემდგომი განათლების მისაღებად. მრავალ მეცნიერულ და ფილოსოფიურ წიგნში ვეძებდი პასუხს ჩემთვის საინტერესო კითხვებზე, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე. წავიკითხე თქვენი ფილოსოფიური ნაწარმოებები, რომლებმაც კარგად გამაცნეს თქვენი თავი და თქვენივე მიმართულებანი... ამიტომ გადავწყვიტე ზოგიერთი საკითხის გასარკვევად თქვენთვის მომემართა თხოვნით და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იმდენ მოწყალებას და სიკეთეს გამოიჩენთ ჩემს მიმართ, რომ უყურადღებოდ არ დამტოვებთ და პატარა პასუხით მაინც დააკმაყოფილებთ ჩემს თხოვნას...". ამის შემდეგ, ვ. ბაქრაძე ლევ ნიკოლოზის ძეს აუწყებდა თავის მოსაზრებას ისეთი წვრილბურჟუაზიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის შესახებ, როგორიც არის ანარქიზმი (კერძოდ,— შეიძლება თუ არა მატერიალისტი ერთდროულად იყოს ანარქისტიც) და მის განმარტებას იგი ელოდა დიდი მწერლისაგან. „მე კარგად ვიცი, — დასძენდა ბოლოს ვ. ბაქრაძე, — რომ თქვენ უამრავი საქმე გაქვთ..., მაგრამ მაინც გთხოვთ, როგორმე ეცადეთ და შემომწირეთ, თუნდაც, ერთი საათი, რათა მოკლე პასუხით დააკმაყოფილოთ ჩემი სურვილი". [6]

ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი უკანასკნელი, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება პირადად ენახა და გაბაასებოდა მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატს, იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ალ. ცაგარეიშვილი, რომელიც პირველად 1909 წლის 18 თებერვალს ეწვია იასნაია პოლიანას, მაგრამ, იქ ჩასულს, გზაში შემთხვეულმა [illegible] ლევ ტოლსტოის ერთ-ერთმა [illegible], რომ: „... ლევ ნიკოლოზის ძე ამჟამად უქეიფოდ არის, ვერ ნახავთ, გუშინდლიდან მოყოლებული წევს და არ ამდგარა". ალ. ცაგარეიშვილი დიდი მწერლის სანახავად მეორედ გაემგზავრა იმავე წლის 11 აპრილს ამჯერად მისი „ვიზიტი" წარმატებით დაგვირგვინდა: ლევ ტოლსტოიმ ჩვეული გულთბილობით მიიღო უცნობი სტუდენტი, ყურადღებით გამოჰკითხა მოსკოვის უნივერსიტეტის ამბები, დაინტერესდა მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველდღიური საქმიანობითა და რევოლუციური განწყობილებით, ხოლო შემდეგ ხანგრძლივად უსაუბრია ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხებზე. „... ამ ლაპარაკის დროს, — წერს თავის მოგონებაში ალ. ცაგარეიშვილი, — გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს მის ხელებს და თვალებს, მინდოდა სამუდამოდ აღმებეჭდა გონებაში იმ კაცის სახე, რომლისკენაც მთელი მსოფლიოს ყურადღება იყო მიქცეული და რომელსაც რუსეთის სინდისს უწოდებდნენ.

როდესაც სიკვდილსა და სიცოცხლეზე ლაპარაკი დაამთავრა, ჩამაჩერდა და მკითხა:

— ქართველი ბრძანდებით? — ჩემს დასტურზე განაგრძო, — ჩემი აზრები იქაც პოულობენ ადგილს, მე ეს მსიამოვნებს, თქვენ იცნობთ ილია ნაკაშიძეს?

— ვიცნობ, მხოლოდ ახლოს არა, — ვუპასუხე მე.

— როცა საქართველოში დაბრუნდებით, ინახულეთ, გაეცანით და დაუახლოვდით მას, ის ძალიან კარგი ადამიანია.

როგორც ი. და ნ. ნაკაშიძეების მოგონებებიდან ჩანს, ალ. ცაგარეიშვილს შეუსრულებია დიდი მწერლის დავალება და სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მჭიდრო კონტაქტი დაუმყარებია ნაკაშიძეების ოჯახთან.

1909 წლის ზაფხულის დამდეგს კიშინიოვში დაბანაკებული ერთ-ერთი საბრძოლო შენაერთის ახალგაზრდა მეომარს პროკოფი ცაცუასა და მის ამხანაგებს მოუხერხებიათ გაზეთში გამოქვეყნებული ლევ ტოლსტოის ზოგიერთი თხზულებათა ნაწყვეტების წაკითხვა, რის შემდეგაც უდიდესი სურვილი გასჩენიათ გენიალური შემოქმედის ყველა ნა-

წარმოების გაცნობისა, მაგრამ მარტო წადილი, ცხადია, არ კმაროდა. „მახსოვს. ერთხელ მთელი თვე იმის ფიქრში ვიყავით, — იხსენებდა მოგვიანებით პრ. ცაცუა, — სად და როგორ გვეშოვა ტოლსტოის წიგნები, მაგრამ ამაოდ, და აი, როგორღაც გავბედე, წერილს მივწერ დიდ მწერალს და წიგნებს ვთხოვ-მეთქი. დავწერე წერილი, მაგრამ ჯერ არავის გავუმხილე: იქნებ პასუხიც არ მივიღო-მეთქი... გადის კვირა, ერთი თვე, ორი... სადამო ჟამია. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს: პატარა საქმე ხომ არაა წიგნების შეკვრა მიკავია ხელში... აი, გავხსენით გზავნილი. უბრალო ყდაში ჩასმული „ომი და მშვიდობა“, აი „აღდგომა“, ესეც „ანა კარენინა“... მე კი დიდი სიამაყით ვკითხულობ დიდი მწერლის ბარათს. იგი მწერს, მომავალშიც თუ დამაინტერესებს რამე, ისევ მივწერო და მპირდება თავისი ნაწარმოებების გამოგზავნას... ჩემი სიხარული ყველამ გაიზიარა. ხელიდან ხელში გადადიოდა ტოლსტოის ნაწერები. საყვარელმა ავტორმა რომ გამოგვიგზავნა“ 7

1910 წლის თებერვლის მიწურულს იმხანად სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ცნობილმა პოეტმა, შემდგომ — გამოჩენილმა ქართველმა დრამატურგმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილმა გაზეთში ლევ ტოლსტოის სტატიის — „თვითმკვლელობის შესახებ“ წაკითხვის შემდეგ, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, გადაწყვიტა ზოგიერთი თავისი მოსაზრებანი გაეზიარებინა მხცოვანი შემოქმედისათვის და ამ მიზნით მარტის დამდეგს პატარა წერილი გაუგზავნა ლევ ნიკოლოზის ძეს, მტკიცედ დაიმედებულმა იმით, რომ ხსენებული სტატიის დედააზრს — „ადამიანის უმწეობაა თავის მოკვლა, ვინაიდან იგი შექმნილია, რათა ემსახუროს სამყაროს სიცოცხლეს“, თვით ავტორი განუმარტავდა მას უფრო დაწვრილებით და გასაგებად. ლევ ტოლსტოიმ მიიღო თუ არა ახალგაზრდა ქართველი პოეტის ეპისტოლე, ყურადღებით გადაიკითხა და იმავე წლის 24 მარტს გაუგზავნა საპასუხო ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: „რა საქმე კეთდება ჩვენი ცხოვრებით, ამის ცოდნა არ შეგვიძლია. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ არის ეს საქმე, რომ ამ საქმეს ჰყავს პატრონი და რომ ყოველთვის შეგვიძლია ვიცოდეთ, როდის ვაკეთებთ ჩვენთვის განკუთვნილ საქმეს და როდის არ ვაკეთებთ მას, ანდა ვაკეთებთ მის საწინააღმდეგოს. იმის ნიშანი კი, ჩვენ ვაკეთებთ თუ არ ვაკეთებთ ამ საქმეს, არის ძალზე ნათელი, უეჭველი და ყველასათვის გასაგები: რაც უფრო მეტი სიყვარულით განიმსჭვალები ყველა ადამიანისა და სულდგმულისადმი, მით უფრო სრულად აკეთებ შენზე დაკისრებულ საქმეს, რაც უფრო ნაკლებად გიყვარს, რაც მეტად მიეცემი მტრულ, სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობებსა და საქმეს, მით უფრო ნაკლებად ასრულებ ანდა საერთოდ არ ასრულებ შენზე დაკისრებულ საქმეს...

1910 წლის 28 მარტს თბილისის ქალთა I გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლემ, 14 წლის მარიამ ანდრონიკაშვილმა ლევ ტოლსტოის აცნობა, რომ მან უკვე წაიკითხა გრაფის სქელტანიანი ნაწარმოებები — „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „აღდგომა“ და დიდი სურვილი აქვს გაეცნოს მის ახალ ბროშურას — „ქრისტეს მოძღვრებას, გადმოცემულს ბავშვებისათვის“, მაგრამ ვინაიდან ამ წიგნის შოვნა თბილისში არ ხერხდება, ამიტომ მოხარული იქნება, თუ ლევ ნიკოლოზის ძე ხსენებულ ბროშურას ფასდადებით გამოუგზავნიდა მას. ლევ ტოლსტოის გიმნაზიელი გოგონას წერილი მიუღია 8 აპრილს. გულდასმით წაუკითხავს იგი და კონვერტზე თავისივე ხელით წაუწერია — „გაეგზავნოს წიგნი „ქრისტეს მოძღვრება“. და აი, 26 აპრილს მ. ანდრონიკაშვილმა იასნაია პოლიანადან უსასყიდლოდ მიიღო მისთვის საინტერესო ნაწარმოები და ძვირფასი მწერლის გულისხმიერებით აღფრთოვანებულმა იმავე დღეს მადლობის წერილი მისწერა საყვარელ ავტორს.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში (1901—1910 წ. წ.) ქართველ ახალგაზრდობას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული ლევ ტოლსტოისთან და სწორედ ამიტომ ალბათ არც იყო გასაკვირი ის საყოველთაო მწუხარება, რომელმაც გენიალური მწერლის გარდაცვალების (1910 წლის 7 ნოემბერი) მაუწყებელი ცნობის მიღებისთანავე მოიცვა საქართველო და მისი მოზარდი თაობა. ჩვენმა ხალხმა მწუხარებით დაიტირა შეურყვნელი ზნეობის ღმერთკაცი, ხოლო პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვისა და იურიევის (ტარტუ) უმაღლეს სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელდახელოდ მოწყობილ სამგლოვიარო მიტინგებსა და მანიფესტაციებში. (იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტებმა — დ. იოსელიანმა და ა. ლომხაძემ სპეცია-

ლური პროკლამაციები გამოუშვეს, სადაც მოუწოდებდნენ ლევ ტოლსტოის ზოგადსაკაცობრიო იდეებისათვის დაეჭირათ მხარი და თავგანწირვით ებრძოლათ თვითმპყრობელური დიქტატურის წინააღმდეგ, ხოლო ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, შემდგომ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ვ. კაკაბაძემ მიტინგზე წარმოთქვა საკუთარი ლექსი, რის შესახებაც ერთ-ერთ მოგონებაში წერდა, „მე, რასაკვირველია, არ მგონია ლ. ტოლსტოისადმი მიძღვნილ ლექსს, როგორც პოეტურ ქმნილებას, რაიმე ღირებულება ჰქონდეს, მაგრამ იგი წავიკითხე დიდი გრძნობით და მოწონებაც (ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივი ტაში) დავიმსახურე“. ამასთან ერთად, თავიანთი წარმომადგენლებიც მიავლინეს ძვირფასი მწერლის დაკრძალვაზე. მართალია, მეფის ოხრანკამ ყველა ღონე იხმარა, რათა იასნაია პოლიანაში არ მოხვედრილიყვნენ ე. წ. „შემთხვევითი ელემენტები“, რომელთაც შეეძლოთ მწუხრის ჟამი აშკარა რევოლუციურ სიტუაციად გადაექციათ, მიუხედავად ამისა, პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო“ ქართველმა სტუდენტებმა: ალ. ცაგარეიშვილმა, დ. ხირსელმა, ძმებმა გრ. და ვ. ჯაფარიძეებმა, ი. ლუკაშვილმა, ლ. შურღაიამ, აგრეთვე ახალგაზრდა მწერალმა და კრიტიკოსმა ა. არსენიშვილმა მაინც მოახერხეს ლევ ტოლსტოის სოფელში ჩაღწევა და მონაწილეობა მიიღეს სამგლოვიარო პროცესიაში. ვ. ჯაფარიძე იგონებდა 1961 წლის „საბჭოთა ხელოვნებაში“: „დიდი მწერლის დასაფლავება იყო პირველი მაგალითი სამოქალაქო დაკრძალვისა ჩვენში, ეკლესიის ყოველგვარი წესების გარეშე. უბრალო და თან დიადი!..“ ქართველი ახალგაზრდების აქტივობა დაკრძალვისას ნათლად ჩანს ალ. ცაგარეიშვილის, ი. ლუკაშვილის, ვ. ჯაფარიძის, ლ. შურღაიას, აკადემიკოს კ. ერისთავის მოგონებებიდან (ეს უკანასკნელი იმჟამად იურიევის უნივერსიტეტის „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა). აგრეთვე იმ დოკუმენტური კინოფირიდანაც, რომლის გადაღება მაშინ მოხერხდა.

ოფიციალურმა პეტერბურგმა იმპერიის ყველა გუბერნატორსა და სასწავლო ოლქის მზრუნველს სასწრაფოდ დაუგზავნა კონფიდენციალური ცირკულარები, რომლითაც თვითმპყრობელობის ერთგულ სატრაპებს კატეგორიულად ევალებოდათ არ დაეშვათ არავითარი დემონსტრაციები, მთავრობისა და სამღვდელოების საწინააღმდეგო გამოსვლები ლევ ტოლსტოის გარდაცვალების გამო და განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მოსწავლეებისათვის, რათა მათ მონაწილეობა არ მიეღოთ სამოქალაქო პანაშვიდების, სხდომებისა და შეკრებების ორგანიზება-ჩატარებაში. საქართველოს მმართველმა წრეებმა ამ ცირკულარის გაცნობისთანავე ენერგიულად იწყეს მისი განხორციელება და უნდა ითქვას, რომ არც თუ ურიგოდ. მაგალითად, 1910 წლის 16 ნოემბერს გაზ. „სახმეში“ მკითხველებს მიაწოდა შემდეგი ცნობა: „...შაბათს, 13 ნოემბერს სახალხო სახლში ლ. ნ. ტოლსტოის სახსოვრად გაიმართა დილა. დილას, სხვათა შორის, უნდა დასწრებოდნენ ქალაქის (თბილისის გ. გ.) სკოლების მოსწავლენი, მაგრამ სახალხო სკოლების დირექტორმა უკანასკნელთ ამის ნება არ დართო“. იმავე წლის 20 ნოემბერს თბილისის პოლიცმაისტერი ფრიად საიდუმლო მიმართვაში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ. რუდოლფისადმი იუწყებოდა: „დღეს, საღამოს, თბილისის სახაზინო თეატრში (დასაწყისი 8 საათზე) შედგება ქალთა უმაღლესი კურსების პროფესორ — ეურაკოვსკის, ილია ნაკაშიძისა და ი. გ. მაქსიმოვის ლექცია, მიძღვნილი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ხსოვნისადმი, რომელზეც მოსალოდნელია მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილის დასწრება. წესრიგის შესაძლებელი დარღვევის პარალიზების მიზნით, თქვენს აღმატებულებას ვთხოვ გასცეს განკარგულება, რომ აღნიშნულ ლექციაზე, მოსწავლეთა სამეთვალყუროდ, წარვლენილ იქნან წარმომადგენლები სასწავლო დაწესებულებებიდან, რიცხვით თქვენი შეხედულებისამებრ, ადგილები გამოყოფილი იქნება“.[8] როგორც ვხედავთ, ცარიზმის დაუზარებელი მოხელე-ჩინოვნიკები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა საქართველოს მოზარდ თაობას „მშვიდად“ აღექვა გამოჩენილი მწერლის გარდაცვალება და რაიმე ექსცესური არ მოემოქმედებინა. მაგრამ, ახალგაზრდობის ბობოქარ ბუნებას აბა რა დაუდგებოდა წინ!... აი, რას წერს თავის მოგონებაში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილი მოწაფე, შემდგომ — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი გიორგი გაჩეჩილაძე: „მახსოვს ის ეპიზოდიც, რომელიც დაკავშირებულია ლევ ტოლსტოის გარდაცვალებასთან. გიმნაზიის დირექტორი მ. გლუშაკოვი... კლასების

შემოვლისას, გვთავაზობდა, ამის გამო არ მიგვემართა არავითარი გამოსვლებისათვის, და, როგორც წესი, გვემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, მომდევნო გაკვეთილის დაწყების წინ, როდესაც მასწავლებელი ავიდა კათედრაზე, ჩვენმა „წინამძღოლმა" ხმამაღლა და პათოსით გამოაცხადა ცნობა დიდი მწერლის გარდაცვალების შესახებ და მოგვიწოდა ფეხზე ადგომით პატივი გვეცა მისი ხსოვნისათვის, ხუთ წუთს გაგრძელდა სამარისებური სიჩუმე. სახტად დარჩენილი მასწავლებელი, რომელმაც არ იცოდა, სად დამალულიყო, ასევე მდუმარედ იდგა კათედრასთან. ადმინისტრაციამ კეთილგონივრულად მიიჩნია არავითარი რეაგირება არ მოეხდინა ამ „დარღვევაზე". და ბოლოს, მკითხველთა ყურადღება გვსურს შევაჩეროთ ორ პატარა ფაქტზე, რომლითაც თვალნათლივ დასტურდება ლევ ტოლსტოის ხსოვნისადმი მეფისდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის გამომჟღავნებული უანგარო სიყვარული და პატივისცემა. 1911 წელს (ლევ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების წლისთავზე) გამოცემული საყმაწვილო ჟურნალის— „ნაკადულის" მე-10 ნომრის თავფურცელს ამშვენებს ლევ ტოლსტოის პორტრეტი წარწერით: „ეს სურათი ტფილისის საავადმყოფოს ახალგაზრდა მებაღე ვასილ ბეჟანაშვილმა გააკეთა ხელოვნურად დარგულ სხვადასხვა ყვავილებისაგან", ხოლო იმავე წლის 23 ოქტომბერს „ბათუმის გაზეთი" იუწყებოდა: „მოსკოვის ქართველმა სტუდენტებმა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში განცხადება გამოგზავნეს, მოსკოვში ლ. ტოლსტოის სახელობის გამოფენა გაიხსნა, რომელზედაც ყველა ენაზეა ლიტერატურა წარმოდგენილი გარდა ქართულისა. ამიტომ სტუდენტები თხოვენ გამგეობას გამოუგზავნონ ქართული თარგმანები და ლიტერატურა, რაც დაწერილია ტოლსტოის შესახებ ქართულ ენაზე".

... „მოხარული ვარ თქვენთან მეგობრობისა!" — ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ლევ ნიკოლოზის ძე საქართველოს, ქართველი ახალგაზრდობის მიმართ. თავის მხრივ, ჩვენს მოზარდ თაობასაც რევოლუციამდელი რუსეთის არც ერთ გამოჩენილ პირთან არ დაუმყარებია ისეთი გულთბილი, სალი ურთიერთობა, როგორიც ლევ ტოლსტოისთან. თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობა, თავისი წინამორბედი თანატოლი თაობების მსგავსად, კვლავ და კვლავ უბრუნდება და უდიდესი სიყვარულით ფურცლავს რუსული კლასიკური ლიტერატურის უბერებელი ბერმუხის უკვდავ ქმნილებებს.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1 ლ. ნ. ტოლსტოი, თხზ., სრ. კრებული (საიუბილეო გამოცემა), მ., ტ. 73 გვ. 22-23.

2 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდიდან „სხვადასხვა", საქ. 195, ფურც. 1-2

3 გაზ. „ივერია", № 3, 1905 წლის 5 იანვარი.

4 გაზ. „მოლოდოი სტალინეცი", № 137, 1960 წლის 19 ნოემბერი.

5 გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (სლმ), ხელნაწერი № 23277, ფურც. 1-3.

6 გ. ლეონიძის სახ. სლმ, ხელნაწერი № 23269, ფურც. 1-4.

7 გაზ. „სოვეტსკაია აბხაზია", № 230, 1960 წლის 20 ნოემბერი.

8 საქართველოს სსრ ცსსა, ფ. 441, აღწ. 1, საქ. 2384, ფურც. 42.

# სერგო თურნავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როზმარი კიფერი და ქართული ლიტერატურა

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; მისი საერთაშორისო მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, ითარგმნება უცხოურ ენებზე, იწერება ცალკეული სტატიები და გამოკვლევები, საზღვარგარეთის სამეცნიერო და პედაგოგიურ დაწესებულებებში იკითხება ლექციები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, მწერლის, მეცნიერის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის — პროფესორ როზმარი კიფერის მოღვაწეობა ლუქსემბურგში.

როზმარი კიფერი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ საქართველო და ქართული ლიტერატურა პირველად აღმოაჩინა ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში მოღვაწე იტალიელმა პოეტმა მიმო მორინამ.

მიმო მორინა თავისი ჟურნალის „ნუველ ეროპის" ფურცლებზე სისტემატურად ათავსებს ქართველი პოეტების ლექსებს ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე აგრეთვე მიმოხილვებს, რეცენზიებსა და ანოტაციებს ქართული კულტურის საკითხებზე.

მიმო მორინა ქართული კულტურით დაინტერესდა 1969 წელს. წერილში „შეხვედრა ქართულ პოეზიასთან", რომელიც დაიბეჭდა იტალიური ჟურნალის „ვენტო ნუოვოს" („ახალი ქროლვა") 1971 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ნომერში, იგი აღნიშნავს: „ვეწვიე მოსკოვის მწერალთა კავშირს, სადაც მელოდებოდა ვლადიმერ სტენსენსკი, რომელიც მწერალთა კავშირში განაგებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საკითხებს. გაიმართა საუბარი, რომელშიც ჩაერია ერთი ახალგაზრდა კაცი. ეს იყო საქართველოდან ჩამოსული მწერალი და მთარგმნელი ნოდარ რუხაძე. საუბარი გვქონდა პოეზიის საკითხებზე, ნოდარმა მხარი დამიჭირა და ყინული გალხვა.

ნ. რუხაძე ამის შემდეგ თბილისიდან რეგულარულად მიგზავნიდა წერილებს. ამ მიმოწერის შედეგად ჩვენი ჟურნალის „ვენტო ნუოვოს" მკითხველებმა აღმოაჩინეს დასავლეთ ევროპისათვის უცნობი პოეზია, რომელიც პოპულარობასთან ერთად შეიცავს აღმოსავლურ მომხიბვლელობასაც — ეს იყო ქართული პოეზია.

ჩვენს ჟურნალში რეგულარულად გამოვაქვეყნებთ სტატიებს რუბრიკით: „შეხვედრა ქართულ პოეზიასთან". ეს რუბრიკა დღესაც მოქმედებს და იმოქმედებს ყოველთვის, როგორც ორი ცივილიზებული პოეზიის შეხვედრა, შესაძლებელია სრულიად განსხვავებული, მაგრამ უხილავი ძაფებით გადახლართული სამხრეთულ ვენებთან. ჟურნალის „ვენტო ნუოვოს" ფურცლებზე ნახავთ სიმონ ჩიქოვანის ლექსების „თბილისელი მეთევზისა" და „მთების ვედრების" გრაციელა ლერმან გონდოლფისეულ იტალიურ თარგმანებს, მათთან მოჰყვება გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები, რომლებიც მადლიერმა ქართულმა მიწამ მისცა ამ ქვეყანას უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში".

მიმო მორინა 1979 წელს ჩამოვიდა თბილისში და პირადი კონტაქტები დაამყარა ქართველ მწერლებთან; იგი დასავლეთ ევროპის მწერალთა წრეებში დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს, არის გამოჩენილი პოეტი, მეცნიერი, იურისტი, გამომცემელი, მკვლევარი; რომელსაც ანგარიშს უწევს დღევანდელი დასავლეთ ევროპის კრიტიკული აზროვნება.

მიმო მორინა არის მრავალი პოეტური კრებულის, ნარკვევისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი. ლექსების წიგნები: „ფსიქე" (1967), „შენ ხარ დედამიწა" (1970) ქართულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ.

წერილში, რომელიც დათარიღებულია 1982 წლის 21 ნოემბრით, მიმო მორინა ამ სტრიქონების ავტორს წერს: „ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა, რომელშიც ნათლად ჩანს თქვენი კეთილი განწყობილება, ჩემი პოეზი-

ით აღტაცება და სიყვარული. ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი სტატიისათვის და საერთოდ იმ ინტერესისათვის, რომელსაც ჩვემი მოღვაწეობისადმი იჩენთ...

საქართველო ჩემთვის მეორე სამშობლოა. დროგამოშვებით მაგონდება ქართველ პოეტებთან გატარებული დიდებული დღეები, გრძელი საღამოები თქვენი გულუხვი მიწის კულინარული სასწაულებით შემკულ სუფრასთან, ვფიქრობ ძმისა და მეგობრის, ნოდარ რუხაძის ამ ქვეყნიდან წასვლაზე და გული მტკივა.“

მიმო მორინას ლექსების „შენ ხარ დედამიწა“ გასტონ ბუაჩიძისეულ ქართულ თარგმანს წინ უძღვის გრიგოლ აბაშიძის შესავალი წერილი, რომელშიც წერია: „აგერ უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთის პოეზიის მოყვარულთა და დამფასებელთა წრეებში საკმაოდ გავლენიანი ჟურნალი „ნუველ ეროპ“ სისტემატურად უთმობს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილს ქართული პოეზიის ნიმუშებს“ ქართველი პოეტების ლექსები „ნუველ ეროპში“ ცნობილი პოეტი ქალის როზმარი კიფერის თარგმანებით ქვეყნდება. მთარგმნელსვე ეკუთვნის ყველა ესსე თუ შესავალი წერილი, რომლებიც ამ ლექსებს უძღვის წინ და რომელშიც მთარგმნელი საქართველოს მშვენიერებით და მისი პოეზიის განუმეორებლობით აღტაცებას გამოთქვამს.

როზმარი კიფერი 1972 წლის სექტემბერში ოფიციალური მოწვევით ჩამოვიდა მოსკოვში, შემდეგ კი თბილისში, სადაც მას მაშინდელმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ — გრიგოლ აბაშიძემ ღირსეული შეხვედრა მოუწყო. მწერალი ქალი გაეცნო ფართო ლიტერატურას ქართული კულტურის საკითხებზე. 1978 წელს იგი მეორეჯერ ჩამოვიდა საქართველოში, მწერალთა კავშირმა უცხოელ მწერალს დიდი დახმარება აღმოუჩინა, მიუჩინა კონსულტანტები. „1978 წელს, — წერს როზმარი კიფერი, — საქართველოს რესპუბლიკის კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ვეწვიე. დირექციის მრავალმა წარმომადგენელმა მეგობრულად მიმიღო და ჩემთვის საინტერესო სხვადასხვა კართოტეკაც მომიტანა...

ძალიან საინტერესოა ქართული ხელოვნება — არქიტექტურა, ფრესკები, შუა საუკუნეების მინანქრები დიდებული სანახავია. აკად. შალვა ამირანაშვილმა პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს მინანქრები“ (1961) [illegible] ნაშრომი ნიკო ფიროსმანაშვილზე, ხოლო 1970 წელს კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნება“.

ამავე კართოტეკაზე მოხსენებულია ახალი და ძველი ისტორიული ნარკვევები რაც კი უცხოელ მეცნიერებს დაუწერიათ საქართველოს შესახებ“.

როზმარი კიფერის [illegible] ვიზიტით ლუქსემბურგში ეწვივნენ: ნოდარ რუხაძე, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, დიმიტრი ერიომინი. საბჭოთა მწერლების პატივსაცემად გამართულ ლიტერატურულ საღამოებზე ლუქსემბურგელმა მწერლებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ქართველი პოეტების ლექსებიდან, ნოდარ რუხაძემ — ლექცია თემაზე „ქართული პოეზია“.

როზმარი კიფერი დაიბადა 1982 წლის 30 დეკემბერს ლუქსემბურგში, სწავლობდა პარიზში, დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლიტერატურასა და ფილოსოფიაში (1955), არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, არის ლუქსემბურგის ქალთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, დიდი საჰერცოგოს ინსტიტუტის ხელოვნებისა და მწერალთა სექციის წევრი, ქ. ვიანდენის ვ. ჰიუგოს სახელობის კულტურის მუზეუმის დირექტორი და ამჟამად მუშაობს მიმო მორინასთან ჟურნალ „ნუველ ეროპის“ რედაქციის გენერალურ მდივნად.

როზმარი კიფერი პროფესიით პედაგოგია, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს ლუქსემბურგის სხვადასხვა ლიცეუმებში, აგრეთვე თანადროულობის აქტიურ საკითხებზე და ქართული კულტურის პრობლემებზე როგორც თავის სამშობლოში, ასევე რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

პროფ. როზმარი კიფერს ქართული ლიტერატურის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, რეცენზია და ნარკვევი. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევებიდან აღსანიშნავია: „შოთა რუსთაველი ადმოსავლური რენესანსის გარიჟრაჟზე“, „ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზია“, „კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ შესახებ“, „კულტურული ურთიერთობანი საქართველოსა და საფრანგეთს შორის“, „ლიტერატურული მოგზაურობა საბჭოთა კავშირზე გავლით“, „ნიკო ფიროსმანი“, „გრ. აბაშიძის ისტორიული რომანი „ლაშარელა“, „მურმან ლებანიძე“, „ანა კალანდაძე“, „ვისის და რამინის რომანი“, „შეხვედრა ქართულ პოეზიასთან“, „სამი საბჭოთა მწერალი ლუქსემბურგში“, „ორი ქართველი პოეტი ლუქსემბურგში“, „წერილები ქართულ ლი-

ტერატურაზე", „შეხვედრა ამირანთან" და სხვა.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს როზმარი კიფერის ვრცელი რეცენზია „შეხვედრა ამირანთან", რომელშიც იგი ეხება ქართული ფოლკლორის საკითხებს. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ამირანის თქმულებაზე, რომელიც მეცნიერულად დაამუშავა აწ განსვენებულმა პროფ. მიხეილ ჩიქოვანმა.

ავტორი წერს: „ამირანი ქართული ლეგენდების მნიშვნელოვანი მოქმედი გმირია. ამიტომაც შვეიცარიელმა ქართველოლოგებმა, რომლებიც ქართველმა მეცნიერმა კიტა ჩხეიძემ აღზარდა, თავიანთ გამომცემლობას შეარქვეს „ამირან ფერლაგ" (ამირანის გამომცემლობა). მათ გამოსცეს წიგნები: „ქართული ენის გრამატიკა" და „ქართულ-გერმანული ლექსიკონი".

„ამირანი", „ვეფხვისა და მოყმის ბალადა" გამოქვეყნებულია „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში", რომელიც თბილისიდან გამოგზავნა სერგო თურნავამ. ანთოლოგია შეადგინა ცნობილმა პოეტმა და მთარგმნელმა ტატიანა ავალიანმა, რომელმაც გულმოდგინედ თარგმნა ფრანგულ ენაზე თავისი სამშობლოს მწერლების ნაწარმოებები. წიგნში ვეცნობით დიდი ქართველი მწერლების ნაწარმოებებს რუსთაველიდან დაწყებული (XII საუკუნე) ჩვენს დრომდე. საქართველო პოეზიის ქვეყანაა. მას მრავალი პოეტი ჰყავს. პოეზიის მოყვარულებს კი ვინ მოთვლის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინათ საქართველოში თავადაზნაურები და სახელმწიფო მოღვაწეები პოეზიით იყვნენ გატაცებულნი. ქართველი პოეტები უმღერიან სამშობლოს სილამაზეს, მის ისტორიას, რომელიც ერთდროულად მოზხიბვლელიცაა და დამამწუხრებელიც, უმღერიან ადამიანის სიდიადეს, სიყვარულის ძალას.

სერგო თურნავამ გამომიგზავნა აგრეთვე XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მიმზიდველი ისტორიული რომანის „დიდოსტატის მარჯვენის" ფრანგული თარგმანი. ეს არის ფრანგი მწერლის რენე დომეკის მიერ რუსულიდან შესრულებული ფრანგული თარგმანი. იგი 1957 წელს გამოსცა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ"...

ფრანგული ჟურნალი „ნუველ ეროპი" თავის ფურცლებზე მოიხსენიებს და დიდ პატივს სცემს დიდ ქართველ პოეტებს, რომლებიც თავის ანთოლოგიაში შეუტანია ტატიანა ავალიანს. ესენია: რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი. ყველა პოეტი ცალკე სტატიას იმსახურებს, მაგრამ აქ ამის საშუალება არ გვაქვს.

ჩვენმა ჟურნალმა მაღალი შეფასება მისცა გრ. აბაშიძის ისტორიულ რომანს „ლაშარელა". აქვე გვინდა შევახსენოთ ჩვენს მკითხველს, რომ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოვიდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის ლექსების წიგნი „ბედი ქართლისა", რომელიც გამოსცა „ლე ზედიტერ ფრანსე რეიუნიმ". ფრანგული თარგმანები შეასრულეს ფრანგმა პოეტებმა. მათ შორის ერთი ეროვნებით ქართველია, სერგი წულაძე.

შვეიცარიაში გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი", იგი გერმანულ ენაზე თარგმნა რუთ ნოიკომმა, „ვისრამიანი", (თარგმანი კ. ჩხენკელისა და რუთ ნოიკომისა). აგრეთვე გამოვიდა ქართველ მწერალთა მოთხრობების წიგნი სათაურით „თანამედროვე ქართველი მწერლები".

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როზმარი კიფერმა გამოაქვეყნა სტატია გურამ ასათიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, იქვე დაბეჭდა მისივე ნარკვევი ანა კალანდაძეზე. ავტორი განიხილავს გურამ ასათიანის მოღვაწეობას, მას ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარად მიიჩნევს, რომელმაც საშუალება მისცა უცხოელ მკვლევრებს ჩასწვდომოდნენ ქართული ლიტერატურის საკითხებს.

როზმარი კიფერი წერს: „გურამ ასათიანის ერთ-ერთი მონოგრაფია რუსულ ენაზე გამოვიდა 1981 წელს. იგი გამოსცა გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა" სათაურით „ფრთები და ფესვები". გურამ ასათიანი შესანიშნავი მცოდნე იყო თავისი ქვეყნის მწერლობისა, თავის ნაშრომებში მოგვცა ქართველ მწერალთა შემოქმედების ღრმა მეცნიერული ანალიზი, შესწავლილი აქვს თვითეული მწერლის ღირსება-ნაკლოვანებები, მისი ნარკვევები ჩვენ, უცხოელ მკვლევრებს გვიადვილებს ქართული ლიტერატურის საკითხების შესწავლას".

მკითხველის ყურადღებას იქცევს როზმარი კიფერის რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა 1977 წელს ჟურნალ „ნუველ ეროპის" ფურცლებზე, ავტორი განიხილავს ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, გრიგოლ აბაშიძისა და ნოდარ რუხაძის ნაწარმოებებს.

დიდი სიყვარულითაა დაწერილი სტატია ანა კალანდაძეზე. ავტორი გადმოგვცემს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს და მსჯელობს პოეტის ცხოვრება-შემოქმედებაზე. კიფერი ანა კალანდაძეს მიიჩნევს თანამედროვეობის ერთ-ერთ უნიჭიერეს პოეტად და აცხადებს: „ანა

კალანდაძის შემოქმედებაში საშუალო ლექსებს თითქმის ვერ ნახავთ. მისი ლექსები დაწერილია დიდი ოსტატობით, მაღალ იდეურმხატვრულ დონეზე. ლექსების უმრავლესობა დაწერილია ღრმა ფილოსოფიური სიღრმითა და ლირიზმით... ანა კალანდაძემ საქართველოსა და რუსეთში ლექსების რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა, იგი აღიარებული პოეტია. მკითხველს ძალიან მოსწონს მისი ლირიკული ლექსები, მათი ემოციურობა და სიმშვიდე. მას შემდეგ, რაც მიმო მორინამ და ნოდარ რუხაძემ ლუქსემბურგის მწერლებთან საქმიანი კონტაქტები დაამყარეს, ანა კალანდაძის ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ნუველ ეროპის" ფურცლებზე. პოეტი ქალი 1972 წელს ჩამოვიდა ლუქსემბურგში და კავშირი დაამყარა ჩვენს მწერლებთან".

იქვე ჟურნალში გამოქვეყნებულია ანა კალანდაძის ლექსების როზმარი კიფერისეული ფრანგული თარგმანები. ესენია: „შენ ისე ღრმა ხარ", „მე ლამაზი მეგობარი", „ღრუბლები", „ქარი", „ჰელსინკის კუნძულები" და სხვ.

როზმარი კიფერს უთარგმნია აგრეთვე ლია სტურუას ლექსი „ვიეტნამი 1968 წელს".

როზმარი კიფერი იქვე იხსენებს ჩვენი გამოჩენილი სახალხო პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსს „მედეას", რომელშიც ქართველი პოეტი ერთხელ კიდევ აცოცხლებს ქართულ პოეზიაში ძველ ბერძნულ მითს არგონავტებზე.

როზმარი კიფერმა ვრცელი წერილი მიუძღვნა გამოჩენილი მწერლისა და მთარგმნელის — სერგი წულაძის მოღვაწეობას და გამოაქვეყნა იგი 1974 წელს „ნუველ ეროპის" ფურცლებზე. ავტორი უცხოელ მკითხველებს მოუთხრობს სერგი წულაძის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე, მის დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ქართველი მწერლების ფრანგულ ენაზე თარგმნის საქმეში. საქართველოში ყოფნისას როზმარი კიფერს პირადად უნახავს სერგი წულაძე, უსაუბრია მასთან ლიტერატურის საკითხებზე და ბევრი რჩევადარიგება მიუღია.

„საქართველოში ჩემი მეორედ ყოფნისას, — წერს როზმარი კიფერი, — დიდად მასიამოვნა დოქტორ სერგი წულაძის გაცნობამ. სერგი წულაძემ 1964 წელს გალიმარის გამომცემლობაში, პარიზში, დაბეჭდა მის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". 1965 წელს ეს გამოცემა აღინიშნა საფრანგეთის აკადემიის ლანგლუას პრემიით. წინა გამომცემლობის ნებართვით თარგმანი ხელახლა გამოიცა საქართველოში 1966 წელს (ტირაჟი 10000 ეგზ.).

სერგი წულაძემ, ამ ღრმად განათლებულმა კაცმა დაწერა ბროშურა „რუსთაველთან გაცნობა", რომელიც ასევე საქართველოში გამოიცა 1966 წელს ფრანგულ ენაზე (ტირაჟი 5000 ეგზ.). ნაშრომში დაწვრილებითაა გაანალიზებული რუსთაველის პოემა.

სერგი წულაძემ 1968 წელს პარიზში გამოაქვეყნა დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845) ლექსების წიგნი, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოსცა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ". ნაშრომი შეიცავს ქართულ ტექსტსა და ფრანგულ ადაპტაციას. წიგნი დაიბეჭდა ქართველი პოეტის მთავარი პოემის „ბედი ქართლისას" სათაურით. შესავალი წერილი დაწერილია სერგი წულაძის მიერ. მანვე თარგმნა ქართველი პოეტის რამდენიმე ლექსი, სხვა ლექსები თარგმნეს ფრანგმა პოეტმა: მაქს-პოლ ფუშემ, პიერ გამარამ, ჟაკ გოშერონმა და გიევიკმა გასტონ ბუაჩიძისეული პწკარედის მიხედვით.

სერგი წულაძემ საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ ბევრი ცნობა მომაწოდა ერთ ნაშუადღევს ზურაბ და თინათინ კალანდაძეების, პოეტი ქალის, ანა კალანდაძის ძმისა და რძლის ოჯახში.

სერგი წულაძემ თბილისში წაგვიკითხა ანა კალანდაძის ლექსი „თუთის ხის" მისეული ფრანგული თარგმანი, რომელიც შესანიშნავად ჟღერდა.

კარლ მარქსის ბიბლიოთეკაში მე გავიგე, რომ ფრანგი კლასიკოსებიდან ბევრი ყოფილა ქართულად თარგმნილი. სერგი წულაძემ სია გადმომცა და მელაპარაკა „როლანდის სიმღერისა" და რაბლეს ნაწარმოების თარგმანზე. ახლახან დისერტაციებიც კი დაუწერიათ რეტიფ დე ლა ბრეტონზე, ლოტრეამონზე და აპოლინერზე.

სერგი წულაძე პარიზში გამოსაცემად ამზადებს „ქართული პოეზიის ანთოლოგიას" X საუკუნიდან დღემდე.

„საქართველოს მზეები" — ამ სათაურით ამზადებს სერგი წულაძე წიგნს, რომელიც განზრახული აქვს მიუძღვნას ქართულ სამშობლოს, რათა იგი თავის ყოფილ ფრანგულ სამშობლოს გააცნოს.

ბრწყინვალება, სხივი, მზე — ამ სიტყვების გამოყენება ბუნებრივია საქართველოს აღწერისას: ბრწყინვალება, — დაბინდულ ბრწყინვალებასთან ერთად, — ფარული სიმდიდრე, მთები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ძველ ქალაქში, სადაც ჭადრებში ჩაფლული აღმართდაღმართი ქუჩები და მოჩუქურთმებული აივ-

ნიანი სახლებია, ღვას კარლ მარქსის სახელმწიფო ბიბლიოთეკა!".

კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში როზმარი კიფერს უნახავს და საფუძვლიანად შეუსწავლია აწ განსვენებული პროფ. დავით ფანჩულიძის ნაშრომები ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე, განსაკუთრებით კარგად შეუსწავლია პროფესორის ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის". ამასთან დაკავშირებით როზმარი კიფერს 1981 წლის 11 იანვარს დაუწერია მოგონება ქართველ მეცნიერზე სათაურით „პროფესორ დავით ფანჩულიძის პატივსაცემად", რომელშიც ვკითხულობთ: „ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა სწავლობს საბჭოთა კავშირის გეოგრაფიას. პედაგოგები ამისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის ბუკლეტსა და კატალოგს, რომ გააცნონ მოსწავლეებს ამ დიდი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. ერთ დღეს, ერთმა მეგობარმა გერმანელმა ქალმა, რომელიც საკმაოდ განათლებულია, მითხრა: რუსეთში თუ ვიმოგზაურე, აუცილებლად საქართველოს ვინახულებ".

მე არ მინდოდა მისთვის განწყობილების შეცვლა და ამიტომ აღარ ვუთხარი ,რომ რუსეთში ვერსად ნახავდა საქართველოს.

ერთხელ კიდევ ჩვენმა ერთმა საუკეთესო მეცნიერმა, საქართველოში გასამგზავრებლად რომ ვემზადებოდი, მითხრა: „მაშ ასე, თქვენ მოინახულებთ ჩ. აითმატოვს", აი კიდევ მესამე მაგალითიც: „ორი წლის წინათ ლექციების წასაკითხად მიმიწვიეს ერთ მეზობელ ქვეყანაში და მკითხეს, რა თემაზე ვისურვებდი ლექციების კითხვას .მე ჩემს პასუხში ვწერდი: „შემიძლია ვილაპარაკო ლუქსემბურგის ლიტერატურაზე, ქართულ პოეზიაზე ან ბენიამინ კავერინზე, რომელიც გახლავთ სსრკ — ლუქსემბურგის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. მოგვიანებით გამომიგზავნეს მოსაწვევი ბარათი, რომელშიც ჩემს მსმენელებს მიმართავდნენ: ლუქსემბურგელი როზმარი კიფერი გესაუბრებათ თანამედროვე ქართველ პოეტ — ბენიამინ კავერინზე"!..

მე უნდა მელაპარაკა პროფ. დ. ფანჩულიძის მოღვაწეობაზე, მაგრამ ვილაპარაკე ჩემზე და ათას სხვა რამეზე, მაგრამ ჩემი მიზანი იყო დავესაბუთო ის ამბავი, თუ რამდენად ძვირფასია პროფ. დ. ფანჩულიძის ნაშრომები იმ სამყაროში, სადაც ადამიანები ასე ცუდად იცნობენ ერთმანეთს. ისეთი მდიდარი კულტურის ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ჩვენში კარგად არ არის ცნობილი. საერთოდ კი იცნობენ მის ზღვის სანაპიროებს და ქართულ ღვინოს. ეს კარგია, მაგრამ შეიძლება არ იცნობდნენ მთავარს?

პროფ. დავით ფანჩულიძემ, თავისი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების ღრმა მცოდნემ და ამავე დროს ფრანგული ლიტერატურის შესანიშნავმა მკვლევარმა, დამაკავშირებელი ხიდი გადო ჩვენს ქვეყნებს შორის, ჩვენი ქვეყნები უნდა იცნობდნენ ერთმანეთს, მოძმე ხალხების ლიტერატურას, მათ ურთიერთისაგან უნდა ისწავლონ და გაამდიდრონ თავიანთი ლიტერატურა.

დიდი ინტერესით შევისწავლე დავით ფანჩულიძის წიგნი „ფრანგულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში" და 1972-1973 წლებში დავწერე სტატია „ფრანგები საქართველოში", რომელიც დაიბეჭდა 1974 წლის კანადის ჟურნალ „ეკრიტიურ ფრანსეზ დე ლე მონდის" ფურცლებზე...

პროფ. დ. ფანჩულიძის წიგნიდან გავიგე, რომ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-თან მოლაპარაკება გაუმართავს ჩინებულ ქართველ მწერალსა და დიპლომატს — სულხან-საბა ორბელიანს. უნდა ითქვას, რომ ჩემს თვალში დავით ფანჩულიძე წარმოდგება ნამდვილ პიონერად, რომელმაც საფუძველი მომცა გამეღრმავებინა ჩემი ცოდნა ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის მრავალ საკითხში.

მე სიამოვნებით წავიკითხე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ფრანგული თარგმანები, რომლებიც პარიზში გამოსცა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ". წავიკითხე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" (ფრანგულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ), აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" სერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანი.

უნდა აღინიშნოს, რომ დ. ფანჩულიძის ნაშრომებმა დიდი დახმარება გამიწია ყველაფერში, ამიტომ დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებ მას, განზრახული მაქვს დავით ფანჩულიძეზე დავწერო სპეციალური სტატია, რომელიც დაიბეჭდება კანადის ჟურნალში „ეკრიტიურ ფრანსეზ დან ლე მონდში", რომელიც გამოდის პროფ. ანტუან ნაამანის ხელმძღვანელობით. ბატონი პროფ. ანტუან ნაამანი არის კანადის საზოგადოება — „ეკრიტიურ ფრანსეზ დან ლე მონდის" პრეზიდენტი და საქართველოს დიდი მეგობარი".

ყურადღებას იქცევს როზმარი კიფერის მოგონება ნოდარ რუხაძის პატივსაცემად.

აი რას წერს იგი: „ეს იყო 1972 წლის ზაფხულის ბოლო რიცხვებში. მე და კოლია მა-

სტეროვი ერთად მოვხვდით ლენინგრადში. აქ დავათვალიერეთ დოსტოევსკისა და ნეკრასოვის სახლ-მუზეუმი, შემდეგ ის ადგილი, სადაც ა. ს. პუშკინმა მომაკვდინებელი ჭრილობა მიიღო. ეთნოგრაფიულ მუზეუმში დიდხანს დავყავით, ვნახეთ დარბაზი, სადაც წარმოდგენილია კავკასიის მთები და მათი მცხოვრებლები.

რომ დაღამდა, გამოვფრინდით თბილისისაკენ და დავეშვით აეროდრომზე. ამრიგად, ჩვენც ფეხი დავდგით თბილისის მიწაზე. ჩამოვეშვით კიბით. ძირს დაგვხვდა ნოდარ რუხაძე, რომელიც იმ ბნელ ღამეში გველოდებოდა.

სწორედ ნოდარ რუხაძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მორინამ საქართველო აღმოაჩინა. ორი მეგობარი ერთმანეთს მოსკოვის მწერალთა კავშირში შეხვდა. აქედან დაიწყო მათი მეგობრული კონტაქტები. იტალიელმა პოეტმა ქართველ მეგობარს სთხოვა გაეგზავნა მისთვის ჟურნალ „ნუველ ეროპაში" გამოსაქვეყნებლად პწკარედები, რომ შემდეგ მე ფრანგულად გადამეთარგმნა.

ამრიგად, თბილისში გავიცანი გრიგოლ აბაშიძე, ანა კალანდაძე, ვახტანგ გორგასალის ცა და ღრუბლები, სოლცარი წყარო, საიდანაც თბილისის სახელი წარმოდგება. ზოგჯერ ადამიანს სურვილი ერთბაშად უჩნდება, მეც ასე ერთბაშად დავასკვენი, საქართველო აუცილებლად უნდა მენახა. აი, საბჭოთა კავშირის ლუქსემბურგული საელჩოს დახმარებით მე უკვე თბილისის აეროდრომზე ვარ, ნოდარ რუხაძის პირისპირ, რომლის შესახებ მიმო მორინას ჩემთან ბევრი უსაუბრია. მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მივმართე: თქვენ ნოდარ რუხაძე ბრძანდებით?

დიახ, მე ნოდარ რუხაძე ვარ, — მიპასუხა მან.

ნოდარ რუხაძეს უყვარდა თავისი ქვეყანა, მისი კულტურა, ლიტერატურა, პოეტები. ნოდართან ერთად ვინახულე საქართველოს მთიანი ადგილები, მასთან ერთად და მის მეგობარ პოეტებთან — ანა კალანდაძესთან და და მურმან ლებანიძესთან ერთად — ჯვარი, სვეტიცხოველი, ანანური, ყვარელი.. ეს სახელები ჩემს გონებაში დაუვიწყარია, მათ შესახებ მუდამ ვფიქრობ, რადგან ისინი ჩემს ძვალსა და რბილშია გამჯდარი, ჩემ თვალწინ დგანან საქართველოს მთები, ციხე-კოშკები, კლდეები, ხეები, ყვავილები, ასე მგონია, ისინი ლექსებს მიკითხავენ!

სადაც კი ვიყავი მიწვეული, ნოდარ რუხაძე ყოველთვის ჩემ გვერდით იჯდა სუფრასთან. დიდი კმაყოფილება ვიგრძენი, როდესაც მეუღლე — ტატიანა სოკოლოვა და ვაჟი ირაკლი გამაცნო.

ჩემთვის დაუვიწყარია ის ბედნიერი წუთები, რომლებიც ერთად გავატარეთ ანა და ზურაბ კალანდაძეების ოჯახში, მწერალთა კავშირში, სერგი წულაძესთან ერთად ნოდარ რუხაძის ბინაში. ნოდარის გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა ქართული კულტურის მეგობრები უცხოეთში.

ნოდარ რუხაძე ქართველ პოეტ ოთარ ჭილაძესა და რუს რომანისტ დიმიტრი ერიომინთან ერთად 1978 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში ლუქსემბურგში გვეწვია. ნოდარ რუხაძემ ჩვენი უნივერსიტეტის კომპარტიის ისტორიის სხდომათა დარბაზში, რომელიც მდებარეობს ჩვენი ძველი ქალაქის ცენტრში, წაიკითხა ლექცია ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ამავე დროს ლუქსემბურგელმა მწერალმა ტუნ დოიჩმა წაიკითხა ქართველი პოეტების ლექსების ფრანგული და გერმანული თარგმანები.

იმ დღეს, როდესაც ჩვენი ქართველი მეგობრები ჩამოვიდნენ, ლუქსემბურგში თოვდა. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი — გუსტავ ჰაინემანი.

ნოდარ რუხაძემ ლუქსემბურგში ინახულა თავისი მეგობრები: მიმო და ნელეკ მორინები, საქმიანი კონტაქტები დაამყარა ლუქსემბურგელ მწერლებთან, განსაკუთრებით ცნობილ მწერალ ტუნ დოიჩთან. ამის შემდეგ უფრო გავაძლიერე ჩემი მოღვაწეობა ქართული ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში, მიზნად დავისახე ჩემი ქვეყნისათვის საქართველოს უკეთ გაცნობა. ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები რადიოთი გადავეცით ეშტერნახის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. ამ ადგილას ყოველწლიურად ეწყობა მუსიკის დიდი ფესტივალი. ასევე გადავეცით რადიოთი ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები ა. ს. პუშკინის კულტურის ცენტრში".

რომზმარი კიფერი შეეხო აგრეთვე აკად. ალ. ბარამიძის მოღვაწეობას ქართული ლიტერატურის სარბიელზე მეცნიერის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია აგრეთვე სტატია „რომანული ფილოლოგიის ორი ქართველი სპეციალისტი: გასტონ ბუაჩიძე და სერგო თურნავა", რომელიც გამოაქვეყნა კანადის ჟურნალში. რ. კიფერი წერს:

„გასტონ ბუაჩიძე საზღვარგარეთის ხალხებს აცნობს საქართველოს, ქართული კულტურის წარმატებებს, სერგო თურნავა — თავის თანამემამულეებს ფრანგულ ლიტერატურას, მეორე მხრივ მკვლევარი ეძებს და კრებს მასალებს იმის შესახებ, თუ რა იციან უცხოელებმა ქართულ კულტურაზე. სერგო თურნავამ გამოაქვეყნა წიგნები ფრანგ მწერლებზე (ა. სტილი, ლუი არაგონი, ელზა ტრიოლე, მორის ტორეზი), აგრეთვე მონოგრაფიები: „XX საუკუნის ფრანგი მწერლები“, „თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა“. მანვე თარგმნა ქართულ ენაზე ანდრე სტილისა და მორის ტორეზის ნაწარმოებები; რაც შეეხება სერგო თურნავას მოღვაწეობის მეორე სფეროს, მას მიმოწერა აქვს საზღვარგარეთის კულტურის ბევრ მოღვაწესთან, რომლებიც სპეციალურად სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას.

...პარიზში არის ქართველოლოგიის ცენტრი, მეორე ცენტრი კი ციურიხშია (შვეიცარია). ქართველოლოგები არიან აგრეთვე ბელგიაშიც. ისინი სწავლობენ და იკვლევენ ქართულ ლიტერატურასა და ენას“.

...ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი რუსუდან თურნავა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართულ-ფრანგულ და ინგლისურ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობის საკითხზე. მკვლევარი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებს თარგმანებსა და სტატიებს. მან 1982 წლის 26 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „ხელოვნება „ოქროს საწმისის“ ქვეყანაში“, რომელშიც მსჯელობს ქართული ხელოვნების წარმატებაზე საზღვარგარეთ. ავტორი ამავე დროს ჩერდება როზმარი კიფერის ნაშრომებზე, რომლებიც ქართულ ხელოვნებას ეხმიანება.

ავტორი სამართლიანად წერს: „ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ ჩვენს ხელოვნებას ღრმა მცოდნე და დამფასებელი მყავს ლუქსემბურგში მწერალი ქალის საერთაშორისო ჟურნალის „ნუველ ეროპის“ გენერალური მდივნის, პროფესორ როზმარი კიფერის სახით. იგი ხშირად აქვეყნებს სტატიებს ქართული კულტურის შესახებ თავის ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. „ნუველ ეროპის“ 1982 წლის XXXVII ნომერში გამოქვეყნდა როზმარი კიფერის წერილი სათაურით „ქართული წიგნები“, რომლებშიც გამოთქმულია ზედმიწევნით თვალსაჩინო მოსაზრებები ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანის პრობლემებზე.

ქართული ხელოვნების ნიმუშების ხელახლა ხილვამ ვენაში პროფესორ რ. კიფერს განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა, რადგან ვენა მას წარმოუდგენია აღმოსავლეთის კარიბჭედ, რომელიც ევროპელებს გზას უხსნის აღმოსავლეთის საიდუმლოებათა შესაცნობად. მეცნიერი სინანულით აღნიშნავს, რომ ძველად მოგზაურები მეტი მზრუნველობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით აწვდიდნენ ცნობებს დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთის შესახებ, მაშინ როდესაც „XX საუკუნის დიდი „ტურისტები“, ჩვენი ლიტერატურის, პრესის, გამომცემლობის ვარსკვლავები, სამწუხაროდ, გამოირჩევიან ზედაპირული რეპორტაჟებითა და არასერიოზულობით“.

ნარკვევის მეორე ნაწილში ქალბატონი როზმარი კიფერი მკითხველებს აცნობს რამდენიმე ქართულ წიგნს. მისი ყურადღება მიპყრობა იოსებ ნონეშვილის ლექსების ტატიანა ავალიანისეულ ფრანგულ თარგმანებს, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა „განათლებამ“ 1972 წელს. ლუქსემბურგელ მწერალ ქალს სამშობლოს უსაზღვროდ მოსიყვარულე პოეტში დაუნახავს ჩვენი საუკუნის ნამდვილი შვილი, რომელმაც უცხოური სილამაზის გათავისება, ღრმად შეგრძნება და ამ გრძნობის მკითხველებისათვის ახსნა შეძლო. როზმარი კიფერი მაღალ შეფასებას აძლევს ტატიანა ავალიანის დახვეწილ, ამაღელვებელ, გულშიჩამწვდომ თარგმანებს.

ჩვენს ლუქსემბურგელ მეგობარს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აღტაცება „ვეფხისტყაოსნის“ სერგი წულაძისეული თარგმანის გამო. ამჯერად იგი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ფრანგულ თარგმანს, რომელიც შესრულა თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის გამგემ, მთარგმნელმა და მკვლევარმა გასტონ ბუაჩიძემ. მისი თარგმანი გამოქვეყნდა „ლეტრ სოვიეტიკის“ 1982 წლის 278 ნომერში. ლუქსემბურგელი პროფესორი იწონებს ამ თარგმანს, რომელიც ნათლად გადმოსცემს ქართულ ატმოსფეროს და ფორმითაც აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს.

მკვლევარი საგანგებოდ ახასიათებს ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის ჰაინც ფენრიხის წიგნს „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ნარკვევის დასასრულს პროფ. როზმარი კიფერი იხსენებს, რომ საქართველოს მეგობარ ქვეყნებში არიან ენთუზიასტები, რომლებიც თარგმნიან ქართული ლიტერატურის შედევრებს. „არსებობს სამეცნიერო წრეები, რომლებიც გატაცებით იკვლევენ ყველაფერს, რაც კი მოიპოვება ამ ლიტერატურის „ოქროს საბადოებში“, იაზონი ოქ-

რომ საწმისისათვის გაემგზავრა კოლხეთში, ჩვენს ფილოლოგებს კი იქიდან პოეზიის საგანძური ჩამოაქვთ".

როზმარი კიფერი თავის სტატიას „ფრანგული ლიტერატურა საქართველოში" იწყებს ალექსანდრე დიუმას მოგზაურობით. შემდეგ კი გვიამბობს:

„...1973 წლის სექტემბერში თითქმის ამავე გზით ვიმოგზაურე მეც, ოღონდ პირიქით, თბილისიდან წამოსულებმა გადავიარეთ მთა და ალაზნის დიდებული ველით კახეთში ჩავედით. შაბათი დღე იყო, მთის კალთაზე ქართველები შინდს კრეფდნენ. ხასოფლო სამეურნეო სამსახურისათვის გამწესებული ათიოდე ვერტმფრენი უქმად იდგა ველზე, ხამაგიეროდ მონადირეები მოტოციკლებით ბრუნდებოდნენ ტყიდან და თავიანთი ნადავლი — საცოდავი ფრინველები მიჰქონდათ. ალ. დიუმა აღნიშნავს, იმ მხარეში უხვადაა ნადირი. კავკასიაში მოგზაურობისას თვითონ მასაც უნადირია. ცხენოსნები და მეჯინიბეები, — ამბობს იგი, — გაუგონარ გამბედაობას ამჟღავნებენ. არაფრად აგდებენ, ადგილი ციცაბო თუ მოლიპულია. არც ბედაურის შიში აფიქრებთ. ცხენს თავზე წამოაცვამენ თავიანთ ქურთუკს და ამგვარად დაბრმავებულ პირუტყვს წინ მიაგელვებენ. დღეს კი ქართველი მძღოლები გულადად მიაქროლებენ მანქანებს მთებზე. შუადღისას ყვარელში, დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში ჩავედით. დავათვალიერე სახლ-მუზეუმი, „სასახლე", სადაც 1837 წელს დაბადებულა პოეტი. ახალგაზრდობაში ილია ჭავჭავაძე თურმე ოცნებობდა გარიბალდის არმიას შეერთებოდა იტალიაში. 1861 წელს სენტპეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. იგი 1907 წელს გარდაიცვალა, პოლიტიკურ მმართველთა მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების მსხვერპლი გამხდარა. პოეტი იზიარებდა მისი თანამედროვე დიდი ფრანგი მწერლების იდეებსა და მუდამ ჰუმანური იდეალებისათვის იბრძოდა. ი. ჭავჭავაძის სახლის ერთ ოთახში ხელთ მომხვდა ერთ-ერთი მისი ლექსის რუსული ტექსტი, რომელიც მწერალმა 1871 წელს პარიზის კომუნის დამარცხებასთან დაკავშირებით დაწერა: მთელი გულით უთანაგრძნობდა, პატივს სცემდა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ხალხს. ეს სწორედ მას 1868 წელს შეუგულიანებია თანამემამულეები ეთარგმნათ „განკიცხულნი". შემოკლებული თარგმანი კიდეც გამოუქვეყნებია თავის ჟურნალში „საქართველოს მოამბე".

ილია ჭავჭავაძის ბაღში, სადაც ძველი ხეების ჩრდილქვეშ ვსაუზმობდით, ალაზნის ველზე მდებარე ამ პატარა ქალაქმა, ყვარელმა ლუქსემბურგის პატარა ქალაქი ფიანდენი მომაგონა, სადაც 1871 წელს პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ბრიუსელიდან განდევნილი ვიქტორ ჰიუგო სამი თვით ჩამოვიდა საცხოვრებლად და სადაც მთელი რიგი პოემები დაწერა. ეს პოემები შედის მის კრებულში „საშინელი წელი". ორი პატარა ქალაქი დავუკავშირე ერთმანეთს: ფიანდენი თავისი ბორცვებით, ტყეებით და ციხე-კოშკებით რაღაცით ჰგავს ქართულ პეიზაჟს..."

როზმარი კიფერი ამავე სტატიაში მსჯელობს ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობაზე: ქართველები ძალიან ამაყობენ სურათებით, მათ თანამემამულეს, თვითნასწავლ მხატვარს ნიკო ფიროსმანაშვილს რომ დაუხატავს და ნ. ფიროსმანის სახელით რომ არის ცნობილი: 1862 წელს კახეთში დაბადებული ნ. ფიროსმანი 1918 წელს გარდაცვლილა თბილისში. იგი უმცირესი შემოსავლით ირჩენდა თურმე თავს: ხატავდა ყავახანის აბრებს, რესტორნის კედლები მოხატული ყოფილა მისი გულუბრყვილო ფრესკებით, შეკვეთებს მედუქნეებისა და ვაჭრებისაგან იღებდა. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში რამდენიმე მცოდნე პირმა შეამჩნია ფიროსმანის „პრიმიტიული" მხატვრობის საოცარი მომხიბვლელობა. დღეს უკვე იგი დიდ ხელოვნადაა აღიარებული. მისი ტილოები სასოებით ინახება საბჭოთა მუზეუმებში, საქართველოსა და მოსკოვში.

როზმარი კიფერი ამავე სტატიაში ეხება აგრეთვე ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ნიკო ნიკოლაძე იყო ფილოსოფოსი და მწერალი, მარქსის მეგობარი, დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, წერდა ფრანგულ ენაზე, ციურიხში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები". ეს ნაშრომი გამოქვეყნებული იქნა ჟენევაში. ავტორი წერს: „ნიკო ნიკოლაძემ საფრანგეთს გააცნო საქართველო, ამასთანავე მრავალი გამოკვლევა დაბეჭდა საქართველოში ფრანგი მწერლების შესახებ. ასე მაგალითად, გუსტავ ფლობერის „სალამბოზე" წერისას ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს ქართველ თანამემამულეებს ისეთივე გულდასმით შეისწავლონ თავიანთი სამშობლოს წარსული და შემდეგ მასზე ისტორიული რომანი დაწერონ, როგორც ეს ფრანგმა მწერალმა გუსტავ ფლობერმა გააკეთა კართაგენის წარსულის გამოკვლევისას. მე დავუმატებდი, ეს სურვილი დღეს აღსრულდა კ. გამსახურდიას შესანიშ-

ნავი რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ გამოქვეყნებით.“

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს კიტა აბაშიძეს. იგი აღნიშნავს, რომ აბაშიძეს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფრანგული ლიტერატურის შესახებ, დაწერა ნარკვევები ფერდინანდ ბრუნეტიერზე, პოლ ბურჟეზე და სხვებზე. კიტა აბაშიძემ ჰიუგო იმ დროს დაიცვა, — წერს კიფერი, — როდესაც მას თავს დაესხა ჟიულ ლემეტრი. „ვიქტორ ჰიუგოს პიროვნება ისე დიდია, წერს კიტა აბაშიძე, რომ მის დასაკნინებლად ნაცრის ამოტივტივება უღირსი საქციელი იქნებოდა“.

მოტანილი მასალები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ როზმარი კიფერი საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარია.

□

# ა. სტენდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა ირმა ჯავახიშვილმა

## ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ხელოვნების ცენტრია. იგი დაარსდა 1870 წელს, მაგრამ მაყურებლებისათვის მისი კარები გაიღო 1872 წელს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელოვნების მოყვარულებმა 250000 დოლარი შეაგროვეს, რათა მუზეუმს ფუნქციონირება შეძლებოდა.

მეტროპოლიტენ-მუზეუმი მდებარეობს ცენტრალურ პარკში, ხოლო ფილიალი — ფორტ-დრაიონის პარკში. ექსპოზიცია შედგება უმთავრესად კერძო პირების მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული კოლექციებისაგან. აქვს შემდეგი განყოფილებები: ამერიკული ფერწერისა და ქანდაკების, იარაღის, ძველი, შორეული და ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების, ძველი ეგვიპტის ხელოვნების, ძველი საბერძნეთისა და რომის ხელოვნების, ისლამის ხელოვნების, შუა საუკუნეების ხელოვნების, ხელსაწყოების, XX საუკუნის ხელოვნებისა და ევროპული ფერწერის, წიგნის მუზეუმი, საბავშვო მუზეუმი და კოსტიუმების ინსტიტუტი. ეს დაწესებულება გახდა ხელოვნების უდიდესი ენციკლოპედია. მისი 52 სურათების გალერეა, დეკორატიული ხელოვნების კოლექცია და არქეოლოგიური მასალები ასახავენ ხელოვნების განვითარებას უძველესი ცივილიზაციიდან დღემდე.

ევროპული და მრავალრიცხოვანი ამერიკული ხელოვნების დაახლოებით 2000 ნიმუში სრულად ვერ გამოხატავს მხატვრული ხელოვნების ყველა ასპექტს. მიუხედავად ამისა, ის, რაც ამ მუზეუმშია თავმოყრილი, არის ლამაზი საჩუქარი მილიონობით დამთვალიერებლისათვის, ჭილდო — ამერიკელი ფილანთროპებისათვის, სიამაყე — ადგილობრივი მოქალაქეებისათვის.

ახალი მანამ ძველდება, ვიდრე ჩვენ შევძლებთ ისტორიაში შესაფერისი ადგილი მივუჩინოთ მას. ფრანგი იმპრესიონისტები, რომლებმაც ისტორიული თვალსაზრისით მხოლოდ გუშინ შექმნეს თავიანთი ბრწყინვალე ტილოები, დღეს მკაფიოდ იკვეთებიან, როგორც შესანიშნავი ფუნჯის ოსტატები, თუმცა მათი შემოქმედება გამოხატულია ისეთ ხასიათებსა და ფორმებში, რომლებიც უცნობია მიქელანჯელოსა თუ ლეონარდო და ვინჩის შედევრებისათვის.

თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური ხასიათი და გემოვნება გააჩნია. იცვლება ეკონომიური და სოციალური ვითარებანი, ასევე იცვლება ადამიანის გემოვნებაც. ინდივიდუალური გემოვნება ყოველთვის უნდა არსებობდეს, მაგრამ არ შეიძლება არ მოგეწონოს რაფაელისა და რემბრანდტის, ელ გრეკოსა და სეზანის ტილოები. მათი ნამუშევრები არ საჭიროებენ წინასიტყვაობასა და ახსნა-განმარტებას.

მე-19 საუკუნეში დაიწყო ხელახალი აღმოჩენა ძველი, დაკარგული ხელოვნების ნიმუშებისა და ეს საშვილიშვილო საქმე ახლაც წარმატებით გრძელდება; თუმცა გვხვდება უმნიშვნელო დანაკარგები.

მეტროპოლიტენ-მუზეუმის შედევრები გვიქმნიან წარმოდგენას სურათების კოლექციის სიმდიდრეზე. მაგრამ ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი უბრწყინვალესი ძვირფასი ქვებისა, ამოღებული იმ ყუთიდან, რომელიც ერთ დროს ფაუსტმა მარგარიტას გაუწოდა.

ამ მუზეუმში თქვენ შეხვდებით ვერმეერის, რემბრანდტის, ელ გრეკოს, ველასკესის, რაფაელის, ვან დეიკის, ლეონარდო და ვინჩის, ბოტიჩელის, კარავაჯოს, რუბენსის, მანეს, მონეს, დიურერის, სურბარანის, ბრეიგელ უფროსის, სეზანის, ბუშეს, რეინოლდის, ვან გოგისა თუ გოგენის ბრწყინვალე შედევრებს, რომლებმაც გაამდიდრეს მუზეუმის ფონდი. წლების განმავლობაში ეს ფონდი ივსებოდა სხვადასხვა პირის მიერ საჩუქრად გადაცემული კოლექციებით. ხელოვნების მომაჯადოებელი ძალა მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს იზიდავს ნიუ-იორკში, ხალხის თაყვანისცემა ფუნ-

ჯის ჯადოქრების მიმართ უსაზღვროა.

პირველ კოლექციაში, რომელიც მუზეუმს გადაეცა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფრანგი მხატვრების ტილოებს. ეს კოლექცია ეკუთვნოდა ქალბატონ კატერინა ვოლფს, ქალს რომლის სახელი მუზეუმის კუთვნილ 106 ორიგინალზე შეგვიძლიათ ამოვიკითხოთ. კატერინამ კოლექცია მუზეუმს 1887 წელს გადასცა.

1889 წელს მუზეუმის განძს ემატება მე-19 საუკუნის ფრანგული ფერწერის კიდევ ორი შედევრი, ედუარდ მანეს ორი სურათი: კერძოდ „ქალი თუთიყუშით" და „ბიჭი ხმლით". მანეს ცხოვრებისეული სიმართლით გამსჭვალული რომანტიული სახეების მთელი გალერეა აქვს შექმნილი. მის შემოქმედებაში მთავარია უმნიშვნელო ეპიზოდების ასახვა. თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბოლო ნამუშევარში „ფოლი-ბერჟერის ბარი" ხელოვანი შეეხო ოცნებისა და სინამდვილის შეჯახების მტკივნეულ პრობლემას, ადამიანის მარტოობის თემას; ედუარდ მანე, როგორც მხატვარი, გაცილებით ადრე დააფასეს ამერიკაში, ვიდრე ევროპაში. იგი მე-19 საუკუნის რევოლუციური ტენდენციის ფრანგი მხატვრების პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ამერიკაში პოპულარობა მოიპოვა. მანეს პოპულარობამ გამოიწვია ამერიკელთა დაინტერესება ფრანგული ფერწერით. ამიტომ მუზეუმში ბევრი ფრანგი მხატვრის შემოქმედებაა წარმოდგენილი:

ფრანსუა ბუშე—ფრანგი ფერმწერი, როკოკოს ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1734 წლიდან პარიზის ფერწერისა და ქანდაკების სამეფო აკადემიის წევრი, ხოლო 1765 წლიდან — მისი დირექტორი და „მეფის პირველი ფერმწერი".

ედგარ დეგა—ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი. მოქანდაკე. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ხილამაზის შერწყმა ფანტასტიკურსა და პროზაულთან. წინასწარ მოუფიქრებელსა და შემთხვევითს ხშირად ერწყმის ზუსტად გაანგარიშებული ჩანაფიქრი. მე-18 საუკუნის 70-იან წლებიდან ედგარ დეგას შემოქმედება მიუახლოვდა იმპრესიონიზმს („თანხმობის მოედანი", „აბსენტი"). დეგა ოსტატურად გადმოგვცემს სპეციფიკური შრომითა და ყოფა-ცხოვრებით ჩამოყალიბებულ ადამიანთა სახეებს („ქალები კაფეს ტერასაზე").

კლოდ ოსკარ მონე — ფრანგი ფერმწერი, პეიზაჟისტი. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წარმომადგენელი. მისი მთავარი ამოცანა იყო სუფთა, შეურყვნელი ფერების და ჰაერისა და სინათლის მსუბუქი ვიბრაციის გადმოცემა. ჰარმონიის იმ გრძნობამ, რომელიც მონეს შემოქმედებაში იგრძნობა, დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ფერწერის შემდგომ განვითარებაზე.

1951 წელს კოლექციონერმა ლევისონმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა ვან გოგის, გოგენისა და სეზანის შედევრები. ვან გოგმა, წარმოშობით ჰოლანდიელმა, საფრანგეთში შექმნა სურათები, რომლებიც სამუდამოდ შევიდა მსოფლიო ფერწერის საგანძურში. მის ტილოებში („მკა. ლაკროს ველი", „მეთევზეთა ნავები", „სენტ-მარიში") ჩანს ჰარმონიის, ბედნიერებისა და მშვენიერებისაკენ სწრაფვა. ბოლო ნამუშევრებს ახასიათებს ფერთა გამძაფრებული ექსპრესია, განწყობილებათა მკვეთრი ცვალებადობა.

1906 წლიდან მეტროპოლიტენ-მუზეუმს ხელმძღვანელობს როჯერ ფრაი. იგი ინგლისიდან ჩამოვიდა, რათა სამხატვრო დეპარტამენტის კურატორი გამხდარიყო. მაგრამ ამ პოსტზე დიდხანს არ დარჩენილა, რადგან შეისყიდა ელ გრეკოს ტილო „მოგვთა თაყვანისცემა", რის გამოც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პრესის მიერ. აი რას წერდა ფრაი მეტროპოლიტენ-მუზეუმის გალერეის შესახებ: „აქ არის მხოლოდ ერთი სახე ხელოვნებისა, რომელიც საკმარისად არის გამოხატული, ეს არის სენტიმენტალური და უჩვეულო მხატვრობა მე-19 საუკუნისა. დანარჩენზე ჩვენ შეგვიძლია აზრის გამოთქმა მხოლოდ ევროპაში შექმნილ აზრთან მიმართებაში. ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები; ჯოტო, ჯოტესკე, მანტენია. არ გაგვაჩნია ბოტიჩელი, ლეონარდო, რაფაელი, მიქელანჯელო".

ფრაის მიერ მოტანილი სია მხოლოდ ბიზანტიელ და იტალიელ ხელოვანთა სახელებს შეიცავს, მაგრამ 1906 წელს შეძენილი იან ვან გოგენის, უილიამ ბლეიკისა და ფრანსისკო გოიას ტილოები მოწმობენ, რომ მისი ინტერესების სფერო გაცილებით ფართო იყო. ხოლო ის ქმნილებები, რომლებზედაც ასე ძლიერ წყდებოდა გული ფრაის, მეტროპოლიტენ-მუზეუმში გამოჩნდა მხოლოდ 1959 წელს. ამ წელს მუზეუმი გამდიდრდა ელ გრეკოსა („წმინდა ჯონის მოჩვენება") და ველასკესის („ქრისტე და პილიგრიმები") სურათებით.

მეტროპოლიტენ-მუზეუმში ნაკლებად არის წარმოდგენილი გერმანული ხელოვნება, მაგრამ საკმარისია დავასახელოთ ალბრეხტ დიურერი—ფერმწერი, გრაფიკოსი და გრავიორი, გერმანული აღორძინების უდიდესი მხატვარი რომლის შემოქმედებაში იგრძნობა რეალური სამყაროს ხედვა, ცხოვრებისეული ხასიათებისა და დეტალების გამოხატვის სიმკვეთრე. ამ უდიდესი პორტრეტისტის მხატვრული ძიების კულმინაციური წერტილია კომპოზიცია „ოთხი

მოციქული“, რომელიც გამოირჩევა ოსტატურად გადმოცემული ფსიქოლოგიური სიღრმით. გარდა ამისა, მუზეუმი ფლობს მე-15 საუკუნის გერმანული ხელოვნების მშვენიერ მხატვრულ ნიმუშებს.

ნიდერლანდური ფერწერის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია პიტერ ბრეიგელ-უფროსი. მის შემოქმედებაში გადაჯაჭვული იუმორი და ტრაგიზმი, ლირიულობა და მახვილი ფანტასტიკა. ბრეიგელის ხელოვნების მთავარი მოქმედი გმირი ხალხია. მხატვარი თავისებურად გადმოგვცემს გმირების შინაგან სილამაზეს, ღირსებებსა და ძალას. პეიზაჟები გამოირჩევა დახვეწილი ფერებით, განწყობილების სიღრმით („მონადირენი თოვლში“, „ნახირის დაბრუნება“, „წელიწადის დრონი“, „ღრუბლიანი დღე“, „მკა“). ხელოვანი ხშირად ქმნიდა ფილოსოფიურად გააზრებულ ტილოებს ლეგენდებისა და ანდაზების მიხედვით.

მუზეუმის ესპანური კოლექციაც არ არის ძალიან მდიდარი. მაგრამ მისი ხარისხი აბათილებს რაოდენობის სიმცირეს. პირველ რიგში ეს არის ბერძნული წარმოშობის ესპანელი მხატვრის ელ გრეკოს დამსახურება. მისი შედევრები „კარდინალი გევარა“, „ტოლედო წვიმის შემდეგ“, გოიას ტილოსთან — „მახები აივანზე“ — ერთად ამ კოლექციის მშვენებას წარმოადგენენ. გარდა ამისა, მუზეუმი ფლობს ველასკესის, მურილიოს, რიბერას ტილოებს.

ბრიტანული ხელოვნება ყოველთვის იყო პოპულარული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ, ბუნებრივია, რომ იგი ბრწყინვალედაა წარმოდგენილი მეტროპოლიტენ-მუზეუმშიც. ისეთ გამოჩენილ მხატვრებთან ერთად, როგორებიც არიან რეინოლდი, ლორენსი, გეინსბორო, კონსტებლი, კოლექციას ამშვენებს მუზეუმისათვის ამას წინათ საჩუქრად გადაცემული უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ჯგუფური პორტრეტი — „უელსის პრინცი — ჰენრი ფრედერიკი და სერ ჯონ ჰარინგტონი“, შესრულებული 1603 წელს.

უსიტყვოდ ღაღადებენ ჭეშმარიტებას მეტროპოლიტენ-მუზეუმში შეკრებილი ტილოები — მსოფლიო ხელოვნების საგანძურიდან ამოკრეფილი მოკაშკაშე ძვირფასი ქვები.

□

## კუროსავას ახალი ჩანაფიქრი

ცნობილმა იაპონელმა კინორეჟისორმა აკირა კუროსავამ გადაწყვიტა შექმნას შექსპირის „მეფე ლირის" საკუთარი ვერსია. ეს არ არის პირველი შემთხვევა კუროსავას და შექსპირის შემოქმედებითი შეხვედრისა. იაპონელი რეჟისორის ფილმი „ინტრიგების კოშკი" მაკბეტის მოტივების მიხედვითაა გადაღებული.

„მეფე ლირის" მოქმედება კუროსავას XVI საუკუნის იაპონიაში გადააქვს. ფეოდალური რღვევის ხანას ეკუთვნის მისი წინარე ფილმი „ორეული" („კაგემუშა"), რომელიც კანის ფესტივალზე პალმის ოქროს რტოთი დააჯილდოვეს 1980 წელს. ეს მონუმენტური ფილმი მოსამზადებელი სამუშაოა „მეფე ლირის" გადაღების წინ.

## გიუნტერ გრასის ნახატები

გამომცემლობა „ლუხტერხანდმა" გამოსცა ნახატების წიგნი, რომელიც შექმნა მწერალმა გიუნტერ გრასმა 1954—1977 წლებში. ნახატებს ახლავს ამავე პერიოდში შექმნილი ტექსტები.

„იშვიათია ვინმეს შემოქმედებაში, — წერს ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსი ჰაინც ლუდვიგ არნოლდი, — ასე მჭიდროდ და თანამიმდევრულად იყოს შერწყმული ლიტერატურა გამომსახველობით ხელოვნებასთან".

როგორც ცნობილია, გიუნტერ გრასმა მიიღო სამხატვრო განათლება, თავდაპირველად მუშაობდა მოქანდაკედ და გრაფიკოსად და მხოლოდ მერე დაიწყო წერა. მაგრამ დიდი ლიტერატურული წარმატებების ჟამსაც კი არ მიუტოვებია ქანდაკება და მხატვრობა, ბოლო დროს კი უფრო და უფრო აქტიურად მიმართავს მას. 1979 წელს მწერალმა დაასრულა ვრცელი მოთხრობა „შეხვედრა ტელტგში" და თავადვე გადაწყვიტა ცოტა ხნით ლიტერატურული მუშაობა შეეწყვიტა — ქანდაკებას დაუბრუნდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გ. გრასმა ასამდე ფიგურა და ამდენივე ბარელიეფი გააკეთა.

„გიუნტერ გრასის ორი პროფესია..., — წერს კრიტიკოსი, — ორი სხვადასხვა საშუალებაა ერთიდაიგივე იდეების, თემებისა და მოტივების გამოხატვისა. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

## თანამედროვე აპოკალიფსი

შვედი მწერლის პიერ ქრისტიან ერშილდის ახალი რომანი „წარღვნის შემდეგ" ანტიუტოპიის ჟანრშია დაწერილი.

ატომური ომის შემდეგ თითქმის მთელი კაცობრიობა დაიღუპა. მხოლოდ ერთეულები გადარჩნენ. ისინი პატარა ჯგუფებად არიან დასახლებულნი. დაიღუპა მთელი ცივილიზაცია, კულტურა. უიმედოდ არის დავიწყებული მეცნიერული ცოდნა.

ერშილდი არ იშურებს მუქ საღებავებს ადამიანის ფიზიკური და ზნეობრივი დაცემის გადმოსაცემად.

პიერ ქრისტიან ერშილდის რომანები „ნადირობა ტახებზე", „ბავშვთა კუნძული", „სახლი ბაბილონში" მწვავე სოციალური პათოსითაა გამსჭვალული.

□

**«САУНДЖЕ»**
**ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ**
На грузинском языке
1985 № 2
**СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ**
**ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ**



პიტერ ბრეიგელი უფროსი. მკა



ფრანსუა ბუშე. ვენერას დილა

76182